



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

## **IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS**

**XLVII**

**Иберийско-кавказское языкознание**

**XLVII**

Tbilisi 2019 Тбилиси

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLVII

თბილისი  
2019

**მთავარი რედაქტორი**

ვაჟა შენგელია

**Editor-in-chief**

Vazha Shengelia

**სარედაქციო კოლეგია**

ავთანდილ არაბული  
მარინე ბერიძე  
გიორგი გოგოლაშვილი  
თამარ ვაშაკიძე  
გუჩა კვარაცხელია  
ნანა მაჭავარიანი  
მურმან სუხიშვილი  
ლია ქაროსანიძე  
მედეა ღლონტი  
მერაბ ჩუხუა

**Editorial Board**

Avtandil Arabuli  
Marine Beridze  
Giorgi Gogolashvili  
Tamar Vashakidze  
Gucha Kvaratskhelia  
Nana Machavariani  
Murman Sukhishvili  
Lia Karosanidze  
Medea Glonti  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISSN

## შინაარსი – Contents

### I

ლ. აზმაიპარაშვილი, მყარ ექსპრესიულ გამოთქმათაგან ნაწარმოები კომპოზიტები ხუნძურ ენაში .....	9
L. A z m a i p a r a s h v i l i, Compounds Derived from Fixed Expressive Expressions in Avar .....	18
ნ. არდოტელი, სახელური კომპოზიტები დიდოურ და ბეჟიტურ ენებში.....	19
N. A r d o t e l i, Nominal Compounds in Dido and Bezhta .....	23
მ. ბუკია, აფხაზურ-ჩერქეზული ორენოვანი კომპოზიტები.....	24
M. B u k i a, Abkhazian-Circassian Bilingual Compounds .....	31
თ. ბურჟულაძე, შესიტყვების გამოყოფისათვის ფრაზეოლოგიზ-მებში .....	32
T. B u r c h u l a d z e, The Issue of Identifying Syntagms in Phraseological Units .....	36
ე. გაზდელიანი, ღვთაებათა სახელები და მათთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალების სახელწოდებები სვანურ მიკროტოპონიმებში .....	38
E. G a z d e l i a n i, Names of Deities and Religious Rituals Related to Them in Svan Microtoponyms .....	47
რ. გერსამია, ზმნისწინის სემანტიკური ფუნქციები ლაზურში: მიმართულება, ორიენტაცია, რეფერენცია .....	48
R. G e r s a m i a, Semantic Functions of Preverbs in Laz: Direction, Orientation, Reference .....	58
ლ. გიგლემიანი, სვანურ ჰიდრონიმთა აგებულების შესახებ .....	59
L. G i g l e m i a n i, On the Structure of Svan Hydronyms .....	62
გ. გოგოლაშვილი, ენათმეცნიერის თვალით დანახული პოეტური ტექსტი .....	63
G. G o g o l a s h v i l i, A Poetic Text Through a Linguist's Eyes .....	71

თ. გ უ ჩ უ ა, მშობლიური ენის საკითხი ბაქოს ქართულ დიასპორაში (მეოცე საუკუნის დასაწყისის პრესის მასალების მიხედვით).....	72
T. G u c h u a, The Issue of the Native Language in the Georgian Diaspora of Baku (Based on the Press of the Early 20th Century) .....	77
მ. თ ე თ რ ა ძ ე, ლეზგიურ აფიქსთა შედგენილობა და ფონოტაქტიკური თავისებურებანი .....	78
M. T e t r a d z e, Composition and Phonotactic Features of Lezgian Affixes .....	88
დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის შედგენის პრინციპები .....	89
D. K a k a s h v i l i, Principles of Compiling a New Batsbi-Georgian Dictionary ...	93
მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, სა-ე და სა-ო კონფიქსებით ნაწარმოებ სახელთა შესახებ .....	94
M. L a b a r t k a v a, On the Words Confixed with sa-e and sa-o .....	100
რ. ლ ო ლ უ ა, არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება უდიურ ენაში .....	101
R. L o l u a, Compound Word Formation of Nouns in Udi .....	103
<b>თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ნეოლოგიზმთა შექმნის ტენდენციები თანამედროვე ქართულში .....</b>	<b>104</b>
T. L o m t a d z e, Principles of Creating Neologisms in Modern Georgian .....	114
ნ. მ ა ჩ ა ვ ა რ ი ა ნ ი, არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში? .....	116
N. M a c h a v a r i a n i, Does “Syntactical Subordination” Exist in Abkhazian? .....	126
ს. ო მ ი ა ძ ე, „კაზმვა“ / „კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე .....	127
S. O m i a d z e, “kazmva”/“kmazva” – From Phonetic Change to Meaning Differentiation .....	132
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ფონოსემანტიკური მოდელების ფონემური სტრუქტურისათვის სვანურში .....	133
M. S a g h l i a n i, The Phonemic Structure of Phonosemantic Models in Svan .....	146

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, პირდაპირი დამატების მარკირებული და არამარკირებული ფორმების მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებით ჩანაცვლების შემთხვევები ძველ ქართულში .....	147
M. S u k h i s h v i l i, The Facts of the Replacement of Marked and Unmarked Forms of the Direct Object by the Forms in the Instrumental and Adverbial Cases in Old Georgian .....	156
თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, გასუბსტანტივებული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების მორფოლოგიური ანალიზისთვის .....	157
T. T e t e l o s h v i l i, On Morphological Analysis of Substantivized Unchangeable Parts of Speech .....	160
რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში .....	161
R. P a r e u l i d z e, The Nakh Vocabulary Denoting Time in the Kist Dialect of the Chechen Language .....	167
ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, თხრობითი წინადადების ინტონაცია ლაზურში .....	168
N. P o n i a v a, The Intonation of a Declarative Sentence in Laz .....	173
ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის საკითხები „შატბერდის სასწავლო წიგნში“ .....	174
L. K a r o s a n i d z e, Dionysius Thrax's Grammar Issues in "the Shatberdi Schoolbook" .....	179
მ. ლ ლ ო ნ ტ ი, წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების ქართულენოვანი არჩევანი – ძვ.ქართ. „შესაქმე“ .....	180
M. G h l o n t i, The Georgian Choice of Denominating the First Book of the Holy Scriptures .....	192
ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები სვანურში .....	193
N. S h a v r e s h i a n i, Toponyms with Attributes in Svan .....	205
ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ბრძანებითი წინადადების ინტონაცია მეგრულ-ლაზურში სხვადასხვა სოციალური წრის, სქესისა და ასაკის გათვალისწინებით .....	206
E. S h e n g e l i a, The Intonation Pattern of Imperative Sentences in Megrelian and Laz Considering Social Class, Gender and Age Differences .....	209

ო. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ .....	210
I. C h a n t l a d z e, On Svan Umlaut Again .....	222
ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ქართველური ლინგვისტური ტენდენციები ფრანც კარლ ალტერის მემკვიდრეობაში .....	223
I. C h a c h a n i d z e, Kartvelian Linguistic Trends in the Legacy of Franz Karl Alter .....	228
რ. ჯ ა ი ა ნ ი, განსხვავებულ სოციოლინგვისტურ გარემოთა გავლენა ჰაიფის ებრაელთა ქართულ მეტყველებაზე .....	229
R. J a i a n i, The Influence of Different Sociolinguistic Environments on the Georgian Speech of Haifa Jews .....	234
მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, ნაწილაკდართულ არსებით სახელთა ბრუნება მეგრულ- ლაზურში .....	235
M. J g a r k a v a, Declension of Nouns with Particles in Megrelian-Laz .....	258

## II

ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, კიტა ჩხენკელი – პიროვნება, ენათმეცნიერი, მთარგმნელი .....	259
L. A b u l a d z e, G. K v a r a t s k h e l i a, Kita Chkhenkeli – Person, Linguist, Translator .....	272

## III

<b>ელენე ნიკოლაიშვილი</b> .....	273
<b>Elene Nikolaishvili</b>	
<b>ლამარა ყაზაიშვილი</b> .....	275
<b>Lamara Kazaishvili</b>	
<b>თამარ ზურაბიშვილი</b> .....	277
<b>Tamar Zurabishvili</b>	
<b>თამარ ბეროზაშვილი</b> .....	279
<b>Tamar Berozashvili</b>	

ლევან აზმაიფარაშვილი

**მყარ ექსპრესიულ გამოთქმათაგან ნაწარმოები  
კომპოზიტები ხუნძურ ენაში<sup>1</sup>**

ხუნძურ ენაში საყურადღებოა თავისებური ფორმები, რომლებითაც გადმოიცემა ძლიერი სურვილი, ნატვრა. ჯერ კიდევ პ. უსლარი ამ ფორმათა შესახებ აღნიშნავდა, რომ ესენი არსებითი სახელებია, რომლებიც მთელი წინადადებებისგან შედგებიანო (უსლარი, 1889, § 50: 56-57)<sup>2</sup>. ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში მათ ეწოდებათ ნატვრითის ფორმები (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962: 292-293). განსაკუთრებით ხშირად იხმარება ეს ფორმები წყევლისას, აგრეთვე, ვისიმე გალანძვის ან დალოცვის დროს; შეიძლება გამოხატავდნენ შექება-მოწონებასაც, ითქმოდნენ საალერსო მნიშვნელობით და ხუმრობითაც.

როგორც ცნობილია, ნატვრითი ფორმა ხუნძურ ენაში იწარმოება ზმნისაგან -დ სუფიქსის მეშვეობით. წარმოებისას ამოსავალია ნამყო ძირითადი დროის ფორმა, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნამყო ძირითადის მაწარმოებელი ფორმანტი -ნა და სუფიქსი -დ უშუალოდ დაერთვის თემატურ ხმოვანს (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962: 292-293; საიდოვი, 1954: 110). მაგალითად:

ნამყო ძირითადი დროის ფორმებია: ჟუკ-ა-ნა „იყო“, ჟაჟ-ა-ნა „მოვიდა“, ბოს-ა-ნა „აიღო“, „იყიდა“, ტუ-უ-ნა „მისცა“...

მაგრამ ნატვრითში გვექნება: ჟუკ-ა-დ, ჟაჟ-ა-დ, ბოს-ა-დ, ტუ-უ-დ...

წინადადებაში ეს ფორმები იხმარება შემასმენლად:

მ უ ნ ჟ ო ხ უ ნ ჟ უ კ ა დ! „შენ გაიხარე!“, ზედმიწ. „შენ გახარებული იყავ[კაცო]“;

მ უ ნ ჟ ა ყ უ ნ ჟ უ კ ა დ! „გმიოდეს შენ!“, ზედმიწ. „შენ მოშიებული იყავ[კაცო]“;<sup>3</sup>

დ უ რ რ ა კ ბ ო ხ ა დ! „შენმა გულმა გაიხაროს!“ ნატვრ. ბ ო ხ - ა - დ ← ნამ. ძირ. ბ ო ხ - ა - ნ ა „გაუხარდა“ (ბ ო ხ - ი - ზ ე „გახარება“);

დ უ რ რ უ ყ ბ უ ჰ ა დ! „შენი სახლი დაიწვას!“ ნატვრ. ბ უ ჰ - ა - დ ← ნამ. ძირ. ბ უ ჰ - ა - ნ ა „დაიწვა“ (ბ უ ჰ - ი - ზ ე „წვა“);

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

<sup>2</sup> პ. უსლარის სიტყვებით: «Это суть существительные, в состав которых входят целые предложения, вроде сорви-голова, up va nu-pieds...».

<sup>3</sup> მაგალითები პ. უსლარისაა (უსლარი 1889, § 136: 147). ამ ფორმებს იგი მოიხსენიებს ტერმინით Желательное наклонение.

ჭ ა ნ კ ო დ უ ლ ტ ა ნ ჭ ა ზ დ უ რ ჩ ე ხ ჯ ი რ შ ა დ! „ქათმის წიწილებმა მუცელი ამოგკორტონ!“ ნატვრ. ჯ ი რ შ - ა - დ ← ნამ. ძირ. ჯ ი რ შ - ა - ნ ა „ამოჩიჩქნა“ (ჯირშ-ი-ზე „ჩიჩქნა“)... (მაგალითები ეკუთვნის მ. საიდოვს; საიდოვი 1954: 110).

ნატვრითის ფორმიანი გამოთქმების ადრესატი შეიძლება იყოს როგორც მეორე, ისე მესამე პირიც: ჟ ო ხ უ ნ ჟ უ კ ა დ დ ო ჟ! „გაიხაროს მან[მამაკაცმა]!“; ჟ ა ყ უ ნ ჟ უ კ ა დ დ ო ჟ! „შიოდეს მას[მამაკაცს]!“; დ ო ს უ ლ რ ა კ ბ ო ხ ა დ! „მისმა[მამაკაცის] გულმა გაიხაროს!“; დ ო ს უ ლ რ უ ყ ბ უ ჰ ა დ! „მისი[მამაკაცის] სახლი დაიწვას!“; ჭ ა ნ კ ო დ უ ლ ტ ა ნ ჭ ა ზ დ ო ს უ ლ ჩ ე ხ ჯ ი რ შ ა დ! „ქათმის წიწილებმა ამოგკორტონ მას[მამაკაცს] მუცელი!“ და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ნატვრითის ფორმები ღირებულ და საინტერესო მასალას იძლევა ხუნძური ენის ექსპრესიულ-გამომსახველობითი უნარის შესაცნობად. არც თუ მცირეა მათი მნიშვნელობა ეთნოლინგვისტური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით, რამდენადაც ამდაგვარ გამოთქმებში თავისებურადაა ასახული ეთნოსის მსოფლხედვა, ყოფითი რეალიები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და ა.შ.

დალოცვის ფორმულები:

მ უ ნ ჭ ა გ ო ხ უ ტ ა დ „ცოცხალი დარჩენილიყავ!“ , ნატვრ. ხ უ ტ - ა - დ ← ნამ. ძირ. ხ უ ტ - ა - ნ ა „დარჩა“ (ინფ. ხ უ ტ - ი - ზ ე „დარჩენა“);

დ უ დ ე თ ა ლ ი ჰ ლ უ დ „ბედნიერი იყავ!“ (ზედმიწ. „ბედნიერება დაგედოს“), ნატვრ. ლ ' - უ - დ ← ნამ. ძირ. ლ ' - უ - ნ ა „დადო“ (ინფ. ლ ' - ე - ზ ე „დადება“)... (მაგალითები პ. უსლარს ეკუთვნის, უსლარი 1889, § 185: 229).

ნატვრითის ფორმიანი გამოთქმები, ჩვეულებრივ, გვევლინებიან მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად, რომლებიც მზამზარეულად იხმარებიან ხოლმე მეტყველი კოლექტივის მიერ, თუმცა არ უნდა გამოირიცხებოდეს ინდივიდის შემოქმედებითი როლიც ამგვარ გამოთქმათა ახალი და ორიგინალური ვარიანტების შექმნა-ჩამოყალიბებაში.

ერთ-ერთ მყარ გამოთქმას წარმოადგენს, მაგალითად, ჰ ა ლ ჭ ა ჯ ა დ! იგი შეიცავს სიტყვას ჰ ა ლ „ჯანი“, „შეძლება“ (აგრეთვე „მდგომარეობა“) და ნატვრითის ფორმას ზმნისა ჭ ა ჯ - ი - ნ ე „ჯანსაღად ყოფნა“, „კარგად ყოფნა“ (ნატვრ. ჭ ა ჯ - ა - დ ← ნამ. ძირ. ჭ ა ჯ - ა - ნ ა). მაგალითი:

კ უ და და, ჰ ა ლ - ჭ ა ჯ ა დ, ბიცე ცო მარჰა! „ბაბუა, დღეგრძელ იყავ, გვიამბე ერთი ზღაპარი!“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 412). მ. მაჰომედხანოვს ეს გამოთქმა რუსულად გადმოაქვს ასე: «Голубчик мой!», «Душа моя!» (მაჰომედხანოვი 1993: 357).

ანალოგიური შედგენილობისაა ფრაზეოლოგიზმი ბ ე ტ ე რ ჭ ა ჯ ა დ! აქ მოცემულია კომპონენტი ბეტერ „თავი“. პ. უსლარის განმარტებით, მისი მნიშვნელობაა «Голова да бюджет здрава!» (უსლარი 1889, განყ. II: 219). იხმარება შორისდებულადაც: „გაუმარჯოს!“, «Да здравствует!» (საიდოვი 1967: 78).

მ უ ნ ა ჰ ა ლ ჩ უ რ ა დ! „ცოდვები ჩამოერეცხოს!“ – ითქმის მიცვალებულზე (უსლარი 1889, განყ. II: 217); მუნაჰ „ცოდვა“ (მრ. რ. მუნაჰალი), ნატვრ. ჩ უ რ - ა - დ ← ნამ. ჩ უ რ - ა - ნ ა, ინფ. ჩ უ რ - ი - ზ ე „რეცხვა“, „დაბანა“.

წყევლისა და ლანძღვის ფორმულები:

რასულ ჰამზათოვი წერდა: „ვფიქრობ, ოდესმე ვინმე დადესტნელი ფოლკლორისტათაგანი თავს მოუყრის და წიგნად გამოსცემს მთიულურ წყევლებს, მაშინ ყველასათვის საჩინო იქნება, რაოდენი საზრიანობა და დახელოვნება, რაოდენი ფანტაზია ჰქონია მთიელს, რაოდენი გამომსახველობა ჩვენს ენას. ყოველ აულს თავისი წყევლა აქვს. უფრთხილდით წყევლა-კრულვათა ცეცხლით მდაგველ რისხვას! არის წყევლა, უხილავი ხლართით ხელ-ფეხის დაბორკვას რომ გიქადის, მეორე წყევლა კუბოში ჩაწვენივთ გემუქრება, მესამე წყევლა – შენსავე თეფშზე დაგაყრევინებს ორსავე თვალს, მეოთხე – წვეტიან ქვებზე ყირწი-ყურწით ახტუნავებს შენს თვალებს და ხრამში ჩაჩეხავს“ (გამზათოვი 1968: 250)<sup>1</sup>.

მართლაც, ხუნძური ენა ავლენს ექსპრესიის ძლიერ და მრავალფეროვან უნარს, რაში დარწმუნებაც ადვილად არის შესაძლებელი, თუ გავეცნობით სათანადო ენობრივ მასალას.

ნატვრითის ფორმით არის გადმოცემული, მაგალითად, ასეთი რისხვა: ა ლ ლ ა ჰ ა ს ა უ ლ ნ ა ზ ა ნ ა ბ ა თ ა დ! „ღმერთმა დასწყევლოს!“, ზედმიწ. „ალაჰის წყევლა ეპოვნოს!“. მ. მაჰომედხანოვის განმარტება ასეთია: «Да покарает его Аллах!» (მაჰომედხანოვი 1993: 17); ნაჰანა „წყევლა-კრულვა“, ნატვრ. ბათ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბათ-ა-ნა „იპოვა“ (ინფ. ბათ-ი-ზე „პოვნა“).

ასევე, მ ა შ ი ც ა ა დ! სალანძღავი გამოთქმაა, ზედმიწევნით ნიშნავს „ცრემლმა წაგიღოს!“ (ან „წაიღოს!“). მ. მაჰომედხანოვის განმარტებით: «Что ты пропал! Что тебе пусто было!» (მაჰომედხანოვი 1993: 204); მაჰუ „ცრემლი“ (ერგ. მაშიცაა), ნატვრ. ა-დ ← ნამ. ძირ. ა-ნა „წავიდა“, „წაიღო“ (ინფ. ი-ნე „წასვლა“, „წაღება“).

მ ო ლ ო დ ა ლ ’ უ დ! „საკაცეზე დაიდე!“ (ან „საკაცეზე დაიდოს!“); ხუნძურად მალი (ადგ. ბრ. მოლ-ო-და) ჰქვია გადასატან კიბეს, რომლითაც მიცვალებულს მიასვენებენ საფლავზე (უსლარი 1889, განყ. II: 128; ომარაშვილი 1989: 43)<sup>2</sup>; ნატვრ. ლ’-უ-დ ← ნამ. ძირ. ლ’-უ-ნა „დადო“ (ინფ. ლ’-ე-ზე „დადება“).

<sup>1</sup> ეს გახლავთ ამონარიდი რ. ჰამზათოვის თხზულებიდან „ჩემი დადესტანი“, რომელიც რუსული ენიდანაა თარგმნილი შ. ნიშნიანიძისა და თ. ჩიჯავაძის მიერ (ამ თხზულების რუსული თარგმანის ავტორია ვ. სოლოუხინი); შდრ. ორიგინალური ტექსტი ხუნძურ ენაზე:

Maġaruł x̄and̄eazulgi, naġanabazulgi t̄lex̄ ɣ̄abuɲi, ɣ̄eɓ ɟ̄alul̄el, ɟ̄une ɣ̄eniɓ buɟeɓ beġeraɓ ɟ̄inaɓdasa: ɟ̄oɟ ruxuɓa, ɟ̄oɟ ɟ̄oɟtuɓa, moɓota l̄ɓola, x̄abaɟa ɟ̄az biɟuɓa, beɓal ɟ̄aɟriɲire porɟuɓa, buɟruɓ k̄iɓalaɟ̄a x̄ere ġiruɲ ġanɟ̄al̄ ɓ̄iluɓa „ხუნძურ ლანძღვა-გინებასა და წყევლებზე წიგნი თუ შეიქმნება, უფრთხილდით მასში, წამკითხველნო, გულის გამგმირავ (ზედმიწ. „ბასრ, მჭრელ“) მრისხანებას: ზოგი მათგანი (ე.ი. „წყევლა-კრულვა“) გვემს, ზოგიც ჭრის, საკაცეზე აწვენს, საფლავზე ეკალბარდს აღმოაცენებს, თვალებს თეფშებზე დააყრევინებს, თავებს ხრამში გადაჩეხავს და ქვებში ჩაკარგავს“ (ჰამზათოვი 1975: 65). დღეს უკვე მოიპოვება ამგვარი მასალისადმი მიძღვნილი წიგნები (იხ. მაჰომედხანოვი 2007; ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008).

<sup>2</sup> საყურადღებოა ამ მხრივ საქართველოში არსებული საწყევარი გამოთქმაც ჯ ა ლ ა მ ბ რ ი თ წ ა ს ა დ ე ბ ო! თ. სახოკიას ცნობით: „მეგრულად ჯალამზარი ერქვათ საკაცესათვის, რომელზედაც მიცვალებულს დააკრავდნენ და დასასაფლავებლად მიჰქონდათ სასაფლაოზე... ჯალამზარი შედგება ორი გრძელი ძელისაგან, რომელსაც შვიდი-რვა სანტიმეტრი დიამეტრი ექნება და სიგრძეც სამი მეტრი და რომელიც შეერთებულია ხის დაღვლარჭნილი ტოტებით (სახოკია 1979: 948).

როცა პირუტყვს უწყრებიან, ხუნძები ამბობენ ყ უ ლ ფ უ დ ე ვ უ დ! „საქელებოდ დაკლულხარ!“ პ. უსლარის ცნობით, ყ უ ლ ფ უ ეწოდება ქელები-სათვის განკუთვნილ პირუტყვს (უსლარი 1889, განყ. II: 155); ნატვრ. ვ-უ-დ ← ნამ. ძირ. ვ-უ-ნა „დაკლა“ (ინფ. ვუ-ე-ზე „დაკვლა“).

ჭ უ ა ნ უ ა ჯ ა დ! „მოკლულიმც მოსულხარ[კაცო]!“ (ან „მოკლულიმც მოსულა!“). პ. უსლარის განმარტებით: «Приди убитый, т.е. проклятый» (უსლარი 1889, განყ. II: 222). აქ წარმოდგენილია ნამყოს აბსოლუტივის ფორმა ჭუა-ნ ზმნისა ჭუა-ზე „მოკვლა“; ნატვრ. უაჯ-ა-დ ← ნამ. ძირ. უაჯ-ა-ნა „მოვიდა“ (ინფ. უაჯ-ი-ნე „მოსვლა“).

მ უ ნ ნ ა ვ ე უ უ ს უ ნ გ უ ტ ა დ! „უკან ნულარ დაბრუნებულხარ[კაცო]!“; ნატვრ. უუსუნგუტ-ა-დ ← ნამ. ძირ. უუსუნგუტ-ა-ნა „არ დაბრუნდა“.

ხ ა დ უ ბ ქ უ ა დ! – ეს ფრაზეოლოგიზმი შეიცავს ზმნისართს ხადუბ „შემდეგ“, „მერე“ და ნატვრითის ფორმას ზმნისა ქუინე „შეჭმა“; ნატვრ. ქუ-ა-დ ← ნამ. ძირ. ქუ-ა-ნა „შეჭამა“. დაახლოებით უნდა უდრიდეს ქართულ გამოთქმას „ემმაკმა წაილოს!“. პ. უსლარის მიხედვით, იგი ნიშნავს: «Съешься вслед, т.е. пропади и ты» (უსლარი 1889, განყ. II: 113). მ. მაჰომედხანოვის განმარტება კი ასეთია: «Пропади пропадом!», букв. «чтоб тебя съели потом!» (მაჰომედხანოვი 1993: 332).

დამახასიათებელია ნატვრითის ფორმიანი ისეთი გამოთქმებიც, რომლებშიც ფიგურირებენ სხეულის ნაწილთა სხვადასხვა სახელწოდებები. მაგალითად:

ბ ე ტ ე რ ბ ე ქ ა დ! „თავი გაუტყდეს!“ (// „გაგიტყდეს!“), ბ ე ტ ე რ „თავი“, ნატვრ. ბექ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბექ-ა-ნა „გატეხა“, „გატყდა“ (ინფ. ბექ-ი-ზე „გატეხვა“, „გატყდომა“).

ჭ ა ნ თ უ რ ა დ! „ხორცი დაულპეს!“ (ჰან „ხორცი“), ქერენ თურად! „მკერდი დაულპეს!“ (ქერენ „მკერდი“), მუყულუყ თურად! „ყელი ჩაულპეს!“ (მუყულუყ „ყელი“, „ხორხი“); ნატვრ. თურ-ა-დ ← ნამ. ძირ. თურ-ა-ნა „დალპა“ (ინფ. თურ-ი-ზე „ლპობა“).

ჩ ე ხ ტ ე უ ა ტ ა დ! „მუცელი გაუსკდეს!“ (ჩენ „მუცელი“); ნატვრ. ტუაატ-ა-დ ← ნამ. ძირ. ტუაატ-ა-ნა „გასკდა“ (ინფ. ტუაატ-ი-ზე „გასკდომა“).

მ უ ყ უ ლ უ ყ ბ ო რ ლ ა დ! „ყელი გაეხვრიტოს!“ (მუყულუყ „ყელი“, „ხორხი“); ნატვრ. ბორლ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბორლ-ა-ნა (ინფ. ბორლ-ი-ზე „გახვრეტა“).

ღ ა ლ ა ლ ჰ უ ლ ა დ! „ნაწნავები დაგცივდეს!“ – ასე ლანძღავენ ერთმანეთს ქალები (ღალ „ნაწნავი“, მრ. რ. ღალალ).

მი ც ა ლ ჰ უ ლ ა დ! „ულვაშები დაგეპუტოს!“ – ლანძღავს ქალი მამაკაცს (მიც „ულვაში“, მრ. რ. მიცალ)...

ნატვრ. ჰულ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჰულ-ა-ნა, ინფ. ჰულ-ი-ზე „გაბრდღვნა“, „გაპუტვა“, აგრეთვე „გამელოტება“.

როგორც ცნობილია, ნატვრითის ფორმა ზმნის სხვა ფორმათაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი შეიძლება სუბსტანტივადაც გვევლინებოდეს და მოეპოვებოდეს სახელური ნიშნები. ამიტომაც წერდა პ. უსლარი: ესენი არსებითი

სახელებია, რომლებიც მთელი წინადადებებისგან შედგებიანო (უსლარი, 1889, § 50: 56-57). უფრო ზედმიწევნით თუ დავახასიათებთ, ესენი წარმოადგენენ რთულ არსებით სახელებს (კომპოზიტებს), რომლებიც მიღებულნი არიან მყარ ექსპრესიულ გამოთქმათა ლექსიკალიზაციის შედეგად<sup>1</sup>. მაგალითები:

თ ა ლ ი ჰ - ყ ო ს ა დ ყ ჭ ა ტ ი ჭ ე ი ნ ე გ ი ბ ე ჰ უ ლ ა „არამზადა (ზედმიწ. „ის, ვისი ბედნიერებაც, დე, დაიკარგოს“) გარეთ გავიდეს შეიძლება“.

თ უ მ ა ნ კ უ ლ გ უ ლ ლ ი ც ა ქ ე რ ე ნ - ბ ო რ ლ ა დ ჭ ა გ ო შ ა დ დ უ ც ა თ ა რ ა ჭ ? „თოფის ტყვიით მკერდ-გასახვრეტი (ზედმიწ. „ის, ვისაც თოფის ტყვიამ მკერდი, დე, გაუხვრიტოს“) ცოცხალი რად დატოვე?“ (მაგალითები მ.-ს. საიდოვისა; საიდოვი 1954: 110, 122).

საინტერესოა, რომ ზმნად გამოყენების შემთხვევაშიც კი ნატვრითის ფორმა სუფიქსად დაირთავს ხოლმე რიცხვის სახელურ ნიშანს. მაგალითად:

ჭ ო ხ უ ნ ჭ უ კ ა დ ! „გახარებული იყავ!“ (//„იყოს!“), შდრ. მრავლობითი: რო ხ უ ნ რ უ კ ა დ - ა ლ ! „გახარებულნი იყავით!“ (//„იყონ“).

ასევე: ჭ ა ყ უ ნ ჭ უ კ ა დ ! „მომიებული იყავ!“ (//„იყოს!“), შდრ. მრავლობითი: რ ა ყ უ ნ რ უ კ ა დ - ა ლ ! „მომიებულნი იყავით!“ (//„იყონ!“) (მაგალითები ეკუთვნის პ. უსლარს; უსლარი 1889, § 136: 147).

ცნობილია ისიც, რომ ნატვრითის ფორმა ისევე იცვლება ხოლმე ბრუნვათა მიხედვით, როგორც ჩვეულებრივი არსებითი სახელი. მაგალითები:

ნატვრითის ფორმა ერგატივში: ლ ი მ ა ლ ჭ ა ჯ ა დ ი ც ა ბ ი ც ა ნ ა ჰ ა ბ ხ ა ბ ა რ, ზედმიწ. „მან, ვისი ბავშვებიც, დე, ჯანსაღად იყონ, მითხრა ეს ამბავი“ (საიდოვი 1954: 110).

ნათესაობითში: ჭ უ ა ნ ჭ ა ჯ ა დ ი ლ რ უ ყ „წყეულის სახლი“, ზედმიწ. „სახლი იმისა, ვინც, დე, მოკლული მოვიდეს“ (უსლარი 1889, § 50: 57).

მიცემითში: რ ო ყ ო ბ ბ ე რ თ ი ნ ჰ ა ბ უ დ ი დ ე შ ი ბ დ ა დ ბ ო ტ უ ნ ბ უ გ ო ?, ზედმიწ. „მას, ვის სახლშიც ქორწილი, დე, გამართულიყოს, ნეტავი რაღა უნდა სურდეს?“ (საიდოვი 1954: 111).

ლოკატივში: ჭ ა ნ კ ო დ უ ლ ტ ა ნ ჭ ა ზ ჩ ე ნ კ ი რ შ ა დ ი დ ა ჰ ა ბ ი შ ქ ე გ ი ლ ა ჭ ე ბ ი შ ?, ზედმიწ. „მან, ვისაც ქათმის წიწილებმა მუცელი, დე, ამოჩიქნონ, ეს საქმე განა არ იცოდა?“ (საიდოვი 1954: 111).

<sup>1</sup> ლექსიკალიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა, მაგალითად, რუსულ ენაში ჩვენს თვალწინ გაჩენილი ზოგიერთი უახლესი ნეოლოგიზმიც. ამ ნეოლოგიზმების ფართოდ გავრცელება და დამკვიდრება უკრაინულ ინტერნეტ-რესურსებში, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკურ დისკურსში შედეგად მოჰყვა ყირიმის ანექსიას, ჰიბრიდულ საომარ მოქმედებებს უკრაინის ტერიტორიაზე (დონბასში) და მწვავე საინფორმაციო ომს რუსეთსა და უკრაინას შორის. ასეთ ვითარებაში გაჩნდნენ ეს ნეოლოგიზმები უკრაინის საზოგადოებაში, ცალკეულ მარტივ წინადადებათა თუ ფრაზების ლექსიკალიზაციის შედეგად, და ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ლექსებზე (ასევე – ჰემსტეგებად, ინტერნეტ-მიმებად), მაგ., Их там нет) (← Их там нет), Крымнаш, Крымнашисты, Крымнашевы (← ლოზუნგი «Крым Наш!»), Мышебратья (← Мы же братья), Чётамухохлов (← Что там у хохлов) და სხვ., რომელთა ნასახიც კი არ არსებობდა 2014 წლის გაზაფხულამდე.

ამგვარი გაარსებითებული ფორმები ენაში ხშირად მკვიდრდებიან კომპოზიტთა სახით და ფართოდაც გამოიყენებიან, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები.

ერთი ასეთი გავრცელებული კომპოზიტია ხუნძურში ე ბ ე ლ ხ ჭ ა დ, რომელსაც პ. უსლარი სიტყვასიტყვით ასე განმარტავს: «Умри-мать». იგი შეიცავს სიტყვას ე ბ ე ლ „დედა“ და ნატვრითის ფორმას ზმნისა ხ ჭ ე-ზე „მოკვდომა“: ნატვრ. ხ ჭ ე-დ ← ნამ. ძირ. ხ ჭ ე-ნა „მოკვდა“, ე.ი. „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“. პ. უსლარისავე ცნობით, ეს სიტყვა-გამოთქმა შეიძლება იხმარებოდეს საალერსო მნიშვნელობით, თუ დედა მიმართავს ასე შვილს («Лучше бы матери твоей умереть, чем видеть тебя столь несчастным»; შდრ ქართ. *დედა გენაცვალოს; მოგიკვდეს, შვილო, დედა*). იგი ზოგჯერ ხუმრობით ითქმის და ზოგჯერ სალანძღავადო (უსლარი 1889, განყ. II: 75). მაგალითები:

ჭ ა დ დირ ე ბ ე ლ ხ ჭ ა დ, ჰანჟე მუნგი არმიდალდე უნ, დიცაა შიბ ჰაბულებ? ნუწაა ყირუნ ტადე ჭ ა ჟ უ ლ ე ჯ ჩ ი ჭ უ კ ი ნ ა რ ო დ ი ტ ე „ვაი, მოგიკვდეს დედა („ჩემო დედამკვდარო“), ახლა შენც ჯარში მიდიხარ, მე რაღა ვქნა? კარდახშულ სახლში მომხედავი არავინ მეყოლება“ (ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008: 274).

ტოცებესებ ნუხალს ყელებე მაშინა ბაჰარაბ ზამან ბუკანილა. ჰელდე შეჟეზეშან ყელესეზულ შადამაზდა მაშინა ბისუნცინ ბუკუნ ჰეჰო. რადალდასა ნაჯე ქალხოზალსულ აზბარალდა ცეებე ჰეზაბუნ ბუკანილა ჰებ მაშინა. ცო კუდიამა ჰეჟეჟუმალს „ჰალგონიდალ შადამალგი რაჰუნ ბაჰარაბ ჰაბ ფაყირ ბაყუცა ხოლებ ბათილა, – დანგი აბუნ ყჟალ წურაბ ხერ ბან ბუგო მაშინადალდა ცეებე, – ქჟანაა, ქჟანაა, ე ბ ე ლ ხ ჭ ა დ“, – ან ჰელიდე რაკ-მაკვი ჰაბულაგო „ის დრო ყოფილა, როდესაც ყელებში პირველად მოვიდა მანქანა. მანამდე ყელების მცხოვრებთ მანქანა თვალთ არ ენახათ. დილიდანვე კოლმეურნეობის ეზოს წინ გაჩერებული ყოფილა ის მანქანა. ერთმა დედაბერმა თქვა: „ამდენი ხალხი რომ მოუყვანია, ეს საწყალი როგორი მშიერი იქნება, შიმშილით მოკვდებო“ და მთელი ილღია თივა დაყარა მანქანის წინ: „ჰამე, ჰამე, მოგიკვდეს დედაო“, – ეალერსებოდა მას“ (ზღაპრები 1990: 89).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა ე ბ ე ლ ხ ჭ ა დ ხუნძურში გამოხატავს შექებასაც, კერძოდ, ადამიანის სიყოჩაღეზე მიუთითებს.

ანალოგიური აგებულებისაა სიტყვა ე მ ე ნ ხ ჭ ა დ (ვარიანტები: ა მ ა ხ ჭ ა დ, ე მ ე ხ ჭ ა დ) „ის, ვისი მამაც, დე, მოკვდეს“. ეს სიტყვა-გამოთქმა წარმოადგენს ადამიანის საქებ ეპითეტს და გამოხატავს მოწონებას (შდრ. ქართ. *მამაძაღლი*, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ითქმოდეს საალერსო მნიშვნელობით და შექებითაც):

მოწიდე შურაბ ჟო კუტუნ ბუგო ე მ ე ნ ხ ჭ ა დ ი ც ა „თვის სამყოფი რამ მოიმარაგა ყოჩაღმა“ (ბოკარიოვი 1949: 159);

ა მ ა ხ ჭ ა დ ი ლ ქუთაქ ბუგო, ზედმიწ. „მაღა აქვს მას, ვისი მამაც, დე მოკვდეს“. მ. საიდოვის განმარტებით: «У него сила великая (особая формула у аварцев, говорится о здоровом, сильном и бодром человеке)» (საიდოვი 1967: 31), ე.ი. „რა ღონიერია ეს მამაძაღლი!“.

ერთი შეხედვით, ამდაგვარი სიტყვა-გამოთქმები თითქოს უარყოფით ემოციებს უნდა იწვევდნენ ადრესატში, მაგრამ ამ საკითხზე ცალსახად მსჯელობა არ იქნებოდა გამართლებული. ჰ. მაჰომედსალიჰოვი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ წყევლას სახუმარო ხასიათი აქვს და გასართობ ელფერს შეიცავს, რითიც ემოციური მრავალფეროვნება შემოაქვს ხალხის სამეტყველო ეთიკეტში. ასეთებია, მაგალითად, დურ ებელ ხჷად „შენი დედა, დე, მოკვდეს“, დურ ემენ ხჷად „შენი მამა, დე, მოკვდეს“, დურ რაჷა ყოტად „შენი კუდი, დე, მოიჭრას“, დურ ინსულ ჭურუსალ ლჷად „მამაშენს რუსები, დე, გამოეღიონ“ და ა.შ. (მაჰომედსალიჰოვი 2007: 12).

საკითხი ამჟამად მცირედ არის შესწავლილი. საინტერესო იქნება შესადარებლად მოვიხმოთ მაგალითები ქართული ენობრივი სამყაროდანაც. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, მაგალითად, ნ. ბალიაურის ასეთი ცნობა:

„გენაცვალეს“ და „შენი ჭირიმეს“ ხევსურეთში ნაკლებად ხმარობენ. როდესაც მოხუცებული ქალი ახალგაზრდა ქალს მკაცრ სიტყვას ეტყვის, იქნება იგი მისი გვარისა თუ არა, ეს სულ ერთია, ოღონდ სოფლელი იყოს, ეს სიმკაცრე უფრო გარეგნულია, შინაარსში კი სიტყვა ღრმა სიყვარულით არის გამთბარი (შინაურობის გამომხატველია ასე მაგალითად: ქალავ, ქალ-შავავ, ქალუკლოვ, აითარი, დაეგდი, წაითარე და სხვა მრავალი ამისთანა გამოთქმები უცხოთა და ყურმიუჩვეველს სხვანაირად ესმის, არასასიამოვნოდ: აქ კი პირიქით)“ (ბალიაური 1991: 71).

ხსენებულთა გარდა, შეიძლება დავასახელოთ ხუნძური ენის არაერთი სხვა კომპოზიტიური არსებითი სახელიც, რომლებიც ანალოგიურადვე მიღებულნი არიან ნატვრითი ფორმის შემცველ მყარ გამოთქმათა ლექსიკალიზაციით:

რუყბუჷად „ის, ვისი სახლიც, დე, დაიწვას“, წარმოადგენს სალანძღავ სიტყვას, მიღებულს მყარი გამოთქმისაგან; შდრ. დურ რუყ ბუჷად! „შენი სახლი დაიწვას!“, დოსულ რუყ ბუჷად! „მისი სახლი დაიწვას!“. რუყ „სახლი“, ნატვრ. ბუჷ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბუჷ-ა-ნა „დაიწვა“ (ინფ. ბუჷ-ი-ზე „წვა“).

რიჷიბაყჷად „ნამირალა“. ხუნძურად რიჷი ეწოდება „გადაგვარებულ ადამიანს“, „საზიზღარ პიროვნებას“ (ზედმიწ. „ქმნილება“ ← მასდ. ბ-იჷ-ი, ინფ. ბიჷ-ი-ზე „შექმნა“); ნატვრ. ბაყჷ-დ ← ნამ. ძირ. ბაყჷ-ნა „გახმა“, ინფ. ბაყჷ-ზე „გახმობა“; ზედმიწევნითი მნიშვნელობა ამ კომპოზიტისა, მაშასადამე, იქნება: „ქმნილება (//არსება), რომელიც, დე, გახმეს“.

თალიჷყად, ზედმიწ. „ის, ვისი ბედნიერებაც, დე, დაილიოს“: თალიჷჷ „ბედნიერება“, ნატვრ. ყ-ა-დ ← ნამ. ძირ. ყ-ა-ნა (ინფ. ყ-ი-ნე „გამოლევა“, „ამოწურვა“).

ბაზიყოსად „არამზადა“, ზედმიწ. „ის, ვისი სვე-ბედიც, დე, დაიკარგოს“: ბაზი „ბედნიერება, „სვე-ბედი“; ნატვრ. ყოს-ა-დ ← ნამ. ძირ. ყოს-ა-ნა „დაიკარგა“ (ინფ. ყოს-ი-ნე „დაკარგვა“).

თ ა თ უ ხ ჭ ა დ, ზედმიწ. „ის, ვინც, დე, დაუძღურდეს“: თ ა თ უ „ძალა, შეძლება“; ნატვრ. ხჭ-ა-დ „დე, მოკვდეს“ ← ნამ. ძირ. ხჭ-ა-ნა „მოკვდა“. კომპოზიტი მიღებულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისაგან თ ა თ უ ხ ჭ ე ზ ე „დაუძღურება“ (ზედმიწ. „ძალის მოკვდომა“).

ჩ ჭ ა ნ თ ა ბ ა ჰ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისაც ჯიბე, დე, გაეხვრიტოს“: ჩ ჭ ა ნ - თ ა „ჯიბე“, ნატვრ. ბაჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. „გაიხვრიტა“, „გაცვდა“ (ინფ. ბაჰ-ი-ზე „გახვრეტა“, „გაცვეთა“).

ჩ ე ზ ბ ი ჯ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისაც მუცელი, დე, გაუსკდეს“: ჩ ე ზ „მუცელი“, ნატვრ. ბიჯ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბიჯ-ა-ნა „გასკდა“ (ინფ. ბიჯ-ი-ზე „გასკდომა“, „გახეთქვა“).

ჩ ე ზ ჩ უ რ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისაც მუცელი, დე, დაბანონ“ (იგულისხმება მიცვალებულის განბანვა): ჩ ე ზ „მუცელი“, ნატვრ. ჩურ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჩურ-ა-ნა (ინფ. ჩურ-ი-ზე „დაბანვა“, „რეცხვა“).

ჩ ი ტ ა შ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისაც ადამიანი (იგულისხმება ნათესაობა, ახლობლობა), დე, მოესპოს“: ჩ ი „ადამიანი“, „კაცი“; ნატვრ. ტაშ-ა-დ ← ნამ. ძირ. ტაშ-ა-ნა (ინფ. ტაშ-ი-ზე „გაქრობა“, „მოსპობა“).

ჩ უ რ ი ბ ი ხ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისი განბანვაც, დე, წახდეს“ (იგულისხმება განბანვა გარდაცვალების შემდეგ). მისი ვარიანტია: ქ ა ქ ი ჩ უ რ ი ბ ი ხ ა დ, ზედმიწ. „ის, ვისი ლოცვა-განბანვაც (ე.ი. გაპატიოსნება გარდაცვალების შემდგომ), დე, წახდეს (ჩაიშალოს)“: ჩ უ რ ი „განბანვა“, ქ ა ქ „ლოცვა“; ნატვრ. ბიხ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბიხ-ა-ნა (ინფ. ბიხ-ი-ზე „დანგრევა“, „წახდენა“, „ჩაშლა“)...

მოქმედი ორთოგრაფიითაც ამ ტიპის კომპოზიტები იწერება შერწყმულად, გადაბმით (დეფისის გარეშე), ვინაიდან უკვე დამოუკიდებელ ლექსემებად აღიქმებიან სალიტერატურო ხუნძურში და არა შესიტყვებებად: Эбелхвად, РукъбухIад, Рижибакъвად, ТалихIкъад და ა.შ. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მკვეთრი ზღვარი ნატვრითის ფორმიან კომპოზიტურ არსებით სახელებსა და ასეთივე შედგენილობის ფრაზეოლოგიზმებს შორის, რამდენადაც ნატვრითი ფორმის შემცველ ნებისმიერ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას აქვს გასუბსტანტივების უნარი. მაგალითად:

ლ'აბწულგო ჰანჰანა ჰ ა ლ ჰ ა ჯ ა დ ი ც ა, ზედმიწ. „სამჯერ უკბინა მან, ვინც, დე, ჯანსაღად იყოს“ (← ფრაზეოლ. ჰ ა ლ ჰ ა ჯ ა დ!);

მ ი ჯ ა ლ ჰ უ ლ ა დ ი ც ა ჰ ა ლ ა ლ ' ი თ ე ჭ ო, ზედმიწ. „მან, ვისაც ულვაშები, დე, დასცვივდეს, შესაძლებლობა არ დატოვა“ (← ფრაზეოლ. მ ი ჯ ა ლ ჰ უ ლ ა დ!)... (მაგალითები ა. ბოკარიოვს ეკუთვნის; ბოკარიოვი 1949: 159).

მყარ გამოთქმათა ლექსიკალიზაცია, ამრიგად, გვევლინება ხუნძური ენის სიტყვაწარმოების ერთ-ერთ შესანიშნავ საშუალებად, რომლის მეშვეობითაც ამ ენაში გაჩენილია თავისებური კომპოზიტები. ეს კომპოზიტები ჩვეულებრივ შეიძლება შედგებოდნენ ორი კომპონენტისაგან, როგორც, მაგ., ე ბ ე ლ - ხ ჭ ა დ „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“, რ უ ყ - ბ უ ჰ ა დ „ის, ვისი სახლიც, დე, დაიწვას“, მ ი ჯ ა ლ - ჰ უ ლ ა დ „ის, ვისაც ულვაშები, დე,

დასცვივდეს“ და სხვ. გვხვდება უფრო რთული წარმონაქმნებიც, რომლებიც მთელ წინადადებასაც კი შეიძლება შეიცავდნენ. ისინი შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი სახით: როცო ბერთინ ჰაბუდ „სახლში ქორწილი, დე, გამართულიყოს“ → როცო ბერთინ-ჰაბუდ (ზედმიწ. „სახლში-ქორწილ-დე-გამართულიყოსი [კაცი]“); ჭანკოდულ ტანჭაზ ჩეხ ჯირშად „ქათმის წიწილებმა მუცელი, დე, ამოკორტონ“ → ჭანკოდულ-ტანჭაზ-ჩეხ-ჯირშად (ზედმიწ. „ქათმის-წიწილებმა-მუცელ-დე-ამოკორტონი [კაცი]“) და სხვა.

### ლიტერატურა

- ბალიაური 1991** – ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბილისი.
- ბოკარიოვი 1949** – А. А. Бокарев, Синтаксис аварского языка, Москва-Ленинград.
- გამზათოვი 1968** – რ. გამზათოვი, ჩემი დადესტანი. თარგმნეს შ. ნიშნიანიძემ და თ. ჩიჯავაძემ, „ცისარტყელა“. საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ალმანახი, I, თბილისი.
- ზღაპრები 1990** – Аварзул халкъиял маргъаби, Махачкала.
- მაჰომედსალიძოვი 2007** – Благопожелания и проклятия аварцев. Тексты, переводы, комментарии. Составитель Х. Г. Магомедсалихов, Махачкала.
- მაჰომედხანოვი 1993** – М. М. Магомедханов, Аварско-русский фразеологический словарь, Москва.
- ომარაშვილი 1989** – ნ. ომარაშვილი, მიცვალებულის კულტი და საფლავების თავყანისცემა ავარიელებში, კრებ.: ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბილისი.
- საიდოვი 1954** – М. С. Саидов, Развернутые члены предложения в аварском языке, Языки Дагестана, вып. II, Махачкала.
- საიდოვი 1967** – Аварско-русский словарь. Составил М. С. Саидов, Москва.
- სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.
- უსლარი 1889** – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык, Тифлис.
- ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** – არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.
- ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008** – М. М. Хайбулаева, М.ХИ. Хайбулаев, Авар-Гурус рогъразул ва реццалъул словарь, Махачкала.
- ჰამზათოვი 1975** – Расул Хамзатов, Данде гьарурал асарал. Проза. VI том. Дир Дагъистан, Махачкала.

LEVAN AZMAIPARASHVILI

## Compounds Derived from Fixed Expressive Expressions in Avar

### S u m m a r y

In the Avar language the forms that express a strong desire, a wish attract researchers' attention (P. Uslar, M.-S. Saidov, Arn. Chikobava, I. Tsertsvadze). These forms are very frequently used when cursing, scolding or blessing. They may also express praise and be used when endearing or joking.

The form expressing desire is derived by the suffix *-d* in Avar, e.g. the forms of the past tense are *wuḵ-a-na* "was/were", *waç-a-na* "came", *bos-a-na* "took", "bought", *ḡ-u-na* "gave", etc. In the forms expressing desire they are as follows: *wuḵ-a-d*, *waç-a-d*, *bos-a-d*, *ḡ-u-d*, etc.

*Mun wox<sub>o</sub>un wuḵad!* "Be happy!"

*Mun waḡun wuḵad!* "Be hungry!"

*Dur ruḡ buh<sub>o</sub>ad!* "Let your house be burnt!"

The addressee of the forms expressing desire may be both the second and the third persons, e.g. *wox<sub>o</sub>un wuḵad dow!* "Let him/her be happy!", *waḡun wuḵad dow!* "Let him/her be hungry!", *dos<sub>o</sub>ul ruḡ buh<sub>o</sub>ad!* "Let his/her house be burnt!", etc.

As known, the form expressing desire differs from other forms by the fact that it may be a substantive and has noun markers. That is why P. Uslar wrote that they are nouns consisting of whole sentences. To be more specific, they are compounds derived as a result of the lexicalization of fixed expressive expressions.

It is noteworthy that even when the form expressing desire is used as a verb, it takes a plural marker of a noun as a suffix. It is also known that it changes in the different cases like a normal noun.

Such substantivized forms often establish as a compound in a language and are widely used as independent lexical units.

ნოდარ არდოტელი

**სახელური კომპოზიტები დიდოურ და  
ბეჟიტურ ენებში\***

დიდოური და ბეჟიტური ენები, სარელაციო ფორმების სიუხვესთან ერთად, სადერივაციო ფორმების სიმრავლითაც გამოირჩევა, თუმცა ქართველური ენებივით მდიდარი არ არის.<sup>1</sup>

საკვლევ ენებში სიტყვაწარმოებითი მოდელებიდან ყველაზე პროდუქტიულია: 1. აფიქსაცია, მეტადრე მისი ერთ-ერთი სახეობა – სუფიქსაცია. გარდა ამისა, გამოიყოფა: 2. კომპოზიცია და 3. სინთეზური წარმოება. ჩვენ ამ წერილში განვიხილავთ სახელურ კომპოზიციას, რომელიც, აგებულების მიხედვით, შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ა) საკუთრივ კომპოზიცია და ბ) შერწყმა<sup>2</sup>.

დიდოურ და ბეჟიტურ ენებში ფართოდ არის გავრცელებული კომპოზიტური სიტყვაწარმოება: 1) ძირითადად გვხვდება **ორკომპონენტანი** (resp. **სამკომპონენტანი**) **შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa)**. კომპოზიტთა დიდი ნაწილი მიიღება ორ სრულმნიშვნელობიან სახელთა (resp. ფუძეთა) შეერთებით, რომლებიც სახელობით ბრუნვაში (resp. აბსოლუტივში) დგანან და დამოუკიდებელი ფუნქცია მოეპოვებათ. ამასთან, შერწყმული სახელები იმდენ ცნებას გამოხატავენ, რამდენ წევრსაც შეიცავს კომპოზიტი, მაგალითად: დიდ. ენი-ბაბიუ „დედ-მამა“, მუჟი-ყური „ქვეშაგები“, „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-სკამი“), ღანა-ხედიუ „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქალი-ქმარი“), გედ-ღელუ „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“), ჰამო-როკუ „გულ-მკერდი“ (ზედმიწ. „მკერდი-გული“), წერუ-წო „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), ბუცი-ბუჯ „ცის მნათობები“, „მზე-მთვარე“ (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), წი-ქუა-წი „ცეცხლი, ხანძარი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-კვარი-ცეცხლი“)...; ბეჟ. აზა-წო „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერა-ცეცხლი“, შდრ. ხევს. „ყვერფ-კერა“), ბზბ-ცან (საკ. ბეჟ.), ბზბ-კიმა (ჰუნზ.) „პურ-ღვინო“, „პურ-მარილი“

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

<sup>1</sup> ამ საკითხს განიხილავენ: ე. ბოკარევი [1959: 182-183], დ. იმნაიშვილი [1963: 160-163], ა. აბდულაევი [1981], ჰ. ვან დენ ბერგი [1995: 54-55], ნ. არდოტელი [2007: 58-60], ი. ისაკოვი, მ. ხალილოვი [2012: 229-262], ბ. ქომრი, მ. ხალილოვი, ზ. ხალილოვა [2015: 452-597]. მათგან, ა. აბდულაევმა სპეციალურად შეისწავლა დიდოური ენის სიტყვაწარმოება, მ. ხალილოვმა, ბ. ქომრიმ, ი. ისაკოვმა თავის მონოგრაფიებში ვრცლი ანალიზი წარმოადგინეს, ხოლო ე. ბოკარევი, დ. იმნაიშვილი, ჰ. ვან დენ ბერგი და ნ. არდოტელი გაკვრით შეეხნენ ამ საკითხებს.

<sup>2</sup> ანალოგიური დიქტომია სხვა ენებისთვისაც გამოიყენება, იხ. [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167; შანიძე 1980: 147-152].

(ზედმიწ. „პური-ყველი“), მუჭ-ყამ „თავ-თმა“ (ზედმიწ. „თმა-თავი“), ნაჟი-ხალუ „ბოსტნეული“ (ზედმიწ. „ხახვი-ნიორი“), ოჟე-ქიდ „ჭიამაია“ (ზედმიწ. „ბიჭი-გოგო“) და მრ. სხვ.

შინაარსის მიხედვით, მრავალი სხვა ენის ანალოგიურად, კომპოზიტებს ყოფენ ერთცნებიან, ორცნებიან და მრავალცნებიან სახეობებად [შანიძე 1980: 148]: ა) ერთცნებიანი: დიდ. პაპარუ (< \*პარ-პარუ) „ქაჩალი“, წიყალ’უ (< წი-ყალ’უ) „ტალკვესი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-მნთები“)...; ბ) ორცნებიანი: ბეჟ. ჰუდო-წო ზედმიწ. „ცეცხლ-შეშა“, ქოლ’ო-წუდდო „მუქი წითელი“...; გ) მრავალცნებიანი: დიდ. წი-ქუა-წი „ცეცხლი, ხანძარი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-კვარი-ცეცხლი“), ოწინოლ’ენ-ლ’ენო „თხუთმეტ-თხუთმეტი“ (ზედმიწ. „ათი-ხუთ-ხუთი“) და მისთ.

ცნობილია, რომ ერთცნებიანი კომპოზიტებისათვის ამოსავალია ორცნებიანი (resp. მრავალცნებიანი) კომპოზიტები და მათი ერთცნებიანად გარდაქმნა შემადგენელ კომპონენტთა თანდათანობითი სემანტიკური ნეიტრალიზაციით ხდება. ჩვეულებრივ დიდ. წი-ქუა-წი („ცეცხლი, ხანძარი“) ამჟამად ერთცნებიან სიტყვად აღიქმება, ვინაიდან ამ ენაზე მეტყველი მასში მხოლოდ „ხანძრის“ შინაარსს ხედავს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ კომპოზიტის ახლანდელი სემანტიკა ცალ-ცალკე შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობას აღარ ემთხვევა. ბეჟ. მოი-იყო („დიდი დათვის თანავარსკვლავედი“, ზედმიწ. „კვერი-ულელი“) თხზული სახელის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა, ბუნებრივია, აღარ ნაწევრდება, რადგანაც სემანტიკური გადაწვევითა და ცვლით ერთცნებიანად არის ქცეული.

გაორკეცებული სახელების კომპონენტთა თანამიმდევრობა უპირატესად არაფიქსირებულია, თუმცა შენიშნულია ფიქსირებული წყობის შემთხვევებიც [ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 543]. ამ სახის თხზული სახელების კომპონენტთა წყობაზე დაკვირვებისას შემდეგი სურათი დაიხატება: ა) კომპოზიტთა ერთი ნაწილი თანაბარმარცვლოვანი კომპონენტებისაგან შედგება: დიდ. ჰემა-ლუდი „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“), მუჟი-ყური „ქვეშაგები“, „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-სკამი“), რიგუ-ჟუქა „დამაკმაყოფილებელი“ (ზედმიწ. „კარგი-ცუდი“), ღ’ანა-ხედიჟ „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქალ-ქმარი“), ყანობიშონ (< ყანო-ბიშონ) „ორასი“ (ზედმიწ. „ორი-ასი“)...; ბეჟ. ბოწი-ჰამძნ „საქონელი“ (ზედმიწ. „წვრილფეხა საქონელი-მსხვილფეხა საქონელი“), ბოჟი-ბოტი (< ხუნდ. ბოჟი „რწმენა, ნდობა“ – ბოტი „სიყვარული“, „id.“) „ნდობა“, მესედ-ოქრო „ოქრო-ვერცხლი“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“)...; ბ) ქართულისაგან განსხვავებით, კომპოზიტთა მეორე კომპონენტი მარცვალთრადნობით შეიძლება პირველს ჩამორჩებოდეს: დიდ. ჟელი-ქუდ ზედმიწ. „ღობე-კალათა“, წერუ-წო „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), ბუცი-ბუჯ „ცის მნათობები“, „მზე-მთვარე“ (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), რაყუ-დაჰ „ბევრი თუ ცოტა“ (ზედმიწ. „ბევრი-ცოტა“)...; ბეჟ. მუყო-ბოხ „მოსავალი“ (ზედმიწ. „მარცვლეული-ბალახი“), ახა-წო „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერა-ცეცხლი“), ბეტერჰან-აჯე „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარი-ცოლი“), ოჟე-ქიდ „ქალ-ვაჟი“ (ზედმიწ. „ვაჟი-გოგო“), ქაჩრ-ნიც (< ქაჩრ-ნიცდიო) „ღია ცისფერი“ (ზედმიწ. „ნათელი-ცის-

ფერი“) და მისთ. გ) საკვლევ ენათა სიტყვაწარმოება არც ისეთ კომპოზიტებს არის მოკლებული, რომლებშიც კომპოზიტის მომდევნო შემადგენელი წევრი წინამავალს მარცვალთრადობით აღემატება, თუმცა ამგვარი წარმოება არაპროდუქტიულია, მაგ.: დიდ. გედ-ღელ’უ „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“), წიყალ’უ (< წი-ყალ’უ) „ტალკვესი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-ამნთები“), ჯაბა-ალუკა „რუხი, ლეგა“ (ზედმიწ. „შავი-თეთრი“)...; ბეჟ. სინ-ბაწო „გარეული ცხოველები“ (ზედმიწ. „დათვი-მგელი“), ახ-ბალ’ა „კუჭ-ნაწლავი“, ჰოკ-აჟე „ხმა“ (ზედმიწ. „ხმა-სიტყვა“), ბოხ-ნახო „უხეში საკვები“ (ზედმიწ. „ბალახი-თივა“), ყამ-ხაბა „თავ-ფეხი“ და ა. შ.

2) საკვლევ ენებში გამოიყოფა მეორე ტიპის კომპოზიტებიც, რომელთა ერთი ან ორივე კომპონენტის მნიშვნელობა გაურკვეველია და მოკლებულია რეალურ მნიშვნელობას [აბდულაევი 1981: 10], მაგ.: დიდ. კეტუ-მეტუ „კატა-?“, რაჭი-მუჭი „დასაყოლებელი“ (ზედმიწ. „?-?“), ქაღათ-მაღათ (ზედმიწ. „ქაღალდ-მაღალდი“), ნუზი-ნეზი „ჩივილი, საჩივარი“ (ზედმიწ. „?-?“), ლოლუ-ტოხუ „ნაფოტი“ (ზედმიწ. „ნაფოტი-?“), ცაც-მაც „კარი და მისთ.“ (ზედმიწ. „კარი-?“), წუდა-მუდა „მოწითალო“ (ზედმიწ. „წითელ-მითელი“)...; ბეჟ. შადტან-ქადტან „ავსული“ („ემმაკი-?“), ქაქურ-ქუნთა „სამუშაო კაბა“ (ზედმიწ. „?-კაბა“), ყაბასა-წიტ „ბლაგვი დანა“ (ზედმიწ. „?-დანა“), აბოცალა (< აბო-ცალა) 1. „სიმამრი“, 2. „მამამთილი“ (აბო „მამა“ – ცალა „ცალი?“), დუღუღმალა (< დუღუღ-მალა) „დავიდარაბა, არეულ-დარეულობა“ (ზედმიწ. „?-?“), ქურო-მარუ (ჰუნზ.) „მთა-ღრანტე“ (ზედმიწ. „ღრე-მთა“) და სხვ.

3) გლოსოლალიური ასონანსის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს თითო-ოროლა კომპოზიტი<sup>2</sup>, რომლებიც საკვლევ ენათა ფოლკლორში შეინიშნება, მაგ.: დიდ. წუნტი-წვანტი...; ბეჟ. კი-კუ (საკ. ბეჟ.) „რიკ-ტაფელა“, იწირ-ბიწირ, ბისან-თელი... (ჰუნზ.), შდრ. ქართ. იწილო-ბიწილო... და მისთ.

სახელთა გაორკეცება არის დერივაციის ერთ-ერთ სახეობა და იგი, როგორც ჩანს, ენობრივ უნივერსალიას წარმოადგენს. ცხადია, ძირ-ფუძეთა და სახელთა რედუპლიკაცია დამახასიათებელია დიდოურ და ბეჟიტურ ენათა სიტყვაწარმოებისთვისაც. კერძოდ, გამოიყოფა ოთხი ძირითადი ტიპი: 1) ფონემური<sup>3</sup>, 2) მარცვლოვანი, 3) მორფემული, 4) ლექსემური [ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 543; შდრ. აბდულაევი 1981: 11].

სახელთა გაორკეცებისას სათანადო კომპონენტებში შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს ამა თუ იმ ფონემის ცვლილება: ა) იდენტური გაორკეცება: დიდ. უჟი-უჟი ზედმიწ. „ვაჟი-ვაჟი“, რიგუ-რიგუ „ძალიან კარგი“, ჟივ-ჟივ „ჟივილ-ხივილი“...; ბ) ხმოვანმონაცვლეობითი რედუპლიკაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ბგერწერითი ლექსიკისთვის: დიდ. ფუხი-ფახი „ჭექა-ქუხილი

<sup>1</sup> თუ ქართული ნასესხობა (ყაბასა-ყასაბა) არ არის, შდრ. ზოკო-დიცი „სოკოს სახეობა“ (ზედმიწ. „სოკო-ყვაილი“).

<sup>2</sup> ამგვარი ასონანსური გამოთქმების ქართულისეულობას აკ. შანიძე ეჭვის თვალთ უყურებს და მათი ნასესხობის შესახებ გამოთქვამს აზრს, რაც ძნელად გასაზიარებელია [შანიძე 1980: 152].

<sup>3</sup> თითოეულ ტიპში, ფონეტიკური ცვლილების თავისებურების გათვალისწინებით, შეიძლება დამატებით გამოიყოს ქვეტიპებიც.

(თოფისა)“, გუჰი-გეჰი „ქუხილი (ზარბაზნისა)“, რაჰი-მუჰი „დასაყოლებელი“ (ზედმიწ. „?-?“), ნუზი-ნეზი „ჩივილი, საჩივარი“ (ზედმიწ. „?-?“)...; ბეჟ. ჩიხი-ჩახი „ნაჯღაზნი“, დიჰ-დაჰ „ზღართან“, ხის-ხას „ფხანის ხმიანობა“, ჩიფ-ჩაფ „დგა-ფუნი“...; გ) განსაკუთრებულ ტიპს ქმნის ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც სონორი მ ანლაუტში ერთვის მეორე კომპონენტს: ბეჟ. იტ-მიტინო „მცირეოდენი“ (< იტინო „პატარა“), ოწ-მოწიფო „მსხვილ-მსხვილი“...; დ) ორივე საკვლევ ენაში დასტურდება ისეთი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტს თავკიდურად სონორი მ ან ველარული ქ შესაბამის თანხმოვნებს ენაცვლებიან, მაგ.: დიდ. ბიხ-მიხ „ბალახ-ბულახი“, ქაღათ-მაღათ<sup>1</sup> ზედმიწ. „ქაღალდ-მაღალდი“, ცაც-მაც „კარი და მისთ.“ (ზედმიწ. „კარი-?“), წუდა-მუდა „მოწითალო“ (ზედმიწ. „წითელ-მითელი“), მუმი-ქუმი „სუნთქვა“...; ბეჟ. ჩაჩ-მჩაჩლო (< ჩაჩალო „მჟავე“) „მომჟავო“, იწ-მიწწო (< იწწო „ახალი“) „ახალ-ახალი“, შაღტან-ქაღტან „ავსული“ („ემმაკი-?“) და სხვ.

დიდოურ ენაში დასტურდება ერთი წყება სახელებისა, რომლებიც სახელთა საწარმოებლად კომპოზიციასთან ერთად სუფიქსაციასაც იყენებენ. საილუსტრაციო მაგალითები: ჟელი-ქუდ ზედმიწ. „ღობე-კალათა“ – ჟელი-ქუდ-ჯუ „კალათის მკეთებელი კაცი“, ჯემა-ლუდი „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“) – ჯემა-ლუდ-შაჟ „წვიმიანი“, ლუდე-ზიზფო „ხვალ-ზეგ“ – ლუდე-ზიზფო-სი „ხვალ-ზეგინდელი“ და მისთ.

ამრიგად, დიდოურ და ბეჟიტურ ენათა სინამდვილეში კომპოზიტთა საწარმოებლად დასტურდება ორი ძირითადი საშუალება: ა) შერწყმა, ბ) რედუქციკაცია. ამასთან, კომპოზიტთა დიდი ნაწილი მიიღება ორ სრულმნიშვნელობიან სახელთა (resp. ფუძეთა) შეერთებით, რომლებიც აბსოლუტივში დგანან და დამოუკიდებელი ფუნქცია მოეპოვებათ. გარდა ამისა, ფორმოზრივი და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევ დიდოური ენები თვალსაჩინო გავლენას განიცდიდნენ როგორც ახლომონათესავე ხუნძური ენისაგან, ისე ქართული ენისაგანაც.

## ლიტერატურა

**აბდულაევი 1981** – А. К. Абдуллаев, Словообразование в цезском языке, АКД, Махачкала.

**არდოტელი 2007** – ნ. არდოტელი, დიდოური ენა. თბილისი.

**ბოკარევი 1959** – Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва.

**ვან დენ ბერგი 1995** – Van den Berg, H. A. Grammar of Hunzib (with texts and lexicon). Leiden.

**ომნაიშვილი 1963** – Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

<sup>1</sup> შესაძლოა, ეს ქართული ენის გავლენა იყოს, შდრ. ცუდ-მადი, ყურე-მარე, ქობ-მახი და მისთ.

**ოსაყოფი, ხალილოვი 2012** – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Гунзибский язык. Махачкала.

**ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015** – Бернارد Комри, Мажид Халилов, Заира Халилова, Грамматика бежтинского языка. Лейпциг-Махачкала.

**შანიძე 1980** – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III. თბილისი.

**ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

NODAR ARDOTELI

### **Nominal Compounds in Dido and Bezhta**

#### S u m m a r y

In Dido and Bezhta two main ways are used to form compounds: 1) mergence and 2) reduplication.

1) A merged noun mainly is a) a two-component compound formed by merging two nouns (resp. bases). It is given in the nominative case and expresses as many concepts as a compound component number, e.g. Dido *eni-babiw* “parents”, *γ’ana-xediw* “wife and husband”, *çeru-ço* “bow and arrow”; Bezhta *a<sup>n</sup>xa-ço* “fire-place”, *müç-qām* “head and hair”, *ože-kid* “ladybird”; b) The second types of compounds are also identified the meaning of one or the both components of which is unclear, e.g. Dido *ķetu-meçu*, *raçi-muçi*, etc.

2) The four main types of reduplication are identified: a) Phonemic: Dido *puxi-paxi* “sound of gunfire”, *çuda-muda* “reddish”, *muši-kuši* “breathing”; b) Syllable-related: Bezhta *guç-gāçijo* “patched”, *ber-bercinab* “most beautiful”; c) Morphemic: Bezhta *qō-qona* “two at a time”, *žib-žib* “each”; d) Lexemic: Dido *uži-uži* “son”, *rigu-rigu* “very good”, etc.

მანანა ბუკია

**აფხაზურ-ჩერქეზული ორენოვანი კომპოზიტები<sup>1</sup>**

ქართველთა და აფხაზ-ჩერქეზთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ენობრივ მასალაზე. გარდა საერთოკავკასიური და ქართველურ-აფხაზურ-ჩერქეზული ფორმებისა, გამოიყოფა ნასესხები ლექსიკა, რომელიც წარმოგვიდგენს ამ ეთნოსთა ისტორიული თუ კულტურული თანაცხოვრების გარკვეულ ასპექტებს.

განვიხილავთ ლექსიკის ერთ კონკრეტულ ნაწილს, კერძოდ, ორენოვან კომპოზიტებს, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი აფხაზურ ენაში და თითქმის მთელი ლექსიკური ფონდი მოიცვა. და მაინც, გვხვდება გარკვეული დარგები, სადაც განსაკუთრებული ინტენსივობით არის წარმოდგენილი ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ურთიერთობის პერიპეტიები. ეს დარგებია რიტუალური, მწყემსური, ანატომიური, კულინარიული, სამიწათმოქმედო ლექსიკა, შრომის, საომარი იარაღების, სამოსლის... აღმნიშვნელი სიტყვები (იხ. ბუკია 2013). ყურადღებას იქცევს ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვები, რომლებიც მთლიანად ქართულიდან / ქართველურიდანაა შეთვისებული, ან ეს ნასესხობა წარმოდგენილია ორენოვან კომპოზიტებში.

**ასკილი** „ეკლიანი ველური მცენარე“ (ქეგლ I: 612), **ასკილი** (ლაზ.) „ასკილი“ (ქუთელია 1982: 38) – **ა-ჰასკ-გენ** (აფხ.) „ბალახი“ (უსლარი 1887: 138); აფხაზური ფორმა მიღებულია ქართულიდან სემანტიკური გადაწევით (ლომთათიძე 1976: 170; შაგიროვი 1989: 140). სიტყვა გვხვდება ორენოვან კომპოზიტებში: **ა-ჩეგჰასკ-გენ** „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“, **ა-ჟარჰასკ-გენ** „ველური ციკორეა“, ზედმ. „კურდღლის ბალახი“ (მაჭავარიანი 2006: 83), შდრ. **ა-ჟა** (აფხ.) „კურდღელი“, **ა-ცგ<sup>2</sup>ჰასკ-გენ** „კატაბალახა“ (კასლანძია 2005-ა: 406). შდრ. **ა-ცგ<sup>2</sup>გ** „კატა“ (ჯანაშია 1954: 355).

**ვარდი** „1. ეკლიანი ბუჩქი, რთული ფოთლებითა და ლამაზი, სურნელოვანი ფართოფოთლებიანი ყვავილებით. 2. ამ ბუჩქის ყვავილი“ (ქეგლ IV: 24), **ვარდი** (ძვ. ქ.) „ვარდი, rosa, rosarium“ (აბულაძე 1973: 153), **ვარდი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 234), **ჟარდ** (სვან.) „ვარდი“ (საღლიანი 2005: 28) – **ა-ზნაჟარდ** (აბჟ.) „ველური ვარდი“ (კასლანძია 2005: 251). არაბული **ა-ჟარდ** (აბჟ.) „ვარდი“ აფხაზურში (აბჟურში) ქართველურიდან შეთვისებულად განიხილება (ჭარაია 1912: 10), ბზიფურში მას თურქულიდან ნასესხები **ა-ჯგლ**

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR 18-072).

ჩაენაცვლება (ბლაჟბა 1964: 220). კომპოზიტის პირველი ნაწილი აფხაზურად **ა-ზნა** „ტყეს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 69). სიტყვა გვხვდება სამკომპონენტის კომპოზიტში **ა-ზნა-ტარდკაკალ** (აბჟ.) „ქაცვი“ (კასლანძია 2005: 251).

**კამა** „ერთწლოვანი სურნელ-სანელებელი მცენარე ქოლგისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ IV: 1039), **კამა** (მგ. ქ.) „anethumanethum, teniculum, marathum“ (აბულაძე 1973: 191), **კამა** (მეგრ.) „კამა“ (ციფშიძე 1914: 251), **კამა** (სვან.) „კამა“ (საღლიანი 2005: 18) – **ა-კამა** „კამა“ (ჯანაშია 1954: 140); პ. ჭარაია აფხაზურ ფორმას ქართველურიდან ნასესხობად თვლის (ჭარაია 1912: 13). გვხვდება კომპოზიტში **ა-ჰაკამა** „გვირილა“ (გვანცელაძე 2003: 209), სადაც პირველი ნაწილი **ა-ჰა** „ღორია“ (ჯანაშია 1954: 453). სახელდებისათვის შდრ. **ანაგვირილა**, რომელიც მეგრულში გადმოიცემა შესიტყვებით **ღეჯიშ ქამენია** „ღორის გვირილა“.

**ტევრი** „ხშირი, დაბურული ტყე“ (ქეგლ VI: 1268), **ტეურ** (სვან.) „ტევრი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 717) – **ა-ზნატოურა** „ტევრი“ (ჯანაშია 1954: 69); **ა-ტოურა** „ტევრი“ (რალ 1964: 169). ჰიბრიდულ კომპოზიტში პირველი ნაწილი აფხაზური „ტყეა“, მეორე კი ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 144). აფხაზური ფორმა ქართული **ტევრ**-ისგანაა მიღებული თანხმოვანთშორისი ხმოვნის რედუცირებით და თანხმოვანთა შეჯრით (ლომთათიძე 1997: 17).

**ქობალი** (მეგრ.) „პური“ (ციფშიძე 1914: 345) – **ა-ჩაქაზალ** „ყურძნის ჯიში“. აფხაზური კომპოზიტი შედგება ორი, ერთი და იმავე საგნის „პურის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან: აფხაზური **ა-ჩა** და მეგრული **ქობალი** > **ქაზალ** (ჯანაშია 2010: 88), სიტყვა ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც „პური-პური“.

**ყურძენი** „1. ვაზის ნაყოფი. 2. უხმარიათ ვაზის მნიშვნელობითაც“ (ქეგლ VII: 599) **ყურზენი** „ყურძენი“ (ციფშიძე 1914: 355), **ყუნზელ** (სვან.) „ყურძენი“ (ჩართოლანი 2003: 199) – **ა-ბყურზენ** „ყურძნის ჯიში“ (ჯანაშია 2010: 85). ბ. ჯანაშია მიუთითებს, რომ სიტყვის თავკიდური აბ- ელემენტის მნიშვნელობა უცნობია, მეორე კი მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში. შესაძლოა აფხაზური კომპოზიტის პირველი ნაწილი **ა-ზნა** „ტყე“ (ჯანაშია 1954: 69) იყოს და მოხდა ჰაპლოლოგია.

**ჯიქურა** „კუთხ. (იმერ. რაჭ.) ცოცხის სორგო“ (ქეგლ VIII: 1596), **ჯიქურა** „ინდოური ფეტვი“ (საბა 1993: 458) – **ა-ჯგქრეი** „სიმინდი“ (უსლარი 1887: 133); აფხაზური ლექსემა ქართულიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1976: 114); **ა-ჯგქრეი-ლაჰყა** „სიმინდის ტარო“ (ჯანაშია 1954: 450) ჰიბრიდული კომპოზიტია.

**ორბი** „მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი ქორისნაირთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 36), **ორბი** „ჭანგიანთა და ჯორცთა მჭამელი ფრინველი“ (საბა 1991: 604), **ობრი / ორბი** (მეგრ.) „ორბი, არწივი“ (ჭარაია 1997: 106), **ურბ** / **ურბ** (სვან.) „ორბი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 742) – **ა-ტარბა** (აფხ.) „ორბი“ (ჯანაშია 1954: 265); აფხაზურში შესულია ქართულიდან (ჭარაია 1912: 15); **ა-გატარბა** (შაყრილი 1986: 134), **ა-შხატარბა** „არწივი“ (შაყრილი 1987: 505) ჰიბრიდული კომპოზიტია და ზედმიწევნით „ზღვის არწივს“ და „მთის ორბს“ ნიშნავს. შდრ. **უარბა** (აბაზ.) „არწივი“ (აბრლ 1967: 375), რომელიც ასევე ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 140).

**კაჭკაჭი** „ფრინველი, ყვავისებრთა ოჯახისა. ფრთებზე და გულმკერდზე თეთრი ბუმბული აქვს“ (ქეგლ IV: 1110), **კაჭკაჭი** „მფრინველი“ (ჩუბინაშვილი 1887: 599) – **ა-კაჭკაჭი** (გენკო 1998: 114), **ა-ცაბლგაკაჭკაჭი** „კაჭკაჭი“ (შაყრილი 1987: 305). აფხაზურ კომპოზიტი მეორე ნაწილი ქართულიდანაა შესული აფხაზურში (გვანცელაძე 2011: 328), პირველი **ა-ცაბლგ** ხომ არ უკავშირდება რუსულ цапля-ს?

**ციცარი** „ქათმის ჯიშის ფრინველი“ (ქეგლ VIII: 635) – **ა-ციცარ** / **ა-ცესარკა** „ციცარი“ (შაყრილი 1987: 310, 312); პირველი აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე – რუსულიდან. **ა-ციცარ-კვტვ** „ციცარი“ (რალ 1964: 614) ქართულ-აფხაზური კომპოზიტია და ზედმიწევნით ნიშნავს „ციცარქათამს“.

**ხოხოხი** „ქათამზე მომცრო გარეული ფრინველი“ (ქეგლ VIII: 1502) **ჯოჯოხი** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 570), **ჯოჯოხი** „ფრინველი“ (საბა 1993: 443), **ხოხოხი** (მეგრ.) „id.“, **ჯოჯუხ** (სვან.) „id.“ – **ა-ჰვჰვ** „მტრედი“ (ჯანაშია 1954: 458); **ა-ზნაჰვჰვ** „ველური მტრედი“ (კასლანძია 2005: 251); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესულად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1976: 192). ლექსემა გვხვდება სხვა კომპოზიტის ნაწილადაც: **ა-ჰვჰვგვგ** „შავი ფერის ველური ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 127).

აფხაზურში პოვნიერია კომპოზიტები, რომლის შემადგენელი ყველა ნაწილი ქართველურიდანაა შეთვისებული, მაგრამ გაკომპოზიტება აფხაზურში მოხდა, შესაბამისი კომპოზიტი საკუთრივ ქართულში არ გვხვდება:

აფხაზური **ა-ყანჭ** „აბრეშუმის ჭიის ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 61) მეგრულიდანაა შესული აფხაზურ რელიგიურ ცნობიერებაში. ის გავრცელებული იყო აბჟუაში მცხოვრებ აფხაზებში. სიტყვა გვხვდება ძველ ქართულში, ქართულის დიალექტებში, სვანურში: **ყაჭი** „1. ნაცარტუტაში გამოხარშული აბრეშუმის ჭიის პარკი. 2. კუთხ. (იმერ.) აბრეშუმი“ (ქეგლ VII: 516), **ყაჭი** (ძვ. ქართ.) „აბრეშუმი“ (აბულაძე 1973: 465), **ყაჭი** „ბოჟი გამოხარშული“ (საბა 1993: 264), **ყანჭი** (მეგრ.) „აბრეშუმის ჭია“ (ჭარაია 1997: 118), **ყანჭ** / **ყაჭ** (სვან.) „ყაჭი, აბრეშუმი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 804). ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-პარკ** „პარკი (აბრეშუმის)“ (ჯანაშია 1954: 218) და კომპოზიტი **ა-ყანჭ პარკ** „აბრეშუმის ჭიის პარკი“ (რალ 1964: 283), თუმცა შესიტყვება **ყაჭის პარკი**, **ყანჭიმ პარკი** ქართველურში არ გვხვდება, ამ მნიშვნელობით გვაქვს **აბრეშუმიმ პარკი** (მეგრ.).

აფხაზურში ბოტანიზმი „მაღლისკბილა“ გარდა მარტივი **ა-ჯალაკათ**-ისა გადმოიცემა კომპოზიტით **ა-ჯალაკათჰასკნ** (მაჭავარიანი 2006: 77). მისი ორივე ნაწილი ქართველურიდანაა ნასესხები: **ა-ჯალაკათ** გლერტის აღმნიშვნელი მეგრული **ჯოლოკეტი**დანაა მიღებული ადაპტაციის წესების დაცვით (გვანცელაძე 1997: 59), **(ა)ჰასკნ** ფორმაზე ზემოთ გვექონდა მსჯელობა. შევნიშნავთ, რომ მსგავსი გაფორმების კომპოზიტი მეგრულში არ გვხვდება.

იგივე **ა-ჰასკნ** ფორმა გვხვდება სარეველა ბალახის აღმნიშვნელ აფხაზურ კომპოზიტში **ა-ჰასკნგნგამ**. ვფიქრობთ, მეორე კომპონენტი **(ა)გამ** „ნაგავი“ (ჯანაშია 1954: 80) მეგრულიდანაა შესული აფხაზურში. შდრ. **გვამი** (მეგრ.) „ნაგავი“ (ყიფშიძე 1914: 215). ეს უკანასკნელი გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ

კომპოზიტში: **ა-ჩაგ°ამ** „ხორბლის განაცერი, ქატო“ (შაყრილი 1987: 408). მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში, საკუთრივ გამსესხებელ ენაში მსგავსი კონსტრუქციის კომპოზიტი არ გვხვდება.

ვფიქრობთ, ქართველური ელემენტებია აფხაზურ კომპოზიტში **ა-დ°გაკაკჷ** „ველის ყვავილი“ (შაყრილი 1986: 217). მისი პირველი ნაწილი **ა-დ°გ** „მინდორი, ველი“ (ჯანაშია 1954: 100) აშკარად უკავშირდება ქართველური **მდელო / დოლო** (მეგრ.) ფორმას, მეტიც, ქ. ლომთათიძე მას ნასესხობად მიიჩნევს აფხაზურში (ლომთათიძე 1981-ა: 7). ა. შაგიროვი თვლის, რომ აფხაზური **ა-კაკაკჷ / ა-კაკაჩ** და აბაზური **კაკაჩ** „ყვავილი“ ფორმა ქართული ყაყაჩოდან არის მიღებული აფხაზურ-აბაზურში (შაგიროვი 1989: 139). შდრ. **ა-შ°თკაკაკჷ** „ყვავილი, ყვავილის კოკორი“ (შაყრილი 1987: 515), **ა-შ°თ** „ყვავილი“ (იქვე).

ატმის ერთ-ერთი ჯიშის აღმნიშვნელია აფხაზური **ა-მარგ°გლტამა** (კასლანძია 2005: 664). ამ კომპოზიტის ორივე ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული: **მარგული** (ქაჯაია 2002: 217), **მარგუილ** (ავალიანი 1995: 59) მეგრულსა და სვანურში „შავ ქლიავს“ ნიშნავს. კომპოზიტის მეორე ნაწილიც **ა-ტამა** ქართველურიდან ნასესხობად ივარაუდება (გვანცელაძე 1997: 58). მარგულისა და ატამას შეერთებით მიღებული ფორმა მეგრულსა და სვანურში არ გვხვდება. ვვარაუდობთ, რომ **ა-მარგ°გლტამა** გააფხაზურებული კომპოზიტია (ბუკია 2010: 9).

თვლით, რომ ორივე ნაწილი ქართველურიდან არის ნასესხები აფხაზურ კომპოზიტში **ა-ჩგყ°უატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა: 523). აფხაზური **ა-ჩგყ°** „ჩიყვი“ ფონოტაქტიკის სრული დაცვითაა ნასესხები ქართული ფორმიდან **ჩიყვი** „1. ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება; 2. კუთხ. (იმერ.) სოკო სიმინდის ღეროზე გაჩენილი“ (ქეგლ VIII: 518) – ინტერკონსონანტურ პოზიციამი  $o > g$ , ყვ თანხმოვანთ-კომპლექსმა კანონიკურად მოგვცა ლაბიალიზებული ყ°. კომპოზიტის მეორე ნაწილი (**ა**)**უატალა / ა-კ°ატალა** „ჯირკვალი“ (ჯანაშია 1954: 266) მეგრულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1981: 84-85), თუმცა კომპოზიტი, ან შესიტყვება **ჩიყვოტოლე, ჩიყვიშ ოტოლე** ქართველურში არ გვხვდება.

ჩერქეზულში ქართველური ლექსიკის შემცველი ორენოვანი კომპოზიტი შედარებით ნაკლებია, განვიხილავთ რამდენიმე ერთეულს:

ადილეურში გვხვდება ოთხშაბათის აღმნიშვნელი **ბარასკა°ზუგა**, პარასკევისა კი – **ბარასკა°შხ°** (შაგიროვი 1977: 75-76). სხვა ჩერქეზულ ენებში: ყაბარდოულში: **ბარგზუგა / ბარაზუგა** „პარასკევი“ (იქვე, 75), უბიხურში: **ბრასქა / ბრასკა** „ოთხშაბათი“ (ჯანაშია 2015: 93). **ბარასკა°ზუგა** და **ბარასკა°შხ°** ფორმებში პირველი ნაწილი **ბარასკა°** ქართული „პარასკევი“, მეორე ნაწილი **ზუგა** „მცირეს, პატარას“ ნიშნავს, **შხ°(წ)** კი – „დიდს“. ჩანს, სახელდებისთვის ამოსავალია ოთხშაბათისა და პარასკევის რიტუალური მნიშვნელობა, სახარებისეული სწავლება. **ბარასკა°შხ°** „პარასკევი“ ეტიმ. „დიდი პარასკევი“ ჯვარცმის მისტერიასთან ასოცირდება, **ბარასკა°ზუგა** „ოთხშაბათი“, ეტიმოლოგიურად „პატარა პარასკევი“ – საიდუმლო სერობასთან. სიტყვები ჯერ კიდევ მაშინაა შესული ჩერქეზულში,

როცა ჩერქეზები ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. ქართულიდან ნასესხები სიტყვა იძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც: **პარასკა** (ინგ.), **პერასკა** (ჩეჩნ.) „პარასკევი“, **ბარგსჩი / ბარანსკა** (ოს.) „ტრაური, მარხვა“ (შაგიროვი, იქვე).

აბძახურ დიალექტში ერთგვარი ჩიტის აღსანიშნავად გამოყენებულია კომპოზიტური წარმოების **ბზგუ-ჰაჰაჰა** (კვახაძე 2014: 94). სიტყვის პირველი ნაწილი **ბზგუ-** „ფრინველს“ ნიშნავს. ვვარაუდობთ, რომ კომპოზიტის მეორე, ეტიმოლოგიურად დაუზუსტებელი **ჰაჰაჰა** ელემენტი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ **ხოხობ-** ფორმას. ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით ქართული **ხოხობ-ი, ჯოჯობ-ი** არის ამოსავალი აფხაზური **ა-ჰგჰ** (აფხ.) „მტრედი“ (ჯანაშია 1954: 458) ფორმისთვის (ლომთათიძე 1976: 192). აფხაზური ფორმა გვხვდება კომპოზიტის ნაწილადაც: **ა-ბნაჰგჰ** (აფხ.) „ველური მტრედი“ (კასლანძია 2005: 251); **ა-ჰგჰგუგ** (აფხ.) „შავი ფერის ველური ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 127). სავსებით დასაშვებია, რომ აფხაზურში ქართულიდან შეთვისებული ფორმა აღმოჩენილიყო ჩერქეზული კომპოზიტის შემადგენლობაში.

ადიღეურში ბებერას აღნიშნავს კომპოზიტი **ფსგ-ზგზ** (კვახაძე 2014: 144). ფორმაში **ფსგ-** წყლის აღმნიშვნელი ძირია. თუ სიტყვის მეორე ნაწილს **ზგზ** ჩერქეზულში ეტიმოლოგია არ დაეძებნება, შეიძლება ჰიბრიდულ კომპოზიტად განვიხილოთ, სადაც **ზგზ** ქართული **ბებერა-**დან მომდინარეობს. შდრ. **ბე-ბერა** (ქართ.) „ამობურცული წყალჩამდგარი კანი“ (ქეგლ I: 1009).

ჭიპი ადიღეურში გადმოცემულია **ნგზგ-პგგ-იგ** კომპოზიტით (კვახაძე 2014: 130). **ა-ჰაპან** ფორმა პოვნირია აფხაზურში და იგი ქართველურიდან შეთვისებულად განიხილება (ქარაია 1912: 13; შაგიროვი 1989: 4). ვფიქრობთ, ადიღეური კომპოზიტის **პგგ** ელემენტი იმავე წარმომავლობისაა.

ქართული **კან-ი** „გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ადამიანის, ცხოველის ორგანიზმს, – ტყავი“ (ქეგლ IV: 1046), მეგრ. **კანი** (ყიფშიძე 1914: 251), სვან. **კან / კან** (თოფურია, ქალდანი 2000: 344) ჩანს აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებში **კანწგჰ** (ადიღ.), **ხამწარაწ** (ყაბარდ.), **კვანწგრა** (აბაზ.) „მეჭეჭი“ (აბდოკოვი 1973: 74), **ა-კან** (აფხ.) „ჭორფლი“ (ჯანაშია 1954: 141), **ა-კაკან** „id.“ (რალ 1964: 78); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 146). აფხაზური **ა-კანწგრა** „მეჭეჭი“ (ჯანაშია 1954: 141) ჰიბრიდული კომპოზიტია. პირველი ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე ნაწილში პირველი **წ** არის ფუძე-წინდებული, მეორე კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანად **ა-წგრა** რალაციდან გამოსვლას, რალაციდან ამოსვლას ნიშნავს (მეჭეჭიც კანის შიგნიდან ამოდის), **-რა** აბსტრაქტულობის სუფიქსია (ავიძბა 2010: 6). ქართულ-აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტი აფხაზურის მეშვეობით შეთვისებულია აბაზურსა და ჩერქეზულ ენებში.

ჩვენთვის აფხაზური **ა-ტამა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 259) ქართულიდანაა შეთვისებული. შდრ. **ატამი** (ქართ.) „საშუალო ტანის ხე“ (ქეგლ I: 629), **ატამი** (ძვ. ქართ.) persicum (აბულაძე 1973: 11), **ატამი** „ხე“ (საბა 1991: 71), **ატამა** (მეგრ.) „ატამი“ (ყიფშიძე 1914: 197), **ანტამა / ატამა** (ლაზ.) „ატამი“ (მარი 1910:

126), **ატამა / ატამ** (სვან.) „ატამი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 63). ვვარაუდობთ, რომ იგივე ფორმა გვაქვს ადიღეურ კომპოზიტში **ჯგ-ტგმ** (ადიღ.) „მსხლის სახეობა“, აგრეთვე სხვა ჩერქეზული კომპოზიტების ნაწილად: **ტგმგ-ს / ზგრ-ტგმ** (ყაბარდ.) „კვირტების გაფურჩქვნა“, **ტგ'მა** (უბიხ.) „ატამი“ (კვახაძე 2014: 69).

## ლიტერატურა

- აბრლ 1967** – Абазинско-русский словарь. Москва.
- აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის მასალები, თბილისი.
- ავალიანი 1995** – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბილისი.
- ავიძბა 2010** – ლ. ავიძბა, დავადების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინისათვის აფხაზურ ენაში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II თბილისი.
- ბუკია 2010** – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
- ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი.
- ბლაჟბა 1964** – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси
- გენკო 1998** – Генко Н. А. Абхазско- русский словарь, Сухуми.
- გვანცელაძე 1997** – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულება-ნი, კრებული „გიორგი როგავას“, თბილისი.
- გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართველური ენების შემსწავლელთათვის, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.
- გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი.
- თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი.
- კასლანძია 2005** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми.
- კასლანძია 2005-ა** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми.
- კვახაძე 2014** – ალ. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილოთა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ – შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

**ლომთათიძე 1981** – ქ. ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პრიცესის საკითხი აფხაზურში, „საიუბილეო კრებული აკაკი შანიძეს“, თბილისი.

**ლომთათიძე 1981-ა** – ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აზაზურში, თბილისი.

**ლომთათიძე 1997** – ქ. ლომთათიძე, აფხაზურ ნასესხებ სიტყვათა ფუძეების აუსლაუტის ა-ური ვოკალიზაცია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათნეცნიერების ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი.

**მარი 1910** – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.

**მაჭავარიანი 2006** – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი.

**რალ 1964** – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми.

**საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

**საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

**საღლიანი 2005** – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებად, თბილისი.

**უსლარი 1887** – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი

**ქეგლ 1955-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქუთელია 1982** – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-Пб.

**შაგიროვი 1977** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва.

**შაგიროვი 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва.

**შაყრილი 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Вловарь абхазского языка, т. I, Сухуми.

**შაყრილი 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Вловарь абхазского языка, т. II, Сухуми.

**ჩართოლანი 2003** – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსზემოური კილო, თბილისი.

**ჭარაია 1912** – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб.

**ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჯანაშია 1960** – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

**ჯანაშია 2010** – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Тбилиси.

**ჯანაშია 2015** – რ. ჯანაშია, უბიხური ენა, თბილისი.

MANANA BUKIA

## Abkhazian-Circassian Bilingual Compounds

### S u m m a r y

The traces of the long historical relationship between Georgians and Abkhaz-Circassians can be clearly seen in the linguistic material. Along with common Caucasian and Georgian-Abkhazian-Circassian forms, the borrowed vocabulary can be identified that shows some aspects of the historical and cultural coexistence of these ethnicities.

The paper deals with Abkhazian and Circassian bilingual compounds one part of which is a Georgian/Kartvelian form.

Abkhazian compounds are mainly words denoting flora and fauna, e.g. **a-čəwihaskʰən** “special grass for feeding horses”, lit. trans. “horse grass”, **a-žarhaskʰən** “wild Chicory”, lit. trans. “rabbit grass”, **a-cgʰəhaskʰən** “Valerian”, **a-hʰaḳama** “chamomile”, **a-žəkʰrej-lapqʰa** “corn cob”, **a-gawarba**, **a-šxawarba** “eagle”, **a-bnahʰəh** “wild dove”, etc.

In Abkhazian there are compounds all parts of which were borrowed from Kartvelian but they created a compound in Abkhazian. The equivalents are not found in Georgian, e.g. **a-ganč parkʰ** “silkworm cocoon”, **a-žalakʰathaskʰn** “fawn lily”, **a-margʰəltama** “peach variety”, etc.

In Adyghe bilingual compounds containing Kartvelian words are rarely found, e.g. **bärəškəzəj** “Wednesday” lit. trans. “small Friday”, **bärəškəšx** “Friday” lit. trans. “big Friday”, **bzəw-həḳʰakʰa** “a kind of bird”, etc.

თეა ბურჭულაძე

### შესიტყვების გამოყოფისათვის ფრაზეოლოგიზმებში

ქართული ენა მდიდარია ნაირგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმებით. ისინი მყარი შესიტყვებებია, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისთვის. ფრაზეოლოგიზმები მოიცავს: აფორიზმს, ციტატას, ხატოვან გამოთქმას, ანდაზას, სხარტ გამონათქვამს. ამათგან დიდი ნაწილი უკავია ხატოვან გამოთქმებს, იდიომებს. ის შეიცავს ორ კომპონენტს მაინც. ცალკე აღებული სიტყვა, მარტივი იქნება ის თუ კომპოზიტი, არ მიიჩნევა იდიომად. მაშასადამე, აგებულების მიხედვით ის მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან, თუმცა ემთხვევა ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებას. იდიომის კომპონენტებს შორის გრამატიკული შეკავშირებაც ემთხვევა თანამედროვე ენის ნორმებს.

ფრაზეოლოგიზმების ანალიზისას უპირველეს ყოვლისა სემანტიკური მომენტი იქცევა ყურადღებას. თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით აქ ერთი ზოგადი ცნება გამოიხატება, რომლის გაგება მჭიდროდაა დაკავშირებული მის სინტაქსურ ფუნქციასთან. მიჩნეულია, რომ, ზოგადად, იდიომის სემანტიკური დაუშლელია ერთგვარ გამოვლენას პოულობს სინტაქსში: იდიომი გამოდის წინადადების ერთი წევრის როლში. ასევეა ფრაზეოლოგიური შესიტყვება. ის იდიომის მსგავსად ქმნის ერთ მთლიან გაგებას და წარმოადგენს სიტყვის ეკვივალენტს [თაყაიშვილი 1961 : 30; 81].

სხვა თვლასაზრისით, ის არის „შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ [ონიანი 1966: 5-7]. ცნობილია, რომ არსებობს მეორე განმასხვავებელი ნიშანიც იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის – თავისუფალი შესიტყვების აგება მეტყველებისას სხვადასხვაგვარად ხდება, ხოლო იდიომები მზა ფორმით არსებობენ ენაში. ესე იგი, მისი შედგენილობა ხასიათდება სიმყარით.

ზოგი მკვლევრის შეხედულებით, ფრაზეოლოგიური შესიტყვება არ ასრულებს წინადადების ცალკეული წევრის როლს, ის წარმოადგენს წინადადების ორ წევრს. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად მიუთითებენ იმასაც, რომ „კომპონენტების სემანტიკური კავშირი სჭარბობს მათს სინტაქსურ დაშლადობას“ [თაყაიშვილი 1961 : 82].

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სინტაქსური სიტყვათშეკავშირება უნდა გამოიყოს ფრაზეოლოგიზმებისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ შესიტყვებას, ის მზა სახით მონაწილეობს ენობრივ სქემაში. ფრაზეოლოგიზმები, როგორც მთლიანი სიტყვათა კავშირი, წინადადებაში ასრულებს **ერთი წევრის** ფუნქციას [Бабайцева, Максимов 1981: 55-56].

ფრაზეოლოგიზმები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ორი, სამი ან მეტი კომპონენტით: აბუჩად აგდება, ტყემალზე ზის, ხელი მოეცარა (ორკომპონენტური); ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ყვავს კაკალი გააგდებინა, გაჩენის დღეს აწყველინებს, შეაყარე კედელს ცერცვი (სამკომპონენტური); მგლის თავზე სახარების კითხვა, მტრის წისქვილზე წყლის დასხმა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა (ოთხკომპონენტური); ზოგჯერ დასტურდება მეტწევრიანი გამოთქმებიც: ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა – ქალამნად; ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა...

ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური თვალსაზრისით გაანალიზებისას გამოიკვეთება შემდეგი საკითხები – არიან თუ არა ისინი წინადადების წევრები? შესაძლებელია თუ არა მათი შესიტყვებად გამოყოფა? თუ შესაძლებელია, რა პრინციპით უნდა გამოიყოს სინტაქსური წყვილები?

სამეცნიერო ლიტერატურაში ორკომპონენტური ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა სინტაქსური კვალიფიკაციის შესახებ მითითებულია, რომ მათ ძველსა და ახალ ქართულში წინადადების **ერთი წევრის** სტატუსი აქვთ. გარდა ამისა, შენიშნულია, რომ ისინი გრამატიკულად **ზმნის აღწერით წარმოებას უტოლდება** (შედგება სახელური და ზმნური ნაწილებისაგან), რომელშიც სახელური კომპონენტი წარმოშობით შეიძლება იყოს სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, უბრალო დამატება, ვითარების გარემოება და სხვ. ხოლო ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს ბრუნვაში და თავადაც იმართვის სათანადო სახელისაგან, ამავდროულად, ვლინდება რიცხვში შეთანხმებაც [ვაშაკიძე 2013: 43-44].

ხატოვანი გამოთქმების შემადგენელი სიტყვები წინადადების წევრები არიან, თუმცა ისინი წინადადებაში არა სხვადასხვა, არამედ ერთ წევრად მოიზარება. ამიტომ ასეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში არ გამოიყოფა შესიტყვებები. მაგ.: ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო – ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ერთი შესიტყვება გამოიყოფა: **მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო** (და არა: 1. მოწმენდილ ცაზე, 2. მეხის გავარდნა იყო). როგორც აღინიშნა, თვითონ ფრაზეოლოგიზმში გამოყენებული სიტყვები ერთმანეთთან სინტაქსურად არიან დაკავშირებული, როგორც ეს ჩვეულებრივ წინადადებაში ხდება ხოლმე, ცალკე აღებული კი ის შესაძლოა ქვემდებარეს, დამატებას ან გარემოებას გამოხატავდეს. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმში **ყვავს კაკალი გააგდებინა** – **ყვავი** ქვემდებარეა, **კაკალი** – პირდაპირი დამატება, **გააგდებინა** – შემასმენელი. რაკი ისინი არა ერთ წევრს, არამედ ერთ მთლიან აზრს გამოხატავენ, ამიტომ ცალ-ცალკე ვერ შექმნიან შესიტყვებას. მხოლოდ იმ წევრთან შექმნის მთლიანი სახით სინტაქსურ წყვილს, რომელსაც მიემართება. მაგალითად, წინადადება „ეს გოგო ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული“ შედგება ხატოვანი გამოთქმისა (ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული) და ორი დამოუკიდებელი წევრისაგან (ეს, გოგო). შესაბამისად, დასახელებულ წინადადებაში გამოიყოფა ორი შესიტყვება:

1. ეს გოგო
2. გოგო ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული

ან კიდევ:

„ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო“, აქაც ორი შესიტყვება გამოიყო:

1. ეს ამბავი
2. ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო

მაშასადამე, წინადადებაში ფრაზეოლოგიურ გამოთქმასთან ერთად რამდენი დამოუკიდებელი წევრიც იქნება, იმის მიხედვით გამოიყოფა შესიტყვებები + ფრაზეოლოგიური გამოთქმა. ორ, სამ- და მეტკომპონენტის იდიომებს წინადადების ერთი წევრის სტატუსი აქვთ. რადგან ერთ შემთხვევაში უკავშირდებიან ერთმანეთს სინტაქსურად, გასარკვევია, რა სინტაქსური კავშირია მათ შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატოვან თქმებში გამოყენებული სიტყვები ერთმანეთთან სინტაქსურად არიან დაკავშირებულნი, თითქოს რიცხვში შეთანხმებაც ახასიათებს, მაგრამ **მთლიანად მიემართებიან ერთ საერთო წევრს, უკავშირდებიან ძირითადად ლექსიკურად, გრამატიკული დაკავშირება კი ფორმოზრეცია**. ცნობილია, სინტაქსურ კავშირთაგან ასეთი შეკავშირება ახასიათებს მირთვას – „მართვის დასუსტების სახით მივიდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ [ჩიქობავა 1968: 120].

ვფიქრობთ, მათ შორის სინტაქსური კავშირი **მირთვაა**, რადგან აქაც სწორედ სრულმნიშვნელობიან სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივად იკავშირებს. მართალია, დასახელებულ შემთხვევებში ფრაზეოლოგიზმთა შემადგენელი სიტყვები ერთმანეთს სინტაქსურადაც უკავშირდებიან (შესაბამისი ბრუნვისა თუ რიცხვის ფორმით), ესე იგი, მათ შორის გარკვეული გრამატიკული გამოხატულებაა, მაგრამ **მირთვის** მსგავსად, შინაარსობრივი მიმართებაა ერთ საერთო წევრთან (ასეთი სიტყვის არსებობის შემთხვევაში წინადადებაში), სხვა ფორმით კი ვერ შექმნიან სინტაქსურ წყვილებს.

ფრაზეოლოგიზმებში, გარდა ხატოვანი გამოთქმებისა, მოიაზრება აფორიზმებიცა და ანდაზებიც: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, „ჭირსა შიგან გამგარება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ემებ გემოვნებასა“, „ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო“, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, „კვიცი გვარზე ხტისო“, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“...

აფორიზმიცა და ანდაზაც თავისი არსით შეგონების, სიბრძნის შემცველი აზრია. ანდაზა ბრძნულად გააზრებული ხალხური ან მწერლისა თუ პოეტის მიერ შექმნილი ალეგორიული გამოთქმაა, ხოლო აფორიზმი მოკლე და მხატვრულად გამოთქმული ზნეობრივი, დამრიგებლობითი ხასიათის ბრძნული აზრია. როგორ დადგება შესიტყვების გამოყოფის საკითხი მათში, როგორც წინადადებაში? ვფიქრობთ, აქაც ანალოგიური მიდგომა იქნება, როგორც

ეს ხატოვანი სიტყვა-თქმების შემთხვევაში გვქონდა. ე. ი., აფორიზმებსა და ანდაზებში გამოყენებული სიტყვები წინადადების დამოუკიდებელი წევრები კი არა, ისინი წინადადების ერთი წევრის ტოლფასნი არიან. რასაკვირველია, ამ შემთხვევებშიც თვითონ აფორიზმისა და ანდაზის შემადგენელი სიტყვები ერთმანეთს სინტაქსურად უკავშირდებიან, მაგრამ ისინი ერთი მთლიანი აზრის შემცველნი არიან და ვერ ქმნიან სინტაქსურ წყვილებს.

ამ რიგს განეკუთვნება სენტენციაც. ის არის სხარტი გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება: „არა კაც კლა“ (ბიბ.); „კარგისათვის კარგი არავის უქმნია“ (საბა); „ჭემმარიტი ვაჟკაცობა სიფრთხილთა“ (ევრიპიდე); „ნახევარცოდნა ბევრჯერ უცოდინარობაზე უარესია“ (პასტერი). სხარტი გამოთქმები თავისი არსითა და მნიშვნელობით, ასევე აგებულებით სინტაქსურად უტოლდება სხვა ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს და ისინიც ერთ დაუშლელ წევრად მოიაზრება.

შესაძლოა აფორიზმი, ანდაზა თუ სენტენცია რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილადაც დადასტურდეს: „მერწმუნეთ, არ ვაჭარბებ, რადგან „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“; „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, იმ დღეში ვართ“; „ჩემ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ამბობს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“; „მოსვენება არ მომცა იმაზე ფიქრმა, რომ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს დაიჭერსო“; „მეექვსე მცნების შესახებ არა კაც-კლა დაისმის კითხვა“; „უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

დასახელებულ შემთხვევებშიც გამოყენებული აფორიზმი, ანდაზა თუ სენტენცია რთული წინადადების ერთ წევრად მოიაზრება და დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე სინტაქსურ წყვილად კი არ შევა შესიტყვების გამოყოფისას, არამედ მთლიანად მიემართება ერთ წევრს, იმ სიტყვას, რომელსაც სინტაქსურად უკავშირდება ის. მაგალითად: „ჩემ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ამბის გამო ამბობს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“ – შესიტყვებები ასე გამოიყოფა:

1. ჩემ გარშემო ბევრია
2. ისეთი ადამიანი
3. ბევრია ადამიანი
4. **ამბობს ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო**
5. ამ ამბის გამო
6. ამბის გამო ამბობს

ვფიქრობთ, ყველა ზემოთ მოხმობილ შემთხვევებში, სადაც გამოიყენება იდიომი, ხატოვანი სიტყვა-თქმა, აფორიზმი თუ ანდაზა, ისინი ცალკე სახით ვერ ქმნიან შესიტყვებას. ხოლო, თუ ის წინადადების შემადგენელ ნაწილად დადასტურდა, მაშინ მთლიანი ფორმით შევა სინტაქსურ წყვილად იმ სიტყვასთან ერთად, რომელსაც მიემართება შინაარსობრივად.

## ლიტერატურა

**ბაბაიძევა, მაქსიმოვი 1981** – Бабайцева, Максимов 1981 – В. В. Бабайцева, Л. Ю. Максимов, Современный русский язык, Синтаксис, Пунктуация, III, Москва.

**ვაშაკიძე 2013** – თ. ვაშაკიძე, ორკომპონენტური ფრაზეოლოგიური გამოთქმათა სინტაქსური სტატუსისათვის ქართულში, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები.

**თაყაიშვილი 1961** – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**ონიანი 1966** – ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

**ჩიქობავა 1968** – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინანადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

### The Issue of Identifying Syntagms in Phraseological Units

#### S u m m a r y

The Georgian language is rich in phraseological units. They are fixed syntagms which are familiar to the native speakers of the language. Most of them are figurative expressions. They consist of two, three or more components. It should be analyzed whether they are the members of a sentence, if it is possible to identify them as syntagms and what principles should be used.

The words used in figurative expressions are the members of a sentence. However, they are considered not as different members but as a single member in a sentence. Therefore, in such phraseological units syntagms cannot be identified, e.g. *es ambavi mowmendil caze mexis gavardna iqo* “It was like a thunder in the clear sky” – we can identify just one syntagm *mowmendil caze mexis gavardna iqo* “like a thunder in the clear sky” (and not 1. *mowmendil caze* “in the clear sky”; 2. *mexis gavardna iqo* “like a thunder”). The words used in the phraseological unit are syntactically related as it usually happens in an ordinary sentence. Separately, it may be a subject, an object or an adverbial modifier. For instance, in the expression *gvavs*

*kaḳali gaagdebina* “The crow was made drop the nut”, *gvavi* “the crow” is a subject, *kaḳali* “the nut” is a direct object and *gaagdebina* “was made drop” is a verb. Since they express not a single member but a single idea, they cannot create syntagms individually.

Therefore, identifying syntagms depends on the number of independent members + a phraseological unit in a sentence. A phraseological unit consisting of two, three or more components functions as a single member of a sentence. Since they are syntactically related it should be found out what kind of relationship they have with each other (subordination, agreement, semantic relation). It appears that they agree in number but they are wholly related to one common member lexically while grammatical relation is just superficial. We think that the syntactical relationship between them has a semantic nature because the main word subordinates the others in a semantic way and this subordination is not expressed grammatically.

As for the aphorisms and proverbs, we have the similar approach i.e. the words in aphorisms and proverbs are not independent members of a sentence; they are equal to one single member. Of course, the words used in aphorisms and proverbs are syntactically related (in case, person and number) but they carry a whole meaning and cannot create syntagms.

An idiom, a figurative expression, an aphorism or a proverb may be an individual member of a complex sentence, e.g. *merḳmuret, ar vaḳarbeb, radgan* “*zogḟer tkma sḟobs aratkmasa, zogḟer tkmitac daḟavdebis*” “Believe me, I do not exaggerate anything because “sometimes it is better to say it than not to say it but sometimes even saying it can cause harm”. We think that in all cases where they are used, they cannot create syntagms individually. If it is confirmed to be a member of a sentence, then it will be wholly incorporated in a syntagm together with a word to which it is related contextually.

ელისაბედ გაზდელიანი

**ღვთაებათა სახელები და მათთან დაკავშირებული  
რელიგიური რიტუალების სახელწოდებები  
სვანურ მიკროტოპონიმებში\***

სვანეთი ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური ტომის, სვანების, უძველესი საცხოვრისი ადგილია, რომელიც დღევანდელი სვანეთის (ზემო და ქვემო სვანეთი) საზღვრებში საუკუნეების მანიძლზე არ შეცვლილა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე უცხო ტომთა ცხოვრების კვალი არ შეინიშნება. სვანური ტოპონიმების დიდი ნაწილი აბორიგენი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველური ენობრივი მონაცემებით არის ნაშენები.

ისტორიული წყაროებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უძველეს, ჩვენგან მრავალი საუკუნით დაშორებულ ეპოქაში, სვანურენოვანი მოსახლეობა შავ ზღვამდე იყო გავრცელებული. „ტოპონიმიკური სახელები გვაძლევენ იმის უტყუარ საბუთს, რომ სვანები ძველად გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ახლა ცხოვრობენ. ლეჩხუმსა, რაჭასა და სამეგრელოში მრავალი გეოგრაფიული სახელია სვანური აფიქსებით ნაწარმოები“ (ზურაბიშვილი 1961: 136). არამხოლოდ აფიქსებია აღნიშნულ ტერიტორიებზე სვანური, არამედ ტოპონიმთა ფუძეებიც ხშირად სვანური ენის კუთვნილება ჩანს.

ტოპონიმთა აღნუსხვა, მისი მეცნიერულად შესწავლა საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ვინაობა. გეოგრაფიულ სახელთა გენეზისი და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი დაეხმარება ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს ხალხთა ისტორიის, მათი ყოფა-ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში.

ტოპონიმია, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად, იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“ (ჯანაშია 1959: 117-123).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ჩაუწერიათ“.

ტოპონიმებს დედამიწის ენასაც უწოდებენ.

\* კვლევა განხორციელდა 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ენის ტოპონიმია (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ სვანური მიკროტოპონიმია მეცნიერულად დღესაც ნაკლებად შესწავლილად ითვლება.

საერთოდ, ქართული ტოპონიმის და, მათ შორის, სვანეთის მიკროტოპონიმების, ადგილის სახელწოდებათა აღნუსხვას და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას იმთავითვე მეტად საშურ საქმედ მიიჩნევდნენ.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, სვანეთის მკვიდრს, სვანური ენისა და სვანების ყოფა-ცხოვრების უბადლო მცოდნე ამბაკო ჭკადუას დაევალა ზემო და ქვემო სვანეთის ტოპონიმების შეძლებისდაგვარად სრულად აღნუსხვა. აღნიშნული სამუშაო მან პირნათლად შეასრულა. ა. ჭკადუამ ფეხდაფეხ თუ ცხენით მთელი სვანეთი შემოიარა, დატოვა ამ მხარის ტოპონიმების უნიკალური მასალა.

უნდა ითქვას, რომ 50 წლის წინ ჩაწერილი მიკროტოპონიმების სახელწოდებების ნაწილი დღეს დაკარგული, დავიწყებული ან შეცვლილია. ცხოვრების მძიმე პირობებმა, მცირემიწიანობამ, დიდი ტრადიციული ოჯახების დაშლამ, უარყოფითმა ბუნებრივმა მოვლენებმა, ეკომიგრაციამ, რაც ბოლო წლებში მოხდა სვანეთში, ზოგი სოფლის მოსახლეობისაგან ნაწილობრივი ან სრული დაცლა გამოიწვია.

გვინდა ამბაკო ჭკადუას მიერ ჩაწერილი მიკროტოპონიმებიდან გამოვყოთ საკრალური ტერმინების შემცველი ზოგი ადგილის გეოგრაფიული სახელები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თითქმის ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა ერთი ფენა, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ ხალხის რელიგიური შეხედულებებისა და წეს-ჩვეულებათა ამსახველ გეოგრაფიულ სახელებს – ე. წ. საკულტო ტოპონიმებს“ (მაღრაძე 2000: 122-127).

მეცნიერთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს სვანეთში შემორჩენილი ადრექრისტიანული, წარმართობის ელფერის მატარებელი რელიგიური, საკრალური ტერმინების შემცველი ტოპონიმები და რიტუალები, რომელთა ჩატარების დროს აუცილებელი იყო, რომელიმე ღვთაებისადმი მიძღვნილი **ლი-მზგრ-ი** „ლოცვა“, სანთელ-საკმეველი, საკლავი, ზედაშე, გამომცხვარი პურების (**ლე-მეზირ**-ების „შესაწირავი კვერების“) შეწირვა. რელიგიური რიტუალების გამართვა და ლოცვა-ვედრება ჩვეულებრივი მოვლენაა მთიელთა ცხოვრებაში, მათ შორის სვანებშიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრების მძიმე პირობები, მკაცრი ბუნება, ზამთრის ხანგრძლივობა, რომელიც ზოგან რვა თვეს გრძელდება, დიდთოვლობა, ყოველდღიური მოსალოდნელი უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები, ზვავებისა და მეწყერების სიხშირე, საყოფაცხოვრებო ხიფათის არსებობა განაპირობებდა ღვთაებათა და წმინდანთა თაყვანისცემას, მათდამი მიძღვნილ რელიგიური რიტუალების ჩატარებას, როცა ღმერთებს ევედრებოდნენ ოჯახის წევრთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, საქონლის ზარალისაგან დაცვას, მშვიდობას შინ და გარეთ, უხვი მოსავლისა-

თვის ხელსაყრელ ამინდს, ბარში საშოვარზე წასული მამაკაცების შინ მშვიდობით დაბრუნებას. ოჯახის უფროსი მამაკაცი ან უფროსი დიასახლისი საკრალურ ადგილზე, ეკლესიაში ან ოჯახში – მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ატარებდა სხვადასხვა რიტუალს და ლოცვა-ვედრებას, იმის მიხედვით, რომელი ღმერთი ან წმინდანი რისი ან ვისი მფარველი იყო.

მიკროტოპონიმები საერთოდ და მათ შორის სვანურიც, ძირითადად შეიცავს: ეკლესია-სალოცავების, სათიბების, სამოვრების, ყანების, სოფლის უბნების, მომცრო მდინარეების, მათი შენაკადების, ღელეების მიმდებარე მიდამოების, ტყეების, მათკენ მიმავალი გზების, ადამიანთა თავშეყრის, ბუნებრივ მოვლენათა, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ამა თუ იმ სახეობის გავრცელების ადგილთა სახელწოდებებს, ტოპონიმებს.

როგორც ზემოთ ითქვა, სვანურ მიკროტოპონიმებს შორის დიდი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ღვთაებათა და წმინდანთა სალოცავ ადგილებს, ასევე მათთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალთა და დღეობათა ჩასატარებელ ადგილთა სახელწოდებებს.

მაგ.: **ლწ-მზგრ** ზს., **ლა-მზგრ** ლშხ. **ლწ-მზგრ** || **ლწ-მეზგრ** ლნტ. „სალოცავი ადგილი“. ამ მიკროტოპონიმში გამოიყოფა **ლა-**, **ლწ-** დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსი, რომელიც ამავე მნიშვნელობის ქართული **სა-** პრეფიქსის ბადალი ფორმანტია. სვანური **ლწ-** პრეფიქსის ხმოვნის უმლაუტი ბალსზემოურში გამოიწვია ფუძისეული **-ე-** ხმოვნის რედუქციამ, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში წინამავალი **-ა** ხმოვნის უმლაუტს იწვევს, როგორც რედუცირებული, ისე არარედუცირებული **-ე-** ხმოვანი. შდრ. ლნტ. **ლწ-მე-ზგრ** „სალოცავი ადგილი“; **ლი-მეზრ-ე** „დალოცვა, ლოცვა“. როგორც ცნობილია, ლენტეხურ დიალექტს სხვა დიალექტებთან შედარებით ხმოვანთა რედუქცია ნაკლებად ახასიათებს, ამოსავალი ფორმები, სრულხმოვნობა ამ დიალექტში ხშირად დაცულია. შდრ. აგრეთვე ამავე ფუძესთან საერთო **მეზირ** – „ოჯახის მფარველი, ბარაქის მომნიჭებელი, ოჯახზე მლოცველი ძალა...“ (ბარდაველიძე 1939: 134). ხშირად მთაში გადაადგილების დროს, სახიფათო კლდეებისა და ბილიკების გავლის შემდეგ მშვიდობიან, უხიფათო ადგილზე ლოცულობენ, მადლობას უხდებიან ღვთაებებს: „**მწ როქ შუიდობდ ოლკადდ** (ს. ლახამულა) „მადლობა, რომ მშვიდობით მოვედით“. ამ ადგილს **ლწ-მზგრ**ს „სალოცავს“ უწოდებენ. შეიძლება ასეთ ადგილზე ეკლესია ან რამე სალოცავი ნიში არ იყოს.

**ლწ-მზგრ** „სალოცავი“ ამ სახელით აღინიშნება მიკროტოპონიმები მესტიის რაიონის სოფლებში: სათიბი (**მაგარდელი**, **ღვებალდი**) სამოვარი **ფხეტრერი**, **ლახამულა**; ლენტეხის რაიონში (ს. **ყარიში**, ს. **მუწდი**). მიკროტოპონიმია **ლა-მზგრ ღუმურ** „სალოცავი ნაძვი“; **ლა-მზგრ ლე-ცხუმ-ერ** „სალოცავი რცხილნარი“ **ლე-** – **-ერ** კონფიქსია, ფუძეა **ცხუმ**, **ცხუიმ** „რცხილა“. რცხილნარი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება **ლე-ცხუმ-არ** ფორმაც. **ლწმზგრ ლაცხტი** „სალოცავი ნაკრძალი“ (მესტია ს. ტობარი). **ლაცხტი** || **ლაცხატ** „ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შეწირული საყანე ადგილი“ (ბარდაველიძე 1939: 206). ამ შემთხვევაში **ლწმზგრ ლაცხტი** კლდეა, აქამდე ძნელად გასავლე-

ლი ბილიკი ყოფილა და, რადგანაც აქამდე მშვიდობით გამოვალწიეთო, წმინდა გიორგის მიმართავენ: **„ჯგერნგ, ხოჩა გუფი ანზელალინ ჩიგარ** – „წმინდა გიორგი, კარგ გულზე (გახარებული) გვატარე ყოველთვის“. ნაძვის ტოტს მოტეხდნენ და დებდნენ ერთ ადგილას. ხშირად სალოცავების მიმდებარედ გვხვდება ნაკრძალი ტყეც, სადაც ხის მოჭრა და სხვა რამე სამეურნეო საქმიანობა აკრძალულია. **ლიცხტენი** – ყელში გაჩხირვა, შეჩვენება, დაწყევლა (ლიპარტელიანი 1994: 195). ამავე ლექსიკონში შეტანილია **ცხატა** ფორმა, გაჩხირება, გაკვეხება, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“ (ლიპარტელიანი 1994: 324). იგულისხმება აკრძალვის გამტეხის დაწყევლა, ხატზე გადაცემა.

**ლამზერი ჯიპრა** „სალოცავი მუხა“ (მესტია, ს. ბეჩო), აქ ევედრებიან სალოცავ, წმინდა მუხას რევმატიული დაავადებისაგან დაცვას და იხდიან სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. **ლამზერ კაკარ** „სალოცავი კაკლები“ (კაკლის ხეები)“ (მესტია, ს. ლარილარ); **ლამზერ ნაკ** „სალოცავი ვაკე“ (მესტია, ს. ვედი).

**ლამზერ კოჯ** „სალოცავი კლდე“ (მესტია, ს. უშგული). ა. ჭკადუას ცნობით, ადრე ქალების სალოცავი ყოფილა, შესაძლებელია, **ქაპ ზვავის**“ საწინააღმდეგოდ ლოცულობდნენო. **ლამზერ ნენხ** „სალოცავი სოჭი“; **ლამზერ ნენძარ** „სალოცავი სოჭები“ (მესტია, ზემო მარლი). **ლამზერ** საკრალური ტერმინი გვხვდება კნინობითი ფორმით **ლამზერ-გლ'დ'** – „სალოცავი“ - **გლ'დ'** კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსია. ამ ფორმით, როგორც ჩანს, აღინიშნება საკულტო ადგილის მოცულობითი სიმცირე (მესტია, სოფლები: ბოგრეში, დაკარი; ლენტეხი ს. შგედი). შგედის მთაში არის საძოვარი სახელწოდებით **ლამზირ-რლ** „სალოცავი“ -**რლ** კნინობითის მაწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსია. **ლამზერ-გლ-აშ** „სალოცავის“, კნინობით ფორმაზე -**აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია დართული. ასევე კნინობით ფორმაზეა დართული მრავლობითი რიცხვის -**არ** ნიშანი მიკროტოპონიმ **ლამზერ-გლ-არ** „სალოცავები, სალოცავი ადგილები“ (მესტია, ს. ბავგდანარი). დასტურდება სამ და ოთხ კომპონენტია ერთი და იგივე ტოპონიმი: **ლამზერ ჩუბე ნაკვლდაშ ლეცხუმერ** – „სალოცავი ქვემო ნაკვლდაშის რცხილნარი“ || **ლამზერ ჩუბე ნაკვლდ** – „სალოცავი ქვემო ვაკობი“ (მესტია, ს. ქვ. ვედი).

სვანურ მიკროტოპონიმებს შორის გამოიყოფა მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული ეკლესიების, სალოცავებისა და სხვადასხვა ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები.

**მაცხოვარი** – სიცოცხლის მიმნიჭებელი იესო ქრისტეს ეპითეტი (ქეგლ).

სვანურში დიალექტების მიხედვით გვაქვს შემდეგი ფორმები: **მაცხუარ** ბზ., **მაცხუარ** ბქ., ლნტ., **მაცხუარ** ლმზ. 1. მაცხოვარი 2. მაცხოვრის ეკლესია (თოფურია, ქალდანი, 2000).

მაცხოვარი სვანურში ქართულიდან შესული ტერმინია **მაცხუარ**, **მაცხუარ**... ფორმით. როგორც ცნობილია, სვანურში სახელობითი -**ო** ბრუნვის ნიშანი იკარგება და ფუძისეული **ა** ხმოვანზე კვალს ტოვებს უმლაუტის სახით.

ა. ჭკადუას მიერ შედგენილ მიკროტოპონიმთა ჩამონათვალში მაცხოვართან დაკავშირებული 40 საკრალური ადგილია დაფიქსირებული.

**მაცხტპრ** „მაცხოვარი“ პირველადი, არამარკირებული ფორმით, გვხვდება ეკლესია, საყდარი, ნაეკლესიარის სახელწოდებად საზღვრულის გარეშე მითითებულია მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში: (ლაპილი, ჩვაბიანი, ჰადიში, ჟაბეში, ხალდე, ლახუშტი, მაცხვარიში, ჯოხულდი...) გარდა ამისა, ხშირად გვხვდება საზღვრულთან ერთად: **მაცხტპრი ლამზერ** – „მაცხოვრის სალოცავი“ გზა, ტყე (მესტია, ს. იელი). გზიდან ჩანს წვირმის მაცხოვრის ეკლესია. **მაცხტპრი ლამდხტპრ** – „მაცხოვრის სასაფლაოები“ (მესტია, ს. მაცხტპრიში); **მაცხტპრი მურყამ** – „მაცხოვრის კოშკი“ (მესტია, ს. ჟამუში) მაცხოვრის ეკლესიის გვერდით დგას კოშკი; ამავე სახელწოდებით აღინიშნება ნაკოშკარი (მესტია, ს. ჟამუში); **მაცხტპრი სტიფ** – „მაცხოვრის სასოფლო მოედანი, საფიხტნო“; **მაცხტპრი ნაკ** – „მაცხოვრის ვაკე“ სათიბი (ლენტეხი, ს. ლასკადარი); **მაცხტპრი საყდარ** – „მაცხოვრის საყდარი“ (მესტია, ს. ლალამი); **მაცხტპრი ნაკელდარ** – „მაცხოვრის სათიბები“ (მესტია, ს. იფხი). ამ მიკროტოპონიმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -**შ** დაკარგულია.

დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრული ფორმის დართვის შემთხვევები. **მაცხტპრიში** „მაცხოვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლადრერი, ლენტეხი, ს. ხაჩეში), საყდარი (ლენტეხი, ს. ცხუმალდი), სათიბი (ლენტეხი, ს. ზედა ბავარი); **მაცხტპრიში** „მაცხოვრის“ სოფელი მაცხვარიში, სამოვარი (მესტია, ს. ზარდალაში);

**მაცხტპრ ლანხტრიამ** – „მაცხოვარი ლანხვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლანხვარი); **მაცხტპრიში ლახტ** – „მაცხოვრის მთა“ სათიბი (მესტია, ს. მაცხვარიში); **მაცხტპრიში სტიკტ** – „მაცხოვრის ბორცვი, გორაკი“ ნაეკლესიარი (ლენტეხი, ს. ხაჩეში); **მაცხტპრიში ღელა** – „მაცხოვრის ღელე“ (ლენტეხი ს. ცხუმალდი); **მაცხტპრიში ზოგ** – „მაცხოვრის ხიდი“ (მესტია, ს. კვანჭიანარი): სამი მიკროტოპონიმი შეგვხვდა კნინობითი ფორმით **მაცხტპრილ** – ტყე, სამოვარი, ნაეკლესიარი (მესტია, ს. სოლი).

მაცხოვრის გარდა მიკროტოპონიმებში **ქრისტე** ღმერთის სახელიც ფიგურირებს. **ქრისტე** არამარკირებული, მარტივი ფორმით აღინიშნება ქრისტე ღმერთის სახელობის საყდრები: (ს. ჰადიში, ს. ლახირი, ს. ფარი). **ქრისტე ლაჭტამამ** – „ლაჭტამამის ეკლესია, საყდარი“. ამჟამად ეკლესია არ ჩანს. ქალეზის სალოცავი ადგილია: **ქრისტე ზურალამ როქუ სი ლანემდ** – „ქრისტე ქალეზისა, შენ გვიშველე, შეგვეწიე“.

**ქრისტე** (ს. ჰადიშის) პატარა საყდარია. **ქრისტე** ეწოდება ს. ლახირის ეკლესიასა და მის მიდამოებსაც. ქრისტეს სახელს უკავშირდება ნასაყდრალი სასაფლაოთი (ს. ფარში). ამ ადგილს **ქრისტე ლადბაშელ** „ქრისტეს სადიდებელ“ ადგილსაც უწოდებენ. მასის პირველ შაბათს აქ ქრისტეს სადიდებელი ლოცვები იმართებოდა. სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ მლოცველები. ქალებს მოჰქონდათ მძივები, ლამაზი ღილები (ოქროსი ან ვერცხლის), ოქროსა და ვერცხლის ფული, კვერცხები. ყველაფერს ამას ნასაყდრალში ტოვებდნენ. ამ ეკლესიის მსახურნი ყოფილან ვიბლიანები და ის **ქრისტე ვიბლიანარი** – „ქრისტე ვიბლიანების“ სახელითაც არის ცნობილი. ს. უშგულში მიკროტოპო-

ნიმია **ქრისტე ლოშინ** – „ქრისტეს უკან“, სათიბ-სამოვარი მთა ლასდილის იქეთა მხარეს. გადმოცემით ქრისტეს ს. უშგულის შემოგარენი მოუვლია და აღნიშნული სათიბ-სამოვარი უკან დარჩენია. ამიტომ უწოდებენ „ქრისტეს უკან“. **ქრისტე საყდარ ლელბაქშ** – „ლელბაქის ქრისტეს საყდარი“. აღმოჩენილია უძველესი თიხის მილები (წყალსადენი).

ს. იელში სალოცავს **ქრისტე-მაცხოვარი საყდარ** – „ქრისტე-მაცხოვრის საყდარი“ ეწოდება. სოფელ ფარში ქრისტეს ეკლესიის მიდამოებს აღნიშნავენ **-მეც/-მოც** „თან“ თანდებულის დართვით **ქრისტე-მეც/-მოც** – „ქრისტესთან“. **ქრისტეშ დაბ** „ქრისტეს ყანა“ (ს. წვირმი). აქვეა ეკლესია **ქრისტეშ** – ქრისტესი“ ნათესაობით ბრუნვაში. მიკროტოპონიმად დასტურდება **ქრისტეშარ** – „ქრისტესიანები“. **-ეშ** ნათესაობითი ბრუნვის, ხოლო **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. აღნიშნება ეკლესიის მიმდებარე მცხოვრები ოჯახები. **ქრისტანი** – „ქრისტესანი“, სათიბ-სახნავი. ინფორმატორების ცნობით ძალიან ლამაზი ადგილებია. შეიძლება სხვა ვარაუდიც – მიკროტოპონიმი უკავშირდებოდეს სვანეთში გავრცელებულ საკუთარ სახელს **ქრისტი** (ს. ლამხერი). ქვემოსვანეთის მიკროტოპონიმებია **ქრისტანარ** – „ქრისტესანი“, **ქრისტე ყუაბ** – „ქრისტეს ბორცვი“. საკულტო ადგილია (ს. ჭველიერში). სოფელ მაზაში საკულტო ადგილია დიდი ლოდი, რომელსაც ეძახიან **ქრისტეა ჭიშხე ნაგამ** – „ქრისტეს ფეხის ნაღამი“, თითქოს ამ ლოდზე შეინიშნება ქრისტეს ფეხის ნაკვალები.

ამბაკო ჭკადუას მიერ ჩაწერილ სვანეთის მიკროტოპონიმებში ხშირად გვხვდება ღვთაებათა ირარქიაში ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები. მარიამ ღვთისმშობელი სვანურ დიალექტებში აღნიშნება შემდეგი ფორმებით: **ლა-მარია** ბზ., **ლა-მარია** ბქ., ლნტ. **ლა-მარია** ლშხ., ჩოლ. ვ. ბარდაველიძის განმარტებით, **ლამარია** სვანურ ღვთაებათა პანთეონში მიწის ნაყოფიერების, შვილიერების, ქალების მფარველი მოწყალე ღვთაებაა, ქრისტიანულ ნიადაგზე ღვთისმშობელი, წმინდა მარიამი. ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის სვანურ ფორმაში **ლა-მარია** გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი. **ლამარია** სიტყვასიტყვით ნიშნავს **სამარიოს** – ადგილს, სადაც მარიამის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმებია. სავარაუდოდ ადრე წარმართულ, გამორჩეულ, სალოცავ ადგილს ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეწოდა **ლა-მარია**. ფუძეა **მარია** შდრ. ქართული **მარიამი**. **მარია** ფორმაში დაკარგულია სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანი. ცნობილია, რომ სვანურში სახელობითი ბრუნვა არ არის მარკირებული და ქართულიდან შესული ან საერთო-ქართველურ ლექსემებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ აქვთ. ამ ტერმინში ბოლოკიდური **-მ'** დაკარგულია.

როგორც ზემოთაც ითქვა, ღვთისმშობლის სახელზე ქრისტიანული სალოცავები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად არის აგებული.

ტოპონიმთა ლექსიკონში **ლამარია** – „წმინდა მარიამი“ არამარკირებული მარტივი ფუძით ფიქსირდება ზემოსვანეთის შემდეგ სოფლებში: კაერი, უშგული, იელი, ზეგანი, იენაში, ჰადიში, ლეხთაგი, ბოქრეში, იფხი, ლეშუკუტი. ქვემოსვანეთში: მიქელშერი, ნაშთქოლი, ფაცი, ლესქურა, სასაში, ჩიხარეში.

ზოგჯერ მიკროტოპონიმი **ლამარიან** – „ლამარიასი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება, სადაც **-წ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მიღებულია (**-წ < ა + იშ**) ფონეტიკური პროცესის შედეგად: სათიბი (ს. ნაკი), საკულტო ადგილი (ს. თავრარი), სალოცავი ადგილი (ს. თოთელეშში). ამ ფორმით აღინიშნება ნაეკლესიარი, სადაც ლამარიას ევედრებიან საქონლის სიმრავლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბესარიონ ნიჟარაძის უშგულურ ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში წმინდა მარიამის სახელად **ლამარია**-ს გვერდით მითითებულია **ღერთამეტენი** – ღვთისმშობელი, Богородица.

ეკლესია-სალოცავების გარდა ლამარიას სახელთან დაკავშირებულია სხვა სახის მიკროტოპონიმებიც გვხვდება. **ლამარიან დაბარ** – „ლამარიას ყანე-ბი“ (ს. ზეგანი ბზ. ს. ლექსურა ქს.) შენიშნულია, რომ განსაკუთრებით კარგ მოსავლიან ყანებს ლამარიას სახელს უკავშირებდნენ. **ლამარიან ლაცხტარ** – „ლამარიას ნაკრძალი“, სათიბი (ს. შყალერი). **ლა-ცხატ** ლექსემით აღინიშნება რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე შეწირული ყანა, სათიბი ან ტყე, სადაც აკრძალულია სამეურნეო საქმიანობა, იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა არ უკავშირდება ეკლესიას. **ლამარიან სუიფ** – „ლამარიას საფიხვნო, სასოფლო მოედანი“ (ს. ჟაბეში). აქვეა მიკროტოპონიმი **ლამარიან ღარ** – „ლამარიას ხეობა, ხევი“. გამოცხადებულია წმინდა, საკულტო ადგილად, სადაც აკრძალულია ხის მოჭრა.

**ლამარიან ცხეკ** „ლამარიას (მარიამის) ტყე“. (ს. ჟამუში) **ლამარიან ძღუი** – „ლამარიას (მარიამის) გალავანი (ზღუდე)“, შდრ. ქართული ზღუდე. **ლამარიან ლამდხტიარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის სამარხები, სასაფლაოები“. **ლი-შდხტი** „დამარხვა“ (ს. იენაში). სასაფლაო ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარედ. სასაფლაოები უმეტესად სვანეთში ეკლესიის მიმდებარედ არსებობდა და არსებობს დღესაც. **ლამარიან ლეზგარა** „ლამარიას გადასასვლელი, უღელტეხილი“. **ლე** – **-ა** დანიშნულების კონფიქსია. ფუძეა **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, გადასასვლელი“. **ლამარიან ლაწირტელი** – „ლამარიას საწირველი“, წირვისათვის განკუთვნილი ეკლესია, საყდარი, ადგილი. ფუძეა **წირტა** შდრ. სვან. **წირ** – „წირვა“. (ს. ბაიარი). **ლამარიან ნაკ** – „ლამარიას ვაკე“ სამოვარი (ს. ახალშენი, ს. ლამფალაში. ქვემოსვანეთი). **ლამარიან ლაგუმი** – „ლამარიას სამადლობელი სალოცავი, ნასაყდრალი. დღესაც მაისის თვეში აქ ტარდება ლოცვები. დღე-სასწაულს ჰქვია **ღუნობ** – „ხბობა“. კლავენ ხბობს და სწირავენ ლამარიას. **ლამარიან ნამსგოჯუარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის, დანაბრძანები“. ადგილი, სადაც ბრძანდებოდა ლამარია. ნაეკლესიარი, სათიბი (ს. მურყმელი). **ლამარიან იცხ** – „ლამარიას მსხალი“ (ს. წვირმი) შეიძლება ლამარიას მსხალი მარიამობის (სვან. ლიმრე) თვეში მწიფდება. საინტერესოა, რომ აქ დგას დიდი მსხლის ხე. ახლო-მახლო ეკლესია არაა. **ლამარიან ლახუ** – „ლამარიას მთა“, სადაც კარგი სათიბეები და სამოვრებია (ს. ჭველერი). **ლამარიამცე/მოც** – „ლამარიასთან“ – **-მცე/მოც** -თან თანდებულია (ს. ლეშუკვი). ლამარიას ეკლესიასთან მდებარე სამოვარი. არის შემთხვევები, როცა **ლამარიას** ნაცვლად ადგილის სახელად

**ლამარა** გვხვდება. ამ ფორმაში **რ**'ს მომდევნო **-ი** დაკარგულია. ლექსიკონში დასტურდება **ლამარაშ სარაგ** – „ლამარას (ლამარიას) წყარო“ (ს. ბარში). აქვეა **ლამარაშ კიბ** – „ლამარას (ლამარიას) ჭაობი“. **ლამარამ-არ** – „ლამარასები (ლამარიას ყანები)“, ამ ყანებში უხვი მოსავალი მოდიოდა და იტყოდნენ **ლამარიან ლოქუ ადგურნან** – „ლამარია, ღვთისმშობელი დაგორდაო“ (ა. ჭკადუა).

**ლამარიას** ნაცვლად **ლამარა** გვხვდება ს. ბარში. ლამარა საკუთარი სახელი მთელ საქართველოშია გავრცელებული.

ამბაკო ჭკადუას სვანურ ტოპონიმთა ხელნაწერ ლექსიკონში რელიგიური რიტუალის ჩასატარებელი ადგილის **ლა-მზერ** „სალოცავის“ გვერდით იგივე მნიშვნელობის იგივე **ლა-** დანიშნულების ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები **ლა-ჯუმ** „სალოცავი“ გვხვდება. ნაეკლესიარი, ოდნავ ჩანს საძირკველი, სპონდიოს ქვის (ს. ნესგუნი მესტიის რაიონი, ს. საყდარი ლენტეხის რაიონი). ს. საყდარში სალოცავთან ერთად დაცულია სასაფლაოც. **ლა-ჯუამ-არ** „სალოცავები“. სახნავი (ს. ცალდაში). ადრე ნაეკლესიარები ჩანდა. ამჟამად სახნავადაა გადაქცეული (ა. ჭკადუა).

ბალსქვემო სვანეთში **ლა-ჯუმ-ი** „სალოცავი“, **ლა-** – **-ი** კონფიქსით ნაწარმოები ფორმა გავრცელებული. ნაეკლესიარი (ს. ხაიში). ამავე არიალშია დადასტურებული **ლა-ჯუმ-ი-შ დაბ** „სალოცავის ყანა“ –**შ** ნათ. ბრუნვის ნიშანი (ს. ლახამულა). **ლა-ჯუმ-ი-შ ზაგარ** „სალოცავის სერი“ (ს. ვედი). **ლა-ჯუმ-ი-შ ლასფლატარ** „სალოცავის სასაფლაოები“. ამჟამად სასაფლაო უმოქმედოა (ს. ლახამულა). **ლა-ჯუმ-ი-შ ლესგ** „სალოცავის გვერდი, ტყე“ (ს. ხაიში) ნაეკლესიარია და სასაფლაო (ს. ხაიში). **ლა-ჯუმ-ი-შ (\*ლა-ჯუამ-ი-შ) ჭალა** (< **ჭალა**) „სალოცავის წყალი, ჭალა“. აქვეა **ლა-ჯუმ-ი-შ ჭალა ტუბ** „სალოცავის წყლიანი ხევი“ (ს. იდლიანი). **ლა-ჯუმ-ი-შ (ლა-ჯუამ-ი-შ) -ილდ** კნინობითის ნიშანია. როგორც ჩანს, მცირე ეკლესია ყოფილა მესტიის ცენტრში, სეტში. დღეს აღარაა. კნინობითის **-ილდ** სუფიქსმა ფუძისეული **-ა-** ამოაგდო. **ლა-ჯუმ-ი-შ (ლა-ჯუამ-ი-შ) -ილდ** ნაეკლესიარი (ს. იელი) სოფლის შუა უბანში. **ლა-ჯუმ-აღ-შ ბარ** „სალოცავის ქვა“ საკულტო ადგილია, სადაც დევს დიდი ქვა, ლოცულობენ თვალების სნეულებათა წინააღმდეგ. ნაეკლესიარი არ ჩანს, ქვას ეკლესიის ძალა აქვსო (ს. უღვალი) – ა. ჭკადუა. **ლა-ჯუმ-აღ-შ სარაგ** „სალოცავის წყარო“ (ს. ფარი).

**ლა-ჯუამ** „სალოცავი“ მიკროტოპონიმი ა. ლიპარტელიანის ლექსიკონშიც არის შეტანილი და მიუთითებს, რომ ის მხოლოდ ლენტეხურ კილოშია გავრცელებული. **ლა-ჯუმ** „სალოცავი“ დადასტურებულია მთელ სვანეთში, დიალექტების მიხედვით, მეტ-ნაკლები სიხშირით. აღსანიშნავია, რომ **ლა-ჯუმ**, როგორც სალოცავის სახელი შედარებით ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ტერმინი **საყდარი**. ვ. ბარდაველიძის წიგნში „სვანურ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი“ ავტორი ძირითადად ჩამოთვლის საყდრებს: **იფხიმ საყდარ** „საყდარი სოფ. იფხში“; **კალა საყდარ** „სოფ. კალას საყდრები“; **ლაშხიმ საყდარ** „ლაშხეთის საყდარი“; **ლახუმდომ საყდარ** „სოფ. ლახუმდომის საყდარი“, **ქელრიმ საყდარ** „საყდარი სოფ. ქელირში“; **ხონიმ საყდარ** „ხონის საყდარი“ და

სხვა მრავალი. აქვე საყდრების ჩამონათვალში **ლა-ჭუმ** სახელით ვხვდებით რამოდენიმე სალოცავს. მაგ.: **ჯგერჯი ლაჭუმ** „წმინდა გიორგის სალოცავი“ (ს. ლენჯერი); **მაცხური ლაჭუმ** „მაცხოვრის სალოცავი“; **ლამარი ლაჭუმ** „ლამარიას, ღვთისმშობლის სალოცავი“ (ს. ლენჯერი). საყურადღებოა, რომ ვ. ბარდაველიძე **ლა-ჭუმ**-ს ყოველთვის თარგმნის, როგორც სალოცავს და არა, როგორც საყდარს ან ეკლესიას (ბარდაველიძე, 1939, 195). ნიჟარაძის: „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში **ლა-ჭუმ** განმარტებულია, როგორც სალა-მი, поклон. ამავე ფუძეს უკავშირდება **ლა-ჭუმ-იშ მარე** „სალოცავის კაცი, სალოცავის მომვლელი კაცი“ **მა-ჭუმ** „მადლობა“; **მა-ჭუმ-წარ** „მადლობელი, მადლიერი“ – **გუნ მაჭუმწარ ლიხ მიჩა** – „ძალიან მადლობელი ვართ შენიო“ (თოფურია, ქალდანი 2000).

**მარტუნესგა** (< მარტ-ნესგა) „ორთა შუა“, „ამ სახელით ცნობილი იყო ორი ხანგრძლივი დღეობა: ზამთრისა, რომელიც იწყებოდა შობიდან და ახალწელს თავდებოდა, და გაზაფხულისა – აღდგომიდან ახალკვირამდე“. ამ დღეებში გასამართ ერთ-ერთ დღესასწაულზე იმართებოდა რიტუალი **ლა-ჭუმ-ი-ალ** „ჭამა-სმის დაწყების წინ ღვთაებათა და წმინდანთა დიდება, სამადლობელი ნათავები არყით პურობის დროს (ბარდაველიძე 1939: 188). აღნიშნულ რიტუალის სახელწოდებაშიც **-ჭუმ-** ფუძე გამოიყოფა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლაზური **ხომ-ო-ხომ-ალ-ა** „დღეობა; სალოცავი“; სვან. **ჭუმ-ლა-ჭუმ** „სალოცავი“... ეს ტერმინები კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 2000: 715).

კ. დანელიამ მეგრ. **ხუმ-ან-ს** „ლოცავს“; **ო-ხუმ-ე** სამლოცველო, ე. ი. ეკლესია, სვან. **ლა-ჭუმ** „სამლოცველო“ დაუკავშირა ძვ. ქართულში არსებულ **ჭუმევა-ს**, რომელსაც **კმევის** სინონიმად მიიჩნევს. მეცნიერის თვალსაზრისით საერთო-ქართველური **ჭუმევ** ფუძე რიტუალური მნიშვნელობით ახალმა ქართულმა დაკარგა და მისი ადგილი **კმევა-მ** დაიკავა. კოლხურსა და სვანურში კი შემორჩა, მაგრამ მეორეული მნიშვნელობით, ლოცვის გაგებით (დანელია 2010: 17).

უფრო ადრე 1938 წელს არნოლდ ჩიქობავა ერთმანეთს უდარებს ჭან. **ო-ხვამ-ე** || **ო-ხვამ-უ**, მეგრ. **ო-ხვამ-ე**, სვან. **ლა-ჯვამ** სალოცავი... **ოხვამე** უნდა იყოს წარმართობის დროინდელი ტერმინი (ჩიქობავა 1938: 152). ამ ვარაუდს მხარს უჭერს სვანური **ლა-ჭ-უმ** „სალოცავი“ ტერმინიც.

ცნობილია, რომ სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებამდე არსებული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ რიტუალებში დღემდე შეინიშნება, რაც რამდენადმე ასახულია სვანურ ტოპონიმიკაშიც.

სვანურ მიკროტოპონიმებში მრავლადაა სხვა ღვთაებათა და წმინდანთა სახელები და მათთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალების ჩასატარებელ ადგილთა სახელები. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

## ლიტერატურა

**ბარდაველიძე 1939** – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი.

**დანელია 2010** – ვ. დანელია, საკულტო **ჭუმევა (ჭმევა)** ფუძის ისტორიისათვის, სამეცნიერო შრომების კრებული I, თბილისი.

**ზურაბიშვილი 1961** – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ლიპარტელიანი 1994** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი.

**მალრაძე 2006** – ვ. მალრაძე, ქართველური ტოპონიმების და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბილისი.

**ნიჟარაძე 2007** – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანური-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ფენრიხი სარჯველაძე 2000** – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი II, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭკადუა** – ა. ჭკადუა, სვანურ ტოპონიმთა ხელნაწერი ლექსიკონი.

**ჯანაშია 1959** – ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი.

ELISABETH GAZDELIANI

### **Names of Deities and Religious Rituals Related to Them in Svan Microtoponyms**

#### S u m m a r y

The paper deals with the origin and structural-semantic analysis of the geographical names of places for praying to deities and saints and to perform religious rituals attested in “The Svan Toponymic Manuscript Dictionary” by Ambako Chkadua, e.g. **lämzər**; **laqwäm** “a place for praying”; **qriste** – “Christ”; **macxwär** “Savior”, **lämaria** “Mary the Virgin”.

რუსუდან გერსამია

**ზმნისწინის სემანტიკური ფუნქციები ლაზურში:  
მიმართულება, ორიენტაცია, რეფერენცია**

ზ მ ნ ის წ ი ნ ი არის ადვერბიალური მნიშვნელობის მქონე პრეფიქსი, რომელიც ლაზურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სივრცულ მიმართებათა ასახვის ძირითად საშუალებად გვევლინება<sup>1</sup>;

ლაზური ზმნის ფუძეში ზმნისწინები სტაბილურ პოზიციას იკავებენ (-3) და მორფო-სინტაქსურ ჯაჭვში რეალიზდებიან ნაწილაკებსა (-4) და პირის მარკერებს (-2) შორის:

-4	-3	-2	-1	0	+ [...]
AFF	<b>PRV</b>	S/O	FV	<b>R</b>	[suf]

ზმნისწინები ერთვიან მოძრაობისა და პოზიციის აღმნიშვნელ ზმნურ ძირებს და ასახავენ დინამიკური და სტატიკური პროცესების სივრცული განაწილების ლოკალურ სურათს; უფრო კონკრეტულად, განსაზღვრავენ სივრცეში სხეულთა მოძრაობას ან მდებარეობას, უჩვენებენ მოძრაობის კონკრეტულ მიმართულებას, და ამასთან ერთად გარკვეულ შემთხვევებში გვაწვდიან ინფორმაციას სივრცის შესახებაც, სადაც მიმდინარეობს მოძრაობა; ასევე აღნიშნავენ სხეულთა მდებარეობის ადგილს და იძლევიან არა მხოლოდ მის ტოპოლოგიურ დახასიათებას, არამედ შეიცავენ ინფორმაციას ამ ადგილის ან ერთმანეთის მიმართ სხეულთა კონკრეტული განლაგების, გეომეტრიის (სად, რასთან, რაში, რაზე, როგორ ...) შესახებაც.

ამდენად, ლაზურში ზმნისწინების ფუნქციებზე მსჯელობისას დასაშვებია ფუნქციების ორი ტიპის, გრამატიკულისა და ლექსიკურ-სემანტიკურის, გამოყოფა; თუ პირველი გულისხმობს სრული ასპექტის ან მყოფადის ფორმების წარმოებას, მეორე გაცილებით მრავალფეროვანია და დერივაციულ (ახლი მნიშვნელობების წარმოქმნის) ფუნქციასთან ერთად მოიცავს ზმნისწინში კოდირებული ისეთი სივრცითი მახასიათებლების რეპრეზენტაციას, როგორი-

<sup>1</sup> ჩვენ ვიხილავთ მხოლოდ იმ ზმნისწინებს, რომლებიც გამოყენებულია გადაადგილებისა და მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა შემადგენლობაში. არ არის გათვალისწინებული ნასესხებ სიტყვებთან ერთად შემოსული ზმნისწინები, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობენ სიტყვათწარმოქმნის პროცესებში.

ცაა: *მიმართულება, ორიენტაცია, რეფერენცია, ტოპოლოგია, ვიზუალიზაცია*.<sup>1</sup> ჩამოთვლილი მახასიათებლები ლექსიკურ-სემანტიკურ კატეგორიებადაც კი შეიძლება განვიხილოთ.

ენობრივად გამოხატული მიმართულება (ლ. ტალმი: path) გამოხატავს მოძრაობის ვექტორს, რომელიც გულისხმობს მოძრავი სხეულის საწყისი მდებარეობის შეერთებას ყოველ მომდევნო მდებარეობასთან; პრაქტიკულად, ეს არის *გადაადგილება*; ამდენად, აღნიშნული სიდიდე დინამიკური ზმნების მახასიათებელია.

ორიენტაცია კი, ზოგადად, განიხილება როგორც სემანტიკურ-ლექსიკური კატეგორია, რომელიც სივრცეში მოძრავი სხეულის მიმართულებასთან ერთად განსაზღვრავს პირთან (არსებითად მოლაპარაკე, პირველ პირთან) მიმართებას და ამდენად *დეიქტურია, ეგოცენტრულია*. ამდენად, ორიენტაციაც ზმნისწინიანი დინამიკური ზმნის მახასიათებელია;

რეფერენცია<sup>2</sup> განსაზღვრავს მოძრავი ან უძრავი სხეულის ლოკალიზაციის ადგილს სივრცით უნივერსუმში განლაგებულ სხვა, მოძრავ თუ უძრავ სხეულთან ანუ *ორიენტირთა* მიერ დაკავებულ პოზიციებთან მიმართებით (ი. ქობალავა); ანუ რეფერენცია არის როგორც ზმნისწინიანი დინამიკური, ისე სტატიკური ზმნის მახასიათებელი; მოძრავი ან უძრავი სხეულის მიმართება სხვა მოძრავი ან უძრავი სხეულ(ებ)ის მიმართ, რომელიც კოდირებულია ზმნისწინში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაანალიზებულია მხოლოდ დეიქტური ორიენტაციის ტიპი, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს პირველ ანუ მოლაპარაკე პირთან მიმართებით; მისი კლასიფიკაცია წარმოდგენილია *საიქეთო-სააქეთოს* ოპოზიციური ცნებების ფარგლებში და გულისხმობს *პირველი პირისგან დაშორებას, მისი სივრციდან გასვლას ან პირველი პირისკენ მიმართულ მოძრაობას*, პირველი პირის სივრცეში შესვლას (შანიძე 1980)<sup>3</sup>; თუმცა პირველი პირის საკომუნიკაციო სივრცედ შეიძლება განვიხილოთ მეორე პირის სივრცეც, ვინაიდან კომუნიკაცია/სამეტყველო აქტი მიმმართველი / „მოუბარი“ (I) და მისამართი / „თანამოუბარი“ (II) პირების რეალიზებას გულისხმობს. ამდენად, პირველი პირის მიერ დაკავებულ პოზიციაში იგულისხმება სივრცე, რომელიც ქართულში აღინიშნება შემდეგი ზმნისართებით ან პოსესიური გაგების მქონე პირის ნაცვალსახელების

<sup>1</sup> მოცემული სტატიის ფარგლებში არ ვეხებით ზმნისწინის ორ ფუნქციას, – ადგილის *ტოპოლოგიას*, რომელიც ლანდშაფტური მახასიათებლებით აღიწერება და *ვიზუალიზაციას*.

<sup>2</sup> რეფერენციის ჩარჩო ასახავს ენისა და შემეცნების ურთიერთმიმართებას და ხაზს უსვამს, თუ როგორ აისახება ლანდშაფტური მახასიათებლები ენის გამოყენებისას. ეს საკითხი ფართოდაა შესწავლილი ინტერლინგვისტურ პერსპექტივაში.

<sup>3</sup> ვვიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ორიენტაციის ანალიზისას სხვა (მეორე ან მესამე) პირის შემოტანა, გადამწყვეტი პირველი პირია და მოძრაობის მიმართულება განისაზღვრება შინაარსით *პირველი პირის-გან/-დან ან პირველი პირისკენ: ჩემგან- ჩემკენ; დეიქტური* ორიენტაციის გაგებისთვის მთავარია, რომ ის *ეგოცენტრულია* და ემყარება პირველი პირის გაგებას; მე-2 და მე-3 პირის დაშვების შემთხვევაში ირღვევა ეგოცენტრიზმის / დეიქტურობის პრინციპი, ვინაიდან აღმოჩნდება არა ერთი ცენტრი, არამედ – ორი (ი. ქობალავა).

თანდებულებიანი ფორმით: [აქ / ჩემთან] და [იქ / შენთან] (და არა მე-3 პირთან, ანუ [იქ / მასთან])<sup>1</sup>;

აღნიშნული მსჯელობა ადეკვატურია თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც დეიქსისის კონტექსტში არ დგას მესამე პირის საკითხი (ბენვენისტი 1974, 261-262) და დეიქტური ორიენტაცია მხოლოდ *ეგოცენტრულია* (ლაიონზი 1978, 291-292);<sup>2</sup>

ლაზურსა და მეგრულში *დეიქტური ორიენტაცია* სუსტად არის გამოხატული, მაგრამ ზმნური ფორმებით გადმოცემული მოძრაობა-გადაადგილება ან მდებარეობა წარმოდგენილია სივრცეში რაიმე საგანთან / სხეულთან მიმართებით, ხოლო აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კოდირებულია ზმნისწინში; როცა მოძრაობის მიმართულება წარმოდგენილია არა პირველ პირთან, არამედ სხვა სახის რ ე ლ ა ტ უ მ ე ბ თ ა ნ მიმართებით, უფრო მართებული ჩანს საუბარი იყოს *რეფერენციაზე* და არა *ორიენტაციაზე*. ზოგიერთი ავტორი *დეიქსის* რეფერირების ჩარჩოების ტიპოლოგიაში განიხილავს კიდევ (დანზიგერი 2003; 2010; ბიკელი 2001; ბურენჰალტი 2008), რაც აზრსმოკლებული არც ქართველური ენებისთვის, მათ შორის ლაზურისა და მეგრულისთვის ჩანს.<sup>3</sup>

განასხვავებენ შ ი ნ ა გ ა ნ (*ინტრინსეკული*), რ ე ლ ა ტ ი უ რ და ა ბ - ს ო ლ უ ტ უ რ (იგივე *ექსტრინსეკული* ანუ გარეშე) რეფერირების ჩარჩოებს<sup>4</sup> (ლევინსონი 1996; 2003; ფედერსონი და სხვ., 1998). თითოეული მათგანი განისაზღვრება *რელატუმის* ტიპთან მიმართებით. *რელატუმის* ფუნქციით კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ადამიანის მიერ შექმნილი, არტეფაქტული, ისე ბუნებრივი ობიექტები, ასევე – თვით ადამიანის სხეულიც;

რეფერენციის შინაგანი ანუ *ინტრინსეკული* ჩარჩო არის ორწევრა სივრცული მიმართება, რომელშიც ობიექტის ადგილმდებარეობა განისაზღვრება სხვა ობიექტის ნაწილთან მიმართებით და ეფუძნება *ანთროპოცენტრულ კოორდინატებს, რომლებიც ლოკაციასა და მიმართულებას* განსაზღვრავენ *ეგოცენტრის* მიმართ დაკავებული პოზიციების მიხედვით, როგორცაა: *წინ / უკან, მარჯვნივ / მარცხნივ, ზევით / ქვევით, გვერდით...* (ბრაუნი, ლევინსონი 1987).

<sup>1</sup> პირის ნაცვალსახელების (რომლებიც ამ შემთხვევაში პოსესიურობის გაგებას იძენს თანდებულების დართვის შემდგომ) სამწევრა სისტემა საშუალებას იძლევა სივრცის დეტალურად დანაწევრებისათვის.

<sup>2</sup> ქართულში სივრცეში *მოძრაობის სხეულის მიმართულება* აღნიშნება მხოლოდ [აქედან / ჩემგან] თანდებულებიანი ზმნისართითა ან/და პირის ნაცვალსახელით დინამიკური ზმნის ფუძეზე – [მი-] ან [მო] ზმნისწინების დართვით, ხოლო [აქეთკენ / ჩემგან] ასევე აღნიშნავს *მოძრაობის დეიქტურ ვექტორს*, რომელიც სინტაქსური კონსტრუქციის ზმნაში მხოლოდ [მო-] ზმნისწინის რეალიზების საშუალებას იძლევა.

<sup>3</sup> ვვიქრობთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სივრცული მიმართებების ანალიზისას *რეფერენციის* ცნების უგულვებელყოფა განაპირობა, ერთი მხრივ, *ორიენტაციის* კატეგორიის *მიმართულებასთან* მჭიდროდ დაკავშირებამ, ასევე, საკითხის, ძირითადად, ორ მარტივ (*მი-* და *მო-*) ან მათთან კომბინაციით მიღებულ რთულ ზმნისწინებთან კავშირში განხილვამ.

<sup>4</sup> *რეფერენციის ჩარჩო* არის *კოორდინაციის სისტემა*, რომელიც გამოიყენება ობიექტის ადგილმდებარეობის დადგენისთვის. ბოლო დროის ნაშრომებიდან იკვეთება, რომ ამგვარი ჩარჩოების გამოყენება ცვალებადია მსოფლიოს ენებსა და კულტურებში; სხვადასხვა ენაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის რეფერენციის ჩარჩო.

რეფერენციის *აბსოლუტური* ჩარჩო გულისხმობს *ფიქსირებულ ორიენტირებს* (დედამიწა, წყლის ზედაპირი, პირობითად ფიქსირებული ცნებები, მაგ. ჰორიზონტის მხარეები, სახმელეთო საზღვრები, მდინარის დინების მიმართულება...), რომლებთან მიმართებითაც განისაზღვრება სივრცეში მოძრაობის მიმართულება (ბრაუნი, ლევინსონი 1987);

რეფერენციის *რელატიური* ჩარჩო კი არის სამწევრა სისტემა, რომელშიც ობიექტის ადგილმდებარეობა გამოხატულია როგორც ობიექტის აღმქმელის პერსპექტივიდან, ასევე სხვა ობიექტის პოზიციასთან მიმართებით.

ჩვენთვის საინტერესოა რა დასკვნის საშუალებას იძლევა ლაზურის ზმნისწინთა სისტემის ანალიზი *დინამიკური* (მოძრაობის) და *სტატიკური* (პოზიციის, უძრაობის) ზმნებისთვის ზევით განხილული რეფერენციის ჩარჩოს კლასიფიკაციის მიხედვით და რეფერენციის რომელი მოდელია რელევანტური ლაზურისათვის.

წინამდებარე სტატიაში გავანალიზებთ *მიმართულების*, *ორიენტაციისა* და *რეფერენციის* ლექსიკურ-სემანტიკურ კატეგორიებს როგორც სტატიკური (პოზიციური), ისე დინამიკური (მოძრაობის) ზმნებისათვის და წარმოვადგენთ მათი კომბინაციით მიღებულ ყველა დასაშვებ სემანტიკურ მოდელს.

თუკი ჩვენ დავეყრდნობთ ორიენტაციის ა. შანიძის მიერ ქართულისათვის შემუშავებულ სისტემას (იხ. შანიძე 1980), ის ვერ აღმოჩნდება საკმარისი თუ რელევანტური ლაზურისათვის. მიუხედავად ამისა, ორიენტაციის *დეიქტური* ტიპი ერთადერთია, რომელზეც არა გამოკვეთილად, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლაზურში ზმნისწინის ფუნქციებს შორის, თუკი ჩვენ ერთმანეთისგან გავმიჯნავთ *რეფერენციას* და *ორიენტაციას* და ამ უკანასკნელს დავტოვებთ მხოლოდ *დეიქსისის* ფარგლებში. თუმცა *დეიქსისი* შესაძლებელია განვიხილოთ რეფერირების ჩარჩოში (როგორც ამას ვხვდებით ზოგ ლინგვისტთან, მაგ. დანზიგერი 2003; ბიკელი 2001; ბურენჰალტი 2008) და ჩავთვალოთ მის კერძო გამოვლინებად; ასეთი შემთხვევისთვის კი საუბარი მოგვიწევს რეფერირების ორ კერძო ტიპზე: *დეიქტურსა* და *საგნობრივზე*. ასეთი გაგებით, რეფერენციის *დეიქტური* ტიპისთვის ამოსავალი ჩანს პირველი ანუ მოუბარი პირის სივრცე, ხოლო *საგნობრივისთვის* – სივრცეში მყოფი/მდებარე ის საგანი, რომელთანაც გარკვეული მიმართება აქვს მოძრავ ან უძრავ სხეულს.

ანალიზი აჩვენებს, რომ ლაზურში ზმნისწინის ფუნქციების, მიმართულებისა და ორიენტაციის (დეიქსისის), გამოხატვასთან ერთად უნდა ვისაუბროთ რეფერენციაზეც, რომელიც გაცილებით მდგრადია, ვიდრე დეიქსისი; ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ფუნქციები ზმნისწინში რეალიზდებიან კომბინირებულად; ჩვენ შევძელით რამდენიმე კომბინაციის გამოყოფა:

- I. {*მიმართულება + რეფერენცია*}
- II. {*მიმართულება + ორიენტაცია*}<sup>1</sup>
- III. {*მიმართულება + ორიენტაცია + რეფერენცია*}
- IV. {*ლოკაცია + რეფერენცია*}

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ა. შანიძე ქართულისათვის მიმართულებასა (გეზი) და ორიენტაციას განიხილავს ერთმანეთთან კავშირში (შანიძე 1980).

პირველი სამი მოდელი დინამიკური ზმნის ზმნისწინის სემანტიკური კომპონენტებია / ფუნქციებია, ხოლო მეოთხე – მხოლოდ სტატიკურებს ახასიათებს. ამგვარი მიდგომის საფუძველზე შეიძლება ვისაუბროთ ლაზური ზმნისწინის მიმართულებაზე, ორიენტაციასა (დეიქსისსა) და რეფერენციაზე და გამოვყოთ მათი კონკრეტული სახეები:<sup>1</sup>

1. მიმართულება:

1. 1. ვერტიკალური ტრაექტორია (ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით);
1. 2. დახრილი ტრაექტორია (ქვევიდან ზევითკენ, ზევიდან ქვევითკენ);
1. 3. ჰორიზონტალური (გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ).

2. ორიენტაცია (იგულისხმება მიმართება I პირთან / დეიქტური ტიპი);

2. 1. პირველი პირიდან;
2. 2. პირველი პირისკენ.

3. რეფერენცია (საგნობრივი მიმართება):

3. 1. აბსოლუტური / ექსტრინსეკული;
3. 2. რელატიური / ინტრინსეკული.

ქვემოთ გავაანალიზებთ ოთხივე მოდელს.

I. {მიმართულება + რეფერენცია}:

*აბსოლუტური* ანუ *ექსტრინსეკული* რეფერენცია, რომელიც გამოხატულია ბუნებრივი ორიენტაციებით, *დედამიწის* ან *წყლის ზედაპირი*, ენობრივად ლაზურში რეპრეზენტირებულია არა მხოლოდ ზმნისწინებით, არამედ მორფოსინტაქსურადაც, აბლატივისა და ალატივის ფუნქციების გადანაწილებით, კონკრეტულად იმის მიხედვით, მოძრაობა სრულდება *დედამიწის / წყლის ზედაპირამდე* თუ *დედამიწის / წყლის ზედაპირიდან*; აბსოლუტური რეფერენციის დროს მიმართულება მხოლოდ ვერტიკალურია, იცვლება მხოლოდ მოძრაობის ვექტორი;

{1. მოძრაობის ვექტორი: *ზედაპირიდან ზევით* + 2. რელატიუმი: *დედამიწის ზედაპირი*} (1ა, 1 ბ):

(1ა) ჟინ-დუნა-შა      ქ-ეშა-ხთეს

ზემო-ქვეყანა-ALL    AFF-PRV-სვლა. AOR

ეფე ორამქულ *ჟინ-დუნაშა ქეშახთეს* (დიუმეზ. 74, 294)

„ცოტა ხანში ზედა ქვეყანაში ავიდნენ.“

(1ბ) ნჯა-შა      ქ-ე-ხთუ

ხე-ALL      AFF-PRV-სვლა. AOR

ემუქ *ნჯაშა ქეხთუ* დო მამულისთეი დიყიუ (კალ. 134<sup>5-6</sup>)

„ის [=მან] ხეზე ავიდა და მამალივით დაიყივლა.“

{მოძრაობის ვექტორი: *ზედაპირიდან ქვევით* + რელატიუმი: *დედამიწის ზედაპირი*} (2ა):

<sup>1</sup> კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც ლაზური ზმნისწინების ტოპოლოგიურ თუ ლანდშაფტურ მახასიათებლებს ეხება, წინამდებარე პუბლიკაციის ანალიზის ფარგლებში არ შემოგვაქვს.



ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მოძრაობა სრულდება როგორც *ჰორიზონტალური* (3ა, 3ბ, 4ა, 4ბ), ისე *ვერტიკალური* (1ა, 1ბ, 2ა, 2ბ) სივრცეში; ვერტიკალურში კი შეიძლება იგულისხმებოდეს არა მხოლოდ *შვეული*, არამედ *დახრილი* ტრაექტორიაც, რისი გამოხატვაც ასევე ზმნისწინშია კოდირებული.

მასალის ანალიზით დადგინდა ლაზურში ვერტიკალურ სივრცეში მოძრაობის აღსანიშნავად გამოყენებული ზმნისწინები ორივე მიმართულებისათვის:

ცხრილი 1. ვერტიკალური სივრცე

ქვევიდან ზევით	ზევიდან ქვევით
ე- ემა- ელა- ეწა- ეშკა- / ეშქა-	გე- დო- მეწა- გეწა- ეწა <sup>2</sup> - გოწა- გემა- გოლო- გელა- დოლო- ეკა <sup>2</sup> -

ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობის გვერდით ჩანს უმიზნო და განმეორებადი მოძრაობის ტიპი, უფრო სწორედ, გადაადგილება მოძრაობის ვექტორის ცვლით; მაგ. [გოლა-] ზმნისწინში არ არის კოდირებული რეფერენცია (5ა), ამიტომ, რიგ შემთხვევაში, ის სინტაქსური კონსტრუქციის სხვა წევრით ზუსტდება (5ბ):

(5ა) ქელუკა **გოლ-ულუნ** (ჟღ. 16217) „ნავი დადის“;

(5ბ) არ ლაზი **ზულა პიჯის გოლ-ულუტუ** [...] (ჟღ. 8516) „ერთი ლაზი ძღვის პირას დადიოდა“.

გავაანალიზოთ III და IV მოდელიც:

III. {*მიმართულება + ორიენტაცია + რეფერენცია*}

IV. {*ლოკაცია + რეფერენცია*}

აღნიშნული მოდელები არ აღიწერება მარტივი ზმნისწინებით; მოძრაობის მიმართულება რაიმე რელატიუმთან (დინამიკური ზმნების შემთხვევაში) ან საგნის ლოკაციასთან (სტატიკურების შემთხვევაში) მიმართებით გადმოიცემა *დერივაციული*<sup>1</sup> ანუ *ლოკატიური ზმნისწინების* საშუალებით. მოძრაობის ზმნების შემთხვევაში უჩვენებენ მიმართულებასაც. ამიტომაც არის, რომ ზმნისწინში კოდირებული მნიშვნელობების გადმოსაცემად საჭიროა რამდენიმე სივრცული მახასიათებლით მისი აღწერა:<sup>2</sup>

**ელა-**

**ელა-ხთუ** „ჩავიდა“

ა. დინამიკური – {1. ვერტიკალური მიმართულება: ზევიდან ქვევით : შვეული ან დახრილი ტრაექტორია + 2. აბსოლუტური ან რელატიური რეფერენცია}<sup>3</sup>

<sup>1</sup> ტრადიციული საეხლწოდებით – რთულები. ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას იმ შემთხვევებისთვის, როცა ზმნისწინი შედგენილია სხვადასხვა ფუნქციური ღირებულების კომპონენტებისაგან, მარტივი ზმნისწინებისა და ადვერბიალური ნაწილაკებისაგან. შდრ. ქართული რთული ზმნისწინების სტრუქტურა, რომელშიც კომბინირებს ზმნისწინები.

<sup>2</sup> ზმნისწინების სრული და დეტალური სემანტიკური ანალიზი არ არის წინამდებარე სტატიის მიზანი.

<sup>3</sup> დეტალური ანალიზისათვის იხ. გერსამია, ახალაია 2017.

**ელა-დგინ** „დგას“

ბ. სტატიკური – {1. მოძრავი/უძრავი სხეული + 2. რეფერენცია : რელატიური : გვერდით}

(6) მზოლა პიჯის **გ-ელა-ბდგი, ელა-ხთით** თანე-თანე.

„ზღვის ნაპირზე ვდგავარ, ჩამოდით თითო-თითო (კალ. 291<sup>15</sup>)

**მეკა-**

ა. დინამიკური – {1. მიმართულება : ჰორიზონტალური + რელატიური რეფერენცია: გვერდით ან დაბრკოლების გადალახვა + 2. დეიქტური ორიენტაცია}

**მეკა-ულუნ** „გადავა“ – **მოკა-ულუნ** „გადმოვა“

**მეკა-ხთუ** „გაიარა, ჩაიარა“ – **მოკა-ხთუ** „გამოიარა“

(6ა) მუქო ნა გინონ, **მეკა-ულუთ-მოკა-ულუთ** (კალ. 221)

„როგორც გინდათ, გადავალთ-გადმოვალთ“

(6ბ) დადი **ქა-მეკა-ხთუ** ახმედიში ოხოიშა (ჩიქ.108<sup>11</sup>)

„დეიდამ გამოიარა ახმედის სახლში“

ბ. სტატიკური – {1. რელატიური რეფერენცია: გვერდითა ლოკაცია + 2. დეიქტური ორიენტაცია}

**მეკა-დგუ** „მიადგა“

(6გ) კუკუმათენ წკაი **ქო-მეკა-დგუ** (კალ. 178<sup>28</sup>)

„თუნგით წყალი მიადგა“

**მოკუ-ხედუ** (<მოკა-უ-ხედ-უ) „მოუჯდა“

(6დ) ქერვანჯეფეს ცხენის **მოკუ-ხედუ** დო იგზალეს (ყიფ. დამატ. 11<sup>3</sup>)

„მექარავნებს ცხენზე მოუჯდა და წავიდნენ“.

ამ მაგალითების (6, 6ა, 6ბ, 6გ, 6დ) და, ზოგადად, ლაზური ზმნისწინეების ანალიზი ნათელს ხდის, რომ დინამიკურ და სტატიკურ ზმნებს საზიარო ზმნისწინეები ერთვით<sup>1</sup>.

მაგალითი (6)-ში ერთ წინადადებაშია მოცემული ერთი და იგივე ზმნისწინდართული დინამიკური და სტატიკური ზმნები, ორივე შემთხვევაში ლოკაციისა და რეფერენციის ერთსა და იმავე ტიპზე მიანიშნებს;

(6ა), (6ბ) – დინამიკურ ზმნას ერთვის მხოლოდ განსხვავებული მნიშვნელობით: (6ა) აღნიშნავს დაბრკოლების გადალახვას, რელატუმი მოქცეულია ქვევით, (6ბ) – გვერდით ჩავლას, რელატუმი მდებარეობს მოძრაობის მიმართულების გასწვრივ; ასეთივე რელატუმი მეორდება (6გ) მაგალითშიც, მხოლოდ ზმნა სტატიკურია.

<sup>1</sup> საკითხი ეხება დერივაციულ ზმნისწინებს, რომელთა სტრუქტურაში შედის ლოკატიური ნაწილაკები.

(6ა) მაგალითში კომპოზიტურად გადმოცემული ზმნისწინის მიმართულეა დეიქტურია (*მეკა-მოკა*) და აღნიშნავს როგორც პირველი პირიდან, ასევე პირველი პირისკენ მიმართულ მონაცვლეობით შესრულებულ მოძრაობას. (6გ) და (6დ) მაგალითებში კი იგივე ზმნისწინები სტატიკურ ზმნებს ერთვის, თუმცა აქაც ჩანს დეიქსისის კვალი საგნობრივ რეფერენტთან ერთად: *მეკა-დგუ „მიადგა“ – მოკა-(უ)ხედუ „მოუჯდა“*.

მე-(6) მაგალითში მოძრაობის მიმართულეა არის ქვევიდან ზევით, მაგრამ ტრანექტორია დახრილია და არა შვეული.

ი. ქობალავა, განიხილავს რა ამგვარ შემთხვევებს მეგრული ზმნისწინეზისათვის, სტატიკისა და დინამიკის ერთიანობის ახსნისას ასკვნის, რომ „სტატიკა აღნიშნულია იმ ადგილას, სადაც დინამიკური ზმნის დასაწყისი ან დასასრულია, ანუ მარგინალურ ფაზებში. მიმდინარეობას სტატიკა არა აქვს“ (ქობალავა 2015), ამიტომაც სტატიკურ (პოზიციურ) და დინამიკურ (მოძრაობის) ზმნურ ფუძეებში ერთი და იგივე ზმნისწინი დაჩნდება; ანუ სტატიკა არის იქ, სადაც დინამიკური პროცესი იწყება ან სრულდება. ამასთან ზმნისწინით გამოხატული მნიშვნელობები ერთნაირია როგორც დინამიკური (7ა), (8გ), ასევე სტატიკური ზმნის შემთხვევაში (7ბ), (8ბ):

**დოლო-ხთუ** „ჩავიდა“

**დოლო-ხენ** „შიგნით ზის“

(7ა) დივ **დოლო-ხთუ-შქულე**, უწუ ქი [...] (დიუმეზ.36,71 )

„დევი რომ შევიდა, მერე უთხრა [...]"

(7ბ) არ დაღის **დოლო-ხე** დოჯინაფს (კალ. 267<sup>28-29</sup>)

„ერთ ტყეში ( ტყის შიგნით) წააქცევს“

**მეშა-ხთუ** „შევიდა სივრცის შუაში“

**მეშა-ხენ** „შუაში ზის“

(8ა) მზოლა მენდრა ნა **მეშა-ხთეს** [...] (კალ.137<sup>5</sup>)

„ზღვაში შორს რომ შევიდნენ“

(8ბ) [...] ქადიმე კადუნი **მეშა-ხენ** (კალ. 266<sup>26</sup>)

„შიგ ფადიმე კადუნი ზის“

სტატიკურ და დინამიკურ ზმნასდართული ერთი და იგივე ზმნისწინი გამოხატავს ადგილის მსგავს /ერთგვარ ტოპოლოგიას, ლანდშაფტის ერთ ტიპს; ამიტომ ამ სივრცის სემანტიკური აღწერაც იდენტური კომპონენტების / სემანტიკურ მახასიათებლებისგან შედგება.

#### სტანდარტული აბრევიატურა:

ABL – აბლატივი / დაშორებითი, AFF-აფირმატივი / დადასტურბთი ნაწილაკი, ALL – ალატივი / მიმართულებითი, AOR -აორისტი, DAT-დატივი / მიცემითი, FV-ფუნქციური ხმოვანი / ხმოვანპრეფიქსული თავსართი, O- ობიექტი, PP-თანდებული, PRV-ზმნისწინი, R-ძირი, suf-სუფიქსი, S – სუბიექტი.

## ლიტერატურა

- ასათიანი 2012** – ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.
- ასათიანი 2015** – ი. ასათიანი, წინდებულები ზანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში, თბილისი.
- ბენვენისტი 1974** – Бенвенист Е., *Общая лингвистика* (перевод с французского), Москва.
- ბიკელი 2001** – Bickel B. Deictic Transposition and Referential Practice in Belhare. *Journal of Linguistic Anthropology* 10: 224-247.
- ბონემეიერი 2013** – Bohnemeyer, J. Frames of reference in language, culture, and cognition: The Mesoamerican evidence. Plenary given at *The 39th Meeting of the Berkeley Linguistic Society*, The University of California, Berkeley: Berkeley Linguistic Society.
- ბრაუნი, ლევისონი 1987** – Brown, Penelope and Levinson, Stephen (1987 [1978]). Politeness. Some Universals in Language Usage. Cambridge: Cambridge University Press. (Reprinted from: Questions and Politeness. Strategies in Social Interaction. E. Goody (ed.), 56–324. Cambridge: Cambridge University Press).
- ბურენჰალტი 2008** – Burenhult N., Spatial coordinate systems in demonstrative meaning. *Linguistic Typology* 12: 99-142.
- გერსამია, ახალაია 2017** – რ. გერსამია, ნ. ახალაია, -აღა, -ელა ზმნისწინთა სემანტიკური კომპონენტები მეგრულსა და ლაზურში. იკე, XLV.
- დანზიგერი 2003** – Danziger, E. Deixis, Gesture and Spatial Frame of Reference. *CLS* 39. 2nd ed. The University of Chicago: Chicago Linguistic Society 105-122.
- დიუმეზილი 2009** – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი.
- კალანდია 2008** – თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბილისი.
- კუჩერი 2011** – S. Kutscher, On the Expression on Spatial Relations in Ardeşen-Laz. *Linguistic Discovery* 9, 2: 49-77.
- ლაიონზი 1978** – Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, Москва.
- ლევისონი 1996** – Levinson, Stephen C. Frames of reference and Molyneux's question: Crosslinguistic evidence. *Language and Space*, Paul Bloom, Mary A. Peterson, Lynn Nadel & Merrill F. Garrett (eds.), 109–169. Cambridge: MIT Press.
- ლევისონი 2003** – Levinson, Stephen C. *Space in Language and Cognition*. Cambridge: University Press.
- ჟლენტი 1938** – ს. ჟლენტი, ქანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი.
- ტალმი 1985** – Talmy, L., *Language Typology and Syntactic Description*. V3. Grammatical Categories and lexicon.
- ფედერსონი და სხვ. 1998** – Pederson, Eric, E. Danziger, S. C. Levinson, S. Kita, G. Senft & D. Wilkins. 1998. Semantic typology and spatial conceptualization. *Language* 74(3): 557–589.

**ქობალავა 2015** – ი. ქობალავა, ულ-ა „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულში, ტიპოლოგიური მიეზანი, თბილისი.

**ყიფშიძე 1939** – ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები [ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური კილოკავები], თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჩიქობავა 1929** – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

## RUSUDAN GERSAMIA

### **Semantic Functions of Preverbs in Laz: Direction, Orientation, Reference**

#### S u m m a r y

In the Laz verb base preverbs hold a stable position and are legalized in the morpho-syntactic chain between the particles and person markers; preverbs are added to the verbal roots denoting motion and position and show a local picture of the spatial distribution of dynamic and static processes.

In Laz alongside the grammatical functions of preverbs, we also identify the lexical-semantic ones, namely, such semantic spatial features encoded in a preverb as *direction, orientation, reference, topology and visualization*.

The paper analyzes both separate and combinational semes of preverbs based on Laz specific examples, cases of adding preverbs identical to statics and dynamics and the reasons explaining this linguistic phenomenon.

ლელა გიგლემიანი

### სვანურ ჰიდრონიმთა აგებულების შესახებ

ჰიდროლექსიკა ენის სიტყვიერი მარაგის ერთ-ერთი უძველესი და საყურადღებო უბანია. მის შემადგენლობაში განიხილება ჰიდრონიმები – ენის ლექსიკური შემადგენლობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ტოპონიმებთან ერთად იმეორებს საკუთარი სახელის ყველა ძირითად თავისებურებას. სტრუქტურით, წინადადებაში მოხმარებით ჰიდრონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული საკუთარი სახელი, ბრუნებადი სიტყვა თუ სიტყვათშეერთება (მაღრაძე 2003: 13)

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ჰიდრონიმებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს. ისინი ტოპონიმთა უძველეს ფენას წარმოადგენენ (ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ს. მაკალათია...) და, სხვა ტოპონიმებთან შედარებით, მეტი სტაბილურობითაც ხასიათდებიან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაისმის რეგიონურ ტოპონიმიკაში ჰიდრონიმებთან დაკავშირებით, არის წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინთა შეფარდებითი პროდუქტიულობა.

ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებულია ჰიდრონიმთა ნომინაციის რამდენიმე სახე: გაუფორმებელი, ჰიდროფორმანტი წარმოქმნილი, ინდიკატორთა მონაწილეობით ნაწარმოები.

ჩვენი კვლევის ინტერესს ამჯერად წარმოადგენს ძირეულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმთა სტრუქტურული ანალიზი.

წარმოების თვალსაზრისით ჰიდრონიმები დიდად არ განსხვავდება სხვა ტოპონიმებისაგან. განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ის მიკროჰიდრონიმები, რომელიც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ა. ჭკადუას ხელნაწერ შრომაში „სვანეთის ტოპონიმიკა“ (ნაშრომი დამუშავებულია კომპიუტერულად და მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომელთა მიერ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით).

ზოგადად ჰიდრონიმული მასალის სიუხვეს განაპირობებს შესწავლილი რეგიონის რელიეფის სპეციფიკა. ლანდშაფტურად მრავალფეროვან სვანეთში, მთა-გორები, დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ლელე-ნაკადულები, მჭავე წყლები, მთებში უამრავი პატარ-პატარა ტბები სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ და მდიდარ მასალას წარმოადგენს ტოპონიმიკური კვლევისათვის.

სვანური ჰიდრონიმები, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

**1. უაფიქსო, მარტივი სახელები;**

**2. აფიქსებით ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები (დერივატები);**

**3. რთული შედგენილობის სიტყვა-შეერთებანი (კომპოზიტები);**

ამჯერად განვიხილავთ ძირეულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს. ძირეული ჰიდრონიმი სვანურში, ისევე როგორც ქართულში, ჩვეულებრივი სახელია, რომლის სტრუქტურული თავისებურება ის არის, რომ სხვა საკუთარ სახელთა მსგავსად მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებს [მაღრაძე 2004: 35]

სვანური ძირეული ჰიდრონიმების შემადგენლობაში ძირითადად შემდეგი აპელატივებია წარმოდგენილი: **ლიც//ნიც** „წყალი“, **ჰალა** „ჭალა, მდინარე, მდინარის პირი“, **ტუბ//ტუბი, ტუბრა** „ღელე, ხევი“, **ტუბა, ჰუბ** „ტბორი, ჭაობი“, **სარაგ** „წყარო“, **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ტობ** „ტბა“, **ღარ** „ღელე“, **ჰყიბ, ჰყებ** „ჭაობი“ **მორელ** „წყარო“ და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადო სახელები გარკვეული ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მათ საშუალო ადგილი უჭირავთ საზოგადო სახელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის. „საზოგადო სახელთა კლასიდან გამოსული არიან, მაგრამ ჯერ არ არიან შესულნი საკუთარ სახელთა კლასში“ (ცხადაია 1985: 45)

ძირეული ტოპონიმი ქართველურ ტოპონიმიაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ბუნებრივია მათი წილი ჰიდრონიმებშიც მცირეა. აქვე აღვნიშნავთ, რომ წყლის აღმნიშვნელ საზოგადო სახელთა გამოყენება ინდიკატორის ფუნქციით რთულ ჰიდრონიმებში ხშირია.

მარტივფუძიანი ძირეული ტოპონიმები გეოგრაფიული სახელწოდებების ერთ-ერთ უძველეს ფენას განეკუთვნება და მათი უმრავლესობა რელიეფის ამსახველია (ხევი, ქედი, მთა მდინარე, ტბა...)

მარტივი ჰიდრონიმები გვხვდება სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებში:

მდინარეები: **მეხრა** (ჩოლური, მუწვი), **მარდი** (მესტია), **ლაშიბი** (ლენტეხი)

ტბები: **მეჰ** (მესტია, დავბერი), **ლატუბა, მუნყუელ** ტბა (მესტია, ფარი)...

ღელეები: **მეღამ** (მესტია, უშგული), **ჰგნი** (მესტია, ეცერი), **მაქლღანი** (მესტია, გვალდერი)...

წყაროები: **გაყუ** (მესტია, ლახამულა), **გუბი** (მესტია, ლახამულა), **ლე-მუზ** (სოფ. სიდიანარის დასახლება, **მაჭურაჰ** (მესტია, უშგული)...

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტოპონიმების უძველეს ფენას მარტივფუძიანი სახელები და დიდი მდინარეების სახელწოდებები – ჰიდრონიმები ქმნიან (ვ. გეორგიევი, ვ. ნიკონოვი, ა. დულზონი).

მარტივფუძიან სახელებს სიხშირე-პროდუქტიულობის თვალსაზრისით უპირისპირდება აფიქსური წარმოების გეოგრაფიული სახელები. აფიქსაცია ძლიერ გავრცელებული და პროდუქტიული საშუალებაა. მარტივი ტოპონიმებიდან ვიღებთ როგორც ნაწარმოებ, ასევე თხზულ ტოპონიმებსაც. რაც შე-

ეხება, წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს, მათ ძირითადად სუფიქსური წარმოება ახასიათებთ. ყველაზე ხშირად გვხვდება **-ურ-ა, -ურ-ა, -ულ-ა, -ერ-ა, -გრ-ა** ტოპოფორმანტიტ ნაწარმოები მდინარეთა და ღელეთა სახელები (**ხაიშ-ურ-ა, მულხ-ურ-ა, კელდ-ურ-ა, თეკლ-ურ-ა, ლეგურ-ულ-ა, ვედრ-ულ-ა, თეთნაშერა//თეთნაშერა, ლაქვაშ-გრ-ა, ჰადრშ-გრ-ა** და ა.შ) აღნიშნული სუფიქსები საკმაოდ არის გავრცელებული ქართველურ ტოპონიმიაში.

ჰიდრონიმებში გამოყენებულია სხვა აფიქსებიც:

**-იშ, -შშ, -იშ...** ფორმანტი: **ჭიბრ-იშ, შდგმლ-შშ, შგედილ-შშ, ლაქტბ-შშ, გუგუ-შშ, გოგა-იშ...**

**-არ, -ალ** ფორმანტი: **ჭყებ-არ, ლაფნ-არ, ლაშხტი-არ, ქტიშ-ლ-არ, ლაქტენ-არ, დარ-ალ...**

საყურადღებოა კნინობით-სუფიქსიანი (**-ილდ, -გლდ -ილ, -რლ, -გლ, -ოლ**) ჰიდრონიმები: **ლიც-ილდ, წგრნ-გლდ, ნიც-ილ, მეშხ-ილ, ლატაფ-ილ, მაჭუფ-რლ, კირ-რლ, გირგუდ-რლ სარგ-გლ, მეშხ-ოლ...**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს **სარაგ** „წყაროს“ სიხშირე მიკროჰიდრონიმებში. **სარაგ** ძირეული გაუფორმებელი სახით ძირითადად წყაროს აღნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, სათიბის, ყანის, სამოვრის, ტყის და სხვა ობიექტების სახელადაც დასტურდება, მაგ: **სარაგ-ალ, სარგ-ალ, სარგ-არ** „წყაროები“ ეწოდება სხვადასხვა ადგილს, სათიბს ან სამოვარს, მითითებულია, რომ შორიახლო წყაროები ჩამოდის.

**სარაგ-შშ, სარგ-შშ** „წყაროსი“ აღნიშნავს სახნავ ფართობს, ტყეს, ყანას, სამოვარს

**სარაგ-გლ, სარგ-გლ** „პატარა წყარო“, გვხვდება ყანის სახელად.

**სარგ-გლდ-შშ** „პატარა წყაროსი“ სათიბის სახელწდებაა, აღნიშნული ლექსემა განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს რთული ჰიდრონიმების წარმოქმნაში. ასეთივე პროდუქტიულობით გამოირჩევა ზოგიერთი ჰიდროპელატივი.

ბუნებრივია, ჰიდრონიმებში ისევე, როგორც მთლიანად სვანურ ტოპონიმიაში, ნათლად ჩანს სვანეთის რელიეფის თავისებურებანი.

### ლიტერატურა

**მალრაძე 2004** – ვახტანგ მალრაძე, ქართველური ჰიდრონიმები, თბილისი.  
**ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბილისი.

LELA GIGLEMIANI

**On the Structure of Svan Hydronyms**

## S u m m a r y

Hydronyms are not significantly different from other toponyms in terms of word formation.

Svan hydronyms, like the ones in other Kartvelian languages, are divided into three main groups:

1. Simple names without affixes;
2. Derivatives with affixes;
3. Compounds.

The paper discusses basic and derivative hydronyms. Basic toponyms are found in a relatively small quantity in Kartvelian toponymy. As for derivative hydronyms, they are mainly suffixed. The names of rivers and streams are often derived with the topoformants *-ur-a*, *-ūr-a*, *-ul-a*, *-er-a*, *-ər-a*, e.g. *xaiš-ur-a*, *mulx-ur-a*, *qeld-ur-a*, *teql-ūr-a*, etc.

გიორგი გოგოლაშვილი

ენათმეცნიერის თვალით დანახული  
პოეტური ტექსტი

1. გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს საშუალო სკოლის პროგრამებში და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამაშიც ცვლილებები მოხდა. გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“ სწორედ მაშინ აღმოჩნდა სავალდებულო სასწავლო ნაწარმოებთა შორის. იმდროინდელი წესის შესაბამისად, მოსწავლეს ლექსის იდეურ-მხატვრული ანალიზიც ევალეზობდა და, ალბათ, სწორედ ამის გამო იყო, პროგრამებში ახლადშესული ლექსის ანალიზიც შემოგვთავაზეს. ხელთ მაქვს 2001 წელს გამოცემული წიგნი „გიორგი ლეონიძე“ (გამომცემლობა „საარი“), სადაც ორი ნაშრომია გ. ლეონიძის თემაზე: თამილა წოწორიასი – „მეცამეტე საუკუნე“ და სოსო ტაბუცაძის – „ნახმლევი („მეცამეტე საუკუნე“)“. გ. ლეონიძის ამ ლექსს სხვაგვარად ვკითხულობდი და ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო მკითხველს.

დასახელებულ ნაშრომთა მიხედვით, ლექსში ხდება ისტორიის გახსენება: მონღოლთა შემოსევის, მათი სისასტიკის აღწერა... მეცამეტე საუკუნეში საქართველოზე თავსდატეხილი უბედურება, განცდილი საშინელება... საშუალო საუკუნეების ქართველ მამულიშვილთა ერთმანეთის მხარში დგომა და საკუთარი მკერდით შეხვედრა მონღოლების ვერაგული დარტყმებისა... მემატიანის თვალით დანახული უბედურების პოეტური გახმოვანება (ასე ხედავს თ. წოწორია)... მეცამეტე საუკუნეიდან დაწყებული დაღმართის პოეტური აღწერა... ისტორიის ანალებში და დრო-ჟამში ჩარჩენილი ხმების ლეონიძისეული გახმინება... „პოეტის თვალსაწიერში მტრის ხმლით აჩეხილი სამშობლოსივრცის ნაკუწებიღა რიალებს“ (ს. ტაბუცაძე). ამ წერილებში ბევრი რამ არის ნათქვამი საინტერესოდ, განსაკუთრებით პოეტიკური ანალიზია ლექსისა საგულისხმო. მაგრამ კითხვები მაინც ჩნდება...

ჩემი ყურადღება ლექსში **ზმნის ფორმებმა** მიიქცევს: **ზმნები** ან **აწმყოს ფორმითაა** წარმოდგენილი, ან – **მომავლისა**. ლექსის პირველ ნაწილში ზმნა აწმყო დროის ფორმებია წარმოდგენილი (მხოლოდ ერთია წყვეტილის ფორმით – **გაცეცხლა**):

**მოჰქრის** ურა ცხენი  
მონგოლური დალით,  
ზედ შავი თარაქმა  
ვერ **უსწორებს** აღვირს.

და კალია მჭამელი  
უკან სვეტად **მისდევს**,  
მუზარადის მტვერით  
დაბნელებულ მინდვრებს!

ვერ **უძლებენ** მთები  
მულიდების ყივილს;  
საყვირებით, ზურნით  
დროშების ტყე **წივის**...

**ბრწყინავს** თათრის ხმალი,  
**ბრწყინავს** თათრის ჩალმა,  
**მოდის** ჩინგისხანი!  
გზა გაცეცხლა ალმა!...

მომდევნო სტროფებში 7 ზმნა გვხვდება, ყველა მომავალ დროს გამოხატავს. სამჯერ მეორდება ზმნა **ნახავთ**, რომლის დროული გაგება ძლიერდება და კონკრეტდება ზმნიზედით **ხვალ**; ეს უახლოეს მომავალზე მინიშნებაცაა. მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ თითო სტროფი თითო შერწყმული წინადადებაა – ვრცელი ჩამონათვალა იმისა, **თუ რას ვნახავთ ხვალ**:

**ხვალ ნახავთ** კალიებს \_  
მინდვრის დალაქებს,  
გაშანთულ მიწის ქერქს,  
დათხრილ ქალაქებს...

**ხვალ ნახავთ** სახლებზე  
ღრიანკალს, ბუს,  
დამდნარ გალავნებს,  
გოგირდის ბურს,

მოედნებზე აზელილ თმას და ტვინს,  
აჩეხილ ფალავნებს...  
ცხენის ქაჩაჩში  
ჩარჩენილ თავთავს,  
უზანგში – მტევანს,  
ვენახში – სამარეს...  
ნაფუძრებს – თეთრი ძვლით მოთესილს,  
მეწყერებს,  
ტრამალებს,  
ტრამალებს...

**ხვალ ნახავთ**, სისხლით აივსება  
 წყაროზე ტაგანი  
 და ვერცხლით ნაჭედ  
 იატაგანით \_  
 კეთრით,  
 ბუგრით ივლის \_  
 მხარგრძელი ანგელოზი  
 მონგოლური ანგელოზი  
**დაადგება** თბილისს.  
 ქალაქის გულს **დაბეჭდავს**,  
 გულში სიკვდილს **დათესს**  
 და ქართლი განკვართული,  
 ნაპრალებში, მღვიმეებში  
**ჩააყენებს** ნათელს!

როგორც ვხედავთ, ლექსი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: პირველი ნაწილი – **დღეს** (ანუ რა ხდება დღეს) და მეორე ნაწილი – **ხვალ** (ანუ რა მოხდება ხვალ).

ქართული ენის უბადლო მცოდნის – გიორგი ლეონიძის – ასეთი პოეტური ხერხი ახსნას მოითხოვს: საუბრობს XIII საუკუნის მოვლენებზე აწმყოსა და მომავალ დროში...

ცხადია, ამჩნევენ ამ ფაქტს, მაგრამ არა გვეგონია, ახსნა სწორი იყოს: „დამთავრდა ლექსის პირველი ნაწილი, რომელსაც შეიძლება პირობითად „შემოსევა“ ვუწოდოთ. შემდეგ სტროფებში ლექსის სტრუქტურა იცვლება. თუ აქამდე საუბარი მესამე პირს მიემართებოდა, ე.ი. მათზე (მონღოლებზე) და მასზე (ჩინგის-ხანზე) იყო. ახლა ლექსის ქსოვილში გავჩნდით „ჩვენც“. „ხვალ“ უნდა ვნახოთ XIII საუკუნეში განცდილი საშინელება, დროის პრიზმაში ასეთი წიაღსვლა ერთგვარი პოეტური ხერხიცაა და აუცილებელია იმ საშინელებათა შედარებით მსუბუქად გადასატანად“ (თ. წოწორია). არ ვდაობთ „პირთა მიმართების“ საკითხებზე... ვეთანხმებით იმას, რომ ეს პოეტური ხერხია, მაგრამ რას ნიშნავს?

ესეც ვთქვათ: საერთოდ გ. ლეონიძე როცა წარსულზე საუბრობს, ჩვეულებრივ ზმნის წარსულდროიან ფორმებს გამოიყენებს. ორიოდე მაგალითი:

„მთას იქით **ჩასკუნა** ყვავილი  
 ნაქროლი ნიავექარისა“...  
 „მთაზე **ვაშენე** ტაძარი,  
 ნაშენი არა იყო რა“...

„საზანდარმა ღამე **ააცახცახა**“... და მრავალი სხვა. აქ თითქოს არაფერია უჩვეულო, მაგრამ „მეცამეტე საუკუნე“?

ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ სათაური და ყურადღება მივაქციოთ ლექსის დაწერის თარიღს – **1926 წელი**. პოეტი აღწერს აწმყო უბედურებას და მოელის უარეს მომავალს. ახალი ჩავლილია **1924 წელი**. მთელი სიმძლავ-

რითაა ამოქმედებული რეპრესიული მანქანა. **მონღოლები** – ყველაზე დიდი უბედურება ქართველი ხალხისა – ასოცირდება კარსმომდგარ **რუსულ უბედურებასთან**:

„ბრწყინავს თათრის ხმალი,  
ბრწყინავს თათრის ჩალმა,  
მოდის ჩინგისხანი...“

**ჩინგისხანი** – აქ არ არის კონკრეტული პიროვნება. ეს ზოგადი სახეა ულმობელი მტრისა; გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის: „ჩალაგდნენ ყველა **ჩინგისხანები**“...

დიახ, მოვიდა ყველაზე დიდი უბედურება – ახალი დროის მონღოლები...

დღევანდელი (ანუ გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისის) თათრის ხმლისა და ჩალმის ბრწყინვა კიდევ უფრო დიდი უბედურების საწინდარია: „**ხვალ ნახავთ**“... და ჩამოთვლილია უამრავი უბედურება, რაც ელის საქართველოს ამ ძალის ხელში. 1924 წლის მნახველი ხედავს:

„მოედანზე აზელილ თმას და ტვინს,  
აჩეხილ ფალავნებს...“

გასაგებია, რასაც ნიშნავს „მონგოლური ანგელოსი დაადგება თბილისს“, მაგრამ რას გულისხმობს „მხარგრძელი ანგელოსი“? თ. წოწორია მსჯელობს: „მხარგრძელს ახალციხელებისათვის ერთი მეომარიც არ შეუშველებია. ივანე მხარგრძელი მანამდე დასცქეროდა ხელის გაუნძრევლად ბრძოლის ველს, სანამ ქართველთა ჯარი სრულებით არ გაწყდა. როცა ტრაგედია დასრულდა, მთავარსარდალმა სრულიად ხელუხლებელი არმია სასწრაფოდ გამოაბრუნა და გამოიქცა. „მხარგრძელის ანგელოსი“ (თ. წოწორია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით მოიხმობს ამ სიტყვას – გ. გ.) ლექსში, ალბათ, ამ ისტორიული ფაქტის გამო უწყვილდება „მონგოლურ ანგელოსს“. ორივე ანგელოსი კი

„ქალაქის გულს დაბეჭდავს,  
გულში სიკვდილს დათესს...“

დავაზუსტებთ: „მხარგრძელი ანგელოსი“ ღალატს გულისხმობს, მომხდურების გვერდით დამდგარ ქართველს გულისხმობს პოეტი და მისი ხელშეწყობით დატრიალებულ უბედურებას. **ქართლი განკვართული** – შეურაცხყოფილ რწმენას, დანგრეულ ეკლესიებს, დახოცილ ქრისტიანებს...

არც ის ჩანს შემთხვევითი, რომ ლექსის პირველი ნაწილი – პირობითად აწმყო – რიტმულად განსხვავებულია მეორე ნაწილისაგან – პირობითად „ხვალე“. I ნაწილი რიტმულად შედარებით „დალაგებულია“, მწყობრია... II ნაწილი – „ხვალე“ – რიტმულად უფრო „არეულია“, დარღვეული რიტმი – ეს მოსალოდნელი უფრო დიდი უბედურების განწყობის შექმნას უნდა ემსახურებოდეს...

თუმცა შორეული იმედიც ჩანს:

„და ქართლი განკვართული,  
ნაპრალებში, მღვიმეებში

**ჩააყენებს ნათელს“!**

ეს ის იმედია, პროზაიკოსი ამგვარად რომ იტყვის: „ამ ქვეყნად ისლა დაგვრჩა სანუგემო, რომ „ისინიც“ ჩამაღლდებიან“ (მ. ჯავახიშვილი).

ვფიქრობთ, ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობათა წყალობით, სათქმელი ითქვა. სათაურმა – „მეცამეტე საუკუნე“ – შენიღბა სათქმელი; შეიძლება ასეც ითქვას: დააზუსტა, გაამძაფრა სათქმელი – XX საუკუნის ოციანი წლების ტრაგედია XIII საუკუნის ვითარებას შეადარა...

გიორგი ლეონიძის ლექსი „მეცამეტე საუკუნე“ მე ასე წავიკითხე...

## 2. აკაკი წერეთლის „სულიკო“

გურამ რჩეულიშვილი წერდა: „მე ვეტრფი, მე ვგრძნობ, მე ხოტბას ვახამ იმ პოეტურ ბუნდოვანებას, რომლის თვითეული ნაწილიც სინათლით სუნთქავს“. რას ნიშნავს პოეტური ბუნდოვანება? გულისხმობს თუ არა ის ლექსში გამოყენებულ სიტყვათა, ფრაზათა, წინადადებათა (ანუ ენობრივ ერთეულთა) „ბუნდოვანებას“? ამ და მსგავს საკითხებზე გვსურს ვისაუბროთ აკაკი წერეთლის ლექსში „სულიკო“...

ძნელად თუ მოიპოვება ქართველი, ვისთვისაც „სულიკოს“ თითოეული სტრიქონი „სინათლით არ სუნთქავდეს“, მახლობელი და ბუნებრივი არ იყოს მისთვის ეს ლექსი; რომც არ მღეროდეს, ერთხელ მაინც არ ჩაედიდინოს: „სადა ხარ, ჩემო სულიკო“...

და მაინც, ძნელად თუ მოიპოვება ქართველი, რომლისთვისაც ბოლომდე ნათელი იყოს იდუმალება ამ ლექსისა; რომელსაც შეემლოს ამ ლექსით აღძრული ყველა კითხვის პასუხის გაცემა, გახსნა იმ „პოეტური ბუნდოვანებისა“, გურამ რჩეულიშვილი რომ ეტრფოდა...

აკაკი წერეთლის ლირიკულ ნაწარმოებთა შორის „სულიკო“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. რა თქმა უნდა, ამაში დიდია დამსახურება ვარინკა წერეთლისაც, ვინც გენიალურ ლექსზე დიდებულ სიმღერა შექმნა, მაგრამ უმთავრესი მაინც ლექსია და დამაჯერებელია კრიტიკოსის მსჯელობა: „სალექსო ფორმაში მოქცეული პოეტის მეტყველება ინარჩუნებს უჩვეულო ბუნებრიობას. საკმარისია ტექსტში რაიმე შეცვალოთ, – გადასვით სიტყვები, შეცვალოთ სინტაქსური წყობა, – რომ ამით დავარღვევთ არა მარტო რიტმულ ორგანიზაციას, არამედ პოეტის მეტყველებასაც დაუკარგავთ ბუნებრიობას. აკაკის უმაღლესი პოეტური ხელოვნება იმაში ვლინდება, რომ პოეტი ფიქრობს და მეტყველებს პირდაპირ ლექსად. თქვენ გრძნობთ, როგორ ბუნებრივად გადადის ქართული ენა სალექსო ფორმაში... პოეტი უბრალოდ გვესაუბრება, მისი მეტყველება კი, რაღაც ჯადოსნობით, ლექსის ფორმით კრისტალდება...“ (თ. დოიაშვილი). ეს აკაკის სხვა ლექსის გამო ითქვა, მაგრამ იგივე ითქმის „სულიკოზეც“. სწორედ ეს უმაღლესი პოეტური ფორმაა, რაც თითქოს უკანა პლანზე გადაწევს შინაარსს. ამიტომაცაა, როგორც კი დავფიქრდებით სათქმელზე (რისი თქმა სურს პოეტს ამ ლექსში, მოვისურვებთ შინაარსის გაცნობიერებას), თავს იჩენს „პოეტური ბუნდოვანება“...

თუმცა იდუმალეობა, ამოსაცნობი, ამოსახსნელი ლირიკული პოეზიის აუცილებელი ატრიბუტია, პოეტური ხიზლის მიმნიჭებელი. ჭეშმარიტებაა: „აკაკის ლექსს არ აკლია ის იდუმალი, რითაც ყველა ლექსი ლექსია, რითაც ნამდვილი პოეზია სუნთქავს და არსებობს“ (ტ. ჭანტურია). და პოეტ ტ. ჭანტურიას ამის ნიმუშად სწორედ „სულიკო“ მოჰყავს: „ალბათ არ გეგულეობათ „სულიკოზე“ უფრო პოპულარული ლექსი, ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოები, რომლის მსმენელისა და დამფასებლის აუდიტორია დღეს თითქმის მთელ პოეტურ მსოფლიოს მოიცავს, მაგრამ ის, რაც ასე შენი, იოლი, ხელმისაწვდომი, სისხლბორცეული და გასაგები გგონია, სინამდვილეში გარემოსილია იდუმალეობის ნისლოვანი საბურველით, რომელშიც კაშკაშა სხივები ბრუნავს“. მკვეთრი შეფასებაა. თუმცა იქვე ამბობს: „არადა რომელ ქართველსაც უნდა უთხრა, „სულიკო“ ბოლომდე არ გესმისო, ირონიული ღიმილით მოგაჩერდება“. ესეც ფაქტია, მაგრამ გადავდოთ გვერდზე ეს ირონიული ღიმილი და დავვიქრდეთ:

**რას ნიშნავს სულიკო?**

**ვის (ან რას) მიემართება სულიკო?**

**ვის (ან რას) ეძებს პოეტი?**

**როგორ გავიგოთ პოეტური სახე-სიმბოლოები: სულიკო, საყვარელი, საფლავი, ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი, ბინა?**

მოდით, თვალი გადავავლოთ, რა თქმულა „სულიკოს“ შესახებ; როგორ გაუციათ პასუხი ამგვარ კითხვებზე:

**ვასილ ბარნოვი:** „სულიკოში“ გამოხატულია სატრფო-სამშობლოს ძებნის ტკივილი“

**გრიგოლ რობაქიძე:** „სულიკო“ სატრფო-მშვენიერების ძიებაა“.

**აკაკი ბაქრაძე:** „სულიკო“ დაკარგული ღმერთის ძიებაა“.

**ემზარ კვიციანი:** „აკაკიმ სულიკო მრავლისმომცველ ქართულ ხატად, ქართული იერის მქონე მრავალწახნაგა სიმბოლოდ აქცია... ოღონდ ამ სიმბოლოში რელიგიური შინაარსი არ დევს“.

**არჩილ სულაკაური:** „სულიკო“ ჩვენი შინაგანი ცხოვრების ანარეკლია, დაკარგულის მარადიული ძიებაა“.

**სიმონ ჩიქოვანი:** „სულიკოს“ საფლავი დაკარგული მიჯნურის სამარეა თუ წარსულში სასიკვდილოდ განწირული ქრთველი ხალხის ბედი“.

**იუზა ევგენიძე (პროფესორი):** „ქართულ სინამდვილეში ლიტერატურის დიდ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა (ვ. ბარნოვი, გ. რობაქიძე, ს. ჩიქოვანი, გ. კვიციანი და სხვ.) კვალდაკვალ ვფიქრობთ, რომ „სულიკოში“ მოცემულია სამშობლოს ძიება, ან შესაძლებელია სულიკო დაკარგული სატრფოს სახეში პერსონიფიცირებული ღმერთის სიყვარულამდე ამაღლებული დაკარგული სამშობლოს ბედის ძიება“.

**პავლე ბერეკაშვილი (პედაგოგი):** „საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი აქვს პოეტს ალეგორიული სახით დახატული „სულიკოში“...“

რთული სურათია...

\*\*\*

უპირველესად, რა არის **სულიკო**? თ. სანიკიძის „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონში“ **სულიკო** ადამიანის საკუთარ სახელადაა გააზრებული. დღეს რომ სულიკო ადამიანის საკუთარი სახელია, ეს უდავოა, მაგრამ **აკაკისათვის** ეს ასე არაა, **იგი არაა საკუთარი სახელი...** აკაკის პოეზიაში ეს სიტყვა მხოლოდ ამ ლექსში გვხვდება (ექვსჯერ არის გამეორებული). სულიკო ილია ჭავჭავაძესაც აქვს გამოყენებული (ამას იმიტომ შევნიშნავთ, რომ **სულიკო** აკაკის შექმნილი სიტყვა ჰგონიათ): „შევმცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო **სულიკო**“, – ლუარსაბი მიმართავს დარეჯანს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა ასე განიმარტება: „**საალერსო მიმართვა საყვარელი არსებასადმი**“.

**სულიკო** წარმოქმნილი არსებითი სახელია, **სულ** ფუძისაგან **-იკო** სუფიქსით წარმოებული. ასეთივეა **გული** – **გულიკო**. ამგვარადვეა ნაწარმოები სიტყვებია:

**ფული** – **ფულიკო**, **თვალი** – **თვალიკო...**

ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა პაროდია „**სულიკოს**“ თემაზე – „**ფულიკო**“. აკაკის საპასუხო ლექსში „**ფულიკო**“ სიტყვა **ფულიკო** რამდენიმეჯერ არის ხმარებული. ამავე ლექსში გვხვდება სიტყვა **თვალიკო**. ასე რომ, ამგვარი სიტყვაწარმოება არაა უჩვეულო აკაკისათვის...

**სული** და **სულიკო**,  
**ფული** და **ფულიკო**,  
**თვალი** და **თვალიკო...**

ყველა შემთხვევაში ესაა: **ძვირფასი სული**, **ძვირფასი ფული**, **ძვირფასი თვალი...** ანუ, ესაა **საზოგადო არსებითი სახელი + იკო სუფიქსი** ძირითადი სიტყვაწარმოებითი (კნინობით-ალერსობითი) ფუნქციით...

აკაკი ბაქრაძე მიუთითებს, რომ ფრანგი მეცნიერი და მოღვაწე ბარონ დე ბაი თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილების წიგნში ამ ლექსზეც საუბრობს და განმარტავს: „**სულიკო** არის საალერსო ტერმინი, რაც ნიშნავს „**ძვირფასო სული**“... ა. ბაქრაძე არას ამბობს და, ცხადია, ჩვენც არ ვიცით, ვინ ჰყავდა კონსულტანტი ბარონ დე ბაის, მაგრამ ის ფაქტი, რომ **სულიკო** ტერმინადაა გაგებული და **ძვირფასი სულის** მნიშვნელობით იხმარება, ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება. ფაქტია: საკუთარ სახელად არ შეიძლება გავიგოთ...

ცნობილი ფაქტია: საყვარელი, სატრფო – სამშობლოს სახე-სიმბოლოა აკაკისთან. ეს ამ შემთხვევისთვისაც ასე ჩანს ( „სულიკოს“ ვგულისხმობთ). ასე რომ: **საყვარელს** (სატრფო-სამშობლოს) მიემართება **სულიკო...**

ჩვენი მთავარი სათქმელი: **სულიკო ხომ არ არის ძვირფასი სული სა-მშობლოსი?** იგივე, რაც ილიასთვის არის **თანამდევი**, **უკვდავი სული?**

ლექსში „სულიკო“ **აკაკი ხომ არ ეძებს სწორედ ამ „თანამდევი უკვდავი სულს“** (ე. ი. **ძვირფას სულს – სულიკოს**) **საქართველოსას?**

ილიას თქმით, უკვდავი სული მარად და ყველგან საქართველოსთანაა:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,  
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“...

„სადა ხარ, ჩემო სულიკო“ – **პოეტი ხომ არ ეძებს სწორედ საქართველოს ამ უკვდავი, ძვირფასი სულის ადგლსამყოფელს?** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ხომ არ არის ეს ძიება იმისა, რაშია განსხეულებული ძვირფასი სული (სულიკო) საქართველოსა?**

ამბის თხრობა თითქოს ალოგიკურია: ეძებს, იპოვა; და ისევ ეძებს, ისევ იპოვა; და კვლავ აგრძელებს ძიებას და კვლავ პოულობს... როგორც ჩანს,

**საფლავი** სამყოფელია, **ბინა** ამ ძვირფასი სულისა: „ახლა კი ვიცი, სადაც ხარ, სამგან გაქვს **ბინა**, სულიკო!..“ ე. ი. პოეტი ეძებდა და იპოვა სამყოფელი საქართველოს უკვდავი, ძვირფასი სულისა (სულიკოსი): „სამგან გაქვს ბინაო“... მაგრამ რას ნიშნავს „სამგან“? „სამად დაშლილა ის ერთი“ – რა არის „ის ერთი“, რაც „სამად დაშლილა“? „ის ერთი“ სულია საქართველოსი, ძვირფასი სული (სულიკო), რომელიც სამად არის დაშლილი, გამოვლენილი (სამება და ერთარსება!..) – ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავში:

**ვარდი** – ნაყოფი ქართული მიწისა;

**ბულბული** – ნაწილი ქართული ცოცხალი გარემოსი (მზისქვეშეთისა);

**ვარსკვლავი** – სიმბოლო ქართული ზეცისა...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკაკის აზრით, სული საქართველოსი, ძვირფასი სული (სულიკო) განსხეულებულია ყოველივე იმაში, რაც ქმნის საქართველოს, რასაც საქართველო ჰქვია: ქართულ მიწაში (სიმბოლო მიწის ნაყოფისა – ვარდი), ქართულ მზისქვეშეთში (სიმბოლო ქართული ცოცხალი გარემოსი – ბულბული) და ქართულ ზეცაში (სიმბოლო – ვარსკვლავი).

ამიტომაა ბედნიერი პოეტი – იცის, სადაა სამყოფელი მისი ქვეყნის ძვირფასი სულისა (სულიკოსი) – „ახლა კი ვიცი, სადაც ხარ: სამგან გაქვს ბინა, სულიკო“ და დამშვიდდა, აღარ ტირის „გულამოსკვნილი“:

„მენიშნა, აღარ დავეძებ  
საყვარლის კუბო-სამარეს,  
აღარც შევჩივი ქვეყანას,  
აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!...  
ბულბულს ყურს ვუგდე, ვარდს ვცნოსავ,  
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა  
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,  
ვერ გამომითქვამს ენითა!“

დასკვნასავით: **სულიკო არის ძვირფასი, უკვდავი სული საქართველოსა, რომელიც განსხეულებულია ყოველივე იმაში, რასაც ქართული ჰქვია: ქართულ მიწაში, ქართულ მზისქვეშეთსა და ქართულ ზეცაში (ქუეცკნელთა შინა, ქუეყანასა ზედა და ცათა შინა).**

GIORGI GOGOLASHVILI

**A Poetic Text Through a Linguist's Eyes**

## S u m m a r y

**1. Giorgi Leonidze's "XIII Century"**

The work "XIII Century" by Giorgi Leonidze is considered to be a poem describing the historical reality. The poet describes the Mongol invasion and the disaster for Georgia. Our attention was drawn to the verbal forms in the poem: all of them are in the present or future tenses but they describe what happened in the past. What is the reason? We paid attention to the date of the poem – the year of 1926. If we look back to the past, we will recollect that in 1921 Russia occupied Georgia. In 1924 there was a revolt against the occupants that was suppressed in blood. We think that the title "XIII Century" disguised the message of the poem. It precisifies and highlights the message – the tragedy of the 20s of XX century is compared to the situation of XIII century. The poet also sees the coming disaster. He achieved this effect through the verbal forms.

**2. Akaki Tsereteli's "Suliko"**

Akaki Tsereteli's "Suliko" is one of the most popular poems in the Georgian lyric poetry. However, it is a fact that "poetic ambiguity" is on the highest level in this poem. The questions require answers: What are the meanings of the lexical units *suliko* "Suliko", *saplavi* "grave" and *bina* "home" used in the poem? What do the symbols *vardi* "rose", *bulbuli* "nightingale" and *varsqvlavi* "star" mean? We think that "Suliko" is a precious, immortal soul of Georgia that is a part of everything called Georgian – the Georgian land (the symbol *vardi* "rose"), the Georgian land under the sun (the symbol *bulbuli* "nightingale") and the Georgian sky (the symbol *varsqvlavi* "star") or "*kuesqnelta šina, kueqanasa zeda da cata šina*" ("in the underworld, on the land and in the sky").

თამარ გუჩუა

**მშობლიური ენის საკითხი ბაქოს ქართულ  
დიასპორაში**

(მეოცე საუკუნის დასაწყისის პრესის მასალების მიხედვით)

*„კარგა დიდ, მაგრამ ოღრო-ჩოღრო ადგილზეა გადაჭიმული ქალაქი ბაქო თავისი 120 ათასი მცხოვრებით; მისი საერთო გამოხატულება უფრო აზიურ ქალაქს წააგავს... ბაქოში ცხოვრება მუდამ აფორიაქებულია, განუწყვეტელი ორომტრიალით ყურთა სმენაა დახშული. აქ ცხოვრება დულს და გადმოდის, მას არას დროს არა სძინავს; ბაქო შინაგანი საქმეებით, მრეწველობით და აღებ-მიცემობით ევროპის ქალაქებს არ ჩამოუვარდება... რას შვრება აქ ქართველი, რომლის რიცხვი დღეს ბაქოში 5000-ს აღემატება და დღითი-დღე იზრდება? რა სარგებლობა მოაქვს მას თავისი ერისათვის, თავის სამშობლოსათვის?“*

– ციტატა დამოწმებულია ვინმე ალ. ნ-ძის წერილიდან „ნავთის სამეფო“, რომელიც გაზეთ „კლდეში“ 1912 წლის რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაიბეჭდა. ავტორი საკმაოდ ვრცლად უამბობს ქართველ მკითხველს მეზობელი ქვეყნის დედაქალაქისა და იმდროისათვის იქ მცხოვრები ქართველების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ბაქოს თემა არც სხვა ქართული პერიოდული გამოცემებისთვისაა უცხო. განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა აზერბაიჯანის დედაქალაქი კავკასიაში ერთ-ერთი უმთავრესი სამრეწველო ცენტრი და სამსახურის მაძიებელთათვის საკმაოდ მსხვილი და მსაქმებელი ხდება.

ქართული პრესის მასალების თანახმად, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ბაქოში სამუშაოდ წასული და დასახლებული ქართველების რიცხვმა იმდენად იმატა, რომ რამდენიმე წელიწადში დიასპორაში თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა, როგორებიცაა მშობლიურ ენაზე მეტყველება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ქართული სახელმძღვანელოებისა და ჟურნალ-გაზეთების ხელმისაწვდომობა და ა.შ. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „ივერიაში“ 1897 წლის 128-ე ნომერში გამოქვეყნებული ვინმე „გურულის“ „წერილი ბაქოდგან“, სადაც ვკითხულობთ:

*„ბაქოში მრავალი სხვადასხვა ეროვნების ხალხია და თითქმის ყველა მათ თავიანთი საკუთარი ეკლესია, სასწავლებელი, სამკითხველო და მრავალი სხვა ამგვარი დაწესებულება აქვთ. მათ შორის მხოლოდ ჩვენ, ქართველები*

ვართ გამოკლებულნი. ჩვენდა სამწუხაროდ, არამც თუ სკოლა და ეკლესია, უბრალო სამკითხველოც კი არ მოგვეძებნება“.

იმავე 1897 წელს, გაზეთში „ცნობის ფურცელი“ 229-ე ნომერში ახალი ამბების რუბრიკაში დაიბეჭდა წერილი ბაქოში ქართული სამკითხველოს საჭიროების შესახებ:

„ამ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოთ ეტყობა ქ. ბაქოს წინსვლა. ნავთისა და მაზუტის წარმოება დღითიდღე მატულობს. ქალაქ ბაქოში შეხვდებით მრავალ ჯურის ხალხს, სხვადასხვა ხელობისას, რომლებსაც აქვთ თავიანთი ეკლესია, სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა მრავალგვარი საზოგადო დაწესებულება. მაგრამ ამათ შორის მცხოვრები ქართველები ერთობ ჩამორჩენილან ამ მხრით უკან, ბაქოს ქართველებს არ აქვთ თავიანთი სამშობლო ენაზე დაარსებული ეკლესია... აგრეთვე სკოლა და ბიბლიოთეკა. ქ. ბაქოში უბრალო მუშას და წერა-კითხვის არამცოდნე ქართველს არა მგონია შეხვდეთ, ისე ნასწავლები და დიპლომირებულნი ბევრია! ნუთუ ვერ მოუხერხებიათ სამკითხველოს დაარსება, რომლის ნებას მთავრობა არ დაუშლიდა“.

„ცნობის ფურცელის“ იმავე წლის 494-ე ნომერშიც ვხვდებით ნიკო დოლიძის წერილს სამკითხველოს უქონლობის შესახებ:

„თითქმის ყველა დაბებიდან და ქალაქებიდან გვესმის – ეს სამკითხველო, ეს საკვირაო სკოლა და სხვ. დავაარსეთო. ჩვენ კი, ბაქოს ქართველი საზოგადოება, ტკბილს ძილს მივცემივართ და აღარ ვფიქრობთ გამოღვიძებას. აქ, როგორც დიდსა და სააღებ-მიცემო ქალაქში, მრავლადა ვართ ქართველები, რიცხვით სამი ათასამდე ვიქნებით“.

მიზეზი იმისა, თუ რატომაც საუბრობდა ბაქოს ქართული დიასპორა ქართულენოვანი სამკითხველოსა თუ სკოლების გახსნის შესახებ ასე აქტიურად და გულისტკივილით, კარგად არის ნაჩვენები გაზეთში „კლდე“, 1912 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილ წერილში „ქართველობა ბაქოში“, სადაც ვკითხულობთ:

„ბაქოში მცხოვრებ ქართველი ინტელიგენტის ოჯახში რომ შეხვიდეთ, რომელიმე ევროპიელ არისტოკრატის სახლში გეგონებათ თქვენი თავი. ერთ სიტყვას ქართულს ვერ გაიგონებთ, ერთ ქართულ წიგნს ვერ ნახავთ და ქართული გაზეთის ჭაჭანება ხომ დიდი ხანია აქ გაწყვეტილია... რომელიმე დაწესებულებაში რომ მიხვიდეთ და ნაცნობს ქართველს შეხვდეთ, თქვენ ქართულ კითხვაზე რუსულად გიპასუხებთ და, თუ გაჯიუტდით და კითხვა მშობლიურ ენაზე განუმეორეთ, შენიშვნას მოგცემთ „რუსულად მელაპარაკე“-ო... გული გეთუთქება, როდესაც ყურს უგდებ აქაური ქართველების რომელიმე კრებას, ყრილობას ან ქეიფს, ისე თავდება აქ ბაასი, რომ ერთ ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებთ... ბაქოში შეხვდებით უმაღლეს სწავლა დამთავრებულ ქართველს, ექიმს, ვეჟილს, ინჟინერს, რომელმაც ქართული ლაპარაკი არ იცის; იქნება იცის კიდეც, მაგრამ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი სამარცხვინოდ მიაჩნია, მისგან ქართული სიტყვა ჯერ არავის გაუგონია... აქ ისეთ ქართველსაც შეხვდებით, რომელმაც არ იცის რუსული ლაპარაკი „მაია-თვია“-ს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც თავს ძალას ატანს და „პორუსკობს“. აქ შეხვდებით ჟურნა-

ლისტს, რედაქტორს, რომელნიც ქართულ ენასთან მწყრალოდ გახლავან... 7-8 წლის ბავშვი, რომელიც ამტვრევს და ღეჭავს როგორც მშობლიურ ენას, ისე რუსულს, მიჰყავთ აქაურ საშუალო სასწავლებელში, სადაც იგი ქართულ ენას მოკლებულია“.

მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ბაქოში იწყება ე.წ. „ქართული საღამოების“ გამართვა, რომელსაც, პრესის მასალების თანახმად, საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართველი ესწრებოდა. ერთ-ერთი ასეთი საღამოს შესახებ საუბარია პ. მაჭავარიანის წერილში, რომელიც გაზეთ „ივერიის“ 1903 წლის 24-ე ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი მოგვითხრობს რუსული დრამატული წარმოდგენის შესახებ, რომელიც ერთ-ერთ ასეთ საღამოზე დაუდგამთ და წერილის ბოლოს სვამს კითხვას:

*„რისთვის ეძახდნენ ამ საღამოს ქართულს“? რა იყო აქ „ქართული“?! არაფერი, გარდა შემწვარ გოჭისა, ინდაურისა, მოხარშულ ბეჭისა და საწებელ-საცივისა. ნუთუ არ შეიძლებოდა რომ საღამოზე რაიმე „ქართულს“ ჰქონოდა და თმობილი ადგილი? ნუთუ არ შეიძლებოდა დაბარება ტფილისიდან ან ქართველ არტისტებისა, ან მომღერლებისა? მით ეჩვენებინათ სხვებისთვის თავიანთი თავი, მით მაინც გაემართლებინათ სიტყვა „ქართული საღამო“!*

ქართულ დისპორაში მშობლიური ენის ირგვლივ არსებულმა ამ გარემოებმა განაპირობა ის, რომ 1908 წლის ბოლოსთვის ბაქოში მცხოვრები ქართველები აქტიურად ალაპარაკდნენ იმდროისათვის საქართველოში საკმაოდ პოპულარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების – ბაქოს ფილიალის გახსნაზე. პირველი ოფიციალური ჩანაწერი ამ საქმეში 1908 წლის 5 სექტემბრით თარიღდება (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა ბაქოს განყოფილებასთან, მოხსენებები და ოქმი განყოფილების მუშაობის შესახებ – 1908 წ. სექტემბრის 1913 წ. დეკემბრის 31. 1073 (N2053). ბაქოელი ქართველი რაჟდენ ნაცვლიშვილი წერს: „აქ, თვით ბაქოში, აქ მის რაიონში, სურთ გახსნან ამ მოკლე ხანში საკვირაო სკოლა რუსულ-ქართული წერა-კითხვის საზოგადოების სახელით და გთხოვთ შეგვატყობინოთ ერთი კვირის განმავლობაში – შეუძლიან თუ არა გამგეობას ითავოს, რომ აქ გახსნას საკვირაო სკოლა ზემო აღნიშნული ტიპისა. არავითარ მატერიალურ დახმარებას აქაური კომისია არ თხოულობს, გარდა ამ ზრუნვისა“.

მოგვიანებით, განყოფილების დაარსების მიმოხილვაში გაკეთდა ასეთი ჩანაწერი:

*„1909 წელს 1 თებერვალს მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება საზოგადოების ადგილობრივ წევრთა. კრებას დაესწრო 30 წევრი. კრებამ ერთხმად დაადასტურა სურვილი ადგილობრივი განყოფილების დაარსებისა“.*

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალის პირველი კრება გაიმართა 1909 წლის 3 მაისს, სადაც სამოქმედო გეგმა იქნა წარმოდგენილი. გეგმაში გაიწერა: 1) ქართული სკოლის გახსნის საკითხი, ვინაიდან გამგეობა დარწმუნებული იყო, რომ ქართული სკოლა იქნებოდა შემაერთებელი ძალა დაქსაქსული ქართული დიასპორისთვის

და დიდ დახმარებას გაუწევდა ბაქოელ ქართველებს მშობლიურ ნიადაგზე შვილების აღზრდასა და მათ ქართველ ერთან დაახლოებაში; 2) უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება; 3) საკვირაო სკოლის გახსნა და სახალხო კითხვების მოწყობა; 4) ქართული ისტორიისა და ლიტერატურის ლექციების დაგეგმვა, რადგან ბაქოს სასწავლებლებში იმდროისთვის ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მშობლიური ენისა და ისტორიის შესწავლას.

პირველდაწყებითი ქართული სკოლა ბაქოში 1909 წლის 4 ოქტომბერს გაიხსნა. უმთავრეს საგნად მიჩნეული იყო ქართული ენა. საზოგადოების ჩანაწერების მიხედვით, იმდროისთვის სკოლაში სულ 45 ბავშვი სწავლობდა. როგორც ჩანაწერებში ვკითხულობთ, მსურველთა რიცხვი თანდათან მატულობდა, მაგრამ მათ დაკმაყოფილებას ხელს უშლიდა სკოლის შენობის სივიწროვე.

სკოლის გახსნას გამოეხმაურა ქართული პრესაც. გაზეთ „კლდის“ 1912 წლის მე-7 ნომერში ვკითხულობთ:

*„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობამ ბაქოში გახსნა უფასო საკვირაო სკოლა და იმას, ვინც არ დაიზარებს სიარულს, ასწავლიან თავისუფალ წერა-კითხვას, ანგარიშს... ვინც იცის წერა-კითხვა და მომზადებულია ცოტად თუ ბევრად, განზრახულია, იკითხონ ლექციები ქართული ისტორიიდან, მწერლობიდან და სხვა. პატარებისა და სრულიად უსწავლელთა სწავლება იკისრეს ადგილობრივმა მასწავლებელმა ქართველმა ქალებმა უსასყიდლოდ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან... ამ მაზუთის ქვეყანაში, დამორებულთ თითქმის ყოველსავე ჩვენსას, რომელნიც მოკლებულნი ვართ ჩვენს სამშობლო ენაზე ლაპარაკსაც კი, რაღა თქმა უნდა, სასიამოვნო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ეს ახალი მოვლენა, რომელიც შეიძლება შემაერთებელ ხიდად გახდეს ჩვენსა და მოწყვეტილ ქართველ საზოგადოების შუა“.*

1914 წლის ანგარიშში არის ასეთი ჩანაწერი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების მოქმედების დახასიათება“, სადაც ვკითხულობთ:

*„ადგილობრივი განყოფილების დაარსების უმთავრეს მიზნად დასახული იყო ბაქოელ ქართველთა შეერთება-შეკავშირება, მათ შორის თვითცნობიერების განვითარება ეროვნული საკითხებისადმი, ინტერესის გაღვიძება და ეროვნული ინტერესების შეძლებისდაგვარად დაცვა. საზოგადოების განყოფილება მისი დამაარსებლების აზრით, იმ კულტურულ ცენტრად უნდა გამხდარიყო, რომლის გარშემოც ქართველობას შესძლებოდა შეფარება და კულტურული მუშაობა ეროვნულ ნიადაგზე. ყველასთვის ცხადია, რომ იმ პირობებში, რომლებშიც იმყოფება უმრავლესი ნაწილი ბაქოელი ქართველებისა, ქართველობა თანდათან ივიწყებს მშობლიურ ენას, სწყვეტს კავშირს სამშობლოსთან და გადაგვარების გზას ადგება“.*

ქართული სკოლის იდეამ გაამართლა. 1915 წლის ანგარიშის თანახმად, სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო კომისია სკოლაში გამოცდებს დაესწრო და ასეთი აზრი გამოთქვა: „სკოლა და მისი ცხოვრება ფრიად სასიამოვნო შთაბეჭ-

დილებას ახდენს. მოწაფეებს სკოლის ყველა განყოფილებაში სათანადო განვითარება და გონების სიმკვირცხლე ეტყობათ, შესაფერ მასალას ყველგან კარგათ ჰკითხულობენ და წაკითხული მასალის გადმოცემაც თავისუფლათ და შეგნებით ეხერხებათ“.

საინტერესოა, რომ მშობლიურ ენაზე საქართველოს ისტორიიდან საინტერესო ფაქტებს ქართველი მეფეებისა და სხვადასხვა საგმირო საქმის შესახებ ბაქოს ქართული სკოლის მოსწავლეები ხშირად ქალაქის ადგილობრივი ისტორიული ძეგლების მაგალითზე ეცნობოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ჟურნალ „ნაკადულის“ 1915 წლის მე-10 ნომერში ბაქოს ქართული სკოლის მესამე განყოფილების მოსწავლის, ვინმე ზინა ცხვედიანის წერილი „თამარის დღეობა“:

*„პარასკევს, პირველ მაისს, იყო დღეობა საქართველოს მეფისა, ბრწყინვალე და დიდებული თამარისა. მესამე გაკვეთილზე მასწავლებლებმა ყველა განყოფილების მოწაფეები შეგვეკრიბეს დერეფანში და რიგრიგად დაგვაწყვეს. წასვლის წინ მასწავლებლებმა აგვიხსნეს, თუ ვისი დღეობა არის დღეს, ვინ იყო ბრწყინვალე და დიდებული. გავემგზავრეთ სასეირნოთ ჯერ ბაღებში, მერე კი „ქალწულის კოშკისაკენ“. როცა მალა ავედით, მასწავლებელმა აგვიხსნა, თუ რას შვრებოდნენ ამგვარ ციხეებში ჩვენი წინაპრები, ქართველი მეომრები, დიდი თამარისა და სხვა დროს, როგორ გმირულად იცავდნენ სამშობლოს უბედურებისგან“.*

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო გარემოება: მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პრესაში ბაქოს თემა, იქნება ეს პოლიტიკური თუ კულტურული ხასიათის ინფორმაციები, ყოველთვის იბეჭდებოდა ან ცალკე საგაზეთო პუბლიკაციის სახით, ან საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი სიახლეების ამსახველ ისეთ რუბრიკებში, როგორებიც იყო, მაგალითად „ახალი ამბავი“, „შინაური ქრონიკა“ და არასოდეს უცხოეთის ამბების განყოფილებაში. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში კავკასია და კერძოდ, აზერბაიჯანი არ განიხილებოდა უცხოეთად და ყველაფერი ის, რაც ხდებოდა მეზობელ ქვეყანაში, იმდროინდელი ქართველისთვის სწორედ რომ „შინაური ამბავი“ იყო.

### დამოწმებული წყაროები

**„ახალი სხივი“** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, თბილისი, 1910, №4.

**„განათლება“** – სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურული ჟურნალი, თბილისი, 1914, №6-7; 1916, №3.

**„თეატრი და ცხოვრება“** – თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი, თბილისი, 1914, №25.

**„ივერია“** – პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, თბილისი, 1897, №128; 1901, №214; 1903, №24; 1904, №90.

„კლდე“ – საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი, თბილისი, 1912, №4-9.

„ნაკადული“ – ახალგაზრდული ჟურნალი, თბილისი, 1915, №10.

**საარქივო ფონდი №481 (ა)** – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა ბაქოს განყოფილებასთან, მოხსენებები და ოქმი განყოფილების მუშაობის შესახებ. თბილისი, 1908-1913 წწ. 1073 (№2053).

**საარქივო ფონდი №481 (ბ)** – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა ბაქოს განყოფილებასთან, მოხსენებები და ოქმი განყოფილების მუშაობის შესახებ. თბილისი, 1915-1919 წწ. 1487 (№6018).

„**ცნობის ფურცელი**“ – საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, თბილისი, 1897, №229; 1898, №489; 1898, №494; 1904, №2420; 1903, №2145; 1903, №2156.

TAMAR GUCHUA

## **The Issue of the Native Language in the Georgian Diaspora of Baku**

(Based on the Press of the Early 20<sup>th</sup> Century)

### S u m m a r y

According to the Georgian press, from the end of the 19th century to the beginning of the 20th century, the number of Georgians who went to work in Baku and settled there had increased so dramatically that in several years the problems of communication in the native language, access to the education in the native language, the availability of the Georgian textbooks, etc. emerged in the diaspora.

These circumstances led to the fact, that by the end of 1908 the Georgians living in Baku started to actively discuss the necessity of opening the Baku branch of the cultural-educational organization established in Georgia – The Society for the Spreading of Literacy among Georgians. The first official record of this case dates back to September 5, 1908. The paper discusses the activities and outputs of the branch office in connection with the problems of the native language existing in the Georgian Diaspora of Baku.

მაკა თეთრაძე

## ლეზგიურ აფიქსთა შედგენილობა და ფონოტაქტიკური თავისებურებანი

დერივაცია და ფლექსია ორი განსხვავებული მოვლენაა, რომელთა დროსაც კონკრეტულ აფიქსს თავისი ფუნქცია აქვს: ფლექსიური აფიქსები გრამატიკულ მნიშვნელობას ცვლის ოდენ (კაც-ი, კაც-მა), ხოლო დერივაციული აფიქსები – სიტყვას მნიშვნელობას უცვლის და ხშირად ახალ მეტყველების ნაწილს აწარმოებს (ბედნიერი, ბედნიერება).

ამგვარად, ფლექსიის დროს აფიქსი განსაზღვრავს ძირის შესახებ გრამატიკულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს: რიცხვი, ბრუნვა, სქესი, კლასი, დრო, ასპექტი და სხვ. აგლუტინაციური ენებისთვის, იდეალურ შემთხვევაში, ერთი აფიქსი ერთი გრამატიკული კატეგორიის, ინფორმაციის მატარებელი უნდა იყოს, თუმცა, როგორც ცნობილია, წმინდად აგლუტინაციური ენები არ არსებობს და მათთვის მეტნაკლებად დამახასიათებელია ფუზიური ენებისთვის ნიშანდობლივი კუმულაცია (სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვა ერთი აფიქსით).

ჩვენი მიზანია აფიქსთა დახასიათება და ფონოლოგიური ანალიზი (resp. შედგენილობა) ლეზგიურ ენაში. ანალიზამდე საჭიროა ენის მონაცემების შესაბამისი კლასიფიკაცია თუ ძირითადი ალომორფების განსაზღვრა.

### I. ფლექსიურ აფიქსთა დახასიათება

გრამატიკული მორფემების კლასიფიკაციასათვის გამოვიყენეთ რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის, რ. ვილერმანის აფიქსთა კომპლექსურობის (სირთულის) ტაბულა, რომელიც ფონემათა არტიკულაციის მგომარეობის, საწარმოთქმო ადგილისა და არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით შემუშავდა (ვრცლად იხ. ვილერმანი 1994, ბაიბი 2005)<sup>1</sup>:

<sup>1</sup> რ. ვილერმანმა კვლევისთვის შეიმუშავა კომპლექსურობის (სირთულის) ტაბულაცია, რომელიც არტიკულაციის მგომარეობისა და საწარმოთქმო ადგილისა და არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით გაკეთდა, გაიყო ძირითადი და კომპლექსური ანუ პენალიზებული (მისი ტერმინით) ფონემები:

**ძირითადია:** ბილაბიალური, ლაბიო-დენტალური, დენტალური, ალვეოლარული, პალატალური, ველარული, გლოტალური..

**პენალიზებულია:** პალატო-ალვეოლარული, რეტროფლექსური, უვულარული, ფარინგალური, ლაბიო-ველარული...

ა) ფლექსიური ფორმანტები შეიძლება დავყოთ ძირითად და მეორეულ ფორმანტებად. ძირითადში იგულისხმება გამოყენების უპირატესობა, ასევე ფორმანტის ისტორიული უპირატესობა; მეორეულში ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, ძირითად ფორმანტთა ალომორფებს, რომლებიც ფონეტიკურადაა შეპირობებული და, მეორე მხრივ კი, იმავე ფონოლოგიური ინვენტარის გამოყენებით რედუქლიცირებულ ანდა ხმოვნით გართულებულ ახალ ფორმანტს, რომელსაც შეიძლება დამატებითი, განსახვავებული ფუნქცია ჰქონდეს.

ბ) ფორმანტების რთულად და მარტივად დაყოფა გულისხმობს მათ სტრუქტურულ თავისებურებას: ერთი, მარტივი მორფემაა თუ ორი ან მეტი მორფემის შერწყმის შედეგია ფორმანტი.

გ) ფლექსიურ ფორმანტებს განვიხილავთ ასევე მარცვლის სეგმენტური სტრუქტურის მიხედვითაც. აქ იგულისხმება ფორმანტი ოდენ ხმოვანია ან თანხმოვანი თუ თანხმოვანთა და ხმოვანთა კომბინაციაა.

დ) ფლექსიურ ფორმანტთა გამოყენების ადგილის მიხედვით განვასხვავებთ პრეფიქსებსა და სუფიქსებს (ლეზგიურის შემთხვევაში მხოლოდ ამ ორი ტიპის აფიქსები გვხვდება ფლექსიაში, ამიტომაც მხოლოდ მათ განვიხილავთ).

შესაბამისად, სახელებისა და ზმნებისათვის აფიქსთა შემდეგნაირი ცხრილი მივიღეთ, რომელშიც პირველ სვეტში აღნიშნულია ძირითადი აფიქსები, ხოლო მეორე სვეტში – მეორეული (განმარტებისათვის იხ. ზემოთ):

ძირითადი	მეორეული	ფუნქცია
-დი	-ადი; -ედი; ცი, -წი, -ჭი, -ჩი, -ჯი, -ძი, -თი, დი, -ჟი, -ზი	ერგ.
-ნი	-უნი, უნი, -ანი	ერგ.
უ		ერგ.
უ̇		ერგ.
ე		ერგ.
ა		ერგ. ადგ. 1
რა	-რე, -რ̇	ერგ.
ი	-უ, -გ	მრ. რ. გამოს. 1
ნ		ნათ.

ზ		მიც.
წ	წ, ე	ადგილ.
ჭ	გ	ადგილ.
ჭ	ხ	ადგილ.
ქ		ადგილ.
ჭწ	გწ, გწ, ჭწ, გწ, ჭწ, გწ, ჭწ, გწ, ჭწ, გწ, ჭწ	ადგილ.
ჭწ	ჭწ, ჭწ, ჭწ, ჭწ	ადგილ.
ჭ:წ	ჭ:წ, ჭ:წ, ჭ:წ, ჭ:წ	ადგილ.
ჭდი	გდი, ჭზი, გზი	ადგილ.
ჭდი	ხდი, ჭზი, ხზი	ადგილ.
ჭ:დი	ჭ:ზი	ადგილ.
ლ		ადგილ.
ლდი	ლზი	ადგილ.
უნ	უნ, გნ	მასდ.
ინ		მასდ.
ზ	უზ, უზ, აზ, იზ, ეზ, ანზ, ენზ, ჭაზ, ჭანზ, ჭეზ, ჭენზ	აბსოლუტ.
ნა	ანა	ნამყო ძირ.
და	დ, ზ	მყოფადი
ადა	რა	ნამყო სრული
ღ		ნამყო უსრული
-ნ		ბრძ. 1-ლი პ.

-ურ		ბრძ. მე-2 პ. (ზმნათა ნაწილი)
ლა		დროის მაქვემდებარებელი ფორმა
ა		ბრძან. კაუზატ. ფორმაზე დართვით
მიშ		ბრძან.
მ-	მირ	უკუთქმითი ბრძანებითი
ტტ-	ტა, ტე, ტი, ტუ, ტუ, ტუ, თუ, და, დე,	უარყოფითი
ჩ	ჩირ, შ	უარყოფითი
-ნი		კითხვითი
ტ		კავშირებითი
ᄁრ		კაუზატივი, მრ. რ.
ხ-, ჯ-, ჯ:-		განმეორებითობა

ბ) იგივე აფიქსები მარტივ და რთულ ფორმანტებად დაყოფისას შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

მარტივი	რთული	შენიშვნა
ჭ	ჭდი	იმავე პრინციპით იწარმოება ამ აფიქსთა სხვა ზემოთ აღნიშნული ალომორფები
დი		
ჭ	ჭდი	
დი		
ჯ:	ჯ:დი	
დი		
ლ	ლდი	
დი		

ა		გამოსვლითის ჯგუფის მაწარმოებელია გრძელი ხმოვანი, რომელიც ადგილობითისა და გამოსვლითის ხმოვნების (ა+ა, ე+ა) შერწყმის შედეგადაა მიღებული, სწორედ ეს ხმოვანი მეორდება მე-2, მე-3, მე-4, მე-5 გამოსვლით ბრუნვებში, თუმცა ორთოგრაფიულად ეს ნიუანსი არ გამოიხატება (იწერება აჩ, ეჩ).
ა	ა, ე, ე	
	უა, აა, ა: ა	ამ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ორი სხვადასხვა ბრუნვის ხმოვნის შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვანი ემატება ბრუნვათა სპეციფიკურ ნიშნებს.

როგორც აღიქვამდა არ განვიხილავთ -უდი, -ედი, -უნი და მისთ., რადგანაც ამ შემთხვევებში დამატებულ ხმოვნებს მორფოლოგიური ფუნქცია არ აქვთ (თანხმოვანთგამყარს წარმოადგენენ). ცხრილში ასევე არ შევიყვანეთ ის ზმნური სუფიქსებიც, რომლებიც ფუნქციის თავისებურებიდან გამომდინარე არ იმლება.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, ფლექსიური ფორმანტები შემდეგ სტრუქტურულ ვარიანტებადაა წარმოდგენილი: V, C, VCV, CV, CCV, CVC. აქედან V, C, CV ძირითად სტრუქტურული ერთეულებია, მათგან ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი CV სტრუქტურის ერგატივის ნიშანია, რომლის C ფონეტიკურ ვარიანტებს გვამღვეს ხშირად ფუძის სტრუქტურის შესაბამისად (ვრცლად ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა). VCV სტრუქტურის პირველი ხმოვანიც ფუძისეული ხმოვანითაა განპირობებული. საინტერესოა CCV სტრუქტურა, რომელიც რთული ფორმანტია და ორი აფიქსის შერწყმის შედეგადაა მიღებული, CC კომპლექსის პირველი თანხმოვანს (ჯდი, ქდი, ლდი...) ერთვის ერგატივის CV სტრუქტურის ფორმანტი, კომპლექსებში არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს და ვარიანტთა მრავალფეროვნება დიალექტებითაა განპირობებული; მაგ., ახტის დიალექტში -ზი ფორმანტია პროდუქტიული. CVC სტრუქტურის ფორმანტები ზმნურ ფუძეებთან შეგხვდა, ამათგან -მირ უარყოფითობის მაწარმოებელს ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს შენარჩუნებული, როცა სუფიქსად ერთვის ზმნურ ფუძეს, მაგრამ იგივე აფიქსი შეიძლება ინფიქსად ან პრეფიქსადაც შეგხვდეს, ამ შემთხვევაში ოდენ -მ- ან -მV- ვარიანტი გვხვდება. -მიმ სუფიქსი აზერბაიჯანულიდან შესული ფორმანტია. -ჩირ გვხვდება ნამყო უსრულის I-სა და II-სთან, რომლე-

ბიც -თი იწარმოებიან. -ჩირ სუფიქსის დართვისას -ფ- დროის ფრომანტი იკარგება (თოფურია 1959: 67). გ. თოფურიას -ჩირ და -მირ სუფიქსები რთულ ფორმებად, და შესაბამისად, ზმნური წარმოშობისად მიაჩნია: “ისინი ერთი და იგივე ზმნა უნდა იყოს უარყოფის სხვადასხვა პრეფიქსით წარმოდგენილი”. (თოფურია 1959: 67).

საინტერესოა CCV სტრუქტურა, რომელიც რთული ფორმანტია და ორი აფიქსის შერწყმის შედეგადაა მიღებული, CC კომპლექსის პირველ თანხმოდანს ერთვის ერგატივის CV სტრუქტურის ფორმანტი, კომპლექსებში არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს და ვარიანტთა მრავალფეროვნება დიალექტებითაა განპირობებული; მაგ., ახტის დიალექტში -ზი ფორმანტია პროდუქტიული.

ლუზგიურში, როგორც ვნახეთ, ორი ტიპის ფლექსია გვაქვს: სუფიქსაცია და პრეფიქსაცია. აქედან სახელებისთვის მხოლოდ სუფიქსაციაა დამახასიათებელი, ხოლო ზმნურ ფუძეებს შეიძლება პრეფიქსიც ერთვოდეს; ზმნაში პრეფიქსებით გამოვხატავთ უარყოფითობას, თუმცა ეს არაა ერთადერთი საშუალება ფორმების საწარმოებლად.

დიალექტური მასალის ანალიზით ირკვევა, რომ ერგატივის (და მისი საშუალებით ნაწარმოებ ადგილობითი ბრუნვების) ნიშანი -თი მხოლოდ ყურახულ დიალექტში გვხვდება, -ფი – გიუნეურსა და ახტის დიალექტში, -დი-ს ფარდი დოქუზბარის დიალექტში -ზი არის. ასევე, მრავლობითის ფორმანტი -უ მხოლოდ იარკიულ და ნაწილობრივ გიუნეურ დიალექტში გვხვდება, ხოლო გ – ახტის დიალექტშია პროდუქტიული. დიალექტურია ასევე ადგილობითი ბრუნვის ნიშნად სონანტი ჟ-ს მაგიერ უკანაენისმიერი მჟღერი ხშული გ-ს და მისი ლაბიალიზებული ვარიანტის (გ<გ) გაჩენა და -ჩ უარყოფითობის მაწარმოებელის -შ ვარიანტი ახტის დიალექტში ვლინდება.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტი ვარიანტი ერგატივისთვის გვაქვს, ერთი მხრივ, სხვადასხვა აფიქსი გამოყენებული ერთი და იმავე ფუნქციით (-დი, -ნი, -უ, -ჟ, -ა, -რა), მეორე მხრივ, ძირითად ფორმანტთა ალომორფები, რომლებიც კიდევ ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ისინი, რომლებიც მხოლოდ დიალექტებში დასტურდება, ხოლო მეორე ჯგუფში შევა ის ალომორფები, რომლებიც ფონოლოგიურად ან სემანტიკურად არის განპირობებული, და ამდენად, სალიტერატუროშიც და დიალექტებშიც ერთნაირად გამოვლინდება. მაგ., -დი გვხვდება შემდეგი ტიპის სახელებთან: ა) ხმოვანფუძიან სახელებთან ადა-დი; ბ) ორ- და მეტ-მარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებთან; გ) უცხო წარმოშობის ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებთან. აღსანიშნავია, რომ -დი სუფიქსით იწარმოება 255-მდე ერთმარცვლიანი სიტყვა, რომელთაგან 25-30-ია მხოლოდ საკუთრივ ლუზგიური (გაიდაროვი 1966, მეილანოვა 2003). ის ერთმარცვლიანი CVC ტიპის სახელები, რომლებშიც ფუძის ბოლო თანხმოვანია სონანტი ან სონორი (ფ, ჟ ლ, მ, ნ, რ), ერგატივს აფორმებენ -დი ან მისი ფონეტიკური ვარიანტებით. თუ რომელი ალომორფი გაჩნდება, დამოკიდებულია ფუძის შედგენილობაზე, კერძოდ, ანლაუტის თანხმოვანზე. ამგვარად, გვაქვს დისტანციური ასიმილაცია: ანლაუტის თანხმოვანი თვისობრივად იმსგავსებს ფორმანტისეულ მჟღერ ხშულს. ასიმილაცია სრული ან ნაწი-

ლობრივია: მკვეთრი ხშული გვამღვეს წ-ს (წარ-წი, ტარ-წი, ყენ-წი წეჴწი), მკვეთრი ალვეოლარული ჭ ფუძეში ფორმანტს სრულად იმსგავსებს (ჭარ-ჭი); მჟღერი წინასასისმიერი ან ალვეოლარული სპირანტი სრულად იმსგავსებს მჟღერ დენტალურ ხშულს (ჟინ-ჟი, ზინ-ზი...), ამასთან, დიალექტებში სხვა შემთხვევებიც დასტურდება იმ ფუძეებთან, რომლებიც სალიტერატურო ლეზგიურში -უნი, -ინი სუფიქსებით აწარმოებენ ერგატივს: ყურახულში ტემ-თი შდრ. სალიტ. ტაჩ-უნი; ყურახ.: ყეჩ-თი შდრ. სალიტ. ყეჩ-უნი (გაიდა-როვი 1987 : 84; მეილანოვა 1987 : 152).

თუ ამ ფორმანტის ისტორიულ ასპექტს შევხებით, მაშინ უნდა გავიზიაროთ სპეციალისტთა მოსაზრება, რომ <დი> <რი> <ი> <ი> <ი> გზა შეიძლოდა გაეგლო ნიშანს, თითოეულის მაგალითები დიალექტებში მოიპოვება, რაც ვარიანტთა ვალიდურობას მოწმობს.

ფუძის სტუქტურის თავისებურებას უკავშირდება ასევე აბსოლუტივის ზ-ის მეორეული ვარიანტების გაჩენა. მაგ. ლაბიალური ელემენტი ფორმანტში მაშინ ჩნდება, თუ ფუძე თავდება გ, ქ, კ, ჯ, ჯ:, ყ, ხ თანხმოვნებზე (თოფურია 1959: 18; უსლარი 1872: 208).

ზმნის სრული ფორმების წარმოება -ა ან -რა სუფიქსის მეშვეობით ხდება, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია ზმნის ფუძისეული ხმოვნის თვისებაზე: ლაბიალური უ, უ ფუძეში მოითხოვს აფიქსს -რა'ს, ხოლო სხვა ხმოვნების შემთხვევაში – -ა გვექნება.

ფორმანტთა ანალიზისას იკვეთება ერთი საკითხიც, არის თუ არა ბუნებრივი ის თანხმოვანთმიმდევრობები ფუძისთვის, რომლებიც რთულ ფორმანტებში გვხვდება?

ჩვენ შევამოწმეთ, თუ გვქონდა უდ მიმდევრობა და აღმოჩნდა, რომ

სულ შვიდი სიტყვა-ფორმა გვაქვს, აქედან ორი ზმნიზედაა და იქაც უდ მიმდევრობა სწორედ მორფემათა მიჯნაზეა შექმნილი: битавдаказ, битавдиз, მსგავს კატეგორიას მიეკუთვნება ფუძეგაორმაგებული სიტყვა девдев, дивдив, ხოლო შემდეგი ორი ნასესხები სიტყვებია ლექსიკონში: савда, савдагар.

იგივე შეიძლება ითქვას **ჯ:დ** თანმიმდევრობაზეც, რომელიც არ გვხვდება ძირეულ ლექსიკაში, მხოლოდ ერთი სიტყვა დაფიქსირდა зулухъди ზმნიზედაა და აქაც მორფემათა მიჯნაზე შექმნილი კომპლექსი უნდა იყოს (-დი ზმნიზედის მაწარმოებლის ფუნქციით); გდ კომპლექსიც ზმნიზედათა წარმოების შემთხვევაში გვხვდება гележегда – „მომავალში“, მისი დიალექტური ვარიანტებიდან უზ-ს შემთხვევა არ გვაქვს, ხოლო გზ ერთ ნასესხებ სიტყვაში გვხვდება, სიტყვის ანლაუტში **გზა** და მის ლექსიკურ ვარიანტებში, დიალექტურად დაფიქსირებულია მისი გახმოვანებული ვარიანტიც (**გოზა**).

იმავეს თქმა შეიძლება დიალექტურ ვარიანტზე ხდ ачухдаказ, აქაც ზმნიდელის წარმოებასთან გვაქვს საქმე, ქდ-ც და ლდ კომპლექსიც მხოლოდ მორფემათა მიჯნაზე გვხვდება кyxкдиз-, ხოლო მცირე შემთხვევაში ნასესხები ლექსიკის ფუძის კუთვნილებაა. აქედან გამომდინარე ის CC მიმდევრობები, რომლებიც ფლექსიურ ფორმანტებში ფიქსირდება, ძირის სტრუქტურისთვის უცხოა.

## II. ფონემათა ინვენტარი ფლექსიურ ფორმანტებში

როგორც აფიქსთა დახასიათებისას გამოჩნდა, ხმოვნების ინვენტარის სრული შემადგენლობა გვხვდება ფორმანტებში, რომელთა განაწილება უმეტეს შემთხვევაში ფუძის სტრუქტურაზეა დამოკიდებული, თუმცა არა ყოველთვის – ზოგიერთ შემთხვევაში ჰარმონიზმის პრინციპი არ მოქმედებს.

სახელური ფლექსიის თანხმომავი ნაწილი ასე გამოიყურება: **დ, ნ, რ, ზ, უ, გ, ჯ, ჯ\*, ხ, ქ, ლ, ფ, ღ, ც, წ, ჩ, ჰ, ძ, ჯ, თ, ა, ყ, ზ**

ზმნური ფლექსიის თანხმომავი ნაწილი ასე გამოიყურება: **ა, რ, ლ, მ, ნ, დ, ტ, თ, თ\*, ზ, ჩ, შ, ხ, ჯ, ჯ\***

ამდენად, თუ გავაერთიანებთ ფორმანტთა თანხმომავი ინვენტარს სალიტერატურო თუ დიალექტური ვარიანტებით, მივიღებთ შემდეგ სურათს:

სონანტები და სონორები: **ა, უ, რ, ლ, მ, ნ**

სპირანტები: **ღ\*, ზ, ყ\*, შ\*, ხ**

ხშულები: **დ, თ, თ\*, ტ, გ\*, გ, \*, ქ,**

აფრიკატები: **ძ\*<sup>1</sup>, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ**

სპირანტების ჯგუფში ზ ძირეულ მორფემათა შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ზ მიცემითი ბრუნვის და ასევე აბსოლუტივის მაწარმოებელია, **ღ** ადგილობითი რთული ფორმანტის ბოლოკიდური თანხმომავანია ახტის დიალექტში, როგორც ჩანს, მარცვლის დახურვას უნდა ემსახურებოდეს მისი გაჩენა. **ყ\*, შ\*** აზერბაიჯანულ ენასთან უშუალო კონტაქტის მქონე დიალექტებში განვითარებული დეზაფრიკატიზაციის შედეგია.

რაც შეეხება ხ- განმეორებითობის აფიქსს ზმნებში, რომელიც სახელებში ადგილობითი ბრუნვის ფორმად გვევლინება, წარმოშობით ლექსიკური ერთეული უნდა იყოს, რომელსაც გრამატიკალიზაციის გზა გაუვლია. ამდენად ხ- გრამატიკულ ფორმანტთა ძირითად სიაში ვერ ჩაიწერება.

საგულისხმოა უ-ს ფონეტიკური გადასვლა გ-სა და მის ლაბიალიზებული ვარიანტში დიალექტებში. ესაა ერთადერთი შემთხვევა, როცა ლაბიალიზებული ფონემა გვხვება ფლექსიური აფიქსის შემადგენლობაში. ასევე, მკვეთრები (**ტ, წ, ჰ**) ფლექსიურ ფორმანტების შედგენილობაში, რომელთაგან - ტ- არ არის რომელიმე სხვა მორფემის ვარიანტი.

## III. დასკვნა

სინქრონიულ დონეზე თანხმომავანთა ინვენტარის ნახევარი (თითქმის 50%) გვხვდება გრამატიკულ მორფემათა შედგენილობაში.

თუ ვილერმანის ფონემათა დაყოფის პრინციპიდან ამოვალთ, მაშინ გამოვა, რომ ლეზგიურის ფლექსიური აფიქსები შეიცავს პენალიზებულ ფონემებსაც ძირითადთან ერთად, რადგანაც გვხვდება საწარმოთქმო ადგილის მიხედვით რთული – ფარინგალური (ზოგი მეცნიერის კლასიფიკაციით უვულარული), ლაბიალიზებული ველარულიც... თუმცა, უნდა აღინიშნოს ამ აფიქსთა ფუნქციაც და წარმოშობის საკითხიც. ფარინგალური თანხმომავები

<sup>1</sup> ვარსკვლავით აღნიშნული თანხმომავები მხოლოდ ცალკეული დიალექტების კუთვნილებაა.

ადგილობრივი ბრუნვის ნიშნებად გვხვდება, ხოლო ზმნებში იმავე თანხმოვნებს წინდებულების ფუნქცია აქვთ, ლეზგიურის მკვლევრები თანხმდებიან, რომ ეს აფიქსები ერთი წარმოშობისანი არიან, რასაც მათი შინაარსიც მიუთითებს (ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების მიმართულების თავისებურებას, ხოლო ადგილობრივი ბრუნვები საგნის ადგილმდებარეობას).

ასევე, -ლა, ტა და -ნი სუფიქსები კვალიფიცირდება როგორც ნაწილაკები, რომლებიც ახალი, განსხვავებული ფუნქციით გამოიყენებიან დღესდღეობით. მ-ირ და ჩ-ირ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთი და იგივე დამხმარე ზმნაა განსხვავებული პრეკლიტიკით. დამხმარე ზმნებია წარმოშობით შემდეგი სუფიქსები: -და, -ამა, -ავა. ამდენად, ძირითად ბრუნვის ნიშნებთან, ასევე ზმნის ძირითად კატეგორიებთან ე.წ. პენალიზებული თანხმოვნები არ გვხვდება აფიქსებად.

აღსანიშნავია, რომ ლაბიალიზებული თანხმოვნები ყველაზე ნაკლებ გვხვდება აფიქსაციისას.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სინქრონიულ დონეზე ფონემები არ იზღუდება განსაკუთრებით ფლექსიურ აფიქსებში, მაგრამ თუ გამოვრიცხავთ გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულ აფიქსებს, მაშინ ფონემათა რაგვარობით შეზღუდული ოდენობა დაგვრჩება.

### ლიტერატურა

**ალექსეევი, შეიხოვი 1997** – М. Е. Алексеев, Э. М. Шейхов, Лезгинский язык. Серия: Языки народов России, Москва.

**ბაბალიევა 2007** – А. Babalievа, Présentation du dialecte lezgi de Yargun (Azerbaïdjan): Grammaire, textes glosés et traduits, Mémoire de Master 2, E.P.H.E.

**ბაიბი 2005** – J. Bybee, Restrictions on phonemes in affixes: A crosslinguistic test of a popular hypothesis. Linguistic Typology 9: 165-222.

**ბუცხრიკიძე 2002** – М. Butskhrikidze, The Consonant Phonotactics of Georgian, Utrecht.

**გაიდაროვი 1966** – Р. И. Гайдаров, Лексика лезгинского языка, Махачкала.

**გაიდაროვი 1987** – Р. И. Гайдаров, Морфология лезгинского языка, Махачкала.

**განიევა 2007** – Ф. А. Ганиева, Джабинский диалект лезгинского языка, Махачкала.

**განიევა 2008** – Ф. А. Ганиева, Курушский говор лезгинского языка, Махачкала.

**გაჯიევი 1963** – М. Гаджиев, Синтаксис лезгинского языка, Махачкала.

**გაჯიევი 2009** – М. Гаджиев, Русско-лезгинский словарь, Махачкала

**გიგინეიშვილი 1977** – Б. К. Гигинеишвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.

- გუდავა, გამყრელიძე 1981** – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთ-კომპლექსები მეგრულში, კრ. აკაკი შანიძეს, თბილისი, გვ. 202-243.
- დრესლერი 1985** – W. Dressler, *Morphonology: The Dynamics of Derivation*.
- დრესლერი 1994** – W. Dressler, *A Functionalist Semiotic Model of Morphonology, Trubetzkoy's Orphan*, pp. 67-83, Amsterdam.
- ვილერმანი 1994** – R. Willerman, *The phonetics of pronouns: Articulatory bases of markedness*. Doctoral dissertation, University of Texas at Austin.
- ზმნა 1980** – Глагол в языках Дагестана. Сборник, Махачкала.
- თალიბოვი 1980** – Б. Б. Талибов, *Сравнительная фонетика лезгинских языков*, Москва.
- თალიბოვი, გაჯიევი 1966** – Б. Б. Талибов, М. М. Гаджиев, *Лезгинско-русский словарь*, Москва.
- თოფურია 1959** – გ. თოფურია, *ლეზგიური ზმნის ძირითადი მოფროლოგიური კატეგორიები*, თბილისი.
- თოფურია 1974** – გ. თოფურია, ერთი კანონზომიერების შესახებ ლეზგიური ენის პრერუპტივთა სისტემაში, იკეწ, თბილისი, ტ. I, გვ. 180-184
- მაჰომეტოვი 1965** – А. А. Магомедов, *Табасаранский язык*, Тбилиси.
- მეილანოვა 1960** – У. А. Мейланова, *Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка*. Махачкала.
- მეილანოვა 1964** – У. А. Мейланова, *Очерки лезгинской диалектологии*, Москва.
- მეილანოვა 1970** – У. А. Мейланова, *Гюнейский диалект – основа лезгинского литературного языка*, Махачкала .
- მეილანოვა, თალიბოვი 1987** – У. А. Мейланова, Б. Б. Талибов, *Преруптивы в консонантной системе лезгинского языка*, Ежегодник иберийско-кавказского языкознания. т. 14, 263-269.
- ჟირკოვი 1941** – Л. И. Жирков, *Грамматика лезгинского языка*, Махачкала.
- უსლარი 1896** – П. К. Услар, *Кюринский язык, Этнография Кавказа*. Языкознание. I-VI. Тифлис.
- ქითორანი, ზაბალიევა 2007** – I. Chitoran, A. Babaliyeva. *An acoustic description of high vowel syncope in Lezgian*. Proceedings of ICPhS 16. 2153-2156. Saarbrücken.
- ქითორანი, ისკაროუსი 2008** – I. Chitaran, K. Iskarous, *Acoustic Evidence for High Vowel Deyoicing in Lezgi*. Proceedings of 8th International Seminar on Speech Production. Strasbourg.
- ჰარგუსი 1993** – HASH. Hargus, *MODELING THE PHONOLOGY-MORPHOLOGY INTERFACE*. *Phonetics and Phonology*, 4. pp. 45-74. Washington
- ჰასპელმათი 1993** – M. Haspelmath, *A Grammar of Lezgian*.

MAKA TETRADZE

**Composition and Phonotactic Features  
of Lezgian Affixes**

S u m m a r y

The paper deals with the principles of consonant distribution in flexional affixes based on the literary Lezgian and the dialectal material. The affixes are classified according to several criteria: a) whether the formant is basic or secondary, b) composition (simple and compound formants), c) the segmental structure of a syllable, d) their position in a word. The tables were created based on the classification.

The analysis has revealed a consonant inventory of the affixes:

Sonants and sonorants: j, w, r, l, m, n

Spirants:  $\gamma^*$ , z,  $\check{z}^*$ ,  $\check{s}^*$ , x

Explodents: d, t, t:,  $\text{t}^*$ ,  $g^*$ ,  $g^{\circ}$ , \*, k:

Affricates:  $\check{z}^{*1}$ , c,  $\check{c}$ ,  $\check{z}$ ,  $\check{c}$ ,  $\check{c}$

Thus, we conclude that at the synchronous level a half of the Lezgian consonant inventory (almost 50%) can be found in the composition of the grammatical morphemes but by finding out the origin of each affix, it is clear that only a small part of the consonants were historically the components of the basic affixes.

Note: The consonants marked with an asterisk belong only to certain dialects.

დიანა კაკაშვილი

**წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის  
შედგენის პრინციპები<sup>1</sup>**

**შესავალი**

ლექსიკონი წარმოადგენს ენის აღწერისა და დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. საფრთხეში მყოფი ენისათვის იგი კიდევ უფრო მეტ ღირებულებას იძენს. მისი როლი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიზნებით. იგი არის არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის ელემენტების ფიქსირებისა და გადაცემის საშუალება. ამასთანავე, აღნიშნული ენებისათვის შექმნილი ლექსიკონი მრავალი ნიშან-თვისებით განსხვავდება „კლასიკური“ ლექსიკონისაგან.

წინამდებარე სტატიის მიზანია წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის შედგენისათვის პრინციპების შემუშავება. განხილულია ამასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა: სიტყვანის განახლება – შედგენა, ორთოგრაფიის პრობლემები, თანდართული გრამატიკული ინფორმაციის რაობა და სხვ.

**წოვათუშური ენის არსებული ლექსიკონები**

წოვათუშური ენის პირველი ლექსიკური ჩანაწერები, ისევე როგორც უმრავლესი კავკასიური ენებისა, მეცხრამეტე საუკუნიდან გვხვდება. ეს ჩანაწერები ფრაგმენტული ხასიათისაა და ხშირად არასწორად ჩაწერილი. ასეთია ი. გიულდენშტეტის, ი. კლაპროთის, ფრ. მიულერის, ა. დირის და სხვათა ნაშრომები. ანტ. შიფნერის ნაშრომს „ცდა თუშური ენის შესახებ ანუ ქისტური კილოს შესახებ თუშეთში“ ახლავს უფრო ვრცელი ლექსიკონი (შიფნერი 1856: 105-158) გერმანული თარგმანით და ტექსტები. მაგრამ წოვათუშური ლექსიკონი მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედამდე არ შექმნილა.

აღნიშნული ენის პირველი ლექსიკონი 1984 წელს გამოიცა დავით და ნიკო ქადაგიძეების ავტორობით; იგი მოიცავს 7088 სიტყვას. ლექსიკონი არის სამენოვანი, წოვათუშურ ერთეულებს ახლავს ქართული და რუსული თარგმანები.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-3659, კავკასიურ-ქართული ლექსიკონები.II)

2011 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო არსებული ლექსიკონის ახალი რედაქციის მომზადება. გამოიცა ორი ტომი, მზადდება მესამე. ეს ლექსიკონი უკვე ოთხენოვანია, ქართულ და რუსულ თარგმანებს დაემატა ინგლისური. პირველი ტომი, სადაც წარმოდგენილია სიტყვები ა-დან ე-ის ჩათვლით, მოიცავს 2500 ერთეულს, მეორე ტომი – ვ-დან – ქ-მდე – დაახლოებით ამდენივეს, მესამე ნაწილი მოცულობა ჯერჯერობით უცნობია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გვაქვს წოვათუშურ-გერმანული მცირე ლექსიკონი, რომელიც ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის მიერ მომზადდა გამოსაცემად 2001 წელს. შემდგენელი ჰ. ფენრიხი შესავალ წერილში მიუთითებს, რომ ლექსიკონი წარმოადგენს ქადაგიძეების ლექსიკონის შემოკლებულ ვერსიას. ლექსიკონი სულ 90-გვერდიანია, გამოყენებულია ლათინური გრაფიკა. ლექსიკა ისევეა წარმოდგენილი, როგორც ქადაგიძეების ლექსიკონში.

### **წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის მიზანი**

წოვათუშურ-ქართული ლექსიკონი მუშავდება პროექტ „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები II-ის“ ფარგლებში, რომელმაც მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი ფუნდამენტური კვლევებისთვის.

იუნესკოს კლასიფიკაციით, წოვათუშური ენის მდგომარეობა ამჟამად განსაზღვრულია, როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი. შეწყვეტილია ენის გადაცემა თაობიდან თაობაზე. ახალგაზრდათაგან ამ ენაზე აღარავინ საუბრობს და უფროსებიც იშვიათად (გიგაშვილი 2010: 252). 2019 წელს დაიწყო ენის სწავლება სოფელ ზემო ალვანის საბავშვო ბაღში და დაიგეგმა სხვა აქტივობები ენის შესანარჩუნებლად, ამ მდგომარეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენობრივი ერთეულების შეძლებისდგვარად სრულად ჩაწერა უფროსი თაობისგან და განახლებული ლექსიკონის შექმნა, რომელიც უპასუხებს თანამედროვე საჭიროებებს. მუშაობის პროცესში დაგეგმილია სავსე სამუშაოები და მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალი ლექსიკონი უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ენათმეცნიერებისა და მკვლევარების ინტერესებს, არამედ უნდა ეხმარებოდეს ენის შემსწავლელებს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს. ყოველივეს გათვალისწინებით, ხშირად საფრთხეში მყოფი ენების ლექსიკონი ენციკლოპედიურ ხასიათსაც ატარებს, რათა ფიქსირებული იქნეს ყველა ის ენობრივი ერთეული, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია მოლაპარაკეთა საზოგადოებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთა უმრავლესობა წოვათუშურზე უკეთ ქართულს ფლობს, აუცილებლობად გვესახება ქართული საძიებლის დართვა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელსაც და იქნება ბაზა ქართულ – წოვათუშური ლექსიკონის შესაქმნელად.

### სიტყვანის შედგენა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წოვათუმურ-ქართული ლექსიკონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრება. თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში საფრთხეში მყოფი უდამწერლობო ენების ლექსიკონების სიტყვანი შედგენის რამდენიმე პრინციპი არსებობს. ახალ ლექსიკონში, ცხადია, შევა ყველა ის ერთეული, რაც აქამდე გამოცემულ ლექსიკონებშია, ასევე გამოკრებილი მასალა ყველა იმ წიგნიდან, სადაც გაბნეულია ეს ერთეულები (ანტ. შიფნერი, ი. კლაპროთი და სხვ.). თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში ლექსიკონები დიდწილად ეყრდნობა ენის კორპუსს. წოვათუმური ენის კორპუსი ჯერ არ გვაქვს, თუმცა დაწყებულია პროექტზე მუშაობა ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ, რომლის ერთ-ერთი მონაწილე ჩვენც ვართ და ხელი მიგვიწვდება სამუშაო მასალაზე. კორპუსში შევა ყველა ის ტექსტი, რომელიც აქამდე გამოქვეყნებულია. არაჯეროვნად დოკუმენტირებული ენის შემთხვევაში კორპუსი არ წარმოადგენს სისტემის სრულად აღწერის საშუალებას, რადგან ის არ არის საკმარისად რეპრეზენტაციული, მაგრამ ეს მეთოდი ხელმისაწვდომს ხდის მაგალითების მოტანას რეალური მეტყველებიდან და სრულ წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ ერთეულის პოლისემიურობაზე, ასევე ადვილია კულტურული ინფორმაციის მიღება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ამ ტიპის ლექსიკონისათვის.

გარდა ამისა, გამოიყენება სემანტიკური ბუდეების მიხედვით სიის შედგენა, რათა შეივსოს არსებული ხარვეზები. ამ მეთოდით უკვე ვიმუშავეთ ამა წლის მაისში ჩატარებული ექსპედიციის დროს სოფელ ზემო ალვანში, რის შედეგადაც ფიქსირებულ იქნა 40-მდე ახალი ლექსიკური ერთეული; ასეთებია: **ჰაჭო** – ჯაჭვი, **ქაქა**<sup>5</sup> – გაზაფხულის მატყლი, **თხე** – ბალანი, **ნან ტარკ** – ცერათითი, **ეჰ** – ნაწლავი, **უირჯკაჲ** – ხინკლის კუჭი, **ჯოუპ** – დიდი, მსხვილი მატლი, **ხეზოკ** – კერა, **ეფხეთრიკ** – მორცხვი, **ლორინ** – გაყინული, **დარსტენ** – მსუქანი, **ჰარაზა** – წისქვილი, **ბაკ** – ჩირაღდანი, მამხალა, **ჰადურ** – ალანძვა, აწითლება, **ჩუხილე**<sup>5</sup> – მოხრილი, **ერკა**<sup>5</sup> – კალთა, **წერქობ** – სახლზე მიდგმული ფარდული, **დემწრიკ** – გამოცანა, **სათაუნ** – მზითევი, **ეხკ** – სავარცხელი, **ქეკყ** – ხარი, **მონდავ** – რძალი (მაზლის ცოლი), **ულუკ** – იდაყვი, **ჯან** – მუჭა, **უმტარ** – ბრმა და სხვ.

დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ექსპედიცია მომავალი ორი წლის განმავლობაში.

### ორთოგრაფიის საკითხები

ისევე როგორც მრავალი სხვა საფრთხეში მყოფი ენა, წოვათუმურიც უდამწერლობაა. მის ჩასაწერად სხვადასხვა დროს სხვადასხვა ანბანი გამოიყენებოდა, მკვლევრის წარმომავლობისა და შეხედულების შესაბამისად. გარდა ამისა, მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მრავალფეროვან სურათს. განსხვავებულია ქადაგიძეებისა და თელავის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ლექსიკონების როგორც ჩაწერის წესი, ასევე ფონემათა რაოდენობა.

ქადაგიძეების ლექსიკონში გამოყენებულია 57 გრაფემა – 15 ხმოვანი, 42 თანხმოვანი, თელავის უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ ლექსიკონში – 82 ასონიშანი – 39 ხმოვანი, დანარჩენი თანხმოვანი. სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე მიღებული სადა, გრძელი, მოკლე და ნაზალური ხმოვნების გვერდით აქ შემოტანილია ყოველი ხმოვნისათვის ირაციონალური, ზეგრძელი, გრძელი ნაზალური, თავისუფალი და თავისუფალი ნაზალური ვარიანტები.

როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ გამოყენებული ანბანი უფრო ახლოს დგას 1984 წელს გამოყენებულთან, რიგ შემთხვევებში შევეცადეთ ჩაწერის გამარტივებას, მაგ., ინტენსიური თანხმოვნები ჩაწერილი იქნება ორი თანხმოვნით, თა-ს ნაცვლად თთ (სულ 8 ინტენსიური თანხმოვანი გვაქვს).

### გრამატიკული ინფორმაცია

აქამდე არსებულ ლექსიკონებში წარმოდგენილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა და გრამატიკული ინფორმაცია. თუმცა ეს უკანასკნელი რიგ შემთხვევებში არასაკმარისია. ქადაგიძეების ლექსიკონში სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდით რიცხვში. ამ პრინციპს უცვლელად იმეორებს ოთხენოვანი ლექსიკონი. დაგეგმილია ახალ ლექსიკონში შევიდეს ყველა არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია წოვათუშური ენის ათამდე სუფიქსი მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად თავისი ფონეტიკური ვარიანტებით. სუფიქსთა ასეთი მრავალფეროვნების პირობებში თითქმის შეუძლებელია ენის არმცოდნის მიერ იმის განსაზღვრა, რომელი მათგანი უნდა გამოიყენოს ამა თუ იმ სახელის რიცხვის საწარმოებლად, ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია ახალ ლექსიკონში ამ ხარვეზის შევსება.

ამასთანავე, სახელებს მიეწერება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რადგან ენაში მოქმედებს ორფუძიანი ბრუნების პრინციპი, „ერთი არის სახელობითის ფუძე, მეორე ნათესაობითის ფუძე. ეს უკანასკნელი გამოყენებულია დანარჩენი ფორმებისათვის. ბრუნვის ნიშნები ერთვის ნ ჩამოცილებულ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებს ე-სა და ი-ს“, მიუთითებს თავის საკანდიდატო დისერტაციაში რ. გაგუა (გაგუა 1943: 67).

საგანგებო ყურადღება დაეთმობა ლექსიკონის შევსებას საველე სამუშაოებისას ჩაწერილი მდიდარი ონომასტიკური მასალით. ონომასტიკური სახელები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უდამწელობო ენების შემთხვევაში, უმეტესად ისინი საკმაოდ ძველია და არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური – ისტორიული, ფოლკლორული და კულტურული – ცოდნის ამსახველიცაა. აქამდე არსებულ ლექსიკონებში ონომასტიკა ძალზე მწირადაა წარმოდგენილი.

დაგეგმილია ახალ ლექსიკონთან ერთად მცირე გრამატიკული ნარკვევის მომზადებაც.

## ლიტერატურა

**გაგუა 1943** – რ. გაგუა, ძირითადი და ერთთანდებულებიანი ბრუნვები ბაცბურში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**გიგაშვილი 2010** – ქ. გიგაშვილი, თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, თბილისი.

**გიგაშვილი 2014** – ქ. გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი“, თბილისი.

**მიქელაძე 2011** – მ. მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, თბილისი.

**შიფნერი 1856** – A. Schiefner, Versuch über die Thush-Sprache ober die Kistische Mundart in Thuschetien, St.-Petersburg.

**დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე 1984** – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი 2012**, ტ. I, თბილისი.

**წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი 2013**, ტ. II, თბილისი.

**ჭრელაშვილი 2002** – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.

DIANA KAKASHVILI

## Principles of Compiling a New Batsbi-Georgian Dictionary

### S u m m a r y

A dictionary is an important means of describing and protecting a language. For an endangered language, it becomes even more important. Its role is no longer limited to academic purposes. It is a means of fixing and transmitting the elements of not only a language but also of culture.

The paper discusses the principles of compiling a new Batsbi-Georgian Dictionary and a number of related issues: creating and updating dictionary entries, spelling problems, types of included grammatical information, etc.

It is planned to compile a new Batsbi-Georgian dictionary to meet not only the interests of linguists and researchers but also to assist language learners and representatives of the local community. It will be enriched with lexical units, filled with onomastic material; the graphics will be simplified, essential grammatical information and the Georgian glossarial index will be added.

მაკა ლაბარტყავა

**სა-ე და სა-ო კონფიქსებით ნაწარმოებ  
სახელთა შესახებ**

ახალ ლექსიკურ ერთეულთა შესაქმნელად ენა მრავალგვარ საშუალებას იყენებს, მათგან უმნიშვნელოვანესია აფიქსური წარმოება.

როგორც ცნობილია „დანიშნულების სახელებს ორმაგი მაწარმოებელი აქვს, პრეფიქსი და სუფიქსი: **სა-ე, სა-ო, სა-ურ**. ჩანს, პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი. **სა-ე** გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას: **სა-ქათმ-ე, სა-ღორ-ე, სა-თვალ-ე... სა-ო** იგივეა მნიშვნელობით, რაც **სა-ე**, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია: **სა-ეკიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო...** ბევრ ასეთ სახელს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული: **სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-სამართლ-ო...** ამ ტიპის წარმოება ხშირად გეოგრაფიულ სახელებშიცაა გამოყენებული... როგორც **სა-ე**, ისე **სა-ო** სახელებს აწარმოებენ არსებითთაგან. გამონაკლისია: **სასწრაფო, საჩქარო** და სხვა“ ( შანიძე 1973: 132-133).

თედო ჟორდანიას ერთმანეთს უპირისპირებდა **სა-ე, სა-ო** კონფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს : **სა-ე** -თი წარმოებული სახელი ადგილზე მიუთითებს, თანაც ყოველთვის არსებითია, ხოლო **სა-ო** მაწარმოებლიანი დანიშნულებას აღნიშნავს და ზედსართავის ფუნქციის სახელია. შდრ.: **სა-წიგნ-ე** და **სა-მეფ-ო** (ჟორდანიას 1889: 76-77). ამ თვალსაზრისს იზიარებს თამარ ზურაბიშვილიც და შენიშნავს : „1. თვით აფიქსთა სხვადასხვაობა მიუთითებს მათ განსხვავებულ ფუნქციაზე...2. მკრთალად, მაგრამ დღესაც იგრძნობა ამ სუფიქსთა განსხვავებული ფუნქცია-მნიშვნელობა“ (ზურაბიშვილი 1961: 154). მართალია, **სა-ე** მაწარმოებლიანი სახელი ხშირად გაარსებითებულია საზღვრულის ჩავარდნის გამო: **სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ხრ-ე...**თუმცა ზეთსართაული გაგებაც აქვს: **სა-ურმ-ე** (გზა)...მაგრამ პარალელურად არსებობს **სა-ო** მაწარმოებლიანი გაარსებითებული სახელებიც: **სა-სადილ-ო, სა-სამართლ-ო, სა-ბჭ-ო...** ( შანიძე 1973: 132).

მამასადამე, „**სა-ო** აფიქსი დაერთვის თითქმის ყოველგვარ სახელს – არსებითებს (**სა-კლას-ო**), ზედსართავებს (**სა-აშკარა-ო**), რიცხვით სახელებს (**სა-ერთ-ო**), ნაცვალსახელებს (**სა-ჩემ-ო**), თანდებულებს (**სა-თანა-ო**), ნაწილაკებს (**სა-თუ-ო**), სახელზმნებს (**სა-მლოცველ-ო**), წარმოქმნილ სახელებს (**სა-ცხენ-ოსნ-ო**), რთულფუძიან სახელებს (**სა-თავმჯდომარე-ო**), უცხო წარმომავლობის სახელებს (**სა-კოორდინაცი-ო**). **სა-ო** კონფიქსიანი სახელები აღნიშნავს 1. დანიშნულება-განკუთვნებას (**სა-გუნდ-ო, სა-მოქალაქ-ო**)... 2. თვისებას: (**სა-გმირ-ო, სა-ერ-ო**)“... (ჩიქობავა 1925: 58).

**სა-ე** კონფიქსი ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს დანიშნულება-განკუთვნების შინაარსის სახელებს: **სა-ნერგ-ე, სა-ყავ-ე, სა-ქვაბ-ე** და იშვიათად დაერთვის ზეთსართავებსა და სახელზმნებს: **სა-ტიალ-ე, სა-სიკ-ვდილ-ე...** გაარსებითებულია : **სა-თაგვ-ე, სა-თვალ-ე, სა-დავ-ე...** გაარსებითების თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებოა **სა-ურ** მაწარმოებლიანი სახელები : **სა-დგ-ურ-ი, სა-ზექ-ურ-ი, სა-ზარდ-ულ-ი ...**

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეთაგან ნაწარმოები **სა-ე** და **სა-ო** აფიქსებიანი წარმოქმნილი სახელები, რომლებიც ბოლოსართებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და შინაარსობრივადც – ქმნიან პარონიმულ წყვილებს. შდრ.: **საკბილე** და **საკბილო**: *საკბილე* – კბილებისთვის განკუთვნილი (*საკბილე* მორჩი); *საკბილო* – 1. შესაქმელი (მგელმა *საკბილო* დაინახა); 2. გადატ. რაიმე ქმედების (ძირითადად უარყოფითი) სავარაუდო ობიექტი (*საკბილო* ვერაფერი იპოვა); **საჰაერე** და **საჰაერო**: *საჰაერე* (= სპეც. ჰაერის მოწყობილობის მარეგულირებელი სარკმელი ღუმელში); *საჰაერო* (= ჰაერში მოქმედი, არსებული: *საჰაერო* სივრცე/განგაში...); ან კიდევ: **სანაშენე** (მეურნეობა), მაგრამ: **სანაშენო** (საქონელი); **სარძევე** (ჯირკვლები), მაგრამ: **სარძეო** (მეურნეობა) და ა. შ.

თანამედროვე მეტყველებაში იკვეთება აგრეთვე **საპილოტე** და **საპილოტო** ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივად გამიჯვნის ტენდენციაც: **საპილოტე** (ფორმა/აღჭურვილობა...), მაგრამ: **საპილოტო** (პროგრამა/პროექტი...) და სხვა.

მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულ ენაში, რადიო–ტელევიზიისა თუ პრესის ენაში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსები დაერთვიან ერთსა და იმავე ფუძეს, მაგრამ შინაარსობრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. მაგალითად: **სამანქანო / სამანქანე, სალომზარდო / სალომზარე, სასაქონლო / სასაქონლე, საანზანო / საანზანე, საწიგნო/საწიგნე, სასაჩუქრო/სასაჩუქრე, საკონიაკო/საკონიაკე** და ა. შ.

ზემოთ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთაგან რამდენიმე დანიშნულების სახელი **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსითაა წარმოდგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1998 წლის გამოცემა) – **სა-მანქან-ო, სა-ანზან-ო, სა-საქონლ-ო**. ნაწილი კი – **სა-ე** კონფიქსით დასტურდება: **სა-კონიაკ-ე, სა-წიგნ-ე**. სხვა ლექსიკური ერთეულები: **სა-ლომზარდ-ო / სა-ლომზარდ-ე, სა-საჩუქრ-ო / სა-საჩუქრ-ე** – საერთოდ არ გვხვდება „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. ისმის კითხვა: რა ვითარებაა თანამედროვე ქართულ ენაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ მივმართეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზს.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (ზემოთ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთაგან) **სა-ო** კონფიქსიანი სახელები (**სამანქანო, საანზანო, სასაქონლო**) სჭარბობენ **სა-ე** კონფიქსიან სახელებს (**სამანქანე, სასაქონლე**) – რაც ასახულია კიდევ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სტატისტიკის შესაბამისად.

წარმოგიდგინთ ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის სტატისტიკურ მონაცემებს:

### სამანქანო შდრ. სამანქანე

ქევი	ქევი
სა-მანქან-ო-400	სა-მანქან-ო-34
სა-მანქან-ე-41	სა-მანქან-ე-1.
მაშასადამე, სა-მანქან-ო მეტია სა-მანქან-ე-ზე	
ქევი-ის მონაც.	ქევი-ის მონაც.
346-ით	40-ით

**მაგალითები:** „...გზაზე, რომელიც მთათუშეთის **სამანქანო** ბილიკივით ვიწრო იყო...“ (დ. ტურაშვილი), შდრ.: „ნადუქნარიდან კი ხელისგულივით იყო დაფენილი **სამანქანე** გზა“ (ა. მორჩილაძე); „ქირურგი კარგად იცნობს ჩვენს რეალობას, ხელოვნებას, **სამანქანო** საცობებს და გზებს“ („24 საათი“, 2004), შდრ.: „თუშეთისაკენ **სამანქანე** 80 კილომეტრიან გზის მშენებლობას 31 წელი დასჭირდა“ („ცისკარი“, 2002)...

### სასაქონლო, შდრ. სასაქონლე

ქევი	ქევი
სა-საქონლ-ო-1223	სა-საქონლ-ო-291
სა-საქონლ-ე-42	სა-საქონლ-ე-0
მაშასადამე, სა-საქონლ-ო ხშირია სა-საქონლ-ე-ზე	
ქევი-ის მონაც.	ქევი-ის მონაც.
1181-ით	291-ით

**მაგალითები:** „ამ პროცესების პარალელურად, **სა-საქონლ-ო** ბაზრების მუშაობა დღეს არასტაბილურ ვითარებაში დაიწყო“ („24 საათი“, 2004), შდრ.: „ერთი წლის განმავლობაში ნიუ-იორკის **სა-საქონლ-ე** ბირჟაზე შაქრის ფასმა 67 პროცენტით მოიმატა“ („24 საათი“, 2006); „ექსპორტის შემდეგი **სა-საქონლ-ო** ჯგუფია ყურძნის ნატურალური ღვინოები“ („24 საათი“, 2004), შდრ.: „მართალია ამ ხე-ტყეს **სა-საქონლ-ე** სახე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ საბუთებში ყველგან წერია“ („რეზონანსი“, 2005)...

### საანბანო, შდრ. საანბანე

ქევი	ქევი
სა-ანბან-ო-25	სა-ანბან-ო-0
სა-ანბან-ე-19	სა-ანბან-ე-0
მაშასადამე, სა-ანბან-ო მეტია სა-ანბან-ე-ზე	
ქევი-ის მონაც.	ქევი-ის მონაც.
6-ით	-

**მაგალითები:** „აღნიშნული დედაენაც შედგება სამი ნაწილისაგან: წინა-საანბანო, **საანბანო**, ანბანის შემდეგ საკითხავი“ შდრ.: „დედაენა – ქართული **საანბანე** სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“ („ახალი თაობა“, 2013); „ღიახ, **საანბანო** ნაწილში ჩვენ ნუსხა-ხუცური ასოებიც დავურთეთ“, შდრ.: „დარჩენილია **საანბანე** ნაწილი და დამატებითი სავარჯიშოები“ („საქ. რესპუბლიკა“, 2009)...

ქართული ენის ეროვნული კორპუსის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (ზემოთ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთაგან) – **სა-ე** კონფიქსიანი სახელები (**საწიგნე**, **საკონიაკე**) სჭარბობენ **სა-ო** კონფიქსიანი სახელებს (**საწიგნო**, **საკონიაკო**), რაც, ასევე, ასახულია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სტატისტიკის შესაბამისად.

წარმოგიდგენთ ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის სტატისტიკურ მონაცემებს:

#### საწიგნო, შდრ. საწიგნე

ქევი	ქევი
სა-წიგნ-ო-7	სა-წიგნ-ო-0
სა-წიგნ-ე-8	სა-წიგნ-ე-4
მაშასადამე, სა-წიგნ-ე მეტია სა-წიგნ-ო-ზე	
<b>ქევი-ის</b> და	<b>ქევი-ის მონაცემებით:</b>
1- და	4-ით

**მაგალითები:** „ხუთი წელი ვაკოწიწებდი **საწიგნო** ლარებს“ („ლიტ. საქართველო“, 2002), შდრ.: „კუთხეში, ხატებთან **საწიგნე** იდგა“ („საგურამო“, 2002); „მის **საწიგნო** ფონდში 21 მილიონი ერთეული უნიკალური ლიტერატურაა“ („ახალი ვერსია, 2003), შდრ.: „სხვა **საწიგნე** მასალებიც დროულად მოიმარაგა“ („ლიტ. საქართველო“, 2002)...

#### საკონიაკო, შდრ. საკონიაკე

ქევი	ქევი
სა-კონიაკ-ო-6	სა-კონიაკ-ო-0
სა-კონიაკ-ე-30	სა-კონიაკ-ე-0
მაშასადამე, სა-კონიაკ-ე სჭარბობს სა-კონიაკ-ო-ს	
<b>ქევი-ის მონაც.</b>	<b>ქევი-ის მონაც.</b>
24-ით	–

**მაგალითები:** „საქართველოში მოქმედ მცირე კომპანიებს საბრენდე **საკონიაკო** სპირტის წარმოებისათვის სახელმწიფო დაეხმარება“ („რეზონანსი“, 2007), შდრ.: „მეტიც, ისინი ჩვენთან ყიოდულობენ **საკონიაკე** სპირტებს“ („რეზონანსი“, 2000); „**საკონიაკო** სპირტის წარმოებისათვის სახელმწიფო კრედიტს გამოყოფს“ („რეზონანსი“, 2007), შდრ.: „თუმცა **საკონიაკე** სპირტების შემოტანა უკვე აკრძალულია“ („ხვალინდელი დღე“, 2006)...

როგორც ვხედავთ, **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით, ჭრელი სურათი იკვეთება. ზოგ ლექსიკურ ერთეულთან **სა-ე** კონფიქსია უპირატესი, ზოგთან– **სა-ო** კონფიქსი.

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების შემთხვევები, რომლებიც საერთოდ არ გვხვდება „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (**სასაჩუქრე/სასაჩუქრო, სალომზარდე/სალომზარდო**). ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა დაიწეროს ისინი, რომელი ვარიანტია უფრო მართებული: **სა-საჩუქრ-ო** თუ **სა-საჩუქრ-ე**? **სა-ლომზარდ-ო** თუ **სა-ლომზარდ-ე**?

წარმოგიდგინთ ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის სტატისტიკურ მონაცემებს:

#### სასაჩუქრო, შდრ. სასაჩუქრე

ქევი	ქევი
<b>სა-საჩუქრ-ო</b> –34	<b>სა-საჩუქრ-ო</b> –2
<b>სა-საჩუქრ-ე</b> –67	<b>სა-საჩუქრ-ე</b> –4
მაშასადამე, <b>სა-საჩუქრ-ე</b> მეტია <b>სა-საჩუქრ-ო</b> -ზე	
<b>ქევი-ის მონაც.</b>	<b>ქევის მონაც.</b>
33-ით	2-ით

**მაგალითები:** „მეც ამოვიღე **სასაჩუქრო** ქართული ღვინოების შეკვრა, სამ-ოთხობოთლიანი“, შდრ.: „დარბაზში მყოფებს **სასაჩუქრე** ჩანთებიც დაურიდდათ; „მისი ყოველი ახალი წიგნი ახალი საჩუქარია“; „მისი ყოველი ახალი წიგნი ახალი საჩუქარია ჩვენთვის , მით უფრო **სასაჩუქრო** გამოცემა“ („ლიტ. საქართველო“, 2003), შდრ.: „ესაა **სასაჩუქრე** ეგზემპლარები და ამდენად, მათი ყიდვა არ შეიძლება“ („რეზონანსი“, 2007)...

#### სალომზარდო, შდრ. სალომზარდე

ქევი	ქევი
<b>სა-ლომზარდ-ო</b> –38	<b>სა-ლომზარდ-ო</b> –0
<b>სა-ლომზარდ-ე</b> –6	<b>სა-ლომზარდ-ე</b> –0
მაშასადამე, <b>სა-ლომზარდ-ო</b> მეტია <b>სა-ლომზარდ-ე</b> -ზე	
<b>ქევი-ის მონაც.</b>	<b>ქევი-ის მონაც.</b>
34-ით	–

**მაგალითები:** „ამ ფაქტის შემდეგ ბანკმა **სალომზარდო** მომსახურება მთლიანად შეწყვიტა“ (რეზონანსი, 2005), შდრ.: „**სალომზარდე** კრედიტებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია“ („საქ. რესპუბლიკა“, 2012); „უახლოეს დროში **სალომზარდო** ოპერაციები ლარებში განხორციელდა“ („დილის გაზეთი“, 2000), შდრ.: „უზრუნველყოფის მიუხედავად, ყველაზე ძვირი **სალომზარდე** კრედიტია“ („საქ. რესპუბლიკა“, 2012)...

ზემოთ წარმოდგენილ დანიშნულების სახელთაგან, თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით, ერთ შემთხვევაში **სა-ო** კონფიქსი სარგებლობს უპირატესობით – **სალომზარდო**, მეორე შემთხვევაში კი – **სა-ე** კონფიქსი – **სასაჩუქრე**.

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, გამოიკვეთა ერთსა და იმავე ფუძეთაგან ნაწარმოები **სა-ე** და **სა-ო** აფიქსებიანი წარმოქმნილი სახელები, რომლებიც ბოლოსართებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და შინაარსობრივად (საკბილე და საკბილო, საჭაერე და საჭაერო...)

მეორე მხრივ, გვხვდება **სა-ო** და **სა-ე** ბოლოსართებით ნაწარმოები ისეთი ლექსიკური ერთეულები – **სამანქანო / სამანქანე, საანზანო / საანზანე, სასაქონლო / სასაქონლე, საწიგნო / საწიგნე, საკონიაკო / საკონიაკე**, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და წარმოდგენილი არიან „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **სა-ე (სა-წიგნ-ე, სა-კონიაკ-ე), სა-ო (სა-მანქან-ო, ს-ანზან-ო, სა-საქონლ-ო)** კონფიქსებით.

ასევე გამოიკვეთა შინაარსით ერთნაირი ისეთი სახელები, რომლებიც „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არ დასტურდება ( მაგ.: **სასაჩუქრო / სასაჩუქრე, სალომზარდო / სალომზარდე**) და ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ რომელ კონფიქსს (**სა-ე/ სა-ო**) მიენიჭოს უპირატესობა.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი დანიშნულების სახელები უნდა აისახოს ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში თანამედროვე ქართული ენის სტატისტიკურ მონაცემთა გათვალისწინებით.

## ლიტერატურა

**ორბელიანი 1991** – ს.-ს ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი.

**ჟორდანიას 1889** – თ. ჟორდანიას, ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი.

**ტუსკია 2004** – მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართლსა და დიალექტებში, თბილისი.

**ქეპლი 2011** – ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

**ქევი** – ქართული ენის კორპუსი.

**ქევი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

**ქეოლი 1989** – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

MAKA LABARTKAVA

**On the Words Confixed with *sa-e* and *sa-o***

## S u m m a r y

The paper analyzes the words derived with the confixes *sa-e* and *sa-o*. On the one hand, the attention is paid to the derivatives affixed by *sa-e* and *sa-o* that differ from one another with suffixes as well as meanings, i.e. they create paronymic pairs. Cf.: *sakbile* (for a tooth) and *sakbilo* (1. something to eat; 2. a possible object for mainly a negative action); *sahaere* (a special air conditioning shutter valve in the oven) and *sahaero* (aerial), etc. On the other hand, we can find the lexical units confixed with *sa-o* (*samankano/samankane*, *saanbano/saanbane*, *sasakonlo/sasakonle*) and *sa-e* (*saçigne/saçigno*, *sakoniake/sakoniaxo*) that share the same meaning. According to the Georgian National Corpus, in the first case the forms with the confix *sa-o* are preponderant while in the second case the ones with the confix *sa-e* are preferred. In “The Georgian Orthographic Dictionary” (1998 edition) these predominant forms are presented.

We should also mention the words that are not attested in “the Georgian Orthographic Dictionary” (*sasaçukro/sasaçukre*, *salombardo/salombarde*). The issue of their spelling is still arguable.

რომან ლოლუა

**არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება  
უდიურ ენაში<sup>1</sup>**

უდიურ ენაში კომპოზიტიური წარმოება განსაკუთრებით დამახასიათებელია ზმნისთვის, არსებით სახელებში კი (ისევე როგორც სხვა სახელებში) რთული (თხზული) ფუძეები შედარებით ნაკლებად გვხვდება. წარმოგიდგინოთ ზოგიერთ კომპოზიტს ტიპის მიხედვით.

**შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa)**, მაგ., **ნანა-ბაბა** „დედ-მამა“; **იშუ-ჩუბუხ** „ცოლ-ქმარი“; **ხუნჩი-ვიჩი** „და-მმა“; **კოჯ-მეც** „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლ-ბუდე“); **იორდან-დრშაგ** „საბან-ლეიბი“; **ელალ-თაღალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ზოხი-ჩოჩალო** „მსახური“, ზედმიწ. „მხარ-შველ-გამომტანი“...

**განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa)**: ამ ტიპის კომპოზიტებს მიეკუთვნება, მაგ., **აჯ'-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ'** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ბულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავ-მჯდომარე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-ჯამ** „გულლია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **ჯამ** „ღია“); **მუჭ'-ნაყ** „რძე“ (**მუჭ'** „ტკბილი“ + **ნაყ** „დო“); **ხებაქი-ჭან** „ერბო“ (**ხებაქი** „დამდნარი“ + **ჭან** „ცხიმი“, „ქონი“); **ქალ-ნანა** „ბეზია“, **ქალ-ბაბა//ქალ-პაპა** „ბაბუა“ (**ქალ** < **ქალა** „დიდი“ + **ნანა** „დედა“; **ბაბა//პაპა** „მამა“); **ნეპნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნეპ-ნა[მ]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ბაბა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ბაბა-[მ]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭ'ანაყნა-ჩო** „ნაღები“ (**მუჭ'ანაყ-ნა[მ]** „რძის“ + **ჩო/ჩო** „პირი“); **ქენე-ელ** „ქვამარილი“ (**ქენე[მ]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **უყნა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**უყ-ნა[მ]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **ჭანნა-ხუბ** „ერბოს ფლავი“ (**ჭანნა-ა[მ]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუბ** „ფლავი“); **ქალა-უკლა** „დიდგულა“, (**ქალა** „დიდი“ + **უკლა** „გულიანი“); **ქალა-ზოხ'ზოხ'ლა** (**ქალა** „დიდი“ + **ზოხ'ზოხ'ლა** „ცხვირიანი“); **პა'-ჩოლლა** „ორპირა“ (**პა'** „ორი“, **ჩოლლა** „პირიანი“); **კოკოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ხალიკუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან]; **თურინ-ლეკერ** „ფეხ-საცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“); **ხე-ზაპკალო** „წყლის მზიდველი“, „მეთულუხე“; **ხორაგ-ზოხალო** „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მზარშველი“); **ქომოხ-ბერხალო** „მეწისქვილე“ (ზედმიწ. „წისქვილის მფქველი“)...

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

აგებულების მიხედვით კომპოზიტები უდიურ ენაში შეიძლება დავყოთ:

ორი ან სამი არსებითი სახელის ფუძისაგან თხზული კომპოზიტები (composita determinativa): **ხაშ-ზაზა** „ნათლია“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ზაზა** „მამა“); **ხაშ-ზაზა-ჩუბუბ** „ნათლიდედა“ (სინონიმი: **ხაშ-ნანა – ნანა** „დედა“), „ნათლის ცოლი“ (**ხაშ-ზაზა** + **ჩუბუბ** „ცოლი“, „დედაკაცი“)... სამი არსებითი სახელის ფუძისაგან შემდგარი კომპოზიტები უდიურ ენაში იშვიათად გვხვდება.

ორი არსებითი სახელის ფუძისაგან შედგენილნი (composita copulativa): **ნანა-ზაზა** „დედ-მამა“, „მშობლები“; **იშუ-ჩუბუბ** „ცოლ-ქმარი“; **ხუნ-ჩი-ვიჩი** „და-ძმა“; **კოჯ-მეც** „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლ-ბუდე“); **მორღან-დრშაგ** „საბან-ლეიბი“...

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი არსებითი სახელის ფუძეა, ხოლო მეორე – მსაზღვრელი სიტყვა: **აჯ-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ბულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-კამ** „გულლია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **კამ** „ღია“)...

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი მსაზღვრელი სიტყვაა, ხოლო მეორე – არსებითი სახელის ფუძე: **მუჭა-ნაყ** „რძე“ (**მუჭა** „ტკბილი“ + **ნაყ** „ღო“); **ხეხაქი-ჭან** „ერბო“ (**ხეხაქი** „დამდნარი“ + **ჭან** „ცხიმი“, „ქონი“); **ქალ-ნანა** „ბებია“, **ქალ-ზაზა/ქალ-პაპა** „ბაბუა“ (**ქალ** < **ქალა** „დიდი“ + **ნანა** „დედა“, **ზაზა/პაპა** „მამა“); **ცამფი-აღალა** „ჟუჟუნა წვიმა“ (ზედმიწ. „ჭრელი წვიმა“); **ცამფი-დადალ** „ჭრელი მამალი“...

არსებითი სახელის ფუძისა და გასუბსტანტივებული მსაზღვრელი სიტყვისაგან შედგენილნი: **ხე-ზაპკალო** „წყლის მზიდველი“, „მეთულუხე“; **ხორაგ-ზოხალო** „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მზარშველი“); **ქომოხ-ხერხალო** „მეწისქვილე“ (ზედმიწ. „წისქვილის მფქველი“)...

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მეორე – მარტივ-ფუძიანი არსებითი სახელი: **ნებნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნებ-ნა[მ]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ზაზა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ზაზა-[მ]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭანაყნა-ჩო** „ნალები“ (**მუჭანაყ-ნა[მ]** „რძის“ + **ჩო/ჩ'ო** „პირი“); **ქენე-ელ** „ქვამარილი“ (**ქენე-ნ[მ]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **უყნა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**უყ-ნა[მ]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **ჭანა-ხუბ** „ერბოს ფლავი“ (**ჭან-ა[მ]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუბ** „ფლავი“); **კოკოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ხალი-კუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან]; **თურინ-ლეკერ** „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“)...

კომპოზიტები, რომელთა პირველ წევრად იხმარება ატრიბუტული სიტყვა, ხოლო მეორე წევრად – არსებითი სახელიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელი: **ქალა-უკლა** „დიდგულა“, (**ქალა** „დიდი“ + **უკლა** „გულიანი“); **ქალა-ზოხ-ზოხ-ლა** (**ქალა** „დიდი“ + **ზოხ-ზოხ-ლა** „ცხვირიანი“); **პა-ჩოლლა** „ორპირა“ (**პა** „ორი“, **ჩოლლა** „პირიანი“)...

საკუთარი სახელისაგან და საზოგადო არსებითი სახელისაგან შედგენილნი: **მარიამ-ნანა//მარამ-ნანა** „მარიამ-დედა“, „ღვთისმშობელი“...

ორი მიმღობისაგან შედგენილნი: **ელალ-თაღალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ბოხი-ჩოჩალო** „მხარშველ-გამომტანი“, „მსახური“...

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უდიურში არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელია ათემატური კომპოზიტიური წარმოება. კვლევის ამ ეტაპზე არ არის გამოვლენილი არც ერთი სპეციალური აფიქსი, რომელიც თხზული ფუძეების შედგენაში მონაწილეობს.

### ლიტერატურა

**გუკასიანი 1974** – Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку.

**ფანჩვიძე 1974** – ვლ. ფანჩვიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1971** – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომატია, ლექსიკონი), თბილისი.

ROMAN LOLUA

### Compound Word Formation of Nouns in Udi

#### S u m m a r y

Compound word formation of nouns is not uncommon in Udi. The article gives the examples of compounds according to their type and structure.

თამარ ლომთაძე

**ნეოლოგიზმთა შექმნის ტენდენციები  
თანამედროვე ქართულში\***

ცვლილებები არა მარტო გარდაუვალია, არამედ აუცილებელია ნებისმიერი ცოცხალი ენისათვის. სტანდარტული ენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციისა და ინდივიდუალური უფლებების ეპოქაში. ნებისმიერი კულტურული, განვითარებული ერისათვის სალიტერატურო ენის სრულყოფა და განვითარება მუდამ პრიორიტეტულ საქმედ იყო აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტულ ენას სჭირდება შეგნებული ზრუნვა და შენაჩუნება, ასევე აუცილებელია ზრუნვა მის განვითარებაზეც, რათა მან მხოლოდ წარსულის კონსერვაცია კი არ მოახდინოს, არამედ აწმყო რეალობაც აირეკლოს. იმისათვის რომ ენა თანამედროვე კონკურენტულ სამყაროში კონკურენტუნარიანი იყოს, აუცილებელია მუდმივად შექმნას ადეკვატური გამოხატვის საშუალებები თითოეული ახალი ტერმინისა და ცნებისათვის. ენის მოდერნიზაცია ნიშნავს დროის მოთხოვნათა შესაბამისად განვითარებას. თანამედროვე სამყაროში, რომელშიც სტანდარტულ ქართულს ერთ-ერთი მოკრძალებული ადგილი უჭირავს, ენის მოდერნიზაციას უმთავრესად ლექსიკის დონეზე საჭიროებს. ეპოქის შესაბამისი ლექსიკური ერთეულების შემუშავება და პოპულარიზაცია საჭიროა არა მხოლოდ ქართული ენის განვითარებისათვის, არამედ ასევე მისი არსებობისათვის გარკვეულ სოციოლინგვისტურ სფეროებში.

ქართული სახელმწიფო ენის პოლიტიკისათვის ქვაკუთხედი უნდა იყოს სტანდარტული ქართულის დანერგვა და განვითარება ეპოქის შესაბამისად, ჩვენ უნდა განვაავითაროთ ქართული ენის გამოხატვის მდიდარი პოტენციული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ამასთანავე, ჩვენ უნდა შევინაჩუნოთ ქართული ენა როგორც კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის ძნელი მისახვედრი, თუ რატომ აქვს ნეოლოგიზმების შექმნა-დამკვიდრებას უდიდესი როლი და რატომ არის აუცილებელი პროცესის ჩარჩოებში მოქცევა.

---

\* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSF), ფინანსური მხარდაჭერით. გრანტი: FR\_17-158, „ქართული ენის გრამატიკა ნორმასა და ვარიაციებს შორის“

ნეოლოგიზმები როგორც ენის განვითარების ერთ-ერთი ასპექტი სერიოზული დისკუსიის საგანი იყო ყოველთვის. ამაზე უხვად გვაწვდის ცნობებს ქართული წერილობითი წყაროები. თუმცა მათი ფორმირება უმეტესად შეფასებულია რეტროსპექტულად და დისკუსიები ისევე როგორც სხვა ენების შემთხვევებში, უმეტესად იმართება ტრადიციული დიქციონარული ფარგლებში – უცხოური (იმპლიციტურად არასასურველი) და ადგილობრივად შექმნილი (Nitina, Veisbergs 2008: 275).

პურიზმი არ არის იმპორტირებული, ის არის ენდემური პროდუქტი და უნივერსალური თვისება განვითარებული ენებისა. ქართული ტერმინთმომოქმედების პერიოდების გამოყოფას საფუძვლად სწორედ პურიზმისა და ინტერნაციონალურ ტერმინთა შემოღება-გავრცელების დისკუსიები უდევს. მაგ., ქართულ ტერმინთმომოქმედებაში ოთხი განსხვავებული პერიოდის გამოყოფის შემდეგ ღია ქაროსანიძე და ანა ხურცილავა წერენ: როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია: ქართული, ქართულიც და საერთაშორისოც თუ მხოლოდ ქართული – ეს არის უმთავრესი საკითხი, რომლის შესახებ დავა იყო და იქნება მომავალშიც. მთავარი ისაა, რომელია რა შედეგი მოუტანა ქართულ ენას, რომელი გზა იყო გამართლებული, რომელი – გაუმართლებელი“ (ქაროსანიძე, ხურცილავა, 2018: 4).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადგილობრივ ნიადაგზე შექმნილი სიტყვა, თავდაპირველად ინდივიდთან ჩნდება და საზოგადოების სანქციის შემდეგ ემღევა მას ნეოლოგიზმის ფუნქცია. ენის ნებისმიერ სახეობაში არსებობს ნორმა, გარკვეული სტანდარტი. თუ დიალოგის ყველა მონაწილე გამოიყენებს საკუთარ კოდს, მაშინ კომუნიკაცია შეუძლებელი იქნება. სწორედ ამიტომ არსებობს საერთო ნორმა და სტანდარტი. თუმცა ენაში ყველაფრის სტანდარტიზაცია შეუძლებელიცაა და არც აუცილებელი არ არის. ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. მას ექსპრესიული ფუნქციაც გააჩნია. იგი პიროვნების გამოხატულებაა.

ერის საგანძურში თავისუფალი ორიენტირებისა და გამოხატვის შესატყვისი საშუალებების გამოძებნის უნარი მნიშვნელოვანია ადამიანური კონკურენციისათვის. პიროვნება, რომელსაც განვითარებული აქვს ენობრივი უნარ-ჩვევები ყოველთვის გამორჩეულია და ენა ჯერ კიდევ წარმოადგენს ადამიანის სოციალური სტატუსის მნიშვნელოვან ნიშანს. სწორედ ამიტომ ენის პრესტიჟული ფორმა, ლიტერატურული ანუ სტანდარტული ენა, დამკვიდრებულია ნებისმიერ საზოგადოებაში. რასაკვირველია, ნორმების სისტემა არსებობს დიალექტსა და სლენგშიც და იქ ეს სისტემა უფრო მკაცრიც კი შეიძლება იყოს, მაგრამ სტანდარტული ენა არის ენის ერთადერთი ნაირსახეობა, რომელშიც არსებობს ოფიციალურად მიღებული ნორმები (Druviete 2008: 264). თანამედროვე ენა კი მოითხოვს სიახლესა და სიწმინდეს, ის ცდილობს აიცილოს განმეორება და ეძებს გამონათქვამისათვის ახალ ფორმებს. სწორედ ამიტომ იქმნება ნეოლოგიზმები, რომელთა ავტორები ზოგჯერ ცდილობენ შემოგვთავაზონ ორიგინალური სტილი, რაც ხშირად არღვევს ნორმებს წერით მეტყველებაში, მაგრამ ეს არის ჩვეული და პოპულარული გზა როგორც სასა-

უბრო ენაში, ასევე ბეჭდურში. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია, როგორ შეიქმნა ტერმინი წნევა. ზოგჯერ ასეთი სიტყვები თავდაპირველად თითქოს ერთჯერადი მოხმარებისთვის იქმნება. ისინი ძირითადად გვხვდება მწერლობაში, პოეზიაში, ბავშვის მეტყველებაში, ლინგვისტურ თამაშებში. თუმცა ზოგჯერ ასეთ შემთხვევებშიც ხშირია მათთვის სანქციის მინიჭება და საყოველთაო სახმარ სიტყვად დამკვიდრება. ამის ნათელი მაგალითია მეექვსე კლასის მოსწავლის მიერ შექმნილი ტერმინი დენსართი, რომელიც შეიტანეს ქართულ ტერმინთა ნაკვში. განსაკუთრებით ხშირია სიტყვაწარმოებითი ოკაზიონალიზმების გამოყენება სოციალურ ქსელებში, რომლებიც სწრაფად ვრცელდება ყოველდღიურ მეტყველებაში: გამეგლებული, ახალულვაშმედერებული. ოკაზიონალიზმები ნათლად გამოხატავენ ავტორის სწრაფვას ორიგინალობისაკენ, მკითხველის ყურადღების მიპყრობისაკენ. განსაკუთრებული გამოხატვა და ორიგინალობის რეალიზაცია არის ოკაზიონალიზმის შექმნის მთავარი მიზანი, რომელთა ნაწილი იქცევა ხოლმე საყოველთაო სახმარ სიტყვად და, არაერთი შემთხვევაა, როცა ეს ინოვაცია დაკანონდა კიდევ.

მართალია, ნეოლოგიზმები უმეტესად იქმნება ლექსიკური ან მორფოლოგიური ელემენტებით, მაგრამ ზოგჯერ მისი ძირითადი ფუნქცია არის ინტონაციური სხვაობა სალაპარაკო ენისა. ხშირად შეიძლება მოისმინო ქართული მეტყველება, მაგრამ ისეთი ინტონაციით, რომ, თუ კარგად არ დაუკვირდი, ინგლისური უფრო გეგონება (განსაკუთრებით რადიომაუწყებლობა). ეს გლობალური მოვლენაა. ანალოგიური პრობლემები შეიმჩნევა, მაგალითად, ფრანგულში. „რადიოსა და ტელევიზიის მძლავრი განვითარება დიდ გავლენას ახდენს ზოგიერთ ფონეტიკურ მოვლენათა გავრცელებაზე, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძლიერი შემართვა და ძლიერი ბოლოკიდური დამართვაც“ (ახვლედიანი 2009: 12).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გრძელ გზაზე, ნეოლოგიზმთა შექმნის ორივე ტენდენციას აქვს გარკვეული ისტორია. თუმცა ღია საინფორმაციო სივრცისა და ტექნოლოგიზაციის ეპოქაში აუცილებელია პურიზმის როლის გაცნობიერება – განჭვრეტა ქართული ენის ნორმალიზაციის ტრადიციებში.. გ. თომასის მიხედვით (1991:43), საზოგადოების მოდერნიზაცია წარმოქმნის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციას: პირველი ეს არის პურიზმის უარყოფა და მეორე ეს არის უფრო აქტიური ბრძოლა ნასესხები სიტყვების წინააღმდეგ. თუმცა პურიზმის ტენდენციებს გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო აძლიერებს ისეთი გავრცელებული ენებიც კი, როგორც ფრანგული და ესპანურია. სადავო არ არის, რომ ქართულისათვის პურიზმის უარყოფა რთული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პურიზმის როლის გაძლიერების აუცილებლობას ნეოლოგიზმების შექმნის პროცესში თითქმის ყველა აცნობიერებს, სესხების პროცესი ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ადგილობრივი ძირების მეშვეობით ახალ სიტყვათა წარმოება. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე იყო პერიოდები, როცა სესხებას ენიჭებოდა უპირატესობა,

მაგრამ იყო პურისტული ტენდენციების ეპოქა, რომლის დროსაც შეიქმნა უამრავი ტერმინი და მათი დიდი ნაწილი დღესაც აქტიურ ხმარებაშია. არსებობს გამოცდილება ორივე პოზიციის დაბალანსების პერიოდისა. ნაციონალური ძირების გამოყენებით ტერმინთა ქმნადობა დღეს გაცილებით მარტივია; ტრადიციებზე დაფუძნებული ტერმინთშმოქმედება ბევრად ფართოდ უნდა იყოს გავრცელებული, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, რის ფარგლებშიც შექმნილია ქართული ტერმინთსაცავი უამრავი განმარტებითი, დარგობლივი, თარგმნითი თუ დიალექტური ლექსიკონებით, უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის სწორად წასამართავად. დღეს პურიზმი არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ქართული სტანდარტული ენის განვითარებისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული პურიზმი მიმართულია ნასესხობების წინააღმდეგ. სესხება მისაღებია, ოღონდ გარკვეული ჩარჩოების ფარგლებში და არა ისე, როგორც ეს დღესაა, როცა სესხების პროცესი უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული ენის განვითარებისათვის.

ზეპირ მეტყველებაში სიტყვათა სესხების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს. სალიტერატურო ენაში კი, რომლის განვითარებასაც კონტროლი ეწევა, თითქოს სესხებაც კონტროლს უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ რეალურად, ზეპირმეტყველებასა და სალიტერატურო ენაში ნასესხობების წინააღმდეგ ბრძოლა დღევანდელ ვითარებაში ძნელია. მაგალითად, როგორც სპეციალისტთა მხრიდან, ასევე მასმედიით დღეს პროპაგანდა ეწევა როგორც სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ, ასევე ზეპირმეტყველებაში გაჩენილ ნასესხობებსაც, რომლებსაც სწორედ ხშირი პროპაგანდის გამო ეძლევათ საშუალება სალიტერატურო ენაში დამკვიდრებისა და ძველის, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივის განდევნისა. თუ თვალყურს მივადევნებთ სოციალურ ქსელში მიმდინარე აქციას ბარბარიზმების წინააღმდეგ, ვნახავთ, რომ ისეთი გავრცელებული ნასესხობები როგორებიცაა კრეატიული, ადაპტირებული, პერმანენტული და სხვა, რომლებსაც უკვე თითქმის ერთადერთ ვარიანტად ვიყენებთ, საკმაოდ ხშირად ხმარებული ადგილობრივი სიტყვების განდევნით დამკვიდრდნენ ენაში.

უკონტროლო ნასესხობები მრავალი სირთულის წინაშე აყენებს ენას. გარდა ლექსიკური ნასესხობებისა და მათთან დაკავშირებული შეცდომებისა, რომელიც ნებისმიერი მომხმარებლისათვის თვალში საცემია, გვხვდება სტრუქტურული ხასიათის ზეგავლენით გამოწვეული შეცდომები, რომლებიც ბევრად უფრო ძნელი შესამჩნევია და მეტად საშიში ენის დანაგვიანებისათვის. სწორედ ენათა სტრუქტურული ურთიერთგავლენის შედეგებს უწოდებენ კალკებს და მასში აქცევენ ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე მომხდარ ცვლილებებს გარეენობრივი ზეგავლენის შედეგად (არაბული 2005: 238). ზოგჯერ შესიტყვებაში ერთ-ერთი სიტყვა სრულიად ზედმეტია და გადმოსაცემი შინაარსის გამოხატვა ერთი სიტყვითაც არის შესაძლებელი, მაგალითად, ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს (დამარცხდნენ), შეთავაზებას გაუკეთებს (შესთავაზებს), იგნორს უკეთებს (უგულებელყოფს), სადღაც 7 სა-

ათზე (დაახლოებით 7 საათზე); სადღაც 10 წელეწადში (დაახლოებით 10 წელიწადში); დამნაშავე მიმალვამია (იმალება, დამალულია); რა კავშირშია? (რა კავშირი აქვს?); მუქ ფერებში (ფერებით) გვიხატავს; გვერდს ვერ აუვლით მოცემულ (წარმოდგენილ) პრობლემას, შეფასება მისცა (შეაფასა), დახმარება აღმოუჩინა (დაეხმარა), წესრიგში მოიყვანა (მოაწესრიგა), შეცდომაში შეიყვანა (შეაცდინა), დავალება სისრულეში მოიყვანა (შეასრულა) და სხვა.

კალკი გვაქვს მაშინ, როდესაც ახალი სიტყვის წარმოებისას (ან გამოთქმის შექმნისას) მასალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულობენ სიტყვის წარმოქმნის პრინციპს (ან მთელი გამოთქმის შედგენის წესს): ყოფილი ქმარი, საპნის ოპერა.

იმის გამო, რომ უცხო სიტყვის მნიშვნელობა ხშირად უცნობია ფართო აუდიტორიისათვის, ენაში იშვიათი არ არის ქართულ თუ უცხოურ პარონიმულ წყვილთა ცალკების უმართებულოდ ხმარება: ცივილური ქვეყანა (ცივილიზებული ქვეყანა); პასუხისმგებლობას აკისრებს მენეჯმენტს (პასუხისმგებლობას აკისრებს მენეჯერს). შუა ეპიტეტური; ძალიან გრანდიოზული; სრული ანშლაგი და სხვა. კანასკნელ მაგალითთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე შინაარსის გამოსახატავად უფრო უცნაურ ფორმებსაც ვაწყდებით: კონცერტები ყოველთვის ზეანშლაგით ტარდებოდა; მადონას ყველა კონცერტი პერეანშლაგით მიმდინარეობს (ომიაძე 2009: 165).

კალკები დასაშვებია მაშინ, როცა ახალი ცნება შემოდის, რომლის შესაბამისი `მიმღებ` ენაში არ იძებნება, როცა ამის საჭიროება ჩნდება სტილისტური ნიუანსების გადმოსაცემად, მაგრამ აქაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ ქართული ენის ბუნებით; ნასესხები, კალკირებული გამოთქმები ასე თუ ისე უნდა ეწყობოდეს ქართული ენის ხასიათს და არ უნდა იწვევდეს მისი აგებულების თავისებურებათა რღვევას. მაგრამ არასაჭირო სიტყვების უმართებულოდ შემოტანის მსგავსად, ბევრ შემთხვევაში კალკი არის უარყოფითი მოვლენა. იგი ზედმეტია და ამახინჯებს ეროვნულ ენას. ამიტომ მისი ხმარებაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

თანამედროვე, განვითარებულ ქვეყნებშიც კი დღეს უკონტროლო სესხების შესახებ შესახებ უამრავი ლიტერატურა შეიძლება მოვიძიოთ. ინგლისურიდან შემოსული სიტყვები გლობალიზაციის თანმდევ პროცესად იქცა. სესხება მართლაც უკონტროლოა ხშირ შემთხვევაში, რაც წახალისებულია რეორიენტაციით, სამყაროს სწრაფი განვითარებით, გლობალიზაციით (Crystal 1998; Rozenvalde 200: 95). ჩვენ ვცხოვრობთ თარგმნის სამყაროში და გლობალიზებული სამყარო სწორედ ამ შესაძლებლობას გვთავაზობს.

უცხოური ნეოლოგიზმების გააქტიურება ენაში უშუალოდ უკავშირდება ბარბარიზმების პრობლემას. ცნობილია, რომ ენაში დაკანონებამდე ხდება უცხო ენობრივი მასალის გააზრება ქართული ენის სოციალური მოთხოვნების მიხედვით და გაფორმება ქართული ენის კანონებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირად დაკანონებამდე ხდება უცხო სიტყვათა გამოყენება და, ამდენად, მისი ტირაჟირება გარანტირებულია.

რადგან ენათა კულტურულ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, ამიტომ თანამედროვე ქართული ენის წინაშე მდგომი პრობლემა ბარბარიზმებისა, ძალიან საყურადღებოა. ნორმატიული დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნების მიმართ ერთგვაროვანი არ არის. ბარბარიზმების პრობლემა უფო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ენის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთობების დროს (არაბული 2005: 234).

უკანონო თუ კანონიერი ნასესხობების პროპაგანდა დღეს ყველაზე მეტად ტელევიზიითა და სოციალური ქსელებით ხდება. ალბათ, სწორედ ამიტოა გამოწვეული, რომ მასმედიის „ენა“ არაერთხელ გამხდარა დისკუსიის თემა. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქის ენობრივი სტილის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც ჟურნალისტები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ქართული სალიტერატურო ნორმების დაცვის საკითხს.

შემთხვევითი არ არის, რომ ზოგ ახალ ტერმინს ჟურნალისტები იქვე განმარტავენ ხოლმე, სადაც კი მათი გამოყენების აუცილებლობას წააწყდებიან. ., ყველაფერი ეს ზუსტად შეესაბამება სომხეთის საგარეო პოლიტიკის კომპლემენტარიზმის (ურთიერთდამატება, ურთიერთშევსება, complementarism) პრინციპს (24სთ. 20.10.03) (არაბული 2005: 234).

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხშირად იმართება დისკუსიები პრესის ფურცლებზე, ტელევიზიებში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიემდგვნა სტილისტიკურ უზუსტობათა ანალიზს, გამოიცა ჟურნალისტის ორთოგრაფიულ სტილისტური ლექსიკონი, იქმნება ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონიც, რადგან სარეკომენდაციო ლიტერატურის მომხმარებელთა წრეს საგრძნობლად გააფართოებს კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება. ასევე აუცილებელია კვლავ გამოიცეს უცხო სიტყვათა ლექსიკონის შევსებული ვარიანტი (სასურველია ელექტრონული ვერსიითაც), რათა თავიდან ავიცილოთ სიტყვის არასწორი ხმარებით გამოწვეული თუ ორთოგრაფიულ-სტილისტიკური შეცდომები. ვისაც კულტურულ კომუნიკანტად ჩამოყალიბება სურს, უნდა იცოდეს, რომ საქმიანობის ყოველ სფეროში წარმატების გასაღები წარმატებული ურთიერთობაა, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს ენის ცოდნა – მართლწერა და მართლმეტყველება.

ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. თანამედროვე პერიოდში მათი პროპაგანდის მთავარი წყარო მასმედია და ინტერნეტია.

სრულად ადაპტირებული ნასესხობები უკვე არაფრით გამოირჩევა მკვიდრი ერთეულებისაგან, ისინი დაშორებულია პირველწყაროს. ასეთმა ნასესხობამ შეიძლება გამოდევნოს მკვიდრი ერთეული, მაგალითად, სენაკი – ოთახი, მტილი – ბალი და სხვა მრავალი შემთხვევა შეიძლება დავასახელოთ, როცა ქართული ენის მატარებელთა უმეტესობისათვის აღნიშნული ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, ქართულ სიტყვებად არის მიჩნეული და მხოლოდ სპეციალისტთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედეგად ხდება ცნო-

ბილი მათი წარმომავლობის შესახებ. სრულად ადაპტირებული ენობრივი ერთეულები მსესხებელ ენაში შეიძლება გარდაიქმნას ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა. მაგალითად, სემანტიკური გარდაქმნა განიცადა ბერძნულიდან მომდინარე ლექსემამ *სიმპათია* – *თანაგრძნობა*, რომელიც რუსულსა და ქართულში შემოვიდა *კეთილგანწყობის* მნიშვნელობით (გამყრელიძე 2003).

ნაწილობრივ ადაპტირებული ერთეულები, ზოგჯერ ადგილობრივ, ქართულ ვარიანტთან ერთად ფუნქციონირებს, თუმცა მისი უცხოურობა ჯერ კიდევ იგრძნობა: დამცველი-ადვოკატი, ზმნისწინი-პრევერბი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ნასესხობათა უმეტესობა, დღეს ნაწილობრივ ადაპტირებულ ერთეულთა რიცხვს განეკუთვნება, რადგან მათი უმეტესობა ჯერ კიდევ გამოიყენება ადგილობრივ ვარიანტთან ერთად, უცხოობაც ყველასათვის შესამჩნევია, მაგრამ ხმარების სიხშირის მიხედვით, ბევრად აღემატება ადგილობრივს: ლოკაცია, სენსიტიური, არქიტექტონიკა, ორეგანო, ტრანსფერი, ტრანზაქცია და სხვა.

არადაპტირებული ნასესხობები მკვიდრი ერთეულებისაგან გამოირჩევა ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ისინი ძირითადად, უცხო რეალიებს აღნიშნავენ ან სპეციალურ, ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან, ხშირად მათი მნიშვნელობაც უცნობია მასისათვის და ამიტომაც შეცდომების წყაროა. მაგალითად, ბარბეკიუ, სუროგატი, ბაზილიკუმი...

ნასესხობების ორთოგრაფია ემყარება ხან წარმოთქმას, ხან დაწერილობას, განიცდის სხვადასხვაგვარ ცვლილებას. მაგალითად

- ნასესხობა ყალიბდება ნიშუმის წარმოთქმის საფუძველზე: *image* – *იმიჯი*.
- ნასესხები სიტყვის ორთოგრაფია ემთხვევა ეტიმონისას ყოველგვარი ცვლილების გარეშე, *cool* – ქულ.
- ნაწილობრივ ემთხვევა წარმოთქმას, ნაწილობრივ – ორთოგრაფიას, *overtime* – *ოვერტაიმი*.
- ორთოგრაფია ყალიბდება შუამავალი ენის ზეგავლენით, *budget* – ბიუჯეტი.
- გვაქვს წარმოთქმისა და ორთოგრაფიის ვარიაციულობის შემთხვევებიც, *chat* – ჩეტი/ჩატი.

ნასესხებ ფონოლოგიაზე დაკვირვება გვიჩვენებს:

- თუ ორივე ენის წარმოთქმის სისტემას აქვს ერთგვარი ელემენტები, მაშინ ხდება სრული ჩანაცვლება. ამ პროცესს ნულოვანი ტრანსფონემიზაცია ეწოდება, *cool* – ქულ.
- თუკი ნასესხები სიტყვის ზოგიერთი ელემენტი თავისი აღწერით ძირითადი მოდელისაგან განსხვავდება, მაშინ წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ უთანაბრდება ეტიმონს. ამ პროცესს ნაწილობრივი ან კომპრომისული ტრანსფონემიზაცია ჰქვია, *company* – კომპანია.

- თუკი ნასესხები ეტიმონის წარმოთქმა შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომელთაც მიმღები ენის ბგერათა სისტემაში ეკვივალენტი არა აქვთ, მაშინ ჩანაცვლება თავისუფალია. ეს პროცესი თავისუფალი ტრანსფონემიზაციის სახელს ატარებს, weekend – უიკენდი/ვიქენდი.

ნასესხობათა მორფოლოგიური ადაპტაციის შემდეგი ვარიანტები შეიძლება გამოიყოს:

- ნასესხობას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ფორმა, რაც ეტიმონს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეტიმონზე მიმღები ენის არანაირი სუფიქსის დამატება არ ხდება, რასაც ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია ჰქვია, cool – ქულ.

- როცა ნასესხობა ინარჩუნებს ეტიმონის სუფიქსს, ამ პროცესს კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია ეწოდება, speaker – სპიკერი.

- ნასესხები სიტყვის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი იმავე ფუნქციითა და მნიშვნელობით, როგორც ნასესხობის სუფიქსია, ამ პროცესს სრული ტრანსმორფემიზაცია ჰქვია: sarcastic – სარკასტული.

- არის შემთხვევები, როცა ნასესხობა ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთანავე მიმღები ენის სუფიქსს იმატებს: chips – ჩიპსები.

ნასესხებ სიტყვას თავის ენაში შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა. ქართულში შემოსვლისას, ძირითადად, ერთი მნიშვნელობით მკვიდრდება ხოლმე (ლომიძე, 2005). ყველაზე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა სესხებისას ლექსიკური ერთეული განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთია, მაგალითად, სელექცია.

ნასესხობათა კლასიფიკაცია შესაძლებელია სტრუქტურული თვალსაზრისით. აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყოფა ძირეული, ნაწარმოები ან რთული ნეოლოგიზმები:

ძირეულია: chat – ჩატი, fresh – ფრეში, staff – სტაფი, brand – ბრენდი, trend – ტრენდი

ნაწარმოებია: reorganization – რეორგანიზაცია, connection – ქონექშენი, communication – კომუნიკაცია, blogger – ბლოგერი, location – ლოკაცია. ხშირია ჰიბრიდებიც: permanent-პერმანენტული, spontaneous – სპონტანული, extraordinary – ექსტრაორდინალური

რთულია: overdraft – ოვერდრაფტი, hard disc – ჰარდ დისკი, communication skills – საკომუნიკაციო სკილი.

ენის ფარგლებში ნეოლოგიზმთა წარმოებისას ორი ტენდენცია უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი გამარტივებისაკენ, შემოკლებისაკენ, ეკომიურობისაკენ, რომ იოლად წარმოსათქმელი იყოს და მარტივად იწერებოდეს. ხოლო მეორე გრძელ, რთულად წარმოსათქმელ ტერმინებს ანიჭებს უპირატესობას. სწორედ მეორე პროცესის შედეგია, რომ ენაში ნასესხობები ჩნდება პარალელურ ვარიანტებად და გაბატონებულ ადგილსაც იჭერენ.

ნეოლოგიზმები მარცვალთა რაოდენობის მხრივ, შეიძლება დავეყოს მოკლე ან გრძელ სიტყვებად: აღნიშნულ დაყოფას აქვს თავისი საფუძველი. დღეს თითქმის ყველა ენაში ნეოლოგიზმების წარმოებისას ეკონომიურობას

წამყვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ, როცა ქართული გრძელი სიტყვების ან აღწერითი წარმოების გვერდით, გაჩნდა შესაძლებლობა, ერთი სიტყვით გამოხატვით, ენამ მას მიანიჭა უპირატესობა. მაგ, ბანკინგი (საბანკო საქმე), ბორდერიზაცია (საზღვრის გავლება). გრძელი და რთული კომბინირებული ტერმინების შექმნა ან სესხება, რომლებიც არაა მიჩნეული დადებით მოვლენად, დამახასიათებელია ბოლო დროინდელი ტერმინთშემოქმედებისათვის. ეს გრძელი ტერმინები, ზოგჯერ რამდენიმე სიტყვისაგან შედგენილი, გამოსაყენებლად არაკომფორტულია, მითუმეტეს, როცა სწარაფად უნდათ აზრის გამოხატვა. სწორედ ამიტომ ხშირად იყენებენ მათ პარალელურად ნასესხებ სიტყვებს. სტაფი (თანამშრომელი), სივი (ავტობიოგრაფია), ფრეში (ახლად დაწურული ხილის წვენი).

ზოგჯერ გამოთქმის ერთი სიტყვით შეცვლას სემანტიკური თავისებურებაც განსაზღვრავს. მაგ, ჩატი. რატომ ვანიჭებთ უპირატესობას ჩატს და არა საუბარს ან მიმოწერას? საუბარი არ ნიშნავს წერილობით დიალოგს და მიმოწერა არ ნიშნავს ზეპირ საუბარს სოციალურ ქსელებში. ამიტომ ქართული სიტყვების გვერდით, მისი გამოყენება ორივე მნიშვნელობით მისაღები აღმოჩნდა.

არის პირუკუ შემთხვევებიც, მაგ., თუ დეზედორი ადრე რუსულის მეშვეობით გავრცელდა, დღეს ის ჩაანაცვლა ანტიპერსპერანტმა, რომელიც უფრო გრძელი სიტყვაა, თუმცა ენამ უპირატესობა მას მიანიჭა. ანალოგიურია პერმანენტული, მუდმივის ნაცვლად.

ბევრი ნეოლოგიზმი ძველია. ისინი კარგა ხანია შეტანილია უცხო სიტყვათა ლექსიკონში, თუმცა პასიური მარაგიდან აქტიურში გადმოვლა სწორედ თანამედროვე პერიოდში მოხდა ინგლისურის მეშვეობით. ასეთი არის ბევრი ლათინური, ბერძნული, ფრანგული და რუსული წარმოშობის სიტყვა: ავტონომია, ალიანსი, აუდიენცია, გენოციდი, დებატები, კვორუმი, კონსესუსი, საბოტაჟი, სეკვესტრი.

დღეს ინგლისური ასრულებს ორ ფუნქციას – როგორც პირდაპირი საკონტაქტო ენა და როგორც შუამავალი, ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია რადგან უმეტესობა ნასესხობებისა არის არა საერთო ინგლისური სიტყვები, რომლებიც გამოჩნდნენ სასაუბრო ენაში, არამედ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ლათინურ-ბერძნული სიტყვები. მართალია ზოგი მათგანი უმეტესად ცალკე ჯგუფებში გამოიყენება, ვთქვათ, ადმინისტრაციაში და უმეტესად მათ გამოყენებას მოდა განაპირობებს. არის ძველი ნასესხობის ახლით შეცვლის შემთხვევები, მაგალითად, ჟელე შეცვალა გელმა; ნოვატორული – ინოვაციურმა.

ძველი და ახალი ნასესხობები გვიჩვენებენ ექსპლიციტურ ტენდენციას, აწარმოონ ზმნური პარადიგმები: ვკომუნიცირებ, ვპროპაგანდირებ, დავარესტარტო და სხვა.

უცხო სიტყვებს ხშირად მოჰყვება უცხო მენტალობები იმ ენებიდან, სადაც ისინი მკვიდრი სიტყვებია. უცხო ლექსიკის ერთი ნაწილით ხდება სიტყვებით მანიპულირება.

უცხო სიტყვას რაღაცის დაფარვა შეუძლია. სემანტიკურად ჯერ აუთვისებელი უცხო წარმომავლობის სიტყვები, შესატყვისი ქართული სიტყვის ეკვივალენტურად არ აღიქმება. მსმენელი მათში სხვა საზრისს ეძებს. მაგალი-

თად, აღარ მობეზრდათ ინსინუაციები ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. ლათინური სიტყვა *ინსინუაციები* კარგა ხანია ქართულში ნასესხებია, თუმცა წიგნურია და აზნევს მკითხველს (ომიაძე 2009).

როდესაც ნეოლოგიზმებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, მკვეთრი გამოყოფა სპეციალური ტერმინოლოგიის საერთო ენიდან (Temmermann 2000, Cabre 2003: 173). ყველა ტერმინი თავდაპირველად არ იყო სამეცნიერო (ტერმინოლოგია აღწევს სამეცნიერო და ნომენკლატურის მიღმა) და ტერმინოლოგიის გამოყენება განსაკუთრებით, თარგმანში არის დეტერმინირებული სწორედ მიზნობრივი აუდიტორიის თავისებურებებით (Bejoint 2000, Scaetzen 2004). მიუხედავად ამისა, უმრავლესობა ფართოდ გავრცელებული ნეოლოგიზმებისა (განსხვავებით სისტემატურად შექმნილი ტერმინებიდან) არ არიან შექმნილი ტერმინოლოგიების მიერ.

ამდენად, ნეოლოგიზმთა შექმნისა და დამკვიდრების რთულ გზაზე თანამედროვე ქართული ნასესხობათა შემოტანის სტიქიურ გზას ადგას, მაგრამ ამასთანავე აცნობიერებს კურიოზის სასიცოცხლო მნიშვნელობას და დგამს ნაბიჯებს მისი ეფექტური ამოქმედებისათვის.

## ლიტერატურა

**არაბული 2005** – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

**ახვლედიანი 2009** – ც. ახვლედიანი, სოციოლინგვისტურ კვლევათა მნიშვნელობა ენის ევოლუციის ნიშანთა გამოსავლენად (ფრანგული ენის მასალაზე), საენათმეცნიერო ძიებანი, XXIX, თბილისი.

**გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია 2003** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ლ. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**ლომიძე 2005** – კ. ლომიძე, ანგლიციზმების ორტოგრაფიული, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის ტიპები ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბილისი.

**ომიაძე 2006** – ს. ომიაძე, უცხო სიტყვა, უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბილისი.

**ომიაძე 2009** – ს. ომიაძე, სტილისტიკური შეცდომის კვალიფიკაციისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIX, თბილისი.

**ქაროსანიძე, ხურცილავა 2018** – ლ. ქაროსანიძე, ა. ხურცილავა, ქართული ტერმინთშემოქმედების პრობლემები, ისტორია და თანამედროვეობა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**Bejoint, H., Thoirno, Ph. (eds) 2000** – Le sens en terminologie. Travaux du CRTT. Lyon: Presses universitaires de Lyon.

**Buss, O. 1998** – Okazionalie jaunvardi musdienu publicistikas tekstos funkcionala skatijuma. *Linguistica Lettica*. Rakstu krajums. R.: LU LVI, 2, 38-43.

- Cabre, T. 2003** – Theories of Terminology. *Terminology*. 9,2 163-199.
- Crystal, D. A. 1998** – English as a Global Language. Cambridge: Cambridge University Press.
- Druviete, I. 2008** – Development and standardization of the Latvian Language. In: Break-out of Latvian, ZINATNE Publishers, 2008.
- Leroyer, P., Moeller, B. 2004** – Les nouveaux habits de la lexicographie specialisee: integration de la Metaphorique dans le Dictionnaire du Football. in: *Euralex 2004 Proceedings*. Lorient: UBS. P. 571-583.
- Liepa, D. 2002** – Demokratizācijas procesi valoda – leksiskie jauninājumi publicistikas stila. *Komunikācija, Kultura, sabiedrība, mediji*. LU Raksti. R.: Zinatne. 648, 180-195.
- Nitina, D. 1998** – Vardu izveles pragmatika. *Linguistica Lettica*. Rakstu krajums. R: LU LVI, 3, 191-202.
- Nitina, D., Veisbergs A. 2008** – Changes and quality of the language, In: Break-out of Latvian, ZINATNE Publishers, 2008.
- Rozenvalde, I., 2005** – Par universalas virtualas skaidrojošas vārdnīcas izveidi un tas pieejamību. *Latvian valoda – robežu paplašināšana. R.: Valsts valodas komisija*. 93-99. Ipp.
- Schaetzen, Caroline de. (eds) 2004** – Terminologie et societe. Paris: La Maison de Dictionnaire.
- Temmermann, R., 2000** – *Towards New Ways of Terminological Description. The Sociocognitive Approach*. Amsterdam, Philadelphia: John Benjamin.
- Thomas, George, 1991** – Linguistic purism. London; Longman.
- Veidemane, R., 1988** – 1, jul. Latviešu valoda. Stavoklis un perspektīva. *Literatura un Maksla*.

TAMARI LOMTADZE

**Principles of Creating Neologisms  
in Modern Georgian**

S u m m a r y

A standard Language is being cultivated in any developed society. Changes are necessary for every living language. Today it is commonly accepted that borrowings enrich a language. However, on the other hand, it is necessary to protect the purity of the language since, purism is a universal feature of cultivated literary languages, and it is an endemic product. The role of purism is particularly contemplated in the tradition of normalization of the Georgian language. That is why, neologisms as the aspect of the language development have seriously been discussed.

In the modern global world, borrowings, including uncontrolled borrowings, raise some problems for the normalization of the Georgian language and term creation. That is why, the process should be strictly controlled. Uncontrolled borrowing is quite common in the modern Georgian language but it is well-known that we live in the translated world and the globalized world offers us no other opportunity.

The modern world offers us numerous innovations and novelties. Therefore, the language needs increasingly great number of words and looks for new forms of expression. Different individuals have different attitudes towards the language: some are more creative than others. So, these individuals create occasionalisms for expressing an original style in a certain context often violating norms of word formation.

ნანა მაჭავარიანი

### არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?

აფხაზურს არ აქვს ბრუნების სისტემა, შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ამ ენაში არც მართვას აქვს ადგილი.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთისაგან პირ-კლასის ნიშანთა განლაგებით განსხვავდებიან, ასევე პირ-კლასის ნიშანთა სხვადასხვანაირი რანჟირება ახასიათებს ზმნას წარმოქმნის სხვადასხვა კატეგორიაში: ქცევის, პოტენციალის, უნებურობის, კაუზატივისა თუ საურთიერთო კატეგორიებში.

ზმნაში აქტანტთა აღმნიშვნელ აფიქსთა განლაგება სხვა ენების სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ბრუნვების ეკვივალენტურია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. **დ**-ს რიგის აფიქსებს ნომინატივის აფიქსებს, ხოლო **ლ**-ს რიგისას ერგატივის აფიქსებს უწოდებენ (ქ. ლომთათიძე).

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აფხაზურშიც ზმნა პოლიპერსონალურია; იგი ასახავს სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირს. თუ ქართველურ ენებში ზმნას შეუძლია მხოლოდ ორი პირის და მესამის რიცხვის (ძვ. ქართულში) მორფოლოგიური ნიშნის შეგუება, აფხაზურ ზმნას ერთსა და იმავე დროს სამი და მეტი მორფოლოგიური პირის აფიქსის ასახვა ძალუძს.

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები აფხაზურ ზმნაში პრეფიქსებია. ერთადერთი გამონაკლისია ნივთთა კლასის მრავლობითობის **-ქა** სუფიქსის გამოვლენა ზმნაში (გარკვეულ შემთხვევებში).

აფხაზური ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ადამიანისა და ნივთთა კლასის კატეგორია.

გრამატიკულ კლასებს ზმნა განარჩევს მხოლოდითი რიცხვის II და III პირში; მხოლოდითი რიცხვის II პირში ზმნა ასხვავებს მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებს: მკ. ქვეკლასის ნიშანია **ჟ**-, ხოლო ქ. ქვეკლასის ნიშანი არის **ზ**-; **ჟ-ცოდტ** „შენ (მკ.) მიდიხარ“, **ზ-ცოდტ** „შენ (ქ.) მიდიხარ“...

მხოლოდითი რიცხვის III პირში ზმნა განარჩევს ადამიანთა კლასს (მკ.-ისა და ქ.-ისას ერთად), მკ.-ის ქვეკლასს, ქ.-ის ქვეკლასს, ნივთთა კლასს. ადამიანთა (გაუდიფერენცირებლად) კლასის ფორმანტია **დ**-, მკ.-ის ქვეკლასს აღნიშნავს პრეფიქსი **ძ**-, ქ.-ის ქვეკლასს კი **ლ**-; ნივთის კლასის მაჩვენებლებია **ძ**-, **ა**-, **ნა**- პრეფიქსები...

აღნიშნული აფიქსები კლასის ჩვენების გარდა, გამოხატავენ აგრეთვე, სუბიექტისა და ობიექტების პირსა და რიცხვს.

აფხაზურში გამოყოფენ პირისა და კლასის ნიშანთა ორ წყებას:

პირის ნიშანთა ის წყება, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასებსა (ცალ-ცალკე) და ნივთთა კლასს, პირობითად წოდებულია „ლ“-ს რიგად (ქ.-ის ქვეკლასის აფიქსის ლ-ს მიხედვით), ხოლო მეორე რიგი აფიქსებისა, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასს (გაუდიფერენცირებლად), ანუ ადამიანს (პიროვნებას) და ნივთს (საგანს) სახელდებულია „დ“-ს რიგად. ადამიანის (გონიერის) კლასის აფიქს „დ“-ს მიხედვით (დირი 1907: 76, 77; ლომთათიძე 1942: 389-392; ლომთათიძე 1967)

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშანთა სქემა:

„ლ“		„დ“		
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
Iპ.	ს-/ზ-	ჰ(ა)-/აა	ს-	ჰა-
IIპ.	ჟ- (მკ. კ.) ბ- (ქ. კ.)	შ-	ჟ- (მკ. კ.) ბ- (ქ. კ.)	შ-
IIIპ.	ა- (მკ. კ.) ლ- (ქ. კ.) ა-/ნა- (არაგონ. კ.)	რ-/დ-	დ- (ადამ. კ.) ა- (არაგონ. კ.)	ა-

იმისდა მიხედვით, თუ რომელი პირის ნიშანი დგას ზმნის ძირის წინ და რომელი იცვლება პირისა და კლასის მიხედვით, სუბიექტისა თუ ობიექტისა, პირის ნიშანთა წყობა იქნება სუბიექტური ან ობიექტური.

წყობა სუბიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ რეალური და გრამატიკული სუბიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. სუბიექტური წყობა გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

წყობა ობიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ ობიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. ობიექტური წყობა გარდაუვალ და ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს.

აფხაზური ზმნის **ინფინიტურ** ფორმებში გამოჰყოფენ ე. წ. მიმართებით ნაცვალსახელებს, მიმართებით პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები განარჩევს „დ“-სა და „ლ“-ს რიგს; იხმარება მიმღეობურ წარმოებაში პირ-კლასის აფიქსთა ნაცვლად: „დ“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად იხმარება **ა-** სამიმართებო პრეფიქსი, „ლ“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად **ზ-** სამიმართებო პრეფიქსი: **ა-ლ-ბო** „რასაც ხედავს“, **ა-ყა-ზ-წო** „ვინც აკეთებს“...

პირის ნიშანთაგან განსხვავებით, **ა-** და **ზ-** პრეფიქსები პირს, კლასსა და რიცხვს არ განარჩევს... სახელური მრავლობითობის ნიშანი ამ წარმოებებშიც დაერთვის ზმნას და რიცხვს გამოხატავს. ასეთივე წარმოება დადასტურებულია ადიღურშიც. ეს ფორმები სიტყვა-წინადადებებს წარმოადგენენ მიმღეობის ფუნქციით (ლომთათიძე 1942).

აფხაზურში არ არის ქართველურ ენათა მსგავსი პირის ნიშანთა დიფერენციაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებად, მაგრამ ჩანასახის სახით ასე-

თი დაპირისპირება მაინც გვაქვს: (შდრ. **ნა**- პრეფიქსი, რომელიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

პირისა და კლასის ნიშნები აფხაზურში სუბიექტის აღსანიშნავადაც გამოიყენება და ობიექტის აღსანიშნავადაც.

მათი სხვადასხვა როლში გამოსვლა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „**დ**“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია: ა) გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ბ) გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად. (ესენია ნომინატივის რიგის პრეფიქსები) ხოლო „**ლ**“-ს რიგის პირის ნიშნები: ა) გარდამავალ ზმნათა სუბიექტისა, (ერგატივის რიგის პრეფიქსები) ბ) ირიბი ობიექტისა (დატივის რიგის პრეფიქსები) და გ) გარკვეული ნაწილაკის დართვით ინსტრუმენტალობის გამოსახატავად.

აფხაზურ ზმნას პირ-კლასის ნიშნები თავში მოუდის. მათი ადგილი მკაცრად განსაზღვრულია:

ზმნის მთლიან ფორმაში პირველ ადგილას ყოველთვის „**დ**“-ს რიგის აფიქსები გამოდის, მათ მოსდევს „**ლ**“-ს რიგის აფიქსები.

გარდაუვალ ზმნაში პირველ ადგილას არის სუბიექტის ნიშანი „**დ**“-ს რიგისა, II ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „**ლ**“-ს რიგისა: **დ-ბ-შთალოატ** „იგი (გონ.) შენ (ქ.) მოგსდევს“.

გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „**დ**“-ს რიგისა, ხოლო II ადგილას სუბიექტის ნიშანი „**ლ**“-ს რიგისა.

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „**დ**“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტის და სუბიექტის ნიშნები „**ლ**“-ს რიგისა: **ა-ჟ-ს-თოატ** „მე შენ (მკ.) გაძღე მას (ნ.)“.

ზოგ ზმნას პირის ნიშნების ინვერსიული წყობა ახასიათებს. ინვერსიულია გრძნობა-აღქმის, კუთვნილების გამომხატველი და ზოგი სხვა ზმნა.

ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის პირის ნიშანი აღნიშნავს რეალურ ობიექტს, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნით რეალური სუბიექტია გამოხატული. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია, ისინი სტატიკურიც შეიძლება იყოს და დინამიკურიც. ინვერსიულ ზმნებში გარდამავალ ზმნათა მსგავსად, რეალური სუბიექტი „**ლ**“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება, მაგრამ „**ლ**“-ს რიგის აფიქსებით სინამდვილეში ირიბი ობიექტია გადმოცემული.

ყველა გარდამავალი ზმნა ზოგ ზმნურ კატეგორიაში (პოტენციალისი, უნებურობა) ინვერსიული, ე. ი. გარდაუვალი ხდება.

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, პირისა და კლასის ნიშნები პრეფიქსებია ორსავე რიცხვში. რთულფუმიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშანი განკვეთს ფუძეს და ძირის წინ აღმოჩნდება: **ა-ყა-ს-წეატ** „მე ის გავაკეთე“, **აყაწარა** „კეთება“.

ეს მოვლენა იმდენად სისტემატური ხასიათისაა, რომ აფხაზური ზმნის გარდამავლობის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული.

ნივთის კლასის სუბიექტის პირის ნიშნად გარდამავალ განკვეთილ ზმნებში გვხვდება **ნა**-ფორმანტი: **აჟმა ა-ყა-ნა-წიად** – „თხამ გააკეთა“... (ლომ-თათიძე 1942).

სათანადო ფონეტიკურ გარემოში პირისა და რიცხვის ნიშნებს ცვლილება მოსდით:

I სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდობითა და მრავლობითში და II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს: **ს**-, **ჰ**-, **შ**- გარდამავალ ზმნაში მჟღერი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ მოსდის ასიმილაცია: **ს > ზ, ჰ > აა, შ > ჟ**...

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში - **ქა** ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტით: **აყასწიად** „მე ის გავაკეთე“, **აყასწაქიად** „მე ისინი გავაკეთე“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რ. ჯანაშიამ (ჯანაშია 1964).

-**ქა** სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

ამ შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა - **ქა** სუფიქსით; ე. ი. „**დ**“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. შდრ.: ძველი ქართულის ვითარება: -**ენ** სუფიქსით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში -**ქა** სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „**დ**“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი **ა**-ფორმანტით, როცა მხოლოდობით რიცხვში იმავე რიგში ორი: **დ**- და **ა**-ფორმანტი გვაქვს – ერთი ადამიანისა და მეორე ნივთისათვის.

„**ლ**“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად -**ქა** სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ დამახასიათებელი, მეორეული მოვლენაა (ჯანაშია 1964: 247-251).

რა გარემოებითაა გამოწვეული ზმნაში პირ-კლასის ნიშანთა განლაგება იყოს ამგვარი (რაც ზემოთ განვიხილეთ) და არა სხვაგვარი? ამ კითხვაზე პასუხია: ენის შინაგან თვისებათა ერთობლიობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენის მსოფლხედვაა ამის მიზეზი. ეს გახლავთ ე. წ. შინაგანი მართვა და არა მართვა კლასიკური გაგებით.

ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ ზმნის წარმოქმნის (მოდალურ) კატეგორიებში:

პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აფხაზურ-ადილურ ენათათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალურ ზმნას საშუალება ეძლევა გამოხატოს ნაირგვარი მიმართება სუბიექტურ და ობიექტურ, ან ობიექტურ პირებს შორის. ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული, პირებს შორის არსებული ურთიერთმიმართება ქმნის აფხაზური ზმნის მორფოლოგიურ და სიტყვაწარმოებით კატეგორიათა მრავალფეროვნებას.

აფხაზურ-ადილური ენების რელატიურ (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა – პირის, კლასის, რიცხვის) გარდა მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

### **ქცევის კატეგორია**

აფხაზური ენის ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია.

აფხაზურში ქცევის კატეგორია რამდენადმე განსხვავდება ქართველურ ენათა ქცევის კატეგორიისაგან.

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აზერულში გამოყოფს ორ ქცევას: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს (ლომთათიძე 1947: 411-419; ლომთათიძე 1967; ლომთათიძე 1976).

2. სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში.

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური **ზ-**, (ზზიფური **ზ-**) აფიქსით), ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

**ზ-** აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

**ზ-** ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: **სცოაძ** – „მივდივარ“, **საზცოაძ** – „მისთვის მივდივარ“, **აყასწოაძ** – „მე მას ვაკეთებ“, **აღზყასწოაძ** – „მე მას მისთვის (ქ.) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება **ც-** აფიქსით.

**ც-** აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მიმართულ მოქმედებას.

**ც-** ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს **ზ-**ს შემთხვევაში იყო: **სტ.ააძ** – „ვჯდები“, **საღ.ტ.ააძ** – „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჯდები“, **აზგააძ** – „მე ის მომაქვს“, **აღც.გზგააძ** – „მე ის მისი (ქ.) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

**ზ-** და **ც-** პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის **ზ-** და **ც-** პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის „ვუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს (ლომთათიძე 1947: 418).

### პოტენციალისის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა შესაძლებლობის (პოტენციალისის) კატეგორია (ლომთათიძე 1955: 163).

პოტენციალისი ეწოდება გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს.

პოტენციალისის კატეგორია დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან.

პოტენციალისის კატეგორია მორფოლოგიურად აისახება ზმნაში.

აფხაზურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება **ზ-** (ბზიფ. **ზ-**) პრეფიქსით.

აფხაზურ-აბაზურში პოტენციალისის ნიშნის ადგილი მკაცრად ლოკალიზებულია: კერძოდ, ის ყოველთვის დგას რეალური სუბიექტის პირის ნიშნის შემდეგ: **ა-სგ-ზ-გომ** – „მე მას (ნ.) ვერ წავიღებ“... **დ-ზ-ცომ** – „ის ვერ მიდის“...

პოტენციალისის ნიშანი რთულ ზმნებში იწვევს სუბიექტის ნიშნის რთული ფუძიდან გადმოსმას: **ა-ყა-ს-წოატ** – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“... **ა-ს-ზგ-ყა-წომ** „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“.

სამპირიან გარდამავალ ზმნაში პოტენციალისის წარმოებისას ირღვევა კუთვნილებით აფიქსთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობა (ლომთათიძე 1955: 249-255).

როგორც ცნობილია, სამპირიან გარდამავალ ზმნებში I ადგილას დგას პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ნიშანი, II ადგილი ირიბი ობიექტური პირის ნიშანს უკავია, ხოლო III ადგილას გვხვდება სუბიექტური პირის აფიქსი: **ა-ჟ-ს-თო-მ** „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ მოგცემ“... **ა-ა-ს-ჰო-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ გეტყვი“.

პოტენციალისის ფორმაში იმავე სამპირიან ზმნაში რეალური სუბიექტის ნიშანს უკავია II ადგილი: **ა-სგ-ზ-ჟ-თო-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ მოგცემ“, **ა-სგ-ზ-ჟა-ჰომ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ გეტყვი“...

პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში: გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

**ა-ყა-ს-წოატ** – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“

**ა-ყა-ს-წო-მ** – „მე მას (ნ.) არ ვაკეთებ“

**ა-ს-ზგ-ყაწო-მ** – „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან.

**ა-ჟ-ს-თოატ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) გაძღვევ“...

**ა-ჟ-ს-თომ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) არ მოგცემ“...

**ა-სგ-ზ-ჟ-თომ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად.

### უნებურობის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება **ამხა /ამახა** პრეფიქსით. ეს პრეფიქსი შედგება ორი **(ა)მა** და **ხა** ნაწილისაგან. **მა-** ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1955; ლომთათიძე 1976).

**მახა>მა** პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორც პოტენციალისის წარმოებისას: **დც-ეძტ** – „მან (ად.) დაიძინა“, **და-მაც-ეძტ** – „მას (ად.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

პოტენციალისისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან და ზმნურ ფორმაში ამ კატეგორიათა ნიშნები მოსდევს სუბიექტის ნიშანს.

### კაუზატივის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია აფხაზურ ენაში **რ-** პრეფიქსით იწარმოება.

კაუზატიურ წარმოებაში ზმნას ემატება ერთი, პირდ.ობიექტის პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება. გარდამავალ ზმნებში **რ-** პრეფიქსს შეაქვს შუალობის შინაარსი: ზმნას უჩნდება ახალი, სხვისი საშუალებით მოქმედების შემსრულებელი პირი:

არაკაუზატიური ფორმა გარდაუვ. ზმნა <b>დგ-გვლტ</b> „ის (ად.) დადგა“	კაუზატიური ფორმა გარდამ. ზმნა <b>დგ-მ-რ-გვლტ</b> „მან (ად.) ის (ად.) დააყენა“
<b>მ-ლგ-ვვძტ</b> „დაწერა მან“ (ქ.)“	<b>მ-ლგ-მ-რ-ვვძტ</b> „დააწერინა მან (მკ.) ის (ნ.) მას (ქ.)“

სამპირიან ზმნათა ფუძეში ნაწილაკებისა და ქცევის აფიქსთა მონაწილეობითა და კაუზატივის აფიქსით იწარმოება კაუზატივის კატეგორია: **მ-ჟ-ზგ-ლ-სგ-რ-მახჟეძტ** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე მას (ქ.) ვაკერინებ“, **მ-ჟ-ზგ-ჩგჰჰ-სგ-რ-გვლავ** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე დავდგამ კერასთან“.

კაუზატივის **რ-** პრეფიქსი მარტივფუძიან ზმნებში ძირის წინ დგას, რთულფუძიან ზმნებში კი ხან ფუძის წინ დგას, ხან ჩართულია ფუძეში (ლომთათიძე 1945: 89).

ზმნა კაუზატივის ფორმით, ყოველთვის გარდამავალია; თუ კაუზატივის ნიშანი განკვეთილ ფუძეშია, სუბიექტის ნიშანი მის წინ დგას, თუ კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ გამოდის, სუბიექტის ნიშანიც მას გადმოჰყვება.

კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში **რ**- პრეფიქსი; იგივე **რ**- პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის **რ**- პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის **რ**- ნიშანი წარმოდგენილია **დ**-ს სახით: **სედგრტ-ედტ** „მე მათ დამსვეს“, \***სგრგრტ-ედტ...** **იდდგრზოდტ** „ისინი მათ მას ანახვებენ“, \***არგრზოდტ...**

### **საურთიერთო კატეგორია**

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადილურ ენებში განიხილავს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1961).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში **ა(ა)**, **ა(ა)-ც**, **ა(ა)-ზა**.

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს **აა**- პრეფიქსის **ც**- და **ზა**- ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (-**ა/ეც**-) და საურთიერთო-საორმხრივო (**ა/ეაზა**-) ქვეკატეგორიები.

**ც**- სათანაოს ფუნქციით დამოუკიდებლადაც გვხვდება: **სარა ლარა სლგცუბ** – „მე მას ვახლავარ“, **დიცკა-აშ-ოდტ** – „ის (ად.) მასთან (მკ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: **ილგცესქოდტ** – „მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ“, საურთიერთო-სათანაო **ააგ**- პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქცევა: **ილგცესქოდტ** > **აეაგაჰქოდტ** – „ჩვენ მას ერთად ვჭამთ“, ე. ი. ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტის პირს (ლომთათიძე 1960/1961: 279).

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით;

ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **ააზა**- პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აა**- საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, **ზა**- პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

**აბზა-/ეზბა-** პრეფიქსი, განსხვავებით **აფ-/ეფ-** და **აფც-/ეფც-** პრეფიქსებისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

**აფ-/ეფ-** პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა, ან წინდებულთა დართვას იწვევს; **აბზა-** პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **დგრდგრუქვტ** „ისინი მას იცნობენ“, **ეზბადგრუქვტ** „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **აღასჰ.ექტ** – „მე მას (ქ.) ის ვუთხარო“, **ეზბარჰ.ექტ** – „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში:

**აღგრბოქტ** – „ის (ქ.) მას (აღ.) ხედავს“, **ეზბარბოქტ** – „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის **აფ-/ეფ-** და საურთიერთო სათანაო ქვეკატეგორიის **აფც-/ეფც-** პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზურში მუდამ ფუძის წინ გვხვდება.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული გარემოებანი იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ აფხაზურში გამოიყოს მართვის, როგორც ასეთის, კონკრეტული სახეობა, მორფო-სინტაქსური მართვა (შინაგანი მართვა), რომლის გამომწვევია ზმნური ძირ-ფუძეების ხასიათი, მოდალურ კატეგორიათა შინაარსი და ზოგადად, აფხაზური ზმნის ინკორპორაციული ბუნება.

მართვის კლასიკური გაგებით განხილვა წარმოუდგენელია აფხაზური ენისათვის. საერთოდ, ამა თუ იმ კონკრეტული ენის გრამატიკა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული ენის შინაგან ბუნებას, მსოფლხედვასა და თავისებურებებს. შეუძლებელია ნებისმიერ ენას უნივერსალური გრამატიკა მოარგო.

ჩვენ მიერ განხილული აფხაზური ენის ვითარება სწორედ ამის დასტურად მიგვაჩნია.

დასკვნის სახით დავსძენთ, რომ აფხაზურში არის მართვა, ოღონდ მას უნდა ეწოდოს შინაგანი მართვა, გამოწვეული აფხაზური ზმნის ინკორპორაციული ხასიათით.

## ლიტერატურა

**ანდლულაძე 1968** – ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილეების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

**დირი 1907** – А. М. Дирр, О классах (родах) в кавказских языках, сборник материалов для описания местностей и племён кавказа, Тифлис.

**თოფურია 1962** – გ. თოფურია, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე ტ. XIII, თბილისი.

**ლომთათიძე 1942** – ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

**ლომთათიძე 1942** – К. В. Ломтатидзе, Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка. Сообщения АН Грузинской ССР, т. III, №4, Тбилиси.

**ლომთათიძე 1945** – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი.

**ლომთათიძე 1947** – ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბილისი.

**ლომთათიძე 1948** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი.

**ლომთათიძე 1955** – ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბილისი.

**ლომთათიძე 1960/1961** – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკე, ტ. XII, თბილისი.

**ლომთათიძე 1961** – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი.

**ლომთათიძე 1976** – К. В. Ломтатидзе, Категория версии в картвельских и абхазско-адыгских языках. ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

**ლომთათიძე 1976** – К. В. Ломтатидзе, Категория потенциалиса (возможности) в картвельских и абхазско-адыгских языках, ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ერგატიული კონსტრუქცია აფხაზურსა და ქართულში (პირ-კლასისა და პირის აფიქსთა განლაგების ეკვივალენტურობისათვის აფხაზური და ქართული გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაში), ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**როგავა 1950** – გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონათმეცნიერებისათვის ადიღურ ენებში, სმამ, ტ. XI, თბილისი.

**როგავა 1953** – გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, №7, თბილისი.

**როგავა 1962** – გ. როგავა, ზმნის პოლიპაერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. XIII, თბილისი.

**როგავა 1964** – გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში, თბილისი.

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში. ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

**ჩიქობავა 1948** – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი.

**ჩიქობავა 1953** – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. V, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1938** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი.

**ჯანაშია 1964** – რ. ჯანაშია, მრავლობითობის სახელური -ქა სუფიქსი აფხაზურ ზმნაში, იკე, ტ. XIV, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

## Does “Syntactical Subordination” Exist in Abkhazian?

### S u m m a r y

The Abkhazian language does not have a declension system and consequently, in the scientific literature it is recognized that syntactical subordination does not exist in this language.

Transitive and intransitive verbs differ from one another with the order of person-class markers. The different order of the latter is also typical for a verb in the various formation category: version, potential, involuntariness, causative and reciprocal.

The order of affixes in a verb marking actants is equivalent to declension of a subject and an object in other languages.

In scientific literature the affixes of the so-called group **d** are called normative affixes and the ones of the group **l** – ergative affixes (Ketevan Lomtadze).

We believe that the circumstances discussed above provide the basis for distinguishing syntactical subordination in Abkhazian as a specific type “morpho-syntactical subordination” (internal subordination) that is caused by the nature of verbal roots and bases, modal categories, and generally by the incorporative nature of the Abkhazian verb.

სალომე ოშიაძე

**„კაზმვა“ / „კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან  
მნიშვნელობის დიფერენცირებამდე**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, **კმაზ[ვ]ა** იგივეა, რაც **კაზმვა**, რომელიც ამავე ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: „სახელი კაზმავს ზმნის მოქმედებისა: 1. მორთვა; 2. მომზადება ცხენისა სამგზავროდ (უნაგირის დადგმა, აღვირის გაკეთება და მისთ.); 3. სანელებლის კეთება საჭმლისათვის; 4. ყდაში ჩასმა (წიგნისა ... ); 5. დარჩევა, დარკვევა (მარცვლეულისა)“ (ქეგლი 1995). „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ კი ამ ორ ფორმას შემდეგი კვალიფიკაციით გვთავაზობს: „[კმაზვა **კი არა**] კაზმვა“. სპეციალურ წერილში, რომელიც მომხმარებელს აცნობს ორთოგრაფიული ლექსიკონის აგებულებას, ვკითხულობთ: „ლექსიკონში შეტანილია უმართებულო ფორმებიც, რომლებიც აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს სალიტერატურო ენაში. ასეთ ფორმებს სათანადო კვალიფიკაცია ერთვის: [**ამობლერტვა კი არა**] **ამობერტყვა**“ (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998: 11-12).

ამ მონაცემების მიხედვით, „კაზმვა“ სალიტერატურო ფორმაა, ხოლო მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი „კმაზვა“ – არანორმატიული.

„კაზმვა“ (და „კაზმ“ ძირის დერივატები) ძველ ქართულში სამი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება, ესენია: მორთვა / შემკობა, გამზადება და შეიარაღება, დავიმოწმებთ კონტექსტებს:

**მორთვა / შემკობა:** „აღესრულნეს პირველად, სჯემონ, **განმკაზმველი წიგნთაჲ**, და შემდგომად მისსა მეფეცა ბასილი, დამაყენებელი კითხვისა მათისაჲ...“ (ეფრემ მცირე, მცირე სჯემონისათჳს ლოღოთეტისა; კოლოფონები)<sup>1</sup>; „[თრდატ] ... გამოაჩინნა ჯუარნი და შეკაზმნა ეკლესიანი“ (ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა).

**გამზადება:** „უკუეთუ პირველად არა ცნას მკურნალმან სენი, ვითარ **დაჰკაზმოს წამალი**“ (იოანე პეტრიწი, ერთისა და სიმრავლისათჳს); „მაშინ მოწყალე ქმნული მათთჳს შევიდა ზაბილონ წინაშე მეფისა და გამოითხოვნა იგინი მეფისაგან **სამკუდროდ შეკაზმულნი**“ (ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა).

**შეიარაღება:** „**შეკაზმული ქუეითი** ირემსა მიეწიის“ (შდრ. „**ჭურვილი ქუეითი** ირემსა მიეწიის“) (ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა); „**შეეკაზმა**, რადთა გავიდეს ბრძოლად“ (ბალავარიანი).

<sup>1</sup> მაგალითების დასამოწმებლად გამოყენებულია GNC (ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ძველი ქართული) – <http://gnc.gov.ge/gnc/page>.

„ვეფხისტყაოსანში“ „კაზმ“ ძირი 36-ჯერ დასტურდება. აკაკი შანიძე „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის წინასიტყვაობაში ზმნურ ინდექსებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „**შეეკაზმა** ორი სხვადასხვა მნიშვნელობით არის ნახმარი პოემაში; ფატმანს პური **შეეკაზმა** (1257, 1); **შეეკაზმა** მეფე, შეჯდა (73,1). პირველი შეეკაზმა მოქმედებითად მიდის (თუმცა წარმოშობით ვნებითია), III სერიის ფორმაა და აწმყოში ასეთ ფორმას გულისხმობს: **შეკაზმავს** (პურს), რომელიც უხმოვნოდ არის ნაწარმოები და ორ-პირიანია. ამიტომ მისი ინდექსი იქნება **0 – 2**; მეორე **შეეკაზმა** ვნებითია წყვეტილის ფორმით, II სერიის ფორმაა (აწმყოში იქნება: **ე-კაზმების**) და, მაშასადამე, ენზე უნდა იყოს ნაჩვენები:

**შეკაზმა, 0 – 2**; ფატმანს პური **შეეკაზმა** (1257, 1);

**ე: შეეკაზმა** მეფე, შეჯდა (73,1)“ (სიმფონია 1956: 012-013).

მოხმობილ ციტატაში მეცნიერი „შეეკაზმა“ ფორმის ლექსიკურ-გრამატიკულ მნიშვნელობებს განიხილავს. რაც შეეხება წმინდა ლექსიკურ მნიშვნელობებს, საინტერესოა მსჯელობა იმავე ძირის მიმღეობასთან დაკავშირებით. პოემის ერთ-ერთ თავში („თათბირი ტარიელისა“) არის ტაეპი, რომელიც სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვაგვარად იკითხება: „გზანი დახვდეს **შეკაფულნი // შეკაზმულნი** შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა“. მოცილე ფორმებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. სანდრო შაიშმელაშვილი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო და მის შემდგომ გამოცემებში დადასტურებული „შეკაზმულნის“ ნაცვლად უნდა აღდგეს ადრინდელი „შეკაფულნი“. ავტორს „გზანის“ მსაზღვრელად „შეკაზმულნის“ ნაცვლად „შეკაფულნის“ მართებულობის არგუმენტად პოემის შემდეგი ტაეპი მოჰყავს: „ესე **ქვაზნი** უკაცურნი ვპოვე, დევთა **შეეკაფუნეს**“. იგი საკუთარ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებს, რომ „შეკაზმულის“ პოემისეული მნიშვნელობა (ცხენისა და საჭმლის შეკაზმვა: „ფატმან პური შეეკაზმა“) აღნიშნულ კონტექსტს არ ესადაგება (შაიშმელაშვილი 1988: 8-10).

ალექსი ჭინჭარაულს განსახილველ ტაეპში „შეკაზმულნი“ მიაჩნია რუსთველისეულ მსაზღვრელად. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შეკაფულნი“ მხოლოდ ოთხ ხელნაწერში გვხვდება მაშინ, როდესაც „შეკაზმულნი“ თექვსმეტში დასტურდება. ჩვენთვის არსებითია „შეკაზმულნის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებული მსჯელობა. მეცნიერის თქმით, კონკრეტულ მაგალითში „შეკაზმული“ **გამზადებულს, გახსნილ გზას** ნიშნავს (ჭინჭარაული 1999: 14).

„კაზმ“ ძირის ლექსიკური მნიშვნელობების გამოსავლენად ჩვენ გავაანალიზეთ პოემის ყველა სათანადო კონტექსტი და დავიმოწმებთ იმათ, რომელთაც, შეიძლება ითქვას, დეფინიციური შინაარსი აქვთ:

„ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა, / დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა“; „იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ, / უკაზმავსა მიღალატეს, საჭურველნი გარ ვერ ვითხენ“ – **აღჭურვა**;

„ქვაბს შეიყვანა ტაიჭი, მოჰხადა აკაზმულობა“; „ცხრა ტაიჭი, ძვირფასითა უნაგრითა შეკაზმული“; „შავსა აუდვა ლაგამი, სწმედდა რიდისა წვერითა, / შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერთა“ – **ცხენის მორთვა**;

„სავაჭროთა შევეკაზმვი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა“; „ამა ქალაქსა წესია დღესა მას ნავროზობასა – / არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა; / ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა, / დიდსა შეიქმან მეფენი პურობა-დარბაზობასა“ – **გამოწყობა, კობტად შემოსვა**;

„დავკაზმეთ ნავი, კატარღაც...“; „მოვუკაზმე სახლი ერთი ...“; „მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა!“ – ამ ტიპის მაგალითებში **„მომზადება“** უფრო გამოკვეთილია, ვიდრე დანარჩენებში.

ერთი შეხედვით, განსხვავებულ მნიშვნელობას გვიჩვენებს შემდეგი ტა-ეპი: „ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად“, რომლის აზრია: ფატმანს **სუფრა გაეშალა** ავთანდილის მისაწვევად (ავთანდილისათვის), თუმცა სუფრის გაშლა იგივე პურობისათვის **მომზადებაა**.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (ქართული ლექსიკონი 1928) გვხვდება: „**კაზმა** – მორთუა“ და მისი პირიანი თუ მიმღებური ფორმები: „**კვაზმაგ** – კაზმასა ვიქ“; „**იკაზმებოდა** – კაზმას ჰყოფდა“; „**მკაზმავი** – კაზმის მოქმედი“; „**ნაკაზმი**“ – კაზმაქმნილი“; „**საკაზმავი** – კაზმის საკმარი“; „**შეეკაზმა** – ცხენი უნაგრით მოერთო, გინა ხე შეეკაფა“. ცალკე ერთეულადაა შეტანილი „**კაზმვა** – დარჩევასავით“, დასტურდება მისი კაუზაციური ფორმა „**დააკაზმი-ნე** – დაარჩევინე“. იქვე „**კაზმი**“ განმარტებულია, როგორც „ასაკიდარი თოკი რიკოვანი“.

„კაზმ“ ძირის ფონეტიკურად სახეცვლილი „**კმაზ**“ სამგან გვხვდება „და-ვითიანის“ ტექსტში (გურამიშვილი 1955): „კაინ ღმერთს მსხვერპლი შესწირა თავისი ნამუშაკვევი, / ხეთა, ბალახთა ნაყოფი, ნახნავ-ნათესი, ნამკვევი; / მსხვერპლში ურივა **ნაკმაზი**, თვით იპრიანა ნარკვევი, / ღმერთმან შეუტყო, უვარყო ნალალატ-ნაეშმაკვევი“; „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი, / იფქლი კალოზე ეყარა განურჩეველი, ბზიანი; / ახალმან დღემან განწმინდა ღვარძლიან **ნაკმაზიანი**, მის დღითგან მოჩანს გარჩევით სარგებელი და ზიანი“. მოხმობილ კონტექსტებში დასტურდება ჩვენთვის საინტერესო ძირის კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელიც ქეგლში რიგით მეოთხედ არის დამოწმებული: **მარცვლეულის დარკვევა, დარჩევა, გასუფთავება**.

მესამე მაგალითი შემდეგია: „თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნულარა დაზმითა; / თან ცოტა ყმანი იახელ, ნუ გაეწყობი რაზმითა, / ფარვით იარე გზაზედა, არ მეფეთ **მოსაკმაზითა**“. სარითმო ერთეულებს თუ დავუკვირდებით, „კაზმ“ ძირი უფრო შესაფერისი იქნებოდა: **დაზმითა – რაზმითა – მოსაკაზმითა**, მაგრამ ყველა გამოცემაში დასტურდება: **დაზმითა – რაზმითა – მოსაკმაზითა**). მესამე მაგალითთან ერთად, ავტოგრაფული ხელნაწერის გადამოწმების სურვილს აჩენს ის ერთადერთი კონტექსტი, რომელშიც ამოსავალი „კაზმ“ ძირის პირიანი ფორმა გვხვდება: „მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, / ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა; / მაგრამ მიმროთიკ კეკლუცნი / ტურფად **მოიკაზმენ** პირსა“. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი საკვლევი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ორ უკანასკნელ მაგალითში „არ მეფეთ მოსაკმაზითა“ და „მოიკაზმენ პირსა“ იქნება თუ „არ მეფეთ მოსაკაზმითა“ და „მოიკმაზენ პირსა“, რადგან ფონეტიკურად განსხვავებული ძირები განსხვავებულ მნიშვნელობებს არ გამოხატავენ.

არც ვაჟასთან ვლინდება განსხვავებული ბგერათმომდევრობის ფორმა-თა გამოყენებისას მნიშვნელობის დიფერენციაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქეგლში დამოუკიდებელ ერთეულად შეტანილ **კმაზ[ვ]ას მიწერილი აქვს** – „იგივეა, რაც **კაზმა**“, იქვე კი საილუსტრაციოდ მოყვანილია დავით კლდიაშვილის შემდეგი სიტყვები: „პლატონმა ... ცხენი ... მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით ... და **კმაზა** დაუწყო“, იმავე „სამანიშვილის დედინაცვალში“ სხვა ადგილას ვკითხულობთ: „... ორთავემ ჩაიცვეს, დაიხურეს, ცხენები დაიჭირეს, **შეკაზმეს** ...“ (კლდიაშვილი 1987: 132).

ჩვენ მიერ განხილულ წყვილთან დაკავშირებით კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის სიმონ ყაუხჩიშვილი. „ქართველი ერის ისტორიის“ V ტომს ერთვის სამი დამატება, რომელთაგან ერთ-ერთია ივანე ჯავახიშვილის არქივში აღმოჩენილი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1920 წელს გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტი. სიმონ ყაუხჩიშვილი 1953 წელს წერილში ტომის „რედაქტორისაგან“ წერს: „... არშიებზე, განსვენებულ აკადემიკოსს [ივ. ჯავახიშვილს] შეუტანია შესწორებები და მოკლედ აღუნიშნავს თავისი შეხედულება ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესახებ ... ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ დაუწყია ნარკვევის წერა, ხოლო ვერ დაუმთავრებია. ჩვენ ამოვიკითხეთ ყველა მისი მარგინალური შენიშვნა და მოვათავსეთ სქოლიოებში, ხოლო დაუმთავრებელი ნარკვევი ძეგლის შესახებ თავში მოვათავსეთ“ (ქართველი ერის ისტორია 1953: VIII). სწორედ სქოლიოებში ორგან ვხვდებით ჩვენთვის საყურადღებო ცნობას: „სიკისტროსანი ჯორი ესრე მოკაზმული“ – [სქოლიო] – „6. (აქაც და სხვაგანაც სწერია „მოკმაზული“, ივ. ჯავახიშვილი ასწორებს „მოკაზმული“) (ქართველი ერის ისტორია 1953: 209); „აწე ვიწყით შეკაზმა მეფისა“ – [სქოლიო] – „5. („შეკმაზვა“-ს ივ. ჯავახიშვილი ყველგან ასწორებს შეკაზმა)“ (იქვე: 222).

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ 1955 წლამდე (სწორედ ამ წელს გამოვიდა ქეგლის ძველი რედაქციის მეოთხე ტომი, რომელიც ვ, ზ, თ, ი, კ, ლ ასოებს აერთიანებს) კმაზ-ს ამოსავალი კაზმ-ისაგან განსხვავებული მნიშვნელობა არ ჰქონია. ფონეტიკურად განსხვავებულ ვარიანტებს მნიშვნელობა არც მომდევნო ოთხი ათეული წლის განმავლობაში განუსხვავებიათ, რასაც ადასტურებს 1998 წელს დაბეჭდილი ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მეორე შევსებული გამოცემა, რომელიც, გავიმეორებთ, **კმაზვას** უმართებულოდ აფასებს და გვაფრთხილებს: „[კმაზვა **კი არა**] კაზმა“.

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს დიალექტური კორპუსის მონაცემებიც (ქდე): ლობიო ზოგან შეკმაზულია, ზოგან – შეკაზმული; შეკაზმული ცხენების გვერდით გვხვდება შეკმაზულ-დაკმაზული ცხენები, რაშები, ჯორები; დაკმაზულია, აგრეთვე, ქალიც, კაციცა და ხორბალიც.

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან კი მასმედიის ენასა და მხატვრულ ტექსტებში დადასტურებული „კმაზ“-ძირიანი ფორმები მხოლოდ კულინარიული დისკურსის კუთვნილებათ. იშვიათად თუ შეგვხვდება **კაზმა** კერძთან

დაკავშირებით და, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ არ გვხვდება **კმაზა** არაკულინარიულ თემებთან. 2010 წელს ამასთან დაკავშირებით თინათინ ღვინაძე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ამბობს: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეკაზმა და შეკმაზა სიტყვები ერთი და იგივეა ნაზმნარი სახელის წარმოებითაც და სემანტიკურადაც. პირველი ძირითადი და სალიტერატურო ფორმაა, მეორე კი – მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი. მაგრამ დღეს ისინი პარონიმებად ქცევის ზღვარზეა, ვინაიდან სიტყვები საკმაზი და ნაკმაზი ამ ფორმით სალიტერატურო ქართულშიც უკვე დამკვიდრდა საკაზმი და ნაკაზმის მაგივრად. ამიტომ უნდა პარონიმებად მივიჩნიოთ ეს წყვილი: შეკაზმა (ცხენისა, ხატისა, წიგნისა ...) – შეკმაზა (საჭმლისა, სადილისა...)“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 2010).

2011 წელს გამოცემულ „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „შეკაზმავს („ვინ შეკაზმავს ცხენს?“); შეკმაზავს (ვინ შეკმაზავს ლობიოს?)“ (ქეპლი 2011: 275). ლექსიკონის ავტორ-შემდგენლების მიერ უდავოდ ეფექტური გზაა შემოთავაზებული ამ ორი ერთეულის გასარჩევად, თუმცა, ვფიქრობთ, რომ, ვიდრე რომელიმე წყვილი პარონიმთა ლექსიკონში დაიკავებდეს ადგილს, მანამდე წყვილში შემავალი ცალების განსხვავებული მნიშვნელობები სხვა ტიპის ლექსიკონებსა თუ საცნობარო ლიტერატურაში უნდა დასტურდებოდეს.

## ლიტერატურა

**კლდიაშვილი 1987** – დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი, სამი მოთხრობა, თბილისი, თსუ გამომცემლობა.

**ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ 2010** – პირველი ქართული პარონიმული ლექსიკონი მალე გვექნება (ავტ. თ. შაიშმელაშვილი), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28.12.2010.

**სიმფონია 1956** – ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია (შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით), ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ქართველი ერის ისტორია 1953** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე (რედ. სიმ. ყაუხჩიშვილი), თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ქართული ლექსიკონი 1928** – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით), ტფილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“.

**ქღვ** – ქართული დიალექტური კორპუსი – <http://www.corpora.co/#/corpus>.

**ქეგლი 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV ტომი (რედაქტორები: არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი), თბილისი.

**ქეპლი 2011** – შ. აფრიდონიძე, თ. ვაშაკიძე, ვ. მალრაძე, თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე, ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

**შაიშმელაშვილი 1988** – ს. შაიშმელაშვილი, იქნებ ღირდეს დაფიქრებად („შეკაზმულნი“ თუ „შეკაფულნი“), აღმ. „კრიტიკა“, № 6, თბილისი, გვ. 8-10.

**ჭინჭარაული 1999** – ალ. ჭინჭარაული, „შეკაფულნი“ თუ „შეკაზმულნი“? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 35, თბილისი, გვ. 14.

SALOME OMIADZE

### **“*ḳazmva*”/“*ḳmazva*” – From Phonetic Change to Meaning Differentiation**

S u m m a r y

On the basis of the analysis of normative-literary and dialectal texts, the paper shows the way of changing the semantic structure of the root *ḳazm-*. The source is old Georgian contexts where the root *ḳazm-* is used with three main meanings and the unchanged sound order: to adorn, to prepare and to arm. The examples from “The Knight in the Panther’s Skin” in which this root is used with the above-mentioned meanings are discussed. We analyze “Davitiani” in which the forms having the root *ḳazm-* and its phonetically modified version *ḳmaz-* are used in parallel with the same meaning.

The paper describes a part of the language development when the word *ḳazmva* is a literary form and its phonetically modified version *ḳmazva* is not normative (the lexicographic information confirming the fact is also presented). We think that this information is no longer relevant for the current situation as since the end of the last century the forms having the roots *ḳazm-* and *ḳmaz-* attested in the language of mass media and literary texts have been semantically different and used in different contexts. The lexical units having the root *ḳazm-* is a belonging of the culinary discourse (*ḳmazavs* means to add seasonings to a dish) while the root *ḳazm-* means 1. to adorn; 2. to prepare a horse for riding; 3. to bind a book and 4. to draw grains.

At the end of the paper it is also noted that before including the lexemes *ḣeḳazmavs* – *ḣeḳmazavs* in “The Dictionary of Georgian Paronyms” (2011) their different meanings should have been attested in other types of dictionaries and reference books.

მედეა სალიანი

**ფონოსემანტიკური მოდელების ფონემური სტრუქტურისათვის სვანურში**

სვანურში, სხვა ენათა მსგავსად, ფონემური სისტემა სხვადასხვა ჯგუფებად (ხმოვნები და თანხმოვნები) იყოფა (ჯგუფები ქვეჯგუფებად და ცალკეულ ფონემებად). ცხადია, ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან რაღაც ნიშნებით განსხვავდებიან. ეს განმასხვავებელი ნიშნები კი ლინგვისტურ ლიტერატურაში დიფერენციალური ნიშნების სახელწოდებით არის ცნობილი.

ნაშრომში განხილული იქნება სვანურ ფონოსემანტიკურ მასალაში წარმოდგენილი კონსონანტური მოდელები და ხმოვნითი ბგერწერა.

**სვანურის კონსონანტური მოდელები და მათი აგების პრინციპები**

თანამედროვე სვანურში გამოიყოფა თანხმოვანთა ორი ჯგუფი: *სონორთა ჯგუფი* და *ჩქამიერთა ჯგუფი*.

სონორთა კლასში ერთიანდება: **რ, ლ, მ, ნ, ჟ** და **ღ** ბგერები, რომლებიც როგორც ერთმანეთისაგან, ისე ყველა სხვა თანხმოვნისაგან, წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავდებიან, სვანურ ჩქამიერ ბგერათა დაპირისპირება კი შეიძლება სამი დიფერენციალური ნიშნის მიხედვით დახასიათდეს: 1. სერია, 2. ლოკალური რიგი, 3. ხშულობა-ნაპრალოვნობა. ამ სამი ნიშნის (*სერიის, რიგის, რაგვარობის*) გათვალისწინებით სვანურ ჩქამიერ თანხმოვანთა დაპირისპირება ასეთ სახეს მიიღებს:

სერია	ლაბიალური	დენტალური	ალვეოლარული		პალატალური		ველარული		ფარინგალური	ლარინგალური
			ხშ.	ნაპრ.	ხშ.	ნაპრ.	ხშ.	ნაპრ.		
მჟღერი	<b>ხ</b>	<b>ღ</b>	<b>ძ</b>	<b>წ</b>	<b>ჭ</b>	<b>ყ</b>	<b>გ</b>	<b>ღ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>
ფშვინვიერი	<b>ფ</b>	<b>თ</b>	<b>ც</b>	<b>ს</b>	<b>ჩ</b>	<b>შ</b>	<b>ქ</b>	<b>ხ</b>	<b>ყ</b>	
მკვეთრი	<b>პ</b>	<b>ტ</b>	<b>წ</b>		<b>ჭ</b>		<b>კ</b>			

სვანურში ჩქამიერ თანხმობანთა მიმდევრობები შესწავლილია ბალსზე-მოური მასალის საფუძველზე. ანალიზის დროს ამოსავლად აღებულია ორწევრა კომპლექსები, ვინაიდან ნებისმიერ ენაში სწორედ ორწევრა კომპლექსები ავლენენ უფრო სრულად თანხმობანთა ურთიერთკომბინაციის შესაძლებლობებს. ნათქვამია ისიც, რომ სტაბილურ ორწევრა მიმდევრობათა შექმნაში სვანურში არ მონაწილეობს **ჯ და ჰ** თანხმობნები. ორწევრა მიმდევრობები კი ქმნიან შემდეგ მოდელებს: **CG, CSp, SpC, SpSp** (ბაბლუანი 1985: 98-99).

სვანურის სტაბილურ ორწევრა მიმდევრობებში, როგორც ლ. ბაბლუანი შენიშნავს, უგამონაკლისოდ მოქმედებს ზ. ჯაფარიძის მიერ სალიტერატურო ქართულის კონსონანტური ჯგუფებისათვის დადგენილი წესი: „თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში არასონორს არ შეიძლება მოსდევდეს იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები, მისივე ან მომდევნო ლოკალური რიგის (რიგების) სხვა არასონორი“ (ჯაფარიძე 1967: 147). აღნიშნული წესი ფორმულირებულია თავკიდური კონსონანტური ჯგუფებისათვის, მაგრამ იგი ერთი მორფემის ფარგლებში ყოველგვარ კონსონანტურ ჯგუფს ეხება როგორც ქართულში, ისე სვანურში (ბაბლუანი 1985: 100).

სვანურში დაუშვებლადაა მიჩნეული:

ა) სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები (*წინაენისმიერი + ბაგისმიერი*, *უკანაენისმიერი + წინაენისმიერი*, *უკანაენისმიერი + ბაგისმიერი*).

ბ) ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები (*წინაენისმიერი + წინაენისმიერი*, *უკანაენისმიერი + უკანაენისმიერი*).

მაგრამ სვანურში დასაშვებლადაა მიჩნეული ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები ის აქცესიური მიმდევრობები, რომლებიც შედგენილია შემდეგნაირად: *ყრუ სიბილანტი + წინაენისმიერი არაფშვინვიერი ხშულ-მსკდომები* (**სდ, სტ, შდ, შტ**). გარდა ამისა, დასაშვებია სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური დეცესიური მიმდევრობები (*ბაგისმიერი + უკანაენისმიერი*, *წინაენისმიერი + უკანაენისმიერი*).

არ დასტურდება *ბაგისმიერი + წინაენისმიერი* სახის სტაბილური დეცესიური მიმდევრობები.

სვანურში დადასტურებულ ორწევრა სტაბილურ მიმდევრობებს მკაცრი დისტრიბუციული შეზღუდვები ედება, რაც განაპირობებს მათ სიმცირეს. ამ მიმდევრობებს შეზღუდვები ედება, ძირითადად, აქცესია-დეცესიისა და ჰარმონიულობა-არაჰარმონიულობის მიხედვით.

სვანურში დადასტურებული 36 სტაბილური მიმდევრობიდან დეცესიურია 32, 4 კი – აქცესიური. ცხადია, გარკვეული შეზღუდვები ედება როგორც დეცესიას, ისე აქცესიას.

დეცესიური მიმდევრობები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: *წინაენისმიერი ჩქამიერი + უკანაენისმიერი ჩქამიერი*.

აქცესიური მიმდევრობები კი ძირითადად ასეთი სახისაა: *ყრუ სიბილანტი + წინაენისმიერი არაფშვინვიერი ხშულ-მსკდომი*: **სდ, სტ, შდ, შტ**.

რაც შეეხება ორწევრა კომპლექსთა ჰარმონიულობა-არაჰარმონიულობას, შეიძლება ითქვას, რომ სვანურში ჩქამიერთა სტაბილური ორწევრა მიმდევრობები მზარდი სონორობისა უგამონაკლისოდ ჰარმონიულია, ხოლო კლებადი სონორობის მიმდევრობები – უგამონაკლისოდ აჰარმონიული.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ჩქამიერთა სტაბილური სამწევრა და უფრო გრძელი მიმდევრობები სვანურში არ დადასტურებულია (ბაბლუანი, იქვე).

უნდა ითქვას ისიც, რომ ვ. თოფურიამ სვანური ენისათვის დეცესიური კომპლექსების არსებობა მიიჩნია ბუნებრივად (თოფურია 2002: 98).

ვინაიდან სვანური ფონოსემანტიკური მოდელების აგების ფონოლოგიური პრინციპები და ამ მოდელებში თანხმოვანთა განდასების საკითხები დღემდე შეუსწავლელია, აქედან გამომდინარე შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ ყველა ის კონსონანტური თანმიმდევრობა, რაც სვანურის ენის დიალექტურმა მასალამ გამოავლინა.

სვანური ენის ფონოსემანტიკური მოდელების აგებაში მონაწილეობს ყველა სერიისა და რიგის კონსონანტი, რაც კი ზემოთ მოცემულ სქემაში გვაქვს წარმოდგენილი (მათ შორის ფარინგალური **ქ** და ლარინგალური **ჭ**). სვანურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული, ასევე სისინა და შიშინა თანხმოვნების მონაცვლეობა ქმნის ბგერწერით კონებს. ხშირად ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მეორე ნაწილში თავკიდური თანხმოვნის მონაცვლედ გვევლინება ბაგისმიერი ბგერები (**ბ – ბ, გ – გ, დ – დ, ზ – ზ, თ – თ, კ – კ, პ – პ, ჟ – ჟ, ტ – ტ, ფ – ფ, ღ – ღ, ყ – ყ, შ – შ, ჩ – ჩ, ც – ც, ხ – ხ**), ხშირ შემთხვევაში კი პროგრესულ დისიმილაციასთანაც გვაქვს საქმე (**თ – თ > თ – ფ, კ – კ > კ – პ, ყ – ყ > ყ – ჭ, ზ – ზ > ზ – დ, გ – გ > გ – ჰ, ფ – ფ > ფ – თ, ჟ – ჟ > ჟ – ყ...**). გვხვდება, ასევე, მარცვლის შეცვლით გაორკეცების შემთხვევებიც (**თ – თხ, ჩ – ჩხ, ც – ცხ, წ – წკ, ჯ – ჯდ...**). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედუპლიცირებული ფუძეების პირველი ნაწილის აუსლაუტში გვაქვს სონორი, მეორე ნაწილის აუსლაუტში კი ხშული ან სისინ-შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვნები (გაორკეცება ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით – **რ – ტ, რ – ც, რ – შ**). სვანურში, ასევე, დაფიქსირდა რამდენიმე ისეთი რედუპლიცირებული ფორმა, რომელშიც ორივე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი **-ლ-** სონორია, პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნები სხვადასხვა რიგისაა, მეორე ფუძის თანხმოვანი კი ყველგან ხშული **-ხ-** თანხმოვანია (**ქ ~ ხ, ს ~ ხ, შ ~ ხ, ხ ~ ხ**).

ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი იწარმოება უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მიღებულ გაორმარცვლიანებულ ფუძეებზე **-უნ/-უნ**, და **-ინ/-ინ** სუფიქსთა დართვით:

1. **-უნ/-უნ** დასტურდება იმ შემთხვევაში, როცა ფუძეში გვაქვს **-უ-** ხმოვანი: **ბურთქ-უნ** (ბზ., ლშხ.), **ბურთქ-უნ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქა-ბუთქი“, **ფურსდ-უნ** (ბზ., ლშხ.), **ფურსდ-უნ** (ბქ., ლნტ.), **ფურსტ-უნ** (ბქ.) „ჩურ-ჩული“, **წურწკ-უნ** (უმგ.), **წურწკ-უნ** (ბქ., ქს.) „წკმუტუნი; წუწუნი“...

2. -**ვნ**/**-ვნ** სუფიქსი დაერთვის **-შ**/**-გ** ხმოვნის შემცველ ფუძეებს: **თგრტ-ვნ** (ბზ.), **თგრტ-ვნ** (ბქ., ჩოლ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი; ფრუტუნი“, **ფგრჩხ-ვნ** (ბზ., ლშხ.), **ფგრჩხ-ვნ** (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)“, **ფგრცხ-ვნ** (ბზ., ლშხ.), **ფგრცხ-ვნ** (ბქ.) „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)“...

3. რაც შეეხება **რნ** სუფიქსს, იგი დაერთვის **-შ**/**-გ** ხმოვნის შემცველ ფუძეებს: **კგრკ-რნ** (ჩოლ.) „კისკისი“, **ფგრლ-რნ** (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“, **ყგრყ-რნ** (ბზ.) „პირდაღებული ტირილი“...

4. რაც შეეხება **-ნტ(ა)**/**-ენტ(ა)** სუფიქსს, ის დაერთვის სხვადასხვა სტრუქტურის (CS+VCV, CCS+VCV, CVCCC+VCV, CVSCG+VCV, C+VCV, CVSC+VCV, CVC+VCV, CVSCC+VCV) ფორმებს (საუბარია **ხლ+ენტა**, **ჯგლ+ენტა**, **ჭენჭყ+ენტა**, **ჭიმჭკ+ენტა**, **ჭკლ+ენტა**, **ტ+ენტა/ტ+ენტა/ტ+ენტა**, **ტიმტ+ენტა**, **ფცე+ენტა/ფცე+ენტა**, **ჯგნჯლ+ენტა** ტიპის ფორმებზე, რომლებიც, შესაძლოა, ქართული **ზრიალ-**, **სრიალ-**, **ჟრიალ-**, **შრიალ-**, **ჭრიალ-**, **წრიალ-**, **გრიალ-**, **კრიალ-**... ტიპისა იყოს, თუმცა სტრუქტურული შედგენილობით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – შდრ. ქართ. **CS+VVC** და სვან. **CS+VCV**, **CCS+VCV**, **CVCCC+VCV**, **CVSCG+VCV**, **C+VCV**, **CVSC+VCV**, **CVC+VCV**, **CVSCC+VCV**), რის მიხედვითაც შესაძლოა გამოიყოს როგორც ორწევრა და სამწევრა სისტემები, ისე ოთხწევრა და ხუთწევრა სისტემებიც, რაც, როგორც წესი, სვანურისათვის არ არის დამახასიათებელი. ის სვანური ენის ფონოტაქტიკის წესებს ეწინააღმდეგება და არც სისტემას არ ქმნიან სვანურში.

**-უნ**/**-უნ** და **-ვნ**/**-ვნ** სუფიქსიანი სახელებისა და შესაბამისად მათი საწყისი, თავდაპირველი ფუძეების სტრუქტურული მოდელები ზოგადად შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

C V C; C C V C; C V C C; C C C V C; C V C C C + SUF; C C V C C + SUF; C C V C C + SUF; CVSC+SUF – CVSC+SUF; CVSCC+SUF – CVSCC+SUF; CCVSC+SUF – CCVSC+SUF; CS+SUF+V; CCS+SUF+V; CVCCC+SUF+V; CVSCC+SUF+V; C+SUF+V; CVSC+SUF+V; CVC+SUF+V; CVSCC+SUF+V.

ფონემური შედგენილობის მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

როდესაც ანლაუტში თითო თანხმოვანია, ეს თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი (**ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, ზ, ქ, კ...**), მათ შორის ზოგი სონორიც კი. ინლაუტში კი ამ შემთხვევაში ორწევრა ან სამწევრა მიმდევრობები გვხვდება, რომელთა შედგენილობა ასეთია:

ორწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტი ყველგან სონორია, მეორე კომპონენტად კი ჩქამიერი თანხმოვნები დასტურდება (**რბ, რდ, რტ, რმ, რკ, რჭ, რჩ, რგ, რქ...**), იშვიათად სონორი + სონორი (**რმ**):

**ბგრბგნ, გურბუნ, ლურდუნ, ფგრდგნ, ცგრდინ, ტგრტგნ, ბგრტგნ, ღურ-მუნ, კურკუნ, ყგრჭგნ, ყურჩუნ, ბურგუნ, ჭგრქგნ...**

სამწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტიც მუდამ სონორია + ჩქამიერი + ჩქამიერი თანხმოვნები (**რთქ, რდგ, რთხ, რტყ, რყდ, რსგ, რსდ, რჩხ, რცხ, რწკ, რჭყ, რჭკ, ლჯგ**):

**ბგრთქგნ, დგრდგგნ, თგრთხგნ, მგრტყგნ, ჟგრყდგნ, ფურსდუნ, ფგრჩხგნ, ფგრცხგნ, ღგრწკგნ, ჭგრჭყგნ, ჭგრჭკგნ, ჯგლჯგგნ...**

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანლაუტში ორწევრა ჯგუფი დასტურდება – ჩქამიერი + ჩქამიერი, ინლაუტში კი ამ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისების გარდა (**რსგ – ტყურსგუნ**) მუდამ ორწევრა მიმდევრობები გვხვდება – ჩქამიერი + ჩქამიერი (**დგ. ტყ. შკ. ჩხ. ძგ. წყ...**):

**დგურბუნ, ტყურფუნ, შკურფუნ, ჩხერკუნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, წყურგუნ...**

-უნ/-უნ და -გუნ/-გუნ სეგმენტური რთული სტრუქტურის ფუძეები (**შკურფუნ, ძგურბუნ, წყურგუნ...**), რომლებიც სავარაუდოდ რედუპლიკაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, **სიტყვაწარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები** და შესაბამისად რედუპლიკაციაც დაჩრდილულია (საღლიანი 2015:169); ინლაუტში ორწევრა და სამწევრა მიმდევრობების გამოყოფაც სწორედ ამის გათვალისწინებით მოხდა (აღნიშნულ ფუძეთა სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზი იხ. იქვე!).

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმის სახით წარმოვადგენთ თანხმოვანთა ტაბულას, სადაც ფონემები წარმოდგენილი იქნება რიგისა (ფონაციის ტიპის) და არტიკულაციის ანუ წარმოთქმის ადგილის მიხედვით.

ბ	დ	ძ	ჯ	გ	ღ	ზ	ყ
ბერბუნ	დერდუნ	ძერწუნ	ჯელჯუნ	გურგუნ	ღურღუნ	ზერზუნ	ყერყუნ
ფ	თ	ც	ჩ	ქ	ხ	ს	შ
ფერფუნ	თერტუნ	ცურცუნ	ჩერჩუნ	ქერკუნ	ხურხუნ	-	შერშუნ
პ	ტ	წ	ჭ	კ	ყ		
პერპუნ	ტერტუნ	წერწუნ	ჭერჭუნ	კურკუნ	ყურყუნ	-	-

რედუპლიკაციის პროცესის წარმართვაში მთავარი ადგილი სვანურშიც სონანტებს უჭირავთ. სვანურში ამ პროცესში ძირითადად **-რ-** სონორი ფიგურირებს, რომელიც ორწევრა და სამწევრა მიმდევრობებში ყველგან კომპლექსის ინლაუტში (ანუ მორფემათა ზღვარზე) არის წარმოდგენილი. იგი ზოგ ფუძეში ძირეულია (მაგ.: ბქ. **ტურმუნ** „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“, შდრ. **ტურიმ**; ბზ., ლშხ. **დერკუნ**, ბქ., ლნტ. **ღერკუნ** „ღრჭიალი (თმისა)“, შდრ. **ღრიკ**; ხურმუნ (ბქ.) „ხრამუნი“, შდრ. **ხურიმ**...), ზოგში კი აშკარად ფონეტიკური დანართია (მაგ.: ბქ. **მერტყუნ** „უშნო ჭამა ხმის გამოცემით“, შდრ. **მიტყ**; ბქ. **სგრტუნ** „ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი“, შდრ. **სიტ**; ბქ. **შერთქუნ** „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით“, შდრ. **შითქ**...), რასაც, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფუძეების ჩვენებაც ადასტურებს. ერთი რამ კი ცხადია, ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორის არსებობამ ხელი შეუწყო რედუპლიკაციის პროცესებს, შესაბამისად კი სუფიქსების გაჩენას (აღნიშნული საკითხის შესახებ დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილია მ. საღლიანის ნაშრომში „სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში“, თბ., 2015).

როგორც დიდძალი ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა აჩვენა, სამწევრა **SCC** მოდელის მიმდევრობებს სვანურში აშკარად სჭარბობს ორწევრა **SC/CC** მოდელის მიმდევრობები. რაც შეეხება ოთხწევრა მიმდევრობებს, ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება აღნიშნულ მასალაში შემდეგი მიმდევ-

რობით – **SCCS**. ამგვარ მიმდევრობებში ანლაუტშიც და აუსლაუტშიც თითქმის ყოველთვის დასტურდება სონორები, პირველ წევრად შესაძლოა იყოს **მ, ნ, რ** სონორები, მეოთხე წევრად კი – **უ** და **ლ**. მაგ.: ლიშუნშხუე „ქსუტუნი“, ლირტყუი „ყლაპვა“, ლიმინჩხლჷტი „დამსხვრევა“ და ა. შ.

**სვანურის ფონოტაქტიკა თანხმოვანთკომპლექსების მიმდევრობაში ოთხზე მეტ ელემენტს არ უშვებს.**

სვანურში, როგორც მრავალფეროვანი ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა აჩვენა, A და B რიგის თითქმის ყველა თანხმოვანთკომპლექსი გამოვლინდა როგორც *უსუფიქსო – მარტივი* (ე. წ. შიშველი) ფუძეების ანლაუტში, ისე *-უნ/-უნ* და *-გნ/-გნ* სუფიქსიან ფუძეებში. აღნიშნული ორწევრა კომპლექსები კი შეიცავენ შემდეგ დიფერენციალურ ნიშანთა კომბინაციებს: **მეღერი + ნაპრალოვანი, ფშინვიერი + ნაპრალოვანი, მკვეთრი + ფარინგალური, მეღერი + ნაპრალოვანი, ხშული + ნაპრალოვანი, ხშული + ფარინგალური, მეღერი + ხშული, ფშინვიერი + ხშული, მკვეთრი + ხშული, მეღერი + ხშული, ფშინვიერი + ხშული, ხშული + ხშული, ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი, ნაპრალოვანი + ხშული**, თუმცა ამა თუ იმ დიალექტში ერთეული შემთხვევები რეალიზდება.

*B რიგის კომპლექსები*

**ბღ:** ბღელ/ბღელ „ბღავილი“, ბღულ/ბღულ „ბღული“...

**ფბ:** ფბიკ „ფბაკუნი“, ფბურკუნ „ფბაკა-ფბუკი“, ფბერკუნ/ფბერკუნ „ფბაკუნი“, ფბერკუნ/-ფბერკუნ „ფბაკუნი“...

**პყ:** პყელი „პკინი, ბღავილი (თხისა)“...

**დღ:** დღელ/დღელ „ძლიერი დარტყმის შედეგად გამოცემული ხმა“, დღილ-დღელ „მირტყმა-მორტყმის ძლიერი ხმა“, დღულ/დღულ „წველის დროს გამოცემული რძის მონოტონური ხმა“...

**თბ:** თბელ „დაყვირება“, თბურპუნ/თბურპუნ „თბუპუნი“, თბერპუნ/თბერპუნ „თბუპუნი“, თბერშენ „თბლამანი“, თბიკ „ფაფის და მისთანა ნივთიერების დასხმის ხმა“, თბისკ „ნისკარტის ჩარტყმის ხმა“...

**ტყ:** ტყიც „გახსნის, გახვეის, გაფხრეწის ხმა“, ტყუისგ „ტკაცანი“, ტყურსგუნ/ტყურსგუნ „ტკაცა-ტკუცი“, ტყიპ „ტყაპანი“, ტყერპუნ „ტყაპა-ტყუპი“, ტყულიბ „წყალში, გუბეში... რაიმეს ჩავარდნის ხმა“, ტყურფუნ/ტყურფუნ „ტკაცანი, სროლის ხმა“...

**ძღ:** ძღელ ძლიერი ხმა (მაგ., იარაღის გავარდნისა)...

**ცბ:** ცბელ/ცბულ „ცეცხლის, ცხიმის შიშინი“, ცბურკუნ „ცბუკუნი“, ცბერპუნ „წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (მაგ., ფაფეულისა)“...

**წყ:** წყიგ „წყლის წვეთვის ხმა“, წყერგუნ „წანწკარი (წყლისა)“...

**ჯღ:** 0

**ჩხ:** ჩხიკ, ჩხერკუნ/ჩხერკუნ „ჩხაკუნი, ჩხაკა-ჩხუკი“, ჩხულტ, ჩხურტუნ „ჩის ტოტების მტვრევის ხმა“, ჩხელ/ჩხელ „მსხვრევის ხმა“, ჩხურმუნ/ჩხურმუნ / ჩხერმუნ/ჩხერმუნ „მსხვრევის ხმა“, ჩხიფ „წყლის გადასხმის ხმა“, ჩხრჷ „ძროხის მომარდვის ხმა“, ჩხურ/ჩხურ „მომარდვის ხმა“, ჩხურფუნ/ჩხურფუნ „წყლის ძლიერი ჩუხჩუხი“, ჩხერფუნ/ჩხერფუნ „წყლის ძლიერი ჩუხჩუხი“...

**ჰყ:** ჰყგლ/ჰყელ „ჰყვილი“, **ჰყურტუნ** „ჰყუკჰუკი (მწყრისა)“, **ჰყერმგნ/ჰყერმგნ** „ჰყვილი, ხმაური“...

*A რიგის კომპლექსები*

**ბგ:** 0

**ფჟ:** 0

**პკ:** 0

**დგ:** დგჷიბ „დუგდუგი, ბაგაბუგი“, **დგჷლიბ** „დუგდუგი“, **დგურბუნ** „დუგდუგი, ბაგაბუგი“...

**თჟ:** თჟერშენ „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“...

**ტკ:** ტკჷიბ „ტკაპანი“, **ტკიჩ** „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“, **ტკერჩგნ/ტკერჩგნ** „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“, **ტკჷირ** „ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას“, **ტკჷიც** „დარტყმის ხმა“...

**ძგ:** ძგგლ/ძგელ „ძლიერი სროლის ხმა“, **ძგჷიბ** „გლეჯა, წყვეტა“, **ძგურბუნ/ძგურბუნ** „რაიმეს გაგლეჯვის, გაწყვეტის ხმა“...

**ცჟ:** ცჟერტენ „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი“...

**წკ:** წკელ „წკრიალი“, **წკულ/წკულ** „წკმუტუნი“, **წკელპენ** „წკლაპუნი“...

**ჯგ:** ჯგჷიბ „მუჯღუგუნის გარტყმის ხმა“, **ჯგურბუნ** „რახუნი კარებზე მუშტების დარტყმით“...

**ჩჟ:** ჩჟერფენ „ძლიერი ჩუხჩუხი წყლისა“...

**ჭკ:** ჭკერპენ „კბილების კრაჭუნი“, **ჭკელპენ** „კრიჭინი“, **ჭკელტენ** „ციმციმი (ვარსკვლავთა)“...

**შბ:** შბგლ/შბელ „წყლის ხმაური, შხრიალი“, **შბიბ** „წკეპლის დარტყმის ხმა“, **შბერპენ** „წკეპლის გადაჭერის ხმა“...

**შყ:** შყიბ/შყიბ „ჯახაჯუხი“, **შყურბუნ/შყურბუნ** „ბრაგუნი“...

**ჟღ:** ჟღელ „ბავშვის გაბმული ტირილი; მოტირალ ქალთა ბღავილი“, **ჟღერმგნ/ჟღერმგნ** „ჟრიამული“, **ჟღიბ** „რაიმეს გაჭყლეტის ხმა“...

**სხ:** სხელ „წყლის ხმაური, თქრიალი“...

**შკ:** შკიფ/შკჷიფ „ხმელი საგნის ჩარტყმის ხმა“, **შკურფუნ/შკერფენ** „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის ჩარტყმის ხმა; კაკუნი“...

**სგ:** სგჷიჭ, **სგურჭუნ** „იარაღის გასროლის ხმა“...

**სტ:** სტულ „გამაყრუებელი ხმა“, **სტგლ/სტელ** „გამაყრუებელი ხმა“, **სტჷიფ** „თავში ჩარტყმის ხმა“...

**სყ:** სყიფ „ძალის ძლიერი ყეფა კბილების კრაჭუნით“...

სვანურში ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტში ასევე დასტურდება სონორთა შემცველი შემდეგი ორწევრა კომპლექსები:

**ღრ:** ღრიჭ, **ღჟ:** ღჷიჭ, **ყლ:** ყლიბ, ყლიფ, ყლიტ, **გლ:** გლიჯ, **კლ:** კლიჭ, კლიქ, **ჟჷ:** ჟჷიფ, **ქლ:** ქლიფ, **წრ:** წრუფ, **ბრ:** ბრუკჷ, **წლ:** წლიფ, **ზღ:** ზღჷიბ, **ფლ:** ფლიჩ, **ყჷ:** ყჷიფ, **ჩრ:** ჩრით, **ჩღ:** ჩღით, **ჭჷ:** ჭჷიხჷ, **ჯრ:** ჯრიბ, **ბრ:** ბრაბ, ბრიხ, **დრ:** დრიხ...

გარდა ორწევრა მიმდევრობებისა, ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეთა ანლაუტში დადასტურდა სამწევრა მიმდევრობებიც:

**ტურიმ** „მტვრევის ხმა“, **ხურიმ** „ხრამუნი“, **ქულიზ** „მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი“, **ჩხუიფ** „მსხვრევის ხმა“, **წკუიბ** „გაწყვეტის ხმა (მაგ., ძაფისა, რეზინისა...)“, **ჭკუიბ** „ძაფის გაწყვეტის ხმა“, **ხურიგ** „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“, **ხურიკუ** „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა ბავშვის მიერ“, **ხურიბ** „ხვრეპა“, **ხურიჭ** „თაგვის ხმა, რომელიც რაღაცას ხრავს“, **ჯგუიბ** „მუჯღუგუნის გარტყმის ხმა“, **გულიბ** „სითხეში მძიმე საგნების ჩავარდნის ხმა“, **დგულიბ** „დაგადუგი, დგაფუნი“, **დღულიბ** „წყალში ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა“, **თურის** „გაიძვერული სიარული“, **თხლიბ** „თანმიმდევრული ხმა ქალამნებით ტლაპოში სიარულის დროს“, **თხუიზ** 1. „გაძრომ-გამოდრომა“, 2. „რბილ რამეში ზედიზედ რაიმეს ჩარჭობის ხმა“, **ტურიმ** „მირტყმა-მორტყმის, მტვრევის ძლიერი ხმა“, **ღულიჭ** „წვეპლის გადაჭერის ხმა“, **ღურიმ** „ხრამუნის ხმა“, **ყულიფ** „თოფის სროლის ხმა“, **ყულიზ** „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“, **ყურიგ** „აკუნის თანმიმდევრული ხმა“, **შკუიფ** „ხმელი საგნის თავში ჩარტყმის ხმა“, **შულიბ** „ჩარჭობის ხმა; ჭანჭრობში სიარულის ხმა“, **შხუიბ** „წკნელის გატყლაშუნების ხმა“, **შყუიბ** „ჯახაჯუხი“, **ჭკუიბ** „ძაფის გაწყვეტის ხმა“, **ხურიმ** „ხრამუნი“, **ხურიჭ** „გაკრეჭის თანმიმდევრული ხმა“ და ა. შ., რომელთა ერთ-ერთი წევრი (ზოგჯერ ორიც) სონორია.

ორწევრა მიმდევრობები ანლაუტში	სამწევრა მიმდევრობები ანლაუტში	ორწევრა მიმდევრობები ინლაუტში	სამწევრა მიმდევრობები ინლაუტში	ოთხწევრა მიმდევრობები ინლაუტში
CC – ბდ	CSS – ტურ	SC – რბ	SCC – რთქ	SCCS – ნშხუ
CC – თხ	CSS – ხურ	SC – რდ	SCC – რდგ	SCCS – რტყუ
CC – ტყ	CSS – ქულ	SC – რტ	SCC – რთხ	SCCS – ნჩხლ
CC – ფხ	CCS – ჩხუ	SC – რმ	SCC – რტყ	
CC – ცხ	CCS – წკუ	SC – რკ	SCC – რჟდ	
CC – ჩხ	CCS – ჭკუ	SC – რჭ	SCC – რსგ	
CC – ძღ	CSS – ხურ	SC – რჩ	SCC – რსდ	
CC – დღ	CCS – ჯგუ	SC – რგ	SCC – რჩხ	
CC – თქ	CSS – გულ	SC – რქ	SCC – რცხ	
CC – ძგ	CCS – დგუ	CS – ღრ	SCC – რწკ	
CC – ცქ	CCS – დღუ	CS – ღუ	SCC – რკყ	
CC – ჯგ	CSS – თურ	CS – ყუ	SCC – რკკ	
CC – ჩქ	CCS – თხლ	CS – ყლ	SCC – ლჯგ	
CC – ჭკ	CCS – თხუ	CS – გლ		
CC – წკ	CSS – ტურ	CS – კლ		
CC – წყ	CSS – ღულ	CS – ჟუ		
CC – ჭყ	CSS – ღურ	CS – ქლ		
CC – პყ	CSS – ყულ	CS – წრ		
CC – ტკ	CSS – ყურ	CS – ხრ		
CC – შხ	CCS – შკუ	CS – კლ		
CC – ჟღ	CSS – შულ	CS – ზღ		
CC – სხ	CCS – შხუ	CS – ფღ		

CC – დგ	CCS – შყუ	CS – ჩრ		
CC – თქ	CCS – ჭკუ	CS – ჩლ		
CC – შკ	CSS – ხურ	CS – ჭუ		
CC – ჩხ		CS – ჯრ		
CC – ჭკ		CS – ზრ		
CC – ჯგ		CS – ღრ...		
CC – სგ				
CC – ზღ				
CC – სყ				

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანურს ხმაბაძვით სიტყვებში, ქართულის მსგავსად, კომპლექსის გამეორება არ ახასიათებს (შდრ. ქართ. **CVCC** > მეგრ. **CCVCC** > სვან. **CVCC**), მეგრულში კი, როგორც ცნობილია, ძალზე ხშირია (მაგ.: გვაგვალ, ქვაქვალ, კვაკვალ, ჯგიჯგონ, ჩქიჩქონ, ჭკიჭკონ...<sup>1</sup>).

### ხმოვნითი ბგერწერა

ქართველურ ენათა შორის ხმოვანთა ყველაზე რთული სისტემა, როგორც ცნობილია, სვანურშია წარმოდგენილი. სვანური ენის დიალექტები ხმოვანთა შედგენილობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხმოვანთა რაოდენობა სვანური ენის დიალექტებში მერყეობს 9-დან 18-მდე. აქედან სვანურის ყველა დიალექტისათვის (მათ შორის ჩოლურულისათვის) საერთოა 6 ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ, გ**. აღნიშნული ხმოვნების გარდა, სხვადასხვა დიალექტებში დასტურდება აგრეთვე უმლაუტიანი და გრძელი – **ჰ, ო, უ, ჰ, ო, უ, ჰ, ო, უ, გ** ხმოვნები. ხმოვანთა ამ სიმრავლეს წარმოქმნის ყველა სხვა ნიშნით ერთნაირი ხმოვნების განსხვავება, ერთი მხრივ – სიგრძე-სიმოკლის, ხოლო, მეორე მხრივ – პალატალურობა-არაპალატალურობის (ე. ი. უმლაუტიანობა-უმლაუტიანობის) მიხედვით. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს არ მოეპოვება მოკლე ხმოვნების საპირისპირო გრძელი კორელატები, ლაშხურს – არაპალატალურ **ა, ო, უ** ხმოვანთა საპირისპირო პალატალური **ჰ, ო, უ** ხმოვნები, რაც შეეხება ბალსზემოურსა და ჩოლურულს, მათთვის ორივე ეს დაპირისპირება (გრძელი – მოკლე და პალატალური – არაპალატალური) არის დამახასიათებელი. ამრიგად, ხმოვან ფონემათა შედგენილობის მიხედვით ცალკეულ დიალექტებში ასეთ სურათს ვიღებთ:

*ბალსქვემოური და ლენტეხური:* **ა, ე, ი, ო, უ, გ, ჰ, ო, უ.**

*ლაშხური:* **ა, ე, ი, ო, უ, გ, ჰ, ო, უ, გ.**

*ბალსზემოური და ჩოლურული:* **ა, ე, ი, ო, უ, გ, ჰ, ო, უ, გ, ო, უ, ჰ, ო, უ, ჰ, ო, უ.**


როგორც ვხედავთ, სვანური ენის დიალექტებში გამოიყოფა ვოკალიზმის სამი ქვესისტემა. პირველი მათგანი დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, მეორე – ლაშხურში, ხოლო მესამე – ბალსზემოურსა და ჩოლურულში.

<sup>1</sup> ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში – **ჟღ რჟღ ნ** „ჟღარუნი“.

სვანურ ხმოვანთა ოპოზიცია შეიძლება დახასიათდეს ოთხი არტიკულაციური დიფერენციალური ნიშნის მიხედვით: 1. ლოკალური რიგი, 2. ენის აწეულობა (ანუ ღიაობა) და 3. ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობა და 4. სიგრძე-სიმოკლე, თუმცა მეოთხე ნიშნის მიხედვით ხმოვნები ერთმანეთს მხოლოდ გრძელხმოვნიან დიალექტებში (ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში) უპირისპირდებიან, უგრძელხმოვნო დიალექტებში (ბალსქვემოურსა და ლენტეხურში) კი ამ ნიშნის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი არა აქვს.

ხმოვანთა სისტემა ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სქემატურად სამკუთხედით გამოიხატება, თუმცა სვანური ენის რთული ფონემური შედგენილობიდან გამომდინარე ბალსზემოური დიალექტის ხმოვანთა დაპირისპირებას ასახავს გ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი შემდეგი ხმოვანთა კუბი:

სქემა 1



იმისი გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სქემაზე წარმოდგენილ ყოველ ფონემას მოეპოვება გრძელი კორელატი, რომელიც მისგან მხოლოდ ამ ნიშნის (ანუ სიგრძის) მიხედვით განსხვავდება, მაშინ, ალ. ონიანის აზრით, ეს სქემა ამომწურავად ასახავს როგორც ბალსზემოური დიალექტის, ისე ჩოლურული მეტყველების ხმოვან ფონემათა დაპირისპირებას (ონიანი 1998: 18). იმ შემთხვევაში, თუ გრძელ კორელატებს გამოვრიცხავთ, მაშინ იგი ასევე ამომწურავად ასახავს ბალსქვემოური და ლენტეხური დიალექტების ხმოვანთა სისტემაში არსებულ ოპოზიციასაც (იქვე). ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ლაშხური დიალექტი, რომლისთვისაც ეს სქემა არ გამოდგება, რადგანაც ლაშხურს არ მოეპოვება ამ სქემაზე წარმოდგენილ ხმოვანთა ერთი ნაწილი – ა, რ, ჲ (აგრეთვე ა, რ, ჲ). აქედან გამომდინარე ლაშხური ვოკალიზმის პარადიგმატული დახასიათებისათვის საჭირო გახდა სხვაგვარი სქემის შემუშავება, კერძოდ:

**სქემა 2**

ენის აწეულობა	წინა რიგი		უკანა რიგი			
			არაბაგისმიერი		ბაგისმიერი	
	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი
მაღალი	ო	რ	ჴ	ჴ̄	უ	უ̄
დაბალი	ე	ე̄	ა	ა̄	ო	ო̄

ხმოვანთა ორკლასიანი სისტემის დაშვების შემთხვევაში ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტათვის ეს სქემა, ალ. ონიანის აზრით, ასეთ სახეს მიიღებს:

**სქემა 3**

ენის აწეულობა	წინა რიგი		უკანა რიგი	
	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
მაღალი	ო	უ̄	ჴ	უ
საშუალო	ე	რ̄		ო
დაბალი	ა̄		ა	

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორკლასიან სისტემაში აწეულობის ორსაფეხურიანად წარმოდგენის შემთხვევაში ერთნაირად დახასიათდებოდა ე და ა – ორი სხვადასხვა ხმოვანი (*წინა რიგის, დაბალი აწეულობის, არაბაგისმიერი ხმოვანი*) და მათი განმასხვავებელი დიფერენციალური ნიშანი ხელიდან გაქრებოდა, სწორედ ამან განაპირობა სამსაფეხურიანი სისტემის დაშვების აუცილებლობა, სადაც ა და ე ერთმანეთს ასევე აწეულობის მიხედვით უპირისპირდებიან: ა უპირისპირდება ე-ს როგორც დაბალი აწეულობის ხმოვანი საშუალო აწეულობის ხმოვანს (ანუ ვიღებთ ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტათვის ხმოვან ფონემათა ორკლასიან სამსაფეხურიან სისტემას). კლასები აქაც, ლაშხურის მსგავსად, ლოკალური რიგის (*წინა, შუა და უკანა*) მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს, ენის აწეულობის საფეხურები კი ამის საფუძველზე ორამდე შეამცირა ალ. ონიანმა და განხილული სქემის (იხ. სქემა 3) გაუმჯობესებული ვარიანტი წარმოგვიდგინა, რომელშიც ცარიელი უჯრები მინიმუმამდე დაიყვანა:

**სქემა 4**

ენის აწეულობა	წინა რიგი	შუა რიგი		უკანა რიგი	
		არაბაგის-მიერი	ბაგისმიერი	არაბაგის-მიერი	ბაგისმიერი
მაღალი	ო		უ̄	ჴ	უ
დაბალი	ე	ა̄	რ̄	ა	ო

ბალსზემოური და ჩოლურული დიალექტების ხმოვანთა სისტემისათვის ამისი ანალოგიური სქემა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში:

სქემა 5

ენის აწეულობა	წინა რიგი		შუა რიგი				უკანა რიგი			
			არაბაგისმიერი		ბაგისმიერი		არაბაგისმიერი		ბაგისმიერი	
	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი
მაღალი	ი	ი			ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
დაბალი	ე	ე	ჟ	ჟ	რ	რ	ა	ა	ა	ა

ძირითად ხმოვანთაგან (ა, ე, ი, ო, უ + გ) სვანურ ბგერწერით მოდელებში /ე/ ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვანი მონაწილეობს:

ა-ხმოვნიანი: **ლი-ლაპ-ლაპ-ი** (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა“, **ლი-ფან-ფან-ი** „კანკალი, ფამფალი“, **ლი-ყუარ-ყუან-ი** (ჩოლ.) „ბრწყინვა“, **ლი-ხარ-ხუაც-ი** (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)“...

ი-ხმოვნიანი: **ბიტ-ბიტ** (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა სიარული“, **გლიჯ-გლიჯ** (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა“; **ზიპ-ზიპ** „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“, **ხურიგ-ხურიგ** (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“...

ო-ხმოვნიანი: **ლი-როხ-როხ-ი** (ჩოლ.) „ქორის ხმაურობა, ჭყვივლი“, **ლი-შოქ-შოქ-ი** (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“...

უ-ხმოვნიანი: **ბუგუ-ბუგუ** (ჩოლ.) „დაბეჭვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“, **შულ-შულ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შულ-შულ** (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა“, **ჭულ-ჭულ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ჭულ-ჭულ** (ბქ., ლნტ.) „წული (ქარისა)“, **ზურზუნ** (ლნტ.) „ზუზუნნი“, **კურკუნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **კურკუნ** (ბქ., ლნტ.) „კრუსუნნი“, **ცურცუნ** (ბქ.) „ჩურჩული“...

გ-ხმოვნიანი: **ბერბენ** (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“, **კელპენ/კერპენ** (ბქ.) „წკლაპუნნი“, **ბგც-ბგც** (ლხმ.) „ჩიფჩიფი“, **ყუტ-ყუტ** (ლშხ.) „ბაასი“, **შელ-შელ** (ბქ.) „გაბმული შრიალი“ და ა. შ.

ცხადია, ა, ე, ი, ო, უ, გ ხმოვნების პარალელურად გრძელხმოვნიან დიალექტებში აღნიშნულ ხმოვანთა გრძელი კორელატებიც ფიქსირდება.

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში კი გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა:

1. ი ~ ე | ი ~ ი | ი ~ ა

**ბითქ – ბითქ-ბითქ – ბითქ-ბათქ – ბურთქუნ – ბერთქენ** „ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით“

**ხურიმ – ხურიმ-ხურიმ – ხურიმ-ხურამ – ხურმუნ – ხერმენ** „ხრამუნნი“

**ხურიპ – ხურიპ-ხურიპ – ხურიპ-ხურაპ – ხურპუნ** „ხვრეპა“

**ყული** – **ყული** – **ყული** – **ყული** – **ყულა** – **ყურჩუნ** „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“

**შიბ** – **შიბ** – **შიბ** – **შიბ** – **შიბა** – **შიბგ** „წკეპლის გადაჭერის ხმა“

**წყი** – **წყი** – **წყი** – **წყი** – **წყა** – **წყგ** „წყლის წვეთის ხმა, წანწკარი“

**ბიტყ** – **ბიტყ** – **ბიტყ** – **ბიტყ** – **ბატყ** „მირტყმა-მორტყმის ხმა“ და სხვ.

2. უ ~ გ

**თხურპუნ** – **თხერპუნ** „ხმაურით ჭამა; ხერეპა“

**ცურცხუნ** – **ცერცხუნ** „დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი“

**ჭურჭყუნ** – **ჭერჭყუნ** / **ჭერჭყუნ** „მომაბეზრებელი ტირილი; ჭიჭყინი“ და ა. შ.

ამ ხმოვანთა განაწილება დიალექტური დიფერენციაციის საფუძველია (ანუ მათ განაწილებას დიალექტური მრავალფეროვნება განსაზღვრავს).

როგორც ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა აჩვენა, ბგერწერითად გამოყენებული უ ~ გ სვანურში ხმაბადვის შემთხვევაში გამოხატავს მაღალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება ი ~ უ ~ გ დაპირისპირებას, აქ ი ხმოვანი უ და გ ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია.

## ლიტერატურა

**ბაბლუანი 1985** – ლ. ბაბლუანი, სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანმიმდევრობანი სვანურსა და ქართულში, იკე. – XXIII, თბილისი.

**ბაბლუანი 1985** – ლ. ბაბლუანი, ჩქამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები სვანურ ენაში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1., თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

**ონიანი 1998** – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

**საღლიანი 2015** – მ. საღლიანი, სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში. – იკე, XLIII, თბილისი.

**ჯაფარიძე 1967** – ზ. ჯაფარიძე, თანხმოვანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. – მეტყველების ანალიზის სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, თბილისი.

MEDEA SAGHLIANI

## The Phonemic Structure of Phonosemantic Models in Svan

### S u m m a r y

The paper deals with the consonant models and onomatopoetic sounds attested in Svan diverse phonosemantic material.

In the construction of Svan phonosemantic models the consonants of all series and zones (including the pharyngeal **q** and the laryngeal **h**) take part. Like in other Kartvelian languages, in Svan the alternation of voiced, aspirated, glottalized as well as whistling and hushing consonants create onomatopoetic sound clusters.

As analysis of large phonosemantic material has demonstrated, in Svan the number of the two-member **SC/CC** pattern sequences is more than the one of the three-member **SCC**. As for the sequences of the four-member pattern, they are rare, but are still attested in the material with the following order – **SCCS**. In such sequences in anlaut as well as in auslaut the sonors are always attested – the first member may be the sonors **m, n, r** and the fourth member – **w** and **l**.

Svan phonosemantic material has revealed almost all consonant clusters of A and B series in anlaut of the stems without suffixes – the so called simple stems as well as in the stems with the suffixes **ūn/-un** and **-ən/-ən**.

In Svan onomatopoetic sound models almost all vowels are included except the vowel **/e/**.

Obviously, in the dialects having long vowels the long correlates of the mentioned vowels are attested along with **a, e, i, o, u, ə** ones.

In homogenous sound patterns the alternation of the following vowels takes place: **i ~ ə** || **i ~ i** || **i ~ a** and **u ~ ə**. Distribution of these vowels is the basis for dialectal differentiation (i.e. their distribution is determined by the diversity of dialects).

As analysis of phonosemantic material has shown, in Svan the onomatopoetic **t ~ ə** expresses a high tone, as for the opposition **i ~ u ~ ə**, the vowel **i** shows a relatively lower tone than the vowels **u ~ ə**.

მურმან სუხიშვილი

**პირდაპირი დამატების მარკირებული და არამარკირებული ფორმების მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებით ჩანაცვლების შემთხვევები ძველ ქართულში**

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძველი და მომდევნო პერიოდის სალიტერატურო ქართული ენის ძველებში ზოგიერთი (სამ- და ორპირიანი) გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში (სინტაგმაში) დამატება-ობიექტები არ (ან აღარ) ჩანს, ზმნის ფორმა (პირის, ქცევის ნიშნები, პირდ. ობიექტის მრავლობითის ნიშანი...) ამ მარკერების სათანადო აღსანიშნს გულისხმობს. დამატება-ობიექტების გაუჩინარებას გარდამავალი ზმნის შესიტყვებიდან ზმნის მორფოლოგია-სინტაქსის გარკვეული ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს, მაგ.: ირიბი ობიექტის ჭარბი ნიშანი **დაჰადა** ტიპის ზმნებში (შანიძე...) ფუნქციადაკარგული ქცევის პრეფიქსი და შესიტყვების რაოდენობრივი გარდაქმნა (შე-უ-ძლ-ო მან მას იგი > შეუძლო მან იგი (= „შეძლო“), ობიექტის მრავლობითობის უფუნქციო -ნ (-ენ) მარკერი (შეხედ-ნ-ა მან მას [თუ-ალ-ნი] > შეხედნა მან მას) და სათანადო ზმნის გრამატიკული კვალიფიკაციის (გარდამავლობა, გვარი) გართულებული საკითხი; ასევე, სახელობითი (ან მიცემითი) ბრუნვით მარკირებულ პირდაპირობიექტიანი სინტაგმის რომელიმე სხვა ბრუნვით ჩანაცვლება (მოქმედებითი ბრუნვით, ვითარებითი ბრუნვით...): შეხედნა მან მას [თუალნი] > შეხედა მან მას > შეხედა მან მას თ უ ა - ლ ი თ ა...

პირდაპირი ობიექტის საკომპენსაციოდ გარდამავალზმნიან შესიტყვებაში ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის (ინფინიტივის ფუნქციით) ჩანაცვლება (რომელმანცა შეუძლო მას შე ბ ი ლ წ ე ბ ა დ. მრ. 7,15 c) დასტურდება ზმნათა ერთ ჯგუფთან; ეს ზმნებია: ი წ ყ ო, ბ რ ძ ა ნ ა, გ ა ნ ი ზ რ ა ხ ა, ა ი ძ უ ლ ა, ა რ წ მ უ ნ ა, ი კ ა დ რ ა, ი ნ ე ბ ა, შე ს ძ ი ნ ა, შე უ ძ ლ ო, ჯ ე ლ - ყ ო, ჯ ე რ - ი ჩ ი ნ ა და ა.შ. ამ ზმნებთან ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარები სწორედ პირდაპირი ობიექტის ადგილს იჭერს და უბრალო დამატების ფუნქციის მატარებელია: იწყო ქ ა და გ ე ბ ა დ ჩუენდა მომართ (კიმ. I, 36, 21), მაგრამ: იწყო იერუსალჴმით მახარებელთაგან ქ ა და გ ე ბ ა დ (კიმ. II, 187, 36) (ჩხუბიანიშვილი 1972: 45-46).

- რომელმან **ილოცოს** დიდად ლ ო ც ვ ა დ. რიცხვ. VI<sub>2</sub> AK, მაგრამ:
- რომელმან **ილოცოს** ლ ო ც ვ ა დ დიდად. რიცხვ. VI<sub>2</sub> S
- რომელმან აღუთქვას, **ილოცოს** ლ ო ც ვ ა დიდად. რიცხვ. VI<sub>2</sub> B

შესიტყვებაში გაუჩინარებული სახელობითბრუნვიანი (ლოცვაჲ) პირდაპირი დამატების სანაცვლოდ ძვ. ქართულში მხოლოდ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარები (ლოცვაჲ, ინფინიტივის ფუნქციით) არ გვხვდება; გვაქვს წრფელობითით წარმოდგენილი სახელიც (ლოცვა). ამ ჩანაცვლებაში მონაწილეობენ მიცემით და მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელებიც (იმნაიშვილი 1957: 731), შდრ.:

და მ ა მ ა დ თქუნდა ნუვის **ხადით**: მ. 23, 9 CE

და მ ა მ ი თ ნუვის **ჰხადით**: მ. 23, 9 DE ხადით E

ხოლო თქუნ ნუვის **ჰხადით** მ ო ძ ლ უ რ ი თ: მ. 23, 8 DE ხადით D

მაგრამ: ხოლო თქუნ ნუ **ჰირქუამთ** თავთა თქუნთა მ ო ძ ლ უ ა რ ს: მ. 23, 8 C

ჰირქუამს და ჰხადის სინონიმებია; **ჰირქუამს** მ ო ძ ლ უ ა რ ს || **ჰხადის** მ ო ძ ლ უ რ ი თ (|| მ ა მ ა დ > **ხადის** მ ო ძ ლ ვ რ ი თ (|| მ ა მ ი თ). პირდაპირი დამატების მიცემითბრუნვიან ფორმას მოქმედებით- და ვითარებითბრუნვიანი პირმიუმართავი დამატებები ენაცვლება. უფრო ხშირად ასეთი შენაცვლებები პირდ. დამატების სახელობით ბრუნვიან ფორმებთან გვაქვს. შდრ.:

და **გცხე** შენ ზ ე თ ი თ ა: ეზეკ. 16, 9 Ⴀ

მაგრამ: და **გცხე** შენ ზ ე თ ი: ეზეკ. 16, 9 Ⴁ

და **შეგმოსე** შენ ჭ რ ე ლ ი თ ა ეზეკ. 16, 10 Ⴁ

მაგრამ: და **შეგმოსე** შენ ჭ რ ე ლ ე ბ ნ ი ეზეკ. 16, 10 Ⴀ

და შეგარტყ შენ ბისონი და **შეგმოსე** შენ ნ ე მ ს უ ლ ი თ ა ეზეკ. 16, 10 Ⴁ

მაგრამ: და მოგარტყ შენ ბისონი და **გარე მოგასხ** შენ ტ რ ი ხ ა პ ტ ო ნ ი ეზეკ. 16, 10 Ⴀ

მტერნი მისნი **შეგმოსნე** ს ი რ ც ხ ჯ ლ ი თ ა ფს. 131, 18 Ⴁ

მაგრამ: მტერთა მისთა **შეგჰმოსო** ს ი რ ც ხ ჯ ლ ი ფს. 131, 18 Ⴀ

მლდელნი მისნი **შეგმოსნე** ც ხ ო რ ე ბ ი თ ა ფს. 131, 16 Ⴁ

მაგრამ: მლდელთა მისთა **შეგჰმოსო** ც ხ ო რ ე ბ ა ჲ ფს. 131, 16 Ⴀ

არა **დაამძიმო** მას შ რ ო მ ი თ ა და გეშინოდეს ღმრთისა შენისა ლევიტ. XXV <sup>43</sup> G

მაგრამ: არა **დაამძიმო** მას რ უ დ უ ნ ე ბ ა ჲ წინაშე შენსა ლევიტ. XXV <sup>53</sup> AKSO

ხოლო მამამან მისმან, ვინაჲთგან ჭ ი რ ვ ე ბ ი თ **აჰირვა** და ნატაცები იტაცა ეზეკ. 18, 18 Ⴀ

მაგრამ: უკუეთუ მამამან მისმან ჭ ი რ ი ვ ის მ ე **აჰირვოს** და ნატაცები იტაცოს ეზეკ. 18, 18 Ⴁ

ც ე ც ხ ლ ი თ ა რისხვისა ჩემისაითა **მოგჰბერო** შენ ზედა ეზეკ. 21, 36

მაგრამ: **შთაჰბერე** მას ს უ ლ ი ცხოველი O. III ეზრა

ფ ი ც ი თ **უფიცავს** ამათ უფლისა O. II მფ. 19, 7

მაგრამ: ნუ **ჰფუცავთ** ნუცა სხუასა ფ ი ც ს ა იაკ. 5, 12

არა ც ი ლ ი **ჰფუცო** მ. 5, 33

მაშინ **დაიძინა** სტეფანე ძ ი ლ ი თ ა სულნელითა სინ. 61, 8

მაგრამ: **დაიბინეს** ძ ი ლ ი მათი ფს. 75, 6 Ⴎ  
და ქ მ ნ უ ლ ი თ ა ჯელთა შენთადთა **ვიხარებდე** ფს. 91,5 G  
მაგრამ: და ქ მ ნ უ ლ ს ა ჯელთა შენთასა **ვიშუებდეთ** ფს. 91, 5 Ⴎ  
რომელმან **ივნო** ჯ ო რ ც ი თ ა I პატ. 4,1  
მაგრამ: **ვივნოთ** ვ ნ ე ბ ა ე ი გი მისი სინ. 258, 32-33  
ვინადთგან ი ვ ნ ო თავადმან ებრ. 5,8  
ამისთვის **დაიტყუელენ** ჯ ე ლ ი თ ა ეზევ. 21, 17 ჯელითა შენითა Ⴎ  
რამეთუ **დაიტყუელენ** ჯ ე ლ ი თ ა და იბგერდით ფერჯითა ეზევ. 25, 6 Ⴎ  
მაგრამ: **დაიტყუელენ** ჯ ე ლ ი ჯელსა ეზევ. 21,19  
ოდეს **დაიტყუელნა** მათ ზედა ყოველმან ეზევ. 29, 7 Ⴎ  
ემშაკი იგი უმზირინ და **იღრქენნ** მის ზედა კ ბ ი ლ თ ა მ. ცხ. 35, 41  
და **იღრქენდეს** იგინი კ ბ ი ლ თ ა მათთა მ. ცხ. 15, 33  
და იყოფოდეს მუნ და **იღრქენდეს** ბოროტად მამათა ზ ე დ ა დიდისა  
ლავრისათა, მ. ცხ. 121, 19  
უმზირის ცოდვილი მართალთა და **დაიღრქინნის** მის ზედა კ ბ ი ლ ნ ი  
მისნი მ. ცხ. 36, 12 Ⴎ, დაიღრქინის Ⴎ  
შდრ.: დიდებულნი ვინცა მის წინაშე იყვნეს შეჭირვებითა ყველანი  
კ ბ ი ლ ი თ ა **იღრქენდეს**, ვისრ. 47, 8  
და მისი კ ბ ი ლ ე ბ ი თ ა **ღრქენა**, კლდეთა რღვევასა გვანდა, რუსულ.  
178, 22

პირდაპირი დამატების უბრალო დამატებად გარდაქმნის შემთხვევები დასტურდება სხვა ზმნებთანაც. ანალოგიური ფაქტების შეჯერება დაახლოებით ასეთ სურათს გვიჩვენებს:

ა. ძველ ქართულში ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნასთან შესიტყვებაში შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც პირდაპირი დამატება, ასევე ამავე ფუძის მონაცვლე მოქმედებითბრუნვიანი უბრალო დამატება:

**დაჰყვნეთ** მაგათ თ ა ვ ი და წ უ ე რ ი, ისტ. ქრესტ. I, 46, 8

**დაჰყვნეს** იგინი თ მ ი თ ა და წ უ ე რ ი თ ა. ისტ. ქრესტ. I, 146, 26 (იმნაიშვილი 1957: 249-250; კიზირია 1972: 98).

ბ. შეიძლება შესიტყვებაში აღარ იძებნებოდეს პირდაპირი დამატება, მაგრამ საგულვებელი დამატება მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მოგვევლინოს: **მოხედნა** [თუალნი] > **მოხედა** თუალითა: **მოხედნა** და ყო ჯსნად ერისა თვისსად, ლ. 168 C; მომხედა თ უ ა ლ ი თ ა ბოროტითა, ლიმონ. 115, 9 (კიზირია 1972: 98).

გ. ცალკეულ ზმნათა (ზ ა ხ ე ბ ა, და ზ ა ხ ე ბ ა...) შესიტყვებებში პირდაპირი დამატება ძველ ქართულში არ ჩანს: „ვითარცა ლომი ი ზ ა ხ ე ბ - დ ე ს“. 0. ოვსე, 11, 10 (აბულაძე); „და ი ზ ა ხ ნ ა მსაჯულმან მან ვითარცა ლომმან“ H 346, 1261 (აბულაძე), თუმცა ის იგულისხმება, შდრ.: სხვა კონტექსტიდან: „ჯ მ ა ე ზ ა ხ ე ბ ი ს ა ე ლომთად“.0, ზაქ. 11, 3 (აბულაძე). სავარაუდოდ პირდაპირი დამატება მოგვიანო პერიოდის ქართულში დასტურდება თავისი მოქმედებითბრუნვიანი სუბსტიტუტით:

უეცრათ ესეთი საშინელი ხ მ ა **შესძახა** (ყარამ. 164)

საზარელითა ხ მ ი თ ა **შესძახა** (ყარამ. 164)...

ამ რიგის გარდაქმნებს განიცდიან ტავტოლოგიური პირდაპირობიექტი-  
ან სახელურ-ზმნური და რთული ზმნებით შექმნილი სინტაგმები:

ჭ ი რ ი ვისმე **აჭირვოს** ეზეკ. 18, 18 Ⴀ

ჭ ი რ ვ ე ბ ი თ **აჭირვა** ეზეკ. 18, 18 Ⴁ

ეს ზმნები შინაარსობლივად თავისებურ ჯგუფს ქმნიან; ისინი არ გამო-  
ხატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას და, ამდენად, ობიექტად არ  
გულისხმობენ კონკრეტულ საგანს ან პირს, რომელზედაც სუბიექტის მოქმე-  
დება აისახება; ო. იესპერსენის გამოთქმით, მსგავსი სემანტიკის ზმნებთან ...  
მოქმედების ობიექტზე საუბარი მხოლოდ მეტაფორულად თუ შეიძლება  
(იესპერსენი 1958: 179):

და მ ი ს ნ ო ბ ა ს ა არა **იმისწინდეთ** ეზეკ. 13, 7 Ⴀ

და თავადი იგი მათ მ ი ს ნ ო ბ ი თ **უმისწინდეს** წინაშე მათსა ეზეკ. 21,  
27 Ⴁ

ასეთივე ვითარება გვაქვს გარდამავალ რთულ ზმნებთან, რომელთა სა-  
ხელადი ნაწილი წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ბრუნვაში მდგარი პირდაპირი დამატებაა  
და მისი რთული ფუძის კომპონენტად ქცევა სინტაქსური ფუნქციის (პირდა-  
პირი დამატების) დაკარგვას მოასწავებს. შესაბამისი ზოგადი მნიშვნელობის  
გარდამავალი ზმნები (-ყო, -ს ც ა, - ი ლ ო) ამ დაკარგული პირდაპირი ობიექ-  
ტის შინაარსით კონკრეტდება ჯმა-ყო = დაიძახა, ღაღად-ყო = იღაღადა, ზრახ-  
ვა-ყო = განიზრახა და ა.შ. (დანელია 1998, 531). ამ ზმნასთან შერწყმული პირ-  
დაპირი ობიექტის საკომპენსაციოდ შესიტყვებაში იდენტური ან მნიშვნელო-  
ბით მსგავსი სახელი შეიძლება გაჩნდეს უბრალო დამატების ფუნქციით:

**ჯმა-ყო** იესუ ჯ მ ი თ ა დიდითა მ. 26, 40; ლ. 23, 46

**ღაღად-ვყო**თ ღმრთისა მიმართ ჯ მ ი თ ა სიხარულისაჲთა სინ. 141, 23

**სულ-ითქუნა** ს უ ლ ი თ ა თვისითა და თქუა, მრ. 8, 12...

პირდაპირი დამატების ბრუნვათა ამ რიგის ჩანაცვლება მართო ქართუ-  
ლისათვის არ არის ნიშანდობლივი; ო. იესპერსენს ეჭვი არ ეპარება, რომ შესი-  
ტყვებაში throw stones – stones დამატებაა, მაგრამ ბევრ ენაში აქ მოქმედებითი  
ბრუნვა გამოიყენება (იესპერსენი 1958: 180-181). შდრ.: რუს. Швирыт камни –  
швирыт камнями და მისთ. ა. პეშკოვსკის მიაჩნია, რომ რუსულ სინტაგმებში  
криком кричать, стоном стонет... მოქმედებით ბრუნვაში მდგარი სახელი მეო-  
რეულია; ასეთი გარდაქმნები ხდება ტავტოლოგიურ ბრალდებითბრუნვიან  
სინტაგმებშიც (шутки шутить...). ეს ფაქტი სლავურში კვალიფიცირებულია  
როგორც ინდოევროპული ბრალდებითი ბრუნვის გარდაქმნა და ამგვარი  
გარდაქმნები (თუ შენაცვლებები) სუსტად მართულ ბრალდებით ბრუნვებს  
ახასიათებს (პეშკოვსკი 1935: 270); სუსტად მართული ბრალდებითები იმით  
განსხვავდება ძლიერად მართულისაგან, რომ მათი შინაარსი საკმარისად არ  
არის ობიექტივირებული და დამოუკიდებელი მოქმედების მიმართ და ამით  
მერყეობს დამატების ფუნქციასა და გარემოების ფუნქციას შორის. ამასთან, ის  
შეიძლება დაუკავშირდეს გარდაუვალ ზმნებსაც და არ შეუძლია პასიური

ზმნის ქვემდებარედ გარდაქმნა (იაკობსონი 1985: 140). დამატება ბევრ ენაში სწორედ პასიური ზმნის ქვემდებარედ გარდაქმნის უნარით განისაზღვრება (იესპერსენი 1958: 180). ჩვენ მიერ წარმოდგენილ ზმნათა უმეტესობას გამოკვეთილად არც საგნობრივი პირდაპირი დამატება შეეწყობა და, შესაბამისად, არც ვნებითის ფორმები ეწარმოება ძველ ქართულში (იძინება, იხედება, იხარება, იშვება, იჭირვება, იღალადება, ივნება). „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონის“ რედაქტორის სტატიაში წერია: „თავისებურია „ივნო“ ზმნა, რომელიც ხან მოთხრობითში შეიწყობს ქვემდებარეს, ხან – სახელობითში (უფრო იშვიათად): „**ივნო**... თავადმან ქრისტემან, რომელმან“..., მაგრამ „ვინაფტან იგი **ივნო**“, ებრ. 5, 8; ერთ შემთხვევაში: „ი ე ს უ... გარეშე ბჭეთა **ივნო**“, ებრ. 13, 12 ორივე ბრუნვა შეიძლება მივიჩნიოთ დასაშვებად.

მრავლობითი რიცხვის ფორმებიც არ არის ვნებითისა: „ვივნეთ“, „ვივნოთ“, ნაცვლად „ვივნენით“, „ვივნენეთ“ ფორმებისა (სამოციქ. სიმფ., 011).

ნაწილი ამ ზმნათაგან – ქმნა, სცა, ილო, დასდვა, იპყრა, იხილა, კლა, იგდო, უწოდა, ყო(უყო), ჰრქუა (დაარქვა)... უძველეს ძეგლებში ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვის მონაცვლედ წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ს გვიჩვენებს და სათანადო სახელები პირდაპირ დამატებას აღნიშნავენ; მაგ.: **უწოდე** ე კ ლ ე - ს ი ა დ ხანძთ. 109, 2, მაგრამ: „რომელმანცა ბრძანებათა თვსთა ს ა ხ ა რ ე ბ ა **უწოდა**“ ხანძთ. 148, 17 (იმნაიშვილი 1957, 641). ხანმეტ ტექსტში კი მოსალოდნელი პირდაპირი დამატების წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნაცვლად, გვაქვს ხანმეტ ზმნურ ფორმასთან შეწყვილებული ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება: რომელთაცა მ ო ც ი ქ უ ლ ა დ **ხუწოდა** ლ. 6, 13 (ხანძ.); შდრ.: ოთხთავის სხვა რედაქციები: გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მ ო ც ი ქ უ ლ **უწოდა**. ლ. 6, 1, რაც ვითარებითბრუნვიანი სინტაგმის სიძველეზე მიუთითებს.

უძველეს ხანმეტ ტექსტებში დასტურდება ასევე მოქმედებითბრუნვიანი სინტაგმებიც:

თვით იგი დავით უ ფ ლ ი თ **ხხადის**. ლ. 40, 44 (ხანძ.)

სადა მამასახლისსა ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ ი თ **ხხადოდეს**. მ. 10, 26 (ხანძ.)

ამით **ხწამებთ** თავით თვსით. მ. 23, 31 (ხანძ.)...

სამპირიანი „რქუმა“ ზმნა თუ თუ წოდება-სახელდების მნიშვნელობას გამოხატავს, მასთან შეწყობილი პირდაპირი დამატება, ჩვეულებრივ **წრფელობით** ბრუნვაში დგას: ხ ო თქუენ გარქუ მ ე გ ო ბ ა რ. ი. 15, 15 DE, ასეა ხანმეტ ტექსტებშიც: უკუეთუ მათ დ მ ე რ თ ჰრქუა. ი. 10, 35 C, ხანმეტი ტექსტი ნაკლულია (დანელია 1998, 528).

გვხვდება წრფელობითკომპონენტის რთული ზმნებიც:

და გრქუას შენ: ა დ გ ი ლ ხ ე ც ა მას. ლ. 14, 9

ხეპყრა ხელი მის ყრმისაჲ და ჳ მ ა ხ უ ყ ო: ყრმაო აღდეგ! ლ. 8, 54.

აქვე დგება სინტაქსური (პირდაპირი დამატების) ბრუნვის, უბრალო დამატების მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან ჩანაცვლების დროში თანმიმდევრობის საკითხი. ლოგიკურად თითქოს პირდაპირდამატებიანი გარდამავალი ზმნის სინტაგმის პირველადობა სათუო არ უნდა იყოს; ეს ზმნე-

ბი არ გამოხატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას, ამდენად, ობიექტად კონკრეტულ საგანს კი არ გულისხმობენ, არამედ ზმნას ან ნაზმნარ სახელებს, მაგ.: „იწყო“ ნიშნავს რაღაცის დაწყებას, დაწყება კი შეიძლება მოქმედებისა, პროცესისა: **იწყო** შე ე ნ ე ბ ა დ; „ბრძანა“ ნიშნავს „ავალებს ვისმე, მოითხოვს ვიღაცისგან რაღაცის გაკეთებას, „განიზრახა“ – რაიმე ზრახვა გულში გაივლო, გაიფიქრა... მაშასადამე, ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებთან ნაზმნარი სახელის და ასეთ სინტაგმებში ინფინიტივის ხმარება კანონზომიერია (ჩხუბიანიშვილი 1972: 46). ანალოგიური სემანტიკა უდასტურდებათ იმ გარდამავალ ზმნებს, რომელთაც შესიტყვებაში მოქმედებითბრუნვიანი დამატება შეენაცვლება უბრალო დამატების ფუნქციით (ზახება, ღაღადება, ვნება, შუება, ჭირვება, ხადა, ხედვა, ხილვა...); ამ ორ- და სამპირიან გარდამავალ ზმნათა შესიტყვებაში პირდაპირი დამატების კლება იშვიათი არ არის (იმნაიშვილი 1972: 325-337).. გაუჩინარებული თუ საგულვებელი პირდაპირი დამატება ან ზმნის მორფოლოგიაში ფუნქციადაკარგულ -ნ/-ენ მორფემით, ან სინტაქსში უბრალო დამატების სახით იჩენს თავს.

ბევრი ამ ზმნათაგანი (ქმნა, ყოფა, წოდება, სახელის-დება) უძველეს ძეგლებში ვითარებითის ნაცვლად წრფელობითს გვიჩვენებს და სათანადო სახელები არა უბრალო დამატებას, არამედ პირდაპირ დამატებას წარმოადგენენ (**უწოდა** ს ა ხ ა რ ე ბ ა). უფრო ძველი ძეგლები წრფელობითის ფორმებს გვიჩვენებს, ან წრფელობითისა და ვითარებითის პარალელური გამოყენებაა დადასტურებული. „ვითარებითი წრფელობითის მემკვიდრედ გვევლინება“ (იმნაიშვილი 1957: 734-735); ასე რომ, ამ შენაცვლებაში ამოსავლად წრფელობითბრუნვიანი სინტაგმები ივარაუდება. ასეთივე მოსაზრება არსებობს პირდაპირი დამატების აღმნიშვნელი წრფელობითის უბრალო დამატების მოქმედებითბრუნვიანი ფორმით ჩანაცვლების შესახებ (კიზირია 1972: 98). თუმცა ასეთი დასკვნები გარკვეულ საკითხებს აჩენს, კერძოდ:

1. სინტაქსური ბრუნვები (ქვემდებარის, პირდაპირი დამატების) სხვა ბრუნვებთან შედარებით ახალი წარმონაქმნია (შანიძე, ჩიქობავა...); ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების მიმართება კი ძირითადი სინტაქსური მიმართებაა;

2. სახელობითი ბრუნვის ნიშნად \*-ი სუფიქსის აღდგენა საერთო-ქართველურ დონეზე (შანიძე 1981: 363; ჭუმბურიძე 2002: 193) მაინც სადაო საკითხად განიხილება; სვანურში ეს მორფემა მხოლოდ გადმონაშთის სახითაა შემორჩენილი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 254), მოთხრობითი ბრუნვის მორფემის ქართველური არქეტიპი სამეზარია (ონიანი 1989: 148);

3. მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების \*-ით/ \*-დთ, \*-ად/\*-დ სუფიქსები აღდგება ქართულ-ზანურ დონეზე; სვანურში ამ ბრუნვათა ფონეტიკური შესატყვისების აღდგენა დამატებით ძიებას საჭიროებს (ონიანი 1989: 201; 206);

4. ქართველურ ენებში მოქმედებით- და ვითარებითბრუნვიანი პირმითმართავი დამატებები ყველგან დასტურდება (კიზირია 1982: 145...);

5. ძველი ქართულის გაუფორმებელი ბრუნვა – წრფელობითი, როგორც ძირითადი სინტაქსური ბრუნვების, ისე პირმიუმართავი მოქმედებით- და ვითარებითბრუნვიანი დამატებების – და, აგრეთვე, სხვა ფუნქციებსაც ითავსებს (იმნაიშვილი 1957, დანელია 1998);

6. ამასთან, წრფელობითი მხოლოდ ძველ ქართულში გვაქვს. საერთო-ქართველურში ეს არამარკირებული ბრუნვა არ აღდგება (ონიანი 1989: 106).

ძველი ქართულის უძველეს ტექსტებში წრფელობითის მიერ სინტაქსური და სემანტიკური ბრუნვების შეთავსებაში სახელის მორფოლოგიის ბრუნვამდელი კონტურები იკვეთება (იხ. მარი 1925: 18-22, 99; ფოგტი 1968: 252; უთურგაიძე 1986: 9-10, 15-17; კლიმოვი 1962: 252; დანელია 1998: 530-532...).

ეს ბრუნვამდელი მორფოლოგია ბრუნვამდელი სინტაქსის „გარჩენილ“ ფრაგმენტებსაც წარმოგვიჩენს: აბრაამ შვა („აბრაამ-მან შვა“), შვა ისააკ (ისააკ-ი შვა“), ილოცოს ლოცვა->|| ილოცოს ლოცვა-მ, მაგრამ: ილოცოს ლოცვა || ილოცოს ლოცვა-ად, მოციქულ უწოდა || მოციქულ-ად ხ-უწოდა, უფლ-ით ხ-ხადის („უფალს უწოდებს“), ჯმა-ყო || ჯმა-ყო ჯმით-ა (დიდით-ა), შდრ.: უფლი-ით ხ-ხადის; თუალ-უ-ყვ-ნ-ა და მისთ.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**დანელია 1998** – ვ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

**იაკობსონი 1985** – Р. Якобсон, К общему учению о падеже. Общее значение русского падежа – Избранные работы, Москва.

**იესპერსენი 1958** – О. Есперсен, Философия грамматики, изд. Иностранная литература, Москва.

**იმნაიშვილი 1956** – ივ. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში. – სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I., თბილისი.

**იმნაიშვილი 1957** – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**იმნაიშვილი 1971** – ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი.

**კიზირია 1972** – ანტ. კიზირია, სინტაქსური ურთიერთობის განვითარების ზოგი საკითხი ქართულში. – თსუ შრომები, В3, 142.

**კიზირია 1982** – ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

**კლიმოვი 1962** – Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва.

**მარი 1925** – Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград.

**ონიანი 1989** – ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი.

**პეშკოვსკი 1935** – А. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, Москва.

**სუხიშვილი 2007** – გრამატიკულ და სემანტიკურ ბრუნვათა სუბსტიტუციისათვის ქართულში. – არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, გვ. 31-32.

**უთურგაიძე 1986** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ფოგტი 1968** – ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. – „მომომხილველი“, 4/5, 1968, თბილისი.

**შანიძე 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გარამატიკა, თსუ გამომცემლობა.

**ჩიქობავა 1956** – არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. – სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი.

**ჩხუბიანიშვილი 1972** – დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**ჭუმბურიძე 2002** – ზ. ჭუმბურიძე, სახელობითი ბრუნვა ქართველურ ენებში. – ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29.

### შემოკლებათა განმარტება

**ებრ.** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ნაკვეთი 2, შეადგინეს ლ. ბარამიძემ, რ. ენუქაშვილმა, თ. მეტრეველმა, თსუ, 2009.

**ეზევ.** – ეზევიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბილისი, 1976.

**ეზრა** – მცხეთური ხელნაწერი, (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, „მეცნიერება“, 1982.

**ვისრ.** – ვისრამიანი, ალ. გვახარას და მ. თოდუას რედაქციით, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

**იაკ.** – იხ. სამოციქ. სიმფ.

**ი.** – იოვანე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

**კიმ. I, II** – კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტ. I, , ტფილისი, 1918, ტ. II, თბილისი, 1946.

**ლევიტ.** – წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2 (ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ი. აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ც. ქურციკიძემ, „მეცნიერება“, 1990.

**ლიმ.** – იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1960.

**ლ.** – სახარება ლუკადსი – იხ. იოვანე.

**მ.** – მათე, იხ. იოვანე.

**მრ.** – მარკოზ, იხ. იოვანე.

**მ. სწ.** – მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.

**მ. ცხ.** – მამათა ცხორებანი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

**მგ.** – მცხეთური ხელნაწერი, (მეფეთა I, II, III, IV, ნემტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, „მეცნიერება“, 1982.

**პატ. I** – ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხ., შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ტექსტი მოამზადა მანანა დვალმა, თბ., 1966.

**რიცხვ.** – იხ. ლევიტ.

**რუსუდ.** – რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, 1957.

**სამოციქ. სიმფ.** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ნაკვეთი 2, შეადგინეს ლ. ბარამიძემ, რ. ენუქაშვილმა, თ. მეტრეველმა, თსუ, 2009.

**სინ.** – სინური მრავალთავი, 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.

**ფს.** – ფსალმუნნი, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზ. შანიძემ, თბილისი, 1960.

**ყარამ.** – ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა, თბ., 1965.

**ხანმ.** – ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ. თბილისი, 1984.

**ხანმთ.** – გიორგი მერჩულე, შრომად და მოღუაწებად ღირსად ცხორებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი. – ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970.

MURMAN SUKHISHVILI

**The Facts of the Replacement of Marked and Unmarked Forms  
of the Direct Object by the Forms in the Instrumental and  
Adverbial Cases in Old Georgian**

S u m m a r y

The Starting Case (წყობიტი) unmarked case in old Georgian has different functions, including the functions of the main syntactic cases (used for a subject and an object), as well as the functions of the semantic cases (i.e. the Instrumental case, the Adverbial case, etc.).

The Starting Case used for the subject or the direct object of a sentence has a limited distribution. It is mainly used with *verba habendi* and *verba dicendi*. These verbs do not describe a specific physical action and their object is not a certain thing or a person being distinctly acted upon by the subject. Thus, the object of this type can be disappeared from the combination of words.

With these verbs the form in the Starting Case substitutes for:

- a) The form in the Nominative Case (or sometimes in the Dative Case) which is the direct object of the transitive verb;
- b) The form of the proper noun in the Ergative Case of the transitive verb;
- c) The form in the Nominative Case which is the subject of the intransitive verb.

The noun in the Starting Case with a function of direct object replaces the simple object expressed by a noun in the Instrumental Case and in the Adverbial case.

The nouns in the Nominative Case which are the subjects of verbs can also be substituted.

These substitutions preserve the traces of the status of morphology and consequently the syntax before the formation of the case as a grammatical category.

თეა ტეტელოშვილი

**გასუბსტანტივებული ფორმაუცვლელი მეტყველების  
ნაწილების მორფოლოგიური ანალიზისთვის<sup>1</sup>**

ქართული ენის ბუნება – სახელად აქციოს ნებისმიერი სხვა მეტყველების ნაწილი და შესძინოს მას სახელისათვის დამახასიათებელი გრამატიკული თვისებები, ცნობილია ყველასთვის, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ქართული ენის გრამატიკას. სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა აკ. შანიძე: „ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნიზედაც, თანდებულის, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულის, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც კი“ (შანიძე 1980: 76). ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ზოგი ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილის ფორმაცვალებადად ქცევის ის შემთხვევები, როდესაც ისინი წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენებიან, ანუ ტრანსლირდებიან სუბსტანტივებად. კერძოდ, შევხებით გასუბსტანტივებულ ფორმაუცვლელ და, ამავდროულად, არასრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილებს: კავშირებს, ნაწილაკებსა და შორისდებულებს. დადგენილია, რომ არსებობს სუბსტანტიური ტრანსლაციის რამდენიმე საშუალება (ტეტელოშვილი 2015: 11), რომელთაგან ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სახელებად გარდაქმნისათვის სინტაქსური მექანიზმი გამოიყენება.

როგორც ცნობილია, სუბსტანტივი იბრუნვის, აქვს რიცხვის გრამატიკული კატეგორია და წინადადებაში არის აქტანტი. „აქტანტის როლში მხოლოდ არსებითი სახელი გამოდის. სხვა მეტყველების ნაწილთათვის აუცილებელია სუბსტანტივაცია – არსებით სახელად მოქცევა, რომ ქმედების მონაწილედ იქცნენ“ (უთურგაიძე 2009: 48). თუ გავიზიარებთ სიტყვათა კლასების ძირითადი და მეორეული ფუნქციების არსებობის შესახებ მოსაზრებას და ეს ასეცაა, მაშინ აღმოჩნდება, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმაუცვლელი და არასრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილები წინადადების მოდელში სუბსტანტივისთვის განკუთვნილ ადგილას განთავსებით იძენენ მის გრამატიკულ ფუნქციას, ხდებიან აქტანტები და ამავდროულად ინაცვლებენ ფორმაცვალებადთა ჯგუფში ბრუნების უნარის გამო. ასეთი სუბსტანტიური ტრანსლაცია პოზიციური ხასიათისაა, წინადადების მოდელის გავლენით ხორცი-

<sup>1</sup> მოხსენებად წაკითხულია ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო სიმპოზიუმზე (2018 წლის 22 – 24 ნოემბერი).

ელდება და გულისხმობს ფორმაუცვლელი სიტყვის აღჭურვას სუბსტანტივისთვის დამახასიათებელი ფუნქციებით.

როგორც ადრეც შევნიშნავდით, თუ სიტყვაფორმაში ბრუნვისა და რიცხვის (მრავლობითი რიცხვის) ნიშნების არსებობა არ არის გამოწვეული სხვა სახელის ბრუნვითა და რიცხვით სინტაქსური მიმართების ბაზაზე, მაშინ ბრუნვისა და რიცხვის ეს ნიშნები შეიძლება სუბსტანტიური ტრანსლაციის ინდიკატორებად კვალიფიცირდეს (ტეტელოშვილი 2015: 144). შესაბამისად, ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების გასუბსტანტივებას სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორები ადასტურებენ. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრანსლაციის შედეგად ხსენებული ერთეულები სუბსტანტივისთვის დამახასიათებელ საგნობრიობის ან ცნებითობის გამოხატვის უნარსაც იძენენ.

წარმოვადგენთ ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების გასუბსტანტივების მაგალითებს:

რასაც არ მთხოვ, გეტყვი **ხო-ს...** რა მოხდა, რომ ეჭვი მჭამს (ნ. გომელაური).

ჩამომიარა სიკვდილმა, არც **„ჰო“** ვუთხარი, არც – **„არა“** (მ. ჩიტიშვილი).

ერთხელ ვიხილე და ვედარ ვთქვი თამამი **„არა“** (პ. იაშვილი).

თავდაპირველად იყვნენ **„თუ“** და **„ან“** და მერე **„ანუ“** (რ. ამალლობელი).

ანუ **„თუ“** იყო, თუ რამე იყო თავდაპირველად. და „თუ“-ში იყო სიცოცხლე და **„თუ“** გახდა სინათლე, ანუ **„თუ“-მ** გამოიწვია **„ან“** და **„ან“-მა „ანუ“** (რ. ამალლობელი).

გიყვარდა ვინმე, უყვარდი ვინმეს? – „აუ!“ – ელოდი პასუხად **„აუს“?** (მ. ლებანიძე)

ხოლო როდესაც **„ბრავოს“** **„ბისიც“** და **„ვაშაც“** უერთდება, მურმანი იკმარებს **„აუჰ“-ს** (მ. ლებანიძე).

ზემოთ დამოწმებულ საილუსტრაციო მაგალითებში ნაწილაკები, კავშირები თუ შორისდებულები გასუბსტანტივებულია. მართალია ამ შემთხვევაში სუბსტანტივაცია პოზიციური ხასიათისა და მოდელისმიერია, მაგრამ ამ ენობრივი ერთეულების მორფოლოგიური ანალიზისას დაისმის კითხვები – მეტყველების ნაწილთა რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ჩამოთვლილი სიტყვები: ისევ თანდებულებს, ნაწილაკებსა და შორისდებულებს თუ არსებით სახელებს?

თუ არსებითებს მივაკუთვნებთ, მაშინ როგორ უნდა დავახასიათოთ ისინი?

თუ მივიჩნევთ, რომ ისინი ისევ იმავე მეტყველების ნაწილებს განეკუთვნებიან, როგორ უნდა ავხსნათ მათი ფორმაცვალების უნარი და სხვ.

წამოჭრილ საკითხებზე პასუხისათვის პირველ რიგში საანალიზო მასალაში დადასტურებული ფორმაუცვლელი, არასრულმნიშვნელოვანი სიტყვების სინტაქსური ფუნქცია უნდა გავარკვიოთ. ფაქტია, რომ მოყვანილ მაგალითებში ფორმაუცვლელი არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები ფორმაცვალებადები ხდებიან (**„თუ“-მ** გამოიწვია **„ან“** და **„ან“-მა „ანუ“**; ელოდი პასუხად **„აუს“?** გეტყვი **ხო-ს...**) და იმ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ, რომელიც, ზოგადად, არსებით სახელს აქვს.

ქვემდებარის ფუნქცია:

თავდაპირველად იყვნენ „თუ“ და „ან“ და მერე „ანუ“.

ანუ „თუ“ იყო, თუ რამე იყო თავდაპირველად...

„თუ“-მ გამოიწვია „ან“ და „ან“-მა „ანუ“.

ხოლო როდესაც „ბრავოს“ „ბისიც“ და „ვაშაც“ უერთდება, მურმანი იკმარებს „აუჰ“-ს.

დამატების ფუნქცია:

რასაც არ მთხოვ, გეტყვი **ხო-ს...** რა მოხდა, რომ ეჭვი მჭამს.

ჩამომიარა სიკვდილმა, არც „ჰო“ ვუთხარი, არც – „არა“.

ერთხელ ვიხილე და ვეღარ ვთქვი თამამი „არა“.

„აუ!“ – ელოდი პასუხად „აუს“?

ზემოთქმულის თანახმად, ზმნა-შემასმენლით გამოხატული ქმედების მონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ არსებითი სახელი ან გასუბსტანტივებული სხვა მეტყველების ნაწილი. ჩვენი დაშვების მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, თუ სიტყვაფორმაში ბრუნვისა და რიცხვის (მრ. რ.) ნიშნების არსებობა არ არის გამოწვეული სხვა სახელის ბრუნვითა და რიცხვით სინტაქსური მიმართების ბაზაზე, მაშინ ბრუნვისა და რიცხვის ეს ნიშნები შეიძლება სუბსტანტიური ტრანსლაციის ინდიკატორებად კვალიფიცირდეს. ბრუნების უნარი და, შესაბამისად, ბრუნვის ნიშნები რომ აქვთ ტრანსლირებულ ერთეულებს, ფაქტია. უფრო მეტიც, გასუბსტანტივების შემთხვევაში მათ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც შეიძლება გაუჩნდეთ. ასე მაგალითად:

იყო მსგავსი განცხადებები, რომ თუ ამდენი მოვიდა, იქნება არჩევა, თუ იმდენი მოვიდა, იქნება სხვა რამ. ეს **თუები** სულ სხვაგვარად ესმის საზოგადოებას<sup>1</sup> (ქეეკი 1).

მაგრამ მოდით, ახლა პატარა ტესტები ჩავუტაროთ საკუთარ თავებს. ვნახოთ, რამდენად ძლიერია ჩვენში ჩვენ-ჩვენი „**მაგრამები**“... (ქეეკი 2)

ყოველივეს გათვალისწინებით, თუ მივიჩნევთ, რომ ზემომოხმობილ მაგალითებში ფორმაუცვლილი მეტყველების ნაწილები გაარსებითებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, წამოიჭრება მათი მორფოლოგიური ანალიზის საკითხი.

როგორც ცნობილია, არსებით სახლებში განირჩევა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: **ვინ** და **რა**, **კონკრეტული** და **აბსტრაქტული**, **კონკრეტულში საზოგადო** და **საკუთარი**, **კრებითი**, **ნივთიერებათა...**

საილუსტრაციოდ მოხმობილი წინადადებების ანალიზისას ვლინდება, რომ ფორმაუცვლელი არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები სუბსტანტიური ტრანსლაციის პარალელურად გარკვეულ სემანტიკასაც იძენენ. მაგალითად, წინადადებაში „თუ“-მ გამოიწვია „ან“ და „ან“-მა „ანუ“ **თუ**, **ან** და **ანუ** თითქოს კონკრეტული საკუთარი სახელის ფუნქციითაა..., ასევეა შემდეგ წინადადებაშიც: თავდაპირველად იყვნენ „თუ“ და „ან“ და მერე „ანუ“. რაც შეეხება მაგალითებს: რასაც არ მთხოვ, გეტყვი **ხო-ს...** ერთხელ ვიხილე და ვეღარ ვთქვი თამამი „**არა**“ – აქ **ხოს** და **არას** აბსტრაქტული სახელების სემანტიკური ნიუანსი აქვთ, თუმცა აღნიშნული შესაძლოა საკამათო იყოს კვლავ.

<sup>1</sup> მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**ამაღლობელი 2011** – რ. ამაღლობელი, ლექსები, ტ. 3., თბილისი.

**გომელაური 2010** – ნ. გომელაური, რჩეული, თბილისი.

**იაშვილი 2011** – პ. იაშვილი, ქართული სიტყვიერება, თბილისი.

**ლეზანიძე 2006** – მ. ლეზანიძე, 100 ლექსი, თბილისი.

**ტეტელოშვილი 2015** – თ. ტეტელოშვილი, ტრანსლაცია / ტრანსპოზიცია ქართულში (სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია), თბილისი (ვებგვერდი: [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/tea\\_teteloshvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/tea_teteloshvili.pdf)).

**უთურგაიძე 2009** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთხედიანობისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.

**ქეიკი 1** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=245452987112157&cpos=195679984&corpus=grc>).

**ქეიკი 2** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=245452987112157&cpos=68808270&corpus=grc>).

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჩიტაშვილი 2010** – მ. ჩიტაშვილი, მაინც საქართველო ერქვა, თბილისი.

TEA TETELOSHVILI

## On Morphological Analysis of Substantivized Unchangeable Parts of Speech

### S u m m a r y

The paper deals with the problem of morphological analysis of substantivized unchangeable (not notional) parts of speech (conjunctions, particles and interjections). It is true that such substantivization is positional in nature and model-related but when analyzing these linguistic units morphologically a question is raised: What group of parts of speech do these words belong to – postpositions again, particles and interjections or nouns?

If they belong to nouns, how we should characterize them. If we consider that they belong to the same group of parts of speech, how we can explain their ability to change forms (case), etc.

In order to answer these questions, we have found out those main syntactic functions, morphological features and semantic peculiarities that are typical for already substantivized changeable and unchangeable words. As a result of the analysis, it has revealed that (1) unchangeable and non-notional parts of speech have the same syntactic function (the function of a subject and a predicate) in a sentence after substantivization as the one of a noun. (2) As for the morphological features, they acquire abilities to express case and number. (3) Unchangeable (and non-notional) parts of speech also acquire certain semantics after substantivization.

როსტომ ფარულიძე

### დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში

დროის აღმნიშვნელი ლექსიკა, როგორც ნათესაობის, სხეულის ნაწილების, სამოსელისა და ა. შ. სახელწოდებანი, ჩეჩნური ენის ძველ ფენას წარმოადგენს.

ნახურ ენათა დარგობრივი ლექსიკა შესწავლილი აქვს ი. ალიროევს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ჩეჩნურ და ინგუშურ ენათა და დიალექტთა დარგობრივი ლექსიკის შედარებით-შეპირისპირებითი ლექსიკონი“ [ალიროევი 1975]. ამ ნაშრომში, დარგების მიხედვით, სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე, სიტყვა-სტატიაში ჯერ მოცემულია ჩეჩნური სიტყვა რუსული შესატყვისით, მას მოსდევს იმავე სიტყვის შესატყვისები ინგუშურში, ხშირ შემთხვევაში ბაცბურსა და ჩეჩნური ენის ოთხ დიალექტში: ახიურში, ქისტურში, ჭებერლოურსა და ითუმყალურში. თითოეულ არსებით სახელს ერთვის მრავლობითი რიცხვის ფორმანტი და გრამატიკული კლასის ნიშნები ორივე რიცხვში. ფუძისეული ხმოვნის ცვლილებით ან სუბლექტურად ნაწარმოები მრავლობითი რიცხვის ფორმები მოცემულია სრულად.

დროის აღმნიშვნელი სახელები განხილულია მისსავე სხვა ნაშრომში, რომელიც ნახურ ენათა ლექსიკის ანალიზს ეძღვნება [ალიროევი 1978: 45-51].

დასახებულ ნაშრომებში, ბუნებრივია, სრულად არ არის წარმოდგენილი ნახურ ენა-დიალექტთა ლექსიკა. ჩვენი მიზანი იყო, შეძლებისგვარად, გამოგვევლინა დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ქისტურ დიალექტში და გვეჩვენებინა მისი მსგავსება ან განსხვავება ჩეჩნური სალიტერატურო ენის მონაცემებთან.

დროის გამომხატველი ქართულიდან ნასესხები ლექსიკა დაბეჭდილი გვაქვს ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მე-40 ტომში (2012). აღნიშნულია, რომ ქისტურში არსებული ქართულიდან ნასესხები ლექსიკა უცხოა ჩეჩნური ენის სხვა დიალექტებისათვის. რა თქმა უნდა, იგივე ითქმის დროის სემანტიკის მქონე სიტყვების შესახებაც.

ტერმინი „ნახური ლექსიკა“ პირობითია, სამუშაო ტერმინია. ლექსიკის დაჯგუფება საკუთარ და ნასესხებ სიტყვებად და ნასესხებ სიტყვებში სესხების წყაროს დადგენა შემდგომი კვლევის საკითხია.

სიტყვა „დრო“-ს ჩეჩნურში შეესატყვისება ხ ა ნ, ბაცბურში გვაქვს ხ ა ნ, სადაც ა ხმოვანი ნაზალიზებულია ნ ბგერის დასუსტების შედეგად, ინგუშურ ენასა და ქისტურ დიალექტში ნ ბგერა ბოლოკიდურ პოზიციაში მოკვეცილია,

რის შედეგადაც დახურული მარცვალი გაიხსნა. ქართული ხან-ი და მისი შესატყვისი ფორმები ნახურ ენებში, მერაბ ჩუხუას ვარაუდით, „იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად, რომ შეიძლება ვინმემ ივარაუდოს ენიდან ენაში გასესხების შესაძლებლობა. ამგვარ დაშვებას ხელს შეუშლიდა დაღესტნური ინფორმაცია, სადაც შებრუნებული წყობის ფორმები დასტურდება“ [ჩუხუა 2008: 638]. იქვე დამოწმებულია ხუნძური ენის მ ე ხ „დრო, სეზონი“ ფორმა. ამ სიტყვის პარალელზე ქართულში, უბიხურსა და ადიღურში მიუთითებს არბი ვაგაპოვი [ვაგაპოვი 2011, 607].

ხ ა ნ ლექსემის სინონიმია ჩეჩურში ზ ა მ ა. ქისტურში გვაქვს ძ ა მ // ძ ა მ ა. ჩეჩურში და ინგუშურში მჟღერი აფრიკატები ძ და ჯ ფონემებს არ წარმოადგენენ, სალიტერატურო ენაში ამ ბგერების ადგილს შესაბამისი რიგის მჟღერი სპირანტები იკავებენ. ჩეჩური ენის სხვა დიალექტებში ეს ბგერები ჩვეულებრივია ანლაუტში, ქისტურში (ბაცბურშიც) კი – ინლაუტშიც. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, იგი (ზ ა მ ა) მიჩნეულია თურქულ (ყუმუხერ) ნასესხობად, თურქულში კი გავრცელებულია არაბული ენიდან [კლიმოვი, ხალილოვი 2003: 281; ვაგაპოვი 2011, 297].

ჩეჩურში პერიოდის, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის აღსანიშნავად დასტურდება მ უ რ (შდრ., ითუმყალური როგორც *მურ*, ისე *მულ*). ეს სიტყვა უცნობია ქისტურისათვის, მისი ითუმყალური ფონეტიკური ვარიანტი მ უ ლ ქისტურში ნიშნავს ზოლს, სვეს. ეს არის მიწის ნაკვეთი, რომელსაც ამუშავებენ თოხნის, ბარვის, თიბვის დროს. როგორც ჩანს, მ უ რ ლექსემის მნიშვნელობის დავიწროება მომხდარა, იგი ერთი სვის გატანის პერიოდს დაუკავშირდა.

ქართული „წელიწადის“ შესატყვისი ჩეჩურში არის შ ა ო. ამ სიტყვას მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური რ სეგმენტი, რის შედეგადაც თანხმოვანფუძიანი სიტყვა ხმოვანფუძიანი გახდა. რ თავის ადგილას აღდგება მხ. რიცხვის არასახელობით და მრ. რიცხვის ყველა ბრუნვაში. ამ სიტყვაში ხმოვანიც (იგივე დიფთონგი) მეორეულია და მიღებულია ა-საგან, რაც ჩანს იმავე არასახელობით ბრუნვებში ან მისგან ნაწარმოებ ლექსემებში. ქართულთან მისი დაკავშირება ეკუთვნის თ. გონიაშვილს, რაც სარწმუნო ჩანს [გონიაშვილი 1940, 606].

მიმდინარე წელთან (ქისტური – *ფე/ა შაო*, ჩეჩური – *ჰარა შაო* „ეს წელი“ ან, იშვიათად, ქისტური *დჰჰედ შაო* „მიმდინარე წელი“) შედარებით წინა წელი, ე. ი. „მარშან“ სალ. ენაში არის *სთოხქა*, ქისტურში *ს ო ხ ქ (უ/ა)*. განსხვავება ფონეტიკურია.

გარდა ამისა, იძებნება *ლურჩახ/ლურჩად* „მარშანწინ“. საერთო ნახური ლექსემაა. *მაცად/მაცახ* „ძველად“, *ჰასთად* „უწინ, წინათ“ და *ლურჩახ/ლურჩად* „მარშანწინ“ სიტყვათა ერთმანეთთან შედარება საშუალებას იძლევა სუფიქსად გამოიყოს ბოლოკიდური *ხ/ღ*, რომლის ფუნქცია ამჟამად დაჩრდილულია. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ *მაცახ*-ში *ხ*-ს მოკვეცილ ფუძედ გამოიყოფა მ ა ც ა, რაც კითხვით ნაცვალსახელს წარმოადგენს, ნიშნავს *როდის*-ს. შდრ., აგრეთვე, *ჰაღხა* „წინათ“, *-ღხ*- კომპლექსში *-ხ*- ბგერასაც იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რაც დასახელებულ სიტყვებში. ქისტურში *-ღხ*- კომპლექსის ლ სეგმენტი ზოგ სიტყვაში *-ჟ*, *ღ*-ს იძლევა, შესაბამისად არსებობს *ჰაღხ* ფორმაც.

„მომავალი წელი“ აღწერთია: **ტედოლ(უ) შჷო/ტიდოლ შჷო**, სიტყვასიტყვით – „მომავალი წელი“. „გასული წელი“-ც ანალოგიურია, **დახან(ა) შჷო**, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, გვაქვს მარტივი ფუძე: **სთოხქა / სოხქ(უ/ა)** „შარშან“.

წელიწადი იყოფა დროებად. ესენია:

ჩეჩნური ბარის კილო ქისტური

<b>ბ‘შთაჲ</b>	<b>ბ‘შთაჲ</b>	„გაზაფხული“
<b>შხჷჲ</b>	<b>ახქ</b>	„ზაფხული“
<b>გჷრჲ</b>	<b>გჷრჲ</b>	„შემოდგომა“
<b>‘ა</b>	<b>‘ა</b>	„ზამთარი“

„გაზაფხულის“, „ზაფხულისა“ და „შემოდგომის“ აღმნიშვნელ სახელებში მეორდება -**ჲ** დაბოლოება, რომელიც ჩანს **სჷრჲ** „სადამო“ სიტყვაშიც [ვაგაპოვი 2011: 166]. დროის ზმნისართების მნიშვნელობით გვაქვს **ბ‘შთა** „გაზაფხულ-ზე“, **შხჷა** „ზაფხულში“, **გურაჷა** „შემოდგომაზე“, შდრ., **სარაჷა** „სადამოს“. ქართ. **სერ**-ი „ვახში“, **სერ-ობ-ა** „ვახშიობა“, ზან. **სერ-ი** „ღამე“ და ნახ. **სარ-აჷა** „საღამოს“ ფუძეები დაკავშირებული აქვს მერაბ ჩუხუას [ჩუხუა 2008: 474].

წელიწადის დროთა სახელებიდან, სტრუქტურის მიხედვით, ცალკე დგას „ზამთრის“ სახელი **‘ა**. ამ სიტყვის ბრუნებისას არასახელობით ბრუნვებში აღდგება ბოლოკიდურ პოზიციაში დაკარგული ნ ბგერა. შდრ.: ნათ. ბრ. **‘ენ-ან** „ზმთრისა“. სიტყვა საერთო ნახურია. მისგან ნაწარმოები დროის ზმნისართი „ზამთარში“ განსხვავებულია ჩეჩნურ სალ. ენასა და ქისტურში; შდრ., სალ. ენა – **‘აჲ** და ქისტური – **‘ანახ/‘ენახ/‘ანიხ**. ამ ფორმაში, სავარაუდოდ, -**ხ** უნდა მომდინარეობდეს **ჷა**-საგან, რომელიც გვაქვს **გურაჷა** „შემოდგომაზე“, **სარაჷა** „სადამოს“ ზმნისართებში, მაშასადამე, ფარინგალურ ყრუ სპირანტ **ჷა**-ს შეენაცვლა უკანასასისმიერი, ასევე ყრუ სპირანტი, **ხ**.

წელიწადი იყოფა თვეებად. თანამედროვე ჩეჩნურს თვეთა სახელები მთლიანად ნასესხები აქვს რუსულიდან, ქისტურს – ქართულიდან. უფროსი თაობის მეტყველებაში ჩვეულებრივი იყო ქართული თიბათ „თიბათვე“, კათათ „მკათათათვე“ და ა. შ., რაც გაანალიზებული გვაქვს ზემოთ ნახსენებ სტატიაში (იკე, ტ. 40).

აღსანიშნავია, რომ წელიწადის თორმეტივე თვის ძველი სახელი ჩაწერილი აქვს ბაშირ დალგათს ინგუშეთში. მისი ნაშრომი დაბეჭდილია 1893 წელს ვლადიკავკაზში. ჩვენ მას ვიმოწმებთ იბრაჰიმ ალიროევის ნაშრომის მიხედვით [ალიროევი 1978: 46-47], სადაც ჩამოთვლილია ბ. დალგათის მიერ ინგუშეთში ჩაწერილი თვეთა სახელები რუსული თარგმანებით. 1968 წელს ი. ალიროევის მხოლოდ 7 თვის სახელი აქვს დაფიქსირებული ინგუშურში, რომელთაგან სამი (**ბაჲქარგ ზუთთ** „გუგულის თვე“, **თუშოლი ზუთთ** „ოფოფის თვე“, **თაუ ზუთთ** „თიბვის თვე“) ემთხვევა ბ. დალგათის მიერ ჩაწერილს. თვეთა რიგიც აცდენილია ერთმანეთს, მაგალითად, „ოფოფის თვე“ ბ. დალგათთან აპრილია, ი. ალიროევთან – მაისი. აგვისტოს სახელად ი. ალიროევის ჩაუწერია ეთინგ ზუთთ, რაც, ალბათ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში დადასტურებულ ათენგენობის დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს.

თავის მხრივ, თვე იყოფა კვირებად. კვირის დღეთა სახელებიდან ქისტურსა და ჩეჩნურში საკუთარია:

ქისტ. **შინარ** /სალ. ენა – **შინარა** „სამშაბათი“, უკავშირდება რიცხვით სახელს **ში** „ორი“ (და არა სამს, როგორც ქართულში), ქისტ. **ვარ** /სალ. ენა – **ვარა** „ოთხშაბათი“, უკავშირდება **სამ**-ს (შდრ. ქართული ოთხ-შაბათი), ქისტ. **ჟიარ** /სალ. ენა – **ჟიარა** „ხუთშაბათი“, უკავშირდება **ოთხ**-ს (შდრ. ქართული ხუთ-შაბათი).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კვირის დღეთა ათვლა ქართულში იწყება კვირიდან, კვირა დღიდან, ნახურში – ორშაბათიდან. დღეთა სახელებიდან ჩეჩნურში, ზოგადად, ნახურ ენა-კილოებში, საკუთარია სწორედ ის ლექსემები, რომელთა ქართული შესატყვისებიც შეიცავენ რიცხვით სახელებს. დანარჩენ დღეთა სახელები, მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებით, ნასესხებია ქართულიდან. დღეთა და თვეთა სახელები ქართულში განხილული აქვს ალ. ლლონტს (ლლონტი 1995: 54-68).

სამივე დასახელებული სიტყვა ჩეჩნურში ბოლოვდება **ა** ხმოვანზე, რომელიც ქისტურში მოკვეცილია. საკვლევი, **-ნ**-ს წარმომავლობა **შინარა**-ში და **-ა-რა** დაბოლოების ფუნქცია სამივე სიტყვაში. იგივე გაბოლოება დროის აღნიშვნასთან დაკავშირებულ სხვა სიტყვებშიც ვლინდება. შდრ., მაგალითად, **თჟოხარა/თოხურა** (დიალ. ვარ.) „წინათ, უწინ, წელან“; **სოჟმარა / სოჟურ (დე)** „გუშინწინ/გუშინწინდელი (დღე)“ (დიალ. ვარ.)...

ნახურ ენებში ცვალებადი გრამატ. კლასის ნიშნები რიცხვით სახელებში შემორჩენილი აქვს მხოლოდ „ოთხს“: **ვ-ი, ჟ-ი, ზ-ი, დ-ი**. სინტაგმაში **ჟ-ეარინ დე** „ხუთშაბათი დღე“ „დე“ მსაზღვრელში ასახულია **ჟ**- კლასის ნიშნით, თუმცა ეს სახელი ყველა ნახურ ენაში განეკუთვნება **დ**- კლასს. გასარკვევია, რატომ.

დროის აღნიშვნასთან არის დაკავშირებული ათობით დროის ზმნისართიც. ამ ჯგუფის ზმნისართთა დიდი ნაწილი პირველადი ზმნისართებია, რომელთა სტრუქტურა და წარმომავლობა, უმეტესწილად, უცნობია. ასე, მაგალითად, დღეების აღსანიშნად ჩეჩნური ენის ბარის კილოში ასახელებენ 11 ლექსემას, ინგუშურში – ცხრას, ბაცურში – ასევე ცხრას. განსხვავება ამ ლექსემებს შორის ფონეტიკურია. ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ იმ ლექსემებს ქისტურში, რომლებიც საერთოა სალ. ენის მონაცემებთან. ესენია:

ქისტური	სალ. ენა
<b>სოჟმარა</b>	<b>სოჟურ (დე)</b> „გუშინწინ“
<b>სიელხანა</b>	<b>სიელხან/სიხონ/სიხუნ</b> „გუშინ“
<b>თახანა</b>	<b>თახან</b> „დღეს“
<b>ვანა</b>	<b>ვან</b> „ხვალ“
<b>ლამა</b>	<b>ლამ</b> „ზეგ“
<b>ულა</b>	<b>ულ</b> „მაზეგ“
<b>წაქა</b>	<b>წაქ</b> „დღეიდან მე-4 დღეს“
<b>წასთა</b>	<b>წუქ</b> „დღეიდან მე-5 დღეს“

ყველა ამ სიტყვას ქისტურში, ჩვეულებრივ, მოკვეცილი აქვს ბოლოვი-დური ხმოვანი, თუმცა იგი გამორიცხულიც არ არის. განსხვავებულია „დღეი-დან მე-5 დღის“ სახელი, იგი, ე. ი. **წუქ**, საერთოა ქისტურსა და ახიურში როგორც ფორმობრივად, ისე სემანტიკურადაც. გარდა ამისა, ჩეჩნურში **წასთა**-ს მომდევნო სამი დღის სახელსაც ადასტურებენ: **წულლა**, **წუმოქა/წიმოქა**, **წულ-წიმოქა** [ალიროევი 1978: 48], რომლებიც ამჟამად არქაიზმებს წარმოადგენენ.

თავის მხრივ, დღევ იყოფა რაღაც დროის მონაკვეთებად. ასეთია:

სალ. ენა – **ურრე**, ქისტ. **ურრუ/ ჭრანც** „დილას, დილით“; შდრ., ჭრ/ჭრე „დილა“.

**დეყხან/დელყხანაჰა** „შუადღეს“, შდრ., **დელყფე**, **დელყხა/დელყხან** „შუადღე“.

**სარაჰა** „სალამოს“; შდრ., სალ. ენა – **სურე**, ქისტ. **სეარ** „სალამო“. როგორც ზემოთ ითქვა, ამ სიტყვის დაკავშირება ქართულ **სერ-ობ-ა**-სთან (ვახშობა-სთან) ეკუთვნის მ. ჩუხუას.

აქვე შეიძლება დავასახელოთ დღე-ღამის ამსახველი სხვა დროებიც ქისტურში:

**მერთხა** „საუზმობის დრო“ (შდრ. **მართ** „საუზმე“)

**მჟსთხა** „სადილობის დრო“ (შდრ. **მჟასთ** „სადილი“)

**ფჰაერხა/ფჰაჟერხა** „ვახშობის დრო“ (შდრ. **ფჰაარ/ფჰაჟარ** „ვახხშამი“)

**მერგიშხა** „შებინდების დრო“

**ჭრყხა** „გათენების დრო“

ბოლო ორი სახელის წარმომავლობა ნათელი არ არის.

**სათოსს(უ)ხა** „რიჟრაჟის, აისის დრო“ (სიტყვასიტყ. სინათლის, ნათელის მოფენის დრო) და მისთ.

თითოეული ამ სახელისაგან იწაროება დროის ზმნისართი – **ხა** (< **ხან**) „დრო“ იცვლება **ხან** ფორმით, რომელსაც მოკვეცილი უნდა ჰქონდეს **-აჰა** სემანტი (< **ხანაჰა** „დროს“), რომელიც ხშირია ზმნისართულ ფორმებში. შდრ. **ხანნ-აჰა(-აჰა)** „ადრევე“.

**ბუს(უ)** „ღამით“, ფუძის გაორკვევით – **ბუსსუბუს** „ღამღამობით“

თხოჟს „ამაღამ“, აქ იგივე ძირი ჩანს, რაც **თახან(ა)** „დღეს“ სიტყვაშია

**სისარ** „წუხელ“, შეიძლება უკავშირდებოდეს **სეარ** „სალამო“, **სარაჰა** „სალამოს“ სიტყვებს.

დასახელებულ სიტყვათა გარდა, ნახურ ენებში, კერძოდ, ჩეჩნურსა და ქისტურში დასტურდება შემდეგი ლექსემებიც:

სალ. ენა

ქისტური

**ჰინცა**

**ჰუნძ** „ახლა“, შდრ. **ჰუნძჰუ** „სულ ახლახანს“

**თოხარა** „უწინ, ძველად“

**თოხურ** „წელან“.

ამ სიტყვასაც იგივე ფუძე უჩანს, რაც **თახანა** „დღეს“ ფორმაში გვაქვს.

**ჰეთა**

**ეთ** „მაშინ“ (თავკიდური **ჰ**-ს ჩავარდნით;

შდრ. სალ. ენა – **ჰოგჯუზა** „აი, აჟ“ და ქისტ. **ოგჯუძ**; **ჰოთთა** „დადგომა (დგება)“, „დაღლა“ და ქისტ. **ჰოთთა** და მისთ.).

**ჯანჭო** „მოგვიანებით“ სიტყვის ქისტური შესატყვისია **ჯენო**.

**დაიმ** „მუდმივად“ ნახურ ენაკილოებში, მათ შორის ქისტურშიც, ნასესხებია არაბულიდან. სესხების გზა დადესტურ ენებშია საძიებელი.

ქისტური ლექსემა **გეინ** „შემდეგ, მოგვიანებით“ მიღებული ჩანს გან „დაგვიანება“ ზმნისაგან, ეს ფორმები ჩეჩნურში არ იძებნება. მისი შესატყვისი ჩეჩნურში არის **ტაჰა-დ-ისა** „ჩამორჩენა“.

**ტაკვა** „შემდეგ“, რომელიც ჩეჩნურ დიალექტებსა და ინგუშურ ენაში დასტურდება, ქისტურში არა გვაქვს. სავარაუდოდ, იგი არის გვიანდელი ნასესხობა არაბულიდან.

ამრიგად, ქისტურის დროის აღმნიშვნელი საკუთრივ ნახური ლექსიკა თითქმის მთლიანად ემთხვევა ჩეჩნური სალიტერატურო ენის მონაცემებს. განსხვავება საკვლევი ლექსიკის მცირე ნაწილში არ სცილდება ფონეტიკის ფარგლებს. რამდენიმე სიტყვა, რომელიც სალ. ენაშია, ქისტურში არა ჩანს და, პირიქით, რამდენიმე ერთეული ქისტური ლექსემა კი არ იძებნება სალიტერატურო ჩეჩნურში. როგორც თავიდანვე ვთქვით, საუბარი არ ეხება დროის აღმნიშვნელ ქართულიდან ნასესხებ ლექსიკას ქისტურში.

### ლიტერატურა

**გონიაშვილი 1940** – თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნური-სა ქართველურ ენებთან. ენიმკის მოამბე. V-VI. თბილისი.

**ღლონტი 1995** – ალ. ღლონტი, დღეთა და თვეთა სახელები ძველქართული მწიგნობრული და ხალხური სახელწოდებებისათვის. წიგნში: ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი. IX. თბილისი.

**ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.

**ალიროევი 1975** – И. Ю. Алироев, Сравнительно-сопоставительный словарь отраслевой лексики чеченского и ингушского языков и диалектов. Махачкала.

**ალიროევი 1978** – И. Ю. Алироев, Нахские языки и культура. Грозный.

**ვაგაპოვი 2011** – А. Вагапов, Этимологический словарь чеченского языка. Тбилиси.

**კლიმოვი, ხალილოვი 2003** – Г. Климов, М. Халилов, Словарь кавказских языков (сопоставление основной лексики). Москва.

ROSTOM PAREULIDZE

**The Nakh Vocabulary Denoting Time in the Kist Dialect  
of the Chechen Language**

S u m m a r y

The Nakh vocabulary denoting time in the Kist dialect almost completely overlaps the Chechen literary language data. In a small part of the research vocabulary only phonetic differences can be found. Several words of the literary language are absent in Kist and on the contrary, some Kist lexemes cannot be found in the literary language (in the subdialect of the lowland).

ნათია ფონიავა

**თხრობითი წინადადების ინტონაცია  
ლაზურში<sup>1</sup>**

შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება ინტონაციით.

თხრობით ინტონაციას, ჩვეულებრივ, ახასიათებს წინადადების დასრულება დამავალი კონტურით, მაგრამ წინადადების დანარჩენი სინტაგმები შესაძლოა სინტაქსური წყობის წინადადებების ტიპის მიხედვით სხვა ტიპის ინტონაციური კონტურებითაც იყოს გაფორმებული (ლეჟავა 2018: 15).

ლაზური თხრობითი წინადადების ინტონაციის შესახებ გარკვეული მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ის ცალკე შესწავლის საგანი არასოდეს ყოფილა.

ოზთურქისა და ფოჩრაგერის რედაქტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში „ათინური ლაზური“ განხილულია სიტყვათა რიგი და მოყვანილია წინადადებები, მათ შორის, თხრობითიც და დახასიათებულია ინტონაციის მიხედვითაც. მაგ.: **მა სი გომოჭონდრი** „მე შენ დამავიწყდი“. მათი დაკვირვებით, ასეთ წინადადებაში მახვილი მოდის ზმნაზე და წინადადებას აქვს დამავალ ინტონაცია (ათინ. ლაზ. 2011: 146).

ამავე ნაშრომში აღნიშნულია, რომ მახვილი შესაძლოა მოდიოდეს პირდაპირ ობიექტზე ან ზმნაზე: **ალიქ ჩითაზი დოთქუ** „ალიმ წიგნი წაიკითხა“ (მახვილი მოდის ზმნაზე, ინტონაცია დამავალია) ან **ალის ტელეფონი ვუხენი** „ალის დავურეკე“ (მახვილი მოდის ობიექტზე, ინტონაცია დამავალია) (ათინ. ლაზ. 2011: 146).

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია, რომ წინადადებაში, სადაც გვაქვს ირიბი ობიექტი ან ობიექტი საერთოდ არაა წარმოდგენილი, მახვილი მოდის ზმნაზე: **შკუ ირიქ სი მეგოწერთი** „ჩვენ ყველა შენ გიყურებდით“ (ათინ ლაზ. 2011: 146).

ჩვენი კვლევა მოიცავს ლაზურის ყველა კილოკავს. საანალიზო მასალა მოპოვებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეგრულ-ლაზური ინტონაცია“ ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების დროს როგორც საქართველოში, ისე თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ, ართვინისა და რიზეს პროვინციებში, რომლე-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217728, მეგრულ-ლაზური ინტონაცია].

ბიც დასახლებულია ლაზურად მეტყველი ადამიანებით. მოპოვებული მასალა დავამუშავეთ პროგრამა Praat-ის მეშვეობით.

ექსპედიციის დროს ვიყენებდით სპეციალურად შემუშავებულ კითხვარს, რომელშიც ცალკეულ სიტყვებთან ერთად საანალიზოდ შერჩეული გვქონდა წინადადებები შინაარსისა და აგებულების მიხედვით. ამ ეტაპზე განვიხილავთ თხრობითი წინადადების ინტონაციას ლაზურში, მარტივთან ერთად აქვე შემოვიტანეთ შერწყმული და რთული წინადადებებიც, რადგან შინაარსის მიხედვით ისინი თხრობით წინადადებას განეკუთვნებიან. დავიწყებთ მარტივი წინადადების გაანალიზებით:

### მარტივი წინადადება

ლაზ. **მა ოხოს ვო(რ)ე** (ხოფ.) / **მა ოხოის ბოო** (არქ.) / **მა ოხოიზ ბორე** (ვიწ.) / **მა ოხორი ვორე** (არტ. ვიჟ.) / **მა ოხორის ვორე** (ათინ.) – მე სახლში ვარ.

საანალიზო წინადადებაში სარფულ მეტყველებაში აქცენტი კეთდება ქვემდებარეზე, მახვილი მასზე მოდის, სხვა კილოკავებში მახვილი მოუდის ადგილის გარემოებას. სარფულში წინადადების ინტონაციური კონტური დამავალია, სხვა კილოებში დამავალ-აღმავალ-დამავალი.

ლაზურში სიტყვათა რიგი გარკვეულწილად თავისუფალია, ანუ სიტყვათა თანმიმდევრობა შეგვიძლია ვცვალოთ. ეს არ იწვევს შინაარსის ცვლილებას. იმავე წინადადებას წარმოვადგენთ შეცვლილი სიტყვათა რიგით:

ლაზ. **ოხოს ვო(რ)ე მა** (ხოფ.) / **ოხოის ბოო მა** (არქ.) / **ოხოიზ ბორე მა** (ვიწ.) / **ოხორი ვორე მა** (არტ. ვიჟ.) / **ოხორის ვორე მა** (ათინ.) – სახლში ვარ მე.

მახვილი ამ შემთხვევაში ყველა კილოკავში ადგილის გარემოებაზეა, ინტონაცია კი – დამავალია.

### შერწყმული წინადადება

ლაზ. **მა უშქიი, მცხული დო ბული ჰეფთენ პყოფ** (ხოფ.) / **მა უშქუიი, მცხული დო ბული დიდო პორომ** (ვიწ. არქ.) – მე ვაშლი, ბალი და მსხალი ძალიან მიყვარს.

აქ მახვილი მოდის რიგით პირველ პირდაპირ დამატებაზე (**უშქიი / უშქუიი** „ვაშლი“), ბოლო პირდაპირი დამატება ისევ აღმავალი ინტონაციით ხასიათდება და წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება. ყველა კილოკავში ინტონაციური კონტური დამავალ-აღმავალ-დამავალია.

არტაშენელმა მთქმელმა წინადადება ასე ააგო: **მა მაოროფენ მსხული, ბული, ოშკური** „მე მიყვარს მსხალი, ბალი, ვაშლი“. ამ შემთხვევაში მახვილი მოვიდა ქვემდებარეზე, ზმნაზე დამავალი ინტონაცია გვაქვს და ინტონაცია მალღდება პირველ პირდაპირ დამატებაზე, მერე კი ისევ დაბლდება.

ათინელმა მთქმელმაც ერთგვარი წევრები უკავშიროდ შეაერთა: **ოშკური, ბული, მცხული ოფშა მალიმზენ** „ვაშლი, ბალი, მსხალი ძალიან მიყვარს“. აქ მახვილი მოუდის **ოშკური** და **მცხული** დამატებებს, კიდევ უფრო მალღდება ტონი **ოფშა**-ზე „ძალიან“ და წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაცია გვაქვს.

### რთული წინადადება

ლაზ. **ჰემ იბიუ, ჰემ იხოონუ ა კულანიქ** (ხოფ.) / **ჰემ იბიუ, ჰემ იხოონუ ჰამ ზოზოქ** (არქ.) / **ჰემ ტრალუდუ, ჰემ იხორონუ ჰამ ზოზოქ** (ვიწ.) / **ჰემ დოტრალოდუ, ჰემდოთი დიხორონუ ამ ზოზომოთა** (არტ. ვიჟ.) / **ჰემ თქუ, ჰემ იხორონუ ჰამ ზოზოქ** (ათინ.) – კიდევ იმღერა, კიდევ იცეკვა ამ გოგომ. აქ აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს ორივე **ჰემ** ნაწილაკსა და **ა / ჰამ** განსაზღვრებას. ეს წინადადებები მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

გამოღმა სარფულში ეს წინადადება **ჰემ** ნაწილაკის გარეშე ითქმის. შდრ. სარფ. **იბიუთი დო ხორონუთი ამა კულანიქ** (ამ წინადადების შინაარსი იგივეა, უბრალოდ თურქული **ჰემ** ნაწილაკის ნაცვლად გამოყენებულია ლაზური **-თი** „-ც, კიდევ“, რომელიც უშუალოდ მიერთვის ზმნას ან სახელს). ასეთ შემთხვევაში პირველ ზმნაზეა მახვილი. წინადადების ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალია.

წარმოდგენილ წინადადებაში წევრებს რომ ადგილი შევუნაცვლოთ, კერძოდ, ქვემდებარე განსაზღვრებითურთ გადმოვიტანოთ თავში, მახვილი მოლუვა ქვემდებარეს (**კულანიქ / ზოზოქ / ზოზომოთა** „გოგომ“) ან მის განსაზღვრებას (**ა / ჰამ** „ამ“), კიდევ უფრო აღმავალი ინტონაციით ხასიათდება **ჰემ** ნაწილაკი და მერე დამავალი კონტური გვხვდება: **ა კულანიქ ჰემ იბიუ, ჰემ იხოონუ** (ხოფ.) / **ჰამ ზოზოქ ჰემ იბიუ, ჰემ იხოონუ** (არქ.) / **ჰამ ზოზოქ ჰემ ტრალუდუ, ჰემ იხორონუ** (ვიწ.) / **ჰამ ზოზომოთა ჰემ დოტრალოდუ, ჰემდოთი დიხორონუ** (არტ. ვიჟ.) / **ჰამ ზოზოქ ჰემ თქუ, ჰემ იხორონუ** (ათინ.) – ამ გოგომ კიდევ იმღერა და კიდევ იცეკვა.

განვიხილავთ რთულ ქვეწყობილ წინადადებასაც:

ლაზ. **აია ბეექ იმგაუ, იმგაუ, ამა მითიქ ვა მენდაწკედუ** (ხოფ.) / **ჰამ ბერექ იბგარუ დო იბგარუ, ამა მითიქ ვა ოწკედუ** (არქ.) / **ჰამ ბერექ იბგარუ, იბგარუ დო მითიქ ვარ ოწკედუ** (ვიწ.) / **ჰამ ბერე იბგარუ დო იბგარუ, ჰამა მითი ვა ცადუ** (არტ. ვიჟ.) – ამ ბავშვმა იტირა, იტირა, მაგრამ არავინ არ მიხედა (არქაბულში ზმნები **დო** „და“ კავშირითაა შეერთებული, ვიწელმა მთქმელებმა კი **ამა** „მაგრამ“ კავშირის ნაცვლად **დო** „და“ გამოიყენეს).

ასეთ შემთხვევაში მახვილი მოლუდის ქვემდებარეს (**ბეექ / ბერექ / ბერე** „ბავშვმა“), მერე ინტონაციური კონტური დამავალია, მაღლდება კავშირზე (**დო** „და“, **ამა / ჰამა** „მაგრამ“) და ისევ დაბლდება. ხოფურსა და ვიწურში მახვილი მოლუდის მთავარი წინადადების ქვემდებარეს, მერე ინტონაციური კონტური დამავალია და მაღლდება კავშირსა და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეზე, არტაშენურსა და ვიჟურში კი აღმავალი კონტურით ხასიათდება განსაზღვრება და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე, წინადადება დამავალი კონტურით მთავრდება.

არქაბულში ეს წინადადება იწყება დამავალი ინტონაციური კონტურით, რომელიც მაღლდება მთავარი წინადადების ქვემდებარესა და პირველ ზმნაზე, შემდეგ დაბლდება, ისევ მაღლდება კავშირსა და დამოკიდებული

წინადადების ქვემდებარეზე, წინადადება კი მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ათინელმა მთქმელმა წინადადება განსაზღვრებისა და კავშირის გარეშე ააგო: **ბერექუ იბგარუ დო იბგარუ, მითიქ ვა ცადუ** (ათინ.) – ბავშვმა იტირა და იტირა, არავინ არ მიხედა. აქ აღმავალი ინტონაციური კონტურით მოუდის მთავარი წინადადების ზმნებს და წინადადება დამავალი კონტურით მთავრდება.

წარმოდგენილ წინადადებაში წევრებს რომ ადგილი შეევუნაცვლოთ, ყველა კილოკავში მახვილი მოუვა პირველ შემასმენელს, დამავალ ინტონაციას ისევ მოსდევს აღმავალი, კერძოდ, მთავარი და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეებზე (**ბერექ / ბერე** „ბავშვმა“, **მითიქ / მითი** „არავინ“): **იმგაუ, იმგაუ აია ბექქ, ამა მითიქ ვა მენდაწკედუ** (ხოფ.) / **იბგარუ დო იბგარუ ჰამ ბერექქ, ამა მითიქ ვა ოწკედუ** (არქ.) / **იბგარუ, იბგარუ ჰამ ბერექქ დო მითიქ ვარ ოწკედუ** (ვიწ.) / **იბგარუ დო იბგარუ ჰამ ბერე, ჰამა მითი ვა ცადუ** (არტ. ვიჟ.) – იტირა, იტირა ამ ბავშვმა, მაგრამ არავინ არ მიხედა. ათინელმა მთქმელმა წინადადება ამ შემთხვევაშიც განსაზღვრებისა და კავშირის გარეშე ააგო, აღმავალი ინტონაციური კონტური ახასიათებს მხოლოდ მთავარი წინადადების ზმნებსა და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს: **იბგარუ დო იბგარუ ბერექქ, მითიქ ვა ცადუ** – იტირა, იტირა ამ ბავშვმა, მაგრამ არავინ არ მიხედა.

ერთმა არტაშენელმა მთქმელმა კი მთლიანად უკავშირო შეერთება არჩია: **იბგარუ, იბგარუ ჰამ ბერე, მითი ვარ ოწკედუ** – იტირა, იტირა ამ ბავშვმა, არავინ არ მიხედა. ასეთ დროს აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს მთავარი წინადადების პირველ ზმნასა და ქვემდებარეს, დამოკიდებულ წინადადებას მთლიანად დამავალი ინტონაცია აქვს.

განვიხილოთ -**ნა** ნაწილაკიანი რთული წინადადებაც:

**ა კულანი, გოწოსნა ვიჩინი, კულანი ენ** (ხოფ.) / **ჰამ ბოზო, გოწოსნა ბიჩინი, ბოზო ონ** (ვიწ. არქ.) / **ჰამ ბოზომოთა || ბოზო, გოწონა ვიჩინი, ბოზომოთა || ბოზო ონ** (არტ. ვიჟ. ათინ.) – ეს გოგო, შარშან რომ გავიცანი, (ის) გოგოა. ხოფურში, ვიწურში, არქაბულსა და ათინურში აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს განსაზღვრებას და დამოკიდებული წინადადების ზმნას, ვიჟურში კი მხოლოდ **ა / ჰამ**-ს მიერ განსაზღვრულ **ბოზო** „გოგო“-ს, წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება.

ეს წინადადება გამოლმა სარფში ქართულ წყობას მიჰყვება და ასე ითქმის: **აია აა კულანი ენ, გოწოსნა ვიჩინი** (სარფ.) – ეს ის გოგოა, შარშან რომ გავიცანი. ამ შემთხვევაში მახვილი მოუდის განსაზღვრებას (**აია** „ეს“), ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალია.

ამდენად, მარტივ წინადადებაში მახვილი მოდის ქვემდებარეზე ან გარემოებაზე, შებრუნებული წყობისას კი წინადადების პირველ წევრზე. მას ახასიათებს დამავალი ან დამავალ-აღმავალ-დამავალი ინტონაციური კონტური.

შერწყმულ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტურითაა წარმოდგენილი რიგით პირველი და ბოლო ერთგვარი წევრი, წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება. ყველა კილოკავში ინტონაციური კონტური დამავალ-აღმავალ-დამავალია.

რთულ წინადადებაში მახვილი მოუდის ქვემდებარეს ან მის განსაზღვრებას, თუ ისინი წინადადების თავში არიან. თუ წინადადება ზმნით იწყება, მაშინ მახვილი მოუდის ზმნას. ორივე შემთხვევაში წინადადების ინტონაცია დამავალია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე, ზოგ შემთხვევაში მთავარი წინადადების ზმნაც, როცა ის ზმნით იწყება. **-ნა** ნაწილაკიან რთულ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს დამოკიდებული წინადადების ზმნასაც, რადგან ის ხლეჩს მთავარ წინადადებას და მის ბოლოში არ ექცევა. არ აქვს მნიშვნელობა აგებულების მიხედვით, როგორია წინადადება, ნებისმიერი თხრობითი წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება.

### ლიტერატურა

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург.

**ჩიქობავა 1924** – არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. – სმამ, ტ. III, № 3, თბილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), თბილისი.

**ლეჟავა 2018** – ი. ლეჟავა, ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებანი. – ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 1978-2018, თეზისები, თბილისი.

**Pazar Laz 2011** – Balkız Öztürk, Marcus A, Pöchtrager (eds.), Muenchen.

**Ladd 2008** – R. Ladd D. (2008). Intonational Phonology (second edition). Cambridge University Press, UK.

NATIA PONIAVA

**The Intonation of a Declarative Sentence in Laz**

## S u m m a r y

The intonation of a declarative sentence in Laz has not properly been studied.

Our research is based on audio materials that has been obtained from the Laz speakers living in Georgia, as well as in historical Lazeti (the Republic of Turkey).

The stress comes on the subject or adverb in the simple sentences but it falls on the first member of the inverted sentences. The simple sentence is characterized by the falling-rising-falling intonation contours.

The first and the last homogenous members are characterized by the rising intonation contour in the compound sentence and the sentence ends by falling intonation. The intonation contours are falling-rising-falling in all Laz subdialects.

The subject or its attribute are stressed in the complex sentence if they are at the initial position of the sentence. If the sentence starts with a verb, the stress falls on it. The intonation of such a sentence is falling in both cases.

The subject is characterized by the rising intonation contour in the independent and dependent clauses as well. The verb has the rising intonation contour if the complex sentence starts with it, the verb of dependent clause is characterized by such a kind contour in the complex sentence with the particle *-na* because it splits the independent clause, thus it is not at the end of the sentence. Anyhow the declarative sentence ends by falling intonation.

ლია ქაროსანიძე

**დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის საკითხები  
„შატბერდის სასწავლო წიგნში“**

1888 წელს ნიკო მარმა აღწერა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ის კოლექცია, რომელიც საზოგადოებას დავით რექტორის ძმისშვილმა, მღვდელმა დიმიტრი ალექსი-მესხიშვილმა, შესწირა. ეს აღწერილობა დაბეჭდილია გაზეთ „ივერიის“ ხუთ ნომერში (№№ 236, 238, 239, 240, 245). 239-ე ნომერში მოთავსებულია აღწერილობა X საუკუნის ეტრატის ხელნაწერისა, რომელსაც ნიკო მარი აძლევს რიგით 1141-ე ნომერს. მას ექვთიმე თაყაიშვილმა მოგვიანებით „შატბერდის კრებული“ უწოდა (შატბერდი 1979: 15).

ხელნაწერის შექმნის ისტორია თვითონ მასშივეა მოთხრობილი კრებულის გადამწერის, იოანე-ბერას, ანდერძში, რომელსაც ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია. ანდერძი გვამცნობს იმის შესახებ, რომ იოანე-ბერას ხელნაწერი გადაწერისთანავე შეუწირავს შატბერდის მონასტრისათვის, სადაც იგი აღიზარდა. აქედანვე ირკვევა, რომ იოანე-ბერა თავად ყოფილა კრებულის შემდგენელი და რედაქტორი.

კრებულში შესულია მრავალი განსხვავებული სახის თხზულება: პირველ თხზულებად შეტანილია გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, რომლის ტექსტიც წარმოადგენს ძველ თარგმანს, XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანისაგან სრულიად განსხვავებულს. მას მოჰყვება „თულთაი“, შეტანილია ასევე ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებები და „მოქცევაი ქართლისაჲ“, რომელიც ამ ისტორიული თხზულების ერთადერთი უძველესი ვარიანტია.

1979 წელს გამოიცა შატბერდის კრებულის სრული ვერსია. გამოცემის შესავალში მზექალა შანიძე შენიშნავს: „კრებულში შეტანილ თხზულებათა მარტოოდენ ჩამოთვლაც კი ცხადყოფს ამ ხელნაწერის მნიშვნელობას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგიც: შატბერდის კრებულის შედგენილობაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რედაქტორის არჩევანს სრულად გარკვეული მიზანდასახულება დასდებია საფუძვლად. ამ ნუსხაში შესატან შერჩეულ თხზულებათა თემატიკის მრავალფეროვნება ერთ მიზანს ემსახურება, შემდგენელს სურდა თავი მოეყარა ისეთი შრომებისათვის, რომელთაც, მისი თვალსაზრისით, გარკვეული შემეცნებითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა“ (შატბერდი 1979: 9).

შატბერდის კრებული მოიცავს ცოდნის მრავალ დარგს: ისტორიას, ქრონოლოგიას, გრამატიკას, ბუნებისმეტყველებას, ღვთისმეტყველებას და სხვ. ქართულ სინამდვილეში ამ ტიპის ხელნაწერთაგან სწორედ შატბერდის კრებულია ყველაზე დამახასიათებელი. ამასთან ერთად, იგი გამოხატავს ამ წრის ცოდნის დონესა და ინტერესთა მიმართულებას, სადაც იგი შეიქმნა და რომლისთვისაც იგი განკუთვნილი იყო. ამ თვალსაზრისით შატბერდის კრებულს მშვენივრად უდგება და შეეფერება ის პირობითი სახელი „სასწავლო წიგნისა“, რომელიც მის უსათაურო ნაწილს შეარქვა მოსე ჯანაშვილმა, – აღნიშნავს მზ. შანიძე (შატბერდი 1979: 9).

შატბერდის სასწავლო წიგნში შეტანილია ნაწყვეტი დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის ერთ-ერთი კომენტარიდან. შატბერდის კრებულში დადასტურებულ ბერძნულ ტექსტში მსჯელობის მთავარი საგანი ანბანია.

1923 წელს დაიბეჭდა ს. ყაუხჩიშვილის წერილი „შატბერდის სასწავლო წიგნი“. სწორედ სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოარკვია პირველად, რომ შატბერდის კრებულში შეტანილი მსჯელობა ბერძნული ანბანის შესახებ ამოღებულია დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის კომენტარიდან, რომელიც ამ გრამატიკის ერთ-ერთ კომენტატორს, დიომედეს, ეკუთვნის. (ყაუხჩიშვილი 1923).

ბერძნული გრამატიკული სქოლიოები გამოცემულია 1901 წელს, სახელწოდებით, *Crammatici Graeci*, რომლის მესამე ნაწილი შეიცავს დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის კომენტარებს – *Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam*<sup>1</sup>. აქ შესულია კომენტარების სამი კოლექცია: ვატიკანური, ვენეციური და ლონდონური. თითოეული მათგანი წარმოადგენს იმ გრამატიკულ თხზულებათა კომპილაციას, რომლებიც სრულად არ შემონახულა. ამ სქოლიოთა ავტორები არიან: **მელამბოდე, დიომედე, ჰელიოდორე, სტეფანე, პორფირი, ტრიფონი, გიორგი** და სხვ. (სქოლიოები, 1901).

დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სქოლიოებში თავმოყრილია თრაკიელამდე არსებული ცოდნა. საკითხები თავებადაა დაყოფილი: *გრამატიკის ხელოვნების განმარტება* (*Ὅρισμός τεχνῆς γραμματικῆς*), *ხელოვნებისა და ჰერმენევტიკის შესახებ* (*Ὅρισμός τεχνῆς καὶ ἑρμηνεία*), *პორფირი პროსოდის შესახებ* (*Πορφυρίου περὶ προσῳδίας*), *ბარბარიზმებისა და სოლოკიზმების შესახებ* (*Περὶ βαρβαρισμῶν καὶ σολοκισμῶν*), *დიალექტების შესახებ* (*Περὶ λουγῶν, Περὶ Ἀττικῶν, Περὶ Αἰολικῶν, Περὶ Δαρικῶν, Περὶ Ἰωνικῶν, Περὶ Κοικῆς*). გადმოცემულია სხვადასხვა დროის ბერძენ ისტორიკოსთა თუ მწერალთა თხზულებებში შემონახული ცნობები ბერძნული ანბანის შექმნის შესახებ, დაწვრილებითაა განხილული თრაკიელის გრამატიკის თითოეული ფრაზა, ასონიშნების რაოდენობის, ბგერათა კლასიფიკაციის, ბრუნვათა ჩამოყალიბების, წინადადებათა სახეებისა და სხვა მრავალ საკითხთა ვრცელი ის-

<sup>1</sup> წიგნის ფოტოსურათები 90-იან წლებში გადმოგვცა ბატონმა თედო უთურგაიძემ და გარკვეული ნაწილის თარგმანიც ამ ფოტოსურათებიდან ამოკითხულ ტექტზე დაყრდნობით შევასრულეთ, მოგვიანებით კი გამოვიყენეთ ამ კომენტართა ონლაინვერსია – <https://archive.org/details/scholiaindionys00hilggoog>. თრაკიელის გრამატიკის კომენტარებიდან ნაწყვეტები გამოქვეყნებულია ჩვენს წიგნში „ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ენის შესახებ და ქართული გრამატიკული აზროვნება“, 2017, თბილისი.

ტორია თრაკიელამდე, თრაკიელის გრამატიკაში და შემდგომ პერიოდში. საინტერესოა ბიზანტიელის სახელით ცნობილი კომენტარები (Commentarius Byzantinus), რომელშიც ნებისმიერი საკითხის განხილვა ქრისტიანობას უკავშირდება, მაგალითებში ქრისტიანული ცნებებია შეტანილი (ქაროსანიძე 2017: 63-65).

დიომედეს კომენტარი დიონისიოს თრაკიელის მეექვსე თავს ეხება, რომელიც ბერძნული ასონიშნებისა და ბგერების შესახებაა. თრაკიელის გრამატიკის კომენტარების მიხედვით, ბერძნული ანბანი სხვა ქვეყნიდანაა შემოტანილი. სქოლიასტები განიხილავენ არსებულ წყაროებს, ასახელებენ ისტორიკოსებს, პოეტებს: „*ანბანის აღმოჩენის შესახებ ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ: ზოგის ნათქვამის მიხედვით, პრომეთემ აღმოაჩინა, ზოგის მიხედვით – ფინიკამ, აქილევის მასწავლებელმა, ზოგის მიხედვით – კადმოს მილესელმა, ზოგის მიხედვით – ათენამ...*“<sup>1</sup>.

ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ანბანი საბერძნეთში შეტანილია კრეტიდან ან ეგვიპტიდან. ანბანის შემქნელებად ასახელებენ პელაზგებსაც. ეს ის პელაზგებია, რომლებსაც ჰომეროსი მოიხსენიებსო, – განმარტავენ სქოლიასტები და მოჰყავთ ციტატა „ილიადადან“ <K 429>: „*Kαὶ Λελεγεὺς καὶ Καυκῶνες δῖοϊν τε Πελασγοί*“<sup>2</sup>. როგორც სქოლიოებში წერენ, პელაზგების მეზობლად ცხოვრობდნენ ფინიკიელები, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ მათთან. სწორედ პელაზგებისგან შეთვისებული ანბანი შემოიტანეს ფინიკიელებმა საბერძნეთში და ამიტომ ეწოდა ანბანს ფინიკიური“ (სქოლიოები, 1901: 182, 15; ქაროსანიძე 2017: 62-69).

წყაროებში მსჯელობენ ასონიშანთა რაოდენობის შესახებაც: „*საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ძველად არ იყო ოცდაოთხი ასონიშანი, არამედ იყო მხოლოდ თექვსმეტი. არ არსებობდა სამი ე. წ. ორმაგი ζ, ξ, ψ, არც სამი ფშვინვიერი – θ, γ, χ, არც – ორი გრძელი — η და ω. როცა უნდოდათ η-თი დაწყებული სიტყვის დაწერა, წერდნენ ε-ს და თავზე უკეთებდნენ სიგრძის ნიშანს. როცა წარმოთქამდნენ ω-ს წერდნენ, ο-ს და ε-ს მსგავსად თავზე უკეთებდნენ სიგრძის ნიშანს. როცა საჭირო იყო სიტყვის დაწერა, რომელშიც იყო ζ წარმოთქმა, დაწერდნენ σ და δ-ს, ζ-ს ნაცვლად, როგორც დღეს არის დორიელებთან. ξ-ს ნაცვლად κ-ს და σ-ს, ψ-ს ნაცვლად – π-ს და σ-ს. როცა უნდოდათ ისეთი სიტყვების დაწერა, რომლებშიც იყო θ, მის ნაცვლად დაწერდნენ τ-ს და მის წინ წერდნენ ფშვინვის ნიშანს, რომელიც მიანიშნებდა, რომ τ არ არის τ, არამედ θ-დ უნდა წარმოითქვას. φ-ს წარმოსათქმელად წერდნენ π-ს და წინ უკეთებდნენ ნიშანს, რომელიც დღემდე ფშვინვის ნიშანია. χ-ს წარმოთქმის აღსანიშნავად კი წერდნენ κ-ს ფშვინვის ნიშნით. ძველად, ჩვენგან განსხვავებით,*

<sup>1</sup> Περὶ δὲ τῆς τῶν γραμμάτων εὐρέσεως διαφόρος οἱ ἱστορικοὶ ἰστόρησαν· οἱ μὲν γὰρ Προμηθεῖα λέγουσι τούτων εὐρετῆν, ἄλλοι δὲ Φοῖνικα τὸν τοῦ Ἀχιλλέως παιδαγωγόν, ἄλλοι δὲ τὸν Μιλήσιον Κάδμωιν, ἄλλοι δὲ τοῦ Ἀθηναίου... (სქოლიოები, 1901: 182, 10-15).

<sup>2</sup> ოდისევსს უთხრა ევმედეს ძემ დოლონმა ისევ:

„გეტყვი ყველაფერს და მოგიხრობ სიმართლეს მხოლოდ,

ზღვასთან კარიელთ და მშვილდოსან პეონთ რაზმია,

აიქ ლელებთა, კავკონთა და ღვთიურ პელაზგთა (ილიადა, 1979: 239).

ფშვინვის ნიშანი იყო *H*. შესაბამისად, იყო რვა ასონიშანი, რომლებსაც უკეთებდნენ ფშვინვის ნიშანს – *H*. შემდგომ ფშვინვის ნიშანი გაიყო ორ ნაწილად. პირველი ძლიერი ფშვინვის აღმნიშვნელი იყო, მეორე – სუსტისა. ეს რვა ასო გამოიგონა ერთმა ლირიკოსმა სიმონიდემ“ (სქოლიოები 1901: 182, 15)<sup>1</sup>.

განსხვავებულია დიომედეს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, კადმოს მიღესელი მთელი ანბანის კი არა, მხოლოდ სამი ასონიშნის შემომღებია. „შესძინა კადმოს მილისელმან ასოჲ სამი: თეტა – Θ, ფჯ – Φ, ქი – Χ“ (შატბერდი 1979: 196).

დიომედეს განმარტებით, ბერძნული ანბანის პირველი ასონიშნის სახელწოდება ებრაულიდანაა შესული ბერძნულში, ალფი ნიშნავს „ისწავლე“, თუმცა სხვა სქოლიასტთა აზრით, ალფა „აღმოჩენილს“ უნდა აღნიშნავდეს.

„შატბერდის სასწავლო წიგნში“ დადასტურებული დიომედეს კომენტარის ნაწყვეტის ქართული თარგმანი ჩვენთვის ასევე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ გადმოაქვს ქართველ მთარგმნელს ბერძნული ტერმინები, კერძოდ, ბგერისა (Στοιχείον – სტოიხეიონი) და ასონიშნების აღმნიშვნელი ტერმინები (Γράμμα – გრამა).

ბერძნულში ტერმინი გრამა, თანამედროვე ტერმინით, დაწერილ ასონიშანს აღნიშნავს, ხოლო, რაც შეეხება ტერმინ სტოიხეიონს, ის ფილოსოფიური ცნებაც არის და გრამატიკულიც. სტოიხეიონი კოსმოსის, წესრიგის მქონე მთელის შემადგენელი ნაწილია. ეს ფილოსოფიური ტერმინი გრამატიკაშიც კოსმოსის სტიქიონების ანალოგიით გადავიდა და, შესაბამისად, როგორც გრამატიკული ცნება, აღნიშნავს **ბგერას მნიშვნელობის მქონე სიტყვაში**, სტიქიონი ის უმარტივესი ბგერაა, „ნაწევროვანი ხმაა“, რომლისგანაც ვიღებთ **გონივრულ, ანუ მნიშვნელობის მქონე სიტყვას**.

ქართულის მაგალითზე რომ განვიხილოთ, ანტიკურ-ბიზანტიური გაგება ამ ცნებისა ასეთია: სიტყვაში **მაგაიდა**, თითოეული მასში შემავალი ნიშანი (მ, ა, გ, ი, დ, ა) სტიქიონებია, მაგრამ, თუ სიტყვას მნიშვნელობას დავეუკარგავთ, მაგალითად, ვიტყვი – **მაიდა**, მასში შემავალი თითოეული ასონიშანი (მ, ა, ი, დ, ა) გრამატაა და არა – სტიქიონი. ოთხი სტიქიონისგან იქმნება კოსმოსი, სტიქიონებისგან – სიტყვები, თხზულებები, წიგნები. ბერძნულიდან მომდინარე ეს მსჯელობა ხშირად გვხვდება ქართულში (ქაროსანიძე 2017: 195-197).

„შატბერდის კრებულში“ დადასტურებულ მონაკვეთში ბერძნულ სტიქიონსაც და გრამასაც – ამ სრულიად განსხვავებულ ცნებებს – ქართველი მთარგმნელი ერთი ტერმინით გადმოსცემს, ქართულად ორივე ბერძნულ ტერმინს **ასო** შეესატყვისება, მხოლოდ ერთგან გრამას **წიგნი** შეესაბამება. მაშასადამე, ტერმინ **ასოს** სამი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულში: 1. ის შეესატყვისება ტერმინ სტიქიონს, როგორც ფილოსოფიურ ცნებას; 2. შეესატყვისება სტიქიონს, როგორც გრამატიკულ ცნებას, კერძოდ ბგერას, როგორც მთელის ნაწილს, და 3. გადმოსცემს ასონიშანს.

ვინაიდან ბერძნული ცნება ბგერისა არ ემთხვევა თანამედროვე ბგერის მნიშვნელობას, საჭირო გახდა მის აღსანიშნავად ტერმინის შემოღება და მას **ასოსტიქიონი** ვუწოდეთ. მაშასადამე, **ასოსტიქიონი** არის ძველი ბერძნული-

<sup>1</sup> კომენტარებზე მსჯელობისას ვიყენებთ საკუთარ თარგმანებს.

დან მომდინარე ცნება ბგერისა, რომელიც თანამედროვე ბგერის გაგებისაგან უმთავრესად განსხვავდება იმით, რომ ის მხოლოდ მნიშვნელობის მქონე სიტყვაში მოცემული ბგერაა და არა ყველა სახისა. მაშასადამე, ტერმინი ასო, როგორც გრამატიკული ტერმინი, ხან ასონიშანს აღნიშნავს, ხანაც – ასოსტიქიონს.

სწორედ ასე ესმით ძველ ქართველ მთარგმნელებსა თუ გრამატიკოსებს ეს ცნებები. ანტონ კათალიკოსი ტერმინ ასოში „ასოსტიქიონს“ გულისხმობს, და მას ზუსტად ისევე განმარტავს, როგორც ძველ ბერძნულ წყაროებშია მოცემული: „ასოჲ უკუჲ იწოდა ძუჭლოთაგან ღრამმატიკოსთა, ვითარმედ რეცა წებითი რადვე, ვითარ იგი ასონი, რომელა სტუხიონი, ესე იგი, ცეცხლი, ჰაირი, წყალი, ქუჭყანა არიან დასაბამნი და მაწარმოენი სხეულთანი, ეგ სახედ ასონი არიან დასაბამნი და მაწარმოენი კმათანი (ანტონ I, 1885: 122).

ბერძნული გრამატიკული წყაროების შესწავლამ და მისმა გარკვეული ნაწილის თარგმნამ განსხვავებულად შეგვაფასებინა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგი თვალსაზრისი; ერთ-ერთი კი სწორედ ასო-ბგერის შესახებ არსებული მცდარი შეხედულებაა, კერძოდ ის, რომ ბერძნები ასოსა და ბგერას ვერ ასხვავებდნენ; იგივე აზრია გამოთქმული ასევე ანტონ კათალიკოსის შესახებაც. სინამდვილეში კი ძველი ბერძნები ბგერის სახეებსა და თითოეული ასონიშნის ალომორფებზე მსჯელობენ (ქაროსანიძე 2017). ძველი ბერძნული გაგება ბგერისა, გარკვეულწილად, თანამედროვე ფონემას მოგვაგონებს (მახარაძე 1996). ქართველი გრამატიკოსების მსჯელობა კი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ გრამატიკულ თეორიებს.

მეათე საუკუნეში შედგენილ „შატბერდის სასწავლო წიგნში“ შეტანილი პატარა მონაკვეთი ბერძნული გრამატიკული კომენტარებიდან მოწმობს იმას, თუ როგორ იცნობდნენ ქართველი მთარგმნელები ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებას და რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის კომენტარების თარგმნა და უკეთ შესწავლა. ქართულ წყაროებში დაცული გარკვეული მასალით ცხადად დასტურდება ის, რომ სწორედ ამ კომენტარებში ასახულ ბერძნულ გრამატიკულ თეორიებს ეყრდნობოდა არამართო ქართული გრამატიკული აზროვნება, არამედ ძველი ქართული მთარგმნელობითი მეთოდი და პრინციპები ზოგადად.

## ლიტერატურა

**ანტონ I 1885** – „ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ“, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით; წინასიტყვაობა თ. რაფ. ერისთავისა, თბილისი.

**მახარაძე 1996** – ნ. მახარაძე, „განასხვავებდნენ თუ არა ძველი ბერძენი გრამატიკოსები ასოსა და ბგერას“, თბილისი უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის – „ფონეტიკა და ნორმა“ 96 – თეზისები, თბილისი.

**სქოლიოები 1901** – Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, Graeci, V. I. Pars. III. Ed. Hilgard, Lipsiae.

**ქაროსანიძე 2017** – ლ. ქაროსანიძე, ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ენის შესახებ და ქართული გრამატიკული აზროვნება, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1923** – ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი. – სახ. უნივ. მოამბე, III, თბილისი.

**შატბერდი 1979** – შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი.

LIA KAROSANIDZE

### Dionysius Thrax’s Grammar Issues in “the Shatberdi Schoolbook”

#### S u m m a r y

In 1979, a full version of the Shatberdi Collection was published. It includes many fields of knowledge: history, chronology, grammar, natural science, theology, etc. In the Georgian reality the Shatberdi Collection is most distinguished among the manuscripts of such a type. In addition, it expresses the level of knowledge and interests of the society which it was created and intended for. The Shatberdi schoolbook contains an excerpt from one of the comments on Dionysius Thrax’s grammar. The discussion about the Greek alphabet included in the collection is excerpted from the comment on Dionysius Thrax’s grammar that belongs to one of the commentators of the grammar - Diomedes.

In the above-mentioned excerpt of the Shatberdi Collection the translator expresses Greek *stoicheion* and *gramma*, these very different notions, with one term. In Georgian the equivalent of both Greek terms is **aso** “letter” and in one case, the equivalent of *gramma* is **çigni** “book”. Therefore, the term **aso** had three meanings in Old Georgian: 1. It was equivalent to the term *stoicheion* as a philosophical concept; 2. It was equivalent to the term *stoicheion* as a grammatical concept, namely, to a sound as a part of the whole and 3. it meant a letter.

A short excerpt from the comments on Greek grammar that is included in the Shatberdi schoolbook compiled in the 10<sup>th</sup> century illustrates how Georgian translators knew Greek grammatical thinking and how important it is to translate and study the comments on Dionysius Thrax’s grammar. The information preserved in the Georgian sources proves that not only Georgian grammatical thinking but also the old Georgian translation method and principles in general were based on the Greek grammatical theories expressed in those comments.

მედეა ლლონტი

**წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების  
ქართულენოვანი არჩევანი**  
ძვ.ქართ. „შესაქმე“

„ხუროთ-მოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს“  
ებრაელთა მიმართ 11,10

„ღმერთმან ჩუენმან არაარსისაგან არსად მოიყვანნა ყოველნი“  
წმიდა იოანე დამასკელი

ორიოდე წლის წინ ქართველმა მკითხველმა მიიღო ბიბლიესტური კვლევის ჭეშმარიტად დიდებული შენაძენი – „**მრავალენოვანი ბიბლია I. შესაქმე**“ (შესაქმე 2017), რომლის წინათქმაში საგანგებოდ განიმარტება ამ გამოცემის მომზადების ერთ-ერთი მიზეზი, კერძოდ, უმდიდრესი ქართული ბიბლიოლოგიური მასალის სრული იგნორირება და „ქართულენოვანი ბიბლიის შეგნებული უგულებელყოფა“, რაც მე-16 საუკუნიდან დღემდე „უკურნებელ სენად და გამოუსწორებელ ხარვეზად“ გასდევს ბიბლიესტური კვლევის მრავალსაუკუნოვან ევროპულ გამოცდილებას (შესაქმე 2017: VII-VIII). სწორედ ამ გაუგონარი ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად ზემოხსენებული გამოცემა, რადგან: „**რედაქციული მრავალფეროვნებისა და მასალობრივი (მათ შორის – ტერმინოლოგიური) სიმდიდრის კუთხით, ქართულენოვანი ბიბლიური ტექსტები ბევრად აღემატება ყველა სხვა ენას, რომელზეც კი ბიბლია არსებობს. შესაბამისად, „მრავალენოვანი ბიბლიის“ ფარგლებში აღნიშნული სიმდიდრის იგნორირება სრულიად დაუშვებლად გვესახება**“ (შესაქმე 2017: VII).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის (resp. ქართული სიტყვის) ამავე აღმატებულობის ნიშნით არის აღბეჭდილი ქართულენოვანი არჩევანი წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდებისა – „**შესაქმე**“, კერძოდ, მისი მკვეთრად გამოხატული სტრუქტურული თავისებურება და საგანგებო საღვთისმეტყველო დანიშნულებით მოსილი სემანტიკა.

❖ **წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების გამო**

წმიდა წერილის, ბიბლიის, პირველი ნაწილის სახელდება „**ძველი აღთქმა**“ (ძვ.ქართ. „ძუელი შჯული“) სათავეს იღებს წმიდა პავლე მოციქულის მე-2 ეპისტოლეიდან კორინთელთა მიმართ: „დაბრმეს გონებანი მათნი, რამეთუ ვიდრე დღენდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა ძუელისა შჯულისასა მას ზედა ჰგიეს აღუძარცველად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარ-

დების“ (2 კორ. 3,14)<sup>1</sup>, ხოლო ბიბლიის მეორე ნაწილის სახელდება „**ახალი აღ-  
თქმა**“ (ძვ.ქართ. „**ახალი აღთქუმა**“) პირველად მონიშნულია იერემიას წინას-  
წარმეტყველებაში: „აჰა, დღენი მოვლენ, – იტყვს უფალი, – და აღთქუა სა-  
ხლსა ისრაჴლისასა და სახლსა იუდაისასა აღთქუმა ახალი“ (იერემია 31, 30)  
(იხ.: შესაქმის განმარტება 2004: 9).

ბიბლიის პირველი წიგნი იწყება სამყაროს შექმნის ისტორიით: „**დასაბა-  
მად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანა**“ (შესაქმე 1,1) და გვირგვინდება ბიბლი-  
ის ბოლო წიგნში აღბეჭდილი წინასწარმეტყველებით ახალი სამყაროს შესა-  
ხებ: „**და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანა ახალი**“ (გამოცხადება 21,1; შდრ.:  
ებრაელთა მიმართ 8,7-13; 2 პეტრე 3,5; 3,13).

ძველი აღთქმის პირველი ნაწილის, მოსეს ხუთწიგნეულის, ანუ თორას, ყოველი წიგნის სახელდება მისივე პირველი სიტყვიდან მომდინარეობს და, ამდენად, ყველა ეს სახელდებაც ამ პირველი სიტყვისა თუ შესიტყვეების მნიშ-  
ვნელობისა და შინაარსის შესაბამისია. ამ მიზეზით იწოდება ბიბლიის პირვე-  
ლი წიგნი ებრაული სახელდებით – **bereshit** „თავდაპირველად, დასაბამად“  
(ლოპუხინი 1904-1907; შესაქმის განმარტება 2004: 13), შდრ.: „**დასაბამად** ქმნა  
ღმერთმან ცაი და ქუეყანა“ (შესაქმე 1,1), რომლითაც საგანგებოდ იწყება მო-  
სეს ხელით მრავლისმეტყველად ჩაწერილი ბიბლიური უწყება სამყაროს მი-  
უწვდომელი საიდუმლოებით მოცულ ღვთაებრივ წარმოშობაზე, დაბადება-  
ზე, შექმნაზე, ანუ – **შესაქმეზე**.

პარალელურად სახელდებისა – „მოსეს პირველი წიგნი“, მოიპოვება ამ  
წიგნის სხვა არაერთი ებრაული სახელწოდება:

ა) „წიგნი არსებობის დასაწყისისა“ (< ებრ. **sēper māšē bereshit** „წიგნი  
თავდაპირველი შექმნისა“, სიტყვასიტყვით: **sēper** „წიგნი/წერილი“, **māšē**  
„კეთება/არსებობა“, **bereshit** „თავდაპირველი/დასაბამიერი“);

ბ) „წიგნი პირველი“ (< ებრ. **sēper ri'šōn**, სიტყვასიტყვით: **sēper** „წიგნი/წე-  
რილი“, **ri'šōn** „პირველი“);

გ) „წიგნი სამყაროს შექმნისა“ (< ებრ. **sēper briat hā'ōlam**, სიტყვასიტყვით:  
**sēper** „წიგნი/წერილი“, **briat** „შექმნა“, **hā'ōlam** „სამყარო“ (იხ.: ივრით-რუსული  
1963)<sup>2</sup>.

ბიბლიის პირველი წიგნის სახელდების თითქმის ყველა თარგმანში  
(ბერძნულში, ლათინურსა და სხვა ევროპულ ენობრივ სივრცეში), როგორც წე-  
სი, უპირატესობს ბერძნულიდან ნასესხები პოლისემანტიკური Γένεσις (გენე-  
სის) „წარმოშობა, წარმოქმნა, შექმნა; დაბადება, შობა“, რომლითაც ასევე ნიშან-  
დებულია სამყაროს ხსენებული ღვთაებრივი შექმნა, წარმოშობა, დაბადება,  
მისი მოწყობა და წესრიგი, შდრ.:

**ინგლ. Genesis** „წარმოშობა, წარმოქმნა, გენეზისი; ბიბლიის პირველი  
წიგნი „დაბადება“; **ფრანგ. La Genèse** „გენეზისი, „წარმოშობა, წარმოქმნა, გაჩე-  
ნა; ბიბლიის პირველი წიგნი „დაბადება“; შდრ. ფრანგ. engendrer „წარმოშობა,

<sup>1</sup> შდრ.: გელათური რედაქციის ხელნაწერში (A179) ბიბლიის პირველი წიგნის სათაურად ჩაწერილია „წიგნი დასაწყისისა ძუელისა და ახლისა შჯულისა“ (წიგნი 1998: 62).

<sup>2</sup> მაღლიერებით აღვნიშნავ, რომ ბიბლიის პირველი წიგნის ებრაულ სახელდებთან დაკავშირებული მასალა, სათანადო კომენტარით, მომწოდდა ქალბატონმა ლალი ბინიაშვილმა.

წარმოქმნა“; **ესპ.** *Genesis* „წარმოშობა, წარმოქმნა, გენეზისი; ბიბლიის პირველი წიგნი „დაბადება“; **იტალ.** *Genesi* „ბიბლიის პირველი წიგნი „დაბადება“; შდრ.: იტალ. *generare* წარმოშობა, წარმოქმნა“; შდრ. ასევე: ლათ. *genero* „დაბადება; გაჩენა; კეთება“ და ლათ. *genus* „სახე, სახეობა; კატეგორია; ჟანრი“ (იხ.: ლოპუხინი 1904-1907; ივრით-რუსული 1963; ბიბლია 1602; ფრანგულ-რუსული 1979). ამავე ნიშანდებულ შინაარსს შეიცავს სომხურენოვანი თარგმანი: **Մնսդոց** (*Wnundq*) „დაბადება; ბიბლიის პირველი წიგნი „დაბადება“ (ქართულ-სომხური 2016).

#### ❖ წმიდა წერილის პირველი წიგნის ქართულენოვანი სახელდება

წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების ქართულენოვან თარგმანთაგან ქრონოლოგიურად ადრინდელია (V-VI სს.) საკუთრივ „დაბადება“ და ამ ლექსემის (ძვ.ქართ. **დაბადება**) შემცველი სახელდებითი შესიტყვებანი: „წიგნი დაბადებისა“, „წიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდების ებრაელთაგან ბერესით“.

მოიპოვება ამავე წიგნის ძველქართულენოვანი სახელდება „შესაქმე“/ „შესაქმე“, „შესაქმეთა“, ასევე, მსგავსად „დაბადებისა“, ლექსემა შესაქმის შემცველი სახელდებითი შესიტყვებანი: „წიგნი შესაქმისა“, „შესაქმეთა (წიგნი)“, „წიგნი შესაქმისა ცისა და ქუეყანისა“.

ძველქართული სახელდება „შესაქმე“ IX-X საუკუნეებში იჩენს თავს ფრაგმენტულად, XVII-XVIII საუკუნეებისთვის კი უკვე მყარადაა დამკვიდრებული და, თავისი საგანგებოდ მარკირებული სემანტიკური გააზრებით, დღემდე თანაარსებობს სახელდება „დაბადებასთან“ ერთად, შდრ., მაგ., იოანე 17,24: „შევიყუარე მე წინავე სოფლისა-შესაქმედმდე C=ი.17,24“ (აბულაძე 1973: შესაქმის ქვეშ) და მისი რედაქციული ვარიანტი: „შევიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა“ (იხ.: სინური მრავალთავი 1959: აბულაძე 1973: 010-011, 016, 018-020; 159,17; მცხეთური 1981: 6; წიგნი 1989; შანიძე 1947; შანიძე 1956; ბიბლია 2015; შესაქმე 2017: 2-3; და სხვა).

თავის მხრივ, ამ ორი ძველქართულენოვანი სახელდების ლექსიკურ-სემანტიკური მონაცემების შეჯერებით, უადრესად საგულისხმოდ იკვეთება მათი (ლექსემათა – **დაბადება, შესაქმე**) გადამკვეთი, ზიარი სემანტიკა, შდრ., **ერთი მხრივ:**

პოლისემანტიკური ძვ.ქართ. **დაბადება:** „დაბადება არს დასაბამად შექმნა სოფლისა“; „დაფუძნება“; დამყარება; შექმნა, ქმნა; შობა; «დასაბამი»; ქმნილება; ბიბლია“; „შობა, გაჩენა; შექმნა“; „დაბადება, დაბადება – შექმნა; ბიბლია“ (სულხან-საბა 1991-I; აბულაძე 1973; სიმფონია-ლექსიკონი 2009; სარჯველაძე 2001);

ასევე, ძვ.ქართ.: **ბადება** – „ქონება ZABCD“; **ბადებულობა** – „ქონებიანობა ZA“ (სულხან-საბა 1991-I); **არსებადაუბადებელი** – „დაუბადებელი (შეუქმნელი)“ (სარჯველაძე 2001); შდრ. ახ.ქართ. **დაბადება** – „გაჩენა ცოცხალი არსებისა, შობა; შექმნა, წარმოშობა (ღვთისაგან, ბუნებისაგან); გაჩენა, წარმოქმნა, გამოწვევა (რამისა); **აკლ.** ძველი აღთქმის პირველი წიგნის სახელწოდება – შესაქმე; ძველი აღთქმის წიგნების საერთო სახელწოდება. „დაბადების პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია კიდევ, რომ მჭედლობა ტაბალის მოგონილი ხელობაა“ ივ.ჯავახ. (ქველ 2015-III);

შდრ. ასევე, ძვ.ქართ.: **დაბადებული** – „დაბადებაქმნილი ZA“; „ქმნილი, შექმნილი; შობილი“; **დაბადებულება, დაბადებულობა** – „შექმნილება, შექმნა; დაბადებულობა“; **დაბადებულთაგანი** – „შექმნილთაგანი“; **დამზადებელი** – „ღმერთი ყო(ვ)ელთა ZA. ღმერთი ყოველთა, არაარსისაგან არსად მომყვანებელი B“ (სულხან-საბა 1991-I; აბულაძე 1973; სიმფონია-ლექსიკონი 2009; სარჯველაძე 2001).

და, **მეორე მხრივ**, ასევე პოლისემანტიკური ძვ.ქართ. **შესაქმე**: „შექმნა; გაჩენა: „აღაგზებს ურმის-თულსა მას შ ე ს ა ქ მ ი ს ა ს ა“ იაკ. 3,6; „წიგნი შ ე ს ა ქ მ ი ს ა ცისა და ქუეყანისა“ გრ.ნოს.-კაც.აგებ.143,24; „ცნობად შ ე ს ა ქ მ ზ სოფლისა“ O=სიბრძ.სოლ. 7,17; „შევიყუარე მე წინავე-სოფლისა შ ე ს ა ქ მ ე დ მ დ ე“ C=ი. 17,24. იხ. *საქმე*; შდრ. *სოფლის-შესაქმე*“ (აბულაძე 1973); „1. 41.24; 159,17 შექმნა, გაკეთება, შემზადება, მუშაობა. 2. ბიბლიის პირველი წიგნი, რომელშიც მოთხრობილია ქვეყნის შექმნის (გაჩენის) შესახებ. სხვანაირად მას დაბადება ეწოდება (Бытие)“ (იმნაიშვილი 1975); „შექმნა; არსებობა“ (სიმფონია-ლექსიკონი 2009); შდრ.: „**შესაქმე** ძველ ქართულში შექმნას, წარმოშობას, გენეზისს ნიშნავდა“ (ივანე ჯავახიშვილი 1960: 72); ახ.ქართ. **შესაქმე** „იგივეა, რაც დაბადება (მნიშვნ.2.)“ (ქეგლ 1962-VII);

შდრ. ასევე: ძვ.ქართ.: **ქნა** – „ქმნა ZAB. ქმნასავით C. განუმარტავია DE. იხ. ქმნა“; ძვ.ქართ. **ქმნა** – „1,1 დაბად. ZAB) ქმნა ვიდრემე არს არამყოფობისა-გან მყოფად მოსლვა, რამეთუ რაჲ-იგი არა იყო, პირველ იქმნა; ხოლო ხრწნა (ხრწნილება CDE), წინაუკმო“; **ქმნა/ქმნაჲ** – „ყოფა», «ზმა», «შენება», «საშო», «მუშაკობა»; კეთება, გაკეთება; მოქმედება; შექმნა; ყოფნა; გაჩენა“; **ქმნული/ქმნილი** – „საქმე; შექმნილი; დაბადებული; გაკეთებული; მომხდარი; ნაქმნარი; საჭიროება; სახეობა“; **ქმნულება/ქმნულობა** – „საქმე, ნაქმნარობა; სახე; «ხილვა», შესახედაობა; შექმნილი; ნაკეთობა; გარეგნობა“; ძვ.ქართ. **შექმნა** – „შექმნა, ქმნა; გაკეთება; დამტკიცება; დამზადება; შეთხზვა; «აღზელა», გახდომა; გაჩენა“; **შექმნად-ცემა, შექმნევა** – „გაკეთებინება“; **შექმნული, შექმნილი** – „შექმნილი; გაკეთებული“; **შექმნულება, შექმნულობა** – „შექმნილობა“; **საქმე** – „ქმნა; კეთება; = „ყოფა“; რამე ამბავი; «ნაქმარი», «ნაქმნევი», «საქმარი»; **საქმარი** – „საქმე; ინსტრუმენტი, მანქანა; სახსარი; გამოსახსნელი; ნაკეთობა; ხელსაწყო; საფასური“; **ნაქმარი** – „საქმე; გაკეთებული; მომხდარი“; **ნაქმნევი, ნაქმევი** – „საქმე; ნაგები; მოყვანილობა; ტანი; გაკეთებული; აგებული; სახე, ხატი“; (იხ.: სულხან-საბა 1993-II; აბულაძე 1973; იმნაიშვილი 1975; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009);

შდრ. ახ.ქართ.: **საქმე** – „ის, რაც უნდა აკეთონ, ქმნან; ნამოქმედარი; ამბავი, შემთხვევა; მოქმედება, ქცევა, საქციელი; მდგომარეობა, ვითარება, გარემოება; იგივეა, რაც საკითხი; ცოდნის ან მოქმედების სფერო; დარგი, პროფესია“ (ქეგლ 1960-VI).

უნდა შევნიშნოთ, რომ სულხან-საბას ლექსიკონში ბიბლიის პირველი წიგნის სახელდებად არ ფიქსირდება „**შესაქმე**“, და დასახელებულია მხოლოდ „**დაბადება**“ (იხ. ზემოთ, გვ. 3-4).

წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური მასალიდან გამომდინარე, იხატება ძვ.ქართ. **დაბადების** და ძვ.ქართ. **შესაქმის** შემდეგი ბუდობრივი ზიარი სემანტიკის სურათი:

<b>დაბადების</b> ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სემანტიკური ველი:	<b>ბუდობრივი ზიარი სემანტიკა</b>	<b>შესაქმის</b> ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სემანტიკური ველი:
ქმნა, ქმნილი, ქმნილება, შექმნა, შექმნილი, შექმნილება, წარმოქმნა, წარმოშობა, დამყარება, დაფუძნება, გამოწვევა, დაბადებაქმნილი,	<b>ქმნა, ქმნილი, ქმნილება, შექმნა, შექმნილი, შექმნილება, წარმოქმნა, წარმოშობა, დაბადებაქმნილი</b>	ქმნა, ქმნილი, ქმნილება, შექმნა, შექმნილი, შექმნილება, საქმე, წარმოქმნა, წარმოშობა, მოქმედება, ნამოქმედარი, (გა)კეთება, გაკეთებული, შემზადება, მუშაობა
შობა, შობილი, გაჩენა, დასაბამი	<b>გაჩენა</b>	გაჩენა, არსებობა, ყოფნა/ყოფა, გენეზისი, აგებულება, სახე, ხატი
შესაქმე, ბიბლია, ბიბლიის I წიგნი	<b>შესაქმე, დაბადება, ბიბლია, ბიბლიის I წიგნი</b>	დაბადება, ბიბლია, ბიბლიის I წიგნი

ძვ.ქართ. **დაბადებისა** და ძვ.ქართ. **შესაქმის** წარმოდგენილ ბუდობრივ ზიარ სემანტიკაში (ცხრილის მე-2 სვეტი) ერთმანეთს ნაყოფიერად ენაცვლება სემანტემები „დაბადება“ და „(შე)ქმნა“, სადაც თვალში საცემია ძვ.ქართ. **დაბადების** სემანტიკაში შეთვისებული ძვ.ქართ. **შესაქმის** მრავალწახნაგოვანი სემანტიკა (შდრ. ზიარი სემანტიკის ცხრილის 1-ლი და მე-3 სვეტები), რაც ქართულენოვანი სახელდება „**შესაქმის**“ გამორჩეულ სტრუქტურასა და საგანგებოდ მინიჭებულ საღვთისმეტყველო სემანტიკაზე მიგვანიშნებს.

❖ **ქართულენოვანი სახელდება „შესაქმის“ სტრუქტურა**

ძვ.ქართ. **შესაქმე** სტრუქტურულად რთული სიტყვაწარმოების მკაფიოდ გამოხატული ნიმუშია:

უმველესი პოლიფუნქციური ზმნისწინი **შე-** დაერთო **ქმ(ნ)** ძირისგან **სა-ე** თავსართ-ბოლოსართით წარმოებულ ძველ ქართულ მიმღეობას – **სა-ქმ-ე**, მნიშვნელობით – „ის, რაც უნდა აკეთონ, ქმნან; ნამოქმედარი; მოქმედება“ (შდრ. ზემოთ წარმოდგენილი ძვ.ქართ.: **საქმე, საქმარი, ნაქმარი, ნაქმნევი, ნაქმევი** „საქმე; შექმნილი; ნაქმნარი; გაკეთებული“), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა თავისებური სტრუქტურის მქონე ქართული ლექსიკური ერთეული – **შე+საქმე**. ძველ ქართულ ლექსიკაში ამგვარად იჩინა თავი მკვეთრად გამორჩეულმა პოლისემანტიკურმა ლექსემამ – **შესაქმე** „შექმნა, გაკეთება; წარმოშობა, გენეზისი; გაჩენა; შემზადება, მუშაობა“, რომელიც ენაში დამკვიდრდა, ვითარცა **შექმნა** ზმნის სინონიმი (შდრ. ზემოთ, გვ. 4-6, სალექსიკონო მონაცემები ლექსემებისა – **საქმე, შესაქმე** და **შექმნა**). ძვ.ქართ. **შესაქმე**-ში **შე-** ზმნისწინი მრჩობლი ფუნქციით წარმოდგება: ზმნისწინის ამოსავალ ფუნქციასთან, ანუ გადაადგილების მიმართულების აღნიშვნასთან ერთად, ზმნისწინი **შე-** ამ ლექსემაში მაწარმოებელი აფიქსის ფუნქციასაც ითავსებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აღინიშნება, რომ „მზაზარეულ სიტყვაზე“ და, საერთოდ, ყოველგვარი პრეფიქსის წინ დართვისას ზმნისწინი ნაწილავს ემსგავსება, ხოლო ასპექტის, დროის ან ახალი მნიშვნელობის წარმოებისას – აფიქსს (ჩიქობავა 2010: 287,291; ასათიანი 2015: 7).

ქართულში მოიპოვება ოდენ **სა-** თავსართიანი ასეულობით საწყისი და მიმღობა (უმეტესწილად – ვნებითი გვარისა), რომელთაც ერთვის **შე-** ზმნისწინი, მაგ.,

**ძვ.ქართ.:** **შე+**საბამი „შესაბამისი, შესაფერისი“, **შე+**საბამობა „შესაფერი-სობა“; **შე+**საგვანი, **შე+**საგვანებელი, **შე+**სატყვისი, **შე+**საფერი, **შე+**საფერისი, **შე+**საძინელი „შესაბამისი, შესაფერისი“; **შე+**სავალი „შესავალი; შესასვლელი; წინასიტყვაობა; გადასახადი“; **შე+**სავედრებელი „(თავ)შესაფარი; შესავედრებელი“; **შე+**საკრებელი „შესაკრები; შესართავი; კრებული; საკრებულო; პალატი, დარბაზი; სინაგოგა“; **შე+**საკუთრება „შეთვისება; შეჩვევა; მინდობა“; **შე+**სანდობელი „შესანდობელი; საპატიებელი, მისატყვებელი“; **შე+**საპოვარი „მოსარიდებელი, მოსახათრებელი“; **შე+**სამღებელი „ძალა; შესამღებელი“; **შე+**საწირავი „შესაწირავი; ძღვენი; შეწირვა“ და სხვა მრავალი (იხ.: სულხან-საბა 1993-II; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; დ.ჩუბინაშვილი 1984);

**შდრ. ახ.ქართ.:** **შე+**საბრალი, **შე+**საბრალისი; **შე+**საბრძოლი, **შე+**საბრძოლებელი; **შე+**სადარი, **შე+**სადარისი, **შე+**სადარებელი; **შე+**საზარი, **შე+**საზარავი, **შე+**საზარები, **შე+**საზარებელი, **შე+**საზარელი; **შე+**საზიდი; **შე+**საზლუდი; **შე+**სამართი; **შე+**სამთხვევი; **შე+**სანანი; **შე+**სატანი; **შე+**სასვენი, **შე+**სასვენებელი; **შე+**საყვანი; **შე+**საწევარი; **შე+**საწყალი; **შე+**სახება; **შე+**სახვა; **შე+**სახები; **შე-**სახედი; **შე+**სახვედრი; **შე+**სახლება და სხვა მრავალი (ქეგლ 1962-VII; დ.ჩუბინაშვილი 1984).

ამისგან განსხვავებით, მხოლოდ ახალ ქართულში მოგვეძიება ორიოდ მაგალითი **სა-ო** თავსართ-ბოლოსართიანი წარმოებისა, რომელთაც **შე-** ზმნისწინი ერთვის: **შე+**საძლო (**შესაძლებ-**ისა და **შესაძლებელ-**ის სემანტიკით – „მოსახერხებელი; დასაშვები“) და **შე+**სარგო (**შესარგ-**ის სემანტიკით – „სასარგებლო, მარგებელი“)<sup>1</sup>.

რაც შეეხება **შე-** ზმნისწინდართულ **სა-ე** თავსართ-ბოლოსართიან წარმოებას (**შე+სა-ე**), იგი ახალ ქართულში არ იპოვება, ხოლო ძველ ქართულ ლექსიკაში სრული განკერძოებულობით, ერთგვარი უნიკალურობით იჩენს თავს, რადგან ამგვარი ტიპის წარმოება შემოიფარგლება ოდენ ლექსებით – **შესაქმე**<sup>2</sup>, რაც, თავის მხრივ, სწორედ მისი – **შესაქმის** ზეაღმატებული სახელდებითი დანიშნულებით უნდა იყოს განპირობებული.

ამგვარად აგებული ძვ.ქართ. **შესაქმე** სიტყვაწარმოების იმ საგულისხმო სახეობად გვესახება, რომელიც **შე-** ზმნისწინის დართვით ახალი, საგანგებო, ამასთან, **კონკრეტული სემანტიკური კონოტაციით** იმოსება, კერძოდ: **შესაქმე** არის ის შესაქმნელი თუ შექმნილ-ნამოქმედარი ქმედება (← **საქმე**), რომელიც თავდაპირველი სივრცითი მიმართებით გამოხატავს მოქმედებას, მოძრაობასა თუ გადაადგილებას – **გარედან შიგნით** (← **შე-** ზმნისწინი)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ხევს. **შასაჯდო**, ხევს. **შასაჯდისი** „შესაფერისი; მოსახდენი“ (ჭინჭარაული 2005). გვაქვს ქართ. **სადარი** და ქართ. **შე+სადარი**, მაგრამ არ იპოვება ქართ.**სადარო-ს** **შე-** ზმნისწინიანი მეწყვილე – **შე+სადარო**.

<sup>2</sup> დავით ჩუბინაშვილი გვიმოწმებს სიტყვა-ფორმას **შესაქმება** „დავასაქმებ, дать кому поручение“ (დ.ჩუბინაშვილი 1984); შდრ.: **შესაქმიერი** „ჩახრ.65. могущий исполниться“ (იქვე).

<sup>3</sup> ქართ. **შე-** ზმნისწინი ქართ. **-ში** თანდებული **„გენეტური“** მეწყვილეა: **შე-** ზმნისწინი < **ში-** თანდებული < **შინ(ა)** : იგი სახლსა **შინა** (გარედან) **შე-** ვიდა (ახალი ქართული ენა 2016: 44).

❖ **ქართულენოვანი სახელდება „შესაქმის“ საღვთისმეტყველო დანიშნულება**

ძველ ქართულში ლექსემა **შესაქმე**, როგორც აღინიშნა, **2 ლექსიკური სტატუსით** წარმოდგება:

1) **„შესაქმე** ძველ ქართულში შექმნას, წარმოშობას, გენეზისს ნიშნავდა“, – გვაუწყებს ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1960: 72). ეს ჩინებული ძველ-ქართული სიტყვა V-VI საუკუნეებიდან მოკიდებული საწყისისა და მიმდევობის სახით დასტურდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, მაგ.:

**ძველ აღთქმაში:** „უწინარჯს **ქუეყანისა შესაქმისა** და უწინარჯს უფსკრულთა ყოფისა ვიდრე მოსლვადმდე წყალთადასა, უფალმან შექმნა სოფელი და უშენი და კიდენი სოფლისანი, რომელნი არიან ცასა ქუეშე“ (იგავნი სოლომონისნი 8,24-25); „ოდეს იგი **სოფელი აღასრულა შესაქმედ**, უხაროდა ძეთა ზედა კაცთადასა“ (იქვე, 8,31);

„რამეთუ დაჰბადა ყოფად ყოველთა და ცხოვრებად **შესაქმედ სოფლისად**, და არა არს მათ შინა წამალი მომსრველი, არცა ჯოჯოხეთისა სუფევად ქუეყანასა ზედა“ (სიბრძნე სოლომონისი პანარეტოსი 1,14); „რამეთუ მან მომცა მე ყოფილთად მათ ცნობად უტყუველი, **ცნობად შესაქმედ სოფლისად** და შეწევნანი წესთანი“ (იქვე, 7,17; შდრ. 14,26 და 15,16);

„ვითარცა მეკეცემან ამან ვერ უძლო **შესაქმედ** თქუენდა, სახლო ისრაჴლისაო? თქუა უფალმან. აჰა ესერა ვითარცა თიჯად ჴელსა შინა მეკეცისასა, ეგრეცა თქუენ ხართ ჴელთა შინა ჩემთა, სახლო ისრაჴლისაო“ (იერემია, 18,6);

შდრ. ასევე, 103-ე ფსალმუნის ზედაწარწერილი: „ფსალმუნი დავითისი, **სოფლის შესაქმისათჳს**“;

**ახალ აღთქმაში** – „და ენად ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუდად. ენად დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზებს **ურმის თუალსა მას შესაქმისასა** და აღგზებულ არს გეჴენიისაგან“<sup>1</sup> (იაკობი 3,6).

წმიდა პავლე მოციქული ზეციერი შემოქმედის უზენაესი ნების წინააღმდეგომს რიტორიკული შეკითხვით შეაგონებს: „აწ უკუე, ჴოდ კაცო, შენ ვინ ხარ, რომელი სიტყუას უგებ ღმერთსა? ჴრჴუა ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რადასათჳს ესრეთ შემქმენ მე? ანუ არა ჴელ-ეწიფებისა მეკეცესა მას თიჯისა მის, მისვე შეზელილისაგან, **შესაქმედ** – რომელიმე პატიოსნად ჴურჴლად და რომელიმე უპატიოდ?“ (რომაელთა მიმართ 9,20-21).

წმიდა მოციქულის მსგავსად, მეკეცის იგავურ ხატს მიმართავს წმიდა პროკლე კოსტანტინოპოლელიც (Vs.) თავის საკითხავში „ღმრთის-მშობელისათჳს თქუმული“, სადაც წმიდა მამა გვანუგეშებს: არ შეურაცხყოფსო ზეციერ ხუროთმოძღვარს მისი „ყოფად“ მარადის ქალწული მარიამის წიაღში, რომელიც თავად მან შექმნა და იშვა მისგან; წმიდა მამა იქვე დასძენს: „არა გინება არს ხუროთ-მოძღურისა ყოფად მას შინა, რომელი-იგი მან აღაშენა... (რამეთუ)

<sup>1</sup> „და აღაგზებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა და აღგზებულ არს გეჴენიისაგან“ – ანუ: ღვთის მიერ ბოძებულ სამყაროს შეურაცხყოფს და მოსპობს, რის გამოც მას ჯოჯოხეთის ცეცხლი მოეკიდება.

არა შეაგინის მეკეცე თიხამან, რაჟამს განაახლებნ თვსსა მას შექმნულსა. ეგრევე – უჯრწნელი იგი საშოდსაგან ქალწულისადასა მოსლვად, რომელ-იგი **შესაქმესა** არა შეაგინა“ (სინური მრავალთავი 1959: 41.24).

წმიდა კირილე იერუსალიმელი საკითხავში „აღდგომისათვის მკუდრეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“ საგულისხმო უწყებას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ღვთაებრივი „სოფლის შესაქმე“ განხორციელდა გაზაფხულზე, მარტის თვეში – წელიწადის იმავე ჟამს, როდესაც ქრისტეს ვნებისა და აღდგომის დღესასწაული აღინიშნება, რის დასტურადაც წმიდა მამა შეგვახსენებს სამყაროს შესაქმის მესამე დღის ჩანაწერს: „ესევე **ჟამი არს სოფლისა შესაქმისა**, რამეთუ მაშინ თქუა ღმერთმან: გამოიღენ ქუეყანამან მწუანვილი თივისად თესლად-თესლადისად მის თესლისად“ (შესაქმე 1,11)“ (სინური მრავალთავი 1959: 159.17).

2) მეორე მხრივ, ძვ.ქართ. „**შესაქმე**“ წმიდა წერილის პირველი წიგნის **სახელდებად**, როგორც ითქვა, IX-X საუკუნეებიდან იჩენს თავს ფრაგმენტულად, XVII-XVIII საუკუნეებისთვის კი სახელდება „**დაბადების**“ პარალელურად მკვიდრდება მყარად.

საკუთრივ სახელდება „**შესაქმე**“ თავად „შესაქმის“ წიგნშიც იხსენიება:

„**ესე წიგნი შესაქმისა** ცისა და ქუეყანისა, ოდეს შეიქმნნეს რომელსა დღესა შექმნნა ღმერთმან ცად და ქუეყანად“ (შესაქმე 2,4);

„**ესე წიგნი შესაქმისა** კაცთადასა, რომელსა დღესა შექმნა ღმერთმან ადამ, ხატებად ღმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი“ (შესაქმე, 5,1-2) (იხ.: შესაქმე 2017: 2-3); აბულაძე 1973, **შესაქმის** ქვეშ).

ძვ.ქართ. სახელდება „**შესაქმის**“ საღვთისმეტყველო დანიშნულების ამოსაცნობად უმნიშვნელოვანესია სამყაროს ღვთაებრივი შექმნის იმ ძირითადი, განმსაზღვრელი მახასიათებლის გათვალისწინება, რომელიც ეკლესიის წმიდა მამათა მიერ საგანგებოდაა ნიშანდებული, კერძოდ – შემოქმედი ღმერთის მიერ ქმნულთა (უხილავთა და ხილულთა) შემოყვანა **არარსებობიდან – მყოფობაში** (დამასკელი 2000: 81,75).

წმიდა იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ რამდენიმეგზის განიმარტება „სახიერი და ზეშთა-სახიერი“ შემოქმედი ღმერთის წინაგანგებულება. მე-16 თავში „დამბადებელობისათვის“ (ანუ „შექმნისათვის“) იგი ბრძანებს:

„რადგან კეთილმა და ზეკეთილმა ღმერთმა არ იკმარა თავისი თავის ჭვრეტა, არამედ სიკეთის სიჭარბის გამო ისათნოვა მან იმგვართა შექმნა, რომლებიც მიმღებნი იქნებოდნენ მისი ქველმოქმედებისა და წილმქონენი მისი სიკეთისა; და ამისთვის, **არარსებობიდან არსებობაში შემოიყვანა** („არარსისაგან არსად მოიყვანნა“) და შექმნა ყოვლიერება, **ხილულიც და უხილავიც**, აგრეთვე, **ხილულისა და უხილავისგან შემდგარი ადამიანი**. ხოლო **ქმნის** რა, იგი მოიზრებს, და **მოაზრებული საქმედ არსდება, სიტყვით აღსრულებული და სულით განსრულებული**“ (დამასკელი 2000: 343, 75 – ხაზგასმები ჩვენია – მ.ღ.).

წმიდა იოანე დამასკელი მსგავს უწყებას გვაწვდის მე-17 თავში „ანგელოზთათვის“: „იგი თავადი არს შემოქმედი და დამბადებელი ანგელოზთა, რომელმან არაარსისაგან არსად მოიყვანნა იგინი და ხატად თვსად დაჰბადნა –

ბუნებით უჭორცო და ვითარცა სული“ (იქვე; იხ. და შდრ. ასევე მე-8 თავი „წმიდისა სამებისათვის“, გვ.48, 329).

თავის მხრივ, ზეციერი შემოქმედის მიერ „ყოველთა და ყოვლისა“ „არაარსისაგან არსად“ მოყვანის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს **დაბადებისა და შესაქმნის** ზემოთ წარმოდგენილ ბუდობრივ ზიარ სემანტიკაში განკერძოებით მდგომი სემანტემა „**გაჩენა**“ და საკუთრივ **შესაქმნის** სემანტიკაში საგულისხმოდ მონიშნული სემანტემები – „**ყოფნა; ყოფა; არსებობა**“ (იხ. ზემოთ, გვ. 5). ეს ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი აღიბეჭდება ბიბლიის პირველი წიგნის რუსულენოვანი სახელდებით „**Бытие**“, „**Книга Бытия**“, რომლის სალექსიკონო განმარტებაა: „წიგნი დაბადებისა, შექმნათა; დაბადების წიგნისა“; „**ეკლ.ლიტ.** შესაქმე, წიგნი შესაქმეთა“ (ნ. ჩუბინაშვილი 1971-I; ნ. ჩუბინაშვილი 1973-II; იმნაიშვილი 1975).

ბიბლიის პირველი წიგნის ნასესხები სახელდებისაგან განსხვავებით, რუსულენოვანი **Бытие**, მისი ამოსავალი სემანტიკით – „ყოფიერება; ყოფა; მყოფობა; ყოფნა; არსებობა; გება“, საგანგებოდ გვიმოწმებს სამყაროს ღვთაებრივი შესაქმნის არა საკუთრივ წარმართვას, არამედ მხოლოდ მის შედეგს: ღვთის მიერ **ქმნილთა, ყოფიერებაში მყოფობას, მათს არსებობას**<sup>1</sup> (იხ.: ნოსელი 2010; ლოპუხინი 1904-1907; ნ. ჩუბინაშვილი 1961; ნ. ჩუბინაშვილი 1971-I; ნ. ჩუბინაშვილი 1973-II; რუსულ-ქართული 1956).

ამისგან განსხვავებით, მაღლიანმა ძველმა ქართველმა მთარგმნელმა ინება, რომ წმიდა წერილის პირველი წიგნის სათაურით ასახულიყო არა მხოლოდ ღვთის მიერ ქმნილ-არსებულთა „**მყოფობა**“, „**ყოფიერება**“, არამედ ამ „სათნო კარიბჭით“ (სათაურით) აღბეჭდილიყო ღვთაებრივი საქმის („სოფლის შესაქმნის“) **წარმართვის სივრცობრივი და დროითი რაგვარობა, კერძოდ, მიმართულება – გარედან**, („არაარსისაგან“, ანუ არყოფიდან, მარადიულობიდან) → **შიგნით** („არსად“, ანუ არსებობაში, მყოფობაში, ჟამიერობაში), რაც სულხან-საბას მიერ სარწმუნოდაა მითითებული, შდრ.: „**ქმნა** – „(1,1 დაბად.) ქმნა – ვიდრემე არს არამყოფობისაგან მყოფად მოსლვა, რამეთუ რაღ-იგი არა იყო, პირველ იქმნა“ (სულხან-საბა 1993).

სწორედ ამ მიზნით იპყრა ხელთ ქართველმა მთარგმნელმა ღვთივბოძებული ჩვენი მდიდარი ენის მიზანშეწონილი სიტყვაწარმოებითი საშუალება – ქართული პოლიფუნქციური **შე**- ზმნისწინი, და დახელოვნებული ხუროთმოძღვარივით დაურთო იგი ზეციერი შემოქმედის ნებითა და სიბრძნით აღსრულებულ **საქმეს** (→ **შე+საქმე**), რითაც უცდომლად მოგვინიშნა ყოვლადსაკვირველი ღვთაებრივი **შესაქმე** „ცისა და ქუეყანისა“!

ისიც საგულისხმოა, რომ არჩევანი შეჩერდა სწორედ ძველ ქართულ **სა-ე** თავსართ-ბოლოსართიან პოლისემანტიკურ მიმღეობაზე **სა-ქმ-ე**, რომლითაც ერთდროულად გადმოიცემა როგორც შესასრულებელი (მომავალი დროის), ისე შესრულებული (წარსული დროის) მოქმედება, ანუ უზენაესი შემოქმედის მიერ კეთილი განზრახვით განსახორციელებელი ის **საქმე**, რომელიც

<sup>1</sup> შდრ.: რუს. Бытность „ყოფა, მუნყოფა; დასწრება“, რუს. Бытописатель „ყოფა-ცხოვრების აღმწერელი, ისტორიკოსი“; რუს. Бытописание „ყოფა-ცხოვრების აღწერა“ (ნ. ჩუბინაშვილი 1971-I; რუსულ-ქართული 1956).

არის მისი უსაზღვრო სიყვარულითა და მრავალმოწყალებით **შექმნილი** სამყარო, და სადაც მან თავისი ხატი და მსგავსება – ადამიანი, ყველა ქმნილებასთან ერთად, „არმყოფობიდან ყოფად მოიყვანა“ ერთადერთი დიდებული, გამოუთქმელი მიზნით: ყოველი ჩვენგანი თანაზიარი ყოფილოყო საღმრთო სიყვარულისა და სიხარულისა<sup>1</sup>.

წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების ქართულენოვანი არჩევანის – „**შესაქმის**“ – წინამდებარე ანალიზის ცდა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს „ქრისტიანული მოძღვრების ზეისტორიულ ბუნებაში“ (ჭანტურია 2019: 121-122), რაც ფარულად თუ ცხადად აღიბეჭდება მეცნიერების ყველა დარგში – დასტურად რწმენისა და ცოდნის გაერთიანების აუცილებლობისა.

ამ მხრივ, უადრესად საგულისხმოდ გვესახება ახლახან დასმული საკითხი ისტორიის ღვთისმეტყველების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ „როგორია სინამდვილეში ისტორიის ჭეშმარიტი ბუნება“ და „როგორ ღვთისმეტყველებს ისტორია“, ვითარცა „ღმერთის შემოქმედების ნაყოფი“ (ჭანტურია 2019: 121). მკვლევარი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, გვითითებს „ისტორიის საიდუმლოებრივ მხარეზე და მის განსაკუთრებულ ღვთიურ საზრისზე“, კერძოდ, ისტორიის ორბუნებოვნებაზე. მკვლევრის რწმენით:

„ისტორიის ორბუნებოვნება, დროისა და სივრცის თვალსაზრისით – მატერიალური და არამატერიალური თუ წარმავალი და მარადიული დროის არეალთა გათვალისწინებით – ისტორიას ხდის ღვთისმეტყველების განსაკუთრებული შესწავლის სფეროდ... ისტორიის ემპირიული ბუნების მიუხედავად, მხოლოდ აზროვნების გამოვლენის უმაღლეს ფორმას – რწმენას – შეუძლია გადალახოს ღმერთის შესაქმისა და საღვთო წყვდიადის საიდუმლოთა წვდომა. ამიტომაც, ისტორიის შესწავლას საფუძვლად უნდა ედოს და უდევს გამოცხადებითი ჭეშმარიტების ცოდნა“ (იქვე).

იგივე თამამად შეიძლება ითქვას კაცობრივი სიტყვის, კერძოდ, ქართული სიტყვის ღვთისმეტყველების თაობაზეც, რაც საგანგებოდ საკვლევი თემა გახლავთ.

ამჯერად კი, დასკვნისათვის, აღვნიშნავთ: გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია, რომ ენის მკვლევარმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, გულდასმითა და კეთილგონიერებით უნდა მოიძიოს, განიხილოს და გაითვალისწინოს **კაცობრივი სიტყვის საღვთისმეტყველო საფუძვლები**. ეს მით უფრო გვევალეება ჩვენ – ღვთისაგან ჩვენთვის მონდობილი ქართული სიტყვის „მოსარჩლეთ“, რომელთაც ხელთ გვიპყრია ძველთაძველი ტკბილი ენა ქართული, მადლმოსილ წინაპართაგან დანატოვარი მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ქართული ლიტერატურა და მწერლობა (საეკლესიო, საერო და სამეცნიერო).

<sup>1</sup> შდრ.: „შესაქმე ჩაფიქრებულია როგორც ურთიერთსიხარულისა და ურთიერთსიყვარულის გამოხატვა ... შესაქმე უნდა გავიგოთ არა როგორც წარსულში მომხდარი ერთჯერადი მოვლენა, არამედ – აწმყოში მიმდინარე ურთიერთობა. სამყარო იმიტომ არსებობს, რომ ღმერთს უყვარს ის და არა იმიტომ, რომ მას ის ოდესღაც, თავდაპირველად, უყვარდა; მას ის აქ და ახლა უყვარს, ამ კონკრეტულ და ყველა მომდევნო წამს. ამგვარად, ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ არა წარსულ, არამედ აწმყო დროში. ჩვენ იმას კი არ უნდა ვამბობდეთ, რომ ღმერთმა, ერთ დროს, შორეულ წარსულში შექმნა სამყარო, არამედ უნდა ვთქვათ, რომ ღმერთი ქმნის სამყაროს, გვქმნის მე და შენ მასში, ეს ასეა ახლა და ასე იყო ყოველთვის“ (მიტროპოლიტი კალისტე 2019).

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ლ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**ასათიანი 2015** – ი. ასათიანი, წინდებულები ზანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში, რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, გამოცემის რედაქტორი ეთერ შენგელია, თბილისი.

**ახალი აღთქმა 1995** – ახალი აღთქმის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

**ახალი ქართული ენა 2016** – ახალი ქართული ენა, წიგნი II: სალიტერატურული ენის მორფოლოგია. ზმნა, გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი, თსუ სტამბა.

**ბასილი დიდი 2002** – წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი: ფსალმუნთა განმარტება; ჰომილიები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, მეორე გამოცემა, თბილისი.

**ბიბლია 2015** – ბიბლია, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“, თბილისი.

**ბიბლია 1602** – La Santa Biblia que contiene los Sacrados Libros del Antiguo y Nuevo Testamento, Antigua vrsión de Cipriano de Valera, del año 1602. Madrid, 1894.

**დამასკელი 2000** – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური საწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ივრით-რუსული 1963** – Иврит-русский словарь, составил Ф.Л.Шапира, Москва.

**იმნაიშვილი 1975** – ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

**ლოპუხინი 1904-1907** – Толковая Библия, А. П. Лопухина, I, Петербург.

**მიტროპოლიტი კალისტე 2019** – დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტე (უეარი), „შესაქმის მართლმადიდებლური ხედვა“, ინგლისურიდან თარგმნა გ. ხუროშვილმა; რედაქტორები: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), თ. ირემაძე. თბილისი.

**მცხეთური 1981** – მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი.

**ნოსელი 1989** – წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ პეტრეს მიმართ ძმისა თვისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, გვ. 194-412.

**ნოსელი 2010** – გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა (De Opificio Hominis), ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გვანცა კოპლატაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი.

**ოქროპირი 1993** – წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, ნაწილი I.

**რუსულ-ქართული ლექსიკონი 1956** – რუსულ-ქართული ლექსიკონი, სამტომეული, ტ. I, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**სიმფონია-ლექსიკონი 2009** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამ-ბა, თბილისი.

**სინური მრავალთავი 1959** – სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი.

**სულხან-საბა 1991-I** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

**სულხან-საბა 1993-II** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

**ფრანგულ-რუსული ლექსიკონი 1979** – Французско-русский словарь, изд. 8-ое, стереотипное, Москва, «Русский Язык».

**ქართულ-სომხური ლექსიკონი 2016** – ქართულ-სომხური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, 5000 სიტყვა, 81 გვ. (ელექტრონული ვერსია).

**ქეგლ 2015-III** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტომი III, თბილისი.

**ქეგლ 1960-VI** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI, თბილისი.

**ქეგლ 1962-VII** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VII, თბილისი.

**შანიძე 1947** – ა. შანიძე, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I (დაბადება, გამოსლვათა), თბილისი.

**შანიძე 1956** – ა. შანიძე, მცხეთის ბიბლიის ტექსტთა დასათაურებისათვის (სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით), საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიის მოამბე, ტ. XVII, №10, გვ. 951-957.

**შესაქმე 2017** – მრავალენოვანი ბიბლია I. შესაქმე. გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ. თბილისი.

**შესაქმის განმარტება 2004** – ბიბლიის, შესაქმის წიგნის განმარტება, მთარგმნელ შემდგენელი: დავით თინიკაშვილი – იხ. ასევე:

<http://storage.ning.com/topology/rest/1.0/file/get/2064022709?profile=original>)

**ჩიქობავა 2010** – არნ. ჩიქობავა, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, შრომები, II, თბილისი, გვ. 287-294.

**ჩუბინაშვილი დ. 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. 1971-I** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. 1973-II** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი II, თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**წიგნი 1989** – წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისად, გამოსლვათად, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბილისი.

**ჭანტურია 2019** – დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, ისტორიის ღვთისმეტყველება, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2018 წლის მარტი), II, თბილისი, გვ. 120-123.

**ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1960** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი.

MEDEA GHLONTI

## **The Georgian Choice of Denominating the First Book of the Holy Scriptures**

Old Georgian “*šesaqme*”

### S u m m a r y

The paper presents the attempt of analyzing the choice of denominating the first book of the Holy Scriptures “*šesaqme*” in Georgian, in particular, its clearly expressed structural feature and the semantics having a special theological function.

Old Georgian “*šesaqme*” (structurally *še+sa+e*) is a sample of complex word formation with a prefix and a suffix *še* (+Geo. *saqme* “work”). In the old Georgian vocabulary it is unique because such a type of formation includes only this lexeme (“*šesaqme*”) which could have been conditioned by the superior theological purpose.

ნატო შავრემიანი

**ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები  
სვანურში<sup>1</sup>**

სიტყვათმეერთებით წარმოებული გეოგრაფიული სახელების აღნუსხვა და კვლევა ფასეულია არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით: „ტოპონიმიკურ მასალას თავისი სიმძვლის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ უძველესი ისტორიის კვლევისას და ამდენად მისი შესწავლა მდიდარ მასალას იძლევა ენის ისტორიის, განსაკუთრებით სიტყვაწარმოების ისტორიის საკითხების გადასაწყვეტად. ...რთულ ტოპონიმიკურ სახელთა შესწავლით საენათმეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა გაირკვეს მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილი; სახელდობრ, ვარაუდობენ, რომ ქართველური ენებისათვის იმათვე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მსაზღვრელ-საზღვრულის ორივე რიგი, როგორც მსაზღვრელ-საზღვრული (დიდი ქვა), ისე საზღვრულ-მსაზღვრელი (ქვა დიდი)“ (ზურაბიშვილი 1961: 128).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ტოპონიმიკური აფიქსაცია და ტოპონიმიკური კონვერსია ერთად გვამლევს ტოპონიმიკურ სიტყვაწარმოებას. ტოპონიმიკური კონვერსია სამი სახისაა: სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. სინტაქსური კონვერსია ეწოდება სინტაგმური სიტყვათმეერთების გადაქცევას საკუთარ სახელად. ...სინტაქსური კონვერსიის გზით მიღებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას შეიძლება ეწოდოს თხზული (რთული, შედგენილი, კომპოზიტური, სინტაგმური) ტოპონიმი. თხზული ტოპონიმის მიერ გავლილი გზა ასეთია: ფუძეები > სიტყვათმეერთება > ტოპონიმიზაცია“ (ცხადაია 1985: 23-25).

ჩვენი კვლევის ინტერესს ამჯერად წარმოადგენს ატრიბუტულმსაზღვრელიანი თხზული კომპოზიტები სვანურში, რომელთა რაოდენობაც სხვა ქართველური ენების მსგავსად არცთუ მცირეა.

სახელური კომპონენტებისაგან შედგენილ ტოპონიმებში, ვინაიდან მთელი შესიტყვება გვაქვს, კარგად ჩანს ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის ხასიათი, ტერიტორიული მახასიათებელი, დასახლებული თუ აუთვისებელი პუნქტის წარმოშობა, სივრცითი მიმართება ან კუთვნილება ამა თუ იმ საგნისა თუ სუბიექტისადმი.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ენის ტოპონიმია (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები შედგება მსაზღვრელ-საზღვრულისგან, სადაც მსაზღვრელი სახელები აზუსტებენ, მეტ ინფორმაციას გვაწვდიან საზღვრული სახელის შესახებ: „ეს დაზუსტება შემდეგი დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ნიშანთა მსგავსების გამო გაჩნდა რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება, ან ერთი სახელწოდების პუნქტი გაიზარდა ტერიტორიულად, დაიყო და წარმოიშვა ამ ადგილთა გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა“ (ზურაბიშვილი 1961: 156).

საანალიზო მასალაში უხვად გვხვდება როგორც სინტაგმის ფორმის, ისე კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები, რომელთაგან ნაწილი ატრიბუტულ-მსაზღვრელიანია, ნაწილი კი გენეტიურმსაზღვრელიანი, თუმცა აშკარად ჭარბობს ეს უკანასკნელი.

სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმთა სახელდება არ არის შემთხვევითი, მათში, მსაზღვრელის მეშვეობით, კარგად ჩანს ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა და ტერიტორიული დახასიათება და სხვ.:

**ისკ-ლეწფარ** „შუა წიფლნარი“, გზა თეკალის სამხ. მთისკენა გზაზე, წიფლნარი (სოფ. თეკალი)

**სგობინ დაბნარ** „წინ[ა] ყანები“ (სოფ. შკედი)

**სგობინ ლარქლ** „წინ[ა] სათიბები“, სათიბი (სოფ. შკედი)

**ლესგ ზაგარ** „გვერდი ზეგანი“, ტყე, მდ. ნაკრას მარცხ. კალთის წიწვნარ-ფოთლოვანი ტყე (სოფ. ნაკი)

**ნესკა ცხეკარ** „შუა ტყეები“, ტყე (სოფ. შტვილი)

**ჟიბე თეკერ** ზედმიწ. „ზედა ბოკვნარი“, სათიბი შერეული ტყით (მესტია, ჟაბეში)

**ჟიბე ლაჯდრლ** „ზედა ამოსასვლელი“, სათიბები ჩიხარემის უბან ახალშენში (სოფ. ჩიხარეში)

**კაც-დაბ** ზედმიწ. „მრუდე ყანა“, ყანა (ლენტეხი, სოფ. დურაში)

**ჯუედ-ლარა** „გრძელი მინდორი“, საძოვარი (სოფ. იენაში)

**ხოშა დაბ** „დიდი ყანა“, სათიბი ლუჯის მთა უჟალში (სოფ. ლუჯი)

**კარ-ლარე** ზედმიწ. „აღმართი სათიბი“, სათიბი ჩიხარემის ჩრდ.-აღმ., აღმართია, ახალშენში (სოფ. ჩიხარეში)

**ლემგე ლაშვილი** ზედმიწ. „სამზეო საღანძილე“, სახნავი (სოფ. ყვედრეში)

**ლეოყალი ნაკ** ზედმიწ. „საოყალო ვაკე“, საძოვარი (ლენტეხი, სოფ. საყდარი)

**ტაფ-ქუან** „დამრეცი ჭიუხვი/კლდოვანი ადგილი“, სათიბი მამის ჩრდილოეთით, კლდეცაა (სოფ. მამი)

**ზგსყი ლარა** ზედმიწ. „ნედლი მინდორი“, ჭაობიანი ადგილია (სოფ. კახურა)

**ლგაჭ ლუეტ** „წაქცეული სვეტი“, კლდე ბოგრემის სამხ.-აღმ. ენგურის მარცხენა კალთაზე (მესტია, სოფ. ბოგრეში)

**მაშრი შუკუ** „განიერი გზა“, გზა სამარხილო და შემის მოსაზიდი (მესტია, სოფ. ლამხერი)

**მეკუშდა ზოგ** „მოკლე ხიდი“, სამანქანო ხიდი, რომელიც გადებულია მდინარე ჭუბრულას ვიწრობზე, კანიონია, ღრმა და ციცაბო კალთებით (სოფ. ჭუბერი)

**სკერი დაბ** ზედმიწ. „წვეტიანი ყანა“, ყანა, სახლებიცაა (სოფ. მელე)

**მაშირი ღარალ** „ფართო ღარები“, სამოვარი (ლენტეხი)

**ლაჭუწა ღარტყალ** ზედმიწ. „გასაძრომი სარტყელები“, კლდე, მთა თეთ-ნულდის ძირას (მესტია, სოფ. ცალდაში)

**მეშხილ თარგლეზერ** ზედმიწ. „შავუკა მთავარანგელოზი“, ტაძრის ადგილი (მესტია, ყაზაყი)

**ზისხ-ტუბ** ზედმიწ. „სისხლ-ხევი“, სათიბ-სამოვარი (მესტია, სოფ. ზოგ-რეში)...

კომპოზიტი გეოგრაფიულ სახელებში კარგად ჩანს გეოგრაფიული ობი-ექტის (უბანი, სოფელი, ხეობა) მასშტაბი (სიდიდე-სიპატარავე, სიმაღლე-სი-მოკლე), მისი დასახლებისა და წარმოშობის სიძველე თუ სიახლე (წარსულში კონკრეტული ადგილის ფუნქცია, წარმომავლობა), ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი რელიეფი და სხვ.:

**ძღვდ ღარ** „დიდი ხევი“, სამოვარი, კლდე ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. მხარეზე (მესტია, სოფ. ივარი)

**ზომა ლაბურღუ** „დიდი საბურე“, სამოვარი მთა შუაში, ღელეა (სოფ. ცხუმალდი)

**მახე ნამრლ** „ახალი ნაკაფი“, ტყე (მესტია, სოფ. არცხელი)

**მახე ლახუ** „ახალი მთა“, სათიბი (სოფ. ჩიხარეში)

**ჯუინელ ნაზოგ** „ძველი ნახიდარი“, ნახიდარი მდინარე ენგურზე (სოფ. შკედი)

**ჯუინელ ნაკრაჟალ** „ძველი ნაკარვები“, სამოვარი, ნაკარვებია (სოფ. კაერი)

**ჯუინელ ნალგენჟარ** „ძველი ნათენები“, ტყე, სამოვარი (სოფ. ქაშვეთ-ლაშთხვერი)

**ჯუინელ ნაშუკუ** „ძველი ნაგზევი“, გზა (სოფ. ხაიში)

**ჯუინელ ნამრლ** „ძველი ნაკაფი“, ტყე, ძველი ნაკაფარია (სოფ. არცხელი)

**ჯუინელ ნაკანტორ** „ძველი ნაკანტორალი“, ტყე (ხევრა)

**ღვლეჩხუმუ გაკ** „ღვლეჩხუმური კაკალი“, ნიგვზის მიდამოები (სოფ. კახურა)

**მეკუშტე სუიკ** „მოკლე გორა“, გორა (ლენტეხი, სოფ. რცხმელური)

**ხორჟა ლაჭხალდ** „პატარა საჭეჭე“, სამოვარი (სოფ. ცხუმალდი)

**კოლთხი ქურა** „მაღალი ყამირი“, სამოვარი შემადლებულზე (სოფ. ახალშენი)

**ჯუედი ღარა** „გრძელი სათიბი“, სათიბი (მესტია, სოფ. ლემსია)

**ბეჩარ ღრბი** „ქვიანი ღიობი“, ტყე, დიდლოდებიანი ადგილია, გზაა (ჩოლური, სოფ. შკედი)

**კარეტ თხუიმ** ზედმიწ. „კარეტი[ს] თავი“, სამოვარი მურყმელის სამხ.-დასავლ. შიშველი რელიეფით, ვაკე ადგილია ტყეში (სოფ. უშგული)

**როკ-მაჩხაფ** „ორკაპა ჩანჩქერი“, სათიბი, პატარა ღელე (სოფ. ტვიბი)

**გურ-ზაგარ** „უწვეტო ზეგანი“, ქედი, მთა თეკრაშისა და უსგვირის გამყოფი (მესტია, სოფ. უსგვირი)

**ჰტიწ ზაგარ** ზედმიწ. „საყელო ზეგანი“, სამოვარი (მესტია, სოფ. მაგარდელი)...

სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში საინტერესოა თუ როგორია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა-წყობა, როგორია მათი შედგენილობა და შინაარსი და მოსდით თუ არა რაიმე სახის ცვლილება შეთანხმებულ ფუძეებს.

სვანურში ატრიბუტულმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელად უმეტესწილად გვხვდება ზედსართავი სახელები და მიმღეობა, შედარებით – ნაკლებად არსებითი სახელი და იშვიათად რიცხვითი სახელი.

ზედსართავთაგან შეთანხმებულ მსაზღვრელად დასტურდება როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელები:

**ზგსკი ღელ** „მშრალი ღელე“, ღარი (ლენტეხი, სოფ. მახაში)

**მაშრი ლგვარ** „ფართო წყლები“, სამოვრები, ვაკე ადგილია, სადაც წყალი განტოტვილად მოედინება (მესტია, სოფ. ზ. წირმინდი)

**კელთხი ზოგ** „მაღალი ხიდი“, ნახიდარი (მესტია, სოფ. ზ. ვედი)

**ყუითელ ტობ** „ყვითელი ტბა“, ლილისფერი ტბაა, ირგვლივ სამოვრებია (მესტია, სოფ. კაცხი, სვიფი)

**მეშხა ტუიბრა** „შავი ღელე“, ღელე, ტყიანია, შერეული, ზედა ნაწილი წიწვნარია, წყალი სუფთაა, მაგრამ ნიადაგი შავია (მესტია, სოფ. ჭუბერი)

**წვრნი ლნრტყ** „წითელი სარტყელი“, კლდე, წითელი ფერის მაგვარი კლდეა, შრეა მოწითალო (მესტია, სოფ. მულახი)

**წვრნი ლგვარ** „წითელი წყლები“, წყაროები (სოფ. ხევრა)

**მურგუწლ ლნრა** „მრგვალი სათიბი“, სათიბ-სამოვარი (მესტია, სოფ. იელი, ხალდე, წვირმი)

**ზგსყი ლარა** ზედმიწ. „ნედლი სათიბი“, სათიბი, ჭაობიანი ადგილია (სოფ. კახურა)

**მახე მოლ** „ახალი მოლი“, სათიბ-სახნავი (ლენტეხი, სოფ. წიფლაკაკი)

**მგცხი ლიცილდ** „ცივი წყალი“, წყარო, კლდიდან გამომდინარე ცივი წყალი (მესტია, სოფ. მურშკელი)

**სკრდი ღელა** „ღრმა ღელე“, ღელე ჩაჭრილი კალაპოტით (სოფ. ღობი)

**ტებდი ნიცრლ** ზედმიწ. „თბილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ჩუკული, ლეკუმბასტი)

**ხოდრა თოთ** ზედმიწ. „უარესი კლდე“, კლდე, მყინვარი ტუიბერის მყინვარებზეა (ცალდაში)

**ხორტა უწყარო** „პატარა წყარო“, სათიბი შერეული ტყით (ცხუმალდი)

**ხოშა ლაჩუმა** ზედმიწ. „დიდი საჩუმეთი“, სათიბი (ცხუმარი, მაგარდელი)

**ხოშა ლახუ** „დიდი მთა“, სათიბები (სოფ. ხელედი)

**ჯინელ ნაზოგ** „ძველი ნახიდარი“ (სოფ. მაცხვარიში)

**ჯინელ ნაკრატუარ** „ძველი ნაკარვები“, სათიბები, ნაკარვები ჩანს (სოფ. შყალერი)

**უძირო ტუბა** „უძირო ტბა“, ტბა, კლდეშია (სოფ. მაზაში)

**წიფარ ზაგარ** „წიფლნარი ზეგანი“, ზეგანი მდ. ენგურიდან მთა ლამოჯას ძირამდე (სოფ. ლაფსყალდი)

**წჭირალ ღელა** ზედმიწ. „წვირიანი ღელე“, ღელე ლასკადურას აუზში, ჭუჭყიანია ყოველთვის (სოფ. კახურა)...

კომპოზიტ გეოგრაფიულ სახელებში მიმღობიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ხშირად დასტურდება და შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიულად მთელი სვანეთის ტოპონიმკას ასახავს, ძირითადად გვხვდება **ლა-- ა, ლე-, ლგ-, ლუ--ე, მგ-, ნა-** პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობები:

**ლასდღუნალ მგჰ** „საბანაო ტბა“, ხელოვნური ტბა აეროპორტისკენა გზაზე (მესტია)

**ლანჭუმინა ზაგარ** „მოსასვენებელი ზეგანი“, გორა, ქედია, სადაც გადის გზა კალაშიდან ლანტელისკენ (სოფ. ეცერი)

**ლასგურან ბაჩარ** „დასაჯდომი ქვები“, არცხელის ცენტრში, სვიფში დგას სკამისებურად გამოთლილი (საკარცხული) ქვა (მესტია, არცხელი)

**ლანგუმუნა შუკუ** ზედმიწ. „სამჟავეწყლე შუკა“, გზა სვიმისაკენ (მესტია, ფალედი)

**ლასკორალან ზუგუ** „მოსაფიქრებელი ბორცვი“, სამოვარი (სოფ. ლაღამი)

**ლაბიშური დალა** ზედმიწ. „საბუმარო ღელე“, ღელე (ლენტეხი, ყვედრეში)

**ლაბჭარი ბარ** ზედმიწ. „სანაბიჭვრო ქვა“, ლოდი, გამოქვაბულივით აქვს (მესტია)

**ლებორიკი მოლ** „სასაქონლე მინდორი“, სათიბ-სამოვარი მდ. ჩოლშურას მარცხენა კალთაზე (სოფ. ბაბილი)

**ლებურღუ უოკერ** „საბურე ფსკერი“, გზა მთისკენა გზაზე თეკალის სამხრეთით (ლენტეხი, თეკალი)

**ლგხეტ ტუბრა** „კენჭიანი ღელე“, ღელე, მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადი, მოაქვს კენჭებიც, ქვები მოზრდილი, იცის ღვარცოფი (მესტია, ლეწვერი)

**ლგხეტ დარ** „კენჭიანი ღარი“, სამოვარი (მესტია, ზ. მარდი)

**ლგლიც ტუბ** „წყლიანი ხევი“, ხევი მდინარე უხვია სხვა ხევებთან შედარებით (მესტია)

**ლგხიბ ლანგუმუნა** ზედმიწ. „კენჭიანი ჩამოსაშვები“, შურო, კირქვების ჩამოსაყრელი ადგილი (სოფ. ლეხთაგი)

**ლგლიც დარ** „წყლიანი ღელე“, ღელე იელისა და წვირმის შორის. პატარა ღელეა, წყალი სასმელია (მესტია, იელი)

**ლუნჩული ლესგ** „სამეწყრე გვერდი“, ფერდობი (მესტია)

**ლანღეშკალ დობირ** ზედმიწ. „საცილო ყანა“, სამოვარი, საზაფხულო სამოვარი მთა, დობირ – წიფლნარ ტყეში გაკაფული ადგილი (ლენტეხი, წიფლაკაკი)

**ლუხუროყე ბაჩარ** „დახვავებული ქვები“, ყანა (მესტია, უშხვანარი)

**მუშული ტუბრა** ზედმიწ. „მოქმინავე ღელე“, ღელე (ლენტეხი, დურაში)

**მეტანტალი ტუბა** ზედმიწ. „მოქანავე ტბორი“, სამოვარი, ადრე კაცი რომ შედგებოდა, ქანაობდა ხიდივითო, ამჟამად გამაგრებულა (ლენტეხი, მაზაში)

**მეკენწერი მოლულდ** ზედმიწ. „მოქანავე/მოკონწიალე მინდორი“, სამოვარი, დაკიდული ადგილია, დაქანებულია საკმაოდ (სოფ. ყვედრეში)

**ნაბიჭუ დაბარ** ზედმიწ. „განახლეჩი ყანები“, ყანები (ახალშენი)

**ნაეჭუა ლარე** „ნაზავარი სათიბი“, სამოვარი (სოფ. ცალერი)

**ნასფელ ზენ** „ნასოფლარი მინდორი“, სათიბები, ვაკე ადგილია, ნასახლარი არ ჩანს. (სოფ. შგედი)

**ნაქართობილ ნაკ** „ნაკარტოფილარი ვაკე“, სამოვარი (ტიტა)

**ნამგემ ღარ** „ნამორალი ღარი“, ტყე, ადრე ტყის ჩამოსაყრელი შურო ყოფილა (სოფ. ხევრა)

**ნალცარ ნაკ** „ნაწყლევი ვაკე“, სათიბი (სოფ. ჰადიში)

**ნაცუდილ ღარ** ზედმიწ. „ნაცოდვარი ღარი“, ღარი (წირმინდი)...

ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში იშვიათად მსაზღვრელად გვხვდება ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელი:

**ღაზუ-ჭუბარ** „ბალახ-ჭაობი“, სამოვარი, ჭაობიანი ადგილია (სოფ. ხევრა)

**აელ-ზაგარ** „ელია[ს] ზეგანი“, ნაეკლესიარი, ადრე ელიაობა იცოდნენ (მესტია, წვირმი)

**მოლ-ზაგარ** „მინდორ-ზეგანი“, სათიბი (მესტია, ეცერი, ღეშდერი)

**მურყუამ-ზაგარ** „კომკი-ზეგანი“, ზეგანი, კომკურაა, (ს. კაერისა და ს. ლემსიას მთაში)

**კეუ-ტუბ** „ხეობა-ხევი“, სახნავ-სათიბი (ლენტეხი)

**სგიმ-ზაგარ** „ვეძა-ზეგანი“, მჟავე წყლის გორაკი (სოფ. ფარი)

**ღარ-მოლ** „ღარი-მინდორი“, ვენახები, ღარია (სოფ. ლესემა)

**წყალ-მაჭარ** „წყალ-მაჭარი“, გადასასვლელი (ღობის მთიდან რაჭაში გადასასვლელი), სამოვარი (სოფ. ღობი)

**წაბ-სუიკუ** „სამართებელი-გორა“, სამოვარი, გორაა, დაქანებულია (სოფ. ლექსირი)

**ჯუარ-ზაგარ** „ჯვარი-ზეგანი“, ტყე, კლდეცაა (სოფ. კალა)

**მეკობ ღარა** „ქვა-სათიბი“, სათიბი (ლენტეხი, საყდარი)...

რიცხვითი სახელები როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის ფუნქციით სვანურში ძალზე იშვიათია, სულ რამდენიმე მაგალითი დაფიქსირდა:

**მეოთხე ნაკუთ** – ხევი (მესტია, ზ. ვედი); **მეხუთე ნაკუთ** – ხევი (მესტია, ზ. ვედი); **უსგუა აეშდუსგუა დოლეშ ხატარ** „სამოცდაექვსი დოლის ხატები“, კომკი, ინახება ხატებიც (დოლი); **აშირყერ მაცხუარ** „ასი მადლის მაცხოვარი“, ეკლესია (მესტია, უშგული, მურყმელი)...

გვხვდება რიცხვითი სახელით განსაზღვრული მსაზღვრელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები (აგრეთვე ერთი შემთხვევა – რიცხვითი სახელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელისა – **მარნენსგოლ** „ორსშუა“, სამოვარი (მესტია, თავრარი); **მარნგე ნესგა** „ორ წყალს შუა“, არყნარ-სამოვარი (მესტია, უშგული); **მარბკოჯნესკა** „ორ კლდეს შუა“, კლდე გაყოფილი შერეული ტყით (სოფ. ბაბილი); **მარბლგცნესკა** „ორ წყალს შუა“, ყანები, უწინ მდინარეთა შუაში იყო (სოფ. ლესემა); **მარუ ტუბირა ნესგა** „ორ ღელეს შუა“, სამოვარი (მესტია, ბოგრეში)...

სახელურფუძიან თზულ გეოგრაფიულ სახელებში ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი (სემანტიკური თვალსაზრისით) მრავალფეროვანია და გამოხატავს საზღვრულის ემოციურ შეფასებას, ფერს, ქონება-უქონლობას, დანიშნულებას, ფორმა-აღწერილობას (სიდიდე-სიპატარავეს, სიგრძე-სიმოკლეს, სიფართე-სივიწროვეს, სიმაღლეს), ტემპერატურას, სივრცით მიმართებას და ა.შ.

**ხოჩა თოთ** „კარგი კლდე“, კლდე ტუბერის მცინვარებში (სოფ. ცალდაში)

**ხოლან ჩილშერ** ზედმიწ. „ცუდი ჩილშერ[ის]ქანები“, უბანი (სოფ. ყარიში)

**წუირალ დელა** „წვირიანი დელე“, დელე (სოფ. კახურა)

**კანკუტ ღარ** „დაკლაკნილი ღარი“, კლდე, დელე; მეჩხერტყიანი კლდე-დელე, მოედინება პატარა წყალი, მიხვეულ-მოხვეულია (სოფ. ზეგანი)

**წგრნი ტობ** „წითელი ტბა“, ტბა წითელი არაა, უფრო მუქი ფერისაა ნიადაგის გამო (სოფ. ყარი)

**წგრნი ქუან** „წითელი ჭიუხი“, ყანები დაფერდებული კედლით, ხრამიანია, წითელი ფერის ქვებითა და მიწით (სოფ. შკედი)

**ჭგრელ შუკუტარ** ზედმიწ. „ჭრელი შუკები“, გზა, გადის ბევრი საცალფეხო ბილიკი (სოფ. ფხოტრერი)

**თეთნე ფოქ** „თეთრი გამოქვაბული“, გამოქვაბული (სოფ. ნანგვლი)

**თეთნე ტობ** „თეთრი ტბა“, ტბა, მოედინება მჟავე წყალი (სოფ. ყარი)

**თუთნე ბაჩარ** „თეთრი ქვები“, მთის სათიბი, ალპური ზონაა, ქვების გროვია (სოფ. ლახირი)

**მეშხე კუიც** „შავი კვიცი“, ტყე, წიწვნარი ტყეა (მესტია)

**მეშხე ყუმბილ** ზედმიწ. „შავი მრგვალუკა“, კლდე, მრგვალი მწვერვალისებურია, შავი ფერის კლდეებია (მესტია, სოფ. მულახი)

**ლგლიც ტუიბ** „წყლიანი ხევი“, ხევი (მესტია, სოფ. ზარდლაში, არცხელი)

**ლგლიც ღარ** „წყლიანი ღარი“, დელე (მესტია, სოფ. იელი)

**ლგჩხეტ ღარ** „კენჭებიანი ღარი“, სამოვარი, კენჭნარია (მესტია, სოფ. ზ. მარლი)

**უნკუტერა მგჰ** „უძირო ტბა“, ტბა ს. წვირმის აღმ.-ით, უღვირის ქედზე (სოფ. წვირმი)

**ლაშდილუ შუკუტარ** ზედმიწ. „დასამარხი შუკები“, გზა, ახლა სამარხილო გზაა (სოფ. ლეშუკვი)

**სამანქანო შუკუტ** „სამანქანო გზა“, სამანქანო გზა (საერთო მთელი ზ. სვანეთისა)

**ლაშუამ ჟაჯუტარ** „მოსასვენებელი არყის ხე“, შესასვლელი (ლენტეხი, სოფ. მამი)

**ლაღებ ლარა** „სადუცე სათიბი“, სამოვრები (სოფ. ცანა)

**გურ-სტიკუტ** „მრგავლი გორა“, კლდე ხელედულას მარცხენა კალთაზე, მომრგვალო ფორმის (სოფ. ხაჩეში, ხელედი)

**ჯაც-მურყუამ** ზედმიწ. „მრუდე კოშკი“, ნაკოშკარი, გადაზნექილია (სოფ. ლაჰილი)

**მეშუეთ-ზაგარ** ზედმიწ. „საფიქალე ზეგანი“, სამოვარი, რელიეფურად – ზეგანია (სოფ. კაერი)

- კაჩ-შუკუტ** „აღმართი შუკა“, გზა, ოდნავ დამრეცი (სოფ. იენაში)
- ჯოდი სუიკუტ** „გრძელი გორა“, გორა (სოფ. ხოფური)
- ჯუქედი ლაროლ** „გრძელი სათიბები“, სათიბები (სოფ. კაცხი)
- კკლთხი ბაჩ** „მაღალი ქვა“, ლოდი. იელიდან წვირმისკენ მიმავალ გზაზეა მაღალი ქვა, სახლზე მაღალია, კოშკივითაა (სოფ. იელი)
- ხომა თეთნულდ** „დიდი თეთნულდი“, მწვერვალი (მესტია)
- ხორტა სყელდერ** „პატარა სყელდერი“, სამოვარი (სოფ. კახურა)
- მაშრი ღარ** „ფართო ღარი“, სათიბი, ღარია შუროსავით (სოფ. ჭველიერი, ლევშერი)
- კაჩ-დაბ** „აღმართი ყანა“, ყანა, დამრეცი ყანა (სოფ. ღობი)
- ძელ-გორა** „ძელ-გორა“, სამოვარი, ალპურ ზონაშია, რელიეფურად გრძელია (სოფ. ნანარი)
- მეკუტეშტი სუიკ** „მოკლე გორა“, გორა (ლენტეხი, სოფ. რცხმელური)
- ნარლოდ ტუბრა** „მღვრიე ღელე“, ღელე (სოფ. ნაცული)
- მურგუტლ დაბ** „მრგვალი ყანა“, ყანა (ლენტეხი)
- ტებდი ნიცრლ** ზედმიწ. „თბილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ჩუკული, ლეკუმბასტი)
- მგეხი ნგვარ** „ცივი წყლები“, სამოვარი, წყლები მოედინება (სოფ. იელი)
- ქუტიერ ლიცრლ** ზედმიწ. „ცივი წყალუკა“, წყარო (სოფ. თეკალი)
- ლერსგუტან ლასიბ** ზედმიწ. „მარჯვნივ სატრიალო“, გზა ივარიდან კალისკენ, კვირიკე ჩანს იქიდან, მიმავალი მარჯვნივსაკენ ბრუნდება ლოცვით (სოფ. ბოგრეში)
- ლერსკუტან ლასპა** ზედმიწ. „მარჯვნივ სატრიალო“, გზა მთისკენა გზაზე, საკულტოსნაირი, დასასვენებელი (ჩოლური)
- სგობინ დაბარ** „წინა ყანები“, ყანები (სოფ. შკედი)...
- როგორც განხილული მასალიდან ჩანს, შედგენილობის მიხედვით მსაზღვრელად გვხვდება მარტივი ან ნაწარმოები სიტყვები, ხოლო კომპოზიტი მსაზღვრელი ძალზე იშვიათია:
- ლაზ-ლაჩად ღარ** „მისასვლელ-მოსასვლელი ღარი“, სამოვარი, ბილიკი, მთა ბავალაშისკენა გადასასვლელი (ლენტეხი, სოფ. ბავარი)
- თუთენე-მეშხე ლალყუარ ქაშან** „თეთრ-შავი დასაწოლი ქაშანი“, ბილიკი, ჯიხვების სამყოფ-დასაწოლი (მესტია)...
- სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში არა ნაკლებ საინტერესოა საზღვრული სიტყვის შედგენილობა, შინაარსი თუ პოზიცია. ატრიბუტულ მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებში, შედგენილობის მიხედვით ძირითადად გვხვდება მარტივი და ნაწარმოები საზღვრულები:
- მაშრი ჭალა** „ფართო ჭალა“, სამოვარი მთა (მესტია, სოფ. ჭუბერი)
- სიტა ლარე** „მრგვალი, სწორი სათიბი“, სათიბი (სოფ. არცხელი)
- მეხტრე ტუბ** „დანგრეული ღელე“, ღელე, კალთებზე ფოთლოვანი ტყე აკრავს (სოფ. ნესგუნი)
- მახე ლახულ** ზედმიწ. „ახალი მთაუკა“, სათიბი (სოფ. ახალშენი, ჩიხარეში).
- მურყამ კოჯ** „კოშკი კლდე“, კლდე (მესტია, სოფ. ხაიში)
- ხომა ლეირაყ** ზედმიწ. „დიდი საარაყო“, კლდე, სამოვარი მთა ლეირაყთან (სოფ. ნაკი)

**წგრნი ტუიბრა** „წითელი ღელე“, ღელე, პატარა მდინარეა, წითელი ფერის თიხა აქვს (სოფ. თოთანი)

**ჯუინელ ნაბოგ** „ძველი ნახიდარი“, ნახიდარი (სოფ. შკედი)

**ჯუინელ ნამოლ** „ძველი ნაკაფარი“, ტყე (სოფ. არცხელი)...

საზღვრული სახელები მრავალფეროვანია, აღნიშნავენ: ჰიდრონიმებს, ორონიმულ ტერმინებს, სხვადასხვა ობიექტების სახელებს, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ადგილთა სახელებს და ა. შ.:

**მეშხე ჭალაძ** „შავი ჭალა“, მდინარე (მესტია, სოფ. ლახუშდი)

**კასგრი მგჰ** ზედმიწ. „ჭალარა[ს] ტბა“, ტბა მოზრდილი, ჭაობიანი მიდამოთი, რომელშიც ჩანს მოლურჯო ფერის ბალახი აქა-იქ (მესტია)

**ზესკი ტუიბილ** „მშრალი ხევი“, ხევი (სოფ. ჭველიერი)

**ზესკი ღელ** „მშრალი ღელე“, ღელე (სოფ. მახაში)

**მეშხე კოჯარ** „შავი კლდეები“, კლდე (მესტია, სოფ. ფარი)

**წგრნი კამრამარ** „წითელი კამარები“, კლდე (სოფ. ქაშვეთ-ლაშთხვერი)

**წგრნი ქუანარ** ზედმიწ. „წითელი ქვიანები“, სამოვრები, წითელქვიანია (ლენტეხი)

**ხოშა ქუან** „დიდი ქვიანი“, ხრამი, კლდეა და სანადიროცა კარგია (სოფ. ტობარი)

**ჯუინელ ნაკანტორ** „ძველი ნაკანტორალი“, ტყე (სოფ. ხევრა)

**ხოშა ლარა** „დიდი სათიბი“, სათიბი (სოფ. ქურაში)

**ლატაფ ცაგდერ** „საფერდე ეკლნარი“, ყანა, მოფერდო ადგილი, ბევრი ეკალი იცის (მესტია, სოფ. კიჩხულდაში)

**ლათაშერი ღუმირ** „საყველე ნამვი“, შესასვენებელი ადგილი, მთა. გზაზე მიმავალნი მთიდან ან მთაში ისვენებდნენ ერთ „საკულტო“ ნამკვთან, ამოიღებდნენ ყველს, მიირთმევდნენ და იქაც ტოვებდნენ ლუკმისოდენას (მესტია, სოფ. ლეზგარა, ტვიბერი)

**ხოშა ლაჭხალდ** „დიდი საჭახანო“, სამოვარი, ლაჭხალდის ქვედა მხარე, ტყიანია (სოფ. ცხუმალდი)

**ჯოდი ლარალ** „გრძელი სათითები“, საბალახო, რელიეფურად გრძელია (სოფ. ლევშერი)

**მეშთუი ღარ** „საფიქალე ღარი“, სათიბი, ალაგ-ალაგ ტყე, უფრო შიშველ ზონაშია (მესტია, სოფ. სოლი)

**მეშხე ნენჩა** „შავი ხშირი ტყე“, ტყე, ხარობს სოჭი, ფიჭვი, შიგადაშიგ ფოთლოვანი ტყეც (მესტია, სოფ. ბეჩო)

**ლასენალ ბაჩარ** „სახტუნაო ქვები“, სათამაშო (სოფ. ყარიში)

**ლალხუთია შუკუ** ზედმიწ. „შესახვედრი შუკა“, გზათშესაყარი (სოფ. ლემზაგორი)

**ლალკან შუკუ** ზედმიწ. „სახნავი შუკა“, გზა (სოფ. ტვიბლედი, ლანტელი)

**ჯუინელ ნაკრაჟალ** „ძველი ნაკარვები“, სამოვარი (სოფ. კაერი)

**ჯუინელ ნალგენტარ** ზედმიწ. „ძველი ღამისნათევები“, ტყე, სამოვარი (სოფ. ქაშვეთ-ლაშთხვერი)

**ჯუინელ ნაშუკუ** ზედმიწ. „ძველი ნაშუკარი“, გზა (სოფ. ხაიში)...

სვანურში ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში საზღვრული წევრის საწარმოებლად ხშირად გამოყენებულია კნინობითის **-ილ**, **-გლდ**, **-ილდ**, **-ულ**, **-ოლ**, **-ოდ** სუფიქსები. მსგავს სუფიქსთა დართვა არც ქართულისთვისაა უცხო და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად გეოგრაფიულ სახელებში მათი სემანტიკა შეცვლილი უნდა იყოს „ტოპონიმკურ სახელებში დადასტურებულ **-ა**-ს დღეს კნინობითის ნაწილაკს უწოდებენ (ყვირილ-ა, ფარავნ-ა) და რიგ სახელებში ის, მართლაც, ამ ფუნქციით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიული სახელების მიმართ ამის თქმა გაჭირდებოდა. აქ მას ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს“ (ზურაბიშვილი 1961: 151):

**წერნი სგიმნლ** ზედმიწ. „წითელი ვეძუკა“, სათიბი, მჟავე წყალი მოედინება, რკინისაა, წითელი ფერისაა (სოფ. ნაცული)

**წერნი სგიმგლდ** ზედმიწ. „წითელი ვეძუკა“, მჟავე წყალი (მესტია, სოფ. ლაღამი)

**ლაშმინა იგხილდ** ზედმიწ. „მოსასვენებელი მსხალუკა“, შესასვენებელი (სოფ. ლელბაგი)

**ქუბარ ლიცნლ** ზედმიწ. „გრილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ფანაგა)

**ხორა ტუბილდ** ზედმიწ. „პატარა ხევუკა“, ხევი (სოფ. ბაბილი)

**წერნი უერილდ** ზედმიწ. „წითელი მიწუკა“, მუხნარი, წითელი ფერის მიწაა (სოფ. წირმინდი)

**ნაკ დაბულ** ზედმიწ. „ვაკე ყანუკა“, ყანა, ვაკე რელიეფით (სოფ. ლაჰილი)

**ქაბე ჭალოდ** ზედმიწ. „ზედა ჭალუკა“, ვენახი (სოფ. ლესემა)

**ჯოდი ლარილარ** ზედმიწ. „გრძელი მინდვრუკები“, სამოვარი (სოფ. ლეზგარა)

**ლალცი შუკულ** ზედმიწ. „საწყლე შუკუკა“, ნაბილიკარი (სოფ. ახალშენი)

**მურგუალ ლარლ** ზედმიწ. „მრგვალი მინდვრუკები“, სათიბები (ლენტეხი, ჩოლური, ფანაგა)

**მგხი ლიცილდ** ზედმიწ. „ცივი წყალუკა“, წყალი (მესტია, სოფ. მურშკელი)...

რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, როგორც მოსალოდნელი იყო (სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც პრეპოზიციური მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს), შეთანხმების იშვიათი შემთხვევა დასტურდება (ერთი ტოპონიმი შეგხვდა, როცა ორივე წევრი მრავლობითშია), ძირითადად საზღვრულია მრავლობითში მსაზღვრელი კი მხოლოდით რიცხვში, ასევე იშვიათია (ერთი შემთხვევა) მსაზღვრელი მრავლობითში და საზღვრული მხოლოდითში:

**ლალგარ ნაკარ** „საწყლე ვაკეები“, სათიბები, ვაკე-ფერდობები (მესტია, მურყმელი)

**ნაკ დაბარ** „ვაკე ყანები“, ყანები (სოფ. ზ. სგურიში)

**წერნი კგლგლდარ** „წითელი ქვები“, კლდე, ნადირთ ჩასაკეტი (სოფ. ზესხო)

**მაშრი ლარალ** „ფართო ღარები“, სამოვარი (ლენტეხი)

**მეშხე კოჯარ** „შავი კლდეები“, კლდე (მესტია, სოფ. ფარი)

**ხოშა ქურელ** „დიდი მოუხვნელი მიწები“, სამოვარი (სოფ. ჩუკული, ლამფალაში)

**ხოშა ლარელ** „დიდი მინდვრები“, სათიბი (სოფ. ნაცული)

**მუბრი ლგვარ** „ბნელი წყლები“, წყლები (მესტია, სოფ. ნაკიფარი)

**ლანგუწა ლარტყალ** ზედმიწ. „გასამდვრომი სარტყელები“, კლდე, ვიწრო ბილიკი აქვს (მესტია, სოფ. ცალდაში)

**მახე კარტალ** „ახალი კარვები“, სამოვარი (სოფ. შყალერი)

**მეკუმდა ბოგარ** „მოკლე ხიდები“, სახნავ-სამოვრები (მესტია, სოფ. სგურიში)

**მგვი ლგვარ** „ცივი წყლები“, სათიბი, წყაროები (სოფ. ნესგუნი)

**ტან-ლანყედიარ** ზედმიწ. „მოსაბრუნებელ-გადასავარდნი“, სამოვარი, ციცაბოკლდიანია (სოფ. მაცხვარიში)

**ტებდი ლგვარ** „თბილი წყლები“, წყარო (მესტია)

**ლანთხუიარ კოჯარ** „სანადირო კლდეები“, კლდეები (სოფ. ყორულდაში)

**ლ[ან]ლშერ ლარალ** „სალესი სათიბები“, სათიბები (სოფ. კაერი)

**ლამდღუიარ სუიფ** „დასამარხი მოედანი“, სასაფლაო (მესტია, სოფ. ფხოტრერი)...

მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციის მიხედვითაც არ გამოირჩევა სვანური სხვა ქართველური ენებისგან, სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში (სხვა ქართველური ენების მსგავსად) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი სვანურში მეტად იშვიათია, საანალიზო მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას რომ პრეპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას (რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს):

**ლანტრალალ სუიკუ** „სათამაშო გორა“, ვაკობი (ლენტეხი, სოფ. ხელედი)

**ხოშა დაბ** „დიდი ყანა“, სათიბი (სოფ. ლუჯი)

**კოჯ-მეხურა** „კლდე-მორღვეული“, სათიბები (სოფ. მახაში)

**ბოგ-ზესგი** „ხიდი-მშრალი“, ნახიდარი (ჩოლური, სოფ. ჭველიერი)

**ბოგ-ზესკი** „ხიდი-მშრალი“, სათიბი (ლენტეხი, ჩოლური, სოფ. ბულეში, გულიდა)

**ბანმეხურა** „ქვა-დანგრეული“, ქვიანი ადგილი (მესტია, იფრარი, კალა), კლდე (სოფ. ბოგრეში, იფარი)

**გუიჯ-მენგერა** ზედმიწ. „წაბლ-მაღალი“, სამოვარი, წაბლი დგას დიდი (ლენტეხი, სოფ. კახურა)...

როგორც აღმოჩნდა, სვანურისათვის უკავშირო სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმებია დამახასიათებელი, ხოლო კავშირიანი კომპოზიტი ტოპონიმები იშვიათია, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა გენეტიურმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებთან და ისინი ახლოს მდებარე პუნქტებს გამოხატავენ:

**ლამამბულარიში ი გოლამ ქაშან** „მამზარებისა და ციცაბოს ქაშანი“, ბილიკი (სოფ. გულიდა)

**გუჩაშა ი ალფშა მურყუამ** „გუჩასანი[სა და ალფისანი[ს კომპი“, ნაკომკარი, ნახევრად დანგრეული (მესტია, ქაშვეთი, ლენჯერი)

**გიორგიშ ი ლემინიშ ნაკრავჷ** „გიორგისა და ლემინის ნაკრავალი“, ნაკრავები (მესტია, ტვიბერი, ცხუმარი)

**ჩუბე ი ჟიბე ცალერ** „ქვემო და ზემო ცალერი“ (სოფ. ცალერი)...

წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგჯერ კომპოზიტ ტოპონიმებში ადრე მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება (რისი მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სახელდება) აღარ შეესაბამება თანამედროვე მდგომარეობას, თუმცა ასეთი ტოპონიმები საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით, ვინაიდან კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელ ინფორმაციას გვაწვდიან.

არის შემთხვევები, როდესაც ტერიტორიულად ერთმანეთისგან დაშორებულ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებები ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტისათვის დამახასიათებელი მსგავსი ნიშან-თვისებებითა თუ დანიშნულებითაა განპირობებული:

**ხოშა ლარე** „დიდი სათიბი“, სათიბი, ჩიხარემის გადაღმა, აეროპორტისკენ (სოფ. ჩიხარეში)

**ხოშა ლარე** „დიდი სათიბი“, სათიბი, სამანქანო გზის ქვემოთ (სოფ. უღვალი)

**ხოშა ლარა** „დიდი სათიბი“, სამოვარი, საკმაოდ დიდი ველია, საქონლისათვისაა გამოყენებული (სოფ. გული)

**ჯუედ ლარა** „გრძელი სათიბი“, სათიბი და ტყე (სოფ. ივარი)

**ჯრდი ლარე** „გრძელი სათიბი“, სათიბი (სოფ. არცხელი)

**ჯუედ ლარალ** „გრძელი სათიბები“, სათიბები (სოფ. ლემსია-ქაშვეთი)

**ჯრდი დაბარ** „გრძელი ყანები“, ყანები (სოფ. ლაღამი)

**მეცხი ლეცარ** „ცივი წყლები“, სათიბი, წყაროები ფუშყვერის მარჯვენა კალთაზე (სოფ. ნესგუნი)

**მეცხი ნიცარ** „ცივი წყლები“, წყარო და მისი მიდამო (მესტია, სოფ. ბოგრეში)

**ლალკან შუკუ** „სამარხილე გზა“, გზა (მესტია, სოფ. თავრარი, ცალერი, ზაგარი)

**ლალკან შუკუ** „სამარხილე გზა“, გზა, ზემო და ქვემო ტვიბლედის დამაკავშირებელი სამარხილე გზა (სოფ. ტვიბლელი, ლანტელი)

**მაშრი ღარ** „ფართე ღარი“, სამოვარი, (ლენტეხი, ჩოლური)

**მაშრი ღარ** „მსხვილი ღარი“, სამოვარი, ტყე (მესტია)

**მაშრი ღარ** „მსხვილი ღარი“, სამოვარი (ენგურის მარცხენა კალთაზე)

**მაშრი ღარ** „მსხვილი ღარი“, საბალახო, დამრეცი ფერდია, ტყიანი კალთებით, შერეული, ქვედა მხარე შიშველია და ფართო (მესტია)

**მაშრი ღარ** „მსხვილი ღარი“, ღელე სეზონური, ფართო ღელეა, წვიმიანობის დროს მოდის პატარა წყალი, სხვა შემთხვევაში მშრალია (მესტია)...

როცა ერთიდაიგივე ტოპონიმური სახელწოდებით სხვადასხვა ადგილი აღინიშნება, ფორმოზრივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, თუმცა სახელდების მიზეზი და წინაპირობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს და სხვადასხვა უნდა იყოს, ასეთი ტოპონიმები გვხვდება როგორც ატრიბუტულ მსაზღვრე-

ლიანი ისე გენეტიურიც (**თენგიზიმ ნაკრაჟ** „თენგიზის ნაკარვები“, საძოვარი, ტყე, მდებარეობს მდ. ლახამას სათავეებს შორის (მესტია, სოფ. ჭუბერი); **თენგიზიმ ნაკრაჟ** „თენგიზის ნაკარვები“, ტყე, ტყეში თენგიზ დადემქელიანს კარავი ჰქონია (მესტია, სოფ. ფარი))...

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში უხვად დასტურდება კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები, მათ შორის გაცილებით მრავლად გვხვდება გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები, ხოლო ატრიბუტულმსაზღვრელიანი შედარებით ნაკლებად. არსებული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აფასებს თუ ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს და ამ შეფასებაში, ნათლად ჩანს სახელდების განმაპირობებელი თუ გამომწვევი მიზეზი.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, ძალზედ იშვიათია მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგი და ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმებში ჭარბობს პრეპოზიციური წყობა.

### ლიტერატურა

**ზურაბიშვილი 1961** – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის.

**ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია.

NATO SHAVRESHIANI

### Toponyms with Attributes in Svan

#### S u m m a r y

Denominations of toponyms with attributes formed through word combination are not accidental; with the help of an attribute it is easy to see the location or territorial characterization of a particular object in them – the size, age, the type of terrain of the geographical object (district, village or gorge), etc.

In Svan, in the geographical names with attributes, the latter may be an adjective and a participle (in most cases), a noun (in relatively few cases) and a number (very rarely). In compound geographical names an attribute is often a participle and it can be said that it reflects the toponymy of the whole Svaneti region; the participles are mainly affixed by **la-- a**, **le-**, **lə-**, **lu--e**, **ma-**, **na-**.

ეთერ შენგელია

**ბრძანებითი წინადადების ინტონაცია მეგრულ-ლაზურში  
სხვადასხვა სოციალური წრის, სქესისა და ასაკის  
გათვალისწინებით \***

საზოგადოდ, მოდალობის მიხედვით, წინადადება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც მოდალობით, ასევე ინტონაციითაც.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ინტონაციის საკითხი ბრძანებითი მოდალობის მიხედვით მეგრულ-ლაზურში.

ჩვენი კვლევა ემყარება აუდიომასალებს, რომლებიც მოპოვებულია პროექტის ფარგლებში მოწყობილი ექსპედიციის დროს. კერძოდ, მეგრული დიალექტის მასალა მოპოვებულია სამეგრელოში, ხოლო ლაზური დიალექტის მასალა – საქართველოში არსებულ ორ ლაზურ სოფელში – სარფსა და კვარიათში, რომელიც ადმინისტრაციულად ეკუთვნის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და, ასევე, თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ ისტორიულ ლაზეთში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ლაზურ დიალექტზე მეტყველი ლაზები.

კვლევა განვახორციელებთ პროგრამა პრაქტის მეშვეობით. ინფორმატორები შევარჩიეთ ასაკის, სქესისა და სოციალური ფენის მიხედვით. მათი გამოკითხვა ვაწარმოეთ წინასწარ მომზადებული კითხვარის მეშვეობით და, აგრეთვე, ჩავიწერეთ სპონტანური მეტყველების ნიმუშები.

ზოგადად, ბრძანებითი მოდალობით გამოხატულია მოქმედის ნებასურვილი, რომ ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედება უნდა შესრულდეს თუ არ უნდა შესრულდეს. ამის მიხედვით ბრძანებითი შეიძლება იყოს წართქმითი ან უკუთქმითი. წართქმითი მოითხოვს მოქმედების შესრულებას, ხოლო უკუთქმითი – შეუსრულებლობას. ბრძანება ძირითადად სუბიექტური პირისადმია მიმართული. ბრძანებითმა წინადადებამ შეიძლება ისე გადმოსცეს ბრძანება, რომ საერთოდ არ იყოს ზმნა-შემასმენელი, მაგრამ იგულისხმებოდეს. ბრძანებითი მოდალობით რაღაც ემოცია ვლინდება. ის ყოვეთვის ბრძანებას არ გამოხატავს. მან შეიძლება გადმოსცეს თხოვნა, რჩევა-დარიგება, მოწოდება, დალოცვა, წყევლა, გამხნეება, მისალმება და ა. შ. ამ გრძნობის

\* განხორციელებულია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეგრულ-ლაზური ინტონაცია“ (217 728) ფარგლებში.

გამოხატვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტონაციას. პემკოვსკის, ბალის, ლეიბერმანის, მიჩელის მიხედვით, ემოციის გადმოცემა ინტონაციის მთავარ ფუნქციად არის მიჩნეული. ამ ავტორთა მითითებით ნ. კიზირია აღნიშნავს, რომ ემოციის გამოხატვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ტონის სიხშირე და რხევის ამპლიტუდა (Ph. Lieberman, Sh. B. Micheels). ზოგი მიიჩნევს, რომ ემოციური ელფერი გამონათქვამს ეძლევა სიხშირის, სიძლიერისა და ტემპის მახასიათებლების რთული ურთიერთკავშირით, სადაც მთავარი როლი ენიჭება სიხშირულ მახასიათებლებს. ბრძანებით წინადადებაში გვხვდება ნაწილაკები და შორისდებულები, რომლებიც მოდალობის ინტენსივობის მეტნაკლებობას გადმოსცემენ (კიზირია 1987: 96).

ბრძანებითი წინადადების შესწავლისას დავაკვირდით საკვლევ მასალას ინტონაციის კომპონენტების: ტონის, ინტენსივობისა და ამპლიტუდის ანუ სიხშირული მახასიათებლების მიხედვით.

წარმოვადგენთ ბრძანებითი წინადადების კითხვარის ნიმუშს:

მეგრ. **ქიგეგონე ნარაგადი!** ლაზ. **ისიმინი ნოთქვალე!** – „გაიგონე ნათქვამი!“

მეგრ. **მა მირჩქილი!** – მე მომისმინე! ლაზ. **მა მისიმინი!** „მე მომისმინე!“

მეგრ. **თუთა, მორთი აშო!** ლაზ. **თუთა, მოხთი აშო/აქ /აქოლე!** „თუთა, მოდი აქ!“

მეგრ. **მეუ, დიწიმინდი თაურე!** ლაზ. **თოლის მუ ეწმაწიე** „წადი, გაქრი აქედან!“

მეგრ. **თოლს ვაწმაპირა!** ლაზ. **თოლის მო ეწმაწიე!** „თვალთ არ დამენახო!“

მეგრ. **ნე || ნემ გერექ თაქ!** ლაზ. **მო დგი აქ!** „ნუ დგახარ აქ!“

ექსპერიმენტის შედეგად გამოიკვეთა ამგვარი ვითარება:

- ბრძანებითი განსხვავდება სხვა სახის წინადადებებისაგან ტონის, ინტენსივობისა და სიხშირული მახასიათებლების მიხედვით. თუმცა ეს განსხვავება დამოკიდებულია ემოციის ხარისხზე;

- განსხვავებულია ინტონაცია სქესისა და ასაკის მიხედვით, რასაც ვერ ვიტყვით სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მეტყველების შესახებ. დონეების მიხედვით მაღალია ბავშვების ტონი, ხშირია ამპლიტუდა და ძლიერია ინტენსივობა (გააჩნია ასაკს), ქალების მეტყველებას შუალედური მდგომარეობა უჭირავს ინტონაციის ამ მახასიათებლების მიხედვით, მამაკაცების მეტყველება უფრო დაბალ, ხოლო მოხუცების მეტყველება ყველაზე დაბალ საფეხურზეა ამ მახასიათებლების მიხედვით;

- განსხვავებულია ტონი, ინტენსივობა და ამპლიტუდა ბრძანება-ემოციის ხარისხის მიხედვით – რაც უფრო ძლიერია ემოცია და მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობის სურვილი, მით უფრო აღმავალია ტონი, ძლიერია ინტენსივობა და ხშირია ამპლიტუდა;

- ამპლიტუდის სიხშირე, ტონის სიმაღლე და ინტენსივობა დამახასიათებელია იმ სიტყვისთვის, რომელიც აქცენტირებულია;

- მეგრული და ლაზური დიალექტები ბრძანებითი მოდალობის მიხედვით არსებითად არ განსხვავდებიან, თუ არ გავითვალისწინებთ სხვადასხვა

ნაწილაკებს და დამხმარე მეტყველების ნაწილებს, რომლებიც ახლავს მათ შინაარსის გადმოსაცემად;

- რხევის ამპლიტუდის მიხედვით საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ლაზური ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. უკანასკნელში რხევის ამპლიტუდა უფრო ხშირია, მაგრამ ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ ბრძანებითი, არამედ სხვა მოდალობის აღმნიშვნელი წინადადებების შემთხვევაშიც.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1949** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

**გაბუნია, ეზუგბაია, ქირია 2010** – კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში: ქართველური ენები, თბილისი.

**კვაჭაძე 1977** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კიზირია 1987** – ნ. კიზირია, ქართული სალიტერატურო ენის ინტონაციის საკითხები.

**ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში 2015** – თბილისი.

**ჟღენტი 1953** – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა.

**Coateas 2016** – J. Coateas, A Sociolinguistic Account of Gender Differences in Language (third edition), London, New York.

**Holmes J. and Wilson N. 2017** – J. Holmes and N. Wilson, An Introduction to Sociolinguistics (fifth edition), London, New York.

**Intonations in Romance 2015** – Edited by S. Frola and P. Prieto. Oxford University Press, UK.

**Robert Ladd D. 2008** – Intonational Phonology (second edition). Cambridge University Press, UK.

**Carlos Gussenhoven 2004** – The Phonology of Tone and Intonation, Cambridge, UK.

**Wells, Stackhouse 2016** – B. Wells, J. Stackhouse, Children's Intonation. Oxford, UK.

[www.ligref.com/cpp/wccfl/35/index.html](http://www.ligref.com/cpp/wccfl/35/index.html) – Imperative and Intonation – Cascalida Proceedings Project.

ETER SHENGELIA

## **The Intonation Pattern of Imperative Sentences in Megrelian and Laz Considering Social Class, Gender and Age Differences**

### S u m m a r y

We have observed the research material according to the components of intonation: tone, intensity and amplitude characteristics. The findings of the research are as follows:

- Imperative sentences differ from other types of sentences;
- Intonation varies by sex and age, which is not true in the case of the speech provided by members of different social strata. In terms of levels, the tone of children is high, amplitude and intensity are strong, the speech of females holds an intermediary position according to these intonation characteristics. The speech of males is lower, while the speech of elderly people is characterised by the lowest level;
- Tone, intensity and amplitude vary according to the degree of the desire – the stronger the desire of completing/forbidding the action is, the higher is the tone, the stronger is the intensity and the more frequent is amplitude;
- The amplitude frequency, the level and intensity of tone refer to the word, which is stressed;
- In terms of imperative modality, Megrelian and Laz do not show substantial differences;
- In terms of vibration amplitude, Laz spoken on the territory of Georgia slightly differs from Laz spoken on the territory of Turkey. In the latter the vibration amplitude is more frequent, what we think is the result of the Turkish influence.

იზა ჩანტლაძე

**კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ**  
(იძულებითი კომენტარები)<sup>1</sup>

უმლაუტი („გადაბგერება“, „перегласовка“) ინდოევროპულ (გერმანიკულ) და ქართველურ ენათა ვოკალიზმის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომელიც არა მხოლოდ ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენაა, არამედ ზოგჯერ მას გადამწყვეტი როლი ენიჭება მორფონოლოგიური საკითხების, კერძოდ კი სახელისა თუ ზმნის პარადიგმატულ სისტემათა კვლევისას, აგრეთვე დერივაციაში.

ფონეტიკური თვალსაზრისით უმლაუტი სხვა არაფერია, თუ არა მომდევნო პოზიციაში მყოფ პალატალურ (და არა პალატალიზებულ!) ან არაპალატალურ ხმოვანთა რეგრესულ-ასიმილაციური ზემოქმედება წინა მარცვლისეულ ხმოვანზე, ანუ ამ უკანასკნელის მოდიფიკაცია მისი არტიკულაციის მისაახლოებლად მომდევნო მარცვლისეული ხმოვნის არტიკულაციასთან.

პროცესის მიმართულების თვალსაზრისით, არსებობს წინა მიმართულების, ანუ პალატალური უმლაუტი (ა+ო/ე > ა, ო + ო/ე > ო > უე > ე, უ + ო/ე > უ > ურ > ო), როდესაც წინა რიგის ხმოვნები არტიკულაციურად იმსგავსებენ უკანა რიგის ხმოვნებს, და მისი შებრუნებული პროცესი (ე + ა > ა, ო + ა > ა, ე + უ > ა<sup>1</sup>უ<sup>1</sup>, ო + უ > ა<sup>1</sup>უ<sup>1</sup>), როდესაც უკანა რიგის ხმოვნებს მოსდით რეგრესული ასიმილაცია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკანა მიმართულების, ანუ ველარულ (ლაზიალურ) უმლაუტითან.

ტერმინი **Um+laut** პირველად გამოიყენა იაკობ გრიმმა ფართო მნიშვნელობით 1869 წელს გამოქვეყნებულ „Deutsche Grammatik“-ის პირველ ტომში გერმანიკული ვოკალიზმის იმ მრავალფეროვან ცვლილებათა აღსანიშნავად, რომელთაც განაპირობებს **ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია**. რაც შეეხება ქართველურ ენებს, იგივე ტერმინი, ოღონდ უფრო ვიწრო მნიშვნელობით (მხოლოდ პალატალური რეგრესული ასიმილაციის სახელწოდებად) ქართველოლოგიაში პირველად შემოიტანა აკაკი შანიძემ 1925 წელს თავისი ფუნდამენტური გამოკვლევით „უმლაუტი სვანურში“, რომელსაც, იმთავითვე ზოგადლინგვისტური მნიშვნელობაც ჰქონდა უნივერსალიათა დადგენის თვალსაზრისით.

<sup>1</sup> მოხსენების ნაწილი დაბეჭდილია თურქულ ენაზე ორდუს უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულში Güney Kafkasya Helklari Dil-Tarih-Kültür ilişkileri Uluslar Arası Bilgi Şöleni (2011: 347-350).

რაც შეეხება უკანა მიმართულების უმლაუტს, ის შედარებით მოგვიანებით (ზუსტად 100 წლისთავზე იაკობ გრიმის ნაშრომის გამოქვეყნებიდან!) იქნა გამოკვლეული ქართველოლოგიაში, ვიდრე გერმანისტიკაში – ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფია მაქსიმე ქალდანისა „სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა“ (1969 წ.)<sup>1</sup>, რომელშიც უხვი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ ისევე, როგორც გერმანიკულ ენებში (განსაკუთრებით კი ინგლისურსა და სკანდინავიურში), ერთ-ერთ ქართველურ ენაშიც, კერძოდ სვანურში, არსებობს არაპალატალური უმლაუტი (ადრე აბლაუტად შეფასებული), ოღონდ მხოლოდ უკანა მიმართულებისა, რომელიც გაცილებით უფრო რთულ პროცესუალურ ფონეტიკურ გარდაქმნებს გულისხმობს, ვიდრე პალატალური უმლაუტი. „სხვადასხვა წარმოშობის უ სონანტი სვანურ ენაში წინამავალ ე(ი) ხმოვნებს აფართოებს და იმსგავსებს როგორც უკანაენისმიერი თანხმოვანი და არა როგორც ლაბიალური ბგერა (ამ უკანასკნელს ადგილი აქვს გერმანიკულ ენებში). უ-ს წინა პოზიციაში მყოფი ე(ი)-სთვის დამახასიათებელია არტიკულაციის უკან გადაწევა ა ხმოვნის მიმართულებით და არა მეუმლაუტე უ-ს არტიკულაციისკენ. **მომდევნო პოზიციისეული – უ სვანურში წინამავალი ე(ი) პალატალის ველარიზაციას ვერ ახდენს. ამდენად უ-ს მიერ გამოწვეულ უმლაუტსაც ველარული უმლაუტი ვერ დაერქმევა, რადგანაც ამ პოზიციაში ე(ი) პალატალის მხოლოდ გაშუაენისმიერება ხდება** (ქალდანი 1969: 122)“.

მსოფლიოს იმ ენებში, სადაც უმლაუტი არსებობს როგორც დისტინქციური ღირებულების მქონე მოვლენა, ალბათ, პალატალური უმლაუტი უფრო ძველია და გავრცელებული, ვიდრე არაპალატალური. ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად სხვადასხვა ტიპის ენებში წარმოიშვა ახალი, ნაუმლაუტარი ფონემების როგორც გრძელი, ისე არაგრძელი ვარიანტები.

ყოველგვარი სახის უმლაუტი სვამს არაერთ საინტერესო საკითხს და ზოგი ფონეტიკური მოვლენის ინტერპრეტაციის ხელახლა გადასინჯვას მოითხოვს, მით უფრო, თუ ფაქტებს გავაანალიზებთ ქართველურ ენათა სისტემის გათვალისწინებით.

თურქული ენის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ფონემათა გამოყოფის თვალსაზრისით<sup>2</sup>. ზოგს მიაჩნია, რომ თურქულში 12 ხმოვანია და აქედან მხოლოდ ხუთია ფონემა (**a, e, i, o, u** – სეგორტიანი 1955: 18), სხვები კი რვა ფონემას გამოყოფენ (**a, e, i, ɪ, o, u, ö, ü** – კონდრატიევი 1976: 12). თურქოლოგთა აზრით, **ö** მოგვაგონებს ფრანგულ **eu** კომპლექსს ან გერმანულ **ö** ხმოვანს (**kök**- ძირი, ფესვი), ხოლო **ü** – გერმანულ **ü**-ს

<sup>1</sup> ძალზე უხერხულია, რაღაც ახირებული სურვილის გამო, შევეცვალოთ ჩვენი მასწავლებლისა და აწ გარდაცვლილი უნიჭიერესი კოლეგის წიგნის სათაური (იხ. ტ. ფუტკარაძის „სვანური დიალექტებისთვის ამოსავალი ენობრივი სისტემის ბგერითი შემადგენლობის შესახებ“, „წელიწდეული“, ქუთაისი, 2017: 171) – „სვანური კილოების ფონეტიკა“ მხოლოდ იმიტომ უნდა დავარქვათ მას, რომ „სვანურთან“ კონტექსტში არამცდაარამც არ გამოვიყენოთ ცნება „ენა“?! ნამდვილად საოცრებაა, უარესი რომ აღარაფერი ვთქვათ!

<sup>2</sup> უღრმეს მადლობას მოვახსენებთ პროფესორ მარიკა ჯიქიას თურქულენოვანი სპეციალური ლიტერატურის მოწოდებისა და კონსულტაციებისათვის.

ან ფრანგულ **u**-ს (**gün** „დღე“); **ö** ფართო ხმოვნად ითვლება, **ü** კი – ვიწროდ, თუმცა ორივე წინა რიგის ბგერაა. მიუხედავად იმისა, რომ **უმლაუტი**, **როგორც ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებული ფონოლოგიური მოვლენა**, საკუთრივ თურქულს არ ახასიათებს (მისთვის სპეციფიკურია **სინჰარმონიზმი – პროგრესული ასიმილაციის შედეგი**, თუმცა სხვა თურქულენოვან სისტემებში ბაგესასისმიერი რეგრესული სინჰარმონიზმიც შეინიშნება – სევორტიანი 1955: 18), **ä, ö, ü** გრაფიკულად მაინც ნაუმლაუტარ ხმოვანთა იდენტურია. მათი წარმოქმაც ამგვარ ბგერათა მსგავსია. ამასთანავე, ლაბიალური სინჰარმონიზმი თანდათანობით გამოდის ხმარებიდან და მის ბაზაზე წარმოიშობა პალატალიზებული თანხმოვნები. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ **ნიკო მარმა** (1910: 3) და **იოსებ ყიფშიძემ** (1911: 17), რომლებმაც პირველებმა შენიშნეს ლაზურში პალატალიზებული (და არა პალატალური!) ხმოვნები, მათ აღსანიშნავად უმლაუტის ნიშანი გამოიყენეს (**რ, უ**).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ მკვლევარს (მაჭავარიანი 1963: 139-231) უმლაუტზე უფრო მოხერხებულად მიაჩნია ტერმინი **პალატალური-არაპალატალური** (და ეს ასეცაა გარკვეულ ოპოზიციურ ხმოვანთა **პ/ა, რ/ო, უ/უ** მისათითებლად!), მაინც, ვფიქრობთ, მისი გამოყენება ორაზროვნებას გამოიწვევს (**ე** და **ი**’ც ხომ პალატალური ხმოვნებია?!).

უკანასკნელი ზოგადლინგვისტური გამოკვლევების მიხედვით, „ყველა ბგერა, **პალატალური ბგერების გამოკლებით** (ხაზი ჩვენია – **ი. ჩ.**), შეიძლება წარმოიქმნას წინა ენის თანხმლები აწევით მაგარი სასისკენ (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003: 82). მაშასადამე, პალატალური ბგერები არ შედის წინა ენისა და მაგარი სასის კომბინაციით წარმოქმნილ ენობრივ ერთეულებში, მით უფრო არც პალატალიზებულ მონაცემებში.

როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ქართველთა ერთ-ერთი ტომის – ლაზების უმრავლესობა საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობს თურქეთის ტერიტორიაზე, მათი მეტყველება თურქული ენის ძლიერ გავლენას განიცდის, მათ შორის პალატალიზებული ხმოვნების მხრივაც. ვფიქრობთ, დიფთონგიზაცია (**ია, იე, იო, იუ**) ვერც ლაზურში გამოგვადგება ამგვარი ბგერების აღსანიშნავად (შდრ. ქუთელია 2005: 21). აქაც თანამედროვე საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფციის სიმბოლო (**ა’, ე’, ო’, უ’**) უნდა გამოვიყენოთ.

თავის დროზე (1925 წ.) აკაკი შანიძეს მიაჩნდა, რომ **პ** სვანურში **ე** ხმოვნისკენ გადახრილი **ა**-ნია, ხოლო **რ** და **უ** პალატალიზებული **ო** ან **უ** არის. შდრ. იმავე ნაშრომში: „**კ, გ, ქ** გუტურალებს უმლაუტიანი **ა**-ს წინ იოტაცია უჩნდება: **კაპ, გაპ, ქაპ; კაპ, გაპ, ქაპ** (შანიძე 1925: 174)“. როგორც ჩანს, აქ **ა** ხმოვნის უმლაუტთან ერთად უუმლაუტო ენის – ლაზურის მსგავსი სიტუაციაა, რომელშიც აღმავალი დიფთონგების სახით გადმოიცემა პალატალიზებული (იოტიზებული) ხმოვნები (შდრ. რუსული **я, ё, ю**).

ედუარდ ზივერსისა (1924: 16) და გივი მაჭავარიანის (1965: 5) თვალსაზრისით, უმლაუტის ჩამოყალიბების ეპოქაში მოსალოდნელი იყო უმლაუტური წარმოშობის დიფთონგების გაჩენაც, განსაკუთრებით კი მე-

უმლაუტე ხმოვნის რედუცირების შემთხვევაში. გერმანიკულ ენებში ამ რიგის დიფთონგებს ფართო გასაქანი მიეცათ, მაგრამ სვანურში, როგორც უმწერლობო ენაში, ძნელია ამ მოვლენისთვის თვალის მიდევნება არქაული მასალების უქონლობის გამო.

ამრიგად, **მიუხედავად იმისა, რომ პალატალურობასა და პალატალიზაციას შესაძლოა ისტორიულად საერთო უფრო ჰქონდეთ, დღეს ამ ორი პროცესის ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება არც გერმანიკულ, არც თურქულ და არც ქართველურ ენებში.** ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, არამედ აკუსტიკური თვალსაზრისითაც, რაც შესაბამისად უნდა აისახოს გრაფიკაშიც (**a' o' u'** – ერთი მხრივ, და **ä ö ü** – მეორე მხრივ). ველარიზებული (თ. შარაძენიძე 1983: 86) თუ უკანა მიმართულების უმლაუტის (მ. ქალდანი) აღსანიშნავად კარგი იქნება, თუ შესაბამის ფონემათათვის გამოვიყენებთ რაღაც სხვა ტექნიკურ სიმბოლოს.

ნებისმიერი ენის ფონოლოგიური მოდელის ჩამოყალიბებას, ძირითადად, ფონეტიკური პროცესები წარმართავენ (ჰილი 1936: 15). გარკვეული ფიზიკურ-აკუსტიკური ნიშან-თვისების მქონე ბგერა იძენს რაღაც ფუნქციას და ყალიბდება როგორც ენობრივი ერთეული – ფონემა, რომელიც თავად წარმოადგენს ამ ფიზიკურ-აკუსტიკურ და ფუნქციონალურ ნიშანთა ერთობლიობას. სწორედ ამგვარი ბგერა ამყარებს მიმართებებს სხვა ბგერებთან და იქმნება ფონემათა სისტემა, სადაც ყოველი ელემენტი ემორჩილება დისტრიბუციის წესებს. ეს ელემენტები ამჟღავნებენ შეთავსება-შეუთავსებლობის ტენდენციებს სისტემის სხვა ელემენტებთან და ამ ნიადაგზე ხდება ბგერითი გარდაქმნები, ყველაფერი ეს კი ქმნის მოცემული ენის ფონემატურ სტრუქტურას... უმლაუტს გუთურში ფონეტიკური საფუძველი ჰქონდა – ეს იყო ხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია, რომლის შედეგმა მოგვიანებით ფონოლოგიური ღირებულება მოიპოვა. ენობრივმა ცნობიერებამ ერთმანეთს დაუკავშირა ორი მოვლენა-ფუძისეული ხმოვნისა და მორფოლოგიური კატეგორიის ცვლა; ამას დაერთო ეკონომიის პრინციპის მოქმედება, რომელმაც მოხსნა ასიმილაციის მიზეზის გამომწვევი „ჭარბი“ ნიშანი და ამ მიზეზის მხოლოდ შედეგი გამოიყენა.

ინდოევროპულ ენათა ვითარება განმეორდა სვანურში და იქაც ჩამოყალიბდა ნაუმლაუტარი ფონემები. ქართველურ ენათა დიალექტებს შორის უმლაუტი ახასიათებს ინგილოურსაც, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული სახით, რადგანაც ანალოგიური პროცესი საუკუნეების მანძილზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოხვედრილი ქართველი ხალხის მეტყველებაზე დამხვდური (აზერბაიჯანული) ენის ზეგავლენამ გამოიწვია.

საანალიზო ფონოლოგიურ-არტიკულაციური მოვლენის აღმნიშვნელ უამრავ ტერმინთაგან (წინა და უკანა მიმართულების, პალატალური, ლაბიალური და ველარული უმლაუტი; უმლაუტიანი / ნაუმლაუტარი / უმლაუტქმნილი / უმლაუტგანცდილი / უმლაუტიზირებული / პალატალიზებული ხმოვანი...) სვანური ენის სტრუქტურისათვის უპირატესობას ვანიჭებთ **პალა-**

**ტალიზაციას** (და არა პ ა ლ ა ტ ა ლ უ რ ო ბ ა ს<sup>1</sup>) და **ველარიზაციას** (ანალოგიისთვის იხ. ა. კონონოვის ნაშრომი „Грамматика современного турецкого литературного языка“, М.-Л., 1956: 22-58, სადაც /k/ და g/ ფონემათა პალატალიზებული და ველარიზებული ვარიანტები წარმოდგენილნი არიან თურქული ფონოლოგიური სისტემის დამოუკიდებელ ერთეულებად), რადგანაც ისინი ყველაზე უკეთ გამოხატავენ მის არსს.

რაც შეეხება იმას, შეიძლებაოდა თუ არა თურქულენოვანი სამყაროს გავლენით გაჩენილიყო უმლაუტი სვანურში (იხ. ტ. ფუტკარაძისა და რ. თოფჩიშვილის ბოლოდროინდელ ნაშრომებში წარმოდგენილი მსჯელობანი), ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **რასაკვირველია, არა!** ჰონები, ხაზარები, ყივჩაყები,... კავკასიაში გამოჩნდნენ ჩვ. წ. აღ.-ით მეხუთე საუკუნის შემდეგ, ხოლო სვანური ამ დროისათვის საერთოქართველურის დიალექტს აღარ წარმოადგენს, ცალკეულ მონათესავე ენებად პრაენის დიფერენცირება უკვე დიდი ხნის მომხდარია. უმლაუტი მოიცავს სვანურის მთელ სისტემას – როგორც ფორმაცვალებად, ისე ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს. ეს მორფოლოგიური პროცესი ვლინდება სახელისა თუ ზმნის თითქმის ყველა პარადიგმატულ ერთეულში და ამიტომ სვანური ენის მეცნიერული კვლევა სწორედ უმლაუტის შესწავლით დაიწყო. სრულიად წარმოუდგენელია მისი რომელიმე ენის გავლენით გაჩენა სვანურში, მით უმეტეს, რომ თურქულ ენებში ანლაუტის ხმოვნები უფრო მყარია, ვიდრე აუსლაუტისა, რომელზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს მახვილი (ჩერკასკი 1965: 38-39). ა მ გ ვ ა რ ი რ ა მ ს ვ ა ნ უ რ შ ი ს რ უ ლ ი ა დ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა. თუ სიტყვაში შექმნილია საუმლაუტო პოზიცია, ყველა შემთხვევაში მოხდება წინამავალი ხმოვნის პალატალიზაცია ან ველარიზაცია, მიუხედავად იმისა, სად იმყოფება ამგვარი ხმოვანი – სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში!

გარდა ამისა, თავად თურქოლოგები ვერ შეთანხმებულან იმაში, რა უწოდონ მათ საკვლევ ენებში მიმდინარე რეგრესული თუ პროგრესული ასიმილაციის შედეგებს: პალატალიზაცია, უმლაუტი თუ სინჰარმონიზმი. ასე მაგალითად, ნ. ბ ა ს კ ა კ ო ვ ი უიგურულ ენაში გამოყოფს როგორც პალატალურ (სასისმიერ), ისე ლაბიალურ (ბაგისმიერ) სინჰარმონიზმს (ბასკაკოვი 1955: 117-119), ხოლო, ვ. რ ა დ ლ ო ვ მ ა საგანგებო ყურადღება მიაქცია წინამავალ ფართო ხმოვნებზე მიმდინარე მომდევნო ვიწრო დენტო-პალატალურ და ლაბიო-პალატალურ ფონემათა საპირისპირო პროცესს რეგრესული ასიმილაციის პირობებში, ერთ-ერთ ჩრდილოთურქულ მეტყველებაში (ტარანჩინულ დიალექტში – იხ. Радлов 1886: 3): **efus** (< **afus**) „პირი“, **menum** (< **manum**) „ყოფნა; პოვნა“...

თურქოლოგთა ერთი ნაწილი (ა. შ ჩ ე რ ბ ა კ ი, ტ. ტ ა ლ ი პ ო ვ ი) სინჰარმონიზმის საპირისპირო პროცესს, წარმოქმნილს რეგრესული ასიმილაციის დროს, უწოდებს „ე. წ. უმლაუტს“, რომელსაც ზოგი ლინგვისტი მეორეულ მოვლენად თვლის: „**Уйгурский умлаут** имеет органическое распространение;

<sup>1</sup> შდრ. პ ა ლ ა ტ ა ლ უ რ ი უ მ ლ ა უ ტ ი (Лиз Р. Б., Гармония гласных в турецком языке и фонологическое описание ассимиляции, "Новое в зарубежной лингвистике", XIX, М., 1987: 190).

его невозможно объяснить на основе собственно тюркских материалов и поэтому следует рассматривать как результат иноязычного, вероятнее всего, иранского влияния“ (აგანინა 1963: 125). ირანულიდან ერთ-ერთ თურქულ ენაში შესული უმლაუტი, როგორც ფონოლოგიურ-არტიკულაციური პროცესი, როდისღა შევიდოდა სვანურში ისე, რომ მეტყველების ყველა ნაწილი მოეცვა?!

ხმოვანთა სინჰარმონიზმი, როგორც პროგრესული ასიმილაციის შედეგი, დომინირებს თურქულ ენებში. ის გაცილებით ძველი მოვლენაა, რომელიც მათი პრაენისტვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. „В отличие от гармонии умлаут-явление относительно новое, в некотором смысле противоречащее основным общетюркским тенденциям фонетического развития слова“ (შჩერბაკი 1970: 65), **სვანურში კი პირიქით – სწორედ უმლაუტია ყოვლისმომცველი პროცესი**, განსხვავებით ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციისგან, რომელიც ქართველურ ენებში თითქმის არ გვხვდება.

რაც შეეხება სავებს (და არა სავარებს – რ. თოფჩიშვილი; -პრ მრავლობითობის მორფემა სვანურში), ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად ოსებს (საჟ-ა-პრ) კი უკავშირდება (ქალდანი 1969: 79), მაგრამ აღნიშნავს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თურქული მოდემის ხალხს (ბახსანელები, ჩეგემელები, ბალყარელები, ყარაჩაელები). მათთან კონტაქტებისა თუ ბრძოლების არაერთი ეპიზოდია გადმოცემული სვანურ ხალხურ სიმღერებში, რომელთა შესწავლა სწორედ ისტორიული თვალთახედვითაა აუცილებელი. პროფესორ რ. თოფჩიშვილამდე (იხ. მისი „ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ“) ვინმემ სადმე თქვა, რომ ავარების (ალბათ, ხუნძებს გულისხმობს ავტორი!) ენა თურქულია, ხოლო სავი 'ა' რებისა (მისი ტერმინოლოგიით) – ავარულის ერთი დანაყოფი?!

მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებებსა და სათანადო ლექსიკონების არქიფორმებში საერთოქართველური დონისთვის ზოგჯერ აღვადგენთ კიდევ როგორც პალატალიზებულსა და ველარიზებულ, ისე გრძელ ხმოვნებს, მაინც არც ისე ადვილია მათი ვარაუდი უძველეს ქრონოლოგიურ დონეზე, რადგანაც სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ როგორც ერთ, ისე მეორე ან მესამე შემთხვევაში საქმე გვქონდეს კომბინატორულ (და არა სპონტანურ!) ცვლილებებთან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ **ლაშხურ დიალექტში უმლაუტი არასდროს ყოფილა** (ფუტკარაძე 2017). არც ერთი დიდი ქართველოლოგი (ნ. მარი, ა. შანიძე, კ. დონდუა, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, თ. შარაძენიძე, მ. ქალდანი, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე, მ. ქურდიანი) ამ ფაქტს არ მიიჩნევდა საექვოდ. თუ თურქეთში (და არა **თურქეთის საქართველოში** – ტ. ფუტკარაძე: იქვე) მცხოვრებ ქართველთა (ყოფილ აჭარელთა, მესხთა, ჯავახთა, ლაზთა) მეტყველებაში, თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში, მხოლოდ ახლა იკიდებენ ფეხს პალატალიზებული ხმოვნები, რაღა სვანურ

ენაში გაჩნდებოდა უმლაუტი თუნდაც ჩვენი წ. აღ.-ით VI საუკუნეში?! გარდა ამისა, ფუძეენიდან სვანურის დიფერენცირების გადმოტანა ძველი წელთაღრიცხვიდან ახალში (თოფჩიშვილი 2018) ასე ადვილია მხოლოდ ნასესხებ სიტყვებსა და უმლაუტზე მსჯელობით?! რა ვუყოთ სვანური სახელისა და ზმნის ურთულეს არქაულ პარადიგმათა სისტემას, რომელიც მხოლოდ ქართულ-ზანურ ენებთან უძველესი ერთობით აიხსნება – ესეც თურქულის გავლენას მივაწეროთ?! ამიტომაც ვერაფრით დავეთანხმებით ტ. ფუტკარაძეს (დასახ. ნაშრ.) იმაში, რომ „დღევანდელი სვანური კილოების მეტად განსხვავებულობა საერთოქართველური მოდელისგან შეპირობებულია არა სვანურის სიძველით, არამედ კავკასიონის კალთებზე სხვა იბერიულ-კავკასიურ, თურქულ და ალანურ ტომთა ხშირი მიგრაციებით... სვანური კილოებისთვის ამოსავალი ფონემატური სტრუქტურა დაცული აქვს ლაშხურს, რომელიც უფრო ახლოსაა საერთოქართველურთან, ვიდრე სხვა რომელიმე სვანური კილო“. ლაშხურ **დჷჷ** („დევი“), **დადალ** („უთესლო; დაკოდილი“) და მისთანა არაერთ ლექსემაში, ცხადია, ჩვეულ ებრივალტერნაციასთან არა გვაქვს საქმე!

ამასთანავე, დიდი ივანე ჯავახიშვილი ხომ დაბეჯითებით გახაზავდა: **თანამედროვე სვანები დღეს იმ ენაზე უზნობენ, რომელზედაც ისტორიულ წარსულში ყველა ქართველური ტომი ლაპარაკობდაო** (ჯავახიშვილი 1914: 15).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველური ენების თითქმის ყველა დიალექტის მონაცემთა სინქრონიული აღწერის შედეგად დღემდე მიღებული შედეგები **ა > ე, ო > უე, უ > უი** პროცესების შეფასებისა მომავალში უსათუოდ უნდა გადაისინჯოს. არა გვგონია, რომ აქ ყველა შემთხვევაში მარტივ ბგერათმონაცვლეობასთან გვქონდეს საქმე. საჭიროა მათი ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებით შესწავლა, რაც აქამდე არც ერთ შემთხვევაში არ გაკეთებულა.

ძველი ქართულის **კორნა-ე / კუერნ-ი** („კვერნა“), **კუპრ-ი/კვპრ-ი** („ალვის ხე“), **კუპრო-ე/კვპვ-რ-ი** („კოკორი“), **ჭულ-ელ-ი/წყვი-ლ-ი**, **კურატორ-ი/კვრატორ-ი** („მზრუნველი“),... მეგრულის **ჭორთ-ი/ჭვერთ-ი** („ლატანი, ჭოკი, ნორჩი მურყანი“), **ჭოლ-ო-შ-ან-ა/ჭველ-ო-შ-ან-ა** (ტოპ. სენაკში < „თხმელნარი“) და სხვა ანალოგიურმა მასალებმა უნდა ჩაგვაფიქროს უმლაუტის, როგორც ფონოლოგიური მოვლენის, ოდინდელ არსებობასთან დაკავშირებით ყველა ქართველურ ენაში. თავის დროზე მსგავს პრობლემას შეეხნენ გივი მაჭავარიანი და ზურაბ სარჯველაძე, თუმცა, სამწუხაროდ, მათ ამ საკითხის გამოწვლილვით შესწავლა ვეღარ მოასწრეს.

სპეციალურ ლიტერატურაში (მაჭავარიანი 1958, 1962; გამყრელიძე/მაჭავარიანი 1965; გიგინეიშვილი 1980; სარჯველაძე 1985) კარგა ხანია შენიშნულია, რომ იმ სახელურ ლექსემებში, სადაც წარმოდგენილია **ა/ე** (ქართ.), **ო** (მეგრ.-ლაზ.) და **ა/ე** (სვან.) ხმოვანთმესატყვისობა, შესაძლოა დაიმბნოს უმლაუტის კვალი, რაც გამოწვეული უნდა იყოს სახელობითი ბრუნვის **-ი/-ე** მორფემის ზემოქმედებით ძირისეულ ხმოვანზე არა მხოლოდ სვანურში, არამედ ქართულ-ზანურშიც. ასეთ შემთხვევებში საერთოქართველური ფუძეენის დონეზე უნდა აღდგეს \***-ა-**:

ქართ. წყერ-ი (<\*მწყარ-ი), მეგრ. ჭყორ-ი, სვან. შყაჟუ;  
 ქართ. კედ-ელ-ი (<\*კად-ელ-ი), მეგრ. კიდ-ალ-ა, ლაზ. კოდ-ა||კილ-ა,  
 სვან. ჭუაძ;  
 ქართ. სამ-ი, ზან. სუმ-ი (<\*სომ-ი), სვან. სემ-ი (<\*სამ-ი);  
 და ა. შ.

არც ისაა შემთხვევითი, რომ გიორგი ახვლედიანი ქუთაისი > ქუთეისი, წაიქცა > წეიქცა<sup>ს</sup> მსგავს შემთხვევებს ხან უმლაუტად განიხილავდა და ხანაც – ასიმილაციად (ახვლედიანი 1949: 199, 208).

არა მხოლოდ ა > ე პროცესებმა, არამედ შესაძლოა ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში სინქრონიულად დადასტურებულმა მოვლენებმა (ო > უე, უ > უი) მიგვიყვანოს რ და უ ფონემათა დაშვების შესაძლებლობამდე ფუძეენაში.

ზ. სარჯველაძის აზრით, უ მ ლ ა უ ტ ი ა ხ ა ს ი ა თ ე ბ და ს ა ე რ თ ო - ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ფ უ ძ ე ე ნ ის გ ვ ი ა ნ დ ე ლ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს, სვანურში ეს მოვლენა ყველაზე მეტად განვითარდა, ხოლო მეგრულ-ლაზურმა და ქართულმა მისი გადმონაშთილა შემოგვინახა (სარჯველაძე 1985: 199).

თუმცა ლაშხური შყეჟუ („მწყერი“), ჭუედ („კედელი“) და მისთანა ფორმები მაინც დღემდე აჩენს სერიოზულ კითხვებს: თუ ქართული ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე ყველა სახელური ძირის ა საუმლაუტო პოზიციაში ე<sup>ს</sup>ში გადავიდა (მაჭავარიანი 1958: 270), მაშინ ლაშხური შყეჟუ, ჭუედ, ...რა-ლატომ დაუპირისპირდა სვანურის სხვა დიალექტების შყაჟუ, ჭუაძ, ...მონაცემებს?! უმლაუტის, როგორც ფონოლოგიური პროცესის, სხვადასხვა პერიოდად (I – ძველი, II – ახალი) დაყოფის ვარაუდი გადაწყვეტს ურთულეს პრობლემას?! ან: მეგრულ-ლაზურ სახელებშიც ხომ გვექონდა ნომინატივში -ი/-ე მორფემა! – თუ უმლაუტი ზანურშიც იყო, რატომ არ მივიღეთ ჭყ[უ]ერ-ი (მდრ. ჭყორ-ი „მწყერი“), კუმბ[უ]ილ-ი (მდრ. კუმბულ-ი „უნაგირის ტახტას თავი“) და მისთანა ფორმები?! ის კი მაინც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სირთულის დამლევა უფროა შესაძლებელი, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის საქართველოში „მოსაპარეზე“ თურქული ტომების მეტყველების არქაულ სვანურ ენასთან კონტაქტების მოსალოდნელი შედეგებისა (და საერთოდ! – იყო კი ასეთი შედეგები ქართველურ ენათა განვითარების გარკვეულ პერიოდში, ანუ იმ დროს, როდესაც უმლაუტი, როგორც ლინგვისტური ფაქტი, უკვე არსებობდა?!).

მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ლაშხური უმლაუტის საილუსტრაციოდ:

1. ლაშხეთისა და ჩოლურის საზღვარზე მდებარე სოფლის სახელწოდებას ჭუელფ ნ. მ ა რ ი ჭ რ ლ ფ<sup>ი</sup>დან მომდინარედ მიიჩნევდა (1917: V). მისი ეტიმოლოგიის გარკვევის მცდელობა ჰქონდა მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ს (2017: 65), რომლის მიხედვითაც, ეს ტოპონიმი შესაძლოა უკავშირდებოდეს ქვემოსვანურ ლექსემას უელჭუფ („მდელოს ნაჭერი მიწიანად“). რამდენადმე ძნელად დასაჯერებელია ამგვარი დაკავშირება, მაგრამ, თუ ფონოლოგიურ გარდაქმნებს წარმოვიდგენთ გარკვეული თანმიმდევრობით (უელჭუფ > \*უელჭფ > ჭუელფ), მაშინ, ალბათ, რაღაც პოზიტივს მივიღებთ, თუმცა თანხმობანთა


თავმოყრას სვანური ფონოტაქტიკა რომ გამოირიცხავს? ლენტეხური მეტყველების გავრცელების არეალი სოფელ ჭველფიდან საკმაოდ შორსაა, ასე რომ, მის გავლენას ვერ მივაწერთ ამ ფორმის უმლაუტს.

მაშასადამე, საკმაოდ რთულია საანალიზო ლექსემის თავდაპირველი მნიშვნელობის ან სტრუქტურის გააზრება. დაინტერესებულ მკითხველს ჯერ-ჯერობით შემდეგ მსჯელობას შევთავაზებთ:

XX საუკუნის ოციან წლებამდე ჩოლურის საზოგადოება დადიანთა მფლობელობის ქვეშ იყო – მათ სურვილსა თუ ამოცანებს ადგილზე გარდაფხადებები ახორციელებდნენ, ე. ი. სვანეთის ამ კუთხეს ყველაზე ახლო კონტაქტები ჰქონდა სამეგრელოსთან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი ორი ტოპონიმი **ჭუელ-ურ** და **ჭუელფ** ამგვარი კონტაქტების შედეგი უნდა იყოს. ორივე ძირი მეგრული ჩანს, სადაც **ჭველ-ი/ჭველ-ა** აღნიშნავს „ნერგსაც“ (ზოგადად) და „თხმელის ნორჩ ბუჩქს, ტოტს, მოზარდ ხეს“ (კონკრეტულად). რაც შეეხება **-იერ** ელემენტს, ის კუთვნილების (ქონების) აღმნიშვნელი სუფიქსია (**ჭოლ-იერ** > **ჭუელ-იერ** „თხმელიანი“), ხოლო **-ფ** უნდა იყოს მეგრული მრავლობითობის **-ეფ** მორფემის ნაშთი (**\*ჭოლ-ეფ+ი** > **\*ჭოლ-ფ-ი** > **\*ჭრლფ-ი** > **\*ჭუელფ** „ნერგები“).

ამგვარად, **ჭუელ** ძირი სვანურ ენაში ზანიზმი ჩანს, რომელიც მეგრულშივე გვხვდება როგორც პალატალიზებული (**ჭველ-**), ისე არა-პალატალიზებული (**ჭოლ-**) სახით.

2. უმლაუტის კვალი არა მხოლოდ უძველეს ლაშხურ ტოპონიმებში იკვეთება, არამედ ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელ ძალზე არქაულ ლექსიკაშიც; ჩვენი ყურადღება მიიქცია ნამვის თესლისა და ერთ-ერთი ბალახის სახელწოდებებმა (**ღუმურ-ი ჯუმე**, **დინჯ ჯუმე**), რომელთა საზღვრული ისეთივე უძველესი სიტყვაა, როგორც ბზ./ქსვ. **ჯუმე** („penis“), დღემდე ლაშხურ დიალექტშიც რომ შემოგვენახა ნაუმლაუტარი სახით (შდრ. ბქ. **ჯომ+ი/ე** > **ჯუმე** > **ჯემ** „ძირი, ბოლო“ და თუშ. **ჯომ-ი** „მაჯის, კოჭის ამობურცული ძვალი“ – Fähnrich 2007: 707).

3. **ჭუერ** („ყვავი“) სვანური ენის ყველა დიალექტში (ე. ი. ლაშხურშიც) ნაუმლაუტარი ფუძეა; თუ მას აჭარულ **წორო-ს** (**წვივ-ა**ს „ერთგვარი სოკო“, შდრ. **წორო**  და **წერო-ს-წვივ-ა**, საბა) ან **ჭორ-ტან-ა**ს (დეკორატიული მცენარე) დავუკავშირებთ, მაშინ სვანური ლექსემისთვის ამოსავალი იქნება **ჭრ** (< **წორო**), რომელიც შესაძლოა დაცული იყოს ტოპონიმში **ჭორ-ვ-ილ-ა** (ზემო იმერეთი). ფაუნისა და ფლორის ნომინაციები თითქმის ყველა ენაში განაპირობებენ ერთმანეთს.

4. 1971 წლის 12 სექტემბერს 16 წლის მთქმელმა, სასაშელმა ვაჟა ონიანმა რომ **ლაგურკან ხატ** (სვ. პრ. ტ. IV, 1979: 35) „წმინდა კვირიკეს ხატი“ თქვა **ლაგურკან**ს ნაცვლად, ანუ ისე, როგორც ქართულშია (უი ბგერათმომდევრობით!), ამ მოვლენამ ბევრ რამეზე უნდა ჩაგვაფიქროს. დღეს სვანური ენის სამი დიალექტის (ბქ., ლნტ., ლშხ.) მომხმარებლები იყენებენ ხსენებულ ფორმას, ბალს-ზემოელები კი მხოლოდ **ლაგურკან**ს წარმოთქვამენ; მაშასადამე, მათთვის ქარ-

თული ენიდან შესული ბერძნული -ჭი- ნაუმლაუტარი -უ- ხმოვნის ტოლფასია. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ იქ, სადაც ქართველურ ენათა დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდება უ > უი ან ო > უე ფონემათმონაცვლეობით, უმრავლეს შემთხვევაში, ოდესღაც, ალბათ, უმლაუტი (როგორც ფონოლოგიური პროცესი) მოქმედებდა. იგივე შეიძლება ვივარაუდოთ ა > ე / ი'ს შემთხვევაშიც პალატალურ ხმოვანთა წინამავალ პოზიციაში.

ადრე (1974-1975 წ.) უმლაუტის კვალს ლაშხურში ე. გაზდელიანიც ეძებდა და მახსოვს, რომ საკმაოდ საინტერესო მასალა ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი ნაშრომი რატომღაც დღემდე არ გამოუქვეყნებია.

„როგორც ვ უ ლ ფ ი ლ ა ს გ უ თ უ რ შ ი, ისე სვანური ენის დღევანდელ ლაშხურ კილოშიც, არა გვაქვს ხმოვანთმონაცვლეობის ის სახე, რომელსაც მეორე პერიოდის უმლაუტის სახით ვიცნობთ გერმანიკულ და სვანურ ენებში. პირველ მათგანში ეს უმლაუტი ვულფილას შემდეგ ვითარდება, ხოლო ლაშხურში, როგორც ჩანს, მეორე პერიოდის უმლაუტი არც გაჩენილა. სწორედ ამ კილოში გვეგულება სვანურის სხვა დიალექტებში მოდიფიცირებულ ხმოვანთა არქეტიპი (ქალდანი 1969: 24).

არ უნდა დავივიწყოთ ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს თითქმის საუკუნის წინანდელ ფუნდამენტურ ნაშრომში წარმოდგენილი მთავარი დებულება: „უმლაუტი ერთ-ერთი სახეა ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციისა, ოღონდ **ეს ასიმილაცია სვანურში არ არის ისეთი, როგორც მოიპოვება თურქულ ენებში, სადაც ზგერათა დამსგავსება პროგრესულია და ხმოვანთა ჰარმონიის სახელით არის ცნობილი. თავისი ბუნებითა და თვისებით იგი უფრო გერმანულს მოგვაგონებს, სადაც, ისე, როგორც სვანურში, ასიმილაცია რეგრესულია**“ (შანიძე 1925: 171-231). აკადემიკოს ა გ ნ ი ა დ ე ს ნ ი ც კ ა ი ა ს აზრით, „**Грамматическое противопоставление умлаутированных и неумлаутированных форм в сванском и немецком, конечно, различно, но сам принцип использования фонетических чередований такого рода в качестве средства внутренней флексии, в сущности, один и тот же... Сванские факты дают дальнейшее обоснование универсального характера этого объяснения** (დესნიცკაია 1981: 245-246)7

გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად უმორჩილესად ვთხოვ ყველა მკვლევარს, მიუხედავად მათი ამა თუ იმ სამეცნიერო დარგისადმი მიკუთვნებულობისა, **არავითარ შემთხვევაში არანაირი დასკვნები არ გამოიტანონ** სვანეთისა და სვანური ენის შესახებ, ვიდრე ამ უკანასკნელს პრაქტიკულად არ შეისწავლიან. თავის დროზე (1925 წ.) აკადემიკოსმა ნიკო მარმა ასე გააფრთხილა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი ევდოკია კოჟევნიკოვა: თუ სვანეთში წახვალ და სვანურ ენას ისწავლი, შენგან საუკეთესო ეთნოლოგი დადგებაო... ეს ასეც მოხდა!..

## ლიტერატურა

**აგანინა 1963** – Л. А. Аганина, Фонетические закономерности чиликского диалекта уйгурского языка, "Краткие сообщения Института народов Азии", 72, Москва.

**ახლედანი 1949** – ახლედანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

**ბასკაკოვი 1955** – Н. А. Васкаков, Уйгурский вокализм, "Исследования по сравнительной грамматике тюркских языков", I, Москва.

**გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**გრими 1869** – J. Grimm, Deutsche Grammatik, I, Göttingen.

**დესნიცაია 1981** – А. В. Десницкая, К типологии явлений умлаута, „აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული“, თბილისი.

**ზივერსი 1924** – E. Sievers, Zür Chronologie der Eddalieder, Leipzig.

**თოფჩიშვილი 2018** – რ. თოფჩიშვილი, ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ, „პროფესორ მიხეილ გეგეშიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული კრებული“, თბილისი.

**კონდრატევი 1976** – В. Г. Кондратьев, Вводный фонетический курс турецкого языка, Ленинград.

**კონონოვი 1956** – Кононов А., Грамматика современного турецкого литературного языка, М.-Л.

**ლიზი 1987** – Лиз Р. Б., Гармония в турецком языке и фонологическое описание ассимиляции, "Новое в зарубежной лингвистике", XX, Москва.

**მარი 1910** – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб

**მარი 1917** – Н. Я. Марр, Отъ редакции, "Сванские тексты на лашхскомъ нарѣчи", собралъ Арсень Оніанъ изъ Сасāша, Петроградъ.

**მაჭავარიანი 1959** – გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, „თსუ შრომები“, ტ. 69, თბილისი.

**მაჭავარიანი 1962** – გ. მაჭავარიანი, უმლაუტის პრობლემა ზანურში, „თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VI სამეცნიერო სესია“, თბილისი.

**მაჭავარიანი 1963** – გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში, „თსუ შრომები“, 96, თბილისი.

**პოლივანოვი 1923** – Е. Д. Поливанов, Причины происхождения **Umlaut**'а, "Сборник Туркестанского восточного института в честь проф. А. З. Шмидта", Ташкент.

**რადლოვი 1886** – В. В. Радлов, Образцы народной литературы севернотюркских племён, VI, СПб.

**სარჯველაძე 1985** – ზ. სარჯველაძე, უმლაუტის კვალი ქართულში, „საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 120, №1, თბილისი.

**საღლიანი 2017** – მ. საღლიანი, ზოგი ჩოლურული ტოპონიმის „ეტიმოლოგიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი“, XIV, თბილისი.

**სევორტიანი 1955** – Э. В. Севортян, Фонетика турецкого литературного языка, Москва.

**სვანური პროზაული ტექსტები, IV, 1979** – თბილისი.

**ტალიპოვი 1960** – Т. А. Талипов, Система гласных в современном уйгурском языке (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი) Алма-ата.

**ფენრიხი 2007** – Н. Fähnrich, Kartwelisches etymologisches Wörterbuch, Brill, Leiden-Boston.

**ფუტკარაძე 2017** – ტ. ფუტკარაძე, სვანური დიალექტებისთვის ამოსავალი ენობრივი სისტემის ბგერითი შემადგენლობის შესახებ, „წელიწდეული“, ქუთაისი.

**ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა, თბილისი.

**ქუთელია 2005** – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**ყიფშიძე 1911** – И. А. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, "Материалы по яфетическому языкознанию", III, СПб.

**შანიძე 1925** – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, თბილისი.

**შარაძენიძე 1983** – Шарадзенидзе Т. С., Некоторые основные вопросы склонения сванского языка, „წელიწდეული“, X, თბილისი.

**შჩერბაკი 1970** – А. М. Щербак, Сравнительная фонетика тюркских языков, Ленинград.

**ჩანტლაძე 2011** – I. Çantladze, Hint-Avrupa, Türk ve Kartvelgil Dillerinde Bir fonoloji day, Olarak Umlaut, Güney Kafkasya Helklari Dil-Tarih-Kültür ilişkileri Uluslar Arasi Bilgi Şöleni, Ordu.

**ჩერკასკი 1965** – Черкасский М. А., Турецкий вокализм и сингармонизм, Москва.

**ჯავახიშვილი 1914** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I-II, ტფილისი.

IZA CHANTLADZE

**On Svan Umlaut Again**

## S u m m a r y

As known, umlaut is a comprehensive phenomenon of Svan morphonology. In addition, we will not be able to clearly understand the etymology of certain roots of Svan lexemes unless we take a presumed form of a particular root before umlaut as a phonological process into consideration.

**Umlaut also exists in other languages.**

In the paper the author expresses an idea that Svan umlaut is mainly similar to the process in Indo-European (Germanic) languages, and as for synharmonism of the Ural-Altaic languages, it has no connection with the Svan morphonological phenomenon.

The author carefully speaks about the possible existence of umlaut, as a Common Kartvelian process, at a certain diachronic level and draws researchers' attention to studying this problem.

ირინე ჩაჩანიძე

### ქართველური ლინგვისტური ტენდენციები ფრანც კარლ ალტერის მემკვიდრეობაში

ავსტრიელი ლინგვისტისა და ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებლის ფრანც კარლ ალტერის (1749–1804 წწ.) შრომები ქართველურ ენათმეცნიერებაში პრაქტიკულად დღემდე შეუსწავლელია.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით პირველ ცნობებს ქართული ენისა და დამწერლობის კვლევა-ძიების აუცილებლობის საკითხის შესახებ დასავლეთ ევროპაში, რაც იმდროინდელი მეცნიერების სამეცნიერო პუბლიკაციებშიც აისახა. ისინი ასე თუ ისე იცნობდნენ აღმოსავლეთ ქვეყნების მოგზაურთა ჩანაწერებს, ხელნაწერებსა თუ ნაბეჭდ წყაროებს. რუსეთში ქართული კოლონიის წევრთა მწიგნობრული მუშაობა, შემდეგ სტამბის დაარსება, ქართული ბიბლიის მოსკოვური გამოცემა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზე დასავლეთ ევროპის მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ ემსჯელათ ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. ქართული ენა, როგორც ენა უძველესი ხალხისა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. არ შეიძლება გამოვრიცხოთ წმინდა პრაქტიკული მიზნებიც, რამაც განსაზღვრა ლტოლვა ქართული ენის შესწავლისადმი. მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, ცხადია, ვერ ასცდებოდა ამ გზას და აქედან გასაგებია ზრუნვა, რასაც იჩენდნენ დასავლეთში პრაქტიკული ხასიათის გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენის მიმართ.

ფრანც კარლ ალტერი გაეცნო ქართულ ბიბლიას, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა 1743 წელს. იგი გულმოდგინედ ადარებდა თარგმანს ბერძნულ ტექსტებს. ალექსანდრე ცაგარელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ალტერთან წარმოდგენილია ყველა დაწვრილებითი ცნობები ქართული ბიბლიის თარგმანზე“ (ცაგარელი 1886: 12). ამ გამოცემაზე მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა მისი ნაშრომი „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (**Ueber georgianische Litteretur. Wien, 1798**), რომელიც ვენაში გამოვიდა 1798 წელს. დღევანდელი თვალსაზრისით ეს წიგნი თავის სახელწოდებას ვერ ამართლებს: მასში თავმოყრილია ყველა ის ცნობა, რომელიც იმ პერიოდში ევროპაში მოიპოვებოდა ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, იტალიაში, „პროპაგანდა ფიდეს“ კოლეგიუმში, რომელიც დაარსდა 1627 წელს, რომის პაპის ურბან VIII დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა იმ ქვეყნების ენების შესწავლა, რომლებშიაც შესაძლებელი იყო კათოლიკური პროპაგანდის გატარება (თამარაშვილი 1902: 328). სა-

ქართველოში მოგზაურთა და მკვლევართათვის შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება. კოლეგიუმის მასწავლებლები ასრულებდნენ კონსულტანტისა და შუამავლის როლს ქართული ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებში საქართველოსა და ევროპას შორის. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რომში მოღვაწე სტეფანე ავთანდილმა შეადგინა ნარკვევები საქართველოზე, რომელიც იტალიურ ენაზე თარგმნა პაოლო ლეონიმ (პაოლო ლეონი 1780).

ალტერი თავის ნაშრომში „**ქართული ლიტერატურის შესახებ**“ არაერთხელ იმოწმებს სტეფანე ავთანდილსა და კოლეგიუმის ქართული ენის მასწავლებელს გრიგოლ ბაგინანთის. სწორედ რომი წარმოადგენდა საკვანძო პუნქტს ევროპელი მეცნიერებისთვის, კერძოდ, ალტერისთვის ქართული ენისა და დამწერლობის საკითხების შესასწავლად.

აქედან გამომდინარე, კათოლიკური მისიონერების შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და საქართველოსთან ევროპის ურთიერთობის საქმეში. „ამგვარად, გამაგრდა და განმტკიცდა XVII–XVIII სს. საქართველოში დასავლეთ ევროპის კულტურული ლიტერატურული გავლენა, რომელმაც შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენს საეკლესიო მწერლობაშიაც“ (კეკელიძე 1941: 70).

ქართული ენისა და დამწერლობის საკითხების შესწავლის მიზნით ევროპელ მკვლევართათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქართული სასულიერო ძეგლების, ისტორიული თხზულებებისა და დოკუმენტების შესწავლა. ნაშრომში „ქართული ლიტერატურის შესახებ“ ალტერი გვაწვდის ცნობებს ქართული სასულიერო ლიტერატურის ოთხი ხელნაწერის შესახებ, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკაშია განთავსებული (ალტერი 1798: 14-19). ნიშანდობლივია, რომ ალტერი ფლობდა ინფორმაციას ხელნაწერებისა და „ქართლის ცხოვრების“ თაობაზე თავისი ინფორმანტისა და კორესპონდენტის გრიგოლ ბაგინანთისგან, რომელიც ნათლადაა ასახული მის ნაშრომში. ამავე ნაშრომშია მის მიერვე მითითებული ქართული ცამეტი წიგნის დასახელება, რომელიც გამოცემულია თბილისსა და მოსკოვში. ავტორი ცდილობდა გაერკვია, რომელი წყაროდან ითარგმნა ბიბლია ქართულ ენაზე (ალტერი 1798: 116-117). ასევე მნიშვნელოვანია ავსტრიელი ლინგვისტის მიერ დასახელებული ვრცელი სია ქართული დამწერლობის ძეგლების შესახებ.

როგორც ცნობილია, „**პროპაგანდა ფიდეს**“ კოლეგიუმში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ქართული ენისა და დამწერლობის შესწავლა, რომლებშიაც შესაძლებელი იყო კათოლიკური პროპაგანდის გატარება. კოლეგიუმის მასწავლებლები ასრულებდნენ კონსულტანტისა და შუამავლის როლს ქართული ისტორიის, ენისა და დამწერლობის საკითხებში.

მნიშვნელოვანია, რომ „**ფიდეს**“ სტამბაში სცოდნიათ საქართველოში სასულიერო და საერო მწერლობისათვის გამოყენებული ნუსხური და მხედრული ანბანების შესახებაც და დაუმზადებიათ მხედრული, ნუსხური და ასომთავრული ასოების პუნსონები და მატრიცები, შემდეგ კი ჩამოუსხამთ შესანიშნავი ფილიგრანული ხელოვნებით შესრულებული შრიფტი (ჩიქობავა, ვათეიშვილი 1983).

ღირსსაგნობია, რომ კარლ ალტერის ნაშრომის „ქართული ლიტერატურის შესახებ“ მთავარი ასპექტებია: 1) ქართული დამწერლობის საკითხი; 2) ლექსიკოგრაფიული მასალები, რომელიც ნაშრომის მთავარ ლეიტმოტივს წარმოადგენს; 3) ლექსიკოგრაფიული მასალის საფუძველზე ცნობები ქართველური ენების შესახებ.

ქართული დამწერლობის საკითხზე მსჯელობისას ალტერი ნაშრომში მოიხსენიებს ენების მცოდნესა და იმდროინდელ ცნობილ ფილოლოგს ლა კროზსს როგორც ქართული ენის მცოდნეს (ალტერი 1798:13). ქართული ენის საკითხებთან დაკავშირებით კროზსთან მიმოწერა ჰქონდა ლაიბნიცსაც, რომელიც ჰპირდებოდა მას სტეფანო პაოლინის ლექსიკონის გაგზავნას.

ნიშანდობლივია, რომ ალტერი ნაშრომის ბოლოს, დანართის სახით წარმოგვიდგენს ქართულ ანბანის ცხრილს, რომელიც იყოფა საეკლესიო ანუ ნუსხურ და მხედრულ ანუ საერო სახეობებად. მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოსავლენად, საილუსტრაციოდ იყენებს მის ფონეტიკურ ეკვივალენტებსა და ლათინურ ტრანსლიტერაციას.

ანბანში პირობითადაა აღნიშნული ქართული აფრიკატები. განსაკუთრებით, წარუმატებელია „ჟ“-დან „xan“-ზე გადატანა ეკვივალენტით „x“. ანბანის ბოლო, 38-ე ასო „ჯ — ვიე“ აღნიშნულია ლათინური „f“-ით, რაც იმის მანიშნებელია, რომ XVIII საუკუნის ქართულ ტექსტებში ნასესხები სიტყვების გამოსახატავად ხშირად გამოიყენებოდა ლათინური „f“. სწორედ, ამ მიზეზითაა წარმოდგენილი მცდარი „f“-ის გამოყენება ანბანში.

The image shows a page from a historical manuscript, likely a dictionary or grammar book, detailing the Georgian alphabet. The page is titled 'Alphabetum' at the top. It contains two main columns of data, each with a header and a grid of entries. The entries include Georgian letters, their phonetic values, and numerical values. The table is organized into two main sections, each with a header and a grid of data.

Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum	Alphabetum		
1. ა	ა	1	20	1. ბ	ბ	21	200	1. კ	კ	22	300
2. ბ	ბ	2	200	2. გ	გ	23	400	2. ლ	ლ	24	500
3. გ	გ	3	300	3. დ	დ	25	600	3. მ	მ	26	700
4. დ	დ	4	400	4. ე	ე	27	800	4. ნ	ნ	28	900
5. ე	ე	5	500	5. ი	ი	29	1000	5. თ	თ	30	1100
6. ი	ი	6	600	6. ო	ო	31	1200	6. პ	პ	32	1300
7. თ	თ	7	700	7. ჟ	ჟ	33	1400	7. რ	რ	34	1500
8. ზ	ზ	8	800	8. ს	ს	35	1600	8. ლ	ლ	36	1700
9. წ	წ	9	900	9. ც	ც	37	1800	9. მ	მ	38	1900
10. ძ	ძ	10	1000	10. ჟ	ჟ	39	2000	10. ნ	ნ	39	2000
11. ლ	ლ	11	1100	11. ჟ	ჟ	40	2100	11. თ	თ	40	2100
12. მ	მ	12	1200	12. ჟ	ჟ	41	2200	12. პ	პ	41	2200
13. ნ	ნ	13	1300	13. ჟ	ჟ	42	2300	13. რ	რ	42	2300
14. თ	თ	14	1400	14. ჟ	ჟ	43	2400	14. ლ	ლ	43	2400
15. პ	პ	15	1500	15. ჟ	ჟ	44	2500	15. მ	მ	44	2500
16. რ	რ	16	1600	16. ჟ	ჟ	45	2600	16. ნ	ნ	45	2600
17. ლ	ლ	17	1700	17. ჟ	ჟ	46	2700	17. თ	თ	46	2700
18. მ	მ	18	1800	18. ჟ	ჟ	47	2800	18. პ	პ	47	2800
19. ნ	ნ	19	1900	19. ჟ	ჟ	48	2900	19. რ	რ	48	2900
20. თ	თ	20	2000	20. ჟ	ჟ	49	3000	20. ლ	ლ	49	3000
21. პ	პ	21	2100	21. ჟ	ჟ	50	3100	21. მ	მ	50	3100
22. რ	რ	22	2200	22. ჟ	ჟ	51	3200	22. ნ	ნ	51	3200
23. ლ	ლ	23	2300	23. ჟ	ჟ	52	3300	23. თ	თ	52	3300
24. მ	მ	24	2400	24. ჟ	ჟ	53	3400	24. პ	პ	53	3400
25. ნ	ნ	25	2500	25. ჟ	ჟ	54	3500	25. რ	რ	54	3500
26. თ	თ	26	2600	26. ჟ	ჟ	55	3600	26. ლ	ლ	55	3600
27. პ	პ	27	2700	27. ჟ	ჟ	56	3700	27. მ	მ	56	3700
28. რ	რ	28	2800	28. ჟ	ჟ	57	3800	28. ნ	ნ	57	3800
29. ლ	ლ	29	2900	29. ჟ	ჟ	58	3900	29. თ	თ	58	3900
30. მ	მ	30	3000	30. ჟ	ჟ	59	4000	30. პ	პ	59	4000
31. ნ	ნ	31	3100	31. ჟ	ჟ	60	4100	31. რ	რ	60	4100
32. თ	თ	32	3200	32. ჟ	ჟ	61	4200	32. ლ	ლ	61	4200
33. პ	პ	33	3300	33. ჟ	ჟ	62	4300	33. მ	მ	62	4300
34. რ	რ	34	3400	34. ჟ	ჟ	63	4400	34. ნ	ნ	63	4400
35. ლ	ლ	35	3500	35. ჟ	ჟ	64	4500	35. თ	თ	64	4500
36. მ	მ	36	3600	36. ჟ	ჟ	65	4600	36. პ	პ	65	4600
37. ნ	ნ	37	3700	37. ჟ	ჟ	66	4700	37. რ	რ	66	4700
38. თ	თ	38	3800	38. ჟ	ჟ	67	4800	38. ლ	ლ	67	4800

კარლ ალტერის ნაშრომში განსაკუთრებით ფასეულია ლექსიკოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია ქართველური ენების შესახებ, კერძოდ, ქართველური ენების შედარებითი თარგმნითი ლექსიკონი სახელწოდებით „**Vergleichung der Kartelschen, der Gelehrten Georgianischen**“. მას საფუძვლად დაედო პეტერბურგის შედარებითი ლექსიკონი, რომელიც გამოცემული იყო პალასის მიერ. ლექსიკონი შედგება 273 ლექსიკური ერთეულისაგან და ამასთანავე ცალკე გამოყოფილია რიცხვითი სახელები (ალტერი 1798: 131-164). კარლ ალტერისათვის, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, მასალების შეკრება-შეჯერებაში დახმარება გაუწევია კვლავ მის კონსულტანტს გრიგოლ ბაგინანთის. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი არ არის დაზღვეული ლინგვისტური უზუსტობებისაგან, რომელსაც თვითონვე აღიარებს თავის ერთ-ერთ ნაშრომში „**Philologisch-kritische Miscellaneen**“ („ფილოლოგიურ-კრიტიკული სტატიები“) (ალტერი 1799: 202), მაინც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ალტერის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი დიდი გაბედული ნაბიჯია ქართული ენის ლექსიკის შესწავლის საქმეში.

პუბლიკაციის ტექსტის მიხედვით, საილუსტრაციოდ, გთავაზობთ ფრაგმენტს ალტერის მიერ შედგენილი ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონიდან:

„Kartel. Deda. Gel. Georg. deda. Vulg. Georg. deda. Imeret. dida. Lat. mater.

Kartel. Schilli. Gel. Georg. re. Vulg. Georg. fciuili. Lat. filius.

Kartel. Ena. Gel. Georg. ena. Vulg. Georg. ena. Imeret. Inna. Lat. Lingua.

Kartel. Guli. Gel. Georg. guli. Vulg. Georg. Guli. Imeret. Guri. Lat. Cor.

Kartel. Gemovneba, gemo. Gel. Georg. Gemo. Vulg. Georg. Mozonbuli. Lat.

Guftus.

Kartel. Saubari, fitchwa. Gel. Georg. fitqua. Vulg. Georg. fitchua.

Kartel. Sikwaruli, ukvar. Gel. Georg. fiqwaruli. Vulg. Georg. mokuare. Latein. Amor.

Kartel. Suli. Gelehrt-Georg. fuli. Vulg. Georg. fuli. Lat. Spiritus.

Kartel. Galoba (cantus) galobad. Gel. Georg. dagalbad. Lat. canere.

Kartel. Me. Imeret. ma. Suanet. Mi. Gel. Georg. me. Vulg. Georg. me. Latein. Ego.

Kartel. Ori. Suanet. Ieru. Gel. Georg. orni. Beim Magg. Ori. Lat. duo.

Kartel. Rwa. Imiret. Rua. Suanet. Ara. Gel. Georg. rwani. Bein Magg. Tua.

Latein. Oto“ (ალტერი 1798: 131-164).

როგორც ლექსიკონიდან ირკვევა, ალტერი იძლევა ქართული, მეგრული და სვანური ენების ნიმუშებს და შესაბამისად, ლათინურად განმარტებას, თუმცა, სამწუხაროდ, თავს ვერ აღწევს შეცდომებს: საეკლესიო ენას უპირისპირებს საერთო სახალხო ქართულს და მეგრულ ენად მოიაზრებს იმერულ დიალექტს.

ბიბლიიდან ამოღებული ქართული ლექსიკური ერთეულები, რომელიც ალტერს გამოყენებული ჰქონდა ლექსიკონში, ჩაწერილია ლათინური ტრანსკრიფციის მიხედვით მთელი რიგი უზუსტობებით: შედარებით ლექსიკონში აღნიშნება ქართული ლექსემების არაზუსტი დაწერილობა, კერძოდ, **ძე**, **ძმა**, **ძვალი**, **ძილი**, **ძალი**, **სიგრძე** აღნიშნულია როგორც, **re**, **rma**, **rwali**, **rili**, **rali**,

**sigree.** მარტივი დასადგენია, რომ ავტორს „ძ“-ს ნაცვლად გამოყენებული აქვს „რ“. ანალოგიური მდგომარეობაა ლექსებში **სიტყვა, სიყვარული, სული**, რომლის საპირწონედ ავტორი იყენებს **fitchwa, fiqwaruli, fuli**. აქაც, „ს“-ს ნაცვლად „ფ“ გრაფემაა ჩასმული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ლექსიკონის შემდგენელმა ქართული ენა არ იცოდა და შესაბამისად, ქართული ენის ფონეტიკურ თავისებურებებში ვერ ერკვეოდა.

შეიძლება ითქვას, რომ კარლ ალტერის ნაშრომი „**ქართული ლიტერატურის შესახებ**“ შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალას ქართველოლოგიისათვის. თხზულების ღირსებად მიჩნეულია ის, რომ გარდა გამოყენებული მასალისა, იგი საარქივო და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, უხვად სარგებლობს წინამორბედთა ლინგვისტური მონაცემებით. ბუნებრივია, ალტერისთვის, როგორც უცხოელისათვის, ძნელი იყო ბოლომდე ჩასწვდომოდა ქართული ენის არსს. ამის გამო მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული ენათმეცნიერული უზუსტობებისაგან. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

სპეციალისტების აზრით, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, ალტერის შრომა ქართულ ენაზე, მის დიალექტებსა და ლიტერატურაზე უცხოეთში მასალის შევსების, სისტემატიზაციისა და შესწავლის პირველი საინტერესო და საყურადღებო ცდაა (რევიზილი 1969: 144).

და ბოლოს, ფრანც კარლ ალტერის ნაშრომი „**ქართული ლიტერატურის შესახებ**“ ფასეულია როგორც ისტორიოგრაფიისა და დამწერლობათმცოდნეობის კვლევებისთვის, ასევე ლექსიკოგრაფიული და ქართველოლოგიური თვალსაზრისითაც.

## ლიტერატურა

**ალტერი 1798** – Alter, Franz Karl, Ueber georgianische Litteretur. Wien.

**ალტერი 1799** – Alter, Franz Karl, Philologisch – kritische Miscellaneen. Wien.

**თამარაშვილი 1902** – მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი.

**კეკელიძე 1941** – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი.

**პაოლო ლეონი 1780** – Notizie riguardanti la sagra Scrittura Georgiana per ordine del Card. Borgia da Stefano Avutandil scritta in lingua Giorgiana, tradotta da Paolo Leoni. Rom.

**რევიზილი 1969** – შ. რევიზილი, ქართული ლიტერატურის გერმანელი მკვლევარები, ჟურნალი „ცისკარი“, თბილისი.

**ცაგარელი 1886** – А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып.1. СПб., Санкт-Петербург.

**ჩიქობავა, ვათეიშვილი 1983** – არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბილისი.

---

IRINE CHACHANIDZE

**Kartvelian Linguistic Trends in the Legacy  
of Franz Karl Alter**

S u m m a r y

The paper "Kartvelian Linguistic Trends in the Legacy of Franz Karl Alter" presents the study of works by an Austrian linguist and the founder of European Kartvelology – Franz Karl Alter (1749-1804).

Based on the comparative study of the texts of the Georgian Bible published in Moscow in 1743 and the Greek one, Karl Alter published the work "Ueber Georgianische Litteretur" in Vienna in 1798 that contains all the information about the Georgian language and its writing available in Europe in the 18<sup>th</sup> century.

რიტა ჯაიანი

**განსხვავებულ სოციოლინგვისტურ გარემოთა გავლენა  
ჰაიფის ებრაელთა ქართულ მეტყველებაზე\***

საქართველო კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს მრავალი ერი და კულტურა ხვდება. მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქართველია, ხოლო დაახლოებით 13 პროცენტს სხვა ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე), მათ შორის ებრაელები, რომელთაც საქართველოში ცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ მათი თანაცხოვრება მშვიდობიანი იყო, რის დასტურსაც წარმოადგენს ფაქტი, რომ საქართველომ 2018 წელს ქართულ-ებრაელი მეგობრული ურთიერთობები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა და იუნესკოს მიმართა თხოვნით, რომ მოხდეს ამის საერთაშორისო დონეზე აღიარება, მათ ოცნებას ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდგომ, ებრაელებს მიეცათ იმედი, რომ მათი მრავლსაუკუნოვანი ნატვრა შესაძლებელი იყო რეალობად ქცეულიყო.

საქართველოში ებრაელები ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ და შესაბამისად საცხოვრებლადაც ისეთ ადგილებს ირჩევდნენ, რადაც ეს საქმე შემოსავლიანი იქნებოდა. ისინი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ცხინვალი, ბათუმი, ქარელი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია, სენაკი, ფოთი და ა. შ.) ებრაულ დასახლებებს ქმნიდნენ და არაებრაელთა მეზობლად ცხოვრობდნენ. ებრაელთა უმეტესი ნაწილი ქართულს მშობლიურ ენად მიიჩნევდა. მათი სამეტყველო ენა ქართული იყო, თუმცა მათი ქართული სტანდარტული ქართულისგან აშკარად განსხვავდებოდა. „რატომ და როგორ – ეს კითხვები ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება, რადგან სერიოზული და დროული ყურადღება მათი მეტყველების შესწავლას არ დათმობია“ (ენოხი 2013). ისტორიული წყაროების მიხედვით უცნობია, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ საქართველოში პირველად ჩამოსული ებრაელები. „ისტორიულ წყაროებში მითითებულია, რომ წმიდა ნინოს (ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნე) მცხეთის ებრაელებთან კონტაქტი გაუადვილდა იმიტომ, რომ მათ ებრაულად ესაუბრებოდა, მაგრამ ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს, რადგანაც საყოველთაოდ ცნო-

\* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: DI-2016-32, „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“].

ბილია, რომ თვით ისრაელის ქვეყანაში ლოცვისას იყენებდნენ ებრაულს, მაგრამ მეორე ტაძრის ეპოქაში ებრაული სასაუბრო ენა აღარ იყო, იგი არამეულმა ჩაანაცვლა, შეიძლება იმის გამო, რომ არამეული, ასე ვთქვათ, *lingua franca*-დ იქცა რეგიონში“ (ლომთაძე, ჯანჯღავა 2018).

საერთო ჯამში, ქართველ-ებრაელთა მეტყველება წარმოადგენდა სტად-ნარტული ქართულის, ადგილობრივი დიალექტისა და ებრაული ენის (ებრაიზმების) ნაზავს სპეციფიკური ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური მახასიათებლებით. შესაბამისად, ის განსხვავდებოდა იმ რეგიონის მიხედვით, სადაც სახლობდნენ ებრაელები, თუმცა ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი ყველა კუთხის ებრაელთათვის საერთო იყო. „ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა მიერ გამოყენებული ქართული ენის ნაირსახეობა მათი ეთნოლოგისტური იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია“ (ლომთაძე, ენოხი 2019).

ქართველ ებრაელთა პირველმა ნაკადმა საქართველო 1970-იან წლებში დატოვა და საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა. ამა მოჰყვა მეორე, უფრო მასობრივი მიგრაცია 1990-იან წლებში და ქვეყანა ჯამში 100 000-მა ქართველმა ებრაელმა დატოვა. დარჩენილთა რიცხვი ძალიან მცირეა და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული. სწრედ ამიტომ, რთულია მათი მეტყველების საქართველოს ფარგლებში შესწავლა, რადგან რესპონდენტთა მწირი რაოდენობა შეუძლებელს ხდის საერთო, რეალური სურათის წარმოჩენას. 2016 წლიდან, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება სამწლიანი პროექტი „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“, რომელიც ქართველ ებრაელთა მეტყველებას ენის ყველა დონეზე იკვლევს ისრაელში და წარმოადგენს რეალურ სურათს, რადგანაც აქამდე მსგავსი კვლევა არ განხორციელებულა (თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან სამეცნიერო სტატიებსა და გამოკვლევებს).

ქართველი ებრაელები საქართველოდან მიგრაციის შემდგომ ისრაელის სხვადასხვა ქალაქებში დასახლდნენ. საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ისინი ისრაელის ჩრდილოეთით, კერძოდ ჰაიფაში, ისრაელის სიდიდით მესამე ქალაქში, რომლესაც „ჩრდილოეთ ისრაელის დედაქალაქსაც“ უწოდებენ. ის ქვეყნის ჩრდილოეთის უმნიშვნელოვანესი რეგიონალური ცენტრია, სადაც 280 000-ზე მეტი მოსახლე ცხოვრობს (აქედან 25%-ს წარმოადგენს მიგრატები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან). ჰაიფა ქვეყნის ერთ-ერთი დიდი საპორტო ქალაქია, ვინაიდან ისრაელის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მულტიკულტურულ ნაწილად ითვლება. ებრაელებთან ერთად აქ ცხოვრობენ არაბები (ისრაელის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით – ჰაიფას მოსახლეობის 10%), დრუზები, ბაჰაის მიმდევრები. ქალაქი გამოირჩევა საზოგადოებაში არაბი მოქალაქეების საკმაოდ მაღალი ინტეგრაციით, ამასთან ჰაიფაში ულტრაორთოდოქსი იუდეველების ე.წ. „ხარედიმ“-ების რიცხვი (2-3%) ბევრად ნაკლებია, დანარჩენ ისრაელთან შედარებით (7,5%). მოსახლეობის 14%-ს ქრისტიანები შეადგენენ (უმრავლესობა არაბი ქრისტიანები), 4% კი მუსულმანია. საბჭოთა კავშირიდან წამოსული ებრაელები, რომელთა უმრავლესობა შერეულ ქორწინებაში იმყოფება, ტრადიციული გაგებით არ არიან იუდაიზმის მიმდევრები.

მოსახლეობის 66% თავს მიიჩნევს სეკულარულად, ქალაქიც შესაბამისად ბევრად სეკულარულია. ამის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია უნივერსიტეტები და ბევრი უცხოელი სტუდენტი. შაბათსაც ჩვეულებრივად მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არ არსებობს ერთმანეთისაგან გამიჯნული რელიგიური და ჩვეულებრივი სანაპირო ზოლები (მაგალითად, როგორც თელ-ავივშია).

ქალაქის ეს ზოგადი დემოგრაფიული, ეთნიკურ-რელიგიური სურათი გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ქართველ ებრაელებზე და მათ მეტყველებაზე. მაგალითად, სეკულარული გარემოს გავლენა უნდა იყოს ფაქტი, რომ მათ მეტყველებაში ნაკლები მოისმენთ ფრაზებს הווי לא (toda la'el), הווי לא (barúkh hashém) „მადლობა ღმერთს“, הווי לא (b'ezrat hashem) „ღვთის წყალობით“, რომელსაც იერუსალიმში მცხოვრები ქართველი ებრაელები ძალიან ხშირად იყენებენ ქართულად საუბრის დროსაც კი.

ჩვენი კვლევის რესპონდენტებს შორის იყვნენ როგორც პირველი თაობის რეპატრიანტები, რომლებიც ისრაელში ძირითადად იომ ქიფურის ომის პერიოდში ჩავიდნენ, ასევე მეორე თაობის – დიდი საბჭოთა ალიის ტალღის მონაწილეები. მათი მეტყველების თავისებურებებს შორის დიდი განსხვავება არ იგრძნობა, სამაგიეროდ თვალშისაცემია სხვაობა ქართულ თემთან კავშირის მქონე (გაზეთის, პოეზიის საღამოების, ქართული ცეკვის წრეების და ა. შ. მემკვიდრეობით) და ქართულ თემს მოწყვეტილ, ისრაელის საზოგადოებაში უფრო მეტად ინტეგრირებულ, ქართველ ებრაელებს შორის. პირველები აქტიურად იყენებენ დიალექტურ ფორმებს, თამამად საუბრობენ ქართულად, მეორენი კი საკომუნიკაციოდ ამჯობინებენ ებრაელის გამოყენებას. მეორე ტიპს გაცილებით მეტად ახასიათებს შერეული ქორწინებები, რაც ალბათ განაპირობებს ქართულის, როგორც ოჯახში საკომუნიკაციო ენის ფუნქციის დაკარგვას. ამასთანავე საბჭოთა პერიოდის ტალღის მონაწილეებმა, ისევე როგორც პირველი თაობის რეპატრიანტებმა საქართველოსთან კავშირი სრულად გაწყვიტეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე. უმეტესად, სწორედ ისინი არიან ქართულ თემთან კავშირის მქონენი, რადგან იზოლიაციის დროს, საქართველოს სიყვარულს, სწორედ ამით გამოხატავდნენ. მათ საქართველოდან წაიღეს უფრო მეტად დიალექტური ქართული, ვიდრე დამოუკიდებლობის დროს რეპატრირებულებმა.

რესპონდენტთა უმრავლესობა, მათ შორის პირველი თაობის რეპატრიანტებიც კი თავიანთ მშობლიურ ენად მიიჩვენებენ ქართულს, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თითქმის 50 წელია გასული. ერთ-ერთმა მათგანმა (ქალბატონი, ისრაელში 1973 წელს ჩასული) ინტერვიუს დროს განაცხადა: „აქ რომ ჩამოვედით, რამდენიმემ გვითხრა, რომ როცა ივრითულ ენაზე ისწავლით დათვლას გონებაში, აი მაშინ უნდა ჩათვალთ, რომ ის ენა იცით... როცა ანგარიში მინდა რამე, მაინც ქართულად ვანგარიშობ“.

თვალში საცემია რუსული ლექსიკური ერთეულების (რუსიციზმების) ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით კი პირველი პერიოდის რეპატრიანტებთან, რომელთა დიდ ნაწილს საქართველოში განათლება რუსულად ჰქონდა

მიღებული, ან უბრალოდ ქართულ ენასთან ერთად ხშირად გამოიყენებდნენ რუსულს კომუნიკაციისათვის. ამან გავლენა იქონია ამჟამად ისრაელის ჩრდილოეთით მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაზე და დღესაც, ინტერვიუს ჩაწერისას, მათ საუბარში ხშირად მოვკრავთ ყურს ისეთ რუსულ სიტყვებს, როგორებიცაა: *ვდრუგ, დაჟე, ტრუბა, პრაზნიკი, კარტოჩკა, სააკუშერკო, სმენა, შოფრობა, ლეჟანკა, აკოშკა, იგრუშკები* და ასე შემდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია ყველა ქართველი ებრაელისთვის არის დამახასიათებელი განურჩევლად ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილისა.

მეტყველების თავისებურებები მეტნაკლებად განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ საქართველოს რომელ რეგიონში მცხოვრები ებრაელის მეტყველებას ვიწერდით. რამდენიმე რესპონდენტი, რომელიც ჰაიფაში ჩასვლამდე დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, საუბრისას ხშირად იყენებდა დიალექტიზმებს, იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, მაგ. *ქართველმა ბოვშებმა, რომლებმაც ისრაელში დაიბადენ; სიამაყით არ ვლახპარიკობ; ჩვენ რო ჩამევედით, მაშინ იყო 20 ათასი მაცხოვრებელი; აშდოდში გამოვუშვი ოცდაათხმეტი წლის ისტორია ქართველ ებრაელებზე; გამოზენცელებულმა მთვრალმა გამლახაო; თვარა წეგყვანებენ გაგხევენ ცემითაო* და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია თავისებურება, რომელიც რესპონდენტთა უმრავლესობის მეტყველებაში აღინიშნებოდა. საუბრის დროს ისინი სიტყვებს შეუსაბამო ადგილას იყენებდნენ, რაც კონტექსტში არ ჯდებოდა. ეს ძირითადად ხდებოდა მაშინ, რეოდესაც მოსაუბრე ცდილობდა გამოეყენებინა მაღალფარდოვანი სიტყვები და ეჩვენებინა, რომ ქართულს ისევ აკადემიურ დონეზე ფლობდა. ეს ძალიან ხელოვნურად ჟღერდა, რადგან ასეთ ფორმებს ჩვეულებრივად მოსაუბრე ქართველი არ გამოიყენებდა, მაგ. *პარალელურად ჰყავდა მამამთილი; ებრაული ფაქტორის მიმდინარეობების გავლენა იგრძნობოდა; ქალი გადაიქცა ერთ-ერთ დამფინანსებელ ფაქტორად ოჯახში, მას გაუჩნდა უფლებები, იგი ემანსიპაცირებული გახდა, უფრო უფლებამოსილი საზოგადოებაში; მაცა რომ არ აიბურთოს და იყვეს პირდაპირი* და ასე შემდეგ.

რიგ შემთხვევებში ჰაიფაში მცხოვრები ებრაელები სიტყვის ძირ-ფუძეს არასწორ ფორმაში სვამენ და შესაბამისად ქართულად გაუმართავი წინადადებებით გადმოსცემენ სასურველ აზრს, მაგ. *უბრალოდ უნდა მისდიო იმას, რაც გწამს და აღესრულო ეს თქვენი სურვილები; გაზრწყინვალელები მომავალი უნდა ჰქონდეს; ჩვენ თაობას მოუხდა ეს გარდატეხილი მხარე ეს, ეს გარდატეხილი ეპოქა; დაბალ ფენებში, რომელიც ყველა დისკრიმინებულიად არის აღქმული; იმის შემოტანილი მუშა ნამუშვრული კაპიკები; ეს იყო ჩვენი სულიერი გამაძლებელი საკვები; ჩვენ ერთმანეთს ვშურიანობთ, ვშულდობთ; კვირა დღე ძალიან მრავლობა იყო; ნელანელაობით შევეჩვიეთ და სხვა.*

ხშირია ზედსართავის სახელისა და წარმომავლობის მაწარმოებელი სუფიქსების არევა, მაგ. *ირაკელი კერძი* (ერაყული), *ქართული მოცეკვავე* და ა. შ. ასევე შესამჩნევია საერთაშორისო ხმარებაში არსებული სიტყვებისთვის ებრაული დაბოლოებების დართვა (როგორც ვიცით, ასეთი სიტყვები ყველა ენაში მისთვის დამახასიათებელ ფორმასა და დაბოლოებას იძენს), მაგ. *აუდიტორი-*

უმი „აუდიტორია“, *თეატრონი* „თეატრი“, *ამფითეატრონი* „ამფითეატრი“, *იერუსალიმი* „იერუსალიმი“ და ა. შ.

მათი ქართული მეტყველება ასევე საინტერესოა რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისითაც. როგორც ვიცით, ქართულ ენაში როდესაც მსაზღვრელი სიმრავლეს გამოხატავს, მას საზღვრული ყოველთვის მხოლოდობით რიცხვში მოჰყვება. ამ შემთხვევაში, მათ მეტყველებაზე ებრაული ენის გავლენა იგძნობა. *ბევრი, ყველა, უამრავი-ს* შემდეგ არსებით სახელს მრავლობით რიცხვში სვამენ (ებრაულში ზედსართავი და არსებითი სახელები მრავლობითის ფორმას იღებენ, 1-ზე მეტი რიცხვითი სახელის გამოყენების შემთხვევაში საზღვრული ყოველთვის მრავლობით რიცხვშია).

რესპონდენტთა ნაწილი, რომელიც გამართული ქართულით, უშეცდომოდ საუბრობდა, შიგადაშიგ ებრაულ ტერმინოლოგიას ურევდა. ისინი იყენებდნენ ისეთ ებრაიზმებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრების პერიოდში არასოდეს გამოუყენებიათ, (როგორც ვიცით, ისრაელში დაბრუნებამდე მათ მეტყველებაში მხოლოდ რელიგიასთან დაკავშირებული ებრაიზმებს შევხვდებოდით, რადგან ივრითი მხოლოდ რაბინებმა და ნაწილობრივ მათმა ოჯახის წევრებმა იცოდნენ), ძირითადად სამსახურთან და განათლებასთან დაკავშირებულს, მაგ. *თოარ რიშონი* „ბაკალავრის ხარისხი“, *მიშმერეთი* „მოვალეობა, ფუნქცია“, *თოარ შენი* „მაგისტრის ხარისხი“, *კიცონი* „ექსტრემისტი“ და ა. შ.

ამგვარად, ქართველ-ებრაელთა მეტყველება და მისი თავისებურებები, როგორც ისრაელის ჩრდილოეთით, ისე ქვეყნის სხვა ნაწილებში მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს ლინგვისტური თვალსაზრისით. აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაგრძელება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მომავალში, ახალ ლინგვისტურ გარემოში, თაობათა ცვლა ხელს შეუშლის ჯერ კიდევ ცოცხალი მეტყველების შესწავლას.

## ლიტერატურა

**ენობი 2013** – რ. ენობი, „კავშირი ლიტერატურულ ქართულს, იმერულ კილოსა და ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებას შორის, სხვა სიტყვებით, ებრაელთა მეტყველება ლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის საზღვარზე“, ენა და კულტურა, №2, ქუთაისი.

**ლომთაძე, ჯანჯღავა 2018** – თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა, “Linguistic Competence of Tskhinvali Jews”, სერგეი ბურაგოს 26-ე საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“, მასალები, კიევი.

**ლომთაძე, ენობი 2019** – თ. ლომთაძე, რ. ენობი, “Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews (The Jews Living in Georgia)”, ებრაულ ენათა ჟურნალი, №7.

RITA JAIANI

**The Influence of Different Sociolinguistic Environments  
on the Georgian Speech of Haifa Jews**

## S u m m a r y

Georgia is one of the most distinguished countries of the Caucasus region where a number of nations and cultures coexist. The majority of the population is ethnic Georgian and about 13 percent are other ethnic groups including Jews who have 26 years of history of living in Georgia.

The first flow of Georgian Jews left Georgia in the 1970s and moved to Israel. This was followed by the second more massive migration in the 1990s and a total of 100 000 Georgian Jews left the country.

After the migration from Georgia, Georgian Jews settled in different cities in Israel. There are quite a large number of them living in the north of Israel, namely, in Haifa that is called “the capital of northern Israel”. It is considered to be one of the most multicultural parts of the country. This general demographic, ethnic-religious picture of the city affects Georgian Jews living there and their speech.

The speech of Georgian Jews is a mixture of standard Georgian, a local dialect and the Hebrew language (Hebrewisms) and has specific phonetic, grammatical or lexical peculiarities.

Thus, the speech of Georgian Jews and its peculiarities in the north of Israel, as well as in other parts of the country gives important linguistic information.

მარინა ჯღარკავა

### ნაწილაკდართულ არსებით სახელთა ბრუნება მეგრულ-ლაზურში

მეგრულსა და ლაზურში ნაწილაკები წარმოდგენილია დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე ან მქონე სიტყვით, ბგერით თუ ბგერათა კომპლექსით. ზოგი ცალკე მდგომია, ზოგი მიერთვის სიტყვას ან წინადადებას, ზოგიც მოსდევს სიტყვას ან წინ უსწრებს მას. ამავე დროს ზოგიერთი ნაწილაკი მრავალფუნქციურია და, გარდა ლექსიკურისა, გრამატიკული მნიშვნელობის მქონეცაა. ნაწილაკთა ერთი ჯგუფი საერთოა მეგრულ-ლაზურისთვის მასალობრივად, ხოლო მეორე ჯგუფი საკუთრივ მეგრულის ან ლაზურის კუთვნილებაა, ხშირად – ნასესხები შესაბამისად ქართულიდან და თურქულიდან. ნაწილაკის ფუნქცია წინადადებაში განსხვავებულია, კერძოდ, გვაქვს: კითხვითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, დადასტურებითი, გამძლიერებითი, სხვათა სიტყვის, მოდალური ნაწილაკები(ლაზ-მეგრ. გრ. 2015).

დღემდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია მეგრულ-ლაზურში გავრცელებულ ნაწილაკთა დახასიათება (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, გ. კარტოზია, მ. ლომია, ე. დადიანი...). ყველაზე სრულად ნაწილაკები განხილულია ჭ. ქირიას, ლ. ეზუგბაიას, ო. მემიშიშისა და მ. ჩუხუას ფუნდამენტურ ნაშრომში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ (I. მორფოლოგია), თუმცა არსად ცალკე არაა გამოყოფილი ნაწილაკდართული არსებითი სახელების ბრუნება და პარადიგმები.

საკითხთან დაკავშირებული ნაშრომების შესწავლისას, მეგრული და ლაზური გამოქვეყნებული ტექსტებისა და ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეგრულ-ლაზურში გავრცელებულია არსებით სახელებთან გამოყენებული შემდეგი ნაწილაკები:

1. კითხვითი – მეგრულში -**ო//ვო** (ლაზურის -ი დაერთვის მხოლოდ ზმნებს);
2. გამძლიერებითი – ქართული -**ც**-ს მნიშვნელობით გამოყენებული -**თი**; **ხოლო** (ლაზურში რედუცირებული სახით **ხოლ//ხოლო**);
3. სხვათა სიტყვის – პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ლაზურში **მა**, მეგრულში **მაქ//მაქი// მაქგ//მაქუ**; მეორე პირის -**შო**; მესამე პირის: მეგრულში -**ა** (//-ია), ლაზურში -**ა//აა**;
4. მაკონსტრუირებელი – **ო**, -**და**, ლაზ. -**ნა**; პირობით წინადადებაში – მეგრულში -**და**, ლაზურში -**ნა**;
5. მოდალური ნაწილაკები : მეგრულში -**გე//გეე** და -**მე//მეე**, ლაზურში **თო**.

**მოკლედ განვიხილავთ თითოეულ მათგანს:**

**კითხვითი ნაწილაკი**

მეგრულში -**ო** კითხვითი ნაწილაკია და ის ძირითადად დაერთვის ზმნას, შეიძლება სახელსაც დაერთოს. ქართულში მისი შესატყვისია -**ა**, რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა (ჩიქობავა 2008/1: 193; შანიძე 1953: 628).

ლაზურის -**ო** კითხვითი ნაწილაკი ფონეტიკურად ვერ დაუკავშირდება ვერც მეგრულს და ვერც ქართულს: მხოლოდ ფუნქციური შესატყვისობაა მათ შორის, თუმცა არნ. ჩიქობავას აზრით, ლაზური -**ო** „უნდა იყოს იგივე -**ო**, რასაც სვანური იყენებს კითხვითს წინადადებაში” (ჩიქობავა 2008/1: 193). ლაზურშიც -**ო** ნაწილაკი ერთვის ზმნას (ლაზ-მეგრ. გრ. 2015: 720); კითხვითი ნაწილაკები გვხვდება არაკითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებაში.

-**ო** მეგრულში არსებით სახელს დაერთვის ბრუნვის ნიშნის შედეგ. ხმოვანფუძიანებთან მის წინ ხშირად ვითარდება **ვ**: ბაღანაო/ბაღანავო? კირდეო/კირდეო?

კითხვითნაწილაკიანი არსებითი სახელი სინტაქსურად სახელდებითი წინადადება ან მისი ძირითადი შემადგენელი.

მაგ.: მის მეჩით ბურჭული, **ბაღანასო?** „ვის მიეცით წალდი, ბავშვს?“; მიქ ძირუ თე კოჩი? სქანი მეძობელქო? „ვინ ნახა ეს კაცი? შენმა მეზობელმა?“...

ჩვენი აზრით, ზოგჯერ კითხვითსიტყვიან წინადადებაში კითხვითი ნაწილაკი -**ო** რიტორიკული აქცენტის გასაძლიერებლად გამოიყენება ერთგვარი პასუხისას. მაგ, მის ვაძირუნდი ართო თაქ: **ქორთუსო, რუსისო, ბერძენსო, სომეხისო?! ...** (მას.) „ვის არ ნახავდი ერთად აქ: ქართველს, რუსს, სომეხს, ბერძენს?!“...

**-ო ნაწილაკი თანხმოვქნფუძიანებთან:**

სახელობითი	კოჩ-ო-ო	კოჩ-ეფ-ო-ო
მოთხრობითი	კოჩ-ო-ქ-ო//კოჩ-ქ-ო	კოჩ-ეფ-ქ-ო
მიცემითი	კოჩ-ო-ს-ო//კოჩ-ს-ო	კოჩ-ეფ-ს-ო
ნათესაობითი	კოჩ-იმ-ო//კოჩ-შ-ო	კოჩ-ეფ-იმ-ო
მიმართულებითი	კოჩ-იშა-ო//კოჩ-შა-ო	კოჩ-ეფ-შა-ო
დაშორებითი	კოჩ-იმე-ო//კოჩ-შე-ო	კოჩ-ეფ-შე-ო
დანიშნულებითი	კოჩ-იმო-ო//კოჩ-შო-ო	კოჩ-ეფ-იმო-ო
მოქმედებითი	კოჩ-ით(ი)-ო	კოჩ-ეფ-ით(ი)-ო
ვნებითი ანუ გარდაქცევითი	კოჩ-ო-ო/კოჩ-ო-ვო	კოჩ-ეფ-ო-ო

**-ო ნაწილაკი ხმოვანფუძიანებთან:**

სახელობითი	ცირა-ო/ცირა-ვო	ცუდე-ო/ვო
მოთხრობითი	ცირა-ქ-ო	ცუდე-ქ-ო
მიცემითი	ცირა-ს-ო	ცუდე-ს-ო
ნათესაობითი	ცირა-შ(ი)-ო	ცუდე-შ(ი)-ო
მიმართულებითი	ცირა-შა-ო/ვო	ცუდე-შა-ო/ვო
დაშორებითი	ცირა-შე-ო/ვო	ცუდე-შე-ო/ვო
დანიშნულებითი	ცირაშო-ო/ვო	ცუდე-შო-ო/ვო
მოქმედებითი	ცირა-თ(ი)/ო	ცუდე-თ(ი)-ო
ვით. ანუ გარდაქ.	ცირა-თ-ო/ოვო	ცუდე-თ-ო/ვო

სახელობითი	კოტო-ო/ვო	კატუ-ო
მოთხრობითი	კოტო-ქ-ო	კატუ-ქ-ო
მიცემითი	კოტო-ს-ო	კატუ-ს-ო
ნათესაობითი	კოტო-შ(ი)-ო	კატუ-შ(ი)-ო
მიმართულებითი	კოტო-შა-ო/ვო	კატუ-შა-ო/ვო
დაშორებითი	კოტო-შე-ო/ვო	კატუ-შე-ო/ვო
დანიშნულებითი	კოტო-შო-ო/ვო	კატუ-შო-ო/ვო
მოქმედებითი	კოტო-თ(ი)-ო	კატუ-თ(ი)-ო
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-თ-ო	კატუ-თ-ო

**გაძლიერებითი ნაწილაკები**

ზანურში არსებით სახელებთან გვხვდება ქართული **-ც(ა)**-ს შესატყვისი **ხოლო** და **თი** ნაწილაკები. აღსანიშნავია, რომ მეგრულში **ხოლო** და ლაზურში **ხოლ/ხოლო** ასრულებს ზმნიზედის ფუნქციასაც და განსაზღვრებითი („-ვე“) ნაწილაკის ფარდია რიცხვით სახელებთან და ზმნიზედებთან (ლაზ.-მეგრ. გრ. 2015: 747). არსებით სახელთან **ხოლო** ნაწილაკი ცალკე იწერება და დაერთვის ყველა ბრუნვის ფორმას მხოლობითსა და მრავლობითში : **კოჩი ხოლო** „კაციც“, **ულა ხოლო** „წასვლაც“, **გურქ ხოლო** „გულმაც“, **მუშობათ ხოლო** „მუშაობითაც“, **ბოშიშე ხოლო** „ბიჭისგანაც“...

მაგ., მეგრულში: ქომაშქირენ, მარა თიმ მანწარათ, ა, ულა ხოლო ოზარ (ლომია, გერსამია 2012: 18) „მოშივდა, მაგრამ ისე მწარედ მოშივდა, აი, წასვლაც ეზარება“. ქართის ხოლო ბინეფი ულუნა (ლომია, გერსამია 2012: 34) „თბილისშიც ბინეფი აქვთ“. ათე მოხუცებულც ხოლო ცუნც ბრელ სქუაღეფ (ლომია, გერსამია 2012: 52) „ამ მოხუცსაც ჰყავს ბევრი შვილები“. „იმ უბედურების დღესაც ჭირისუფალს გვერდით უდგას თავისი მეზობელი“. ნდემსე ცანცალი გელაფე დო ჭირქა ხოლო გაგეწოლაფე იშო (ლომია, გერსამია 2012: 98) „დევს კანკალი დასწყებია და ჭიქაც ხელიდან გავარდნია (+იქეთ)“. თეზმა ხანს ჯოდორქ ხოლო ქიმიოლალუ (კარტოზია 2010: 306) „ამდენ ხანს ძალღმაც დაიყევა“; დაჩხირი ოტიბუნს, მარა ჭუალა ხოლო უჩქუნია (ხალხ. სიბრძ. I.: 35) „ცეცხლი ათბობს, მაგრამ დაწვაც იცისო“.

ლაზურში: არ ვით დღაშ-კულე ხოლო ჭუკი ლაზიმი დაუ ხოჯას (ჩიქობავა 1936: 9) „ერთი ათი დღის შემდეგ კიდევ დიდი ქვაბი საჭირო შეიქმნა (დასჭირდა) ხოჯას“. მანჯურანი დღა ხოლო-თი ბოში მენდახთუ (ჩიქობავა 1936: 126) „მეორე დღესაც კიდევ ცარიელი წავიდა“. ჟურ სეიმ კულე ხოლო ნაჯობენ (კარტოზია 1972: 25) „ორი ღამის მერე კვლავ მიაძახებს (მიაკითხავს)“. ია ფორთოკაღეფე ხოლო მუქ მოკიდაპტუ (ჩიქობავა 1936: 92). „იმ ფორთოხლებსაც თვითონ ტვირთავდა“. ჰემუქ მსქვერის ხოლო თი ნოკვათუ-დორენ (დიუმეზილი 2009: 27) „იმას კიდევ ირმის თავი მოუკვეთია“.

ზანური -თი ნაწილაკი მეგრულში -თგ/-თ ვარიანტებითაცაა წარმოდგენილი. არსებით სახელებთან მას გამდიერებითობის მნიშვნელობა აქვს. მეგრულში მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნებსა და -თი ნაწილაკს შორის ჩნდება მავრცობი/თანხმოვანგამყარი ი, ლაზურში კი – არა (ლაზ-მეგრ. გრ. 2015); მაგ.: თი უბედურებამ დღას-ი-თი ჭირისუფალს ალურე მუმ მეზობელ (ლომია, გერსამია 2012: 74) „იმ უბედურების დღესაც ჭირისუფალს გვერდით უდგას თავისი მეზობელი“.

ზანურ ტექსტებსა და ზეპირ მეტყველებაში არ ფიქსირდება -თი ნაწილაკისა და მისი ვარიაციების გამოყენება არსებითი სახლების მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან, რადგან ენა ვერ გუობს სხვადასხვა სემანტიკის, მაგრამ მსგავსი ჟღერადობის აფიქსთა ერთად წარმოთქმას (მეგრ. კოჩ-ით-თი; ლაზ. კოჩი-თე-თი). მეგრულში ხმოვანფუმიანი არსებითი სახელები არც მხოლოებითი რიცხვის ვითარებით ანუ გარდაქვევით ბრუნვაში დაირთავენ -თი ნაწილაკს. ამ შემთხვევებში მას ჩაენაცვლება ხოლო ნაწილაკი.

მეგრ.: ჯიმუთ ორკუდ დო სუნელეფით (მას.) „მარილიც აკლდა და ხმელი სუნელებიც“; ზადანასგთ ოკო უჩქუდას თენა (მას.) „ზავშემაც უნდა იცოდეს ეს“. არძოქ გალე გიმილეს: რჩინუქი-თი დო ახალგაზრდაქი-თი, კოჩქი-თი დო ოსურქი-თი, ოსურსქუაქი-თი დო ქომოლსქუაქი-თი (ქაჯაია 2002: 46) „ყველა გარეთ გამოვიდა: ბებერიც და ახალგაზრდაც, კაციც და ქალიც, ქალშვილიცა და ვაჟიშვილიც“; მუმასი-თ უჯგუ დო დიდასი-თგ (მას.) „მამასაც ჯობია და დედასაც“;

ლაზ.: ჰამა სუმ მალიშ მურათი ნდღალერი ოხორის ნუკირს დო სერი ნიშქუმერს (სარფი: 598) „მაგრამ სამი ცხვრის ძალიც სახლში უბია და ღამე

უშვებს“. დუნიას კოჩიქ ნა ყვას ენთეფე, **თრანგის თი** ვარ ახვენენ (სარფი: 599) „ ქვეყანაზე კაცი რომ გააკეთებს, იმას ღმერთიც ვერ გააკეთებს“. ამა ნა ძირეს, **ღეჯეფეთი** ყონას ამახთერეტეს (სარფი: 600) „ეს რომ დაინახეს, ღორებიც შევიდნენ ყანაში“. „ნა-გუწუდგინ **ბიჭიქ-თი** სიჯას კაი გოწვათენ-ქი სოთი ვარ ქოძირან“ – წინ დამდგარი ბიჭიც სიძეს კარგად მოეფარება, რომ საიდანმე არ ნახონ (ყიფშიძე 1939: 9)„ჰემ-თი **ბემლულ-თი** ქოწულუ (უნდა იყოს გოწულუ) ნოღამისას“ – თანაც ბემლულიც, წაართვა პატარძალს (ჟღენტი 1938: 15).

არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ტექსტებში გვხვდება ლაზურში **-თი** ნაწილაკის ბრუნვის ნიშნის წინ ხმარების შემთხვევაც – **ფადიშაჲ-თი-ქ**. [**ფადიშაჲ-თი-ქ** იდუშუნამს-ჩი, ბოზომოთა შქიმის იკბალი ქულუნ” – ხელმწიფეც ფიქრობს, რომ ჩემს ქალიშვილს იღბალი აქვს (ჩიქობავა 1936: 99).]

**-თი/-თე/-თ მეგრულში:** 1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩ-ი-თ	კოჩ-ეფ-ით
მოთხრობითი	კოჩ-ქ-გთ	კოჩ-ეფ-ქ-ით/გთ
მიცემითი	კოჩ-ს-გთ	კოჩ-ეფ-ს -ით/გთ
ნათესაობითი	კოჩ-იშ-ით	კოჩ-ეფ-იშ-ით/გთ
მიმართულებითი	კოჩ-იშა/-შა -თ	კოჩ-ეფ-შა-თ
დამორებითი	კოჩ-იშე/-შე -თ	კოჩ-ეფ-შე-თ
დანიშნულებითი	კოჩ-იშო/-შო-თ	კოჩ-ეფ-იშო-თ
მოქმედებითი	---	---
ვნებითი ანუ გარდაქცევითი	კოჩ-ო-თ	კოჩ-ეფ-ო -თ

2) ხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	ცირა-თ	ცუდე-თ	კოტო-თ	კატუ-თ
მოთხრობითი	ცირა-ქ-გთ	ცუდე-ქ-გთ	კოტო-ქ-გთ	კატუ-ქ-გთ
მიცემითი	ცირა-ს-გთ	ცუდე-ს-გთ	კოტო-ს-გთ	კატუ-ს-გთ
ნათესაობითი	ცირა-შ-ით	ცუდე-შ-ით	კოტო-შ-ით	კატუ-შ-ით
მიმართულებითი	ცირა-შა -თ	ცუდე-შა-თ	კოტო-შა-თ	კატუ-შა-თ
დაშორებითი	ცირა-შე-თ	ცუდე-შე-თ	კოტო-შე-თ	კატუ-შე-თ
დანიშნულებითი	ცირა-შო-თ	ცუდე-შო-თ	კოტო-შო-თ	კატუ-შო-თ
მოქმედებითი	-	-	-	-
ვით. ანუ გარდაქ.	-	-	-	-

სახელობითი	ცირ-ეფ-ი-თ	ცუდე-ეფ-ი-თ
მოთხრობითი	ცირ-ეფ-ქ-ით/გთ	ცუდე-ეფ-ქ-ით/გთ
მიცემითი	ცირ-ეფ-ს-ით/გთ	ცუდე-ეფ-ს-ით/გთ
ნათესაობითი	ცირ-ეფ-იშ-ით	ცუდე-ეფ-იშ-ით
მიმართულებითი	ცირ-ეფ-(ი)შა -თ	ცუდე-ეფ-(ი)შა-თ
დაშორებითი	ცირ-ეფ-(ი)შე-თ	ცუდე-ეფ-(ი)შე-თ
დანიშნულებითი	ცირ-ეფ-იშო/შო-თ	ცუდე-ეფ-(ი)შო
მოქმედებითი	-	-
ვით. ანუ გარდაქ.	ცირ-ეფ-ო-თ	ცუდე-ეფ-ო-თ

სახელობითი	კოტო-ეფ-ი-თ	კატუ-ეფ-ი
მოთხრობითი	კოტო-ეფ-ქ-ით/გთ	კატუ-ეფ-ქ-ით/გთ
მიცემითი	კოტო-ეფ-ს-ით/გთ	კატუ-ეფ-ს-ით/გთ
ნათესაობითი	კოტო-ეფ-იშ-ით	კატუ-ეფ-იშ-ით
მიმართულებითი	კოტო-ეფ-(ი)შა-თ	კატუ-ეფ-(ი)შა-თ

დაშორებითი	კოტო-ევ-(ი)შე-თ	კატუ-ევ-(ი)შე-თ
დანიშნულებითი	კოტო-ევ-(ი)შო-თ	კატუ-ევ-(ი)შო-თ
მოქმედებითი	-	-
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-ევ-ო-თ	კატუ-ევ-ო-თ

-თი ლაზურში: 1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩი-თი	კოჩ-ევ-ე-თი
მოთხრობითი	კოჩი-ქ-თი	კოჩ-ევ-ე-ქ-თი
მიცემითი	კოჩი-ს-თი	კოჩ-ევ-ე-ს-თი
ნათესაობითი	კოჩი-ში -თი	კოჩ-ევ-ე-ში-თი
მიმართულებითი	კოჩი-შა-თი	კოჩ-ევ-ე-შა-თი
დაშორებითი	კოჩი-შე(ნ)-თი	კოჩ-ევ-ე-შე(ნ)-თი
მოქმედებითი	-	-

2) ხმოვანფუძიანებთან  
მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-თი	ბერე-თი	ორძო-თი	დუცხუ -თი
მოთხრ.	ჯუმა-ქ-თი	ბერე-ქ-თი	ორძო-ქ-თი	დუცხუ-ქ -თი
მიც.	ჯუმა-ს-თი	ბერე-ს-თი	ორძო-ს -თი	დუცხუ-ს-თი
ნათ.	ჯუმა-ში(ი)-თი	ბერე-ში(ი)-თი	ორძო-ში(ი) -თი	დუცხუ-ში(ი) -თი
მიმართ.	ჯუმა-შა-თი	ბერე-შა-თი	ორძო-შა-თი-თი	დუცხუ-შა-თი
დაშორ.	ჯუმა-შე(ნ)-თი	ბერე-შე(ნ)-თი	ორძო-შე(ნ)-თი	დუცხუ-შე(ნ)-თი
მოქმ.	-	-	-	-

## მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-თი	ბერე-ფ-ე-თი
მოთხრ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ქ-თი	ბერე-ფ-ე-ქ-თი
მიც.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ს-თი	ბერე-ფ-ე-ს-თი
ნათ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შ(ი)-თი	ბერე-ფ-ე-შ(ი)-თი
მიმართ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შა-თი	ბერე-ფ-ე-შა-თი
დაშორ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შე(ნ)-თი	ბერე-ფ-ე-შე(ნ) -თი
მოქმ.	-	-

სახ.	ორძო-ფ-ე -თი	დუცხუ-ფ-ე-თი
მოთხრ.	ორძო-ფ-ე-ქ-თი	დუცხუ-ფ-ე-ქ -თი
მიც.	ორძო-ფ-ე-ს -თი	დუცხუ-ფ-ე-ს-თი
ნათ.	ორძო-ფ-ე-შ(ი)-თი	დუცხუ-შ(ი)-თი
მიმართ.	ორძო-ფ-ე-შა-თი	დუცხუ-ფ-ე-შა-თი
დაშორ.	ორძო-ფ-ე-შე(ნ) -თი	დუცხუ-ფ-ე-შე(ნ) -თი
მოქმ.	-	-

ისმაილ ბუჩაკლიშისა და იასუჰირო კოჯიმას „ლაზურის გრამატიკაში“ - **თი** კვალიფიცირებულია როგორც კავშირი. ნაშრომში აღნიშნულია: „კავშირი (ოკომცხვა) [bağlaç conjunction] – **-თი**: „-ც“/„აგრეთვე“. ერთვის არსებითებს და ნაცვალსახელებს. თეონათი – თეონაც. სითი – შენც. მათი – მეც. თანურათი – თანურაც... თუ არსებით სახელს „-შკიმი, -ჩკიმი, -სკანი, -სქანი, მუში“-ს მსგავსი ნაცვალსახელები ერთვის, „-თი“ სუფიქსი ნაცვალსახელის შემდეგ ფიქსირდება. დუდი-მუში-თი. შენი თავიც//მისი თავიც. ნანა-შკიმი-თი (დასავლ. დიალ.) დედაჩემიც. ნანა, ბაბა დო ჯუმა სქანი-თი დედაშენიც, მამაშენიც და შენი ძმაც. წინადადების შიგნით მათი გამოყენებისთვის იხ. 12 (თხრობითი კილოს იმპერფექტი)“ (კოჯიმა, ბუჯაკლიში 2003: 255; ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში 2015: 255).

ვფიქრობთ, აქ თარგმანის პრობლემაა, რადგან ბევრ ენაში მეგრულ-ლაზური **-თი/-თ** (ქართ. -ც) ნაწილაკიანი სიტყვების თარგმნისას ხშირად იყენებენ „და“ კავშირის ფარდ სიტყვას.

### სხვათა სიტყვის ნაწილაკები

სხვათა სიტყვის ნაწილაკები საერთოა მეგრულსა და ლაზურში, თუმცა ფონეტიკური ვარიანტები განსხვავებულად მოეპოვებათ.

**ძირითადად ეს ნაწილაკები ზმნებთან გვხვდება, მაგრამ არსებით სახელებთანაც ხშირად გამოიყენება მიმართვისას, სახელდებით, ან ისეთ წინადადებებში, რომლებიც არსებითი სახელით ბოლოვდება.**

პირველი პირის ნათქვამის გადმოცემა ხდება: მეგრულში **მაქ**, ლაზურში **მა** ნაწილაკით, რომელიც ქართული **-მეთქი**-ს შესატყვისია. მეგრულში გვაქვს **-მაქ//მაქი//მაქე//მაქუ** ვარიანტები (ქაჯაია 2002: 228).

მაგ.: მეგრ. – **ბოში-მაქ**, სო მეუქე? (მას.) „ბიჭო-მეთქი, სად მიდიხარ?“; ქორენო **სინჩხე-მაქ**? (მას.) „არის სიცხე-მეთქი?“ ვალია, **ვალია-მაქ**, ქედოჭყაფე, ქემორთი! (მას.) „ვალია, ვალია-მეთქი, დაწყებულა, მოდი!“ ...

ლაზ. – **ლაზუტი-მა**, ლაზუტი... (მას.) „სიმინდი-მეთქი, სიმინდი...“; ჰადა ტუ ჩქიმი **არქადაში-მა** (მას.) „ეს იყო ჩემი მეგობარი-მეთქი“; სო მენდახთი? – დადიშა-მა (მას.) „სად წახვედი? – ტყეში-მეთქი“.

**-შო** ნაწილაკი შეეფარდება ქართულ **-თქო**-ს. ნაწილაკი **-შო** მეორე პირის ნათქვამს გადასცემს მესამე პირს.

მეგრ. – ავა სი რექე-შო, ალმასი რექე-შო, **აბრეშუმო-შო** აწმადირექე-შო (ყიფშიძე 1914: 145) „ერთი შენ ხარ-თქო, ალმასი ხარ-თქო, აბრეშუმად-თქო მეჩვენები-თქო“; ... **ნანაქ-შო**, ნანაქ მორთას-შო (მას.) „ნანა-თქო, ნანა მოვიდეს-თქო“; მეურს **დიასქან-შო** (მას.) „მიდის დედაშენი-თქო“;

ლაზ. ქობძირი **მგერი-შო** (მას.) „ვნახე მგელი-თქო“; დაილაშენ გდუჩუმე-ლან **დევეფე-შო** (მას.) „ მთიდან ჩამოდენიან **აქლემებს-თქო**“; ქოგდოჭკუ თიში **ოზღუს-შო** (მას.) „დაიწყო თავის გაპარსვა-თქო“...

III პირის ნათქვამს გადმოგვცემს ა ნაწილაკი. მას ქართულში შეესატყვისება სხვათა სიტყვის **-ო**.

„მეგრულში **ა** ნაწილაკი დაერთვის სახელებს შემდეგი წესით: თანხმოვნით დაბოლოებული ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ აუცილებლად დაჩნდება **ო** მავრცობი ხმოვანი: კოჩი-ა „კაციო“, მაგრამ: კოჩქი-ა „კაცმაო“, კოჩისი-ა „კაცსაო“, კოჩიში-ა „კაცისაო“, კოჩიშოთი-ა „კაცისთვისო“... **ა, ე, ო** ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან ხმოვანთგამყარი **ვ** დაისმის, შესაბამისად, **-ვა** დაბოლოება გვაქვს: **დიდავა** „დედაო“, **ბამბევა** „ბამბაო“, **ჭუმევა** „ხვალო“ თავს იჩენს ერთი თავისებურებაც: „, **თხოლოვა** „თხლეო“, **კოტოვა** „ქოთანო“.

„ლაზურში გვაქვს **-ა/-მა** ვარიანტები. მათი განაწილება ხდება შემდეგი წესით: **ო**-ზე დაბოლოებულ სახელებთან და ზმნურ ფორმებთან გვაქვს **-ა**, ხოლო **ა, ე, ო, უ** ხმოვნებისა და თანხმოვნების მომდევნოდ – **-მა**, მეგრული **ია** და ლაზური **მა** ერთი და იგივე ჩანს; ასევე, **მა** ლაზურში თანხმოვნის მომდევნოდაც გამოიყენება“ (ლაზ.-მეგრ. გრ. 2015: 727-729).

მეგრ.- მეუა ათაქ **სოფელშავა** ... (ლომია, გერსამია 2012: 52) „წადიო აგერ სოფელშიო...“; ათაქ მიდაფრთე ოკო **ყვანაშავა**, – უწუ თექ. (ლომია, გერსამია 2012: 52) „აქ წავიდე უნდა ყანაშიო, – უთხრა ამან“; ენა მუთია რენია **ბოშია**, უარესის მეელქია. (დანელია.) „ეს არაფერი არ არისო, ბიჭოო, უარესს ველიო“;... გორუნანი, „პატონია!“ – დუუძახუ (კარტ. 2008) „რომ ეძებენ, „ბატონოო!“ -და-უძახა“..

ლაზ. – ჰო, ქობძირი-მა, – თქუ მთუთიქ, – **მგერი-მა** (სარფი, 598) „ჰო, ვი-პოვეო, – თქვა დათვმა, – მგელიო“. მუთ ჩუმეტუ-ჩქვა მუში **მჩხურეფე-მა** დო მგერიკალა მართე დიყვეტეს (სარფი: 598) „თვითონ დაიცავდა თავის ცხვრებსაო და მგელთან ერთად მეზობლები გახდნენ“. „**ბაბა**“ **მა**, უწუ, დიდი ნჯალე-ფემ მუ კაა სარლა ივენ!... (დიუმეზილი 1934: 5) „მამაო, – უთხრა, – დიდი ხეე-ბისგან რა კარგი გობები გამოვა!...“

-**მაქ** ნაწილაკიანი არსებითი სახელის ბრუნება მეგრულში

1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩ-ი-მაქ	კოჩ-ეფ-მაქ
მოთხრობითი	კოჩ-ი-ქ-მაქ	კოჩ-ეფ-ქ-მაქ
მიცემითი	კოჩ-ი-ს-მაქ	კოჩ-ეფ-ს-მაქ
ნათესაობითი	კოჩ-იშ-მაქ	კოჩ-ეფ-იშ-მაქ
მიმართულებითი	კოჩ-იშა-მაქ	კოჩ-ეფ-შა-მაქ
დაშორებითი	კოჩ-იშე-მაქ	კოჩ-ეფ-(ი)შე-მაქ
დანიშნულებითი	კოჩ-იშო-მაქ	კოჩ-ეფ-(ი)შო-მაქ
მოქმედებითი	კოჩ-ით-მაქ	კოჩ-ეფ-ით-მაქ
ვნებითი ანუ გარდაქცევითი	კოჩ-ო-მაქ	კოჩ-ეფ-ო-მაქ

2) ხმოვანფუძიანებთან

მხ. რ.

სახელობითი	ცირა-მაქ	ცუდე-მაქ
მოთხრობითი	ცირა-ქ-მაქ	ცუდე-ქ-მაქ
მიცემითი	ცირა-ს-მაქ	ცუდე-ს-მაქ
ნათესაობითი	ცირა-შ-მაქ	ცუდე-შ-მაქ

მიმართულებითი	ცირა-შა -მაქ	ცუდე-შა-მაქ
დაშორებითი	ცირა-შე-მაქ	ცუდე-შე-მაქ
დანიშნულებითი	ცირა-შო-მაქ	ცუდე-შო-მაქ
მოქმედებითი	ცირა-თ(ი)-მაქ	ცუდე-თ(ი)-მაქ
ვით. ანუ გარდაქ.	ცირა-თ-მაქ	ცუდე-თ-მაქ

სახელობითი	კოტო-მაქ	კატუ-თ-მაქ
მოთხრობითი	კოტო-ქ-მაქ	კატუ-ქ-მაქ
მიცემითი	კოტო-ს-მაქ	კატუ-ს-მაქ
ნათესაობითი	კოტო-შ-მაქ	კატუ-შ-მაქ
მიმართულებითი	კოტო-შა-მაქ	კატუ-შა-მაქ
დაშორებითი	კოტო-შე-მაქ	კატუ-შე-მაქ
დანიშნულებითი	კოტო-შო-მაქ	კატუ-შო-მაქ
მოქმედებითი	კოტო-თ(ი)-მაქ	კატუ-თ(ი) -მაქ
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-თ-მაქ	კატუ-ო/თ-მაქ

მრ.რ.

სახ.	ცირ-ეფ-(ი)-მაქ	ცუდე-ეფ-(ი)-მაქ
მოთხრ.	ცირ-ეფ-ქ-მაქ	ცუდე-ეფ-ქ-მაქ
მიც.	ცირ-ეფ-ს-მაქ	ცუდე-ეფ-ს-მაქ
ნათ.	ცირ-ეფ-იშ-მაქ	ცუდე-ეფ-იშ-მაქ
მიმართ,	ცირ-ეფ-(ი)შა -მაქ	ცუდე-ეფ-(ი)შა-მაქ
დაშორ.	ცირ-ეფ-(ი)შე-მაქ	ცუდე-ეფ-(ი)შე-მაქ
დანიშნ.	ცირ-ეფ-იშო-მაქ	ცუდე-ეფ-(ი)შო-მაქ
მოქმ.	ცირ-ეფ-ით-მაქ	ცუდე-ეფ-ით-მაქ
ვით. ანუ გარდაქ.	ცირ-ეფ-ო-მაქ	ცუდე-ეფ-ო-მაქ

სახ.	კოტო-ეფ-ი-მაქ	კატუ-ეფ-მაქ
მოთხრ.	კოტო-ეფ-ქ-მაქ	კატუ-ეფ-ქ-მაქ
მიც.	კოტო-ეფ-ს-მაქ	კატუ-ეფ-ს-მაქ
ნათ.	კოტო-ეფ-იშ-მაქ	კატუ-ეფ-იშ-მაქ
მიმართ,	კოტო-ეფ-(ი)შა-მაქ	კატუ-ეფ-(ი)შა-მაქ
დაშორ.	კოტო-ეფ-(ი)შე-მაქ	კატუ-ეფ-(ი)შე-მაქ
დანიშნ.	კოტო-ეფ-(ი)შო-მაქ	კატუ-ეფ-(ი)შო-მაქ
მოქმ.	კოტო-ეფ-ით-მაქ	კატუ-ეფ-ით-მაქ
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-ეფ-ო-მაქ	კატუ-ეფ-ო-მაქ

-**მა** ნაწილაკიანი არს. სახ. ბრ. ლაზურში

1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩი-მა	კოჩ-ეფ-ე-მა
მოთხრობითი	კოჩი-ქ-მა	კოჩ-ეფ-ე-ქ-მა
მიცემითი	კოჩი-ს-მა	კოჩ-ეფ-ე-ს-მა
ნათესაობითი	კოჩი-ში-მა	კოჩ-ეფ-ე-ში-მა
მიმართულებითი	კოჩი-შა-მა	კოჩ-ეფ-ე-შა-მა
დაშორებითი	კოჩი-შე(ნ)-მა	კოჩ-ეფ-ე-შე(ნ)-მა
მოქმედებითი	კოჩი-თე(ნ)-მა	კოჩ-ეფ-ე-თე(ნ)-მა

1) ხმოვანფუძიანებთან: მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-მა	ბერე-მა
მოთხრ.	ჯუმა-ქ-მა	ბერე-ქ-მა
მიც.	ჯუმა-ს-მა	ბერე-ს-მა
ნათ.	ჯუმა-შ(ი)-მა	ბერე-შ(ი)-მა
მიმართ.	ჯუმა-შა-მა	ბერე-შა-მა
დაშორ.	ჯუმა-შე(ნ)-მა	ბერე-შე(ნ)-მა
მოქმ.	ჯუმა-თე(ნ) -მა	ბერე-თე(ნ)-მა

სახ.	ორძო-მა	დუცხუ-მა
მოთხრ.	ორძო-ქ-მა	დუცხუ-ქ-მა
მიც.	ორძო-ს -მა	დუცხუ-ს -მა
ნათ.	ორძო-შ(ი)-მა	დუცხუ-შ(ი) -მა
მიმართ.	ორძო-შა-მა	დუცხუ-შა-მა
დაშორ.	ორძო-შე(ნ)-მა	დუცხუ-შე(ნ)-მა
მოქმ.	ორძო-თე(ნ)-მა	დუცხუ-თე(ნ) -მა

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-მა	ბერე-ფ-ე-მა
მოთხრ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ქ-მა	ბერე-ფ-ე-ქ-მა
მიც.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ს-მა	ბერე-ფ-ე-ს-მა
ნათ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შ(ი)-მა	ბერე-ფ-ე-შ(ი)-მა
მიმართ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შა-მა	ბერე-ფ-ე-შა -მა
დაშორ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შე(ნ)-მა	ბერე-ფ-ე-შე(ნ)-მა
მოქმ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-თე(ნ)-მა	ბერე-ფ-ე-თე(ნ) -მა

სახ.	ორძო-ფ-ე -მა	დუცხუ-ფ-ე -მა
მოთხრ.	ორძო-ფ-ე-ქ-მა	დუცხუ-ფ-ე-ქ-მა
მიც.	ორძო-ფ-ე-ს -მა	დუცხუ-ფ-ე-ს-მა
ნათ.	ორძო-ფ-ე-შ(ი)-მა	დუცხუ-შ(ი)-მა
მიმართ.	ორძო-ფ-ე-შა-მა	დუცხუ-ფ-ე-შა -მა
დაშორ.	ორძო-ფ-ე-შე(ნ)-მა	დუცხუ-ფ-ე-შე(ნ)-მა
მოქმ.	ორძო-ფ-ე-თე(ნ) -მა	დუცხუ-ფ-ე-თე(ნ) -მა

**შო** ნაწილაკიანი არსებითი სახელის ბრუნება მეგრულში

1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩ-შო	კოჩ-ეფ--შო
მოთხრობითი	კოჩ-ი-ქ-შო	კოჩ-ეფ-ქ -შო
მიცემითი	კოჩ-ი-ს-შო	კოჩ-ეფ-ს-შო
ნათესაობითი	კოჩ-იშ-შო	კოჩ-ეფ-იშ-შო
მიმართულებითი	კოჩ-იშა-შო	კოჩ-ეფ-შა-შო
დაშორებითი	კოჩ-იშე-შო	კოჩ-ეფ-(ი)შე-შო
დანიშნულებითი	კოჩ-იშო-შო	კოჩ-ეფ-(ი)შო-შო
მოქმედებითი	კოჩ-ით-შო	კოჩ-ეფ-ით-შო
ვნებითი ანუ გარდაქცევითი	კოჩ-ო-შო	კოჩ-ეფ-ო--შო

2) ხმოვანფუძიანებთან  
მხ. რ.

სახელობითი	ცირა-შო	ცუდე-შო
მოთხრობითი	ცირა-ქ-შო	ცუდე-ქ-შო
მიცემითი	ცირა-ს-შო	ცუდე-ს-შო
ნათესაობითი	ცირა-შ(ი)-შო	ცუდე-შ(ი)-შო
მიმართულებითი	ცირა-შა-შო	ცუდე-შა-შო
დაშორებითი	ცირა-შე-შო	ცუდე-შე-შო
დანიშნულებითი	ცირა-შო-შო	ცუდე-შო-შო
მოქმედებითი	ცირა-თ(ი)-შო	ცუდე-თ(ი)-შო
ვით. ანუ გარდაქ.	ცირა-თ-შო	ცუდე-თ-შო

სახელობითი	კოტო-შო	კატუ-შო
მოთხრობითი	კოტო-ქ-შო	კატუ-ქ-შო
მიცემითი	კოტო-ს-შო	კატუ-ს-შო
ნათესაობითი	კოტო-შ(ი)-შო	კატუ-შ(ი)-შო
მიმართულებითი	კოტო-შა-შო	კატუ-შა-შო
დაშორებითი	კოტო-შე-შო	კატუ-შე-შო
დანიშნულებითი	კოტო-შო-შო	კატუ-შო-შო
მოქმედებითი	კოტო-თ(ი)-შო	კატუ-თ(ი)-შო
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-თ-შო	კატუ-ო-შო

მრ. რ.

სახ.	ცირ-ეფ-(ო)-შო	ცუდე-ეფ-(ო)-შო
მოთხრ.	ცირ-ეფ-ქ-შო	ცუდე-ეფ-ქ-შო
მიც.	ცირ-ეფ-ს-შო	ცუდე-ეფ-ს-შო
ნათ.	ცირ-ეფ-იშ-შო	ცუდე-ეფ-იშ-შო
მიმართ,	ცირ-ეფ-(ო)შა-შო	ცუდე-ეფ-(ო)შა-შო
დაშორ.	ცირ-ეფ-(ო)შე-შო	ცუდე-ეფ-(ო)შე-შო
დანიშნ.	ცირ-ეფ-(ო)შო-შო	ცუდე-ეფ-(ო)შო-შო
მოქმ.	ცირ-ეფ-ით-შო	ცუდე-ეფ-ით-შო
ვით. ანუ გარდაქ.	ცირ-ეფ-ო-შო	ცუდე-ეფ-ო-შო

სახ.	კოტო-ეფ-ო-შო	კატუ-ეფ -შო
მოთხრ.	კოტო-ეფ-ქ-შო	კატუ-ეფ-ქ-შო
მიც.	კოტო-ეფ-ს-შო	კატუ-ეფ-ს -შო
ნათ.	კოტო-ეფ-იშ-შო	კატუ-ეფ-იშ-შო
მიმართ,	კოტო-ეფ-(ო)შა-შო	კატუ-ეფ-(ო)შა-შო
დაშორ.	კოტო-ეფ-(ო)შე-შო	კატუ-ეფ-(ო)შე-შო
დანიშნ.	კოტო-ეფ-(ო)შო-შო	კატუ-ეფ-(ო)შო-შო
მოქმ.	კოტო-ეფ-ით-შო	კატუ-ეფ-ით
ვით. ანუ გარდაქ.	კოტო-ეფ-ო-შო	კატუ-ეფ-ო

-შო ნაწილაკიანი არს. სახ. ბრ. ლაზურში

1) თანხმოვანფუძიანებთან

სახელობითი	კოჩი -შო	კოჩ-ეფ-ე-შო
მოთხრობითი	კოჩი-ქ-შო	კოჩ-ეფ-ე-ქ-შო
მიცემითი	კოჩი-ს-შო	კოჩ-ეფ-ე-ს-შო
ნათესაობითი	კოჩი-ში-შო	კოჩ-ეფ-ე-ში-შო
მიმართულებითი	კოჩი-შა-შო	კოჩ-ეფ-ე-შა-შო
დაშორებითი	კოჩი-შე(ნ)-შო	კოჩ-ეფ-ე-შე(ნ)-შო
მოქმედებითი	კოჩი-თე(ნ)-შო	კოჩ-ეფ-ე-თე(ნ)-შო

3) ხმოვანფუძიანებთან მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-შო	ბერე-შო
მოთხრ.	ჯუმა-ქ-შო	ბერე-ქ-შო
მიც.	ჯუმა-ს-შო	ბერე-ს-შო
ნათ.	ჯუმა-ში(ო)-შო	ბერე-ში(ო)-შო
მიმართ.	ჯუმა-შა-შო	ბერე-შა -შო
დაშორ.	ჯუმა-შე(ნ)-შო	ბერე-შე(ნ) -შო
მოქმ.	ჯუმა-თე(ნ)-შო	ბერე-თე(ნ) -შო

სახ.	ორძო-შო	დუცხუ -შო
მოთხრ.	ორძო-ქ-შო	დუცხუ-ქ-შო
მიც.	ორძო-ს -შო	დუცხუ-ს -შო
ნათ.	ორძო-ში(ო)-შო	დუცხუ-ში(ო) -შო
მიმართ.	ორძო-შა-შო	დუცხუ-შა -შო
დაშორ.	ორძო-შე(ნ) -შო	დუცხუ-შე(ნ) -შო
მოქმ.	ორძო-თე(ნ)-შო	დუცხუ-თე(ნ)-შო

## მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შო	ბერე-ფ-ე-შო
მოთხრ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ქ-შო	ბერე-ფ-ე-ქ-შო
მიც.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-ს-შო	ბერე-ფ-ე-ს-შო
ნათ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შ(ი)-შო	ბერე-ფ-ე-შ(ი)-შო
მიმართ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შა-შო	ბერე-ფ-ე-შა-შო
დაშორ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-შე(ნ)-შო	ბერე-ფ-ე-შე(ნ)-შო
მოქმ.	ჯუმა-ლ-ეფ-ე-თე(ნ)-შო	ბერე-ფ-ე-თე(ნ)-შო

სახ.	ორძო-ფ-ე-შო	დუცხუ-ფ-ე-შო
მოთხრ.	ორძო-ფ-ე-ქ-შო	დუცხუ-ფ-ე-ქ-შო
მიც.	ორძო-ფ-ე-ს-შო	დუცხუ-ფ-ე-ს-შო
ნათ.	ორძო-ფ-ე-შ(ი)-შო	დუცხუ-შ(ი)-შო
მიმართ.	ორძო-ფ-ე-შა-შო	დუცხუ-ფ-ე-შა-შო
დაშორ.	ორძო-ფ-ე-შე(ნ)-შო	დუცხუ-ფ-ე-შე(ნ)-შო
მოქმ.	ორძო-ფ-ე-თე(ნ)-შო	დუცხუ-ფ-ე-თე(ნ)-შო

**მაკონსტრუირებელი ნაწილაკები**

ზანურში, განსაკუთრებით ლაზურში, რთულ წინადადებებში გამოიყენება ე.წ. **მაკონსტრუირებელი** ნაწილაკები.

მეგრულში ამგვარი ნაწილაკია **-თ**, რომელიც ქვეწყობილი წინადადების თავისებურ სტრუქტურას ქმნის: დამოკიდებული წინადადება ყოველთვის პირველ ადგილზეა და თავისებურად წარმოითქმის: **-თ** ნაწილაკიან სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის ინტონაციური მახვილი. აღნიშნული ნაწილაკი ძირითადად დაერთვის ზმნას, რომელიც ასევე იწყებს წინადადებას, იშვიათად – სხვა წევრს (კარტოზია 2010: 396).

მაგ.:

გამნაწყუ **შქართუნო**, მუში ცირასქუაღეფი ღურელო ქოძირი (ხუბუა 1937: 78) „საბანი რომ გადახადა, თავისი ქალიშვილები მკვდარი ნახა“; გიმართე **დაქო**, ქოძირე მუში ჯიმა ობედიშორო წეწილი ძენი (დანელია 1991) „რომ ჩამოვიდა და, ნახა თავისი ძმა ახედივით გაწეწილი დევს“;

**ო** ნაწილაკი **რომ** კავშირის ფუნქციით გამოიყენება. მის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული: ერთი მხრივ, ის მიიჩნევა კითხვით ნაწილაკად (აბესაძე 1963: 19), მეორე მხრივ, **ორენ** „არის“ მეშველი ზმნის ნაშთად: **უჯინუ + ორე>უჯინუ-ო** (ციკოლია 1977: 87). ამ ნაწილაკთან ფუნქციურად ჩანს დაკავშირებული ქართულის დიალექტებში, კერძოდ, ინგილოურში დადასტურებული **-ა** ნაწილაკი, რომელიც „არის“ მეშველი ზმნისგანაა მიღებული (კვანტალიანი 1990: 102; კარტოზია..., 2010: 397-398).

მაკონსტრუირებელი **-ო** სახელთან ისევე იბრუნვის, როგორც კითხვითი-**ო**.

**ო**. ქაჯაიას შენიშნული აქვს, რომ **ო** ნაწილაკი გვაქვს **თუ** კავშირის მნიშვნელობითაც და ენაცვლება **და** ნაწილაკს პირობით წინადადებაში: ქომუჩანქო (=ქომუჩანქ-და), დოგირთინუანქ „თუ მომცემ, დაგიბრუნებ“ (ქაჯაია 2002: 419). მისივე აზრით, **-და** აქ ნაწილაკია, წარმოშობით კავშირი, რომელიც ხშირად იხმარება კითხვის გამეორების შემდეგ პასუხის წინ (ქაჯაია 2001: 423).

**-და** ნაწილაკი პირობითი დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს დაერთვის და **თუ** კავშირის ფუნქციას ასრულებს (მეგრ.-ლაზ. გრ. 2015: 730). ძირითადად შემასმენელია, იშვიათად – სახელით გადმოცემული რომელიმე წევრი.

**ვამორთესია-და**, ჩქი იშენი ქიმეურთია (დანელია, ცანავა 1991: 300) „თუ არ მოვიდნენ, ჩვენ მაინც მივალთო“; მუსე ქეშანთია? -- **მუსია-და**, ვაი მუში წაულავა! (დანელია 1991) „-რას ოხრავთო? – რასო და, ვაი მისი გადაშენებო“; სი გონტერესუდუ თიში მოჭკადილი **იარალი-და**, გეიონწყი დო სი ქოილუ-დას (ხუბუა 1937) „შენ თუ გაინტერესებს მისი მოჭკადილი იარალი, ააწყვე და შენ გქონდეს“.

ლაზურში **-და** ნაწილაკის ფარდია **-ნა** ნაწილაკი, რომელიც ენკლიტიკური ნაწილაკის მსგავსად მიერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის. პირდაპირი მნიშვნელობა ამ ნაწილაკისა „**რა**“ უნდა იყოს, თუმცა **რომ**, **თუ** კავშირების ფუნქციას ასრულებს რთულ წინადადებაში (ჩიქობავა 2008/1: 190).

„**მამულიქ-ნა** ოხოიშა ამაყიას, მუსაჭიი მულუნ-და ბზოპონთ“ (ჩიქობავა 1929: 1) „მამალი რომ სახლში შეიყვივლებს, სტუმარი მოდისო, ვამბობთ/ვიტყვით“; **ცხენის-ნა** მობუნ, მუდა ონუ? (ჩიქ., II, 324) „ცხენს რომ ჰკიდა, რა არის?“; „ანბარი-თი ენ, **გაი-ნა** გამიმელინ“ (ჩიქობავა 1929: 123) „ბედელიც არის, საჭმელი რომ გამოაქვთ“ ; „**ბადრაგეფე-ნა** ბორტით, ჰაწი ოხოებე(!) გებდგით“ (ჟღენტო 1938: 103) „ღარიბები რომ ვიყავით, ახლა სახლები დავდგით (ავაშენეთ)“.

### მოდალური ნაწილაკები

არსებით სახელები თან ზანურში გვხვდება შემდეგი მოდალური ნაწილაკები: მეგრულში **-გე//გეე** და **-მე//მეე**, ლაზურში – **თო**.

**-გე//გეე** და **-მე//მეე** ფიცის ნაწილაკებადაც იწოდება, რადგან „ფიცის გამომხატველ წინადადებებში გამოიყენება, თუმცა შეზღუდულია იმ სიტყვათა წრე, რომელსაც მიერთვის ეს ნაწილაკები. ესენია: ნათესაობის ლექსიკა

(ბაბა, ნანა, დიდა, სქუა, ბები, ბაბუ, ჯიმა, ბიძი), თოლი „თვალი“, შური „სული“, ღორონთი „ღმერთი“. ეს ნაწილაკები მიერთვის სახელობითის ფორმას, მაგალითები: მუ ბქიმინა, **ბაბაგე!** (შეროზია, მემიშიში 1994: 21) „რა ვქნა, ბაბა“; ირო ორდა მახარია, **თოლიგე დო შურიგე!** (შეროზია, მემიშიში 1994: 315) „სულ იყავი მახარია, თოლიგე და შურიგე!“, **ღორონთიგე** ღორონცე ქოკითხი! (ყიფშიძე 1939: 70) „ღვთის გულისათვის, ღმერთს ჰკითხე!“ (ლაზ.-მეგრ. გრ. 2015: 731).

-მე და -გე ნაწილაკების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება უშუალოდ ნაწილაკების განხილვისას.

-მე ნაწილაკი გვხვდება შემდეგ ლექსებთან : **ღორონთუმე/ღორონთიმე** „ღმერთმანი“, **შურუმე/შურიმე** „სულს ვფიცავ“, **მარდიმე/მარდუმე** „მადლმა“.

ლაზურში ლოცვისა და წყევლის ფორმულებში გამოიყენება **თო** ნაწილაკი ქართული -**მცა** ნაწილაკის ფუნქციით (თანდილავა 2013):

ლექა **თო** მეშვახტას „მიწამც დაგეყაროს!“ ნდლა **თო** ნულურა „დღემც დაგელიოს“; ნდლა **თო** მოგანძინას! „დღემც მოგემატოს!“ (ნენაფუნა 2007: 902)...

მეგრულსა და ლაზურში მოდალური (ფიცის ) ნაწილაკები არსებითი სახელების სახელობით ბრუნვას დაერთვის და წინადადებებში მიმართვის ფუნქცია აქვს.

### უარყოფითი (უკუთქმითი)

ლაზურში თურქულიდან ნასესხებია **ნე** „არ“ ნაწილაკი, რომელიც დაერთავს **თი** „-ც“ ნაწილაკს და **ნე-თი** ფორმა მიიღება, რომელიც მიმართებითი ნაწილაკის „არც“ ფუნქციით გამოიყენება (თანდილავა 2013: 570; ლაზ.-მეგრ. გრ. 2015: 723 ). ნე-თი დაერთვის არსებითი სახელით გადმოცემულ წინადადების წევრებსაც (ნებისმიერ ბრუნვის ფორმას) და დგას პრეპოზიციად.

ნე ფარა გაკადანდამან **ნე-თი წკაჲ** მოგაქთენ!“-და, თქუ-დორენ (დიუმეზილი 2009: 173) „არც ფულს მოგთხოვენ, არც წყალი გესხმევაო“; დუნდას მუთუ ვარ უნონ ჰემუს სქანი, ნე ბერელი, **ნე-თი ბაკლავა** სქანი,... (ასათიანი 1974: 68) „ქვრყნად არაფერი არ უნდა მას შენი, არც ბურელი, არც ბაკლავა შენი...“; ამ ადეთი ნე თურქისტანის რენ, **ნე-თი არაბისტანის**, ხვალა უჩქინ ლაზისტანის (ასათიანი 1974: 34) „ეს წესი არც თურქეთში არის, არც არაბეთში“...

მეგრულში **ვა/ვარ** „არ(ა)“, „ვერ“ ნაწილაკი თავში დაერთვის ზმნას.

### ვარა ელემენტის შესახებ მეგრულ-ლაზურში

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაწილაკის სახით მეგრულში გვხვდება **ვარა** ელემენტიც. ის მრავალფუნქციური ფორმაუცვლელი დამხმარე მეტყველების ნაწილია, რომელიც გამოიყენება როგორც:

1. კავშირი:

ა) მაპირისპირებელი (ქართ. **თორემ**): ხალხიქ ვაგამიგანი, **ვარა** მომოგანა ანწუხის (შეროზია, მემიშიში 1994: 232) „ხალხმა არ გაგვიგოს, **თორემ** სარზე წამოგვაცვამენ“; ირფელი ოქრულობა რე მუკაქუნსენ, **ვარა** ახირებულიენო?

(ხუბუა 1937: 143) „ყველაფერი ძვირფასია (ოქროულობაა), რომ აცვია, **თორემ** უბრალოა?“

ბ) მაცალკავებელი (ქართ. **ან, ანდა, ან-ან**): **ვარა** რჯუნდას რაში ცხენი, ახრა-კვრდეთ მაფურინე (სამუშია: 116) „**ან** გყავდეს რაში-ცხენი, ახრა-კვრდებში მფრინავი“; ზმნიზედა (ქართ. **მაინც**) ; ნოტე გინმორთინუას ჭითა ბლუზათ, **ვარა** ღართო (შეროზია, მემიშიში 1994: 99) „ნეტავი გადამაქცია წითელ ხალათად, **ანდა** ჩოხად“...

2. ზმნიზედა (ქართ. **მაინც**): მოლენი გას გიგოძახასგ-და, მელენც გიოძახი დო მოლენი **ვარა** გიგოსქედენია (შეროზია, მემიშიში 1994: 95) „გამოდმა მხარეს ტუ დაგაყვედროს (დაგძახოს), გაღმა დაავედრე და გამოღმა **მაინც** დაგრჩებაო“; ჩქიმ ოსური, ჭახანს **ვარა** ჩქიმ სახელი ვადინუა (შეროზია, მემიშიში 1994: 28) „ჩემო ცოლო, ცოტახანს **მაინც** ჩემი სახელი არ დაკარგო“...

3. მიახლოებითი ნაწილაკი რიცხვით სახელებთან (ქართ.-**ოდენ** ): სქანიჯგუა მოშიარე **ოშივარა** ვონტინე (ქაჯაია 2002: 39) „შენისთანა მოშიარე **ასიოდე** გავაქციე“; **ჟირივარა** ვამირე, სოგიდა იდესგნი (ყიფშიძე 1939: 16) „**ორიოდეც** არ ჩანს, სადღაც წავიდნენ“ ...

სამეცნიერო ლიტერატურაში არსად არაა აღნიშნული, რომ მეგრულში **ვარა** ნაწილაკის ფუნქციითაც გამოიყენება არსებით სახელებთან . მისი შესატყვისია ქართული „**მაინც**“, რომელიც გაძლიერებითი ნაწილაკიცაა (შანიძე, კვაჭაძე).

მეგრულში **ვარა** სურვილის გადმოცემის, ერთგვარი თხოვნა-სურვილის და არჩევითობის სემანტიკურ ნიუნსსაც ატარებს (**ვარა** = „ეს თუ არა, ის მაინც“) . მაგ.:

**ქობალი ვარა** ოჭკუმით („**პური მაინც** ჭამეთ“ ).

**კოჩის ვარა** ქუმურთუმუდუკო („**კაცი მაინც** მოსულიყო“ ).

ქინძის გუოხუმუანქ, **თასის ვარა** ქიდამნოზენს უკულიანიშო (ქაჯაია 2002: 435) „ქინძს გავახმობ, **თესლს მაინც** გამინაშენიანებს შემდეგისათვის“; ჯიმუში მათხირიშა ჯიმუქ ვემგაჩგ-და, ჯიმუში **ნინა ვარა** ქუწიია (შეროზია, მემიშიში 1994: 192) „მარილის მთხოვნელისთვის მარილის მიცემა თუ ვერ შეძელი, მარილიანი **ენა (სიტყვა) მაინც** უთხარიო“.

ლაზურში **ვარა** // **ვანა** ნაწილაკის ფუნქციით არსებით სახელებთან არ გვხვდება. ის წინადადებებში ძირითადად ქართული **თორემ, თუ, ან, მაგრამ** კავშირების ფარდია.

ამრიგად, არსებით სახელებთან მეგრულში **ვარა** ითავსებს ნაწილაკის ფუნქციასაც. ის ცალკე იწერება და თავისუფლად დაერთვის ყველა ბრუნვის ფორმას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. არსებით სახელებთან ზანურში გამოიყენება შემდეგი ნაწილაკები: **კითხვითი** – მეგრულში **-ო//ვო** (ლაზურის -ი დაერთვის მხოლოდ ზმნებს); **გაძლიერებითი** – ქართული **-ც**-ს მნიშვნელობით გამოყენებული **-თი; ხოლო**

(ლაზურში რედუცირებული სახით **ხოლ//ხოლო**); **სხვათა სიტყვის** – პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ლაზურში **მა**, მეგრულში **მაჟ//მაჟი// მაჟჟ//მაჟჟ**; მეორე პირის – **შო**; მესამე პირის: მეგრულში – **ა** (//-ია) , ლაზურში – **ა//აა; მა-კონსტრუირებელი** მეგრ. – **ო**, –**და**, ლაზ. –**ნა**; პირობით წინადადებაში – მეგრულში –**და**, ლაზურში –**ნა**; მოდალური ნაწილაკები : მეგრულში –**გე//გეე** და –**მე//მეე**,

ლაზურში **თო**; **უარყოფითი (უკუქცევითი)** ლაზურში **ნე-თი**; **არჩევითობის** მეგრულში **ვარა**.

2. ნაწილაკთა უმეტესობა პოსტპოზიციანია არსებით სახელთან; პრეპოზიციანში დგას მხოლოდ უარყოფითი **ნე-თი**;

3. ნაწილაკდართული არსებითი სახელები ზანურში ყველაზე მეტად გამოიყენება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში.

–**თი/-თ** ნაწილაკიანი ფორმები არ გვხვდება მოქმედებითში და ხმოვანფუძიანების მხოლოდობითის ფორმებთან ვითარებითში ანუ გარდაქცევითში ...

4. არსებით სახელებთან მეგრულში **ვარა** ელემენტიც ნაწილაკის ფუნქციით გვხვდება.

### ლიტერატურა

**ასათიანი 1974** – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი.

**დანელია 1991** – კ. დანელია, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები II, თბილისი.

**დანელია, ცანავა 1991** – კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), თბილისი.

**დიუმეზილი 2009** – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი.

**ეზუგბაია 2010** – ლ. ეზუგბაია, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

**კარტოზია 1997** – გ. კარტოზია, ფიცის ნაწილაკები მეგრულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

**კარტოზია 1972** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი.

**კარტოზია 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

**კვაჭაძე 2001** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში 2015** – ლაზები: ნ. ახალაია, წ. ბაწაში, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ო. მემიშიში, ზ. ქავთარაძე, ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი.

**ლაზ-მეგრ. გრ., 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბილისი.

**ლომია 2011** – მ. ლომია, უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXII.

**ლომია, გერსამია 2012** – მ. ლომია, რ. გერსამია, მეგრული ტექსტები, ნაწ. II, თბილისი.

**მარი 1910** – Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка Б С Пб. 1910;

**მას.: 2016** – მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა, დევნილთა მეტყველება (მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის), თბილისი.

**ნაჭყებია 2012** – მ. ნაჭყებია, ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა, თბილისი.

**ნენაფუნა 2007** – ი. ბუჯაკლიში, ჰ. უზუნჰასანოღლუ, ი. ალექსივა, დიდი ლაზური ნენაფუნა (თურქულად), სტამბოლი.

**ჟდენტი 1938** – ს. ჟდენტი, ჭანური ტექსტები, თბილისი.

**სარფი 2015** – მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფაღავა, ო. მემიშიში... სარფი, ბათუმი.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматика мингрелского (иверского) языка, С Пб.

**ყიფშიძე 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

**ყიფშიძე 1939** – ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**შეროზია, მემიშიში 1994** – რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი.

**ჩიქობავა 1929** – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ტფილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

**ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, თბილისი.

**ხუბუა 1937** – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი.

**ჯანჯღავა 1999** – ც. ჯანჯღავა, სახელის მორფონოლოგიური ანალიზი მეგრულში (საკანდ. დისერტ.), თბილისი.

**კოჯიმა, ბუჯაკლიში 2003** – Kojima G., Bucaklışı İ, A., Lazca Gramer, Chiviyazıları/Mjora, İstanbul.

MARINA JGHARKAVA

### **Declension of Nouns with Particles in Megrelian-Laz**

#### S u m m a r y

The paper discusses declension of nouns with particles in Megrelian and Laz. The research has revealed that 1. the following particles are used with nouns in Zan: *interrogative* – in Megrelian **-o//vo** (Laz **-i** is only added to verbs); *enhancing* – **-ti** used with the meaning of Georgian **c**; **xolo** (in Laz its reduced form **xol//xolo**); *for other's speech* – to tell what the first person said **ma** is used in Laz and **mak//maki//makə//maku** is used in Megrelian; for the second person the particle **-šo** is used; for the third: in Megrelian **-a** (**//-ia**) while in Laz **-a//-ja**; *constructing* – Megr. – **o**, **-da**, Laz **-na**; the modal particles: in Megrelian **-ge//-gee** and **-me// -mee**, in Laz **to**; *negative (reflexive)* – In Laz **ne-ti**; *selecting* – in Megrelian **vara**; 2. The majority of particles is postpositional; only the negative particle **ne-ti** precedes a noun; 3. In Zan nouns with particles are mainly in the nominative, ergative and dative cases. The forms with the particle **-ti/-t** are not in the instrumental case and if they are vowel-base nouns in singular they cannot be found in the equative case; 4. The element **vara** has a function of a particle with nouns in Megrelian.

ლია აბულაძე, გუჩა კვარაცხელია

**კიტა ჩხენკელი – პიროვნება, ენათმეცნიერი,  
მთარგმნელი**

კიტა (პეტრე) ჩხენკელი დაიბადა 1895 წლის 8 ოქტომბერს ქუთაისში. მისი წინაპრები, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან, სასულიერო წრეს ეკუთვნოდნენ. კიტა ჩხენკელის მამა, ივანე, ფართოდ განათლებული პიროვნება იყო.

კიტას უფროსი ძმა აკაკი ჩხენკელი (1874-1959), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი და პუბლიცისტი, მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, 1912 წლიდან იყო რუსეთის იმპერიის IV სათათბიროს (დუმის) დეპუტატი, გამოდიოდა იმპერიის ეროვნული უმცირესობებისათვის ეროვნულ (თუ სოციალურ)-კულტურული ავტონომიის მოთხოვნით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო დროებითი მთავრობის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მეთაური. 1917-1918 წ.წ. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის, აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი, მონაწილეობდა ქართული ორთოდოქსული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. აკაკი ჩხენკელი იყო აგრეთვე ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი (1917-1918 წლებში), 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. 1918-1921 წ.წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა

---

მიუნსტერის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამეცნიერო მივლინებით 1998 წლის აპრილში ჩავედი, იმავე წლის ოქტომბრიდან ამავე ინსტიტუტში დავიწყე ქართული ენის სემინარების ჩატარება. არ ვიცი, როგორ გავართმევდი თავს ამ ამოცანას, რომ არა კიტა ჩხენკელის გერმანულენოვანი სახელმძღვანელო – ქართული ენის შესავალი – Einführung in die georgische Sprache, რომლის მეშვეობითაც ვახერხებდი გერმანულ ენაზე სემინარების ჩატარებას, რადგან ჩემი საკონტაქტო ენა თავდაპირველად ინგლისური იყო, მაშინ როცა იმ დროს სტუდენტებთან ურთიერთობა ინსტიტუტში მხოლოდ გერმანულად იყო ნებადართული. შემდეგში, როცა ქართული ენის სახელმძღვანელოსთან ერთად, დაწვრილებით გავეცანი მის ქართულ-გერმანულ ლექსიკონსა და ქრესტომათიას, ჩემთვის კიტა ჩხენკელი გახდა ერთგვარი მისაბაძი ხატი (Vorbild) ანუ ადამიანი, რომლის ცხოვრება უცხოეთში სამშობლოს სიყვარულის გამოვლენის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა მომეცა შესაძლებლობა გუჩა კვარაცხელიასთან ერთად მემუშავა ნარკვევებზე მის შესახებ (Gucha Kvaratskhelia, Lia Abuladze, **Kita Tschenkeli (1895-1963)**, in: Bukovec Predrag (Hsg.): Christlicher Orient im Porträt. Wissenschaftsgeschichte des Christlichen Orients, Bd.1, Hamburg 2014 (RVO2). Verlag Dr. Kovac). ეს წერილი ამ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სტატიის ვრცელი ვარიანტია (ლ. აბულაძე).

მინისტრი, 1921 წლის იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის დესპანი საფრანგეთში. რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

კიტა ჩხენკელი 1913 – 1917 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1917 წელს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა, უნდოდა სამეცნიერო მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ პოლიტიკური აქტივობის გამო (მონაწილეობდა დემონსტრაციებში) დააპატიმრეს და მხოლოდ თებერვლის რევოლუციამ იხსნა ციმბირში დეპორტაციისაგან. პატიმრობის დროს ძალიან ბევრს კითხულობდა. შემდეგში ამბობდა, რომ იმდენ წიგნს, რამდენიც ციხეში წავიკითხე, მის გარეთ ალბათ ათ წელიწადში თუ წავიკითხავდიო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კიტა ჩხენკელი მონაწილეობდა ახლადდაარსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში. იმდროინდელმა მთავრობამ 69 ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა ევროპული საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად საზღვარგარეთ მიავლინა. 1920 წელს კიტა ჩხენკელს დაენიშნა სახელმწიფო სტიპენდია და გაგზავნილ იქნა გერმანიაში ეკონომიკის შესასწავლად. ამავე წელს ის ჩაირიცხა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ საქართველომ როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. „პოლიტიკურმა შეხედულებებმა განაპირობა ჩემი მძიმე არჩევანი – დავრჩენილიყავი სრულიად უსახსრებოდ, უსამშობლო ემიგრანტად გერმანიაში, თუმცა საბჭოთა რუსეთის საელჩო მაცდური დაპირებებით ცდილობდა საქართველოში დავებრუნებინე“, – წერს კიტა ჩხენკელი თავის მოგონებებში. თავდაპირველად მას ძალიან გაუჭირდა ცხოვრება. მუშაობდა ხან ქვანახშირის მადარობებში, ხან ღამის დარაჯად, ხან მტვირთავად ჰამბურგის ნავსადგურში, მაგრამ სწავლისათვის თავი არ დაუწეებია. გერმანიაში მწვავე კრიზისის დროს კიტა ჩხენკელი ჰალედან ჰამბურგში გადავიდა საცხოვრებლად, რადგან თავის გატანა კრიზისისა და ინფლაციის პირობებში დიდ ქალაქებში, თანაც ნავსადგურებში, უსახსრებო კაცისთვის უფრო ადვილი იყო. 1936 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტში კიტა ჩხენკელმა დაიცვა დისერტაცია: „აგრარული მეურნეობის განვითარების ძირითადი ნიშნები 1918-1921 წლების საქართველოში“. ის აპირებდა სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას, მაგრამ პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუშალა: პროფ. ჰაინრიხ ზივეკინგი, რომელსაც ჰამბურგის უნივერსიტეტში უნდოდა მისი მიწვევა, დათხოვნილ იქნა უნივერსიტეტიდან იმის გამო, რომ ის არ იზიარებდა ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიას.

ნაციონალ-სოციალისტების ბატონობის დროს კიტა ჩხენკელი იძულებული იყო შედარებით „ნეიტრალური“ საქმიანობისათვის მიემართა: იგი შეუდგა რუსული ენის სწავლებას ჰამბურგის სახალხო უმაღლეს სკოლასა და კოლონიალურ ინსტიტუტში, ხოლო 1937 წლიდან – უნივერსიტეტშიც. აქ მას ყურადღება მიაქცია წამყვანმა ლინგვისტმა, აფრიკული ენების სპეციალისტმა პროფ. კარლ მაინჰოფმა და ქართულ ენაში ლექციების კურსი შესთავაზა. კიტა ჩხენკელის პირველი მსმენელები კარლ მაინჰოფის გარდა იყვნენ ცნობილი

ენათმეცნიერები: ინდო-არიული ენების სპეციალისტი ჰაინრიხ მაიერ-ბენფეი, ცნობილი აფრიკანისტი ერნსტ ციჰლარცი, ხეთოლოგი პიერო მერიგი, ინდო-ნეზიური ენების პროფესორი ვალტერ აიხელე. როგორც კიტა ჩხენკელი თავისი „ქართული ენის შესავლის“ წინასიტყვაობაში წერს, სწორედ ამ ლინგვისტებმა წააქეზეს ის დაეწერა ქართული ენის სახელმძღვანელო. პროფესორ მაიერ-ბენფეიმ იგი დაარწმუნა, რომ ენათმეცნიერებისათვის და საქართველოსთვისაც ფასდაუდებელი საქმე გაკეთდებოდა, თუ კიტა თავის ფუნდამენტურ ცოდნას მეცნიერულად დასაბუთებულ სახელმძღვანელოში მოუყრიდა თავს და რომ ქართული ენის ცოდნა ესაჭიროებოდათ არა მარტო ენათმეცნიერებს, არამედ ეთნოლოგებს, არქეოლოგებსა და ისტორიკოსებსაც – ყველას, ვისაც კვლევის თემად და არეალად კავკასია ჰქონდა არჩეული.

1940 წლის 9 იანვარს პროფ. ერნსტ ციჰლარცი სწერდა პროფ. კარლ მაინჰოფს: „ჩვენმა უნივერსიტეტმა ახალი ქართველი ლექტორის მეშვეობით პირველმა მსოფლიოში შექმნა საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ ევროპელებს შეუძლიათ პრაქტიკულად ისევე კარგად შეისწავლონ კავკასიური ენები, როგორც, ვთქვათ, რუსული ან უნგრული“.

კიტა ჩხენკელის ურთიერთობაზე გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ, რომ იგი ყოფილა საქართველოს გადარჩენისათვის მზრუნველი კომიტეტის წევრი, რომელიც სსრკ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე ბერლინის სასტუმრო „ადლონში“ ჩამოუყალიბებია ქართველ ემიგრანტთა ჯგუფს. ამ ჯგუფში კიტა ჩხენკელთან ერთად შედიოდნენ სპირიდონ კეღია, შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე და სხვ.<sup>1</sup> ცნობილია აგრეთვე ის ფაქტი, რომ კიტა ჩხენკელი იყო ერთერთი იმ რვა ადამიანთაგანი, რომლებიც 1962 წლის ნოემბრის ბოლოს ჟენევაში მოულოდნელად გარდაცვლილი გრიგოლ რობაქიძის დასაფლავებას დაესწრნენ.<sup>2</sup>

ომის დროს ვერმახტი აიძულებდა კიტა ჩხენკელს თარჯიმნად ემუშავა ჰამბურგთან არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ქართველ ტყვეებს „ახარისხებდნენ“ სხვადასხვა ბანაკებში გასაგზავნად, – ამის შესახებ წერს პროფ. ერნსტ ციჰლარცის ქალიშვილი კატია პოსტ-ციჰლარცი. იგი იგონებს, რომ ჩხენკელი ძალიან მძიმედ განიცდიდა ამ ფაქტს, მაგრამ თავის გრძნობებს ვერავისთან ვერ ამჟღავნებდა ერნსტ ციჰლარცის გარდა, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა (ერნსტ ციჰლარცის მეუღლე წარმოშობით რუსი იყო, დაბადებული და გაზრდილი ირკუტსკში, საიდანაც 1925 წელს ემიგრაციაში – გერმანიაში წავიდა. იქ ის თავის დასთან და მის ებრაელ მეუღლესთან ერთად ჯერ ბერლინში, შემდეგ კი (1934 წლიდან) ჰამბურგში ცხოვრობდა)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, „ლომისი“, თბილისი, 1999. გვ. 173-174.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 230.

<sup>3</sup> Post-Zyhlarz, Katja (2010). Kita Tschenkeli. [http://www.afrikanistik.at/pdf/personen/tschenkeli\\_kita.pdf](http://www.afrikanistik.at/pdf/personen/tschenkeli_kita.pdf)

1943 წლის ზაფხულს, როცა კიტა ჩხენკელი ჰანოვერში თავის შვეიცარიელ მეგობართან ფრიც ცვიკისთან სტუმრად იმყოფებოდა, ბრიტანული საჰაერო ძალების მიერ ჰამბურგის დაბომბვის დროს განადგურდა მისი ბინა და დაიწვა წვალებით შეგროვებული ქართული ბიბლიოთეკა და უკვე თითქმის მთლიანად დასრულებული ქართული ენის სახელმძღვანელო. ასე ჩაიყარა წყალში, უფრო ზუსტად კი ცეცხლში, მისი ხუთწლიანი შრომა. ერთი მცირე, ჩანაწერებით სავსე უბის წიგნაკიც კი ვერ გადაურჩა განადგურებას. ამიტომ კიტა ჩხენკელი იძულებული გახდა თავისი ლექციების მსმენელებისთვის მიემართა: „მივმართე ჩემს მსმენელებს, რომლებმაც ჩემი ლექციების ჩანაწერები მომაშველესო“, – წერდა იგი.

მეორე მსოფლიო ომის დროს კიტა ჩხენკელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გერმანიის მოქალაქეობის მიღება მოსთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა. მის არსებობას გერმანიაში საფრთხე დაემუქრა. ფრიც ცვიკის დახმარებით მან შეძლო შვეიცარიის ვიზის შოვნა და დიდი გაჭირვებით (დასაწყისში ველოსიპედით, მერე სატვირთო მანქანებით მგზავრობით) ციურიხამდე ჩააღწია, სადაც მას ისევ ემიგრანტის გაჭირვებული ცხოვრება ელოდა. მოგვიანებით ის მიიწვიეს ციურიხის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად, მაგრამ მხოლოდ ორი სემესტრით.

1949 წელს კერძო მიწვევის წყალობით კიტა ჩხენკელმა შეძლო დასწრებოდა ორიენტალისტთა კონგრესს იელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ქართული ენის მიმართ ზოგიერთი ორიენტალისტის მიერ გამოჩენილი ინტერესისა, კიტა ჩხენკელმა ვერ შეძლო ამერიკის რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ან სამეცნიერო დაწესებულების დაინტერესება ქართული ენის შესწავლითა და კვლევით. ერთადერთი ადგილი, სადაც კიტა ჩხენკელს სამუშაო შესთავაზეს, იყო კონგრესის ბიბლიოთეკა, ამ ადგილზე მან უარი თქვა და ციურიხში დაბრუნდა. ციურიხში ის თავისი მეგობრის ფრიც ცვიკის დისა და მისი მეუღლის კუთვნილი სახლის მანსარდას ქირაობდა (მისამართი: თეატრალური ქ. 30).

დაიწყო ახალი ხანა მის ცხოვრებაში. იგი კვლავ შეუდგა თავისი მიზნის განხორციელებას – ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენას, რათა უცხოელი ენათმეცნიერებისათვის და აგრეთვე ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა ქართული ენა, რომლის შესწავლაც მათ საქართველოს მრავალფეროვანი და მრავალსაუკუნოვანი კულტურული სამყაროს გაცნობისა და ღრმად წვდომის შესაძლებლობას მისცემდა.

ელემენტარული საარსებო პირობების უზრუნველყოფის მიზნით კიტა ჩხენკელი კერძო გაკვეთილებს უტარებდა რუსული ენის შესწავლის მსურველებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. თავისუფალ დროს კი წიგნზე მუშაობას ახმარდა. პირველ რიგში მას დასჭირდა თავისი განადგურებული ბიბლიოთეკის აღდგენა, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებიდან მიღებული მიკროფილმების მეშვეობით. ამავე დროს იგი კარგად ხედავდა, რომ თავისი მიზნის მიღწევას – ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოქვეყნებას – დამხმარეების გარეშე ვერ შეძლებდა, ფულის

უქონლობის გამო კი დამხმარეთა მოძებნა საკმაოდ ძნელი ამოცანა იყო. მაგრამ, როგორც თვითონ წერს, მას ბედმა გაუღიმა და იპოვა თავდადებული ადამიანები, რომლებიც დაინტერესდნენ ქართული ენით, წლების მანძილზე უშურველად ეხმარებოდნენ თავიანთ მასწავლებელს და მისი გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელეს მის მიერ წამოწყებული საქმე.

როდესაც უკვე გამზადებული სახელმძღვანელოს დაბეჭდვის საკითხი დადგა, აღმოჩნდა, რომ უცხოეთის არცერთი სტამბა, პარიზში არსებულიც კი, არ გამოდგებოდა ქართულ-გერმანული წიგნის გამოსაცემად. ბოლოს ერთ-ერთ ამერიკულ ფირმასთან მოლაპარაკების შედეგად კიტა ჩხენკელმა მოახერხა წიგნის ფოტო-ოფსეტური წესით გამოქვეყნება, რაც უზარმაზარ შრომას მოითხოვდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მას უხდებოდა ბევრი სხვადასხვა აზრისა და რჩევის მოსმენა, ბევრი გარშემო მყოფთაგანი მას შეშლილადაც კი თვლიდა, ბევრი ურჩევდა ქართულის ნაცვლად რუსული ენის სახელმძღვანელო დაეწერა, რომლის გამოცემაც უფრო ადვილი და მომგებიანიც იქნებოდა, ზოგიერთი კი წიგნის დაბეჭდვას ქართული შრიფტის სანაცვლოდ სომხური შრიფტით სთავაზობდა, რადგან სომხური შრიფტი ევროპულ სტამბებში უფრო ადვილად მოიძებნებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს კიტა ჩხენკელმა მაინც მოახერხა სტამბის ქართული შრიფტით აღჭურვა და თავის ბინაში გამომცემლობა „ამირანი“ დაარსა. სწორედ ამ გამომცემლობამ გამოაქვეყნა მისი ქართული ენის სახელმძღვანელო ორ ტომად („Einführung in die georgische Sprache“ – „ქართული ენის შესავალი“ (I ტ.: თეორიული ნაწილი, 628 გვ., II ტ.: პრაქტიკული ნაწილი, 614 გვ.) – გამოიცა ციურიხში 1958 წელს, კიტა ჩხენკელის მიერ დაარსებულ გამომცემლობაში „ამირანი“ (Amirani Verlag).

სახელმძღვანელოს გამოცემაში კიტა ჩხენკელს ძირითადად ეხმარებოდნენ: ლეა ფლური (რომელსაც იგი ჯერ კიდევ გერმანიიდან იცნობდა, ლეა ფლური ჩხენკელის მეგობრის ცვიკის ოჯახში მუშაობდა ბავშვების აღზრდელად. სხვათა შორის, თავის ანდერძში ერთადერთ მემკვიდრედ კიტა ჩხენკელი სწორედ ლეა ფლურის ასახელებს. ფლური ღრმა სიბერემდე უძღვებოდა გამომცემლობა „ამირანის“ საქმიანობას), რომანისტები იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი. ისინი მონაწილეობდნენ ჩხენკელის რუსული და ქართული ენების კურსებში. ამ ქალბატონებმა დიდი შრომა გასწიეს კიტა ჩხენკელის მიერ დაწყებული ქართულ-გერმანული ლექსიკონის დასასრულებლად და გამოსაქვეყნებლად.

თავისი სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში კიტა ჩხენკელი მაღლიერების გრძნობით იხსენიებს იმათ, ვინც მას წიგნის მომზადების ძნელ გზაზე სულიერი თუ მატერიალური დახმარება გაუწიეს. მათ შორის პროფესორ ვილჰელმ შმიდტს (რომელსაც გაუმხნევებია იგი სიტყვებით: 80 წლის რომ არ ვიყო, აუცილებლად გამოვიყენებდი ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას) და შვეიცარიელ პროფ. იაკობ იუდს, რომლის დახმარებითაც მას მოუხერხებია წიგნის გამოსაცემად ფინანსური ბაზის შექმნა.

1959 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე კიტა ჩხენკელი ციურიხის უნივერსიტეტში რუსულ ენასაც ასწავლიდა.

1960 წელს მან მიიღო ციურიხის მოქალაქეობა, ხოლო 1961 წელს ციურიხის უნივერსიტეტმა კიტა ჩხენკელს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

კიტა ჩხენკელი გარდაიცვალა მოულოდნელად, 68 წლის ასაკში, 1963 წლის 22 ოქტომბერს. დაკრძალულია ციურიხში, ენცებიულის სასაფლაოზე. ნეკროლოგი, რომელიც „Neue Zürcher Zeitung“-ში გამოქვეყნდა, ასე მთავრდება: „კიტა ჩხენკელი ტიტანური შემართებით ქმნიდა თავის ნაშრომებს. ამ საქმეს შესწირა მან მთელი თავისი დრო, სახსრები და ძალ-ღონე, მთელი თავისი მე. იგი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მეცნიერი. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო საკუთარი დედაენის ტაძრის ქურუმი, ცხოვრების წესით კი – ნამდვილი ასკეტი“.

ქართული ენის ორტომიანი სახელმძღვანელოს გარდა, კიტა ჩხენკელის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა მისი შემდეგი შრომები:

„Grundzüge der Agrarentwicklung in Georgien“ („აგრარული განვითარების ძირითადი ნიშნები საქართველოში“) ჟურნალში: Vierteljahrschrift für Sozial- und Wirtschaftsgeschichte, Stuttgart 1938, 31. Band, 2. Heft, S. 147-182.

„Schönheit“ („სილამაზე“) (ქართული ლეგენდა, თარგმნილი კიტა ჩხენკელის მიერ რუთ ნოიკომთან ერთად) ჟურნალში „Neue Schweizer Rundschau“ 1953.

1957 წელს გამოქვეყნდა „ვისრამიანის“ გერმანული თარგმანი, შესრულებული კიტა ჩხენკელისა და რუთ ნოიკომის მიერ: „Wisramiani oder die Geschichte der Liebe von Wis und Ramin“, Zürich, Manesse Verlag.

1974 წელს ციურიხში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანიც კიტა ჩხენკელის სახელს უკავშირდება. მან ეს სამუშაო 1958 წელს წამოიწყო რუთ ნოიკომთან ერთად და თარგმნა პოემის თითქმის ნახევარი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ შევიცარიელ მთარგმნელს გვერდში ამოუდგა ვიქტორ ნოზაძე და მათ წარმატებით გაასრულეს ეს თარგმანი.

უდავოა, რომ კიტა ჩხენკელს ენათმეცნიერი-ქართველოლოგის სახელი როგორც ევროპაში, ისე თავის სამშობლოში, მისი ძირითადი ნაშრომის „ქართული ენის შესავლის“ გარდა მისმა „ქართულ-გერმანულმა ლექსიკონმაც“ მოუპოვა, თუმცა ამ უკანასკნელის დასრულება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მოხერხდა. ახლა ცოტა დაწვრილებით განვიხილოთ ეს შრომები.

„ქართული ენის შესავლის“ წინასიტყვაობაში, რომელიც 30 გვერდისგან შედგება, ავტორი იძლევა საქართველოსა და ქართველი ხალხის მოკლე დახასიათებას, ასევე მოკლედ გადმოსცემს ქვეყნის ისტორიას, შემდეგ კი გადადის ქართული ენის დახასიათებაზე, მის ადგილზე მსოფლიოს სხვა ენებს შორის, კავკასიურ ენებთან მის მიმართებაზე, მოჰყავს ამ საკითხებთან დაკავშირებით თავისი დროის ენათმეცნიერთა აზრები, ბოლოს კი ლაპარაკობს როგორც ქართული ენის შესავლის მნიშვნელობაზე, ისევე საერთოდ კავკასიური ენების კვლევის მნიშვნელობაზე ზოგადი ენათმეცნიერებისა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის.

კიტა ჩხენკელი წინასიტყვაობაში დაწვრილებით განიხილავს აგრეთვე მისი დროისათვის ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ქართული ენის შესწავლა უადრესად რთული და შეუძლებელიც კია. იგი იძლევა ამ ენის კვლევის მოკლე ისტორიას. მას შეუმჩნეველი არ რჩება არც ქართველ ენათმეცნიერთა, არც უცხოელ მკვლევართა ღვაწლი, წინასიტყვაობის ბოლოს კი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომელთა დაძლევაც თავად მოუხდა სახელმძღვანელოს წერის დროს.

აღსანიშნავია, რომ კიტა ჩხენკელის სახელმძღვანელოს გამოქვეყნებამდე ქართული ენის შესწავლის გერმანულენოვან მსურველებს მხოლოდ ერთადერთი საშუალება გააჩნდათ. ეს იყო დირის გრამატიკა: „Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen Sprache“ (*Wien und Leipzig 1904*), რომლის შესახებაც გერჰარდ დეეტერსი სინანულით აღნიშნავდა: „დირის პატარა გრამატიკა იყო საუკეთესო, რაც კი შემეძლო გამომეყენებინაო“.<sup>1</sup> ჰანს ფოგტი კი უფრო მკაცრადაც წერდა: „აწ გარდაცვლილი ა. დირის გრამატიკა, ასე ვთქვათ, უვარგისია სახმარად და იძლევა მხოლოდ მცდარ აზრს ქართულის გრამატიკული სისტემის შესახებ“.<sup>2</sup> ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ როცა კიტა ჩხენკელი თავისი სახელმძღვანელოსათვის მასალებს აგროვებდა, მას ხელთ არ ჰქონდა ქართული ზმნის უღლების პარადიგმათა სრული სურათის ამსახველი ნაშრომი, არ მოეპოვებოდა აგრეთვე ქართული სინტაქსის საჭირობოროტო საკითხთა დეტალური გამოკვლევა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ართულებდა სახელმძღვანელოზე მუშაობას.

კიტა ჩხენკელის სახელმძღვანელო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ტომისაგან შედგება, პირველ ტომში წარმოდგენილია ქართული ანბანი, ქართული ენის ფონეტიკური სისტემა, ბგერათა და მათი გამოთქმების დახასიათება, რასაც მოსდევს ლექციების კურსი, რომელშიაც თანმიმდევრულად და დაწვრილებით არის განხილული სახელისა და ზმნის მორფოლოგია და ქართული ენის სინტაქსი, განსაკუთრებული გულდასმით ცდილობს ავტორი ხაზი გაუსვას იმ თავისებურებებს, რაც ევროპული ენებისაგან განსხვავებით ქართული ენის სისტემისათვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე მას მუდმივად ჰყავს მხედველობაში წიგნის მომხმარებელი და ამიტომ ცდილობს მაქსიმალურად გაუადვილოს მას მისთვის სავსებით უჩვეულო ენის ათვისების პროცესი. იწყებს სრულიად მარტივი თემებითა და მაგალითებით და ნელ-ნელა აფართოებს და ართულებს შესასწავლ მასალას. ამავე მიზანს – ანუ ენის ათვისების გამარტივებას ემსახურება ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოს მეორე ტომიც, რომელშიაც მოცემულია თითოეულ ლექციასთან მისადაგებული სავარჯიშოები ახალი სიტყვებით, საჭირო განმარტებებითა და თარგმანებით.

<sup>1</sup> „die kleine Grammatik von Dirr ist das Beste, was ich benutzen konnte“ (Gerhard Deeters, „*Das kharthwelische Verbum*“: Leipzig 1930, S.4.

<sup>2</sup> „Das Buch des verstorbenen A. Dirr ist sozusagen unbrauchbar und gibt nur eine verworrene Idee vom grammatikalischen System des Georgischen“ (Hans Vogt, *Esquisse d'une grammaire du géorgien moderne*, Oslo 1936, S.5).

როგორც ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში წერს, მისი მიზანი იყო ისეთი სახელმძღვანელოს დაწერა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო იქნებოდა ერთი მხრივ, განსწავლული ენათმეცნიერებისთვის, რომელთაც ქართული ენის სტრუქტურის ცოდნა სჭირდებოდათ ლინგვისტიკის ზოგადი საკითხების, ან ენათა შედარებით-ისტორიული ან ტიპოლოგიური საკითხების კვლევების დროს, ხოლო მეორე მხრივ იმათთვის, ვისაც ქართული ენის შესწავლა უბრალოდ პრაქტიკული მიზნების გამო სურდა. ამიტომ მიხდებოდაო, – წერს ის, – განსაკუთრებით სახელმძღვანელოს მეორე ტომში მოცემულ სავარჯიშოებში ბევრი სიტყვისა თუ წინადადების გამეორება, რათა მკითხველს შესასწავლი მასალის განმტკიცებაში დაეხმარებოდა. გადმოცემის სიზუსტითა და მასალის სიუხვით თვალსაზრისით კიტა ჩხენკელის სახელმძღვანელო დღემდე მართლაც სამაგალითოდ რჩება, თუმცა მასალის ზოგი ნაწილი შეიძლება ზოგ შემთხვევაში უკვე მოძველებულად ჩაითვალოს.

თუ რა დიდი ყურადღებით განიხილავდა ავტორი ამა თუ იმ საკითხს და როგორ ცდილობდა ამომწურავი ცოდნა მიეწვდინა თავისი მკითხველებსათვის, ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია:

სახელმძღვანელოს მეათე გაკვეთილში ჩხენკელი განიხილავს ზმნის ასპექტსა და მყოფადის წარმოებას და შენიშნავს, რომ გარდამავალი ზმნების მყოფადის ფორმა შედგება ზმნისწინისა და აწმყოს ფორმისაგან და რომ ზმნისწინი ზმნის მიერ გამოხატულ მოქმედებას დასრულებულს ხდის, ე. ი. ზმნის ასპექტი მყოფადში სრულია.

ქართული მყოფადი, მაგ., *დავწერ* პრინციპში გერმანულად ორგვარად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ich werde schreiben“ (დიურატიულობის, განგრძობითობის მქონე მნიშვნელობა ზმნისა ანუ უსრული ასპექტი) და „ich werde geschrieben haben“ (სრული ასპექტი). თვალსაჩინოების მიზნით ჩხენკელს რუსული თარგმანებიც მოჰყავს: „я буду писать“ და „я напишу“. ქართულს შეუძლია აგრეთვე აღწერითი ფორმით, უფრო ხაზგასმით წარმოადგინოს დიურატიულობის შინაარსი, მაგ., *მე ხვალ სულ წერაში ვიქნები*. მართალია, ასეთი აღწერითი ფორმები ხშირად არ გვხვდება, მაგრამ კიტა ჩხენკელს მაინც საჭიროდ მიუჩნევია თავის სახელმძღვანელოში ასეთი ფორმების მოყვანა (დღევანდელ მეტყველებაშიც იხმარება სხვადასხვა დროს განხორციელებული მოქმედების განგრძობითობის აღსანიშნად, მაგალითად: გუშინ მთელი დღე წიგნების დალაგებაში ვიყავი, დღეს სულ საქმელების მზადებაში ვარ და მისთ.) (შდრ. გვ. 83-84). აღსანიშნავია, რომ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ დიურატიულობის გადმოცემის ამგვარ აღწერით ფორმებზე მითითება არ მოიძებნება. ეს ალბათ ადვილად ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთია, როცა ქართული ენის სახელმძღვანელო, მისი გრამატიკა სხვა ენაზე მოსაუბრისათვის იწერება (მაშინ გვიწევს მისი შედარება უცხო ენასთანაც და ამასთან დაკავშირებით შეიძლება მშობლიურ ენაში საინტერესო დეტალები გამოიკვეთოს), ხოლო მეორე, როცა გრამატიკას იმათთვის წერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია.

სახელმძღვანელოში ყურადღებას იქცევს ჩხენკელის ენათმეცნიერული მიგნებებიც, მაგ., „ქართული ენის შესავლის“ მე-18 გაკვეთილში „აორისტი“ ლაპარაკია გარდამავალი ზმნის წყვეტილის ფორმის წარმოებაზე და მისი შემცველი წინადადების კონსტრუქციაზე (გვ. 154-155). სტუდენტ-მა დაწერა წერილი-ი, ამ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი სახ. ბრუნვაშია, სუბიექტი კი – ერგატივში. ჩხენკელი შემდეგნაირად ხსნის ამგვარ კონსტრუქციას: ქართველი წარსულში შესრულებულ აქტიურ მოქმედებას აღიქვამს როგორც უკვე დასრულებულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ამ აქტიური მოქმედების ობიექტი, რომელსაც საუბრის მომენტისთვის უკვე განცდილი აქვს აქტიური ქმედება. ეს კონსტრუქცია არ არის პასიური. პასიურ ზმნებთან პასიურია როგორც აწმყოს, ისე ნამყოს ფორმებიც, მაშინ როცა აქტიურ ან გარდამავალ ზმნებთან აწმყოში აქტიური მოქმედება მხოლოდ წარსულში იჩენს ე.წ. პასიურობას. საკუთრივ პასიურისაგან განსხვავებით ქართველი გახაზავს იმას, რომ საუბრის დროს სუბიექტის ქმედება ობიექტზე უკვე შესრულებულია და ამავე დროს იმას, რომ ამ მოქმედების შესრულების დროს საქმე გვექონდა აქტიურ მიმდინარეობასთან, მაგრამ, როცა ეს მოქმედება წარსულში გადავიდა, ის პასიურად აღიქმება, როგორც აქტიური ქმედების შედეგი. ამას ჩხენკელი უწოდებს „გაქვავებულ აქტიურ მოქმედებას“ ან „დასრულებული აქტიური მოქმედების ანაბეჭდს“. აქ გარკვეულ მსგავსებას ხედავს ჩხენკელი გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმების წარმოებასთან. ეს ფორმებიც პასიურისებრ არიან წარმოდგენილი. ისინი გამოხატავენ არა იმდენად მოქმედების პროცესს, არამედ უფრო წარსულში მიმდინარე პროცესის შედეგს – მდგომარეობას ან აწმყოში – I თურმეობითი ან წარსულში – II თურმეობითი (ჩხენკელთან შესაბამისად პერფექტი და პლუსკვამპერფექტი). აქაც შეიძლება ვილაპარაკოთ „დასრულებული აქტიური მოქმედების ანაბეჭდზე“, – შენიშნავს ავტორი (გვ. 499) და გამოთქვამს ვარაუდს, რომ წარსულის აღქმის ამგვარად წარმოდგენაში ქართული ენა ავლენს (სხვა ენებთან შედარებით) გარკვეულ ხატოვანი გამომსახველობის („Bildhaftigkeit“) უნარს (გვ. 155).

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დიდაქტიკური თვალსაზრისით, ამ სახელმძღვანელოს მეორე ტომიც, რომელიც პირველ ტომში მოყვანილი თეორიული კურსისთვის (სულ 48 გაკვეთილი) სავარჯიშოებს მოიცავს. წიგნის ეს ნაწილი თითქმის 400-გვერდიანია. მას მოსდევს 200-გვერდიანი ქრესტომათია, რომელიც დიდი გულისყურით შერჩეული ქართული სალიტერატურო ნიმუშებისაგან შედგება. გარდა მხატვრული ლიტერატურული ტექსტებისა მასში ხალხურ ნაწარმოებებსაც ვხვდებით, მაგალითად, „რწყილსა და ჭიანჭველას“, „ჭინჭრაქას“, „მელიასა და მწყერჩიტას“ და სხვა.

ქართველი მწერლებიდან გერმანელ მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს სულხან-საბა ორბელიანის იგავებს, ნაწყვეტს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას როგორც პროზაულ ისე პოეტურ თხზულებებს, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, შიო მღვიმელის, რაფიელ ერისთავის, კოტე მაცაშვილის და სხვათა ლექსებს და ნაწყვეტებს პო-

ემებიდან, რა თქმა უნდა, თარგმანებით, სათანადო სიტყვარებით და ამა თუ იმ ფორმათა ახსნა-განმარტებებითურთ.

ეს ქრესტომათია საშუალებას აძლევს ქართული ენის გერმანულენოვან შემსწავლელებს გაიფართოვონ ქართულის ცოდნა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის სფეროში და ამავე დროს გარკვეული წარმოდგენა შეიქმნან ქართული ლიტერატურის შესახებ. ადრე თუ გვიან თითქმის ყოველი უცხო ენის შემსწავლელი აღწევს ენის ცოდნის გარკვეულ დონეს, როდესაც იგი უკვე ერკვევა ენის გრამატიკულ სისტემაში, ფლობს სიტყვების საკმაოდ დიდ მარაგს, მაგრამ კიდევ ბევრი რამ აკლია ენის ნამდვილ ცოდნამდე, იმ დონის მიღწევამდე, როცა შეიძლება ითქვას, რომ ის უცხო ენას თავისუფლად ფლობს. ამ დონის მიღწევა, ორი გზით შეიძლება: ან იმ ენობრივ გარემოში ცხოვრებით, რომელ ენასაც სწავლობ, ან ამ ენაზე არსებული ლიტერატურის (მხატვრულის, პუბლიცისტურის, სპეციალურ-სამეცნიეროს) კითხვით. ამ მეორე შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კარგად შედგენილ ქრესტომატიას, რომელიც დახმარებას უწევს დამწყებ მკითხველს, თანდათანობით შეჰყავს ის უცხო ენის ლიტერატურის სამყაროში. სწორედ ამ თვალსაზრისით არის შესაფასებელი ამა თუ იმ ენისათვის შედგენილი ქრესტომათიები და სწორედ ამ თვალსაზრისით არის ღირებული კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავლის“ მეორე ტომიც, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა და უწევს დღესაც ქართული ენის დაუფლების მსურველებს. განუწყვეტელი ენობრივი ცვლილებები, განსაკუთრებით ლექსიკისა და სემანტიკის სფეროში, მუდმივად აჩენს ენის შემსწავლელთათვის ახალი და უახლესი ტექსტების მიწოდების საჭიროებას. დღესაც აქტუალური პრობლემაა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ქრესტომატიის შედგენა გერმანულენოვანი მოსწავლეებისათვის და აქ შემდგენელთათვის ნამდვილად გასათვალისწინებელი და მისაბამია კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავლის“ მეორე ტომში წარმოდგენილი ქრესტომათია.

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელსაც მართლაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ გერმანულენოვან მომხმარებელთათვის, არამედ ქართული ლექსიკის ყველა მკვლევრისათვის, არის ქართულ-გერმანული ლექსიკონი, რომლის გამოცემა 1960 წელს, ავტორის სიცოცხლეში დაიწყო და მისი გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. თავდაპირველად ლექსიკონი გამოდიოდა რვეულების სახით, წიგნის პირველი ტომი კი გამოქვეყნდა 1965 წელს, ხოლო ბოლო, მესამე ტომი – 1974 წელს. კიტა ჩხენკელის მოწაფეების წყალობით. ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ვიქტორ ნოზაძემ, რომელიც კიტა ჩხენკელის სტუდენტობის მეგობარი იყო. უკვე საკმაოდ ხანდაზმული ვიქტორ ნოზაძე სისტემატურად ჩადიოდა ლევილიდან ციურიხში, რათა კონსულტაცია გაეწია შვეიცარიელი ქალბატონებისთვის.

2000 წელს ქართულ-გერმანული ლექსიკონი მეორედ გამოიცა, ამჯერად როგორც ერთტომეული (სამივე ტომი ერთ წიგნად გაერთიანებული), რაც მკითხველს ლექსიკონით სარგებლობას უადვილებს. კიტა ჩხენკელის მოწაფემ

იოლანდა მარშევა მე-20 საუკუნის დასასრულს შესანიშნავი გერმანულ-ქართული ლექსიკონის გამოშვებით დაამთავრა ის დიდი საქმე, რომელიც მისმა მასწავლებელმა კიტა ჩხენკელმა 50-იან წლებში წამოიწყო.<sup>1</sup>

ქართულ-გერმანულ ლექსიკონში შეძლებისდაგვარად ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული სამწერლო და სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, რაშიც ავტორს დახმარებია არნ. ჩიქობავას რედაქციით შედგენილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თუმცა კიტა ჩხენკელი თავის წინათქმაში (1958 წ.) სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მან მხოლოდ პირველი ხუთი ტომის მასალის გამოყენება შეძლო, რადგან დანარჩენი ტომები ჯერ არ იყო გამოქვეყნებული. ჩხენკელის ქართულ-გერმანულ ლექსიკონში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ძველი ქართული ენის მასალაც, რათა, ავტორის თქმით, მან დახმარება გაუწიოს ძველი ქართული ლიტერატურის მკითხველებსაც. ასევე ყურადღება ეთმობა დიალექტურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რამდენადაც მათ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არცთუ მცირე ადგილი უჭირავთ. ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე ხშირად ხმარებული ფრაზემები, რომელთა მოძებნა უმეტესწილად ზმნების განმარტებებთანაა შესაძლებელი.

როგორ არის წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ანბანური ლექსიკონი, რომელშიაც სახელები დალაგებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გათვალისწინებით და არა ფუძის მიხედვით, როგორც ეს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია“ მოცემული. რაც შეეხება ზმნის წარმოდგენას, აქ გამოყენებულია განმარტებითი ლექსიკონისაგან და საერთოდ ბევრი სხვა ლექსიკონისაგან სრულიად განსხვავებული პრინციპი: ზმნები დალაგებულია ძირების, იშვიათ შემთხვევებში ფუძეების მიხედვით. თითოეულ ძირთან მითითებულია ყველა შესაძლო ფორმა, რომელშიაც ის გვხვდება, ასე, მაგალითად, ძირთან **ბრუნ** მითითებულია პირველ რიგში საშუალო გვარის **ბრუნავს** ზმნის ინფინიტივი (სახელზმნა) **ბრუნვა**. შემდეგ ამ ზმნის პირველი პირის ფორმა აწმყოს მწკრივში: **ვბრუნავ**. შემდეგ მოყვანილია ამ ზმნის ძირითადი მწკრივების ფორმები ასევე პირველ პირში: მყოფადი – **ვბრუნებ**, წყვეტილი – **ვბრუნე**, თურმეობითი I – **მიბრუნია** (რა თქმა უნდა, შესაბამისი თარგმანებითურთ). ამ ძირთან მოყვანილია აგრეთვე გარდამავალი ზმნის ინფინიტივი – **ბრუნება** და აწმყოს ფორმა – **ვბრუნებ**, რომელსაც მოსდევს მყოფადის ფორმები სხვადასხვა ზმნისწინებითა და განსხვავებული მნიშვნელობებით, მაგ.: ა- 1. et. zum Drehen bringen 2. j-n veranlassen um-, zurück-zukehren (hinauf); ამო- 1. j-n veranlassen um-, zurück-zukehren (hinauf) 2. (her) ausgraben; გა- 1. j-n veranlassen um-, zurück-zukehren (hin) 2. et. zurück-erstaten, -geben; j-n / et. Zurück- senden, -schicken (hin); ამ ზმნისწინებს მოსდევს კიდევ გამო- და გადა- ზმნისწინებიანი ფორმები და მათი მნიშვნელობები. შემდეგ მოყვანილია მყარი შესიტყვებები შესაბამისი თარგმანებითურთ, მოცემულია სხვადასხვა ქცევის ფორმები (სხვადასხვა

<sup>1</sup> Yolanda Marchew, Deutsch-Georgisches Wörterbuch, Freudenstadt: Kaukasus-Verlag, 1999.

ზმნისწინებით), კაუზატივი (**ვაზრუნებინებ**) და ვნებითი გვარის ზმნები: **იზრუნება // იზრუნვის** და დ-იანი ვნებითი **ვზრუნდები** და რელატიური **ვუზრუნდები** ისევ სხვადასხვა ზმნისწინებითა და თარგმანებით. ამრიგად, ერთ სალექსიკონო სტატიაში წარმოდგენილია ამ ძირის (**ზრუნ**) მქონე ყველა ზმნური ფორმა თარგმანებითურთ, რაც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იძლევა სრულ სურათს ამა თუ იმ ძირის მქონე ზმნების განსხვავებული ფორმებისა და მნიშვნელობების შესახებ. ეს ფორმები ყველა ერთადაა თავმოყრილი და არ არის გაბნეული ანბანური რიგის მიხედვით დალაგებულ ლექსიკონში. „ასეთი გზით ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ ვახდენთ ლექსიკონში ზმნის, ასე ვთქვათ, „ლოკალიზაციას“, ანუ იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ფორმა, რომელშიაც ეს ზმნა შეიძლება მოგვევლინოს, იმის ნაცვლად, რომ ანბანურ რიგზე ერთმანეთისაგან გათიშულად განლაგდეს, ერთ ადგილას იყრის თავს იმგვარად, რომ მთლიანად მისი წარმოდგენა ძირის, როგორც გარკვეული ბირთვის გარშემო კრისტალიზდება (გამოიკვეთება)“, – წერს კიტა ჩხენკელი (გვ. XX).<sup>1</sup>

ზმნის ძირის წარმოდგენა ყველა შესაძლო აფიქსთან ერთად და მისი ყველა, ზოგჯერ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობების თავმოყრა ძალიან საინტერესო ჩანს ზოგადად სემანტიკის და კერძოდ, კოგნიტიური სემანტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. როგორ იცვლება, როგორ ფართოვდება ან სრულიად განსხვავებულ კოგნიტურ სფეროში გადადის ზმნის ძირთან დაკავშირებული ამოსავალი ცნება, რა სემანტიკური მიმართებები არსებობს ერთი და იმავე ძირის მქონე სხვადასხვა ზმნური ფორმის მნიშვნელობებს შორის – ეს ის საკითხებია, რომელთა კვლევასაც საგრძნობლად აადვილებს ზმნის ის საერთო და ყოვლისმომცველი სურათი, რომელიც კიტა ჩხენკელის ლექსიკონშია წარმოდგენილი.

კიტა ჩხენკელის ქართული ენის სახელმძღვანელო და ლექსიკონი წლების განმავლობაში მიუწვდომელი იყო ქართველი ენათმეცნიერებისათვის. დღეს ისინი ქართველოლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება, მაგრამ ეს მეცნიერული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი. ხოლო რაც შეეხება ამ მემკვიდრეობის პრაქტიკულ სარგებლიანობას, ეს უკვე დადასტურებულია კიტა ჩხენკელის მოწაფეთა და მიმდევართა მიერ.

<sup>1</sup> „Auf diese Art und Weise gelingt es, das Verb im Wörterbuch sozusagen so „lokalisieren“, d.h. es wird die Möglichkeit geschaffen, sämtliche Formen, die das betreffende Verb annehmen kann, statt über das ganze Alphabet hin zerstreut anzuführen, an einer Stelle zusammenzuziehen, so dass sich die ganze Darstellung um die Wurzel gewissermassen wie um einen Kern herum kristallisiert“.

LIA ABULADZE, GUCHA KVARATSKHELIA

**Kita Chkhenkeli – Person, Linguist, Translator**

## S u m m a r y

Kita Chkhenkeli – the author of “The Introduction to the Georgian Language” and “The Georgian-German Dictionary” – holds an important place among the Georgian scholars of the 20<sup>th</sup> century.

Kita (Peter) Chkhenkeli (1895-1963) was born in Kutaisi (West Georgia). In 1920 the government of the newly founded independent State of Georgia sent him to Germany to study economics. Georgia lost independence in 1921 and Kita Chkhenkeli stayed in Germany as an immigrant. Although he completed a dissertation: “Key Developing Features of Agrarian Economy in Georgia in 1918-1921”, he could not find a job as an economist and started teaching the Georgian language. He also worked on a Georgian Textbook and delivered lectures at the University of Hamburg but, unfortunately, his nearly completed book was all destroyed as a result of Hamburg bombing by the British Air Force during the Second World War. Thus, many years of long hard work were erased by fire.

Before the end of the war Kita Chkhenkeli left Germany for Switzerland. A new period started in his life. He taught Georgian at the University of Zürich. He turned back to implementing his goal – compiling a textbook of the Georgian language in order to make Georgian available for foreign linguists and to grant them opportunity to get to know and be able to understand a deeply diverse centuries-old Georgian culture.

When finally, the question of printing the completed textbook was on the agenda, it turned out that not a single European print shop had sufficient capacity to publish a Georgian-German book. Eventually, as a result of negotiations with an American company, Chkhenkeli managed to equip a printing house with Georgian fonts and founded a publishing house “Amirani” in his own apartment in Zürich. In 1958 he eventually published the textbook of the Georgian language in two volumes (“Einführung in die georgische Sprache” – “Introduction to the Georgian language”, the first volume – theoretical part, 628 pp., the second one – practical part, 614 pp.).

Kita Chkhenkeli was mainly helped by his students to publish the textbook, among them by Lea Flury, who took over the publishing house “Amirani” after his death.

Another work that has great significance for all scholars researching the Georgian vocabulary is “The Georgian-German dictionary”, the publication of which

started in Kita Chkhenkeli's lifetime and was completed after his death by his students Yolanda Marchev and Lea Flury in collaboration with Georgian scholar Victor Nozadze.

The dictionary represents the most exhaustive vocabulary typical of literary and spoken Georgian. It also provides a large number of old forms of Georgian words to assist readers of old Georgian texts. Dialectal words and expressions are also included as they are rather frequent in Georgian fiction. Phraseological expressions are also represented in the dictionary; they are listed within verb definitions.

Kita Chkhenkeli unexpectedly died at the age of 68 and was buried in Zürich. The final paragraph of the obituary published in "Neue Zürcher Zeitung" reads as follows: "He created his works with titanic enthusiasm. He sacrificed all his time, money and effort, his whole self. So, he was more than a scholar. In fact, he was a High Priest in the Temple of the mother language, an Ascetic with his life style".

Kita Chkhenkeli's core works – "The Introduction to the Georgian language" and "The Georgian-German dictionary" gained him the name of linguist Kartvelologist first in Europe and then, after the disintegration of the Soviet Union, in his own country – Georgia.

Kita Chkhenkeli was not only a linguist Kartvelologist, he was also a translator, who translated carefully selected texts of Georgian writers into German, e.g. Sulkhan-Saba's fables, prosaic as well as poetic works by Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, verses and fragments from poems by Ilia Chavchavadze, Grigol Orbeliani, Shio Mgvimeli, Rafiel Eristavi, Kote Makashvili and others. These translations are published in the second volume of his "Introduction".

Kita Chkhenkeli translated "Visramiani or the Love Story of Vis and Ramin" in collaboration with Ruth Neukomm and Rustaveli's "The Knight in the Panther's skin" in prose.

His translations help German-speaking learners to expand their knowledge of Georgian, master Georgian vocabulary and at the same time acquire a certain idea about Georgian literature. We can conclude that Kita Chkhenkeli's works and translations have served generations and those wishing to master the Georgian language.



### ელენე ნიკოლაიშვილი

2018 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე ნიკოლაიშვილი.

ქალბატონი ელენე დაიბადა 1928 წლის 31 მარტს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1945 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1951 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, მიიღო ფილოლოგის კვალიფიკაცია და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ძველი ქართული ენის სპეციალობით; მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი აკაკი შანიძე. აქედან მოყოლებული მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალბატონი ელენე ერთგულად ემსახურებოდა ქართულ ენას.

სამსახურეობრივი საქმიანობა ელენე ნიკოლაიშვილმა დაიწყო ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ხელშეკრულებით). 1958 წლიდან გადაყვანილი იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1958 წლიდან იწყება ახალი ეტაპი ქალბატონი ელენეს ცხოვრებაში – იგი სამუშაოდ გადადის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართველურ ენათა განყოფილებაში, სადაც საქმიანობს ცხოვრების ბოლომდე, თავიდან უმცროს მეცნიერ მუშაკად, შემდგომ – უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ე. ნიკოლაიშვილი სხვადასხვა დროს ქართულ ენას ასწავლიდა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტსა და ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ე. ნიკოლაიშვილის სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი მხრივ, ეს იყო ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა და, მეორე მხრივ, ქართული დიალექტების შესწავლა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა არის ე. ნიკოლაიშვილის მონოგრაფია გაიოზ რექტორის „ქართული დრამმატიკის“ შესახებ (წიგნი გამოიცა 1970 წელს). მონოგრაფია მომზადდა საკვალიფიკაციო ნაშრომის საფუძველზე; ეს არის პროფესიონალურ დონეზე გამოცემული ტექსტი გაიოზის გრამატიკისა და ამ გრამატიკის მაღალმეცნიერული ანალიზი. ქართული გრამატიკული აზრის შესწავლის საქმეში ეს არის ქ-ნი ელენეს მიერ შეტანილი დიდი წვლილი.

ე. ნიკოლაიშვილმა ქართულ ენათმეცნიერებას შესძინა არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი წვლილი ქართულ დიალექტოლოგიაში. მან განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მშობლიურ დიალექტს – გურულს. ეს საქმიანობა შეჯამდა შესანიშნავი წიგნით – „მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან“; ეს არის დიალექტური ტექსტების კრებული, რომელსაც ახლავს ვრცელი ლექსიკონი. ამ კრებულის შესაფასებლად მოვიხმობთ ამონარიდს წიგნის რედაქტორის – გიორგი ცოცანიძის – წინასიტყვიდან: „ამ წიგნში წარმოდგენილი ტექსტები საინტერესოა არა მხოლოდ ლინგვისტებისათვის; მასში ცხადად მოჩანს ამ კუთხის სოციალური და ისტორიული მოვლენები მე-19 – მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე, სადაც იკვეთებიან თითქმის ლიტერატურულობამდის ამალღებული პერსონაჟები თავიანთი დამახასიათებელი ფსიქო-სოციალური ბუნებით“... სამწუხაროა ის, რომ ქ-ნი ელენე ვეღარ მოესწრო ამ წიგნის გამოსვლას...

საგანგებოდ შეიძლება საუბარი ქ-ნი ელენეს, როგორც პიროვნების, მეგობრის, კოლეგის, სასიკეთო საქმეთა ინიციატორისა და, რაც მთავარია, დიდი ოჯახის დიდი დიასახლისის შესახებ...

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული!

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



**ლამარა ყაზაიშვილი**

2019 წლის 26 მაისს გარდაიცვალა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების უხუცესი თანამშრომელი ქალბატონი ლამარა ყაზაიშვილი.

ლამარა ყაზაიშვილი დაიბადა 1929 წლის 7 ნოემბერს ქ. ბათუმში. 1946 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (სპარსული ენისა და ლიტერატურის განხრით), რომელიც დაასრულა 1951 წელს.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო აჭარის სუბტროპიკულ ტექნიკუმში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1958 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. თბილისში. ერთი წელი იმუშავა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმში ბიბლიოთეკის გამგედ.

1959 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტში კანცელარიის გამგედ. 1973 წელს გადავიდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში ჯერ უფროს ლაბორანტად და შემდგომ უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი გახდა. ქალბატონმა ლამარამ ენათმეცნიერების ინსტიტუტში 40 წელზე მეტი იმუშავა.

ლამარა ყაზაიშვილი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად და საქმის ცოდნით ასრულებდა ლექსიკონებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამუშაოს, მონაწილეობდა „რუსულ-ქართული“ ერთტომეული (1986 წ.) და „ქართულ-რუსული“ ლექსიკონების (2013 წ.) მომზადებაში. ბოლო წლებში მან აღწერა თავისი მეგობრის – გურამ თოფურიას – მიერ ინსტიტუტისათვის გადაცემული „თოფურიების ბიბლიოთეკის“ წიგნები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი თავიდანვე გამოირჩეოდა თანამშრომლებთან განსაკუთრებული, გულთბილი ურთიერთობით. უხუცესი თანამშრომლები ხშირად იგონებენ განმარტებითი თუ სხვა სახის ლექსიკონებზე მუშაობისას ინსტიტუტში გატარებულ საღამოებსა და აქ გათენებულ ღამეებს. შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუტი იყო ერთი დიდი ოჯახი თავისი ჭირითა თუ ლხინით. ლამარა ყაზაიშვილი იყო ამ დიდი ოჯახის გამორჩეული წევრი და ნამდვილი მემკვიდრე. ქალბატონ ლამარას ჰქონდა ჩვენი კოლექტივის წევრთა უნიკალური ფოტოები, ინახავდა ა. ჭინჭარაულის, თ. უთურგაიძის, გ. ცოცანიძის თუ სხვათა სახუმარო ლექსებს, ჩანახატებს. იგი იყო ყოველთვის ექსკურსიებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების წამომწყები და აქტიური მონაწილე, ჰყავდა ბევრი მეგობარი როგორც უფროს, ისე უმცროს კოლეგებს შორის და ახსოვდა ყველას დაბადების დღის თარიღი, იყო ყველას დამხმარე ლხინსა თუ გასაჭირში. ლამარა ყაზაიშვილი სამეცნიერო თუ საზოგადო საქმის ერთგული იყო ბოლომდე.

ჩვენს ინსტიტუტს დააკლდა დიდი გულშემატკივარი, კეთილსინდისიერი თანამშრომელი, ყველასადმი კეთილად განწყობილი ადამიანი, გამორჩეული თავისი სითბოთი და მზრუნველობით.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



### თამარ ზურაბიშვილი

ქართულმა ენათმეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 2019 წლის 14 ივლისს გარდაიცვალა **თამარ ზურაბიშვილი** – თვალსაჩინო მეცნიერი, ქართული ენის დიდი მოამაგე, მშობლიურ ენაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

თ. ზურაბიშვილი დაიბადა 1928 წელს ქ. თბილისში. 1947 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე ქალთა საშუალო სკოლა. 1947-1952 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურის კურსი ახალი ქართული ენის სპეციალობით. 1956 წლიდან მოღვაწეობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში. თავდაპირველად მუშაობდა ქართველურ ენათა განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ხოლო 1966 წლიდან – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 2001 წლიდან გადაყვანილ იქნა წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალბატონი თამარი მონაწილე იყო მთელი იმ მუშაობისა (როგორც სამეცნიერო, ისე წმინდა პრაქტიკული ხასიათისა), რომელსაც ეწეოდა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება დაარსების დღიდან. განყოფილების წარმატებულ საქმიანობაში თამარ ზურაბიშვილის ღვაწლი მნიშვნელოვანია. ის ერთ-ერთი საიმედო საყრდენი და წამყვანი ძალა გახლდათ.

თამარ ზურაბიშვილმა 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხარისხი ქართველურ ენებში“. მის მიერ მომზადდა სალიტერატურო ენის ნორმათა არაერთი პროექტი: 1. მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას (1980 წ.); 2. მავრცობი -ა ახალ ქართულში (1980 წ.); 3. ნა – ევ და ნა აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (1981 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალბატონი თამარის ღვაწლი ტოპონიმიკის შესწავლის საქმეში. სწორედ მან წარმოადგინა ქართული ტოპონიმიკის საკვანძო საკითხების სიღრმისეული ანალიზი და დასახა შემდგომი კვლევის ამოცანები. მნიშვნელოვანია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით ქალბატონი თამარის სამეცნიერო ნაშრომები, მოხსენებები (საინსტიტუტო თუ საკავშირო) სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე. მკვლევრის მოხსენებები ყოველთვის გამოირჩეოდა სკრუპულოზური ანალიზით, ფაქტების შეჯერებითა და განსაკუთრებული პრინციპულობით. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეცნიერის რადიო- და ტელეგაკვეთილები ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე.

ქალბატონი თამარი მუდმივად უწევდა კონსულტაციებს სალიტერატურო ენის საკითხებით დაინტერესებულ პირებს. გარდა ამისა, აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოსა და კოლეგიაში. წლების განმავლობაში იყო ქართული ენის პრობლემური საკოორდინაციო საბჭოს მდივანი. 1984 წლიდან თ. ზურაბიშვილი „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის მიერ გაწეული სამუშაო სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა რედაქტირებისა და რეცენზირების საქმეში. ქ-ნი თამარი იყო მიუკერძოებელი, ობიექტური ოპონენტი საკვალიფიკაციო ნაშრომებისა. მის მიერ რედაქტირებულ სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებსა და მათს რეცენზიებში იგრძნობა ავტორის საოცარი ერუდიცია და საგნის ზედმიწევნითი წვდომის უნარი.

თ. ზურაბიშვილი აქტიურად მონაწილეობდა განყოფილების კრებულის – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ – შედგენა-მომზადებაში, ამავდროულად სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს.

ქ-ნი თამარი იყო გულისხმიერი, მომხიბლავი, თბილი, ყურადღებიანი, თავმდაბალი, მიმტევებელი, მაგრამ ამავე დროს ობიექტური და პრინციპული პიროვნება. იგი იყო ჩინებული მეოჯახე, შვილებსა და მეუღლეზე მზრუნველი, მოსიყვარულე ადამიანი.

თამარ ზურაბიშვილმა თავისი ღვაწლით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ენათმეცნიერებაში.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



### თამარ ბეროზაშვილი

2019 წლის 29 ივლისს გარდაიცვალა დეაწლმოსილი მეცნიერი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ქ-ნი თამარ ბეროზაშვილი.

თ. ბეროზაშვილი დაიბადა 1924 წლის 26 ივნისს ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერში. 1932-42 წლებში სწავლობდა თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. 1947 წელს წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი და მიენიჭა ფილოლოგიის კვალიფიკაცია. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში ასპირანტად ქართული ლექსიკოლოგიის სპეციალობით. ასპირანტურა დაამთავრა 1950 წელს.

1959 წელს თ. ბეროზაშვილმა მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში ხელშეკრულებით; შემდეგ დაიკავა უმცროსი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.

1967 წელს თ. ბეროზაშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ნიკო ლომოურის ენა“. ნაშრომში წარმოდგენილია მწერლის თხზულებათა ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ თავისებურებათა სკრუპულოზური ანალიზი.

თ. ბეროზაშვილი უკვე ასპირანტურაში სწავლის დროს ჩაება და შემდგომაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით მიმდინარე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის სამუშაოებში (იყო პროფ. ვ. ბერიძის სარედაქციო კომისიის წევრი).

თ. ბეროზაშვილი, როგორც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულის (1986) სარედაქციო ჯგუფის წევრი, ინტენსიურად მუშაობდა ამ ლექსიკონის შედგენის სამუშაოებში. ქ-ნ თამარს მონაწილეობა აქვს მიღებული, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის სიმფონია-ლექსიკონის“ (1973) შედგენაში.

თ. ბეროზაშვილის თანაავტორობით შეიქმნა ქართული ლექსიკოლოგიის დიდი შენაძენი „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“ (1981). იგი ავტორია ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომისა, როგორცაა „ტექსტისა და მისი ავტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი (ძეგლის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მასალაზე)“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თ. ბეროზაშვილის მიერ შედგენილი და ქართველ მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამაგიდო წიგნად ქცეული „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც ჯერ ერთ ტომად გამოიცა (2007, 2008), შემდეგ – ორტომეულის სახით (2012).

საინტერესო ნარკვევები და მოგონებები უძღვნა თ. ბეროზაშვილმა თავის მასწავლებლებს (აკად. არნ. ჩიქობავას, აკად. ვ. თოფურიას, აკად. ქ. ლომთათიძეს) და მეგობრებს (პოეტ-აკადემიკოს ა. კალანდაძეს, აკად. მ. შანიძეს, პროფ. მ. დამენიას).

თ. ბეროზაშვილი იყო მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული, გამორჩეული პიროვნება: გონიერი, გულთბილი, კეთილგანწყობილი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, თხრობის დიდოსტატი, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობის მქონე, საუცხოო მეოჯახე...

თამარ ბეროზაშვილს მუდამ კეთილად მოიგონებენ მისი ახლობლები, კოლეგები. მისი ღვაწლი დაუვიწყარი იქნება ქართულ ენათმეცნიერებაში.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**